სამართალმცოდნეობის შესავალი

მეორე გამოცემა

თამარ ალფაიძე

თამარ ალფაიძე

სამართალმცოდნეობის შესავალი

მეორე გამოცემა

თბილისი
2015

UDC (უაკ) 34 (075.8)
ა-534

რეცენზენტები:

მალხაზ ბეგიაშვილი, სამართლის დოქტორი
გიორგი თევდორაშვილი, სამართლის დოქტორი
ლევან იზორია, სამართლის დოქტორი
გიორგი კვერენჩხილაძე, სამართლის დოქტორი
ზაზა რუხაძე, სამართლის დოქტორი
კახი ყურაშვილი, სამართლის დოქტორი
პაატა ცნობილაძე, სამართლის დოქტორი

ISBN 978-9941-0-8077-7

© თამარ ალფაიძე, შესავალი სამართალმცოდნეობაში. 2008
© თამარ ალფაიძე, სამართალმცოდნეობის შესავალი. 2015

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 9

შესავალი – სასწავლო დისციპლინა – „სამართალმცოდნეობის შესავალი"
ზოგადი დახასიათება 12

პირველი ნაწილი – სახელმწიფოთმცოდნეობა
(სახელმწიფოს თეორია)

თავი I. სახელმწიფოს არსი და მისი განვითარების კანონზომიერებანი
§ 1. ძირითადი თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ 26
§ 2. სახელმწიფოს ცნება, მისი ძირითადი ნიშნები 32
§ 3. სახელმწიფო და სამართალი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში 39

თავი II. სახელმწიფოს მიზანი და დანიშნულება. სახელმწიფოს ფუნქციები
§ 1. სახელმწიფოს მიზნისა და ფუნქციების თანაფარდობა 44
§ 2. სახელმწიფოს ფუნქციების კლასიფიკაცია 45
§ 3. სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების ფორმები და მეთოდები 48

თავი III. სახელმწიფოს მექანიზმი (აპარატი)
§ 1. ხელისუფლების დანაწილება, როგორც სახელმწიფოს მექანიზმის
ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა 53
§ 2. სახელმწიფოს მექანიზმის (აპარატის) ცნება 56
§ 3. სახელმწიფო ორგანოთა სახეები 58

თავი IV. სახელმწიფოს ფორმა
§ 1. სახელმწიფოს ფორმის ცნება 64
§ 2. სახელმწიფო მმართველობის ფორმა 66
§ 3. სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა
(სახელმწიფოს წყობილების ფორმა) 74
§ 4. სახელმწიფო-სამართლებრივი (პოლიტიკური) რეჟიმი 79
§ 5. სახელმწიფოს ფორმათა მრავალფეროვნების მიზეზები 81

თავი V. სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგია
§ 1. სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგიის ცნება 82
§ 2. ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები 85
§ 3. მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი 87
§ 4. ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი 89
§ 5. კაპიტალისტური (ბურჟუაზიული) სახელმწიფო და სამართალი 93
§ 6. სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი 98
§ 7. გარდამავალი ტიპის სახელმწიფო და სამართალი 100

თავი VI. სამოქალაქო საზოგადოება.
სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო
§ 1. სამოქალაქო საზოგადოება 106
§ 2. სამართლებრივი სახელმწიფო 109
§ 3. სოციალური სახელმწიფო 113

მეორე ნაწილი – სამართალმცოდნეობა
(სამართლის თეორია)

თავი VII. სამართლის ცნება, არსი და სოციალური დანიშნულება
§ 1. სამართლის ცნება, ძირითადი ნიშნები 119
§ 2. ძირითადი თეორიები სამართლის არსის შესახებ 128
§ 3. სამართალი და კანონი 142
§ 4. სამართლის პრინციპები 147
§ 5. სამართლის ფუნქციები და სოციალური დანიშნულება 153

თავი VIII. სამართალი სოციალურ ნორმათა სისტემაში
§ 1. სამართალი და მორალი (ზნეობა) 161
§ 2. სამართალი და ჩვეულება 165
§ 3. სამართალი და პოლიტიკა 168
§ 4. სამართალი და რელიგია 172

თავი IX. სამართლის ნორმები
§ 1. სამართლის ნორმის ცნება 180
§ 2. სამართლის ნორმის სახეები 184
§ 3. სამართლის ნორმის სტრუქტურა 189
§ 4. ნორმატიულ სამართლებრივ აქტში სამართლის ნორმის
გადმოცემის ხერხები 194

თავი X. სამართლის წყაროები (ფორმები)
§ 1. სამართლის წყაროს ცნება 197
§ 2. ჩვეულებითი სამართალი, როგორც სამართლის წყარო 200
§ 3. პრეცედენტი როგორც სამართლის წყარო (სამოსამართლო სამართალი) 202
§ 4. იურისტების სამართალი 206
§ 5. ნორმატიული ხელშეკრულება 207
§ 6. პოზიტიური კანონმდებლობა 209

თავი XI. სამართალშემოქმედება და მისი შედეგი
§ 1. სამართალშემოქმედების ცნება 211
§ 2. სამართალშემოქმედების ფორმები 213
§ 3. საკანონმდებლო პროცესი 215
§ 4. იურიდიული ტექნიკა 219

თავი XII. ნორმატიული სამართლებრივი აქტები
§ 1. ნორმატიული სამართლებრივი აქტის ცნება 230
§ 2. ნორმატიული სამართლებრივი აქტის სახეები 234
§ 3. კანონი როგორც სამართლის უმნიშვნელოვანესი წყარო 235
§ 4. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები 240

თავი XIII. ნორმატიული აქტის მოქმედების ფარგლები
(ნორმატიული აქტის მოქმედება დროში,
სივრცეში და პირთა წრის მიმართ)
§ 1. ნორმატიული აქტის მოქმედება დროში, აქტის (კანონის) უკუძალა 244
§ 2. ნორმატიული აქტის მოქმედება სივრცეში 248
§ 3. ნორმატიული აქტის მოქმედება პირთა წრის მიმართ 249

თავი XIV. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია
§ 1. კოდიფიკაცია 253
§ 2. ინკორპორაცია 254
§ 3. კონსოლიდაცია 256

თავი XV. მართლშეგნება, სამართლებრივი კულტურა და
სამართლებრივი აღზრდა
§ 1. მართლშეგნების ცნება 259
§ 2. მართლშეგნების სტრუქტურა 262
§ 3. სამართლებრივი კულტურა 264
§ 4. სამართალი – ცივილიზაციის და კულტურის მოვლენა 267
§ 5. სამართლებრივი აღზრდა 272

თავი XVI. სამართლებრივი ურთიერთობა
§ 1. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება 275
§ 2. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი 280
§ 3. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი 285
§ 4. სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი (უფლება-მოვალეობანი) 288
§ 5. სამართლებრივი ურთიერთობის სახეები 292
§ 6. იურიდიული ფაქტები, ფაქტობრივი შემადგენლობა 293

თავი XVII. სამართლის მოქმედება და მისი რეალიზაციის ფორმები
§ 1. სამართლის მოქმედების ცნება 297
§ 2. სამართლის რეალიზაციის ფორმები 298
§ 3. სამართლის შეფარდება როგორც სამართლის
რეალიზაციის სპეციფიკური ფორმა 301
§ 4. სამართლის შეფარდების სტადიები 303
§ 5. სამართლის შეფარდების აქტები 308
§ 6. ანალოგია სამართალში 312

თავი XVIII. სამართლის ნორმათა განმარტება
§ 1. სამართლის ნორმათა განმარტების ცნება 316
§ 2. სამართლის ნორმის განმარტების მეთოდები და ხერხები 319
§ 3. ახსნა-განმარტების სახეები 326
§ 4. სამართლის ნორმათა განმარტების შედეგი 329

თავი XIX. სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა
§ 1. სამართლის სისტემის ცნება, სამართლის სისტემის ძირითადი ნიშნები 332
§ 2. სამართლის სისტემის სტრუქტურული ელემენტები 335
§ 3. სამართლის სისტემის დარგებად და ინსტიტუტებად
დაყოფის კრიტერიუმები 341
§ 4. სამართლის სისტემის და კანონმდებლობის სისტემის თანაფარდობა 345

თავი XX. მართლზომიერი ქცევა, სამართალდარღვევა და
იურიდიული პასუხისმგებლობა
§ 1. მართლზომიერი ქცევა 351
§ 2. სამართალდარღვევა (არამართლზომიერი ქცევა) 356
§ 3. სამართალდარღვევის სახეები 359
§ 4. იურიდიული პასუხისმგებლობა 363

თავი XXI. კანონიერება და მართლწესრიგი
§ 1. კანონიერების ცნება 370
§ 2. კანონიერების მოთხოვნები 374
§ 3. კანონიერების გარანტიები 378
§ 4. მართლწესრიგი 383

თავი XXII. სამართლებრივი რეგულირება და მისი მექანიზმი
§ 1. სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ცნება; სამართლებრივი რეგულირების სტადიები 387
§ 2. სამართლებრივი რეგულირების საგანი 392
§ 3. სამართლებრივი რეგულირების ტიპები და მეთოდები 394

თავი XXIII. თანამედროვეობის სამართლებრივი სისტემები (ოჯახები)
§ 1. სამართლებრივი სისტემების ცნება. სისტემების კლასიფიკაცია 398
§ 2. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა (ოჯახი) 401
§ 3. ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემა (ოჯახი) 405
§ 4. მუსლიმური სამართლებრივი სისტემა (ოჯახი) 411
§ 5. სოციალისტური სამართლებრივი სისტემა (ოჯახი) 416
§ 6. ჩვეულებითი სამართლის სისტემა (ოჯახი) 418

მესამე ნაწილი

ქაზუსები (სასწავლო-პრაქტიკული მაგალითები) 425
ძველი რომაელი იურისტების სენტენციები 440
რომის სამართლის ძირითადი ფორმულები და ტერმინები 444
რეზიუმე 446
შენიშვნები 448

იურიდიული არტეფაქტი

იუტისტების ძველბერძნული ფიცი

"ვიღებ რა კეთილი ნებით იურისტის დიპლომს, ვკისრულობ ვალდებულებას და საზეიმოდ ვდებ ფიცს რექტორისა და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის წინაშე:
ვტოვებ რა მეცნიერებისა და სიბრძნის ტაძრის კედლებს, ჩემს საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ ვუღალატებ ზოგადსაკაცობრიო და პროფესიული ეთიკის პრინციპებს, ყოველთვის და ყველგან დავიცავ კანონის სულს და სიტყვებს, სარგებლობას მოვუტან ყველას,
ვისაც დასჭირდება ჩემი დახმარება და ერთგულად დავიცავ ჩემს მოვალეობას, ხელს შევუწყობ მშვიდობის დამყარებას საზოგადოებაში, ავირჩევ წესიერებისა და სამართლიანობის, ჭეშმარიტებისა და სიკეთის გზას. ჩემი ცხოვრების მეგზური იქნება სიბრძნე და გონიერება.
ვდებ რა ფიცს და ვიღებ პედაგოგების დალოცვას, დაე, ღმერთი იყოს ჩემი შემწე პროფესიულ საქმიანობაში*



* კიპრელმა მეთუნე ავგუსტინმა ეს ძველბერძნული ფიცი პათოსით ნარმოადგინა თიხისა და თაბაშირის ფირფიტებზე მართლმსაჯულების ქალღმერთის თემიდას გამოსახულებასთან ერთად

„სახელმწიფო კანონების ისტორია კაცობრიობის
ჭკუა-გონების ისტორიაა, ბრძოლისა და არმიების
ისტორიის აღწერა კი ისტორიაა კაცობრიობის უგუნურებისა“
შტუიცნერი

„სამართალი დასაბამს ღებულობს
სამართლიანობისაგან, როგორც დედისაგან.
მაშასადამე, სამართლის წინ იყო
სამართლიანობა“
დიგესტები

წინასიტყვაობა

სამართლებრივი კულტურა და სამართლებრივი აღზრდა საზოგადოებრივი პროგრესის მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს. სამართლებრივი კულტურა საერთო-საკაცობრიო კულტურის ნაწილია და მასზე ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოების განვითარების ხარისხი და ხასიათი. რაც უფრო მაღალია სამართლებრივი კულტურის დონე, მით უფრო ჰარმონიულად ვითარდება საზოგადოება, მით უფრო დაცულია პიროვნების უფლებები. სამართლებრივი კულტურის ამაღლების საფუძველია სამართლებრივი აღზრდა, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული სამართლებრივ სწავლებასთან. აღმზრდელობითი სწავლების მიზანია პიროვნების ჩამოყალიბება მაღალზნეობრივი შეგნების კანონმორჩილ მოქალაქედ და იურისტ-პროფესიონალად. სამართლებრივი აღზრდა წარმოადგენს პიროვნების სულიერი ფორმირების ერთიანი პროცესის ნაწილს, რომელიც მოწოდებულია „იურისტის“ კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალს შესძინოს ისეთი თვისებები, როგორიცაა სამართლებრივი და ფსიქოლოგიური კულტურა, პასუხისმგებლობის გრძნობა, პრინციპულობა, პროფესიისადმი ერთგულება, მოქალაქეთა უფლებების დაცვის შეგნება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მოვალეობა.

გერმანელი მეცნიერი ვ. ბერგემანი განსაზღვრავს რა ცნება იურისტს, მიუთითებს, რომ ისინი არიან სპეციალისტები, რომელთა საქმიანობის

სფეროში შედის „სოციალური კონფლიქტების რაციონალურად გადაჭრის ტექნოლოგიები“. ასეთი რთული სოციალური მისიის შესრულება შეუძლებელია აკადემიური განათლების გარეშე.

ინტერესი იურიდიული პროფესიისა და იურიდიული მეცნიერების შესწავლისადმი უძველესი დროიდან მომდინარეობს. როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში იურიდიულ მეცნიერებას მდიდარი ტრადიციები აქვს. ქართული იურიდიული აზრი ქართული სახელმწიფოებრიობის კვალდაკვალ ვითარდებოდა და ყოველთვის პროგრესული იდეებით გამოირჩეოდა.

სწავლული იურისტების მომზადების ტენდენცია სახელმწიფოს პრიორიტეტული საქმიანობაა, ვინაიდან იურისტების მოღვაწეობის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება, სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონირება, პიროვნების თავისუფლება, მისი კანონიერი ინტერესების დაცვა. ფართო დიაპაზონის განათლებული იურისტების საქმიანობა ცივილიზებული, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს წარმატების ერთ-ერთი მტკიცე გარანტიაა. ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეში გადამწყვეტი ფაქტორია საუნივერსიტეტო განათლება. სწორედ უმაღლესი სასწავლებელია ის კერა, რომელიც მომავალ იურისტს აძლევს მეცნიერულად დასაბუთებულ ცოდნას სახელმწიფო-სამართლებრივ მოვლენებზე, საძირკველს უყრის სტუდენტის ზოგად, ანალიტიკურ აზროვნებას, მართლშეგნებასა და იურიდიულ კულტურას.

რთული სამართლებრივი პრობლემების შესწავლისათვის სტუდენტებს აუცილებლობით ესაჭიროებათ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა კი სპეციალური სახელმძღვანელოები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სწავლების მაღალი დონე.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო „სამართალმცოდნეობის შესავალი“ განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტებისა და სამართლის სკოლების სტუდენტებისათვის, აგრეთვე იმ პირებისთვის, რომელთაც სურთ გაიღრმავონ ცოდნა იურისპრუდენციის სფეროში.

სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად არის გაშუქებული სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენების არსი, მათი წარმოშობისა და განვითარების ძირითადი და ზოგადი კანონზომიერებანი, ახსნილია იურისპრუდენციის ფუძემდებლური ცნებები და კატეგორიები.

„სამართალმცოდნეობის შესავალი“ იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში წამყვანი სასწავლო დისციპლინაა, ვინაიდან იგი სტუდენტს აძლევს პირველ დაწყებით ცოდნას სახელმწიფო სამართლებრივ მოვლე-

ნებზე, რის გარეშეც დარგობრივი იურიდიული მეცნიერების შესწავლა შეუძლებელია. კერძოდ, სახელმძღვანელოში ახსნილი და მეცნიერულად დასაბუთებულია ისეთი ზოგადი საკითხები, როგორიცაა სახელმწიფოსა და სამართლის არსი, სამართლის ნორმა და მისი გამოვლენის ფორმები, კანონი და მისი ადგილი ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემაში, სამართლის რეალიზაციის ფორმები, სამართლებრივი ურთიერთობა და ა.შ. სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს იურიდიული მეცნიერების საფუძვლების დაუფლებაში, გამოუმუშავოს მათ ცოდნის ათვისების უნარ-ჩვევები და იურიდიული აზროვნების სტილი.

„სამართალმცოდნეობის შესავალი“ იურისპრუდენციის ერთგვარი კარიბჭეა, რომლის გავლისა და ათვისების გარეშე შეუძლებელია იურიდიული სამყაროს აღქმა და გაცნობიერება. სახელმძღვანელო ორიენტირებულია იურიდიული განათლების თანამედროვე სტილის დაუფლებაზე, მომავალი იურისტების ცოდნის თვალსაწიერის გაფართოებაზე. სახელმძღვანელოში გაანალიზებულია სხვადასხვა მეცნიერული კონცეფცია, ასახულია აკადემიური სამართლებრივი აზრის ძირითადი მიღწევები, გამოკვეთილია სამართლის უდავო პრიორიტეტი სახელმწიფოსთან მიმართებაში, სამართლის უპირველესი დანიშნულება – უზრუნველყოს პიროვნების თავისუფლება, მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

სახელმძღვანელოში გამოყენებულია სათანადო ნორმატიული აქტები, ქართველი სწავლული იურისტების შრომები, მდიდარი უცხოენოვანი ლიტერატურა. თეორიული დებულებანი ილუსტრირებულია შესაბამისი სქემებით, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ შესასწავლ მასალას, რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს სტუდენტს თეორიული ცნებებისა და კატეგორიების ათვისებასა და დამახსოვრებას. ამავე მიზნით, სახელმძღვანელოში მოთავსებულია კაზუსები, რომლებიც თეორიულ დებულებებსა და რეალურ ცხოვრებას შორის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია. წიგნში წარმოდგენილია „იურისტების ფიცი“, რომელიც იურისტ-პროფესიონალის საქმიანობის გზამკვლევი უნდა იყოს. ასევე ჩართულია ძველი რომაელი იურისტების ცნობილი სენტენციები, რომის სამართლის ძირითადი ფორმულები და ტერმინები, რომელთა ცოდნა ფართო დიაპაზონის იურიდიული განათლების მნიშვნელოვანი ატრიბუტია.

თამარ ალფაიძე,
სამართლის დოქტორი,
პროფესორი

სასწავლო დისციპლინის საგანი

„სამართალმცოდნეობის შესავალი“ იურიდიული პროფილის მეცნიერება და სასწავლო დისციპლინაა. იგი უძველესი მეცნიერების და სასწავლო პროფესიის – იურისპრუდენციის ორგანული ნაწილია. იურისპრუდენციის შემეცნების სფერო რეალური ცხოვრების სოციალური ინსტიტუტები – სახელმწიფო და სამართალია.

ადამიანი, როგორც გონიერი და საზოგადოებრივი არსება თავისი ცხოვრების პროცესში მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსა და სამართალთან. ამიტომ, ბუნებრივია ის, რომ ადამიანებს უხსოვარი დროიდან აინტერესებდათ საკითხი იმის შესახებ რა არის სახელმწიფო და სამართალი? რატომ არსებობენ ისინი და რატომ არიან განსხვავებული სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ქვეყნებში? როგორია მათი განვითარების პერსპექტივები? ეს რთული კითხვები განაპირობებენ იმ დიდ ინტერესს, რომელიც სახელმწიფოსა და სამართლისადმი ვლინდება კაცობრიობის ცნობიერების სხვადასხვა სფეროში – ფილოსოფიაში, პოლიტოლოგიაში, სოციოლოგიაში, ისტორიულ და ეკონომიკურ მეცნიერებებში.

სახელმწიფო და სამართალი მრავალმხრივ რთული მოვლენებია (მათი გენეზისის, არსის, ფუნქციონირების, სტრუქტურისა და სხვა თვალსაზრისით). ცხოვრებაში ისინი გამოვლინდებიან სხვადასხვა მხარეებით, რომელთა დეტალური შეცნობა ერთი რომელიმე მეცნიერების ჩარჩოებში შეუძლებელია. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მეცნიერული ცოდნისა და საქმიანობის სპეციალიზაცია. სპეციალიზაციის საფუძველზე იურიდიული მეცნიერება დიფერენცირებულია ცალკეულ დარგებად და ინსტიტუტებად. თითოეული დარგი შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის ამა თუ იმ მხარეს ან ასპექტს. დიფერენციაციის შედეგად ჩამოყალიბდა

იურიდიულ მეცნიერებათა მთლიანი სისტემა, რომელშიც გამოიყოფა შემდეგი ძირითადი რგოლები:

ა) თეორიულ-ისტორიული მეცნიერებანი (შესავალი სამართალმცოდნეობაში, პოლიტიკურ და სამართლებრივ დაწესებულებათა ისტორია, პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებათა ისტორია);

ბ) დარგობრივი მეცნიერებანი, რომელთა უშუალო საგანს შეადგენს მოქმედი სამართლებრივი სისტემის ესა თუ ის დარგი (კონსტიტუციური სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი და ა.შ.);

გ) გამოყენებითი მეცნიერებანი, რომელთაც უშუალო პრაქტიკული დანიშნულება აქვთ (კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია, სასამართლო მედიცინა, სასამართლო სტატისტიკა).

ყველა მათგანი ერთობლიობაში ქმნის სახელმწიფოსა და სამართლის მთლიან სურათს, რაც აისახება ისეთ ინტეგრირებულ მეცნიერებაში, როგორიცაა „სამართალმცოდნეობის შესავალი“. სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით „სამართალმცოდნეობის შესავალი“ სახელმწიფოსა და სამართალს შეისწავლის როგორც მთლიან, ურთიერთდაკავშირებულ მოვლენებს და არა მათ ცალკეულ მხარეებსა და ელემენტებს. შეისწავლის სამართალს, როგორც სოციალური ნორმების განსაკუთრებულ სისტემას, სახელმწიფოსა და საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ორგანიზაციისა და საქმიანობის სამართლებრივ ფორმებს.

როგორც ყველა მეცნიერებას და სასწავლო დისციპლინას „სამართალმცოდნეობის შესავალსაც“ აქვს თავისი კვლევის განსაკუთრებული სფერო, საგანი და ობიექტი. მეცნიერების საგნის საკითხი არის საკითხი იმის შესახებ, თუ რას შეისწავლის ესა თუ ის მეცნიერება. „სამართალმცოდნეობის შესავლის“ საგანს წარმოადგენს მთელი იურისპრუდენციის ზოგადმეცნიერული საფუძვლები. ამ კურსის საგნობრივი თავისებურება განპირობებულია მისი მეცნიერულ-შემეცნებითი შესაძლებლობებით.

„სამართალმცოდნეობის შესავალი“ არის განზოგადებული ცოდნის სისტემა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, არსის, დანიშნულებისა და განვითარების ძირითად და ზოგად კანონზომიერებათა შესახებ.[1] იგი მიზნად არ ისახავს შეისწავლოს სახელმწიფოს საქმია-

[1] კანონზომიერებანი რეალური მყარი კავშირებია, რომლებშიც გამოხატულია მოცემული მოვლენის არსი

ნობის ყველა მხარე, კონკრეტული იურიდიული ნორმების შინაარსი. ასეთ ამოცანას ასრულებს სამართალმცოდნეობის მთელი სისტემა. „სამართალმცოდნეობის შესავალი" სახელმწიფოსა და სამართალს შეისწავლის ურთიერთკავშირში, ურთიერთდამოკიდებულებაში, ურთიერთგანპირობებულობაში, ხსნის ამ რთულ სოციალურ მოვლენათა ზოგად ნიშნებს, მათ შინაგან არსსა და დანიშნულებას, ყურადღებას ამახვილებს ობიექტურ კანონზომიერებებზე, რომლებიც განაპირობებენ ამ მოვლენათა არსებობასა და ფუნქციონირებას.

სასწავლო დისციპლინას – „სამართალმცოდნეობის შესავალს" აქვს კონკრეტული მიზნები და ამოცანები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ორი აკადემიური ამოცანა:

• პირველი მათგანი მდგომარეობს იმაში, რომ შემუშავებულ იქნეს ლოგიკურად დამთავრებული სისტემა ცნებებისა, რომლებიც საფუძვლად უდევს ყველა სპეციალურ იურიდიულ მეცნიერებას და განზოგადდეს ისინი.

• მეორე ამოცანაა შესწავლილ იქნეს მეთოდები, რომელთა დახმარებითაც ხდება სახელმწიფო-სამართლებრივ მოვლენათა შემეცნება.

მეცნიერული ცნებები და განმარტებანი ადამიანური აზროვნებისა ერთგვარი შეჯამებაა მოვლენებზე, მათ თვისებებსა და ნიშნებზე. სწორედ ცნებებში არის ასახული სახელმწიფო-სამართლებრივი რეალობა, მეცნიერულ აბსტრაქციებშია კონცენტრირებული საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა. სახელმწიფო-სამართლებრივი განმარტებანი კი არის პოლიტიკურ-სამართლებრივი ცნებების მოკლე და ზუსტი ახსნა. მათ აქვთ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.

„სამართალმცოდნეობის შესავლის" მიერ შემუშავებული ცნებები და განმარტებანი, დასკვნები და კატეგორიები იურიდიულ მეცნიერებაში წარმოადგენენ საბაზისოსა და ფუნდამენტურს და სამართალმცოდნეობაში აქვთ ფუძემდებლური მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სამართალმცოდნეობის შესავალი არის გასაღები, აუცილებელი სპეციალური შესავალი დარგობრივი იურიდიული მეცნიერების შესწავლისათვის.

უდავოა, რომ სახელმწიფო და სამართალი ვითარდება არა ვაკუუმში, არამედ განსაზღვრულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ გარემოში და განიცდის მათ ზემოქმედებას. შესაბამისად, სახელმწიფოსა და

სამართლის შესწავლა უნდა მოხდეს ამ ფაქტორების გათვალისწინებით. არაიურიდიული გარემო შედის შესასწავლი ობიექტის შემადგენლობაში იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოსა და სამართალზე. ამიტომაა, რომ სასწავლო დისციპლინის ჩარჩოებში შეისწავლება არა მხოლოდ სახელმწიფო-სამართლებრივი კატეგორიები, არამედ ზოგიერთი მათთან დაკავშირებული ცნებები, ინსტიტუტები, კერძოდ, ისეთი, როგორიცაა დემოკრატია, პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური რეჟიმი და სხვ.

„სამართალმცოდნეობის შესავალი“ საზოგადოებრივი მეცნიერებაა, რამდენადაც შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართალს, როგორც საზოგადოებრივ მოვლენებს, მათი წარმოშობისა და ფუნქციონირების, არსისა და ფორმების, იურიდიული ურთიერთობების და კავშირების, მართლშეგნებისა და სამართლებრივი კულტურის თავისებურებების თვალსაზრისით. სახელმწიფო და სამართლებრივი სინამდვილე გამოიხატება სხვადასხვა სამართლებრივ ინსტიტუტებში, რომელთაც არსებითი გავლენა აქვთ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე. როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებას, „სამართალმცოდნეობის შესავალს“ კავშირი აქვს ისეთ საზოგადოებრივ მეცნიერებებთან, როგორიცაა ფილოსოფია, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ეკონომიკური და ისტორიული მეცნიერებანი.

სახელმწიფოსა და სამართლის შემეცნების მეთოდი

მეცნიერების თავისებურებანი ვლინდება არა მარტო საგანში, არამედ მეთოდშიც. ტერმინი „მეთოდი“ მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანეს ძველმა ბერძნებმა. იგი ნიშნავს „შემეცნების გზას“. შესაბამისად, იურიდიული შემეცნების მეთოდი იურიდიული შემეცნების გზაა.

გამოჩენილი სწავლულები მეთოდს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ფ. ბეკონი მეთოდს აიგივებდა სანთელთან, რომელიც გზას უნათებს მეცნიერს, რომლის კვლევის ნაყოფიერება, რეალური სინამდვილის შემეცნების სიღრმე და ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული გამოყენებულ მეთოდზე. მოძღვრებას მეთოდების შესახებ ეწოდება მეთოდოლოგია.

მეთოდი მეცნიერული საქმიანობის პრინციპების, წესებისა და

ხერხების ერთობლიობაა, მიმართული ჭეშმარიტი, დასაბუთებული ცოდნის მიღებისაკენ. იურიდიული მეთოდი როგორც შემეცნების გზა არის სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და განვითარების გზა ემპირიული დონიდან თეორიული დონისაკენ. იურიდიული მეთოდისათვის დამახასიათებელია ის, რომ თავისი ბუნებით იგი არის სინამდვილის შემეცნების საშუალება, სამყაროს შემეცნება სამართლებრივი თვალსაზრისით, რამდენადაც სახელმწიფო და სამართალი სამყაროს შემადგენელი ნაწილებია. იურიდიული მეთოდის თვალსაზრისით იურიდიული სინამდვილე არის ჭეშმარიტება.

შეხედულებანი, მოძღვრებები და თეორიები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარია. შესაბამისად, განსხვავებულია სახელმწიფო-სამართლებრივ მოვლენათა შესწავლის მეთოდიც. სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ განსხვავებული იდეოლოგიური შეხედულებების არსებობა კი არ გამორიცხავს, არამედ ხაზს უსვამს სპეციალური იურიდიული მეცნიერების მიერ მათი შესწავლის აუცილებლობას სამართლის პოზიციებიდან.

გამოსაკვლევი საკითხების სფეროს შესაბამისად განასხვავებენ ზოგად და კერძო მეთოდებს. მრავალსაუკუნოვანმა მსოფლიო გამოცდილებამ დაადასტურა თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეულ მათგანს შესაცნობი ობიექტის არსისა და დანიშნულების დადგენაში.

ზოგადი მეთოდები შემუშავებულ იქნა საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიერ. ისინი აქტიურად გამოიყენება სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების გამოსაკვლევად. მათ მიეკუთვნება შედარებითი, ანალიზისა და სინთეზის, სისტემური, სტრუქტურული, აბსტრაქტული და სხვ. დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

• *შედარებითი მეთოდის* დახმარებით შესაძლებელი ხდება სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების შედარება, მათი ზოგადი და განსაკუთრებული ნიშნების გამოვლენა, მსგავსებისა და განსხვავების დადგენა. ბუნებრივია, შედარებას ექვემდებარება ანალოგიური, მსგავსი ინსტიტუტები. ღრმა შედარებითი ანალიზი გულისხმობს ნორმატიულ მასალასთან ერთად ეკონომიკური, კულტურული, ეროვნული და სხვა ფაქტორების შესწავლას, საკვლევი ინსტიტუტების სოციალური მნიშვნელობის დადგენას.

• *სისტემური მეთოდი* დიდ შესაძლებლობას ქმნის სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების სტრუქტურული ელემენტების შესასწავლად. ყველა სისტემა წარმოადგენს ერთიან მთლიანს, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისაგან. სახელმწიფო და სამართალი თავიანთი არსით და სტრუქტურით რთული სისტემური მოვლენები არიან. მათ ახასიათებთ ორმხრივი სტრუქტურული ორგანიზაცია. ერთი მხრივ, თითოეულ მათგანს აქვს შინაგანი სტრუქტურა, მეორე მხრივ თითოეული მათგანი წარმოადგენს სუპერ-სტრუქტურის ელემენტს. მაგალითად, სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ელემენტია, სახელმწიფო ორგანო სახელმწიფო მექანიზმის ელემენტია, სამართლის დარგი სამართლის სისტემის ელემენტია, სამართლის ნორმა – სამართლის დარგის ელემენტია და ა.შ.

სისტემური მეთოდი გულისხმობს თეორიული პრინციპებისა და დებულებების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას იძლევა განხილულ იქნეს სამართლის ნორმა, როგორც სისტემა, გაკეთდეს განზოგადებული დასკვნები სამართლებრივი რეგულირების მთელი მექანიზმის განვითარების კანონზომიერებების შესახებ.

სისტემურ-სტრუქტურული ანალიზის მსვლელობაში დაჯგუფდება, გაანალიზდება გამოსაკვლევი მოვლენის ელემენტები, დადგინდება მათი შინაარსის სპეციფიკა, ფუნქციონალური დახასიათება, განისაზღვრება კავშირი ელემენტებს შორის მათი შინაგანი და გარეგანი ფორმების შესაცნობად.

• *ანალიზისა და სინთეზის მეთოდი.* სინთეზი, როგორც მეთოდი უზრუნველყოფს გარკვეული კომპონენტების თვისობრივი ნიშნების ერთ მთლიანობაში წარმოჩენას. სინთეზი ავსებს სისტემურ ანალიზს და წარმოადგენს სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების კვლევის მნიშვნელოვან საშუალებას.

კერძო მეცნიერული მეთოდების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი გამომუშავებულია იურიდიული მეცნიერების მიერ და მათი გამოყენება ხდება მხოლოდ ამ მეცნიერების ფარგლებში. ასეთ მეთოდებს აქვთ არა მარტო აკადემიური, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც.

იურიდიული მეცნიერებისა და იურიდიული მეთოდებისათვის იურიდიული სინამდვილე არის სამყაროზე სამართლებრივი შეხედულება, სინამდვილის სამართლებრივი ხედვა თუ მათემატიკისათვის სამყა-

როს არსი – რიცხვებია, იურისტისათვის სამყაროს არსი – სამართალია.

სამართალმცოდნეობის კერძო მეცნიერული მეთოდები არის სპეციალური პრინციპების ერთობლიობა სახელმწიფო-სამართლებრივ მოვლენათა არსებობისა და ფუნქციონირების ერთი რომელიმე მხარის ან ასპექტის კვლევაში. კერძო მეცნიერულ მეთოდებში აისახება შესასწავლი მოვლენებისადმი განსაზღვრული მიდგომა. მაგალითად, სამართალი გარეგნულად გამოვლინდება ნორმატიული აქტების ენაში, ფუნქციონირებაში, გენეზისში, სტრუქტურაში. თითოეულ ამ მომენტს შეესაბამება თავისი მეთოდი, თავისი მიდგომა: სამართლის გენეზისსა და ფუნქციონირებას – ისტორიული მიდგომა, კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდი, მის ენობრივ ფორმას – ლოგიკურ-ენობრივი, სამართლის სტრუქტურას – სისტემურ-სტრუქტურული მეთოდი და ა.შ. კერძო მეცნიერული მეთოდებიდან აღსანიშნავია:

• *ლოგიკურ-ენობრივი მეთოდი*, რომელსაც უწოდებენ აგრეთვე ფორმალურ-დოგმატურს. იგი დაფუძნებულია ფორმალური ლოგიკისა და ენის წესების ცოდნაზე. ლოგიკურ-ენობრივი მეთოდი აუცილებელია იმ თეორიებისათვის, რომლებიც სამართალს განიხილავენ, როგორც ნორმების სისტემას. თითოეული სამართლებრივი ნორმა ენობრივი გამოხატულებაა სავალდებულო ან შესაძლებელი ქცევისა, რომელსაც აქვს განსაზღვრული ლოგიკური სტრუქტურა. ლოგიკისა და ენის წესები გამოიყენება, უპირველეს ყოვლისა, სამართლის ნორმების ინტერპრეტაციისათვის როგორც უშუალოდ პრაქტიკული, ისე მეცნიერული მიზნებით.

• *ფორმალურ-იურიდიული მეთოდი*. ფორმალურ-იურიდიული მეთოდი გამომდინარეობს თვით სახელმწიფოსა და სამართლის ბუნებიდან. მისი დახმარებით ხდება მთლიანად სამართლის და სამართლის ნორმების შინაგანი აგებულების კვლევა, სამართლის წყაროების (ფორმების) ანალიზი, ნორმატიული მასალის სისტემატიზაცია, სახელმწიფოს ფორმის, სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციის იურიდიული გაფორმება და ა.შ.

ფორმალურ-იურიდიული მეთოდი შესაძლებლობას იძლევა აღწერილი, დაჯგუფებული და სისტემატიზირებული იქნეს სახელმწიფოსა და სამართლის შინაგანი და გარეგანი ფორმები.

• *სახელმწიფო-სამართლებრივი მოდელირების მეთოდი*. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: სხვადასხვა სახელმწიფო-სამართლე-

ბრივ მოვლენებს აქვთ განსაზღვრული მსგავსება. ამიტომ, ერთ-ერთი მათგანის (მოდელის) თვისობრივი ნიშნების ცოდნა შესაძლებლობას იძლევა განსაზღვრული აზრით ვიმსჯელოთ მეორეზე.

მოდელირება გვეხმარება სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციის საუკეთესო სქემის მოძებნაში, უფრო რაციონალური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურების, კანონმდებლობის სისტემის ფორმირებაში და სხვ.

• *კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდი.* სახელმწიფო და სამართალი განიხილებიან როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური მოვლენები, დაკავშირებულნი სხვა სოციალურ მოვლენებთან (ეკონომიკასთან, პოლიტიკასთან, მართლშეგნებასთან და ა.შ).

კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირება. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მკვლევარს სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენები შეაფასოს თვისობრივი ნიშნით, გამოავლინოს მათი განვითარების ტენდენციები.

სახელმწიფოსა და სამართლის შემეცნების პრინციპები

სამართალმცოდნეობის მეთოდოლოგიურ არსენალში მნიშვნელოვან მისიას ასრულებს პრინციპები – ის ძირითადი იდეები, რომლებიც გამომდინარეობენ სახელმწიფოსა და სამართლის ფორმირების, განვითარებისა და ფუნქციონირების პროცესიდან. სამართალმცოდნეობის ძირითადი პრინციპებია:

• *ისტორიზმის პრინციპი*, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო და სამართალი შესწავლილი უნდა იქნეს განვითარებაში, ცვალებადობაში კონკრეტულ-ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით, რამდენადაც ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია. სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენები უნდა შევისწავლოთ არა მარტო მათი დღევანდელი მდგომარეობის, არამედ წარსულისა და სავარაუდო მომავლის პოზიციებიდან. ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია პასუხი კითხვებზე – რა მიზეზებმა განაპირობეს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა, როგორია მათი ევოლუციის პერსპექტივები და ტენდენციები.

• *კომპლექსური კვლევის პრინციპების* თანახმად, სახელმწიფო და

სამართალი შესწავლილ უნდა იქნეს არა მარტო იურიდიული თვალსაზრისით, არამედ ფილოსოფიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ეკონომიკური მეცნიერების პოზიციებიდან. სახელმწიფოსა და სამართლის ყველა მხარე და ელემენტი განხილულ უნდა იქნეს არა მხოლოდ სტატიკაში, არამედ დინამიკაშიც, არაიზოლირებულად, არამედ სხვა მოვლენებთან მჭიდრო კავშირში. ყოველმხრივი და სრულყოფილი კვლევა გულისხმობს აგრეთვე სახელმწიფოსა და სამართლის შემეცნებას არა რომელიმე ერთ ასპექტში, არამედ ყველა ასპექტში. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლის პროცესში იურიდიულ ცნებებთან და კატეგორიებთან („სამართალი", „კანონიერება", „სამართალშემოქმედება", „სამართლის შეფარდება") ერთად გამოიყენება ფილოსოფიური ცნებები და კატეგორიები („არსი", „ფორმა", „სტრუქტურა", „სისტემა", „ფუნქცია" და ა.შ.).

• *თეორიისა და პრაქტიკის შერწყმის პრინციპის* ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ თეორიულ დონეზე სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა მხარეების შესწავლა არ შეიძლება წარმატებული იყოს, თუ არ იქნა განზოგადებული სახელმწიფოსა და სამართლის ფუნქციონირების პრაქტიკა, რამდენადაც თეორიული დებულებების ჭეშმარიტების კრიტერიუმი არის პრაქტიკა. პრაქტიკის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა მინიმუმამდე დავიდეს, ან მთლიანად აღმოიფხვრას ნეგატიური მოვლენები, რომლებიც აბრკოლებენ სახელმწიფოსა და სამართლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ღრმად იქნეს შესწავლილი მათი ურთიერთმოქმედების მექანიზმი და საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები.

სასწავლო კურსის სისტემა

სასწავლო კურსის სისტემა გულისხმობს მის შინაგან აგებულებას, შესწავლილი საკითხების ლოგიკურ წყობას. „სამართალმცოდნეობის შესავალი", როგორც იურიდიული პროფილის მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა ერთიან, მთლიან სისტემას წარმოადგენს. ამ ერთიანობას განაპირობებს მონოლითურად შეკრული წრე საკითხებისა, რომლებიც აღნიშნული კურსის ფარგლებში შეისწავლება. ეს საკითხები ქაოსურად კი არ არის განლაგებული, არამედ სისტემურად, თანმიმდევრულად, რაც იმის პირობაა, რომ სტუდენტს ჩამოუყალიბდეს ასევე სისტემური

ცოდნა სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენების არსისა და დანიშნულების შესახებ.

საკმაო სიზუსტით შეიძლება გაიმიჯნოს „სამართალმცოდნეობის შესავლის“ ისეთი ფართო ნაწილები, როგორიცაა სახელმწიფოთმცოდნეობა – მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და სამართალმცოდნეობა (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით) – მოძღვრება სამართლის შესახებ.

პირველ ნაწილში – სახელმწიფოთმცოდნეობა შეისწავლება ისეთი საკითხები, როგორიცაა სახელმწიფოს ცნება და ძირითადი ნიშნები, სახელმწიფოს მიზანი და ფუნქციები, სახელმწიფოს ტიპები, სახელმწიფოს ფორმა, სამართლებრივი სახელმწიფო, სახელმწიფო და დემოკრატია და ა.შ.

მეორე ნაწილში – სამართალმცოდნეობა (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით)[2] შეისწავლება შემდეგი საკითხები: სამართლის ცნება, მისი ნიშნები, სამართლის პრინციპები და ფუნქციები, სამართლის ნორმის სახეები და სტრუქტურა, სამართლის წყაროები (ფორმები), სამართლებრივი ურთიერთობა, კანონიერება და მართლწესრიგი, სამართლის სისტემა და ა.შ.

სამართალმცოდნეობის შესწავლის დასრულებული სისტემა სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუციების მეცნიერული შემეცნების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

[2] ფართო გაგებით ტერმინი „სამართალმცოდნეობა“ აღნიშნავს იურიდიულ მეცნიერებათა მთელ სისტემას.

სქემა №1. სასწავლო დისციპლინის „სამართალმცოდნეობის შესავლის“ ზოგადი დახასიათება




სახელმწიფოსა და სამართლის შემეცნების პრინციპები – ესაა ძირითადი იდეები, რომლებიც გამომდინარეობს სახელმწიფოსა და სამართლის განვითარებისა და ფუნქციონირების პროცესიდან.
ისტორიზმის პრინციპი, კომპლექსური კვლევის პრინციპი, თეორიისა და პრაქტიკის შერწყმის პრინციპი


სასწავლო კურსის სისტემა გულისხმობს შესასწავლი საკითხების ლოგიკურ წყობას.
ა) სახელმწიფოთმცოდნეობა
(მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ)
ბ) სამართალმცოდნეობა
(მოძღვრება სამართლის შესახებ)

პირველი ნაწილი

სახელმწიფოთმცოდნეობა

(სახელმწიფოს თეორია)

პირველი ნაწილი

სახელმწიფოთმცოდნეობა

(სახელმწიფოს თეორია)

თავი I. სახელმწიფოს არსი და მისი განვითარების კანონზომიერებანი

§ 1. ძირითადი თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

სახელმწიფოს წარმოშობის თავისებურებათა შესწავლას აქვს არა მარტო აკადემიურ-შემეცნებითი, არამედ პოლიტიკურ-პრაქტიკული მნიშვნელობაც. იგი საშუალებას იძლევა ღრმად იქნეს შეცნობილი სახელმწიფოს სოციალური ბუნება და დანიშნულება, მისი წარმოშობის მიზეზები და პირობები.

მსოფლიოში ყოველთვის არსებობდა და არსებობს სხვადასხვა თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. ეს ბუნებრივი და გასაგებია, რადგან პრობლემა რთული და მრავალმხრივია. ადამიანებს ყოველთვის აინტერესებდათ საკითხი იმის შესახებ, რატომ წარმოიშვა სახელმწიფო და რა მიზეზებმა განაპირობებს ეს პროცესი, რომელიც მკვეთრად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში და ერებში.

წარსულის და თანამედროვე პერიოდის მეცნიერულმა აზრმა შეიმუშავა მთელი რიგი თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. ეს თეორიები ასახავენ საზოგადოების გარკვეული ჯგუფების, სოციალური ფენების, ერების შეხედულებას სახელმწიფოს წარმოშობის სხვადასხვა ასპექტზე. მათი საფუძველია ასევე განსხვავებული ეკონომიკური, ფილოსოფიური, პოლიტიკური და სხვაგვარი ინტერესები. მრავალთა შორის გამორჩეულია შემდეგი თეორიები:

❒ **თეოლოგიური თეორია** ერთ-ერთი უძველესი თეორიაა. მისი წარმომადგენლების აზრით, სახელმწიფო შექმნა ღმერთმა და იგი ყოველთვის არსებობდა ღმერთის ნების საფუძველზე, ამიტომ ყველა ადამიანი უნდა დაემორჩილოს ღვთის ნებას. უძველეს სამართლის წიგნში „ჰამურაბის კანონებში" (ძველი ბაბილონი) განმტკიცებული იყო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის იდეა. „ადამიანი წარმოადგენს ღმერთის აჩრდილს, მონა არის ადამიანის აჩრდილი, ხოლო მეფე ღმერთის თანასწორია" – ადგენდა სამართლის წიგნი. ძველ ჩინეთში

იმპერატორი ზეცის შვილად ითვლებოდა. შედარებით გვიან სახელმწიფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის თეორია განავითარა ქრისტიანულმა რელიგიამ. თეოლოგიური თეორიის თანახმად, მთელი სამყაროს და მათ შორის სახელმწიფოს შემოქმედი არის ღმერთი. ამ თეორიის ცნობილი წარმომადგენელი იყო კათოლიკური ეკლესიის სწავლული ღვთისმეტყველი თომა აქვინელი, რომელიც უმდაბლესის უმაღლესისადმი მორჩილებას ღმერთის ნებად მიიჩნევდა.

❐ ხელშეკრულების თეორია. ამ თეორიის ცალკეული ელემენტები შემუშავებული იქნა ძველი რომის და ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსების მიერ, თუმცა როგორც თეორია, იგი ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეებში. ხელშეკრულების თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: დ. დიდრო, ა. რადიშჩევი, ჯ. ლოკი, ჟ. რუსო და სხვ. ამ თეორიის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს წარმოშობამდე ადამიანები იმყოფებოდნენ ბუნებრივ მდგომარეობაში, ჰქონდათ თანდაყოლილი უფლებები და თავისუფლებები. თ. ჰობსი მიიჩნევდა, რომ ეს იყო მდგომარეობა, როცა „ყველა ყველას ებრძოდა". მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის ადამიანებმა ერთმანეთთან დადეს ხელშეკრულება, შექმნეს სახელმწიფო, თავიანთი უფლებების ნაწილი გადასცეს სახელმწიფოს და იკისრეს მოვალეობა დამორჩილებოდნენ მას, ხოლო სახელმწიფომ ვალდებულება იკისრა დაეცვა ადამიანის განუსხვისებელი უფლებები, კერძოდ, საკუთრების უფლება, თავისუფლება და უშიშროება. ჟ. რუსოს აზრით, ადამიანთა შეთანხმება კანონიერი ხელისუფლების საფუძველია. სუვერენიტეტი ეკუთვნის მთლიანად ხალხს, ხოლო მმართველები ხალხის უფლებამოსილებით აღჭურვილნი და ხალხის წინაშე პასუხისმგებელნი, ხალხის ნებით შესაცვლელი ადამიანები არიან. სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულების თეორია ვერ პასუხობს კითხვებზე – სად, როდის და როგორ დადეს ადამიანებმა საზოგადოებრივი ხელშეკრულება, ვინ იყვნენ მისი მონაწილენი? აღნიშნული თეორია ანტიისტორიულია, მაგრამ ეს ვერ ამცირებს მის მეცნიერულ მნიშვნელობას. მან პირველმა გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ სახელმწიფო წარმოიშვა ადამიანთა შეგნებული და მიზანდასახული საქმიანობის შედეგად, რომ სახელმწიფო, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტი უდიდეს ზემოქმედებას ახდენდა საზოგადოებაზე და მის თითოეულ წევრზე.

ხელშეკრულების თეორიამ დაუდო სათავე მოძღვრებას სახალხო

სუვერენიტეტის შესახებ, დაამკვიდრა სახელმწიფო-სახელისუფლო სტრუქტურების ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის და მათი მონაცვლეობის პრინციპი.

ხელშეკრულების თეორიის საწინააღმდეგო მოსაზრება განავითარა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის გამოჩენილმა წარმომადგენელმა ჰეგელმა. იგი ამტკიცებდა, რომ ბუნებისა და საზოგადოების ყველა მოვლენას, მათ შორის, სახელმწიფოს და სამართალს საფუძვლად უდევს აბსოლუტური სულიერი და გონიერი საწყისი – „აბსოლუტური იდეა". თავის ნაწარმოებში „სამართლის ფილოსოფია" ჰეგელი ობიექტური იდეალიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებს სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულების თეორიას. მისი აზრით, სახელმწიფო არის სამართლიანობის რეალიზაციის უმაღლესი ფორმა, რომელიც ემსახურება არა ვინმეს ინტერესების დაცვას, არამედ მბრძანებლობას და მას არ შეუძლია გამოხატოს ხალხის ინტერესები.

❑ **პატრიარქალური თეორია** ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საბერძნეთსა და რომში, შემდგომში კი აღორძინდა შუა საუკუნეების აბსოლუტიზმის პერიოდში. მისი აქტიური მხარდამჭერი იყო არისტოტელე, რომელიც თვლიდა, რომ სახელმწიფო წარმოადგენს ადამიანთა ცხოვრების ბუნებრივ ფორმას. ამიტომ, სახელმწიფოს გარეშე, ადამიანთა ურთიერთობები წარმოუდგენელია. საზოგადოება ისწრაფვის გაერთიანდნენ და შექმნან პატრიარქალური ოჯახები. სწორედ ასეთი ოჯახების გაზრდისა და გაფართოების შედეგად წარმოიშვა სახელმწიფო. არისტოტელე მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არის მამის (პატრიარქის) ხელისუფლების გაზრდისა და განვითარების შედეგი. რუსი ისტორიკოსის მ. პოკროვსკის აზრით, სახელმწიფო ხელისუფლების უძველესი ტიპი განვითარდა უშუალოდ მამის ხელისუფლებისაგან.

აღსანიშნავია, რომ ამ თეორიის განვითარების შედეგია ე.წ. „პატერიალიზმი", რომელიც განადიდებს ბელადს და ნოყიერ ნიადაგს ქმნის პიროვნების კულტისათვის. „პატერიალიზმის" ტრადიცია დღემდე ცოცხლობს ზოგიერთ ქვეყანაში და ამ იდეის გავლენით ხშირად ნებით თუ უნებლიედ აძლევენ ძალიან ფართო უფლებამოსილებას სახელმწიფო მოღვაწეს, მიიჩნევენ რა მას ყოვლისშემძლე ძალად. პატრიარქალურ თეორიას აკრიტიკებდა სხვადასხვა ეპოქის ბევრი გამოჩენილი მოაზროვნე როგორც საზოგადოებისათვის ზიანის მომტანს.

❒ ძალმომრეობის თეორია. ძალმომრეობის თეორია წარმოიშვა და გავრცელდა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, თუმცა მისი ჩანასახები ჯერ კიდევ უძველეს დროშიც იყო. ამ თეორიის ყველაზე გამოჩენილი მომხრეები არიან გერმანელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი ე. დიურინგი, ავსტრიელი სოციოლოგი და სახელმწიფოთმცოდნე ლ. გუმპლოვიჩი, „მარქსიზმის რევიზიონისტი“ კ. კაუცკი. თეორიის ქვაკუთხედია იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზია არა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კლასების გაჩენა, არამედ ომი, დაპყრობა და ძალმომრეობა. ლ. გუმპლოვიჩი წერდა, რომ მსოფლიოში არ არის არცერთი მაგალითი სახელმწიფოს წარმოშობისა, თუ არა ძალადობრივი აქტის შედეგად. მას ცხოველების ცხოვრების მაგალითი გადააქვს ადამიანთა საზოგადოებაზე, სადაც ბატონობს ბუნების კანონი, რომლის თანახმად, სუსტი უნდა დაემორჩილოს ძლიერს.

კ. კაუცკი ანვითარებს რა ძალმომრეობის თეორიას, ამტკიცებს, რომ ომმა და ძალადობამ ერთდროულად წარმოშვეს კლასები და სახელმწიფო.

❒ ორგანული თეორია სახელმწიფოს აიგივებს ადამიანის ორგანიზმთან და მიიჩნევს, რომ მას აქვს დამოუკიდებელი ნება და შეგნება. ორგანული თეორიის თანახმად, სახელმწიფო წარმოადგენს ბუნების ძალების მოქმედების შედეგებს. ძველი საბერძნეთის მოაზროვნეები – პლატონი და არისტოტელე მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფო მრავალ ურთიერთობაში გვაგონებს ცოცხალ ორგანიზმს. როგორც ადამიანის სხეულიდან მოკვეთილ ხელებსა და ფეხებს არ შეუძლიათ დამოუკიდებელი ფუნქციონირება, ისე ადამიანს არ შეუძლია არსებობა სახელმწიფოს გარეშე. ორგანული თეორიის გამოჩენილი მომხრე ინგლისელი სწავლული ფილოსოფოსი გ. სპენსერი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო არის საზოგადოებრივი ორგანიზმი, რომელიც შედგება ცალკეული ადამიანებისაგან.

❒ მატერიალისტური (მარქსისტული) თეორია სრულყოფილი სახით მოცემულია ფრიდრიხ ენგელსის შრომაში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, რომელიც დაწერილია ამერიკელი მეცნიერის ლუი მორგანის გამოკვლევების საფუძველზე. მატერიალისტური თეორია სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებს კერძო საკუთრების გაჩენას, საზოგადოების დაყოფას ანტაგონისტურ

კლასებად და კლასებს შორის შეურიგებელ ბრძოლას. მოვლენის არსი გამოიხატება ფორმულაში „სახელმწიფო არის შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობის პროდუქტი და გამოვლინება“.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს წარმოშობაზე კლასების გავლენის უარყოფას არ აქვს საფუძველი, თუმცა არც იმას აქვს საფუძველი კლასები ჩაითვალოს სახელმწიფოს წარმოშობის ერთადერთ თავდაპირველ მიზეზად. როგორც ისტორიული სიანმდვილე ადასტურებს, სახელმწიფო არცთუ იშვიათად ჩასახულა და ჩამოყალიბებულა კლასების გაჩენამდე. სახელმწიფოს წარმოშობის პროცესებზე ზეგავლენას ახდენდნენ უფრო მნიშვნელოვანი, ღრმა ფაქტორები.

სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ თეორიების მრავალრიცხოვნება ადასტურებს, რაოდენ რთული და მრავალმხრივია საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტი – სახელმწიფო.

სქემა №2. ძირითადი თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

თეოლოგიური თეორია

სახელმწიფო შექმნა ღმერთმა,
მონარქი არის ღმერთის მოადგილე დედამიწაზე.

ხელშეკრულების თეორია

სახელმწიფო წარმოიშვა საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგად.

პატრიარქალური თეორია

სახელმწიფო წარმოიშვა ოჯახის გაზრდისა და გაფართოების შედეგად.

ძალმომრეობის თეორია

სახელმწიფო წარმოიშვა ძალმომრეობის შედეგად, ძლიერის მიერ სუსტის დამორჩილების საფუძველზე

ორგანული თეორია

სახელმწიფო წარმოადგენს ბუნების ძალების მოქმედების შედეგს. სახელმწიფო არის საზოგადოებრივი ორგანიზმი, რომელიც შედგება ცალკეული ადამიანებისაგან და თავისი აგებულებით ემსგავსება ცოცხალ ორგანიზმს.

მატერიალური (მარქსისტული) თეორია

სახელმწიფო არის შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობის პროდუქტი და გამოვლინება

§ 2. სახელმწიფოს ცნება, მისი ძირითადი ნიშნები

იურისპრუდენციის ერთ-ერთი კარდინალური პრობლემა არის სახელმწიფოს სრულყოფილი ცნების ჩამოყალიბება. ეს პრობლემა ისეთივე რთული და ძველია, როგორიც თვით სახელმწიფო. სახელმწიფოს ცნების საკითხი გამუდმებით იყო პოლიტოლოგიის, ფილოსოფიური, ისტორიული, ეკონომიკური, სოციოლოგიური და იურიდიული მეცნიერების კვლევის საგანი ყველა ეპოქაში – დაწყებული ძველი რომიდან და ძველი საბერძნეთიდან თანამედროვეობამდე. როგორია მისი როლი და დანიშნულება საზოგადოებაში? როგორია მისი ფუნქციონირების მექანიზმი და განვითარების პერსპექტივები? რა არის სახელმწიფო? ეს საკითხები ჯერ კიდევ ღიად რჩება კაცობრიობის აზროვნებისთვის; სწორ პასუხს ამ კითხვებზე დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ყველა ხალხისა და ქვეყნისათვის.

მართებულად მიუთითებს გამოჩენილი ავსტრიელი მეცნიერი ჰ. კელზენი, რომ „სახელმწიფოს" ცნების განსაზღვრის სიძნელე ღრმავდება იმითაც, რომ ამ ტერმინით ჩვეულებრივად აღინიშნება სულ სხვადასხვა საგნები და მოვლენები. კერძოდ, საზოგადოება ან საზოგადოების განსაკუთრებული ფორმა... ქვეყანა, ან ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობა და ა.შ.[3]

სახელმწიფო როგორც სოციალური ინსტიტუტი მეტად რთული და მრავალმხრივია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სხვადასხვა ეპოქაში გამოჩენილი მოაზროვნეები, იურისტები და პოლიტოლოგები სახელმწიფოს განსხვავებულად განმარტავდნენ.

ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი დემოკრიტე აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო უნდა იყოს საყოველთაო სიკეთისა და სამართლიანობის განსახიერება. რომაელი ორატორი ციცერონი სახელმწიფოს ძირითად ნიშნად მიიჩნევდა საქმეს, რომელიც „ხალხის ღირსებას" შეესაბამება. აღორძინების ეპოქის გამოჩენილი მოაზროვნე ნ. მაკიაველის აზრით, სახელმწიფოს ძირითადი დანიშნულებაა პოლიტიკური მოღვაწეობა, რაც გამოიხატება მმართველ წრეებსა და ხალხს შორის ურთიერთობის დადგენაში, ამა თუ იმ სახის პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზებაში, კანონისა და იუსტიციის ორგანოების არსებობაში. გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი თომას ჰობსი აღნიშნავდა, რომ სახელმწი-

[3] Kelsen H. General Theory of Law and State. # 4 (Y) 1961, p. 181

ფო ხელისუფლება უნდა იყოს მშვიდობისა და ადამიანის ბუნებრივი უფლებების გარანტი.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში სახელმწიფოს მრავალი ცნება არსებობს, მაგრამ ისინი ერთმანეთის იდენტურნი არ არიან. რამდენიმე ზოგადი ცნება, რომელიც ყველა ეპოქის, ტიპისა და ფორმის სახელმწიფოს მიესადაგება (ახასიათებს) ასეთია: „სახელმწიფო არის საზოგადოების განსაკუთრებული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია მმართველობის სპეციალური აპარატი, აუცილებელი იმ ფუნქციების შესასრულებლად, რაც მას აკისრია საზოგადოების ბუნებრივი განვითარების მოთხოვნების შესაბამისად".

სახელმწიფო საზოგადოების განვითარების პროდუქტია. მას, როგორც მნიშვნელოვან სოციალურ, პოლიტიკურ და იურიდიულ ინსტიტუტს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა პოლიტიკური ინსტიტუტებისაგან. სახელმწიფოს ძირითადი ნიშნებია:

➤ **საჯარო პოლიტიკური ხელისუფლება**, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფოს აქვს საზოგადოებიდან გამოყოფილი და ზოგჯერ საზოგადოებაზე მაღლა მდგომი ხელისუფლებისა და მმართველობის აპარატი, რომლის მთავარი დანიშნულებაა სახელისუფლო და მმართველობითი ფუნქციის განხორციელება. ამ აპარატში, ადამიანები თანამდებობებს იკავებენ არჩევნების, დანიშვნის, მემკვიდრეობის ან შეცვლის გზით. სახელმწიფო აპარატის ძირითადი ორგანოებია: საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები და ა.შ. საჯარო ხელისუფლების არსებობას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოსათვის, რაც მას არსებითად განასხვავებს არასახელმწიფოებრივი, პირველყოფილი თემური ორგანიზაციისაგან.

პირველყოფილი თემური წყობილების დროს ხელისუფლება იყო საზოგადოებრივი. სახელისუფლო ფუნქციებს ახორციელებდა არა საზოგადოებიდან გამოყოფილი ზედა ფენა, არამედ გვარის, ტომის, თემის, ფრატრიის და სხვა გაერთიანების მოზრდილი მოსახლეობა, თვითმმართველობის ორგანოთა სისტემა – გვარის, თემის, ტომის, ფრატრიის საბჭოები, გვარის მამასახლისები, ტომის ბელადები, მხედართმთავრები, ქურუმები და სხვა პირები. ეს პირები არჩეულნი იყვნენ

გვარის ყველაზე პატივცემული წევრების მიერ. მათი ავტორიტეტი დაფუძნებული იყო მორალზე, პატივისცემასა და პასუხისმგებლობაზე. საზოგადოებრივი ხელისუფლება წარმოიშვა და განმტკიცდა პირველყოფილი წყობილების პირობებში, რომელიც დაფუძნებული იყო ყველა მისი წევრის მატერიალურ და სოციალურ თანასწორობაზე.

საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე საზოგადოებრივი ხელისუფლება შეიცვალა საჯარო ხელისუფლებით. კერძოდ, საზოგადოების დაყოფამ ანტაგონისტურ კლასებად და სახელმწიფოს წარმოშობამ განაპირობა საჯარო ხელისუფლების დამკვიდრება. საზოგადოებიდან გამოყოფილმა მმართველმა ელიტამ (ზედა ფენამ) შექმნა საზოგადოების მართვის სპეციალური მექანიზმი (აპარატი) და მისი მეშვეობით განახორციელა საჯარო პოლიტიკური ხელისუფლება.

➤ **მოსახლეობის დაყოფა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.** სახელმწიფო პოლიტიკური ხელისუფლების ერთიანი ტერიტორიული ორგანიზაციაა. სახელმწიფო ხელისუფლება ვრცელდება მთელ მოსახლეობაზე და განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ამ ნიშნით „სახელმწიფო" და „ქვეყანა" ერთმანეთს ემთხვევა. თუ პირველყოფილ წყობილებაში მოსახლეობა ტერიტორიაზე განლაგებული იყო სისხლით ნათესაობის პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოში ადამიანები განლაგებულნი არიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული პრინციპის შესაბამისად. სახელმწიფოს ტერიტორია იყოფა პროვინციებად, საგრაფოებად, ოლქებად, მხარეებად, რაიონებად, ქალაქებად, სადაც განლაგებული მოსახლეობა ითვლება ამ სახელმწიფოს მოქალაქეებად (რესპუბლიკის პირობებში) ან ქვეშევრდომებად (მონარქიის პირობებში).

სახელმწიფოს ტერიტორია თავისებური მატერიალური ბაზაა, რომლის გარეშე მას არსებობა არ შეუძლია, რადგან ტერიტორია სახელმწიფოს არსებობის და ფუნქციონირების ბუნებრივი პირობაა. სახელმწიფოს ტერიტორიის ქვეშ ჩვეულებრივად იგულისხმება სივრცე, რომლის ფარგლებში ხორციელდება საჯარო პოლიტიკური ხელისუფლება. სახელმწიფოს ტერიტორიას წარმოადგენს: მიწა და მისი წიაღი, შიდა ტერიტორიული წყლები, სანაპირო წყლები, საჰაერო სივრცე, ობიექტები, რომლებიც გათანაბრებულია სახელმწიფოს ტერიტორიასთან (საზღვაო და საჰაერო ხომალდები, უცხო სახელმწიფოში არსებული საელჩოს ტერიტორიები, კოსმოსური ხომალდები, სადგურები და მათთან გათანაბრებული სხვა ობიექტები).

სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივი სისტემებით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლით აღიარებულია ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის პრინციპი, რაც იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფოს ტერიტორიის ძალადობითი დაპყრობა, მისი ნაწილის გასხვისება კვალიფიცირდება, როგორც პირდაპირი აგრესიის ფაქტი. ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება და ეკისრება მოვალეობა დაიცვას თავისი ტერიტორია და მოქალაქეები ყოველგვარი ხელყოფისაგან.

➤ სახელმწიფოს გააჩნია იძულების უნარი და იძულების სპეციალური აპარატი. სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია არა საერთოდ იძულება (რაც არის საზოგადოებაში, ოჯახში), არამედ განსაკუთრებული, უმაღლესი დონის სახელმწიფოებრივი იძულება, რომელიც ხორციელდება იძულების სპეციალური აპარატით, ისეთი ორგანოებით, როგორიცაა პოლიცია, დაზვერვა, შეიარაღებული ძალები, ციხეები და ა.შ. სწორედ მათი მეშვეობით აძლევს სახელმწიფო თავის ნებას სავალდებულო ძალას ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის.

➤ სახელმწიფო წარმოადგენს ხელისუფლების სუვერენულ ორგანიზაციას. *სუვერენიტეტი* არის პოლიტიკურ-სამართლებრივი თვისება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს უმაღლესობას ქვეყნის შიგნით და დამოუკიდებლობას საერთაშორისო არენაზე. შესაბამისად განასხვავებენ საშინაო და საგარეო სუვერენიტეტს. საშინაო სუვერენიტეტი გამოიხატება სახელმწიფო ხელისუფლების უნარში დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს და ცხოვრებაში გაატაროს თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. სუვერენულ სახელმწიფოს ქვეყნის შიგნით გააჩნია უზენაესი იურიდიული ძალა, უნივერსალურია, შეუზღუდავია და შეუზღუდავად ახორციელებს ხელისუფლებას; ადგენს ყველასათვის სავალდებულო ქცევის წესებს, უზრუნველყოფს კანონიერებისა და მართლწესრიგის დამკვიდრებას, განსაზღვრავს მოქალაქეთა, სახელმწიფო ორგანოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლება-მოვალეობებს.

საგარეო სუვერენიტეტი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო არის საერთაშორისო ურთიერთობის დამოუკიდებელი სუბიექტი და სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს თავის პოლიტიკას.

მსოფლიოში არსებობდა და არსებობს სახელმწიფოები, რომელთაც აქვთ ფორმალური ან შეზღუდული სუვერენიტეტი.

ფორმალური სუვერენიტეტი გულისხმობს იმას, რომ მართალია იუ-

რიდიულად და პოლიტიკურად იგი აღიარებულია, მაგრამ ფაქტობრივად არ ხორციელდება იმის გამო, რომ სახელმწიფოზე სხვა სახელმწიფოს გავლენა ვრცელდება.

შეზღუდული სუვერენიტეტი შეიძლება იყოს იძულებითი და ნებაყოფლობითი. სუვერენიტეტის იძულებით შეზღუდვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ომში გამარჯვებული სახელმწიფოს მხრიდან დამარცხებულ სახელმწიფოზე. სუვერენიტეტის ნებაყოფლობითი შეზღუდვა დაიშვება სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული, საერთო მიზნების მისაღწევად.

სახელმწიფო სუვერენიტეტთან ერთად არსებობს სახალხო და ეროვნული სუვერენიტეტი. სახალხო სუვერენიტეტი ნიშნავს ხალხის უფლებას და შესაძლებლობას თავად გადაწყვიტოს თავისი ცხოვრების ბედი, ჩამოაყალიბოს სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივები. თანამედროვე სახელმწიფოების უმრავლესობის კონსტიტუციებში მითითებულია, რომ ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის დანაწესი: „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი" ხაზს უსვამს იმას, რომ სახელმწიფო ხელისუფლება უნდა გამოხატავდეს ხალხის ინტერესებს და ემსახურებოდეს ხალხს.

ეროვნული სუვერენიტეტი არის ერის უნარი და უფლება განახორციელოს თავისი დამოუკიდებლობა. მასში გამოიხატება ერის თვითგამორკვევის უფლება ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდეც კი.

➤ **სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია გადასახადების სისტემა.** გადასახადები არის სავალდებულო მოსაკრებლები, რომელსაც სახელმწიფო აწესებს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის. თავისი განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე სახელმწიფოს არსებობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გადასახადებს. ისინი ყოველთვის წარმოადგენდნენ სახელმწიფოს ბიუჯეტის შევსების მთავარ წყაროს. თანამედროვე პერიოდში გადასახადები გამოიყენება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სფეროების დასაფინანსებლად. გადასახადებში ეკონომიკურად არის განსახიერებული სახელმწიფოს არსებობა, ამიტომ იგი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს დამოუკიდებელ ნიშნად.

➤ **ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი სამართლის სისტე-**

მა, რომლის გარეშე იგი უძლურია შეასრულოს საშინაო და საგარეო ფუნქციები, სავალდებულო ძალა მისცეს თავის გადაწყვეტილებებს.

➤ **სახელმწიფოს არსებით ნიშანს წარმოადგენს ლეგიტიმურობა** („ლეგის" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „კანონს"). სახელმწიფოს ხელისუფლების ლეგიტიმურობა გაოიხატება მისი შექმნისა და ფუნქციონირების კანონიერ საფუძველში. მხოლოდ კანონიერი გზით შექმნილი საჯარო ხელისუფლებაა უფლებამოსილი განახორციელოს სამართალშემოქმედება, დაადგინოს ყველასათვის სავალდებულო ქცევის წესები და განსაკუთრებული ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოს მათი დაცვა დარწმუნების და იძულების ღონისძიებებით.

➤ **სახელმწიფოს ინდივიდუალიზაცია გამოხატულია მის სიმბოლოებში.** ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი ოფიციალური სახელწოდება, ჰიმნი, გერბი, დროშა, სახელმწიფო დღესასწაულები. სახელმწიფოს სიმბოლიკა განასახიერებს მის დამოუკიდებლობას, თვითმყოფადობას და სუვერენიტეტს.

სქემა №3. სახელმწიფოს ცნება, მისი ძირითადი ნიშნები

§ 3. სახელმწიფო და სამართალი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

„პოლიტიკური სისტემის"[4] ცნება რამდენადმე გვიან, მაგრამ მტკიცედ შემოვიდა მეცნიერულ ბრუნვაში. იგი მოიცავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა ფართო სპექტრს, რომელიც არსებით გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემა არის კომპლექსი ურთიერთდაკავშირებული სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისა, რომლებიც ახორციელებენ პოლიტიკურ ფუნქციას.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სოციალური ინსტიტუტებია: სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არასამთავრობო სტრუქტურები, პროფკავშირები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ა.შ.

პოლიტიკური სისტემა ასახავს სოციალური ფენების, ხალხის, ერის ინტერესებს. პოლიტიკური მოვლენები საზოგადოებაში განპირობებულია მთელი რიგი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით. ეკონომიკური კრიტერიუმი, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე არის წარმოებითი და საკუთრებითი ურთიერთობანი. პოლიტიკური მოვლენების სოციალური კრიტერიუმები ადასტურებენ, რომ ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრივი განვითარების საშუალებას და შედეგს.

ყველა პოლიტიკური მოვლენა, რომელიც მიმდინარეობს საზოგადოებაში, განუყრელად არის დაკავშირებული ხალხთან. ადამიანები, როგორც გონიერი არსებანი, ქმნიან პოლიტიკურ იდეებს, შეიმუშავებენ პოლიტიკურ ნორმებს, კავშირს ამყარებენ ერთმანეთთან. პოლიტიკას ქმნის ხალხი და არა რაიმე აბსტრაქცია. ხალხის ნებით იქმნება მთლიანად პოლიტიკური სისტემა და მისი ელემენტები.

პოლიტიკური სისტემა რეალური ხდება, როდესაც ვლინდება მატერიალიზირებულ ფორმებში – დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, ინსტიტუტებში. ამასთანავე, პოლიტიკურ სისტემაში ჩართულია ინდივიდები – მოქალაქეები, დეპუტატები, პარტიებისა და ორგანიზაციების წევრები. საზოგადოების პოლიტიკური სისტემა ერთიანი მთლიანი სისტემაა, რომელსაც უნარი აქვს ზემოქმედება მოახდინოს სტრუქტუ-

[4] „სისტემა" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მთლიანს, ერთიანს, რომელიც შედგება ნაწილებისაგან.

რულ ელემენტებზე, ურთიერთობა დაამყაროს საზოგადოებასთან, სხვა ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებთან, გარემომცველ სამყაროსთან.

პოლიტიკური სისტემა სხვადასხვა სახისაა. სახელმწიფო-სამართლებრივი (პოლიტიკური) რეჟიმის შესაბამისად არსებობენ დემოკრატიული და ტოტალური პოლიტიკური სისტემები. გეოგრაფიული კრიტერიუმის შესაბამისად განასხვავებენ ევროპულ, აზიურ, ამერიკულ და სხვა რეგიონალურ სისტემებს. ნაციონალური, რელიგიური, ენობრივი და სხვა განსაკუთრებული ნიშნები განსაზღვრავს არაბულ, ინდურ, მუსლიმურ პოლიტიკურ სისტემებს.

რამდენადაც საზოგადოების პოლიტიკური სისტემა არის ობიექტურად ჩამოყალიბებული სოციალური ინსტიტუტების ერთობლიობა, მისი განვითარების კანონზომიერებას წარმოადგენს ასევე ობიექტური, მყარი კავშირები, რაც დამახასიათებელია პოლიტიკური მოვლენების დინამიზმისათვის საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი თავისებურება მისი ევოლუციური განვითარებაა, რაც ბევრად არის დამოკიდებული სამოქალაქო საზოგადოების არსსა და ბუნებაზე. თუ სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიულია, იქმნება ხელსაყრელი ფონი პროგრესული, პოლიტიკური და სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის, პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის. ეს თავის მხრივ, გამოხატულებას პოულობს ქვეყნის კონსტიტუციასა და სხვა სამართლებრივ აქტებში.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა საკმაოდ რთულია. სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობს მრავალი სოციალური ინსტიტუტი: პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პროფკავშირები, არასამთავრობო სტრუქტურები, სხვადასხვა მოძრაობები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ა.შ. პოლიტიკური სისტემის ყველა ელემენტი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, თუმცა თითოეული მათგანი თავის კონკრეტულ ამოცანებს ინდივიდუალურად წყვეტს.

საზოგადოების რთულ პოლიტიკურ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფოს. ისტორიული თვალსაზრისით, სახელმწიფო შეიძლება ჩაითვალოს პირველ პოლიტიკურ ორგანიზაციად. კანონზომიერია, რომ სიტყვა „პოლიტიკა“ წარმომდგარია სიტყვისაგან „პოლისი“, რომელსაც ძველი ბერძნები უწოდებდნენ თავიან ქალაქ-

სახელმწიფოებს. სახელმწიფო გახდა პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი პოლიტიკური ორგანიზაცია საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. ობიექტურად ჩამოყალიბებულმა ადამიანურმა ურთიერთობებმა წარმოშვა ახალი პოლიტიკური ფორმები – არასახელმწიფოებრივი გაერთიანებანი, რომლებიც ასახავენ ამა თუ იმ სოციალური ფენის, ეროვნების, რელიგიის ინტერესებს. ყველა შემთხვევაში სახელმწიფოს უჭირავს ცენტრალური ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

❍ სახელმწიფო არის ერთადერთი სრულუფლებიანი ორგანიზაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით. იგი არის ინდივიდთა ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური კავშირის ორგანიზაციული ფორმა. სახელმწიფოს მეშვეობით ხდება ინდივიდის „ჩართვა" საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში.

❍ სახელმწიფო განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების ძირითად მიმართულებებს ხალხის ინტერესების გათვალისწინებით.

❍ სახელმწიფო მნიშნელოვანი ინტეგრირებული ფაქტორია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს პოლიტიკურ სისტემას და სამოქალაქო საზოგადოებას. პოლიტიკური სისტემისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენიტეტს. მხოლოდ სახელმწიფოს აქვს უფლება გამოვიდეს ხალხის სახელით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

❍ თავისი განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე სახელმწიფო საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ ძალთა შორის წონასწორობის შენარჩუნების ერთგვარი არბიტრია. ერთ შემთხვევაში სახელმწიფო არის გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების გამომხატველი ორგანო, მეორე მხრივ კი იგი ნაწილობრივ გამოხატავს საერთო სახალხო ინტერესებსაც.

❍ ყოველგვარი პოლიტიკური საქმიანობა საბოლოო ანგარიშით ასე თუ ისე დაკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლებასთან. სახელმწიფო როგორც საზოგადოების სახელისუფლო და მაორგანიზებელი ძალა, მოწოდებულია უზრუნველყოს ყველა არასახელმწიფოებრივი სტრუქტურის ნორმალური საქმიანობა, ხელი შეუწყოს მათი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

❍ სახელმწიფო ანიჭებს მოქალაქეებს კონსტიტუციურ უფლებას, გაერთიანდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, განსაზღვრავს ზო-

გიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამართლებრივ სტატუსს, იცავს მათ უფლებებს სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით.

❍ სახელმწიფო განამტკიცებს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ელემენტების კავშირს და ურთიერთობის ფორმებს. სახელმწიფოს და საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას აქვთ საერთო ამოცანა: დაამკვიდრონ დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი. დემოკრატიული სახელმწიფო მიისწრაფვის უზრუნველყოს არა მარტო ნორმალური პოლიტიკური თანაცხოვრება, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა, თუ წარმოიშვა ამის აუცილებლობა.[5]

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელია სამართლის გარეშე, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა მაღალეფექტური და მიზანშეწონილი რეგულატორია. სამართლის ჩარჩოებში ხდება პოლიტიკური ინსტიტუტების დაფუძნება, განისაზღვრება პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული ელემენტების უფლებამოსილება. სამართლებრივ ფორმაში აისახება სახელისუფლო ურთიერთობა, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთკავშირი, თანაფარდობა პოლიტიკურ სისტემასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. სამართლებრივ ნორმატიულ აქტებში განმტკიცებულია ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, მათი რეალიზაციის გარანტიები.

სამართალი წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის აუცილებელ სტიმულატორს, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს სოციალურ პროგრესს, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებას.

[5] პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ. 2004. გვ. 175-176

სქემა №4. სახელმწიფო და სამართალი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში



თავი II. სახელმწიფოს მიზანი და დანიშნულება. სახელმწიფოს ფუნქციები

§ 1. სახელმწიფოს მიზნისა და ფუნქციების თანაფარდობა

სახელმწიფოს მიზანი გამომდინარეობს მისი არსიდან. სახელმწიფოს მიზნისა და დანიშნულების განსაზღვრა, მისი ისტორიული პერსპექტივის გააზრება სხვადასხვა ეპოქის მკვლევართა და სხვადასხვა მეცნიერული მიმართულების ყურადღებას იპყრობდა. მეცნიერული აზრი ამ საკითხზე საკმაოდ განსხვავებული იყო.

ისეთი გამოჩენილი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ პლატონი, არისტოტელე, ჰეგელი მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს მიზანი და დანიშნულება არის საზოგადოებაში ზნეობის დამკვიდრება.

გროციუსის აზრით სახელმწიფოს მიზანია საყოველთაო კეთილდღეობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ჟან-ჯაკ რუსო და ფერდინანდ ლასალი სახელმწიფოს მიზნად თვლიდნენ საყოველთაო თავისუფლების რეალიზაციას.

წარმოდგენა სახელმწიფოს მიზანსა და დანიშნულებაზე იცვლებოდა საზოგადოების განვითარებასთან ერთად. თანამედროვე თვალსაზრისი დაფუძნებულია იმ არგუმენტზე, რომ რამდენადაც სახელმწიფო არის პოლიტიკური ხელისუფლების ერთადერთი ორგანიზაცია, მისი უმთავრესი მიზანია – საჯარო, პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელება, საზოგადოების მართვა, სოციალური კომპრომისისა და სოციალური კეთილდღეობის დამკვიდრება, პიროვნების თავისუფლების, მისი უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფა.

ამ მიზანს სახელმწიფო ახორციელებს თავისი ფუნქციების მეშვეობით.

ტერმინი „ფუნქცია“ ფილოსოფიური და ზოგადსოციალური თვალსაზრისით ნიშნავს „ამა თუ იმ ობიექტის თვისებების გარეგნულ გამოვლინებას“. სახელმწიფოსთან შეფარდებით მას აქვს რამდენადმე სხვა აზრი. სახელმწიფოს ფუნქციას იურიდიულ ლიტერატურაში ტრადიციულად განმარტავენ როგორც სახელმწიფოს საქმიანობის მთავარ

მიმართულებას, რაც განპირობებულია სახელმწიფოს არსით და სოციალური დანიშნულებით, მის წინაშე მდგომი მიზნებითა და ამოცანებით.[6]

სახელმწიფოს ფუნქციების საკითხის გარკვევას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც. იგი საშუალებას იძლევა განსაზღვრული იქნეს სახელმწიფოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მისი ფორმა, არსი, მიზანი და საქმიანობის მრავალმხრიობა.

სახელმწიფოს ფუნქციების არსებითი ნიშნები შემდეგია:

❒ სახელმწიფოს ფუნქცია არის მისი საქმიანობის არა ყველა, არამედ მთავარი მიმართულება, რომლის გარეშე სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია. ეს არის სახელმწიფოს მყარი, საგნობრივი საქმიანობა ამა თუ იმ სფეროში – ეკონომიკაში, პოლიტიკაში, ეკოლოგიაში, იდეოლოგიაში და ა.შ.

❒ სახელმწიფოს ფუნქცია გამოხატავს და ასახავს კონკრეტული სახელმწიფოს არსს. მათში ვლინდება ის რეალური, სოციალურად განპირობებული და ორიენტირებული როლი, რომელსაც ასრულებს სახელმწიფო საზოგადოების განვითარების პროცესში წარმოშობილი ამოცანების გადაჭრის დროს.

❒ სახელმწიფოს ფუნქციას აქვს კომპლექსური, სინთეზური ხასიათი. თითოეული მათგანი ყალიბდება სახელმწიფოს საქმიანობის ცალკეული ერთგვაროვანი ასპექტებისაგან.

❒ ახორციელებს რა ფუნქციებს, სახელმწიფო ამასთანავე გადაჭრის მის წინაშე მდგომ ამოცანებს და მისი საქმიანობა მოიპოვებს პრაქტიკულ მიმართულებას.

❒ ფუნქციები რეალიზირდება იმ ფორმებით და მეთოდებით, რაც დამახასიათებელია სახელმწიფო ხელისუფლებისათვის.

სახელმწიფოს საქმიანობა მხოლოდ მაშინ არის ნაყოფიერი, თუ მისი ფუნქციები შეესაბამებიან ობიექტურ მოთხოვნებს. თუ ფუნქციების განხორციელებაში დაშვებულია შეცდომები და არსებობს ნაკლოვანებანი ეს საზოგადოებაში გამოიწვევს მწვავე კრიზისულ მოვლენებს.

§ 2. სახელმწიფოს ფუნქციების კლასიფიკაცია

სახელმწიფოს ფუნქციები სხვადასხვაგვარია შესაბამისად იმისა როგორია ამოცანები, რომლებიც დგას საზოგადოების წინაშე მისი

[6] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ. 2003, გვ. 55

ევოლუციის განსაზღვრულ პერიოდში, როგორია მიზნები, რომელსაც ის ისახავს. ფუნქციები და ამოცანები ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ განსხვავებული ცნებებია. ამოცანა არის ის, რაც საჭიროებს გადაჭრას, ხოლო ფუნქცია არის საქმიანობის სახე, რომელიც მიმართულია ამოცანათა გადაჭრისაკენ. ცალკეულ ისტორიულ პერიოდში პრიორიტეტული ხდება სახელმწიფოს ცალკეული ამოცანები და მიზნები, შესაბამისად სხვადასხვაგვარია მისი ფუნქციებიც.

თითოეულ ფუნქციას აქვს ზემოქმედების ობიექტი და შინაარსი. ობიექტი არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრული სფერო (ეკონომიკა, კულტურა, ეკოლოგია და ა.შ.), რომლისკენაც მიმართულია სახელმწიფოებრივი ზემოქმედება. ობიექტი არის ფუნქციათა გამიჯვნის კრიტერიუმი.

სახელმწიფოს ფუნქცია განსხვავდება მისი ორგანოების ფუნქციებისაგან. სახელმწიფოს ორგანოს ფუნქცია ასახავს კონკრეტული ორგანოს სოციალურ-მიზნობრივ მნიშვნელობას. ეს ორგანოები ფუნქციებს ახორციელებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. სახელმწიფო ორგანოს ფუნქცია ექვემდებარება სახელმწიფოს ფუნქციას და არ შეიძლება მას ეწინააღმდეგებოდეს. ამიტომ სახელმწიფო ორგანოს ფუნქცია სახელმწიფოს ფუნქციის კალაპოტში უნდა თავსდებოდეს. სახელმწიფო ორგანოს ფუნქციას შედარებით ვიწრო, ლოკალური ხასიათი აქვს სახელმწიფოს ფუნქციებთან შედარებით.

ფუნქციათა კლასიფიკაციის პრობლემა რთულია, რადგან სხვადასხვა ისტორიული ტიპის სახელმწიფოს ფუნქციები არსებითად განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ფუნქციათა კლასიფიკაცია მათი საერთო ნიშნების მიხედვით. ასეთი კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა კრიტერიუმის შესაბამისად.

უპირველეს ყოვლისა, ფუნქციათა კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს საქმიანობის სფერო. შესაბამისად ამისა, ფუნქციები იყოფა საშინაო და საგარეო ფუნქციებად.

საშინაო ფუნქცია არის სახელმწიფოს მრავალფეროვანი საქმიანობის ძირითადი მიმართულება, მის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაჭრელად. იგი გამოხატავს საზოგადოებაზე სახელმწიფოს აქტივობის ხარისხს. საშინაო ფუნქცია პრაქტიკულად ეხება საზოგადოების და თვით სახელმწიფოს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს – ეკონომიკურს, სოციალურს, პოლიტიკურს, ფინანსურს, სულიერს და ა.შ.

სახელმწიფოს როგორც საზოგადოების ორგანიზაციულ ფორმას არ შეუძლია არ შეასრულოს ზოგადსოციალური საქმიანობა მთელი საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ. ცივილიზაციის და დემოკრატიის განვითარება ფართო სივრცეს ქმნის სახელმწიფოს ზოგადსოციალური საქმიანობისათვის. შესაბამისად, თანამედროვე პერიოდში პრიორიტეტულია ზოგადსოციალური ფუნქციები – ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, საკუთრების, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, მართლწესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფის, სოცუზრუნველყოფის ფუნქცია და სხვ. გაფართოვდა და აქტუალური გახდა სახელმწიფოს საქმიანობა საზოგადოების სულიერი ცხოვრების სფეროში (განათლება, კულტურა, მეცნიერება). სახელმწიფომ აქტიური პოზიცია უნდა დაიკავოს ისეთი გლობალური პრობლემების გადაჭრაში, როგორიცაა ბუნების და გარემომცველი სამყაროს დაცვა, დემოგრაფიული პრობლემა, ბრძოლა საერთაშორისო დანაშაულებებთან და ა.შ.

საგარეო ფუნქცია არის სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული საერთაშორისო არენაზე მის წინაშე მდგომ ამოცანებთან და მიზნებთან. ეს ფუნქცია ყველა სახელმწიფოსათვის პრაქტიკულად არ არის და არც შეიძლება იყოს ერთგვაროვანი. იგი დამოკიდებულია სახელმწიფოს ტიპზე და არსებულ პოლიტიკურ რეჟიმზე, ასევე საერთაშორისო ვითარებაზე. სახელმწიფოს საგარეო ფუნქციად ტრადიციულად ითვლება ქვეყნის თავდაცვის ფუნქცია, დიპლომატიური ურთიერთობის უზრუნველყოფის, საერთაშორისო ვაჭრობის, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ხელისშეწყობა და ა.შ.

საშინაო და საგარეო ფუნქციები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და ერთმანეთს ავსებენ. არ შეიძლება სახელმწიფოს ჰქონდეს ისეთი ფუნქციები, რომლებიც არ იქნებიან განპირობებული მისი არსით, იდეოლოგიური მსოფლმხედველობით და სოციალური დანიშნულებით.

საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელობის შესაბამისად იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ ძირითად და არაძირითად ფუნქციებს. ძირითადი ფუნქციები მიმართულია უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისაკენ, არაძირითადი ფუნქციები კი უფრო ვიწრო ხასიათის ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება.

§ 3. სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების ფორმები და მეთოდები

სახელმწიფომ თავისი ფუნქციები უნდა განახორციელოს განსაზღვრულ ფორმებში და მეთოდებში. ფუნქციის განხორციელების ფორმაში იგულისხმება მათი გარეგნული გამოვლენის კონტურები და პარამეტრები. ასეთი ფორმები შეიძლება იყოს სამართლებრივი და არასამართლებრივი.

სამართლებრივ ფორმაში აისახება სახელმწიფოსა და სამართლის განუყრელი კავშირი, იმის აუცილებლობა, რომ ფუნქციების რეალიზაცია მოხდეს სამართლებრივი საშუალებებით, კანონის ფარგლებში. გამოყოფენ ფუნქციების განხორციელების სამ სამართლებრივ ფორმას. ესენია: სამართალშემოქმედებითი, სამართალაღსრულებითი და სამართალდაცვითი ფორმა.

სამართალშემოქმედებითი ფორმის არსი გამოიხატება კომპეტენტური ორგანოების მიერ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების გამოცემაში, რის გარეშეც სახელმწიფოს ფუნქციების რეალიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელია. სწორედ ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძველზე უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს საქმიანობა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან სფეროებში. საკანონმდებლო უზრუნველყოფა სახელმწიფოს ფუნქციების წარმატებული რეალიზაციის წინაპირობაა. მაგალითად, სოცუზრუნველყოფის ფუნქციის განხორციელება შეუძლებელია სოცუზრუნველყოფის კანონმდებლობის კოდიფიკაციის გარეშე.

სამართალაღსრულებითი საქმიანობა გამოიხატება სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების რეალიზაციაში. ასეთ საქმიანობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული „იმუშავებენ“ თუ არა ნორმატიული აქტები, განხორციელდებიან რეალურად, თუ დარჩებიან კანონმდებლობის კეთილ დებულებებად. რამდენად სრულად და ეფექტურად სრულდება სამართლებრივი მოთხოვნები, იმდენად წარმატებით ან წარუმატებლად ხორციელდება სახელმწიფოს ფუნქცია. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების რეალიზაციის მისია აკისრია აღმასრულებელ ორგანოებს მთავრობის მეთაურობით.

სამართალდაცვითი საქმიანობა ხორციელდება შესაბამისი კომ-

პეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში. ეს არის მბრძანებლურ-ოპერატიული და სამართალშემფარდებელი საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ შინაგან საქმეთა, პროკურატურის, სასამართლოს ორგანოები კანონის საფუძველზე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, რათა შეიქმნას ოპტიმალური პირობები სახელმწიფოს ფუნქციათა რეალიზაციისათვის. სამართალდაცვითი საქმიანობა გულისხმობს სამართალდარღვევათა აღკვეთას, იურიდიული საქმეების გადაწყვეტას, იურიდიული პასუხისმგებლობის აუცილებლობას.

თანამედროვე პერიოდში იზრდება სახელმწიფოს ფუნქციის განხორციელების სახელშეკრულებო ფორმის მნიშვნელობა. ეს განპირობებულია საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებით და სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაციით. ამჟამად სახელმწიფო ორგანოების მბრძანებლური გადაწყვეტილება სულ უფრო მეტად არის შერწყმული სახელშეკრულებო ფორმასთან და სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურებთან. სახელშეკრულებო ფორმა ვრცელდება არამარტო სახელმწიფოს ფუნქციების რეალიზაციის ეკონომიკურ სფეროზე, არამედ საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროებზეც. სახელშეკრულებო საწყისებზე ხშირად წარმოიშობა ურთიერთობა განათლების, სამედიცინო, იურიდიული თუ სხვაგვარი მომსახურების სფეროში.

სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების არასამართლებრივი ფორმები მოიცავენ დიდი მოცულობის ორგანიზაციულ-მოსამზადებელ მუშაობას, რომელიც აუცილებელი და მართლზომიერია და ხშირად სამართლებრივი შედეგი მოსდევს. ასეთია, მაგალითად, სხვადასხვა სახის ინფორმაციის შეგროვების, გაფორმების და შესწავლისათვის გაწეული მუშაობა, მოქალაქეთა განცხადებების და საჩივრების განხილვა და სხვა. უნდა მივუთითოთ, რომ არასამართლებრივი საქმიანობაც უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონის ფარგლებში, კანონიერებისა და კონსტიტუციონალიზმის პრინციპებთან სრულ შესაბამისობაში.

სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების მეთოდები ის საშუალებები და ხერხებია, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, ეს მეთოდები საკმაოდ მრავალფეროვანია. მათ შორის დომინირებს დარწმუნების და იძულების მეთოდი. ეკონომიკური ფუნქციის განხორ-

ციელებისათვის აუცილებელია დაგეგმვის, პროგნოზირების, შეღავათიანი დაკრედიტების, ინვესტირების, სახელმწიფო სუფსიდიების მეთოდი და სხვ.

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო, თავისი ფუნქციების მეშვეობით, იმ ფარგლებში და იმ ზომით უნდა ჩაერიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც განპირობებულია სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნებით და სასარგებლოა მისი კეთილდღეობისათვის.

სქემა №5. სახელმწიფოს მიზანი და დანიშნულება



სქემა №6. სახელმწიფოს ფუნქციები



თავი III. სახელმწიფოს მექანიზმი (აპარატი)

§ 1. ხელისუფლების დანაწილება, როგორც სახელმწიფოს მექანიზმის ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა

ხელისუფლების დანაწილების კლასიკური მოდელი არის ერთიანი ხელისუფლების სამ განშტოებად (საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო) დანაწილება[7]. ეს პრინციპი საჯარო-სახელისუფლო საქმიანობის ფუძემდებლური ინსტიტუციურ-სამართლებრივი ფორმაა.

სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივი დანაწილება დამოუკიდებელ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარეობს. სწორედ ეს სამი ხელისუფლება და მხოლოდ ისინი ამოწურავენ სახელმწიფოს დანიშნულებას – უზრუნველყოს თავისუფლების, უშიშროების, საკუთრების, საჯარო-სახელისუფლო დაცვა.

საკანონმდებლო ხელისუფლება ოფიციალურად ადგენს სამართლებრივ ნორმებს, ზოგად წესებს, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოებაში და სახელმწიფოში ადამიანის თავისუფლების ზომას. კერძოდ, კანონმდებელი ადგენს იძულებითი ძალის შეფარდების წესს, რაც დასაშვები და აუცილებელია თავისუფლების, უშიშროების, საკუთრების დასაცავად.

აღმასრულებელი ხელისუფლება განასახიერებს სახელმწიფოს იძულებით ძალას. იგი მოიცავს ორგანოთა სისტემას, რომელიც ახორციელებს კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების რეალიზაციის უფლებამოსილებას. სასამართლო ხელისუფლება წყვეტს დავებს სიმართლისა და სამართლიანობის შესახებ, ადგენს სახელმწიფო იძულებით ზომებს სამართალდარღვევების შემთხვევაში, იცავს ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერ უფლებებს.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის თანახმად საკანონმდე-

7 მიგვაჩნია, რომ მართებული ტერმინი არის არა "ხელისუფლების დანაწილება", არამედ "ხელისუფლების განაწილება". რადგან საქართველოს კონსტიტუციაში (მუხლი 5, პუნქტი 4) ფიქსირებულია ტერმინი "დანაწილება", ამდენად სახელმძღვანელოში გამოყენებულია კონსტიტუციური ფორმულირება.

ბლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება უნდა მოქმედებდნენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და უფლება არა აქვთ ჩაერიონ ერთმანეთის საქმიანობაში. ამასთანავე, ამ ორგანოთა კომპეტენცია ისეთია, რომ მათ არ შეუძლიათ იმოქმედონ იზოლირებულად. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება მისი სამივე დამოუკიდებელი შტოს ერთობლიობით: კანონმდებლის საქმიანობა ვერ მოიტანს სასურველ შედეგს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების განხორციელების გარეშე, მართლმსაჯულების განხორციელება შეუძლებელია საკანონმდებლო ხელისუფლების გარეშე. ამასთანავე, თითოეული განშტოება ვალდებულია არ გამოვიდეს თავისი კომპეტენციის ფარგლებიდან და პირიქით, თითოეული მათგანი უზრუნველყოფს მეორეს არსებობას თავისი კომპეტენციით.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების იდეა გამოხატულია დიდი ფრანგი განმანათლებლის შ. მონტესკიეს მსჯელობაში, რომელიც გამოთქმულია მის ნაშრომში „კანონთა გონი“:

„თუ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება გაერთიანებული იქნება ერთი პირის ან ორგანოს ხელში, ეს მონარქი ან სენატი დაიწყებს ტირანული კანონების გამოცემას იმისათვის, რომ ასევე ტირანულად განახორციელოს ისინი. თავისუფლება არ იქნება არც იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ხელისუფლება არ იქნება გამოყოფილი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. თუ ის გაერთიანებული იქნება საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, მოქალაქეთა ცხოვრება და თავისუფლება აღმოჩნდება თვითნებური ხელისუფლების ქვეშ, რადგან მოსამართლენი იქნებიან კანონმდებლები. თუ სასამართლო ხელისუფლება შეუერთდება აღმასრულებელს, მოსამართლეს შესაძლებლობა ეძლევა გახდეს მჩაგვრელი.“[8]

სხვა მოაზროვნეებისაგან განსხვავებით, შ. მონტესკიემ პირველად მიუთითა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება ნიშნავს არა მხოლოდ ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დაყოფას, არამედ ძალაუფლების ერთიანობის დანაწილებას და ურთიერთშეკავებას. შ. მონტესკიეს მიაჩნდა, რომ ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფის გარანტიისათვის აუცილებელია სახელმწიფოს ისე მოწყობა, რომ ძალაუფლების მფლობელს არ ჰქონდეს თვითნებობისა და ხელისუფლე-

[8] შ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994. XI წიგნი. გვ. 182

ბის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. „იმისათვის, რომ ვერავინ შეძლოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, საჭიროა თვით შეძლოს საგანთა ისეთი წყობა, რომ ძალაუფლებას ძალაუფლება აოკებდეს.“[9] ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ძალაუფლების გადანაწილების შემთხვევაში, თანაც ისე, რომ სამივე იყოს დამოუკიდებელი, იმავდროულად ურთიერთკონტროლის და ურთიერთბოჭვის შესაძლებლობით აღჭურვილი.

აშშ-ის 1787 წლის და საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუციებმა დასაბამი მისცეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ამოქმედებას. 1789 წლის ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციამ, რომელიც საფრანგეთის მოქმედი კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, აღიარა, რომ „საზოგადოებას, სადაც არ არის უზრუნველყოფილი უფლებათა გარანტია და არ არის ხელისუფლების დანაწილება, არა აქვს კონსტიტუცია“.

ხელისუფლების დანაწილება ითხოვს სახელმწიფო პოლიტიკის, საზოგადოებრივი განვითარების პრინციპულ საკითხებზე ხელისუფლების შტოების ქმედებათა ერთიანობას, ხოლო ხელისუფლების ერთიანობა არ გამორიცხავს სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის კომპეტენციათა დანაწილებას.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ქმედითობის უზრუნველსაყოფად, ხელისუფლების სამი განშტოების დამოუკიდებლობა და შეუვალობა საკმარისი არ არის, აუცილებელია სამივე მათგანი აღჭურვილი იყოს ურთიერთკონტროლისა და ურთიერბოჭვის პროცედურებით. თითოეული ხელისუფლება თვალყურს უნდა ადევნებდეს როგორ იცავს დანარჩენი ორი ადამიანის უფლებებს. სხვანაირად აზრი ეკარგება ისეთი სოციალური ინსტიტუტის არსებობას, როგორიცაა სახელმწიფო. იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს ფუნქციონირება, სახელისუფლო განშტოებანი ერთმანეთს კი არ უნდა ებრძოდნენ, არამედ უნდა ითანამშრომლონ და გააწონასწორონ ერთმანეთი. ისინი უნდა იყვნენ თანასწორ მდგომარეობაში და შეავსონ და შეაკავონ ერთმანეთი, რაც აუცილებელია პოლიტიკური თავისუფლებისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ასაცილებლად, ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმის აღსაკვეთად.

„საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება თავიანთი უამრავი ატრიბუტით – კონკურენცია, ურთიერთკონტროლი და ურთიერთშეზღუდვა საჭიროა იმისათვის, რომ არ მოხდეს

[9] შ. მონტესკიე, დასახ. ნაშრ. გვ. 182

მორიგება ერის ინტერესების საზიანოდ".[10]

როგორც ანდრაშ შაიო აღნიშნავს „ხელისუფლების დანაწილებისა და მოწყობის მრავალი გზა არსებობს. საკითხის ნებისმიერ გადაწყვეტას არსებობის უფლება აქვს, თუ თავისუფლების შეზღუდვის საშუალებები გამორიცხული ან თავიდან აცილებულია".[11]

ხელისუფლების დანაწილების ტრადიციული კონცეფცია დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა და განუყოფელი ატრიბუტია. თანამედროვე საზოგადოებაში ხელისუფლების დანაწილების მექანიზმი მოქმედი, ეფექტური მექანიზმია. იგი ქვეყანაში სამართლის უზენაესობის და ადამიანის თავისუფლების მტკიცე გარანტიაა.

§ 2. სახელმწიფოს მექანიზმის (აპარატის) ცნება

სახელმწიფოს მეეანიზმი (აპარატი) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ინსტიტუციური ელემენტია. იგი რეალური ორგანიზაციულ-მატერიალური ძალაა, რომლის მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს ხელისუფლებას.

სახელმწიფოს მექანიზმი (აპარატი) არის სისტემა სხვადასხვა ორგანოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისა, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს თავის ფუნქციებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სახელმწიფო მექანიზმის ცნება ტევადი და მრავალმხრივია. სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში მას ზოგჯერ აიგივებენ სახელმწიფოს აპარატის ცნებასთან, ზოგჯერ კი განასხვავებენ მისგან. არის მოსაზრება, რომ სახელმწიფო მექანიზმის ცნებაში იგულისხმება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციების, შეიარაღებული ძალების, სახელმწიფო ხელისუფლების მატერიალური საშუალებების ერთობლიობა, ხოლო სახელმწიფო აპარატში – მხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა სისტემა.

მექანიზმი (აპარატი) არ არის სახელმწიფო ორგანოების მექანიკური გაერთიანება, არამედ ზუსტად ორგანიზებული მთლიანი სისტემაა.

[10] ს. ჯორბენაძე, რ. კნიპერი, ლ. ჭანტურია, სასამართლოს რეფორმა საქართველოში. თბ. 1994, გვ. 32

[11] ანდრაშ შაიო, ხელისუფლების შეზღუდვა – კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თარგმანი ინგლისურიდან, რედ. თ. ნინიძე. თბ. 2003, გვ. 92

მისი თავისებურება გამოიხატება შემდეგში:

❑ მექანიზმი არის სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების მთლიანი იერარქიული სისტემა, რაც განპირობებულია მისი ელემენტების ორგანიზაციისა და საქმიანობის ერთიანი პრინციპებით, მიზნებითა და ამოცანებით;

❑ მექანიზმის პირველადი სტრუქტურული ელემენტი არის სახელმწიფო ორგანო და დაწესებულება, რომელშიც მუშაობენ სახელმწიფო მოსამსახურეები. სახელმწიფო ორგანოები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან რთული სუბორდინაციული და კოორდინაციული ურთიერთობებით;

❑ მექანიზმის მეშვეობით პრაქტიკულად ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება და სრულდება სახელმწიფოს ფუნქციები: მექანიზმი იქმნება სწორედ სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელებისათვის.

მრავალი საუკუნის განმავლობაში სახელმწიფოს მექანიზმი იყო განუვითარებელი. მისი ორგანოები არ იყო დიფერენცირებული კომპეტენციის მიხედვით. მონათმფლობელურ, ფეოდალურ და კაპიტალისტური სახელმწიფოს განვითარების ადრეულ სტადიაზე მექანიზმის საფუძველს შეადგენდა სამხედრო უწყება, შინაგან საქმეთა უწყება, საფინანსო და საგარეო საქმეთა უწყებები.

თანამედროვე სახელმწიფოს მექანიზმი გამოირჩევა მაღალი ხარისხის სირთულით, იგი მოიცავს მრავალრიცხოვან ორგანოებსა და ორგანიზაციებს, სტრუქტურულ ელემენტებს და ქვესისტემებს.

მიუხედავად იმისა, რა მოიაზრება სახელმწიფოს მექანიზმში და რა სახელმწიფოს აპარატში, მათი მთავარი და განუყოფელი ნაწილი არის სახელმწიფო ორგანო – შედარებით დამოუკიდებელი, სტრუქტურული რგოლი, შექმნილი სახელმწიფო საქმიანობის განსახორციელებლად. სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებს განასხვავებს არასახელმწიფოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციებისაგან, შემდეგია:

■ სახელმწიფო ორგანო იქმნება სახელმწიფოს ნებით და თავის ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით;

■ სახელმწიფო ორგანო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

■ სახელმწიფო ორგანოს აქვს იურიდიულად განმტკიცებული ორგანიზაციული სტრუქტურა, საქმიანობის ტერიტორიული მასშტაბი,

რაც განსაზღვრავს მის ადგილსა და როლს სახელმწიფოს აპარატში;

■ სახელმწიფო ორგანოს აქვს სახელმწიფო სახელისუფლო უფლებამოსილება. პრაქტიკულად ეს გამოიხატება სახელმწიფო ორგანოების მიერ სახელმწიფოს სახელით იურიდიულად სავალდებულო ნორმატიული და ინდივიდუალური აქტების გამოცემასა და მათი რეალიზაციის უზრუნველყოფაში.

ერთიანი და მთლიანი მექანიზმი დიფერენცირებულია შემადგენელ ნაწილებად და ქვესისტემებად. მექანიზმის პირველი სტრუქტურული ელემენტის – სახელმწიფოს ორგანოთა კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, კერძოდ:

წარმოშობის საფუძვლის შესაბამისად, ორგანოები იყოფიან პირველად და წარმოებულ ორგანოებად. პირველადი ორგანოები იქმნებიან ან მემკვიდრეობით ან არჩევნების საფუძველზე (მემკვიდრეობითი მონარქია, არჩევითი წარმომადგენლებითი ორგანოები). წარმოებული ორგანოები იქმნებიან პირველადი ორგანოების მიერ, რომლებიც ანიჭებენ მათ სახელისუფლო უფლებამოსილებას (აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები).

სახელისუფლო უფლებამოსილების შესაბამისად სახელმწიფო ორგანოები იყოფიან უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებად. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ადგილობრივი ორგანო არ ითვლება სახელმწიფო ორგანოდ (მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები).

კომპეტენციის მოცულობის მიხედვით განასხვავებენ საერთო კომპეტენციის და სპეციალური კომპეტენციის ორგანოებს. საერთო კომპეტენციის ორგანოები უფლებამოსილი არიან გადაჭრან ფართო წრის საკითხები (მაგალითად, მთავრობა). სპეციალური კომპეტენციის ორგანოები (დარგობრივი ორგანოები) ასრულებენ ამა თუ იმ საქმიანობას, ერთ რომელიმე ფუნქციას.

§ 3. სახელმწიფო ორგანოთა სახეები

სახელმწიფო ორგანოთა კლასიფიკაციაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რომლის შესაბამისად განასხვავებენ კომპეტენციით ერთგვაროვან სახელმწიფო ორგანოებს, ესენია:

❒ **საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები.** ხელისუ-

ფლების დანაწილების სისტემაში საკანონმდებლო განშტოებას ცენტრალური ადგილი უჭირავს. საკანონმდებლო ორგანოები ქვეყნის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ და უმეტესად არჩევითი, წარმომადგენლობითი ორგანოები არიან. საკანონმდებლო ორგანოებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელწოდება აქვთ (აშშ-ში – კონგრესი, საფრანგეთში – პარლამენტი, ფინეთში – სეიმი, ირანსა და თურქეთში – მეჯლისი და ა.შ.), თუმცა მათ შორის დომინირებს სახელწოდება „პარლამენტი". პარლამენტი მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფო წყობის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. მისი ძირითადი ფუნქცია საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაა, თუმცა აქვს სხვა ფუნქციებიც, კერძოდ, ბიუჯეტის მიღება და მის შესრულებაზე კონტროლი, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლი და ა.შ.

საქართველოში საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის პარლამენტი, რომელსაც განსაკუთრებული როლი უჭირავს საზოგადოების და სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოს კონსტიტუცია ადგენს არა მარტო იმას, რომ „საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო", არამედ იმასაც, რომ „იგი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას".

საქართველოში წარმომადგენლობითი ორგანოებია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები – ქალაქის, რაიონის, დაბის და სოფლის საკრებულოები, რომლებსაც ირჩევს შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობა. მართალია ისინი არ არიან საკანონმდებლო ორგანოები, მაგრამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ახორციელებენ ხელისუფლებას საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.

❐ **სახელმწიფოს მეთაური.** თანამედროვე სახელმწიფოებში სახელმწიფოს მეთაური ერთპიროვნულია. კონსტიტუციურ მონარქიებში სახელმწიფოს მეთაურად ითვლება მონარქი, რესპუბლიკებში – პრეზიდენტი. კონსტიტუციის ან ჩამოყალიბებული ტრადიციების ძალით მონარქს აქვს გარკვეული უფლებამოსილება: მოიწვიოს პარლამენტის სესია, დანიშნოს უმაღლესი პალატის წევრები, დაამტკიცოს და გამოაქვეყნოს კანონები, დანიშნოს სახელმწიფოს მეთაური და მინისტრები.

უმრავლეს ქვეყნებში სახელმწიფოს მეთაური არის პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევს ხალხი ან პარლამენტი. საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტის უფლებამოსილება ერთნაირი არ არის.

საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტი ნაკლებად აქტიური ფიგურაა. იგი მანდატს იღებს არა უშუალოდ ხალხისაგან, არამედ პარლამენტის ან სპეციალური წარმომადგენლობითი საარჩევნო კოლეგიისაგან. პრეზიდენტი მეტწილად წარმომადგენლობით ფუნქციას ახორციელებს. საპარლამენტო რესპუბლიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მთავრობას და მის მეთაურს. სახელმწიფოს მეთაური არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და პრემიერ-მინისტრის შერჩევისას მთლიანად დამოკიდებულია საპარლამენტო უმრავლესობის ნებაზე. ამ სისტემაში პრეზიდენტი მხოლოდ ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს განასახიერებს.

საპრეზიდენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტი ცენტრალური პოლიტიკური ფიგურაა. იგი ერთდროულად არის როგორც სახელმწიფოს მეთაური, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების – მთავრობის მეთაური. პრეზიდენტი ქმნის მთავრობას და მთავრობა ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის წინაშე. აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების მანდატი ენიჭება არა დემოკრატიული წესით არჩეულ პარლამენტს, არამედ პრეზიდენტის ნებას.

❐ აღმასრულებელი ხელისუფლება წარმოადგენს სახელმწიფო მართვის უფლებამოსილებათა ერთობლიობას და ამ უფლებამოსილებათა განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოთა სისტემას. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს სახელმწიფოს მეთაური და მთავრობა. მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი კოლეგიალური ორგანოა. იგი შეიძლება იყოს ერთპარტიული და კოალიციურ-აღმასრულებელი ხელისუფლება სარგებლობს ფართო ფუნქციონალური კომპეტენციით საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწიფოს საგარეო ინტერესების დაცვის სფეროში. აღმასრულებელი ხელისუფლება ორიენტირებულია აღასრულოს ის მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია საკანონმდებლო აქტებში. მთელი მისი საქმიანობა უნდა განხორციელდეს კანონის საფუძველზე და კანონთა შესასრულებლად. აღმასრულებელგანმკარგულებელია ორგანოების ამოცანები, ადგილი და როლი სახელმწიფოს აპარატში განმტკიცებულია კონსტიტუციაში და ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში. საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის თანახმად, მთავრობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო

და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას.

აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები იყოფიან უმაღლეს, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებად, მათზე დაკისრებული ამოცანების და საქმიანობის ტერიტორიული მასშტაბების შესაბამისად.

აღმასრულებელი ორგანოების სისტემაში წამყვან როლს ასრულებს მთავრობა – უმაღლესი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანო, რომელიც მეთაურობს აღმასრულებელ ორგანოთა სისტემას. საქართველოს მთავრობა შედგება სახელმწიფო მინისტრების და მინისტრებისაგან, მთავრობას მეთაურობს პრემიერ-მინისტრი.

ცენტრალურია ისეთი ორგანოები, რომელთა საქმიანობა ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მათ მიეკუთვნება სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, მთავარი სამმართველოები.

ადგილობრივი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების საქმიანობა შემოიფარგლება ერთი ან რამდენიმე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულით. საქართველოში ადგილობრივი აღმასრულებელი (მმართველობის) ორგანოა თვითმმართველობის საკრებულოს გამგეობა (მერია), რომელიც იქმნება იმ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მოსახლეობა აღემატება 3 000 კაცს. უფრო მცირე ტერიტორიულ ერთეულებში აღმასრულებელ ფუნქციას ერთპიროვნულად ახორციელებს გამგებელი.

❐ სახელმწიფო აპარატის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **სასამართლო ორგანოებს**, რომელთა ძირითადი ფუნქცია არის მართლმსაჯულების განხორციელება. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოსაგან, მხოლოდ კანონებს ემორჩილება და კანონის საფუძველზე ახორციელებს თავის ფუნქციას. სახელმწიფო საქმიანობის ამ სფეროში ხდება რეაგირება სხვადასხვა სახის სოციალურ გადახრებზე, წყდება დავები და კონფლიქტები. სასამართლო ხელისუფლების ამოცანაა ადამიანების და მათი კოლექტივების უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა.

სასამართლო ორგანოთა სისტემაში შედის საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლოები. საკონსტიტუციო კონტროლი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, რომელიც დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული ისეთი დემოკრატიული პრინციპების რეალიზაციაზე, როგორიცაა მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მორჩილება მხოლოდ კანონისადმი, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გადასინჯვის შესაძლებლობა, სამართლის უზენაესობა და ა.შ.

სქემა №7. სახელმწიფოს მექანიზმი



თავი IV. სახელმწიფოს ფორმა

§ 1. სახელმწიფოს ფორმის ცნება

„სახელმწიფოს ფორმის“ კატეგორია სამართალმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებლური კატეგორიაა და მას იურიდიულ ლიტერატურაში ტრადიციულად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს შემთხვევითი არ არის, ვინაიდან სახელმწიფოს ფორმის მეცნიერული ცნება მნიშვნელოვნად განაპირობებს წარმოდგენას თვით სახელმწიფოზე.

სახელმწიფოს ფორმის საკითხისადმი ინტერესი შორეული წარსულიდან მომდინარეობს. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში და რომში ფილოსოფოსები და იურისტები გამოთქვამდნენ სხვადასხვა წინააღმდეგობრივ მოსაზრებას სახელმწიფოს ფორმის შესახებ. ანტიკური პერიოდის ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი მიიჩნევდა, რომ მმართველობის იდეალურ ფორმას წარმოადგენს „იდეალური სახელმწიფო“, სადაც „კანონიერი ხელისუფლება“ ეკუთვნის არისტოკრატიას, არაკანონიერი – ოლიგარქიას. იგი გმობს მმართველობის ტირანულ ფორმას, რომლის დროს ბატონობს თვითნებობა და უკანონობა. მხარს უჭერს დემოკრატიას, სადაც ხალხის ხელისუფლება თავისი არსით ეწინააღმდეგება ტირანიას.

პლატონის მოსწავლე და ამასთანავე მისი კრიტიკოსი არისტოტელე თვლიდა, რომ სახელმწიფოს ფორმა არის უმაღლესი ხელისუფლების განსახიერება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ისეთ ფორმებში, როგორიცაა მონარქია, არისტოკრატია და პოლიტია-დემოკრატია.

მოაზროვნე ციცერონი გამოყოფდა სახელმწიფოს სამ ფორმას – მონარქიას, არისტოკრატიას და ხალხის ხელისუფლებას, ასევე შერეულ ფორმას.

ანტიკურიდან დაწყებული თანამედროვე პერიოდამდე არ შენელებულა ყურადღება სახელმწიფოს ფორმის კატეგორიის კვლევისადმი, რადგან სახელმწიფოს აღქმა მისი ფორმის გარეშე, წარმოუდგენელია. სახელმწიფოს შესწავლა მისი ფორმის მიხედვით ნიშნავს სახელმწი-

ფოს შინაგანი სტრუქტურის, ხელისუფლების ორგანიზაციის და მისი განხორციელების მეთოდების, ტერიტორიული მოწყობის პრინციპების შესწავლას. რამდენადაც სახელმწიფოს ფორმის ცნებაში მოიაზრება ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შექმნის წესი და უფლებამოსილება, მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთკავშირი, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების მეთოდები, შესაბამისად, აერთიანებს სამ დამოუკიდებელ ცნებას: სახელმწიფო მმართველობის ფორმას; სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმას (სახელმწიფოს წყობილების ფორმას); სახელმწიფო-სამართლებრივ (პოლიტიკურ) რეჟიმს.

სქემა №8. სახელმწიფოს ფორმის ცნება



§ 2. სახელმწიფო მმართველობის ფორმა

სახელმწიფო მმართველობის ფორმა არის კომპლექსი სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტებისა, რომელშიც განსახიერებულია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შექმნის და ფუნქციონირების წესი, მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი. მმართველობის ფორმის საკვანძო საკითხი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა შექმნის წესი და კომპეტენცია, სახელმწიფო ხელისუფლების ვერტიკალური და ჰორიზონტალური განზომილება.

სახელმწიფო მმართველობის ფორმა მიუთითებს მონაწილეობს თუ არა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირებაში ხალხი, დემოკრატიულია თუ არადემოკრატიული მათი შექმნის წესი. შესაბამისად ამისა, სახელმწიფოები იყოფიან მონარქიულ და რესპუბლიკურ სახელმწიფოებად. მონარქიაში ხელისუფლების წყარო არის მონარქი, რესპუბლიკაში ხელისუფლების წყარო არის არჩევითი ორგანოები.

მონარქია წარმოადგენს მმართველობის ისეთ ფორმას, სადაც უმაღლეს ხელისუფლებას სახელმწიფოში ახორციელებს ერთი პირი – მონარქი, რომელიც მიეკუთვნება სამეფო დინასტიას და ჩვეულებრივად ხელისუფლებას ღებულობს მემკვიდრეობის ინსტიტუტების შესაბამისად. მონარქიული ხელისუფლება ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება იყოს არჩევითი, თუ ამოწყდება წინა მონარქია და შეიქმნება ახალი მონარქიული სახელმწიფო. მონარქიული ხელისუფლება შეიძლება შეიქმნას უმაღლესი არჩევითი თანამდებობის პირის ხელისუფლების უზურპაციის შედეგადაც.

მონარქიულ სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლება მთლიანად ერთ პირს – მონარქს (მეფეს, დედოფალს, შაჰს, სულთანს, ფარაონს...) ეკუთვნის. არ არსებობს რაიმე ნორმატიული აქტი, რომელიც ფორმალურად მაინც განსაზღვრავს მონარქის კომპეტენციას. მმართველობის ასეთი ფორმის დროს ქვეყანაში არ არსებობს კონსტიტუცია და საარჩევნო სისტემა. ამჟამად მონარქიებია საუდის არაბეთში, ომანში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში, შელამაზებული ფორმით – ქუვეითში, იორდანიასა და მაროკოში.

სამეცნიერო ლიტერატურაში მმართველობის მონარქიულ ფორმას

ჰყოფენ შეზღუდულ და შეუზღუდავ ფორმებად. შეუზღუდავი მონარქიებია დესპოტური და აბსოლუტური მონარქიები. შეზღუდული კი – კონსტიტუციური მონარქიები (პარლამენტური და დუალისტური მონარქია).

ისტორიაში ცნობილია შეუზღუდავი მონარქიის შემდეგი სახეები:

❒ *დესპოტური მონარქია* ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც მონარქის ძალაუფლება შეუზღუდავი იყო და მონარქის პიროვნება გაღმერთებული (ეგვიპტე, ბაბილონი, ინდოეთი, სირია და ა.შ.).

❒ *აბსოლუტური მონარქია*, რომელიც წარმოიშვა ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის ჩასახვის პერიოდში. აბსოლუტიზმის ეპოქა ხასიათდება მონარქის შეუზღუდავი ხელისუფლებისკენ მისწრაფებით. საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს ეკუთვნის გამოთქმა:

„სახელმწიფო – ეს მე ვარ!"

შეზღუდულია მონარქია, სადაც მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ. ასეთია კონსტიტუციური მონარქია.

❒ კონსტიტუციური მონარქია, მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროს მონარქი კონსტიტუციის ძალით საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ინაწილებს პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტთან. კონსტიტუციური მონარქიის დროს ადგილი აქვს მონარქიული და რესპუბლიკური ფორმების დუალიზმს.

კონსტიტუციური მონარქია ორი სახისაა: პარლამენტური და დუალისტური. [12]

❒ *პარლამენტური მონარქია* – მონარქიზმის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომლის დროსაც მონარქის ხელისუფლება საკმაოდ შეზღუდულია, ხოლო პარლამენტის და მის მიერ შექმნილი მთავრობისა – გაფართოებული. (გაერთიანებული სამეფო, ბელგია, დანია, ნიდერლანდები, ესპანეთი, იაპონია და ა.შ.).

❒ *დუალისტური მონარქია*, მმართველობის ისეთი ფორმაა, სადაც ლიდერი კვლავ მონარქია, რომელიც როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში აქტიურ როლს თამაშობს. დუალისტურ მონარქიაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი კონსტიტუციურად არის გაფორმებული და შემდეგი თავისებურება ახასიათებს: მონარქი კონსტიტუციის თანახმად, საკანონმდებლო ხელისუფლებას პარლა-

[12] ლათ. **dualism** ნიშნავს ორხელისუფლებიანობას.

მენტთან, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას — მთავრობასთან იყოფს (იორდანია, მაროკო, ნეპალი და ა.შ.).

გარდა აღნიშნული კლასიკური ფორმებისა, არსებობს აგრეთვე ე.წ. არჩევითი მონარქია, სადაც მონარქი ხელისუფლებას მემკვიდრეობით კი არ ღებულობს, არამედ აირჩევა მმართველთა საბჭოს შემადგენლობიდან (არაბეთის გაერთიანებული საემიროები, მალაიზია) და თეოკრატიული მონარქია, რომლის დროსაც ქვეყნის მართვაში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ რელიგიურ ინსტიტუტებს (ვატიკანი, ბაჰრეინი, ომანი).[13]

ინტერესს იწვევს მონარქიებში ტახტის მემკვიდრეობის ფორმები. მონარქიული მმართველობის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ ჩამოაყალიბა ტახტის მემკვიდრეობის რამდენიმე წესი:

▪ *სალიკური* – რომლის თანახმად მემკვიდრეობა გადადის მხოლოდ მამაკაცზე, ქალები მოკლებული არიან მონარქის მემკვიდრეობის უფლებას (ბელგია, იაპონია, ნორვეგია, მუსლიმური მონარქიები);

▪ *კასტილური* – ქალი მხოლოდ მაშინ ხდება გვირგვინის მემკვიდრე, როდესაც გარდაცვლილ მონარქს არ ჰყავს მემკვიდრე ვაჟიშვილი. ამასთანავე, უმცროსი ძმის ყოლა გამორიცხავს უფროსი დის უფლებას ტახტის მემკვიდრეობაზე (გაერთიანებული სამეფო, ესპანეთი, დანია, ნორვეგია, ნიდერლანდები და ა.შ.);

▪ *ავსტრიული* – ამ სისტემაში ქალი ტახტის მემკვიდრეობის უფლებას იძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა თაობაში და ყველა შტოში მემკვიდრე მამაკაცი არ არსებობდა (ავსტრო-უნგრეთის იმპერია, სერბეთი, რუსეთი და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ ეს წესი ბოლო ასწლიან ისტორიაში აღარ გამოყენებულა;

▪ *შვედური* – ქალი ტახტის მემკვიდრეობის უფლებით სრულად სარგებლობს როგორც მამაკაცი. უპირატესობა ენიჭება მემკვიდრეთა შორის ასაკობრივ უფროსობას (მაგ., შვეიცარია);

თავისებურად წყდება მემკვიდრეობის საკითხი აზიისა და აფრიკის მონარქიებში, სადაც ცალსახად არის დადგენილი მამაკაცის მემკვიდრეობის ჰეგემონია. ეს წესი უპირატესად მოქმედებს მუსლიმურ მონარქიებში. აქ მემკვიდრეობა ფაქტობრივად დინასტიის შემადგენელი, ე.წ. კეთილშობილი მმართველი ოჯახის შინაგან საქმედ რჩება. ოჯახი

[13] ო. მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბ. 1996, გვ. 53

თვითონ წყვეტს გარდაცვლილი მონარქის ახლო ნათესავებიდან ვინ უნდა დაეუფლოს გვირგვინს (კატარი, საუდის არაბეთი, ქუვეითი და ა.შ.).

რესპუბლიკა მმართველობის ისეთი ფორმაა, სადაც ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო (სენატი, პარლამენტი, მეჯლისი, კონგრესი, სეიმი და ა.შ.), რომლის წევრებს ირჩევს მთელი ხალხი ან გარკვეული სოციალური ჯგუფები შესაბამისად სახელმწიფოს ტიპისა. რესპუბლიკისათვის დამახასიათებელია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შექმნის დემოკრატიული წესი და ხელისუფლების განაწილების პრინციპი. განსხვავებულია სამი დამოუკიდებელი შტო – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება: თითოეული შტო დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, მისი ფუნქციონირება დამოკიდებულია ურთიერთზემოქმედებასა და თანამშრომლობაზე. მმართველობის რესპუბლიკური ფორმა ჩაისახა მონათმფლობელურ ეპოქაში. უფრო ნათლად იგი გამოვლინდა დემოკრატიულ ათენში, სადაც ყველა სახელმწიფო ორგანო, მათ შორის უმაღლესიც (სახალხო კრება), აირჩეოდა ათენის სრულუფლებიანი მოქალაქეების მიერ.

ჩვ.წ.აღ-მდე V-II საუკუნეებში რესპუბლიკურ რომში უმაღლეს ხელისუფლებას ახორციელებდა სენატი, რომლის წევრებს ნიშნავდნენ განსაკუთრებული უფლებამოსილების პირები – ცენზორები, რომლებსაც, თავის მხრივ, ნიშნავდა სახალხო კრება. მიუხედავად იმისა, რომ რომის რესპუბლიკა არისტოკრატიულად ითვლებოდა, მას თავის არსენალში ჰქონდა სახალხო ხელისუფლებიანობის ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტი, როგორიც იყო სახალხო კრება.

არისტოკრატიული რესპუბლიკის მკვეთრად გამოხატული ნიშნები ახასიათებდა სპარტის სახელმწიფოს. ფორმალურად სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნოდა ორ მეფეს. ფაქტობრივად ის შეზღუდული იყო არისტოკრატების მიერ. სახალხო კრებას სპარტაში ფაქტობრივად არ ჰქონდა საკანონმდებლო უფლებამოსილება, მას ახორციელებდა უხუცესთა საბჭო.

მმართველობის რესპუბლიკური ფორმის ფარგლებში განასხვავებენ საპრეზიდენტო, საპარლამენტო და შერეული ფორმის რესპუბლიკებს.

საპრეზიდენტო რესპუბლიკა მმართველობის ისეთი ფორმაა, სადაც ხელისუფლება განაწილებულია პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის.

პარლამენტს აქვს საკანონმდებლო ფუნქცია, ხოლო პრეზიდენტს აღმასრულებელი; ამასთანავე, თითოეული უფლებამოსილია აკონტროლოს მეორეს საქმიანობა გარკვეულ ფარგლებში (პარლამენტს აქვს იმპიჩმენტის, ხოლო პრეზიდენტს – ვეტოს უფლება). საპრეზიდენტო რესპუბლიკაში მთავრობას აყალიბებს პრეზიდენტი, რის გამოც პარლამენტს არა აქვს უფლება მოითხოვოს ამა თუ იმ მინისტრის გადაყენება. როგორც წესი, არ არსებობს პრემიერ-მინისტრის პოსტი. პრეზიდენტი, როგორც წესი, არის არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ან პარტიული ბლოკის ლიდერი (აშშ, მექსიკა, პორტუგალია, ვენესუელა).

საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელში გამოიკვეთება შემდეგი თავისებურებანი:

❍ სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც ერთდროულად არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. იგი სახელმწიფო სისტემის ლიდერია და გადაწყვეტილებებს საკუთარი ნებით ღებულობს;

❍ პრეზიდენტი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და აირჩევა უშუალოდ მოსახლეობის მიერ;

❍ მმართველია ის პარტია, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში იმარჯვებს;

❍ მთავრობის წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი. მთავრობა, როგორც წესი, დამოუკიდებლად არ არსებობს. იგი პრეზიდენტის კაბინეტის სახით ფუნქციონირებს.

საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტის უფლებამოსილება აჭარბებს პრეზიდენტისას. პარლამენტს აქვს არა მარტო საკანონმდებლო ფუნქცია, არამედ მთავრობის გადაყენების, მისთვის უნდობლობის გამოცხადების უფლებაც. პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია, მაგრამ არ არის მთავრობის მეთაური, რადგან მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი. პოლიტიკურად ეს ნიშნავს, რომ მთავრობა ყალიბდება პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული პარტიის (პარტიების) წარმომადგენლებისაგან.

საპარლამენტო რესპუბლიკის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

❍ უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი სახელისუფლო სისტემის ლიდერია, რაც განმტკიცებულია კონსტიტუციით;

❍ სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი აირჩევა უშუალოდ პარლამენტის (ლატვია, ალბანეთი, საბერძნეთი) ან საარჩევნო კოლეგიის მიერ (გერმანია, ინდოეთი, იტალია);

❍ მმართველი პარტიაა ის, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში იმარჯვებს;

❍ მთავრობის ფორმირება ხდება პარლამენტური გზით და მთავრობა პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე;

❍ პარლამენტი მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის ფართო უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი.

არსებობენ *შერეული ფორმის* სახელმწიფოებიც, რომელთაც „ნახევრად-საპრეზიდენტო“ ან „ნახევრად-საპარლამენტო“ რესპუბლიკები ეწოდებათ. ასეთ რესპუბლიკებში, პარლამენტის და პრეზიდენტის ინსტიტუტები ურთიერთშერწყმულია. საპარლამენტო რესპუბლიკიდან აღებულია მთავრობის საპარლამენტო პასუხისმგებლობა, საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან შენარჩუნებულია ხალხის მიერ პრეზიდენტის არჩევითობა და პრეზიდენტის მიერ აღმასრულებელი უფლება-მოვალეობის განხორციელება (საფრანგეთი, პორტუგალია, ფინეთი).

შერეულმა მოდელმა საპრეზიდენტო რესპუბლიკის შემდეგი დამახასიათებელი თავისებურებანი შეითვისა:

❍ პრეზიდენტი აირჩევა უშუალოდ მოსახლეობის მიერ, იგი არის სახელმწიფოს მეთაური, უმაღლესი მთავარსარდალი, ხელმძღვანელობს მინისტრთა კაბინეტს;

❍ ვიცე-პრემიერებსა და მინისტრებს პრეზიდენტი პირადი შეხედულებით ნიშნავს;

❍ მთავრობა ექვემდებარება პრეზიდენტს. პრეზიდენტი უფლებამოსილია პირადი შეხედულებისამებრ გადააყენოს პრემიერ-მინისტრი;

შერეულმა მოდელმა საპარლამენტო რესპუბლიკის შემდეგი თავისებურებები შეითვისა:

❍ მთავრობის ფორმირების პარლამენტური გზა და პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შერჩევა საპარლამენტო უმრავლესობიდან;

❍ პარლამენტის თანხმობა პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის წარმოდგენილ კანდიდატურაზე;

❍ მინისტრთა კაბინეტს საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერით აღჭურვილი პრემიერ-მინისტრი განაგებს;

❍ მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე;

❍ მოქმედებს მთავრობის ნდობა-უნდობლობის და ამასთან დაკავშირებით პარლამენტის დათხოვნის მექანიზმი;

❍ დასაშვებია მინისტრის პორტფელის შეთავსება დეპუტატის მანდატთან.

ასეთია სახელმწიფოს მმართველობის სამი კლასიკური ფორმა, რომელშიც დრომ თავისი კორექტივები შეიტანა. შესაბამისად, სამართალში დამკვიდრდა ტერმინი *„სუპერ-საპრეზიდენტო"* რესპუბლიკა. ასეთი მოდელის თავისებურებანი სახელმწიფოს პოლიტიკურ რეჟიმს უკავშირდება. პრეზიდენტი არცთუ იშვიათად საკანონდებლო და სასამართლო ხელისუფლების სუსტი კონტროლის პირობებში ითვისებს ფართო უფლებამოსილებებს და იჭრება სხვა შტოების საქმიანობაში. სუპერ-საპრეზიდენტო რესპუბლიკები პირველად ლათინური ამერიკის ქვეყნებში წარმოიშვა, შემდეგ კი გავრცელდა აზიასა და აფრიკაში. ამ ქვეყნებში საპრეზიდენტო მმართველობის ინსტიტუტმა შეითვისა მონარქიის ელემენტები, გაჩნდა მუდმივი პრეზიდენტების ინსტიტუტი და საპრეზიდენტო მონოკრატიული რესპუბლიკები (ეკვატორული გვინეა, ზაირი, ტუნისი, უგანდა და ა.შ.) ზეაღმატებული უფლებებით აღჭურვილი სახელმწიფოს მმართველი – სუპერ-პრეზიდენტი მსოფლიო ფენომენი გახდა, რასაც ადასტურებს ამ მოდელის განვითარების გეოგრაფიაც. აზიაში სუპერ-საპრეზიდენტო რესპუბლიკები ჩამოყალიბდა ერაყში, თურქმენეთში, ინდონეზიაში, სირიაში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში. აფრიკაში – ალჟირში, ეგვიპტეში, კონგოში, ეკვატორში, კოლუმბიაში.

აღსანიშნავია, რომ სუპერ-საპრეზიდენტო მოდელი პოსტ-საბჭოური რესპუბლიკების ბაზაზე წარმოიშვა არამხოლოდ აზერბაიჯანსა და ყაზახეთში, არამედ ბელარუსიის, რუსეთისა და უკრაინის რესპუბლიკებშიც.[14]

განვითარების თავისებური გზა განვლო სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტმა საქართველოში. 1921 წლის კონსტიტუციიდან დღემდე, საქართველო რესპუბლიკური მმართველობის სახელმწიფოს წარმოადგენს. მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, „საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა". კონსტიტუციაში განმტკიცებულია, რომ „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლე-

[14] ო. მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბ. 2005, გვ. 128-139

ბა ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში" (მუხლი 5.).

1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ იმთავითვე დაადგინა მმართველობის საპრეზიდენტო მოდელი. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, 2004 წლის თებერვალში მიღებული იქნა კონსტიტუციური ცვლილებებისა და შესწორებების მთელი პაკეტი, რომელიც მნიშვნელობით იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ უარყოფილი იქნა მკაცრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფორმა და ქვეყანაში დამკვიდრდა მმართველობის მოდელი, რომელიც შეიცავდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის ნიშნებს. ე. ი. საქართველო შეიძლება დახასიათდეს როგორც შერეული ფორმის რესპუბლიკა. შესაბამისად, ამ მოდელში საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან აღებულია ისეთი მახასიათებელი ნიშანი, როგორიცაა პრეზიდენტის არჩევა უშუალოდ ხალხის მიერ, რაც განაპირობებს მისი ლეგიტიმაციის ხარისხსა და უფლებამოსილებათა საკმაოდ მაღალ დონეს. საპარლამენტო რესპუბლიკიდან კი აღებული იქნა ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა სახელმწიფოს მეთაურის შესაძლებლობა დაითხოვოს პარლამენტი ან კრიზისულ სიტუაციებში გადააყენოს მთავრობა. თავის მხრივ პარლამენტი უფლებამოსილია აღძრას პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი (იმპიჩმენტის პროცედურა) და გამოიყენოს უნდობლობის გამოცხადების მექანიზმი მთავრობის შემადგენლობის მიმართ.[15]

2010 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რომლის საფუძველზე რთული დასადგენია, შეესაბამება თუ არა საქართველოს მმართველობის ფორმის მოდელი რომელიმე კლასიკური მმართველობის ფორმას. მეცნიერთა მოსაზრებით ძირითადად საუბარია შერეული მმართველობის ფორმასა და საპარლამენტო რესპუბლიკაზე. ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტის უფლებამოსილება კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციებს აღემატება. ამიტომ მიიჩნევენ საქართველოს შერეული მმართველობის მოდელად, ნახევრად საპარლამენტო რესპუბლიკად.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება და სახელმწიფოს პოლიტიკური წყობის მრავალფეროვნება არ გამორიცხავს მომავალში ცვლილებებს ქართული სახელმწიფოს მმართველობისა და სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმებში.

---

[15] კონსტიტუციური სამართალი, მთ. რედ. ა. დემეტრაშვილი, თბ. 2005, გვ. 172-173

სქემა №9. სახელმწიფო მმართველობის ფორმა



§ 3. სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა (სახელმწიფოს წყობილების ფორმა)

სახელმწიფოს არსებობის ისტორია ადასტურებს, რომ სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო მმართველობის ფორმით, არამედ შინაგანი სტრუქტურითაც – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ტერიტორიული პრინციპით. სახელმწიფოს ეს თვისება გამოიხატება ცნებაში – „სახელმწიფო წყობილების ფორმა".

სახელმწიფო წყობილების ფორმაში იგულისხმება სახელმწიფოს ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაცია, მისი შინაგანი აგებულების თავისებურებანი, ის ურთიერთობა, რაც არსებობს სახელმწიფოს, როგორც მთელსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის. შესაბამისად, არსებობენ უნიტარული, რეგიონალური და ფედერაციული სახელმწიფოები. ძირითადი განსხვავება მათ შორის გამოიხატება დეცენტრალიზაციის ხარისხში და ტერიტორიული ერთეულების ავტონომიურობაში.

სახელმწიფო წყობილების ფორმა არ არის დაკავშირებული მისი ეროვნული შემადგენლობის თავისებურებებთან, არ წარმოადგენს ეროვნული სახელმწიფო მოწყობის ფორმას, არამედ ემყარება ხელისუფლების ტერიტორიული მოწყობის წესს. არის ქვეყნები, რომლებშიც მრავალეროვნული შემადგენლობაა. მაგრამ წყობილების ფორმა უნიტარულია (ბელგია, გაერთიანებული სამეფო) და პირიქით, არის ქვეყნები, რომლებიც ერთი ეროვნული შემადგენლობისაა, მაგრამ წყობილების ფორმა რთულია (ავსტრია, ავსტრალია, გერმანია).

უნიტარული (ტერმინი „უნიტარული" მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „უნოს", რაც ქართულად „ერთს" ნიშნავს) ისეთი სახელმწიფოა, რომელსაც თავის შემადგენლობაში არ გააჩნია სუვერენული სახელმწიფო ერთეულები, იყოფა მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად (ოლქი, ქალაქი, რაიონი). ასეთ ერთეულებს არა აქვთ სახელმწიფო წარმონაქმნის სტატუსი, არ გააჩნიათ სუვერენიტეტი. სახელმწიფოში არის ერთი კონსტიტუცია, ერთი მოქალაქეობა, ხელისუფლების, მმართველობის, მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოთა ერთიანი სისტემა, სამართლის ერთიანი სისტემა, რაც ქმნის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უმაღლესი ხელისუფლების განხორციელების წანამძღვარს. უნიტარული სახელმწიფო შეიძლება იყოს ერთეროვანი (საფრანგეთი, შვეიცარია, ნორვეგია) და მრავალეროვანი (გაერთიანებული სამეფო, ბელგია).

რეგიონალური სახელმწიფო წყობილების პირობებში ზოგ ერთეულს, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, (ეროვნული, ეთნიკური, ისტორიული) შეიძლება ფართო თვითმმართველობის უფლება მიენიჭოს. ასეთ ტერიტორიულ ერთეულებს კონსტიტუცია ტერიტორიულ ავტონომიებს უწოდებს. რეგიონალისტური ფორმა დამახასიათებელია თანამედროვე ესპანეთისა და იტალიისათვის.

რთული ანუ ფედერაციულია ე.წ. საკავშირო სახელმწიფოები, რომლებიც შედგებიან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეულებისაგან. ფედერაცია არის მტკიცე, მჭიდრო გაერთიანება სახელმწიფოებისა ერთიან სახელმწიფოში. მისი შემადგენელი ნაწილები (რესპუბლიკები, შტატები, მიწები, კანტონები) ამა თუ იმ ზომით სარგებლობენ სუვერენიტეტით. ფედერაციაში უმაღლეს ორგანოთა ორი სისტემაა: სახელმწიფოს ნაწილების უმაღლესი ორგანოები (ხელისუფლების, მმართველობის, მართლმსაჯულების) და მთლიანად ფედერაციის უმაღ-

ლესი ორგანოები. ფედერაციის თითოეულ შემადგენელ ნაწილს აქვს სამართლის თავისი სისტემა, რომელიც შეესაბამება საერთო ფედერალურ სამართლებრივ სისტემას.

შექმნის წესის მიხედვით, ერთმანეთისაგან განსხვავდება სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ფედერაცია. სახელშეკრულებოა ფედერაცია, რომელიც ფორმალურად იქმნება ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე (აშშ, შვეიცარია). არასახელშეკრულებოა ფედერაცია, რომელიც იქმნება ცენტრის მიერ ფედერაციის წევრებისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭების საფუძველზე (რუსეთი, ინდოეთი, კანადა).

ფედერაციისა და მისი სუბიექტების კომპეტენციის გამიჯვნის საშუალებები მრავალფეროვანია, რომელთა შორის უფრო გავრცელებულია ორი: ზოგ ქვეყანაში (აშშ, კანადა, ბრაზილია, მექსიკა) კონსტიტუცია ადგენს სფეროებს, რომლებიც შედიან ფედერაციის განსაკუთრებულ კომპეტენციაში და სფეროებს, რომლებიც მისი სუბიექტების კომპეტენციას განეკუთვნება. ზოგიერთი სახელმწიფოს (გერმანია, ინდოეთი) კონსტიტუციები დამატებით ითვალისწინებენ ფედერაციისა და მისი სუბიექტების ერთობლივი საქმიანობის სფეროებს.

ფედერაციის, როგორც საკავშირო სახელმწიფოსაგან განასხვავებენ კონფედერაციას, როგორც სახელმწიფოთა კავშირს. კონფედერაცია არის სუვერენული სახელმწიფოების გაერთიანება, შექმნილი განსაზღვრული მიზნის (ეკონომიკური, პოლიტიკური ან სამხედრო) მისაღწევად. კონფედერაცია, ფედერაციისაგან განსხვავებით ნაკლებად მტკიცე გაერთიანებაა სახელმწიფოებისა, რომლებიც მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას. საკავშირო ორგანო ახორციელებს კონფედერაციის წევრი სახელმწიფოების საქმიანობის კოორდინაციას მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა გადასაჭრელად ის შეიქმნა.

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ კონფედერაციას აქვს არამყარი, გარდამავალი ხასიათი. ამიტომ, კონფედერაცია ან იშლება, ან გადაიზრდება ფედერაციაში, მაგალითად, ჩრდილო ამერიკის შტატები 1776-1787 წლებში გაერთიანებულები იყვნენ კონფედერაციაში, რაც განპირობებული იყო ბრიტანელ მფლობელთა წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებით. კონფედერაცია გახდა აშშ-ის ფედერაციის შექმნის საფუძველი.

ფედერაცია და კონფედერაცია ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის ეპოქაში. მონათმფლობელურ და ფეოდალურ სახელმწიფოებს ჰქონდათ სახელმწიფოთა გაერთიანების ისეთი ფორმა, როგორიცაა იმპერია (რუსეთის იმპერია, ავსტრიის იმპერია, რომის იმპერია, საფრანგეთის იმპერია).

ისტორია არ გამორიცხავს სახელმწიფოებრივი გაერთიანების სხვა ფორმასაც. ბოლო პერიოდში გაჩნდა სახელმწიფოებრივი ასოციაციის განსაკუთრებული ფორმა – ევროპული თანამეგობრობა, რომელმაც უკვე დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა.

თანამეგობრობა სახელმწიფოთა ორგანიზებული გაერთიანებაა, რომელიც ეფუძნება მრავალმხრივ ხელშეკრულებას და მის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმები. ასეთი თანამეგობრობის გამოხატულებაა ევროკავშირი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა პარიზის ხელშეკრულებამ (1951 წლის 18 აპრილი). ევროკავშირი შედგება ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტებისაგან, როგორიცაა მინისტრთა საბჭო, ევროკომისია, ევროპარლამენტი, ევროპის სასამართლო, ამ ინსტიტუტების საქმიანობა უაღრესად თვალსაჩინო და ეფექტურია.

სქემა №10. სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა (სახელმწიფო წყობილების ფორმა)

უნიტარული ისეთი სახელმწიფო, რომელსაც თავის შემადგენლობაში არ გააჩნია სუვერენული სახელმწიფო ერთეულები, იყოფა მხოლოდ ადმინისტრაციულ ერთეულებად.	**ფედერაციული** ე.წ. საკავშირო სახელმწიფო, რომელიც შედგება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეულებისაგან, რომლებიც ამა თუ იმ ზომით სარგებლობენ სუვერენიტეტით.	**რეგიონალური** სახელმწიფო წყობილების პირობებში ზოგიერთ ერთეულს კონსტიტუცია უწოდებს რეგიონალისტურს.
• საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ერთიან ორგანოთა სისტემა • ერთი კონსტიტუცია, კანონმდებლობის ერთიანი სისტემა, ერთიანი საფინანსო და საგადასახადო სისტემა • სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილები (ოლქები, ოკრუგისი, ქალაქები, რაიონები) წარმოადგენენ ადგილობრივ (მუნიციპალურ) ორგანოებს, რომელთაც არ ახასიათებთ სახელმწიფოებრიობის ნიშნები (საფრანგეთი, ნორვეგია, ბელგია...)	• საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების ორი სისტემა (ფედერაციის და ფედერაციის სუბიექტების) • ფედერაციის ტერიტორია შედგება მისი ცალკეული სუბიექტების ტერიტორიებისაგან (შტატები, რესპუბლიკები, მიწები) • ფედერაციის თითოეული მოქალაქე ერთდროულად არის მთელი ქვეყნის მოქალაქე. • ფედერაციის სუბიექტებს აქვთ თავიანთი კონსტიტუცია, სამართლის თავისი სისტემა, რომელიც შეესაბამება საერთო ფედერაციულ სისტემას (აშშ, კანადა, ბრაზილია, მექსიკა, გერმანია)	• გათვალისწინებულია ეროვნული თავისებურებანი. • გათვალისწინებულია ეთნიკური თავისებურებანი. • გათვალისწინებულია ტერიტორიული ერთეულის განვითარების ისტორია (ესპანეთი, იტალია).

§ 4. სახელმწიფო-სამართლებრივი (პოლიტიკური) რეჟიმი

იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოს ფორმის ცნებას უკავშირებენ სახელმწიფო-სამართლებრივი ანუ პოლიტიკური რეჟიმის ცნებას. სახელმწიფო-სამართლებრივი (პოლიტიკური) რეჟიმი არის პოლიტიკური საჯარო ხელისუფლების განხორციელების მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობა. პოლიტიკური მდგომარეობა საზოგადოებაში მყარდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წინააღმდეგობრივი ურთიერთობის, ყველა პოლიტიკური ინსტიტუტის მოქმედების შედეგად და გამოხატავს სახელმწიფოს თავისებურებებს მისი დემოკრატიულობისა და ანტიდემოკრატიულობის თვალსაზრისით. პოლიტიკური რეჟიმის ცვალებადობა ჩვეულებრივად იწვევს მკვეთრ ცვლილებებს სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში. ეს იმით არის განპირობებული, რომ პოლიტიკური რეჟიმი დაკავშირებულია არა მარტო სახელმწიფოს ფორმასთან, არამედ მის შინაარსთანაც.

სახელმწიფო-სამართლებრივი (პოლიტიკური) რეჟიმი გვიჩვენებს საზოგადოებაში მოქალაქეთა უფლებრივ მდგომარეობას, იმას, რომ მთელი ხალხი, კლასი თუ მისი ნაწილი მონაწილეობს სახელმწიფო ორგანოთა ფორმირებაში და სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვაში, არსებობენ თუ არა დემოკრატიული გაერთიანებანი, ოპოზიციური პარტიები და ა.შ. სახელმწიფო-სამართლებრივი რეჟიმის არსი განმტკიცებულია ქვეყნის კონსტიტუციასა და მოქმედ სამართალში. თუ სახელმწიფო რეჟიმი ეფუძნება სამართლის ნორმებს შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა სახელმწიფო ლეგიტიმური რეჟიმი, ხოლო თუ ის დამყარებულია არა კანონზე, არამედ თვითნებობასა და ძალადობაზე, სახეზეა არალეგიტიმური სახელმწიფო რეჟიმი.

სახელმწიფო რეჟიმი იყოფა დემოკრატიულ და ანტიდემოკრატიულ (ავტოკრატიულ) სახელმწიფო რეჟიმებად.

დემოკრატიული რეჟიმის დროს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს აქვთ ხალხის მანდატი, ხელისუფლება ხორციელდება ხალხის ინტერესებისათვის დემოკრატიული და სამართლებრივი მეთოდებით. ასეთი მეთოდებია: დარწმუნება, კონსენსუსი, კანონიერება, პარლამენტარიზმი, მხოლოდ სამართლებრივი იძულება.

თუ ქვეყანაში უპირატესობა აქვს ძალადობას, კანონის უზენაესობისა და კანონიერების უგულვებელყოფას, ადამიანის და მოქალაქის

უფლებების იგნორირებას, სახეზეა რეაქციული, ანტიდემოკრატიული რეჟიმი. უაღრესად არადემოკრატიულია ტოტალური, ფაშისტური რეჟიმი, სადაც ხელისუფლება რეაქციული ძალების ხელშია და ხორციელდება დიქტატორული ძალადობრივი მეთოდებით. საზოგადოებაში მეფობს უკანონობა და თვითნებობა.

ყველა ქვეყანაში პოლიტიკური რეჟიმი განისაზღვრება პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობით. ქვეყნებში, სადაც არის პოლიტიკურ ძალთა მყარი ბალანსი ან მიღწეულია ხანგრძლივი ნაციონალური თანხმობა, დამყარებულია სტაბილური პოლიტიკური რეჟიმი.

სქემა №11. სახელმწიფო-სამართლებრივი (პოლიტიკური) რეჟიმი

დემოკრატიული	ტოტალიტარული
• პიროვნების თავისუფლება ეკონომიკური საქმიანობის სფეროში • პირადი უფლებებისა და თავისუფლების გარანტია • ხალხის მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში • პიროვნების დაცვა თვითნებობისა და უკანონობისაგან • სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების დემოკრატიული მეთოდები • კანონის უზენაესობა და ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობა სამართლებრივ საფუძველზე	• საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე სრული სახელმწიფო კონტროლი • პიროვნების ძირითადი უფლებების უგულებელყოფა • სახელმწიფოს უპირატესობა სამართლის წინაშე • ერთი პოლიტიკური პარტიის დიქტატურა • საზოგადოებრივი ცხოვრების ყოვლისმომცველი მილიტარიზაცია • ნაციონალური სახელმწიფო წარმონაქმნების ინტერესების იგნორირება • კანონების უზენაესობის და კანონიერების უზრუნველყოფა

§ 5. სახელმწიფოს ფორმათა მრავალფეროვნების მიზეზები

სახელმწიფოთა ფორმების მრავალფეროვნება და ცვალებადობა ობიექტურად განპირობებული პროცესია. სახელმწიფოს ფორმა, ისევე, როგორც მისი არსი არ არის სამუდამოდ დადგენილი ან უცვლელი. მრავალრიცხოვანი ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, იდეოლოგიური და სხვა ფაქტორების გავლენით, იგი ყოველთვის იცვლებოდა და ვითარდებოდა. ყველაზე არსებითი ფაქტორი, რაც განაპირობებს სახელმწიფოთა ფორმების მრავალფეროვნებას – ეს არის კონკრეტულ ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა. თუ ეს თანაფარდობა პროგრესული ძალების მხარეზეა, მკვიდრდება რესპუბლიკურ-დემოკრატიული ფორმები, ხოლო თუ რეაქციული ძალების მხარეზეა – არენაზე გამოდიან ანტიდემოკრატიული ფორმები. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ბურჟუაზიულმა ძალებმა დაიმორჩილეს ფეოდალები, რის შედეგად ჩამოყალიბდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკები. ხოლო ქვეყნებში (ინგლისი), სადაც ბურჟუაზია ფეოდალებთან კომპრომისზე წავიდა, დამყარებული იქნა კონსტიტუციური მონარქია. კონსტიტუცია, ახალგაზრდა ბურჟუაზიის მოთხოვნა იყო, მონარქია კი – ფეოდალების მიმართ დათმობა. იმპერიალიზმის ეპოქაში პროგრესული ძალების შესუსტებამ გამოიწვია ფაშისტური, ნახევრად ფაშისტური და სხვა ანტიდემოკრატიული რეჟიმის დამკვიდრება (იტალია, გერმანია, ჩილე).

სახელმწიფოთა ფორმების ცვალებადობაზე დიდ გავლენას ახდენს ვითარება საერთაშორისო არენაზე. მოწინავე პროგრესული ძალების გააქტიურებამ ხელი შეუწყო ბევრ ქვეყანაში სახელმწიფოთა ფორმების დემოკრატიზაციას.

სახელმწიფოს ფორმაზე გავლენას ახდენს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. ქვეყნის მრავალფეროვანმა შემადგენლობამ განაპირობა ფედერაციული სახელმწიფოების შექმნა. გეოგრაფიული მდგომარეობა სახელმწიფოს ფორმაზე არ მოქმედებს. მისი მნიშვნელობა შეიძლება არაპირდაპირი იყოს. სახელმწიფოს ფორმაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნულ-დემოკრატიული ტრადიციები, მოსახლეობის საერთო და სამართლებრივი კულტურა.

თავი V. სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგია

§ 1. სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგიის ცნება

სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების კლასიფიკაცია ანუ ტიპოლოგია სახელმწიფოსა და სამართლის შემეცნების ობიექტურად აუცილებელ მეთოდს წარმოადგენს.

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არსებობდა საკმაოდ დიდი რიცხვი სახელმწიფოებისა, რომლებიც ერთმანეთს ცვლიდნენ კანონზომიერი განვითარების – ევოლუციის, ზოგჯერ კი ძალდატანების, რევოლუციის გზით. სწორედ ამან განაპირობა სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების მეცნიერული ტიპოლოგიის ცნების ჩამოყალიბება. ტიპოლოგია ასახავს სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ისტორიული განვითარების ლოგიკას, რაც საშუალებას იძლევა გაერთიანდეს ჯგუფი სახელმწიფოებისა განსაზღვრული კრიტერიუმის საფუძველზე.

სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ისტორია მთლიანად ადამიანთა თანაცხოვრების განვითარების ისტორიული პროცესის ორგანული ნაწილია. ეს არის უწყვეტად მიმდინარე ხანგრძლივი, ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსა და სამართლის სოციალურ ბუნებასთან, არსთან და დანიშნულებასთან. სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგია უნდა მოხდეს მკაცრად განსაზღვრულ საფუძველზე, რომელიც გამოიმუშავა ცხოვრებამ, სოციალურ-პოლიტიკურმა პრაქტიკამ. ტიპოლოგიის კრიტერიუმი შეიძლება იყოს: საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების დონე, ცივილიზაციის დონე, სახელმწიფოს პოლიტიკური (სახელმწიფო-სამართლებრივი) რეჟიმი და ა.შ.

მარქსიზმის მიხედვით, სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ცვალებადობის მთავარ კრიტერიუმად ითვლება საზოგადოებრივ-

ეკონომიკური ფორმაცია – საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განსაზღვრული ტიპი, თითოეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ეფუძნება წარმოებით ურთიერთობათა განსაზღვრულ ტიპს, რომელსაც შეესაბამება სახელმწიფოსა და სამართლის განსაზღვრული ტიპი, კერძოდ: მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური (ბურჟუაზიული), სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი.

ამასთანავე, ერთი ტიპის მეორე ტიპით შეცვლის პროცესი არის ობიექტური პროცესი, რომელშიც ყოველი შემდგომი ტიპი ისტორიულად უფრო პროგრესულია, ვიდრე წინა.

მარქსისტული კრიტერიუმის აბსოლუტიზაცია, მისი მიჩნევა ერთადერთ სწორ კრიტერიუმად არამართებულია, ვინაიდან, დაფუძნებულია საკითხისადმი ფორმალურ მიდგომაზე, სქემატურად ერთხაზოვანია. ისტორიულ სინამდვილეში, სახელმწიფო და სამართლებრივი სისტემების ევოლუციური განვითარება იყო ბევრად მრავალვარიანტიანი.

მსოფლიო ლიტერატურაში შემოთავაზებულია სახელმწიფოთა კლასიფიკაციის სხვადასხვა კრიტერიუმი. ყველაზე ხშირად აქცენტი გაკეთებულია ისეთ კრიტერიუმზე, როგორიცაა პოლიტიკური ანუ სახელმწიფო-სამართლებრივი რეჟიმი. შესაბამისად ამისა, სახელმწიფო და სამართლებრივი სისტემები იყოფიან დემოკრატიულ და არადემოკრატიულ სახელმწიფოებად და სამართლებრივ სისტემებად. ასეთი კლასიფიკაცია არამცთუ დასაშვებია, არამედ სასარგებლოც, მაგრამ ის ძალიან ზოგადი ხასიათისაა და რამდენადმე ბუნდოვანიც. იურიდიულ ლიტერატურაში ფართო ასახვა ჰპოვა სახელმწიფოთა კლასიფიკაციამ ტოტალიტარულ, ავტორიტარულ, ლიბერალურ და დემოკრატიულ სახელმწიფოებად. სახელმწიფოთა ასეთ სისტემებად კლასიფიკაცია განპირობებულია რეალური პრაქტიკით.

ტოტალიტარულ სახელმწიფოში ხელისუფლება თავმოყრილია მმართველი ელიტის ან დიქტატორისა და მისი გარემოცვის ხელში. ადამიანი ხდება სახელმწიფო მანქანის ჭანჭიკი. სამართლებრივ რეგულირებაში დომინირებს რეჟიმი „აკრძალულია ყველაფერი, რაც დაშვებული არ არის კანონით“.

ავტორიტარული სახელმწიფო ტოტალიტარული სახელმწიფოსგან განსხვავდება იმით, რომ მასში შეღწეულია, მართალია, შეზღუდული მოცულობით დემოკრატიისა და კანონიერების ელემენტები.

ლიბერალური სახელმწიფო ყალიბდება ლიბერალური იდეებისა და დოქტრინების ზეგავლენით. ასეთ სახელმწიფოში იქმნება პირობები პიროვნების სამართლებრივი ავტონომიისათვის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების საკანონმდებლო განმტკიცებისათვის, მოქმედებს სამართლებრივი რეჟიმი – „ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის კანონით“.

დემოკრატიულ სახელმწიფოში შექმნილია პირობები იმისათვის, რომ რეალურად განხორციელდეს მოქალაქეთა მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტი არჩევითია და ხალხის კონტროლით ფუნქციონირებს. მოქალაქეებს აქვთ კანონით გარანტირებული ფართო უფლებები და თავისუფლებები. დემოკრატიული სახელმწიფო ემსახურება პიროვნების და საზოგადოების ინტერესებს.

განხილულ კლასიფიკაციას აქვს მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა. მისი მთავარი კრიტერიუმია პოლიტიკური რეჟიმი. ასეთი ტიპოლოგია ზოგადად და მთლიანად ეხება სამართლებრივ სისტემებსაც.

იმ კრიტერიუმებს შორის, რომლის საფუძველზე ხდება სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგია, არის ცივილიზაციის კრიტერიუმი. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ტიპოლოგიის საფუძვლად მიჩნეულ იქნეს ცივილიზაციის დონე. ცივილიზაცია არის კაცობრიობის განვითარების ისეთი საფეხური, როცა წარმოიშვნენ სოციალური ცხოვრების ინსტიტუტები – ადამიანის, როგორც სუვერენული პიროვნების უფლებები და სოციალური ცხოვრების წესრიგი. ცივილიზაციის საფუძველია გონიერება და სამართლიანობა, საზოგადოების მატერიალური და სულიერი ღირებულებანი.

ინგლისელი ისტორიკოსი არნოლდ ტოინბი მართებულად მიიჩნევს სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგიას ცივილიზაციის საფუძველზე, რომელიც მოიცავს საზოგადოების ცხოვრების არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, არამედ რელიგიურ, კულტურულ, ფსიქოლოგიურ და სხვა ზოგადკაცობრიული ღირებულებების ერთიანობას. მისი აზრით, მსოფლიო ისტორია იცნობს 26 ცივილიზაციას: რომაულს, ბერძნულს, ეგვიპტურს, ჩინურს, აღმოსავლურს, არაბულს, მექსიკურს, ირანულს, სლავურს, სირიულს და ა.შ.[16]

[16] Тойнби А. Постижение истории. М. 1996. С. 35-37

მსოფლიო ცივილიზაციები აყალიბებენ სახელმწიფოთა და სამართლებრივი სისტემების შემდეგნაირ ტიპოლოგიას:

❍ უძველესი სახელმწიფოები და სამართლებრივი სისტემები – ძველი საბერძნეთი, ძველი რომი, ძველი აღმოსავლეთი;

❍ შუა საუკუნეების სახელმწიფოები და სამართლებრივი სისტემები – დასავლეთევროპული, აღმოსავლეთევროპული, აზიური;

❍ თანამედროვე სახელმწიფოები და სამართლებრივი სისტემები – განვითარებული, სამართლებრივ-სოციალური, განვითარებადი.

ტიპოლოგიის კრიტერიუმის დახასიათებისას აუცილებელია იმის გარკვევა, რა არის მთავარი ამა თუ იმ ტიპის სახელმწიფოსა და სამართლებრივ სისტემებში, როგორია ტიპოლოგიის პროცესის აზრი და მნიშვნელობა.

სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების მეცნიერული კლასიფიკაცია არ არის ყოვლისმომცველი. როგორც ადრე, ასევე ამჟამადაც არსებობენ ე.წ. გარდამავალი სახელმწიფოები. ზოგიერთი მათგანი წარმოიშვა კოლონიური სისტემის რღვევის შედეგად და ორიენტაცია აიღო არსებული ტიპის სახელმწიფოებად ჩამოყალიბებისაკენ (უმთავრესად ბურჟუაზიული სახელმწიფოსკენ). ზოგიერთ მათგანში შერწყმული იქნა სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოს ნიშნები (მაგალითად, სკანდინავიის სახელმწიფოებში ბურჟუაზიული ტიპის სახელმწიფოსთან შერწყმულია სოციალისტური ტიპის სახელმწიფოს ნიშნები). გარდამავალი სახის სახელმწიფოების არსებობა განპირობებულია სახელმწიფოების ევოლუციური განვითარების კანონზომიერი პროცესით, რაც არსებითად ეწინააღმდეგება მარქსისტულ მოძღვრებას, რომლის თანახმად ერთი ისტორიული ტიპის მეორე ტიპით შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციური გზით.

§ 2. ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები

ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ უძველესი სახელმწიფოები წარმოიშვნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში (ეგვიპტე, ბაბილონი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ.). მათი განვითარების თავისებურება ბევრად განაპირობა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და განსაკუთრებულმა კლიმატურმა პირობებმა. მკაცრი კლიმატური პირობებისა და ნიადაგის თავისებურებათა გამო აუცილებელი იყო რთული საირიგაციო სის-

ტემის შექმნა და ხელოვნური მორწყვის უზრუნველყოფა. სასოფლო სამეურნეო წარმოება მოითხოვდა პირველყოფილი თემური წყობილების გადმონაშთების და პატრიარქალური ოჯახის შენარჩუნებას, ვინაიდან ცალკეულ ოჯახებს არ შეეძლოთ შეესრულებინათ ფართო მოცულობის მძიმე საირიგაციო სამუშაოები. შენარჩუნებული იყო პატრიარქალური მონობის პრიმიტიული ფორმები – მონას შეეძლო ჰქონოდა ქონება და ოჯახი. იგი ცოტათი თუ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი მოთემისაგან. მონებზე კერძო საკუთრებასთან ერთად არსებობდა მათზე სახელმწიფოს და ეკლესიის კოლექტიური საკუთრება. ეგვიპტეში და ბაბილონში იყვნენ სახელმწიფო და საეკლესიო მონები, რომელთა წვლილი დიდი იყო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდა სახელმწიფოს საკუთრება მიწაზე და წარმოების საშუალებებზე, მათ შორის მონებზე. თემურ საკუთრებასთან ერთად არსებობდა კოლექტიური საკუთრების ფორმები. ამ ქვეყნებში კერძო საკუთრებამ ვერ ჰპოვა ისეთი ფართო განვითარება, როგორც სხვა მონათმფლობელურ სახელმწიფოებში.

ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში არ იყო საზოგადოების ტრადიციული კლასობრივი დიფერენციაცია. ადამიანთა ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდნენ ტრადიციები, დამახასიათებელი იყო შეკავებული განვითარება, მათთან საუკუნოობით არაფერი იცვლებოდა. სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები იყო:

- საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზაცია – საირიგაციო სისტემის შექმნა და განვითარება;
- გადასახადების აკრეფა;
- სამხედრო ფუნქცია – ტერიტორიების დაცვა და სხვა სახელმწიფოების ტერიტორიების დაპყრობა;
- მონებისა და მოთემეების წინააღმდეგობის დაძლევა.

ფუნქციების შესასრულებლად შექმნილი იყო მძლავრი, მკაცრად ცენტრალიზირებული ჩინოვნიკური აპარატი, რომელშიც წამყვანი როლი ეკუთვნოდა არმიას, პოლიციას და სასამართლოს. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ არსებობდა მკვეთრი გამიჯვნა უწყებებისა და ჩინოვნიკების კომპეტენციებს შორის. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო სპეციფიკური „პირამიდისებური“ სტრუქტურა. პირამიდის სათავეში იდგა მონარქი (მეფე, ფარაონი), შემდეგ მისი გარემოცვა, უფრო ქვემოთ დაბალი

რანგის ბიუროკრატია. პირამიდის საფუძველს შეადგენდნენ მონები და მეთემეები.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია ხშირად ღებულობდა „აღმოსავლური დესპოტიის"[17] ფორმას, რომლის დროს შეუზღუდავი ხელისუფლება ეკუთვნოდა ერთ პირს – მემკვიდრეობით მონარქს, რომლის ძალაუფლება ეყრდნობოდა ძლიერ სამხედრო-ბიუროკრატიულ აპარატს.

აღნიშნულ სპეციფიკურ თავისებურებათა გამო ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები წარმოადგენენ განსაკუთრებული სახის სახელმწიფოებს, თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია ის მოსაზრებაც, რომ ძველი აღმოსავლეთის მონათმფლობელობა ასოცირდება მონათმფლობელური წყობილების განვითარების პირველ სტადიასთან.[18]

§ 3. მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი

მონათმფლობელური სახელმწიფო წარმოადგენს ისტორიულად სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის პირველ ტიპს, რომელიც წარმოიშვა ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოების შემდეგ კერძო საკუთრების გაჩენის, ქონებრივი დიფერენციაციის და საზოგადოების კლასებად დაყოფის შედეგად. უფრო გამოკვეთილად კლასობრივი მონათმფლობელური სახელმწიფო შეიქმნა საბერძნეთში (VIII-VI სს. ჩვ.წ.აღ-მდე) და რომში (VI ს. ჩვ.წ.აღ-მდე).

მონათმფლობელური სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველია მონათმფლობელთა კერძო საკუთრება წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე, მათ შორის მონებზეც. მონებს, რომლებიც მატერიალური სიკეთის მთავარი შემქმნელნი იყვნენ არ ჰქონდათ სამართლის სუბიექტის სტატუსი. ისინი მიჩნეულნი იყვნენ სამართლის ობიექტებად, ერთ-ერთ ყველაზე აუცილებელ ნივთად (res mancipi), მოლაპარაკე ინსტრუმენტად (instrumentum vocalis).

მონათმფლობელური სახელმწიფოს პირობებში კაცობრიობის ისტორიაში პირველად წარმოიშვა მკვეთრი დაპირისპირება საზოგა-

[17] Despoteia – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს შეუზღუდავ ხელისუფლებას

[18] Lauren Benton, Law and Colonial Cultures: Legal Regimes in World History, 1400-1900, 2001, p. 25

დოების ჯგუფებს შორის, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უთანასწორობა, საზოგადოებაში გაბატონდა ერთი კლასი – მონათმფლობელები, დამკვიდრდა მონათა სრული უუფლებობა და ულმობელი ექსპლუატაცია.

მონათმფლობელური საზოგადოების ძირითადი საშინაო ფუნქცია იყო მონათმფლობელთა კერძო საკუთრების დაცვა და მონათა წინააღმდეგობის დაძლევა. საგარეო ფუნქციას წარმოადგენდა ქვეყნის ტერიტორიის დაცვა, სხვა ქვეყნებთან მშვიდობიანი კავშირი, ასევე სხვისი ტერიტორიების დაპყრობა.

მონათმფლობელური სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმა იყო მონარქია და რესპუბლიკა. მაგალითად, მონარქია არსებობდა ძველ რომში. III საუკუნეში რომში დამყარდა შეუზღუდავი მონარქია (დომინატი). სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებდა იმპერატორი, რომელმაც ღიად გამოაცხადა თავისი ღვთაებრივი წარმომავლობა. მისი ძალაუფლება დაფუძნებული იყო მრავალრიცხოვან ადმინისტრაციულ-სასამართლო და სამხედრო აპარატზე. ამ პერიოდში რომში მთლიანად გაქრა რესპუბლიკური ინსტიტუტები.

რომის იმპერია – რომის ცივილიზაციის ნაწილია. ამ პერიოდმა კაცობრიობის ისტორიას შესძინა ისეთი გამოჩენილი მოაზროვნეები, სწავლულები, ლიტერატორები, არქიტექტორები, იურისტები და ისტორიკოსები, როგორებიც იყვნენ მარკ ავრელიუსი, სენეკა, აპულეი, კორნელი ტაციტი, ოვიდეი, მარციელი და ა.შ. დღემდე აოცებს ადამიანებს კოლიზეის და პანთეონის არქიტექტურული შედევრები.

მონათმფლობელური რესპუბლიკა ორი სახის იყო:

❍ დემოკრატიული რესპუბლიკა (ათენი), სადაც ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობდა თავისუფალი მოსახლეობის ყველა ფენა და

❍ არისტოკრატიული რესპუბლიკა (სპარტა), სადაც ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობდა დიდგვაროვანი სამხედრო-მიწათმფლობელი არისტოკრატიის ზედა ფენა.

მონათმფლობელური სამართალი წარმოადგენდა ზოგადსავალდებულო ნორმების სისტემას, რომელიც არეგულირებდა საზოგადოებრივ ურთიერთობებს გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისად. მონათმფლობელური სამართალი განამტკიცებდა მონათმფლობელთა კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე და მონებზე, იცავდა

მონათმფლობელურ საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებას, სოციალურ უთანასწორობას საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის. მონათმფლობელური სამართლის სოციალურ-კლასობრივი არსი ვლინდება ეპოქის ისეთი ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში, როგორიცაა სოლონის კანონები (ათენი) და სერვიუს ტულიუსის კანონები (ძვ. რომი).

იმპერიის პერიოდში მონათმფლობელური რომის სამართალმა მიაღწია განვითარების მაღალ დონეს. სახელმწიფოს სავაჭრო კავშირების გაფართოებამ წარმოშვა კერძო სამართლებრივი ურთიერთობანი, რომელთა რეგულირებისათვის რომაელმა იურისტებმა ზედმიწევნით დაამუშავეს და განავითარეს ბევრი სამართლებრივი ინსტიტუტი, კერძოდ სანივთო, საკუთრების, სესხის, გირაოს, ყიდვა-გაყიდვის, შენახვის, გაცვლის, საოჯახო, მემკვიდრეობის ინსტიტუტი და ა.შ.

რომის სამართალი გახდა კლასიკური სამართლის სახე, რომელიც დაფუძნებული იყო კერძო საკუთრებაზე. მან განვლო მონათმფლობელური ეპოქა და შემდგომში მძლავრი გავლენა მოახდინა არა მარტო კერძო სამართლის, არამედ კაცობრიობის კულტურის განვითარებაზეც.

მონათმფლობელთა მიერ მონების ულმობელი ექსპლუატაცია იწვევდა მონათა ხშირ აჯანყებებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეარყიეს მონათმფლობელური სახელმწიფოს საფუძვლები. ამასთანავე, მონათმფლობელური წყობილების წიაღში ჩაისახა და განვითარდა ახალი, უფრო პროგრესული საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების – ფეოდალიზმის დამკვიდრების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური წანამძღვრები.

§ 4. ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი

ფეოდალურმა სახელმწიფომ და სამართალმა ისტორიულად შეცვალა მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი. უმეტეს შემთხვევებში, ფეოდალური სახელმწიფო წარმოიშვა მონათმფლობელური ეკონომიკური და სოციალური წყობილების თანდათანობით რღვევისა და მის წიაღში ფეოდალიზმის ჩასახვის შედეგად. ეს პროცესი მიმდინარეობდა ყველა მონათმფლობელურ სახელმწიფოში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემებში. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კი ფეოდალური სახელმწიფო წარმოიშვა უშუალოდ პირველყოფილი თემური წყობილების თანდათანობითი განვითარების, შემდეგ კი მისი რღვევისა და ფეო-

დალური წყობილების ჩასახვის შედეგად. ეს გზა გაიარეს აღმოსავლეთ და დასავლეთ სლავებმა (რუსეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, სკანდინავიის ქვეყნები, იაპონია და ა.შ.).

ფეოდალური სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველია ფეოდალთა კერძო საკუთრება მიწაზე და წარმოების სხვა საშუალებებზე, ხოლო არასრული საკუთრება – ყმა გლეხებზე. სოციალური საფუძველია ორი ძირითადი კლასი – ფეოდალები და ყმა გლეხები. მონისაგან განსხვავებით ყმა გელეხებს ჰქონდათ გარკვეული უფლებები. მართალია მათ არ ჰქონდათ მიწაზე კერძო საკუთრების უფლება, მაგრამ შეეძლოთ ჰქონოდათ თავისი პატარა მეურნეობა და ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო იარაღი, საყოფაცხოვრებო ნაგებობა და ინვენტარი. გლეხი მატერიალური სიკეთის მწარმოებელია და დაინტერესებულია შრომის შედეგით. ამდენად, ფეოდალური წარმოების წესი და ფეოდალური წყობილება გაცილებით ეფექტური და პროგრესულია მონათმფლობელობასთან შედარებით.

მიწაზე ფეოდალთა კერძო საკუთრება და არასრული საკუთრება ყმა გლეხზე გახდა სოციალური უთანხმოების მიზეზი. მართალია ფეოდალს არ ჰქონდა ყმა გლეხის მოკვლის უფლება, მაგრამ შეეძლო ეყიდა და გაეყიდა იგი, გაეცვალა რაიმე საქონელზე, ჩარეულიყო მის პირად ცხოვრებაში, დაეშორებინა ოჯახისათვის და ა.შ. ამას ემატებოდა ეკონომიკური ექსპლუატაცია – ყმა გლეხებზე ფეოდალური რენტის, ათასგვარი გადასახადების, მოსაკრებლების და ბეგარის დაკისრების სახით. ყმა გლეხი იძულებით იყო დამაგრებული მიწაზე. გარდა ფეოდალებისა და ყმა გლეხებისა ფეოდალურ საზოგადოებაში არსებობდნენ სხვა სოციალური ფენებიც.

ფეოდალური საზოგადოების დიფერენციაცია შერწყმული იყო წოდებრივ დაყოფასთან. წოდებები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ კანონით განმტკიცებული უფლება-მოვალეობებით. არსებობდნენ ისეთი წოდებები, როგორიცაა თავადები, აზნაურები, ჩინოვნიკები, სასულიერო პირები, ხელოსნები, ვაჭრები, ბიურგერები. ამ უკანასკნელებს არ ჰქონდათ ის პრივილეგიები, რაც უმაღლეს წოდებებს.

წოდებრივი იერარქიული პირამიდის საფუძველს შეადგენდნენ ყმა გლეხები, ყველაზე უუფლებო და ჩაგრული სოციალური ფენა. ამით იყო განპირობებული, რომ ფეოდალური საზოგადოების მთელი ისტორიის მანძილზე ხშირი იყო გლეხთა აჯანყებები და ომები.

ფეოდალური სახელმწიფო იყო ფეოდალთა პრივილეგირებული წოდებების დიქტატურის პოლიტიკური ორგანიზაცია. საშინაო და საგარეო ფუნქციებს ფეოდალური სახელმწიფო ახორციელებდა სახელმწიფო მექანიზმის მეშვეობით, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა არმია, პოლიცია, ჟანდარმერია, სამხედრო ადმინისტრაცია და სასამართლო აპარატი. ფეოდალური სახელმწიფოს სოციალური არსი გამოიხატებოდა ფეოდალთა შეუზღუდავ ხელისუფლებაში.

ფეოდალური სახელმწიფოს ფუნქციები განისაზღვრებოდა საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობებით. საშინაო ფუნქციებიდან აღსანიშნავია: ფეოდალთა კერძო საკუთრების დაცვა; ყმა გლეხების და საზოგადოების სხვა ექსპლუატირებული ფენების წინააღმდეგობათა დაძლევა; საზოგადოების მოთხოვნებიდან გამომდინარე საკითხების გადაჭრა.

საგარეო ფუნქციებს შეადგენდა: ქვეყნის ტერიტორიების დაცვა გარეშე თავდასხმებისაგან და დაპყრობითი ომების წარმოება.

მმართველობის ძირითად ფორმას წარმოადგენდა ფეოდალური მონარქია, რომელმაც განვითარების სხვადასხვა სტადია განვლო:

- დეცენტრალიზებული, დაქუცმაცებული მონარქია, რომლის დროს მონარქი, როგორც ყველაზე ძლიერი ფეოდალი, ხელისუფლებას განავრცობს ძირითადად მის საკუთრებაში მყოფ მიწებზე.
- წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია, რომლის დროს მოხდა ცენტრალიზაციის გაძლიერება, მონარქთან ერთად არსებობდა საზოგადოების სხვადასხვა წოდებებისაგან შემდგარი ორგანოები (მაგალითად, საფრანგეთში – გენერალური შტატები, რუსეთში – საერობო კრება, ინგლისში – პარლამენტი, საქართველოში – დარბაზი და ა.შ.), რომელთა გადაწყვეტილებისათვის მონარქს ანგარიში უნდა გაეწია.
- აბსოლუტური მონარქია, რომელიც წარმოადგენდა უაღრესად ცენტრალიზებულ სახელმწიფოს, მონარქის შეუზღუდავი ძალაუფლებით.

ფეოდალიზმის ეპოქაში მმართველობის რესპუბლიკური ფორმა არსებობდა ქალაქ-რესპუბლიკებში (ვენეცია, გენუა, ნოვგოროდი, ფსკოვი და ა.შ.).

საადგილმამულო საკუთრების მკაცრი იერარქიული სტრუქტურა და შესაბამისად წოდებრივი იერარქია უზრუნველყოფდა ფეოდალური სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური წყობის დაცვას და შენარჩუნებას.

ფეოდალურ საზოგადოებაში განსაკუთრებული როლი ჰქონდა ეკლესიას. საეკლესიო ხელისუფლება არცთუ იშვიათად გათანაბრებული იყო მონარქის ხელისუფლებასთან. ეკლესიას ჰქონდა მძლავრი ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ბერკეტები საიმისოდ, რომ ზემოქმედება მოეხდინა მილიონობით ადამიანის აზროვნებასა და ქცევაზე, მათ სულიერ ცხოვრებაზე.

ფეოდალური სამართალი წარმოადგენდა სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობას, რომელიც იურიდიულად განამტკიცებდა ფეოდალურ საკუთრებას მიწაზე და წარმოების სხვა საშუალებებზე, სისტემაში ჩამოყალიბებულ ექსპლუატაციას, ფეოდალთა ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ბატონობას. ფეოდალურ სამართალს ჰქონდა ნათლად გამოხატული წოდებრივი ხასიათი, ეს იყო ძლიერთა სამართალი, რომელიც ფართო სივრცეს ქმნიდა ფეოდალთა მხრიდან თვითნებობასა და ძალადობისათვის.

ფეოდალური სამართლის დამახასიათებელი თავისებურება იყო მისი პარტიკულარიზმი. ქვეყანაში არ არსებობდა სამართლის ერთიანი სისტემა. სახელმწიფოს ცალკეულ ნაწილებში (საფეოდალოებში, სამთავროებში, საგრაფოებში და ა.შ.) არსებობდა სამართლის განსხვავებული სისტემები, რომლებიც ადგილობრივ ჩვეულებებზე და ცალკეულ ფეოდალთა აქტებზე იყვნენ დამყარებულნი. აღსანიშნავია, რომ ფეოდალურ საფრანგეთში არსებობდა ადგილობრივი – ჩვეულებითი სამართლის 300-მდე სისტემა. ანალოგიური მდგომარეობა იყო გერმანიაში და სხვა ფეოდალურ სახელმწიფოებში. ფეოდალური სამართალი არ იცნობდა სამართლის სისტემის დაყოფას დარგებად და ინსტიტუტებად.

ფეოდალურ ქვეყნებში დიდი იყო კანონიკური სამართლის მნიშვნელობა. გაბატონებული რელიგია აყვანილი იყო სახელმწიფო რელიგიის რანგში. მაგალითად, რომის კათოლიკური ეკლესია უფლებას აძლევდა რომის პაპს შეექმნა „სამართალი მიწაზე".

ფეოდალური საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ გაფართოვდა სასაქონლო ფულადი ურთიერთობანი. ფეოდალური სამართალი სულ უფრო და უფრო მეტად იყენებდა რომის სამართლის დებულებებს (რეცეპცია). რომის სამართლის რეცეპციის – გადმოღების უფრო თვალსაჩინო გავრცელებას ადგილი ჰქონდა გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში.

ფეოდალური სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა ჩვეულებანი. ფეოდალური საზოგადოების განვითარების გვიანდელ სტადიაზე, განსაკუთრებით აბსოლუტიზმის პერიოდში ფართოდ გავრცელდა დაწერილი კანონები, გაჩნდნენ სისხლის და სისხლის საპროცესო კანონმდებლობის კრებულები, კანონთა კოდექსები. ამ მხრივ, აღსანიშნავია, გერმანიაში 1532 წელს გამოცემული სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი („კაროლინა" – ეწოდა იმპერატორ კარლოს V-ის სახელის მიხედვით), 1649 წლის რუსეთის სახელმწიფოს კანონთა პირველი კრებული და სხვ.

განვითარების ბოლო ეტაპზე ფეოდალური საზოგადოების წიაღში ჩაისახა ბურჟუაზიული (კაპიტალისტური) წარმოებითი ურთიერთობანი, რომელიც მოითხოვდა თავისუფალ მუშა ძალას. საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ახალი კლასი – ბურჟუაზია, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდა ფეოდალებს და ფეოდალურ სახელმწიფოს. მსოფლიოს გადაუარა ბურჟუაზიული რევოლუციების ტალღამ, რასაც შედეგად მოჰყვა ფეოდალური წყობილების რღვევა და ახალი, ბურჟუაზიული წყობილების დამკვიდრება.

§ 5. კაპიტალისტური (ბურჟუაზიული) სახელმწიფო და სამართალი

კაპიტალისტური სახელმწიფო ისტორიულ არენაზე გამოვიდა ბურჟუაზიული რევოლუციების შედეგად, რომელთა ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრები შეიქმნა ფეოდალური წყობილების წიაღში. ფეოდალიზმის მომწიფების სტადიაზე სწრაფად ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი და ამასთანავე, გაძლიერდა სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობა მომავალ ახალ ბურჟუაზიულ კლასსა და ფეოდალებს შორის. ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა საბოლოოდ დაამსხვრია ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობანი და დასაბამი მისცა კაპიტალისტური სახელმწიფოების ჩამოყალიბებას.

კაპიტალისტური სახელმწიფო აღმოჩნდა ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ტიპი, რომელმაც ადაპტირება მოახდინა შეცვლილ პირობებთან მიმართებაში. კაპიტალისტური სახელმწიფოები წარმოიშვნენ სამი საუკუნის წინ. ბურჟუაზია ხელისუფლებაში მოვიდა ლოზუნგით: „თა-

ვისუფლება, თანასწორობა, მეგობრობა". კაპიტალისტური სახელმწიფოების დამყარება ფეოდალიზმთან შედარებით იყო უდიდესი ნაბიჯი სოციალური პროგრესის გზაზე.

საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი გახდა მეურნეობისა და კერძო საკუთრების ახალი სისტემა. კერძო საკუთრება გამოცხადდა წმინდათა წმინდად და ხელშეუხებლად. იგი გახდა ეკონომიკური თავისუფლების საფუძველი, რაც ადამიანის პოლიტიკური, სოციალური და პირადი თავისუფლების საწინდარია.

კაპიტალისტურმა სახელმწიფომ გაიარა განვითარების სხვადასხვა ეტაპები:

პირველი ეტაპია კაპიტალისტური სახელმწიფოს დამკვიდრებისა და განვითარების ეტაპი. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს იყო მესაკუთრეთა შორის თავისუფალი კონკურენციის პერიოდი, როცა სახელმწიფო არ ერეოდა ეკონომიკაში, ეკონომიკურ ცხოვრებას განსაზღვრავდა სტიქიური ბაზარი და კონკურენცია. საერთო სახალხო ინტერესების გამოვლენისათვის ბურჟუაზიას სჭირდებოდა ახალი, უფრო თანადროული მექანიზმი. ასეთი მექანიზმი გახდა ბურჟუაზიული დემოკრატია, პარლამენტარიზმი, კანონიერება. სახელმწიფო უზრუნველყოფდა კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებისათვის კეთილმყოფელი პირობების შექმნას.

კაპიტალისტური სახელმწიფოს განვითარების მეორე ეტაპი არის მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდი. ამ ეტაპზე ეკონომიკაში ხდება დიდი ცვლილებები, კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებისათვის ერთიანდებიან წვრილი საწარმოები და ფირმები, მონოპოლიზირებული ხდება წარმოების და განაწილების სხვადასხვა სფეროები, ჩნდებიან მძლავრი გაერთიანებანი – ტრესტები, სინდიკატები, კორპორაციები.

მეორე ეტაპი არის პერიოდული კრიზისებისა და დეპრესიების ეტაპი, რომელსაც ახლავს საწარმოთა გაკოტრება, უმუშევრობა, სოციალურ ფენებს შორის დაპირისპირება. კაპიტალის მონოპოლიზაციამ და კონკურენციამ რევოლუციური იდეებით გააერთიანა მუშათა კლასი. 1871 წლის პარიზის კომუნა ისტორიულად პირველი მცდელობა იყო მუშათა კლასს რევოლუციური გზით მოეპოვებინა სახელმწიფო ხელისუფლება.

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე კაპიტალისტური სახელმწიფო

თანდათანობით გახდა მსხვილი მონოპოლისტური ბურჟუაზიის პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც უგულვებელყოფდა დემოკრატიას და კანონიერებას. მთელ რიგ ქვეყნებში, ამან გამოიწვია რეაქციული პოლიტიკური რეჟიმების წარმოშობა (ფაშისტური რეჟიმი გერმანიასა და იტალიაში). XX საუკუნის პირველი ათწლეულები იყო მეორე მსოფლიო ომის, პროლეტარული რევოლუციების, კოლონიური სისტემის რღვევის, მძიმე ეკონომიკური კრიზისებისა და დეპრესიების ეპოქა.

XX საუკუნის 30-იან წლებში კაპიტალისტური სახელმწიფო შევიდა თავისი განვითარების მესამე (თანამედროვე) ეტაპში, რომელიც უდავოდ წარმოადგენს კაპიტალისტური სახელმწიფოს უმაღლეს ეტაპს. მას სათავე დაუდო აშშ-ის პრეზიდენტის ფ. რუზველტის „ახალმა კურსმა“, რომელიც დაკავშირებული იყო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად გამოწვეულ მასშტაბურ ცვლილებებთან.

ამ ეტაპზე არსებითად იცვლება კაპიტალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველი. კერძო საკუთრების 30 %-ზე მეტი განვითარებულ სახელმწიფოში სახელმწიფო საკუთრებაში გადადის, სწრაფი ტემპით ვითარდება აქციონერთა და კორპორაციული საკუთრება. საკუთრების ფორმების მრავალსახეობა ბევრად განაპირობებს ეკონომიკის დინამიზმს, შეცვლილ პირობებთან შეგუების უნარს.

თვალსაჩინო ცვლილებები ხდება კაპიტალისტური საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. ორი ძირითადი სოციალური ფენის – ბურჟუაზიისა და მუშათა გარდა, საზოგადოების სოციალურ სისტემაში შედიან: ინტელიგენცია, წვრილი მეწარმეები, საშუალო მესაკუთრეები, წვრილი ბიზნესმენები, ჩინოვნიკები, ფერმერები და ა.შ. ბევრი მუშა ხდება აქციონერი და სხვა სოციალურ ფენებთან ერთად ქმნის საშუალო ფენას, რაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტაბილიზაციის ძირითადი ბერკეტია.

თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უმრავლესობის ცხოვრების დონე იმ ზღვარზე მაღალია, რომლის შედეგად ადამიანი თავის თავს გრძნობს ავტონომიურ სუბიექტად და რომლისთვისაც უფრო მაღალი ჯგუფის წარმომადგენელი კლასობრივი მტერი კი არ არის, არამედ მიბაძვის ნიმუშია.

საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში, ისევე, როგორც სახელმწიფოს მექანიზმში დომინირებული მდგომარეობა უჭირავს ბურჟუაზიას. ის განსაზღვრავს სახელმწიფოს არსსა და ბუნებას, საშინაო და

საგარეო პოლიტიკას, სახელმწიფოს საქმიანობის მთავარ მიმართულებებს.

კაპიტალისტური სახელმწიფო ხდება უფრო სოციალური და დემოკატიული, მისი საქმიანობა ორიენტირებულია საყოველთაო, სოციალური პირობების გადაჭრაზე, ბევრი ფუნქცია გამომდინარეობს მთელი საზოგადოების მოთხოვნილებიდან.

კაპიტალისტური სახელმწიფოს ძირითადი საშინაო ფუნქციებია:

❍ ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიზნების და პერსპექტივების განსაზღვრა, შიდა საზოგადოებრივი წინააღმდეგობების რეგულირება;

❍ ეკონომიკის განვითარებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა;

❍ საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განმტკიცება და შემდგომი სრულყოფა;

❍ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, კანონიერების განმტკიცება;

❍ საზოგადოების კულტურული და სულიერი ცხოვრების სფეროების განვითარება და ა.შ.

ძირითადი საგარეო ფუნქციებია:

❍ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება;

❍ სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობა.

კაპიტალისტური სახელმწიფოს მექანიზმი რთულია; სახელმწიფო ხელისუფლების განსახორციელებლად შექმნილია მრავალრიცხოვანი სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტები: სახელმწიფოს აპარატი, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არასამთავრობო სტრუქტურები.

კაპიტალისტური სახელმწიფოს აპარატი ფუნქციონირებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე. შესაბამისად, მასში შედიან: სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოები, სახელმწიფო მმართველობის აღმასრულებელი ორგანოები, სასამართლო ორგანოები.

სახელმწიფოს აპარატში გამოიყოფა ხელისუფლების განხორციელების ისეთი საშუალებანი, როგორიცაა უზარმაზარი შეიარაღებული ძალები, პოლიცია, დაზვერვა, კონტრდაზვერვა და ა.შ.

კაპიტალისტური სახელმწიფოს მმართველობის ფორმებია:

❍ კაპიტალისტური დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ორი სახისაა: საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკები;

❍ კაპიტალისტური კონსტიტუციური მონარქია – პარლამენტური (სადაც მთავრობას ქმნის ის პარტია, რომელსაც უმრავლესობა აქვს პარლამენტში) და დუალისტური (სადაც მონარქი თვითონ ქმნის მთავრობას) მონარქიები.

კაპიტალისტური სამართალი არის სავალდებულო ნორმების ერთობლიობა, რომელიც მოწოდებულია დაიცვას კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, საკუთრების ფორმები, მეურნეობის კერძო სამართლებრივი სისტემა, ადამიანის კანონიერი უფლებები და ინტერესები. კაპიტალისტური სამართალი მიეკუთვნება განვითარებულ სამართლებრივ სისტემას, იგი აღიარებს სამართლის დაყოფას კერძო და საჯარო სამართლად, ცალკეულ დარგებად და ინსტიტუტებად.

სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენენ კანონები, ნორმატიული აქტები (მთავრობის დეკრეტები, გადაწყვეტილებანი, დადგენილებანი, ინსტრუქციები და ა.შ.), სამართლებრივი ხელშეკრულებანი, ჩვეულებანი და პრეცედენტები. ეს უკანასკნელი გულისხმობს განსაზღვრულ მოქმედებას ან საკითხის გადაწყვეტას, რომელიც შემდგომში ანალოგიურ გარემოებებში განიხილება როგორც ნიმუში, ეტალონი. არსებობს ადმინისტრაციული და სასამართლო პრეცედენტი. სასამართლო პრეცედენტმა როგორც სამართლის წყარომ უფრო მეტად ჰპოვა გავრცელება ინგლისის, ავსტრალიის, კანადის, აშშ-ისა და სხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში.

კაპიტალისტური სახელმწიფოს და საზოგადოებრივ წყობაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა თავისი ასახვა ჰპოვა სხვადასხვა თეორიებში, რომელთა შორის მეტად გავრცელებულია საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია. ამ თეორიის თანახმად, ბოლო პერიოდში კაპიტალიზმი ძირეულად შეიცვალა. ის გახდა სახალხო კაპიტალიზმი, ხოლო კაპიტალისტური სახელმწიფო გადაიქცა საყოველთაო კეთილდღეობის ორგანოდ, რომელიც მოწოდებულია მდიდარი უფრო გაძლიერდეს და ღარიბი გამდიდრდეს. ეს თეორია მართალია ეყრდნობა რეალურ ფაქტებს და პროცესებს, მაგრამ მაინც არსებითად აიდიალებს კაპიტალისტურ სახელმწიფოსა და საზოგადოებას.

§ 6. სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი

სამართლიანი, ჰუმანური და დემოკრატიული საზოგადოების და სახელმწიფოს შექმნის იდეა ოდითგანვე იყო კაცობრიობის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ყურადღების ცენტრში. ეს იდეა გამოხატულია მრავალ მსოფლიო რელიგიაში, მათ შორის ქრისტიანულ რელიგიაშიც.

ნამდვილად სახალხო, დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს შესახებ მოძღვრება წამოყენებული და განვითარებული იქნა სოციალისტი უტოპისტების მიერ. დასრულებული სახე მან მიიღო მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების – კ. მარქსის, ფ. ენგელსის და ვ. ლენინის შრომებში.

იმ მომენტიდან, რაც ჩაისახა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს და სამართლის შესახებ, მის ირგვლივ მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს მწვავე კრიტიკა სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგების მხრიდან. ეს სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ასახავს განსაზღვრულ, ხშირად სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებს და ინტერესებს, პოლიტიკურ ღირებულებებსა და ამბიციებს.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა თავიანთი დოქტრინა პროლეტარიატის სახელმწიფოს შექმნის შესახებ განავითარეს პარიზის კომუნის გამოცდილებაზე დაყრდნობით. შემდგომში ვ. ლენინმა განავრცო ამ დოქტრინის ცალკეული დებულებანი. მარქსიზმის თეორეტიკოსები ხაზს უსვამენ სოციალისტური სახელმწიფოს და სამართლის შესახებ მოძღვრების დასაბუთებულობას და პროგრესულობას, თუმცა მათი პოლიტიკური და იდეოლოგიური ოპონენტები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. კრიტიკის ობიექტია სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მარქსისტულ-ლენინური დოქტრინის შემდეგი ღირებულებანი:

- მარქსიზმის მიხედვით სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი წარმოიშობა არა ევოლუციური, არამედ რევოლუციური ე.ი. ძალდატანებითი გზით;
- სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის დამკვიდრების და განვითარების კანონზომიერებას წარმოადგენს ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის მსხვრევა და განადგურება;

❍ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს ხალხი, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. არსებითად ეს არის პროლეტარიატის დიქტატურა. ამ დებულებას მარქსისტულ თეორიაში ენიჭება პრინციპული მნიშვნელობა;

❍ თავის განვითარებაში სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი გაივლიან ევოლუციური ცვლილების რამდენიმე ეტაპს. თითოეული მათგანი შეესაბამება საზოგადოების განვითარების ეტაპებს. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო თანდათან გადაიზრდება საერთო სახალხო სახელმწიფოში. მარქსისტული მოძღვრება ამტკიცებდა, რომ სოციალისტური სახელმწიფო აღარ არის სახელმწიფო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ არის „ნახევრად სახელმწიფო";

❍ სოციალისტური სახელმწიფოს მმართველობის ფორმას მარქსისტული მსოფლმხედველობის თანახმად, წარმოადგენს დემოკრატიული რესპუბლიკა;

❍ სახელმწიფო მოწყობის მიხედვით სოციალისტური სახელმწიფო უნდა იყოს უნიტარული, რომელიც დაეყრდნობა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს;

❍ მარქსისტული პოლიტიკური კონცეფციის თანახმად, სახელმწიფო და სამართალი არ არის უცვლელი, მარადიული მოვლენა. კლასების თანდათანობით კვდომასთან ერთად, სახელმწიფო და სამართალიც როგორც კლასობრივ-პოლიტიკური ინსტიტუტები თანდათანობით გადაიზრდებიან კომუნისტური თვითმმართველობის ორგანიზაციაში. ეს პროცესი არ უნდა იქნეს გაგებული ვულგარულად, როგორც ხელოვნურად შექმნილი ან ძალადობითი. ეს არის ბუნებრივი პროცესი, რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივი განვითარების მატერიალური, სულიერი და იდეოლოგიური წანამძღვრებით. ამრიგად, მარქსისტული თეორია კლასებს უკავშირებს სახელმწიფოსა და სამართლის არა მარტო წარმოშობას, არამედ კვდომასაც.

მარქსისტული დოქტრინა სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ პრაქტიკულად რეალიზებული იქნა საბჭოთა კავშირსა და ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებიც სოციალისტურ ქვეყნებად იწოდებოდნენ. მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ნაცვლად სოციალისტური სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტებისა შეიქმნა მათი სუროგატი, ფსევდო-მარქსისტული სახელმწიფო და სამართალი. სინამდვილეში სოციალისტური სახელმწიფო და

სამართალი იყო დეფორმირებული ტიპის სახელმწიფო და სამართალი, რომელმაც პრაქტიკულად ვერ შეძლო შეესრულებინა თავისი მისია, თუმცა სოციალიზმის იდეები მსოფლიოში ამჟამადაც აქტუალურია. მაგალითად, ჩინეთი თავისებურად აშენებს სოციალიზმს. ჩინელი თეორეტიკოსები და პოლიტიკოსები უფრო რეალისტურნი აღმოჩდნენ და მიიჩნევენ, რომ სოციალიზმის აშენებისთვის აუცილებელია არა ათეული, არამედ ათასწლეულები.

§ 7. გარდამავალი ტიპის სახელმწიფო და სამართალი

სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ევოლუციური განვითარება ყოველთვის არ არის სწორხაზოვანი პროცესი. ისტორია იცნობს მრავალ მაგალითს, როცა სახელმწიფოსა და სამართლის ტრადიციულ ტიპებთან ერთად არსებობენ გარდამავალი ტიპის სახელმწიფო და სამართლებრივი სისტემები.

სახელმწიფოსა და სამართლის გარდამავალი მდგომარეობა არ არის რაღაც არაჩვეულებრივი ან გამონაკლისი. ეს მოვლენა საერთოა ყველა სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემისათვის და კონკრეტულად ვლინდება ერთი ტიპის სახელმწიფოს და სამართლის მეორე ტიპის სახელმწიფოსა და სამართალზე გარდამავალ პერიოდში.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოთა ტიპოლოგია ხდება არა მარტო საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის, ასევე ცივილიზაციის საფუძველზეც. სახელმწიფოსა და სამართლის ტიპთაშორისი გარდამავალი მდგომარეობა ობიექტურად არსებული მოვლენაა და შენარჩუნებულია ყველა შემთხვევაში დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი ტიპისაა სახელმწიფო და სამართალი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია აზრი, რომ გარდამავალ ტიპში იგულისხმება არა სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების პროცესი, არამედ მათი ტიპთაშორისი მდგომარეობა, რომელიც წარმოიშობა ერთი ტიპის მეორე ტიპზე გადასვლის პროცესში.[19]

სახელმწიფოსა და სამართლის გარდამავალი მდგომარეობა მეტად რთული, წინააღმდეგობრივი მდგომარეობაა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს კრიტიკულ შეფასებასა და მომავლის პერსპექტივებთან. თანამედროვე საზოგადოების და მასთან ერთად სახელმწიფოსა

[19] Dictionary of Sociology and Related Sciences. p.32

და სამართლის გარდამავალი მდგომარეობა უეჭველად განსხვავდება წინა საუკუნეების მდგომარეობისაგან. ამჟამად, ამ პროცესს აქვს არა მარტო ლოგიკური, არამედ გლობალური ხასიათიც.

გარდამავალი ტიპის სახელმწიფოსა და სამართალს ახასიათებს ისეთივე ნიშნები, რაც ყველა ტიპის სახელმწიფოსა და სამართალს, მაგრამ კლასიკური ტიპებისგან განსხვავებით გააჩნიათ შემდეგი თავისებურებანი:

❍ გარდამავალი ტიპის ყველა სახელმწიფო, როგორც წესი, წარმოიშობა სხვადასხვა სახის სოციალური ძვრების (რევოლუციის, ომის, წარუმატებელი რეფორმის) შედეგად. მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლუციისგან განსხვავებით, ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია განვითარდა სულ სხვა პირობებში – ბურჟუაზიასა და ფეოდალთა კლასს შორის კომპრომისის პირობებში, რის შედეგადაც ამ ქვეყანაში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შენარჩუნებული იქნა მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობა, წარმოიშვა ახალი მიწათმფლობელი არისტოკრატია, რომელმაც შეინარჩუნა პოლიტიკური ხელისუფლება, მთელი რიგი ფეოდალური ინსტიტუტები.

❍ სახელმწიფოს, სამართლის და თვით საზოგადოების გარდამავალი მდგომარეობა თავის თავში შეიცავს სოციალური და სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების შემდგომი ევოლუციის რამდენიმე შესაძლებელ ვარიანტს, რამდენიმე ალტერნატიულ მოდელს. მაგალითად, პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში არის განვითარების ალტერნატიული შესაძლებლობანი – აირჩიონ კაპიტალისტური, სოციალ-დემოკრატიული განვითარების ან სახელმწიფოებრიობის სხვა მოდელი. პოსტ-საბჭოთა საზოგადოება ძირითადად ირჩევს საბაზრო ეკონომიკის და ნამდვილი დემოკრატიის მშენებლობას, რომელსაც შეესაბამება სამართლებრივი, სოციალური სახელმწიფო და სამართალი. უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ ქვეყანაში არ არის წინასწარ განსაზღვრული პროგრესული ან რეგრესული სტადია. ყველაფერი შედარებითი და პირობითია, რადგან ისტორია მეორდება განსაზღვრული დროის გავლის შემდეგ.

❍ სახელმწიფოსა და სამართლის, ასევე თვით საზოგადოების გარდამავალი მდგომარეობა აუცილებლობით არ არის დაკავშირებული არსებული სოციალური სისტემის მატერიალური საფუძვლის, ტრადიციული ეკონომიკური კავშირების მკვეთრ ცვალებადობასთან, რასაც

ზოგჯერ თან სდევს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონის დაქვეითება. ეს არის გარდამავალი ტიპის სახელმწიფოსა და სამართლის არცთუ ისე დადებითი კანონზომიერება სოციალურად ნეგატიური შედეგებით.

❍ გარდამავალი ტიპის სახელმწიფოსა და სამართლისათვის დამახასიათებელია სოციალური და პოლიტიკური საფუძვლების დროებითი შესუსტება, რაც გამოწვეულია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების გადაფასებით, მისი ყოყმანით – რომელი აირჩიოს – ძველი თუ ახალი სახელმწიფო სტრუქტურები. ეს თავის მხრივ იწვევს სოციალურ დაძაბულობას, საზოგადოებრივ მღელვარებასა და ქაოსს.

❍ გარდამავალი ტიპის სახელმწიფო გამოირჩევა ხელისუფლების დანაწილების სისტემაში აღმასრულებელი ხელისუფლების დომინირებული მდგომარეობით. ეს განპირობებულია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორებით. ობიექტურ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია აღმასრულებელ-განმკარგულებელი ხელისუფლების ხასიათი და ბუნება, მისი მობილობა, ქმედითობა, მატერიალური, სულიერი, ფინანსური და სხვა საშუალებების ეფექტური გამოყენების უნარი. სუბიექტური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ადამიანთა ცალკეული ჯგუფების ეკონომიკური, პოლიტიკური და ყოფითი ინტერესები, რომლებიც გადამწყვეტ გავლენას ახდენენ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, მმართველი ელიტის პროფესიულ და პიროვნულ თვისებებზე.

❍ გარდამავალი ტიპის სახელმწიფო და სამართალი გამოირჩევა სხვა ისეთი თავისებურებებითაც, როგორიცაა სახელმწიფოსა და სამართლის განვითარებაში სუბიექტური როლის ამაღლება, სახელმწიფო-სამართლებრივ მექანიზმში ძველი და ახალი ელემენტების შერწყმა. სახელმწიფოს ფორმებისა და სახელმწიფო-სამართლებრივი რეჟიმების პერიოდული ცვლა და ა.შ.[20]

გარდამავალი პერიოდი არის არა მარტო სახელმწიფოსა და სამართლის ევოლუციის ეტაპი, არამედ იმ საზოგადოებისაც, რომელსაც ისინი ეფუძნებიან. ამ რთული, მრავალმხრივი და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესის ცენტრში დგას სახელმწიფო, რომლის წინაშე არის ორი ურთიერთდაკავშირებული კომპლექსური ამოცანა: ერთ-ერთი მათგანია

[20] Status of Economic reforms in Cooperation Partner Countries in mid-1990s. Oportunities, Constrains, Security Implications. Colloque. 28-30. June, 1995. Bruxelles, 1995. P.275

სახელმწიფო მექანიზმის რეორგანიზაცია, მისი არსის, ორგანიზაციული ფორმის, საქმიანობის მეთოდების შეცვლა. მეორე ეხება საზოგადოების სტრუქტურაში ცვლილებებს, ეკონომიკის რეფორმირებას, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ახალი ორიენტაციების დადგენას, ოფიციალური იდეოლოგიის ფორმირებას.

სახელმწიფოს როლი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების განხორციელებაში განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით. მათ შორის დიდი როლი ენიჭება ისტორიულ ფაქტორს – ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს, საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ურთიერთობების ტიპს, ჩვეულებებსა და ტრადიციებს. ამასთან დაკავშირებით, სავსებით გასაგებია, რომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი განსხვავებულია ისეთი ქვეყნების მიმართ, როგორიცაა ერთის მხრივ აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის და მეორეს მხრივ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები.

სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას გარდამავალ პერიოდში წარმოადგენს პროგრესული ხასიათის რეფორმების განხორციელება, რომლებმაც კეთილმყოფელი გავლენა უნდა მოახდინოს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, ახალი ტექნოლოგიების განვითარებაზე, მოქალაქეთა უფლებების რეალიზაციის გარანტიების გაძლიერებაზე, მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის ამაღლებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია კონცეფცია გარდამავალ პერიოდში პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში „დემოკრატიაზე გადასვლის იდეალური ტიპის" შესახებ და გამოყოფილია ასეთი მოდელის რეალიზაციის შემდეგი სტადიები:

❍ პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაცია, სამოქალაქო თავისუფლების ინსტიტუციური აღიარება;

❍ ძველი ინსტიტუტების, პოლიტიკური სისტემების ყოფილი ელემენტების დემონტაჟი;

❍ მოქალაქეთა „რესოციალიზაციისათვის" – ახალი ღირებულებების და ახლად შექმნილი პოლიტიკური სისტემის პოზიტიური შეფასებისათვის ღონისძიებების გატარება;

❍ ქვეყნის საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია.

რა თქმა უნდა, როგორც ყველა მოდელი არც ეს არის იდეალური. რეალური ცხოვრება გაცილებით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სულ სხვადასხვა სქემებში და მოდელებში.

გარდამავალი პერიოდის სამართალი ადეკვატურად ასახავს იმ თავისებურებებს, რაც ამ პერიოდს ახასიათებს, პრიორიტეტულია ისეთი საკითხების საკანონმდებლო რეგულირება, როგორიცაა ახალი ეკონომიკური ურთიერთობების, საბაზრო ეკონომიკის და კონკურენტუნარიანი გარემოს დამკვიდრებისთვის კეთილმყოფელი პირობების შექმნა, საკუთრების ფორმების განმტკიცება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება პოლიტიკური და იდეოლოგიური პლურალიზმის საფუძველზე; დეკლარირებულია ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების გაფართოება, რაც მსოფლიო ცივილიზაციისათვის ბუნებრივი პროცესია; აღიარებულია საერთაშორისო სამართლის პრიორიტეტი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან მიმართებაში, თუ ის არ ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონმდებლობას.

ამრიგად, სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგიური დახასიათება შესაძლებლობას იძლევა მეცნიერულად დასაბუთებული წარმოდგენა შეგვექმნას სოციალური ცხოვრების ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტების შესახებ.

სქემა №12. სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგია

ტიპოლოგია ⟶ ასახავს სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ისტორიული განვითარების ლოგიკას, რაც საშუალებას იძლევა, გაერთიანდეს ჯგუფი სახელმწიფოს განსაზღვრული კრიტერიუმის საფუძველზე.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ტიპი
- მონათმფლობელური სახელმწიფო
- ფეოდალური სახელმწიფო
- კაპიტალისტური სახელმწიფო
- სოციალისტური სახელმწიფო
- გარდამავალი ტიპის სახელმწიფო და სამართალი

ცივილიზაციის ტიპი
- ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები
- ძველი ათენის სახელმწიფო
- ძველი რომის სახელმწიფო
- შუა საუკუნეების სახელმწიფო
- თანამედროვე – განვითარებული, სამართლებრივი, განვითარებადი

სახელმწიფო-სამართლებრივი (პოლიტიკური) რეჟიმი
- ტოტალიტარული სახელმწიფო
- ავტორიტარული სახელმწიფო
- ლიბერალური სახელმწიფო
- დემოკრატიული სახელმწიფო

თავი VI. სამოქალაქო საზოგადოება. სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო

§ 1. სამოქალაქო საზოგადოება

სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრება და განვითარება წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიის განსაკუთრებულ პერიოდს. საზოგადოება, სახელმწიფოსა და სამართლისაგან განსხვავებით ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ყოველთვის არ იყო სამოქალაქო საზოგადოება. იგი წარმოიშვა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო გამოეყო სოციალურ სტრუქტურებს. სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებისა და განვითარების პროცესში ჩართულია თანამედროვე სახელმწიფო და სამართალი.

კატეგორია „სამოქალაქო საზოგადოება" განსხვავდება ისეთი ცნებებისაგან, როგორიცაა „სახელმწიფო", „ოჯახი", „ერი", „რელიგიური და საზოგადოებრივი გაერთიანებანი". იგი შესწავლის საგანი გახდა XVIII-XIX საუკუნეებში და არსებითად დამუშავდა ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიაში". ამ ნაშრომში აღნიშნულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი საფუძველია ადამიანთა, როგორც სამართლის სუბიექტების თანასწორუფლებიანობა და იურიდიული თავისუფლება, კერძო საკუთრების ინდივიდუალიზაცია, უფლების დაცვა დარღვევისაგან, კანონმდებლობის სრულყოფა და ავტორიტეტული სასამართლო.

სამოქალაქო საზოგადოების ჩასახვა, ფორმირება და სრულყოფა სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების ხარისხს, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს უკავშირდება, როდესაც ცალკეული ჯგუფი სხვადასხვა ფორმით იწყებს ასპარესზე გამოსვლას და პოლიტიკურ პროცესში ერთვება.

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესი მოიცავს რამდენიმე საუკუნეს და იგი დღესაც გრძელდება. მან განაპირობა ახალი პერიოდი სახელმწიფოსა და სამართლის განვითარებაში. სამოქალაქო საზოგადოება არის არა მხოლოდ ინდივიდთა კრებადობა, არამედ მათი კავშირის სისტემა ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვაგვარი ურთიერთობის საფუძველზე.

სამოქალაქო საზოგადოება არ არის დაფუძნებული კანონზე, მაგრამ მისი არსებობა ორგანულად არის დაკავშირებული კანონებთან, რომლებიც იცავენ პიროვნების თავისუფლებას და საკუთრების უფლებას. რა თქმა უნდა, სამართლებრივი თანასწორობა არ არის ფაქტიური თანასწორობა, არამედ შესაძლებლობების თანასწორობა. მაგრამ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აღიარებულ იქნა ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, მიუხედავად მათი სოციალური წარმოშობისა.

სახელმწიფოსაგან განსხვავებით, სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს მოქალაქეთა, მათი გაერთიანებების მრავალფეროვანი ურთიერთობების სისტემას, რომელიც დაფუძნებულია თანასწორობასა და პირად ინიციატივაზე. ეს გაერთიანებანი იქმნება მისი მონაწილეების ნების საფუძველზე, თუმცა გარკვეულ ფარგლებში მათი საქმიანობა შეიძლება რეგულირებული იქნეს სამართლით. სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებისაგან და უნდა ჩაერთოს მხოლოდ მაშინ, როცა ამის აუცილებლობაა. ურთიერთობა მოქალაქეებსა და მათ გაერთიანებებს შორის დამყარებული უნდა იყოს თანასწორობის, თავისუფლებისა და კოორდინაციის საწყისებზე. მოქალაქეებს აქვთ უფლებაუნარიანობა – ფართო შესაძლებლობა დასდონ ესა თუ ის გარიგებანი საზოგადოებრივი, თუ კერძო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მოქალაქის უფლება გარანტირებული შესაძლებლობაა ისარგებლოს ამა თუ იმ სიკეთით. მოქალაქისათვის ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის კანონით.

სამოქალაქო საზოგადოება ღია საზოგადოებაა, რომელშიც მის წევრებს აქვთ არა მარტო მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაციები და პრესა, არამედ თავადაც ეკონომიკურად დამოუკიდებელი არიან მთავრობისაგან. საზოგადოებრივ საწყისებს სახელმწიფოებრიობის მიმართ განსაზღვრული უპირატესობა ენიჭებათ.

„სამოქალაქო საზოგადოება, აღნიშნავს ე. ჰელნერი – საკმაოდ ძლიერი, არასამთავრობო ინსტიტუციების განსახიერებაა, რათა დაუპირისპირდეს სახელმწიფოს, მაგრამ იმავდროულად არ უნდა შეეწინააღმდეგოს მას, შეინარჩუნოს მშვიდობა და განსხვავებულ ინტერესებს შორის გამოვიდეს არბიტრის როლში".[21]

[21] Геллнер Е. Условия свободы, гражданское общество и его исторические

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული რეჟიმის პირობებში. მის მთავარ მტერს წარმოადგენს ტოტალიტარიზმი, რომელიც უგულებელყოფს საზოგადოების წევრთა თანასწორობას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. თუ კაცობრიობას მომავალი უწერია, მისი ორიენტირი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოება, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრება.

თავისი ბუნებით, სამოქალაქო საზოგადოება დეპოლიტიზირებულია, არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ სისტემასა და სახელმწიფო პოლიტიკაზე. ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოება შეურიგებელია სახელმწიფოს მხრიდან ძალადობასთან. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოება დიალექტიკურ ურთიერთკავშირშია სახელმწიფოსთან. იმ ქვეყნებში, სადაც ჩამოუყალიბებელი, არარაფინირებული სამოქალაქო საზოგადოებაა, იგი შეიძლება სახელმწიფოს მოჭარბებულ გაძლიერებას შეეწიროს. ამდენად, სამოქალაქო საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს არა მხოლოდ მოქალაქეთა თავისუფლების დაცვას, არამედ მათი აქტივობის ზრდას და თავისუფალი ასოციაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც ავტორიტარიზმს დაუპირისპირდებიან.

„სამოქალაქო საზოგადოების საფუძველში ჩადებული და განმტკიცებული უნდა იყოს თვითმმართველობისა და თვითრეგულირების პრინციპები, მოქალაქეთა და მათი გაერთიანებების თავისუფალი ინიციატივა, ჭეშმარიტი თავისუფლება და დემოკრატია, რომელშიც აღიარებულია ადამიანის უფლებების პრიორიტეტი, მოქალაქეთა სოციალური დაცულობა, ადამიანის ღირსეული ცხოვრება და განვითარება, საბაზრო ურთიერთობების პრინციპები, მისგან გამომდინარე საზოგადოებრივი სარგებლიანობა და კეთილსინდისიერი კონკურენცია.“[22]

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია და განვითარება უფრო წარმატებულია, როდესაც ქვეყნის კონსტიტუცია ხელშემწყობ პირობებს ქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის. სწორედ სამართლებრივ საფუძველზე განმტკიცებული ძლიერი სახელმწიფო არის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების გარანტი.

სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ყველა ინსტიტუტის ქმედი-

соперники. М. 1995. С. 78

[22] ო. მელქაძე, სამოქალაქო საზოგადოება, ფორმირების პრობლემები, თბ. 2004. გვ. 12

თობის დონეა ის კრიტერიუმი, რომლითაც ხასიათდება კონსტიტუციური წყობის სტაბილურობა და სიმტკიცე. ამიტომ, იურიდიულად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სახელმწიფოსაგან საზოგადოების დამოუკიდებლობა, გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოების საქმეებში სახელმწიფოს უკანონო ჩარევის დაცვის გარანტიები, დადგინდეს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედების საზღვრები.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესი უწყვეტი დინამიკაა, რაც ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის გახდა დამახასიათებელი მეტ-ნაკლები აქტივობით. სამოქალაქო საზოგადოების მიზნები ფართო საზოგადოებრიობისა და არა მისი ცალკეული წევრების ინტერესებიდან გამომდინარეობს. ეს არის საზოგადოება, მის უმრავლესობაში არსებული მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი კაპიტალით, რომელიც ხელს უწყობს ახალ ინტელექტუალურ შევსებას, რაც მნიშვნელოვნად განამტკიცებს სამოქალაქო საზოგადოებას.

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების სამართლებრივი პირობების შექმნა პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციასა და ლიბერალიზაციას საჭიროებს. ასეთი საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოში არსებულ სამართლებრივ სივრცეს და მოქმედ პოლიტიკურ რეჟიმს. სამოქალაქო საზოგადოება, თავისი ბუნებით, უშუალოდ არის დაკავშირებული სამართლებრივ სახელმწიფოსთან. სამართლებრივი სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვნების უმაღლესი გამოვლენაა. სწორედ სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციის წიაღში ჩაისახა და განვითარდა სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს იდეა.

§ 2. სამართლებრივი სახელმწიფო

ყველა ცივილიზებული ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაციის იდეალური ფორმაა სამართლებრივი სახელმწიფო. პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებაში სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ითვლებოდა და ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ჰუმანურ და პერსპექტიულ იდეად. შემთხვევითი არ არის, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრობლემა ყოველთვის აღელვებდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. ასეთი სახელმწიფოს შექმნის

თეორია ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ჩამოაყალიბეს გამოჩენილმა მოაზროვნეებმა – სოლონმა, დემოკრიტემ, პლატონმა, არისტოტელემ და სხვებმა. ამ თეორიის არსი სახელმწიფოს სამართლით შეზღუდვაში მდგომარეობს.

სამართლით სახელმწიფოს შეზღუდვის იდეა პირველად ჩამოაყალიბა პლატონმა თავის თხზულებაში „კანონები". იგი წერდა: „მე ვხედავ იმ სახელმწიფოს მოახლოებულ სიკვდილს, სადაც კანონს ძალა არა აქვს და იმყოფება შეუზღუდველი ხელისუფლების ქვეშ. ხოლო იქ, სადაც კანონი მმართველთა მბრძანებელია, ხოლო ეს უკანასკნელნი კანონის მონები არიან, ვხედავ სახელმწიფოს გადარჩენას."

არისტოტელე წერდა: „ის, ვინც მოითხოვს ბატონობდეს კანონი, მოითხოვს ბატონობდეს ღმერთი და გონი (გონიერება). ის, ვინც მოითხოვს ბატონობდეს ადამიანი, თავის მოთხოვნაში შეაქვს ცხოველური საწყისი. კანონი არის გაწონასწორებული გონიერება."

თანამედროვე გაგებით, სამართლებრივია ისეთი სახელმწიფო, რომელიც დაფუძნებულია სამართალზე, შეზღუდულია სამართლით და ხელისუფლებას ახორციელებს სამართლებრივი მეთოდებით. ამ პროგრესულმა იდეამ ასახვა ჰპოვა საქართველოს კონსტიტუციაში, რომლის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქეთა ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო.

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეალურ მოდელში განსახიერებული უნდა იყოს შემდეგი ფუძემდებლური პრინციპები:

❍ სამართლის უზენაესობის პრინციპი. სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალი (კანონი) უნდა ბატონობდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ყველა ორგანო, ორგანიზაცია, თანამდებობის პირი თუ მოქალაქე უნდა მოქმედებდეს კანონის საფუძველზე. საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც საჭიროებს სამართლებრივ ზემოქმედებას უნდა რეგულირდებოდეს სამართლით და არა თვითნებურად. ამასთანავე, სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა მოქმედებდეს სოციალურად და იურიდიულად სამართლიანი კანონები.

❍ ადამიანის და მოქალაქის სამართლებრივი დაცვის პრინციპი. ამ პრინციპს აქვს პირველადი, კომპლექსური და აბსოლუტური ხასიათი. სამართლებრივი დაცვის პრინციპი გულისხმობს პიროვნებისა და სახელმწიფოს უფლებებისა და პასუხისმგებლობის თანასწორობას,

მოქალაქის სტაბილურ სამართლებრივ სტატუსს და მისი რეალიზაციის იურიდიულ გარანტიებს. სამართლებრივი სახელმწიფო უნდა ემყარებოდეს იმ ამოსავალ პრინციპს, რომ სახელმწიფო კი არ „უწყალობებს" მოქალაქეს უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებრივი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს იურიდიული მოვალეობაა. თავის მხრივ, მოქალაქემაც უნდა შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე.

❍ სამართლისა და კანონის ერთიანობის პრინციპი. სამართლებრივ სახელმწიფოში ყველა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი არა მარტო ფორმით, არამედ შინაარსითაც უნდა იყოს სამართლებრივი. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უნდა ასახავდეს იმ სამართლებრივ საწყისებს, რომლებიც შეესაბამება სახელმწიფო-სამართლებრივ ნორმებს ადამიანისა და მოქალაქის შესახებ, მიღებული უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმური ორგანოების მიერ.

❍ სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოების საქმიანობის სამართლებრივი გამიჯვნის პრინციპი. სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია ხელისუფლების მოპოვების დემოკრატიული საშუალება სამართალთან, კანონთან შესაბამისობაში. ხელისუფლების დანაწილების კონცეფცია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად თანამედროვე სახელმწიფოების მიმართ გაგებული უნდა იქნეს როგორც ხელისუფლების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში ურთიერთგაწონასწორებისა და ურთიერთბოჭვის სისტემის საფუძველზე ფუნქციონირება. საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც შექმნილია საყოველთაო, დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე, ასახავს სახელმწიფოს სუვერენიტეტს. აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც დანიშნულია წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, უფლებამოსილია განახორციელოს კანონების რეალიზაცია და ოპერატიული, სამეურნეო საქმიანობა. სასამართლო ხელისუფლება არის სამართლიანობის და სიმართლის გარანტი, სამართალდარღვევების აღკვეთის და დარღვეული უფლების აღდგენის ინსტრუმენტი.

❍ სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია უმაღლესი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის – კანონის უზენაესობის პრინციპი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი კონტროლი, პოლიტიკური პლურალიზმი და ა.შ.

❍ სამართლებრივი სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივი რეჟიმი კანონიერებაა, რომლის არსი კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულებაა. კანონების დაცვა უძველესი დროიდან მიჩნეული იყო უმაღლეს სიკეთედ, ხოლო უკანონობა – ბოროტებად და ანარქიად. საუკუნეთა სიღრმიდან თიხის ფირფიტებმა შემოგვინახეს ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულება სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა. სამართლებრივ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის ეფექტური ფორმები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოსა და სამართლის ორგანული კავშირის განმტკიცების ბერკეტები.

❍ სამართლებრივი სახელმწიფო დემოკრატიული სახელმწიფოა. მან უნდა უზრუნველყოს ხალხის ფართო მასების ჩაბმა სახელმწიფო მმართველობაში, უშუალო და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტების სრულყოფა.

სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება რთული პროცესია და მოითხოვს ერთდროულად შემდეგი პირობების არსებობას:

❍ სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, რომელსაც მტკიცე დემოკრატიული, სამართლებრივი და კულტურული ტრადიციები აქვს, სადაც მაღალია კულტურის, კერძოდ, სამართლებრივი კულტურის დონე.

❍ სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველი უნდა იყოს „სამართლიანი სამართალი", რომელიც მორალურ პრინციპებს ეფუძნება.

❍ სამართლებრივი სახელმწიფოს ეკონომიკური ბაზისი უნდა უზრუნველყოფდეს ცხოვრების მაღალ სტანდარტებს და საშუალო ფენის დომინირებას სოციალურ სტრუქტურებში.

❍ ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური რეფორმების კომპლექსური გააზრება და განხორციელება.

❍ სამართლებრივი სახელმწიფოს სოციალური საფუძველი უნდა იყოს თვითრეგულირებადი სამოქალაქო საზოგადოება.

სამართლებრივი სახელმწიფო ორიენტირებულია განამტკიცოს საზოგადოებაში მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულებანი: საზოგადოებრივ ურთიერთობათა შედეგიანი სამართლებრივი რეგულირება, დემოკრატიული ინსტიტუტების სრულყოფა, პიროვნების თავისუფლება, მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

§ 3. სოციალური სახელმწიფო

სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. მასთან დაკავშირებულია ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მოითხოვა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ახალი პარამეტრების განსაზღვრა, რამაც თავის მხრივ წარმოშვა სოციალური სახელმწიფოს იდეა. ამ იდეის არსი მდგომარეობს სახელმწიფოს სოციალურ ორიენტაციაში, ადამიანისათვის ეკონომიკური თავისუფლების მინიჭებაში, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვირდებაში

სოციალური სახელმწიფოს ცნება წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. სოციოლოგიური კონცეფციის წარმომადგენლები (ა. სმიტი, ს. მილი, ჯ. ლოკი) მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს ძირითადი მოვალეობაა გარანტირებული გახადოს პიროვნების ეკონომიკური თავისუფლება. ამასთანავე, პოლიტიკური უფლებები უნდა ემსახურებოდეს პიროვნების დამოუკიდებლობას და ინდივიდუალიზაციას. ეკონომიკურ თავისუფლებას ისინი მიიჩნევდნენ უმაღლეს ღირებულებად.

სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება მუდმივი და განუწყვეტელი პროცესია, რომელიც მოითხოვს რეაგირებას ეკონომიკაში, პოლიტიკაში და ზნეობაში წარმოშობილ ახალ სიტუაციებზე. სახელმწიფოს შესაძლებლობა სოციალური რეფორმების განხორციელებაში განუსაზღვრელია. ზოგიერთი სოციალური პრობლემა იმდენად რთულია, რომ მათი გადაჭრა საკანონმდებლო გზით შეუძლებელია, ზოგიერთი კი ბევრად არის დამოკიდებული ზნეობრივ პრინციპებზე. სოციალურმა სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბალანსი თავისუფალ ეკონომიკასა და განაწილების სამართლიანობის პრინციპს შორის, აღმოფხვრას სოციალური უთანასწორობა, უარი თქვას „ღამის დარაჯის“ როლზე და შეეცადოს ყველა მოქალაქეს შეუქმნას ცხოვრების მაღალი დონე, უხეშად არ ჩაერიოს ეკონომიკის განვითარებაში, არ დათრგუნოს პიროვნების ინიციატივა და თავისუფალი მეწარმეობა.

ზრუნავს რა მოქალაქის სოციალური სტატუსის ამაღლებაზე, სოციალური სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ზღვარი, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას.

მიისწრაფვის რა შექმნას „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოება“, სოციალური სახელმწიფო მოვალეა შეზღუდოს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდები და მიმართოს ისეთ ეკონომიკურ მეთოდებს, როგორიცაა ზომიერი გადასახადები, ოპტიმალური ბიუჯეტი, სოციალური პროგრამების დამუშავება. სოციალური სახელმწიფოს როლის გაზრდა ეკონომიკურ პროცესებში დაკავშირებულია ადამიანის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების გაფართოებასთან. საზოგადოების ცხოვრების ამ სფეროს განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა როგორც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, ასევე ეროვნულ კანონმდებლობაშიც.

სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს მიეკუთვნება: შრომის თავისუფლება, სამართლიანი ანაზღაურების უფლება, განათლების უფლება, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება და ა.შ. ასეთი უფლებების დაცვასა და განხორციელებაზე უნდა იყოს ორიენტირებული სოციალური სახელმწიფო. რაც არ უნდა რთული იყოს სოციალური სახელმწიფოს როლი თანამედროვე საზოგადოებაში, მის გარეშე შეუძლებელია არა მარტო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების, არამედ არც პოლიტიკური და პირადი უფლებების განხორციელება.

სოციალური პოლიტიკის კონცეფცია, დამყარებული საზოგადოების წევრების სოციალურ თანასწორობაზე, სამართლიანობასა და ზნეობაზე – ახალი საზოგადოების მოდელის მნიშვნელოვანი ასპექტია. მხოლოდ სოციალური კონცეფციის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს თანამედროვე დემოკრატიული სამართლებრივი საზოგადოება.

სოციალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია სამართლებრივი სახელმწიფოს ყველა ნიშანი – ადამიანის უფლებების პრიორიტეტი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება, ხელისუფლების სამართლებრივი დანაწილების პრინციპი, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობა. სოციალური რეფორმების განხორციელება სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების ახალი ეტაპია, რომლის არსი მდგომარეობს ცხოვრების სოციალური პირობების ჰუმანიზაციაში, საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის მკვეთრი განსხვავების დაძლევაში.

სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო ერთმანეთის ანტი-

პოდებს კი არ წარმოადგენს, არამედ ეს არის სახელმწიფოს დიალექტიკური განვითარება, რომელშიც აღიარებულია ადამიანის უფლებების პრიორიტეტი და სწორედ ეს განსაზღვრავს სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად ფორმებს და მეთოდებს. სოციალური სახელმწიფოს მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს პიროვნების ცხოვრების სათანადო დონე და შესაბამისად დაიცვას მისი ღირსება, ხელი შეუწყოს სამართლიანობის, პასუხისმგებლობის პრინციპების დამკვიდრებას, რისთვისაც აუცილებელია ეკონომიკის განვითარება და ინდივიდის უფლებების სამართლებრივი დაცვა.

სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო ორი დამოუკიდებელი მოვლენა კი არ არის, არამედ ერთიანი სახელმწიფოს ორი მნიშვნელოვანი ასპექტი. ამით არის განპირობებული ის გარემოება, რომ მათ ერთ კონტექსტში მოიხსენიებს საქართველოს კონსტიტუცია. სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო არის ხელისუფლების ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა, ხალხის დამცავი მექანიზმი, რომელიც უნარმოსილია ემსახუროს საზოგადოების კეთილდღეობას, მინიმუმამდე დაიყვანოს საზოგადოებაში არსებული სოციალური დისპროპორცია და შექმნას ადამიანის თავისუფალი განვითარებისა და ღირსეული ცხოვრების პირობები.

სქემა №13. სამოქალაქო საზოგადოება. სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო

სამოქალაქო საზოგადოება

არის საკმაოდ ძლიერი არასამთავრობო ინსტიტუტის განსაზღვრება, რომლის სამართლებრივი საფუძველია ადამიანთა თანასწორუფლებიანობა და იურიდიული თავისუფლება, კერძო საკუთრების ინდივიდუალიზაცია, უფლების დაცვა დარღვევისაგან, სრულყოფილი კანონმდებლობა და ავტორიტეტული სამართალი.

სამართლებრივი სახელმწიფო

სამართლებრივია ისეთი სახელმწიფო, რომელიც დაფუძნებულია სამართალზე, შემოზღუდულია სამართლით და ხელისუფლებას ახორციელებს სამართლებრივი მეთოდით.

სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები

- სამართლის (კანონის) უზენაესობის პრინციპი
- ადამიანისა და მოქალაქის სამართლებრივი დაცვის პრინციპი
- სამართლისა და კანონის ერთიანობის პრინციპი
- სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოების საქმიანობის სამართლებრივი გამიჯვნის პრინციპი
- კანონიერების რეჟიმი, კანონების ზუსტად შესრულება
- უშუალო და ნარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტების სრულყოფა

სოციალური სახელმწიფო

სოციალური სახელმწიფოს არსი მდგომარეობს სახელმწიფოს სოციალურ ორიენტაციაში, ადამიანებისათვის ეკონომიკური თავისუფლების მინიჭებაში, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებაში, `საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების~ შექმნაში

სოციალური სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები

- ადამიანის უფლებების პრიორიტეტი, მისი ეკონომიკური თავისუფლება
- სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობა
- სოციალური პირობების ჰუმანიზაცია
- საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის მკვეთრი განსხვავებების დაძლევა
- სოციალური რეფორმების განხორციელება

მეორე ნაწილი

სამართალმცოდნეობა

(სამართლის თეორია)

თავი VII. სამართლის ცნება, არსი და სოციალური დანიშნულება

§ 1. სამართლის ცნება, ძირითადი ნიშნები

იურიდიული სამყაროს ფორმულა სამართლის დეფინიციაა.

მრავალი საუკუნეა საზოგადოებრივი აზრი იკვლევს სამართლის არსსა და ბუნებას, ცდილობს ჩამოაყალიბოს ცნება, რომელშიც აისახება სამართლის ყველა განზომილება და თვისება, მაგრამ სამართლის სრულყოფილი შემეცნება კვლავ საზოგადოებრივი მეცნიერების გლობალურ პრობლემად რჩება. ეს იმით აიხსნება, რომ სამართალი თავისებური სამყაროა, იმდენად რთული და უნიკალური, ისტორიულად ცვალებადი და ამასთანავე სტაბილური, რომ სამართლის სფეროში აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელია.

ჰუმანიტარული (საზოგადოებრივი) მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე და სოციალური მოვლენების კვლევის მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა სისტემატიზირებული იქნეს სამართალზე სხვადასხვა შეხედულება განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. წინააღმდეგობრივი მოსაზრებანი სამართლის არსის შესახებ ბევრად არის განპირობებული ამ განსაკუთრებული სოციალური ფენომენის სირთულითა და მრავალმხრივობით. მთელი რიგი ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმომადგენლები სამართალს მიიჩნევენ ზნეობის ნაწილად (შოპენჰაუერი) ან ზნეობის დაბალ საფეხურად და უარყოფენ სამართლის სოციალურ ბუნებას (ა. ტოლსტოი, ვ. სოლოვიევი). სამართალზე თეოლოგიური წარმოდგენა უკავშირდება ღმერთს და მის ნებას. კათოლიკური ეკლესიის მოღვაწე თომა აქვინელი ამტკიცებდა, რომ სამართალი არა მარტო ღვთიური წარმოშობისაა, არამედ ღვთაებრივი არსისაა. პოზიტიური სამართალი (ადამიანთა კანონები) მხოლოდ იმ მიზნების განხორციელების საშუალებაა, რაც ღმერთმა დაუწესა ადამიანებს. მარქსისტული მოძღვრების თანახმად, სამართალი არის საზოგადოების ეკონომიკური ბაზისით განპირობებული კლასობრივი მოვლენა, უზრუნველყოფილი სახელმწიფოებრივი იძულებით.

ცდილობდნენ რა, გაერკვიათ რა არის სამართალი და როგორია მისი როლი საზოგადოების ცხოვრებაში, ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის იურისტები (დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, პავლე და სხვ.) მიიჩნევდნენ, რომ სამართალი არ ამოიწურება ერთი რომელიმე აზრით. სამართალი აღქმული უნდა იყოს არანაკლებ ორი თვალსაზრისით: ერთის მხრივ, იგი ყოველთვის უნდა იყოს „სამართლიანი და კეთილი", ე.ი. ბუნებითი სამართალი და მეორეც – სასარგებლო ყველასათვის.

შესაბამისად იმისა, რა იგულისხმება სამართალწარმოქმნის წყაროში – ადამიანის ბუნება თუ სახელმწიფო, განასხვავებენ ბუნებრივ-სამართლებრივ და პოზიტიურ-სამართლებრივ თეორიებს. ბუნებითი სამართლის წყაროა ადამიანის ბუნება, ადამიანის გონი და ღვთის ნება. იგი საერთოა ყველა ხალხისა და ყოველი ადამიანისათვის, გამომდინარეობს ადამიანის ბუნებიდან და მისი გონების განსახიერებას წარმოადგენს, მარადიული და უცვლელია. ბუნებითი სამართლის კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ბუნებრივი განუსხვისებელი უფლებების დაცვაზე, სამართლის ზნეობრივ პრინციპებზე, სამართლისა და კანონის განსხვავებაზე.

„ბუნებითი სამართალი" (jus naturale) მოიცავს დროისა და სივრცის გარეშე არსებულ ქცევის ობიექტურად სავალდებულო ქცევის წესებს და პრინციპებს. ეს პრინციპები უფრო მაღლა დგას, ვიდრე პოზიტიური სამართალი. ამიტომ ბუნებით სამართალს ზეპოზიტიურ სამართალსაც უწოდებენ. ბუნებითი სამართალი არსებითად მორალისა და სამართლიანობის იდენტურია – ისინი ხშირად განიხილებიან როგორც სინონიმური ცნებები".[23]

პოზიტიური სამართლის თეორია (jus positivum) (კელზენი, ვებერი, ბირლინგი, შერშენევიჩი) წარმოიშვა განსაზღვრული ხარისხით როგორც ბუნებითი სამართლის ოპოზიციური თეორია. იურიდიული პოზიტივიზმის თანახმად, ადამიანის უფლებებს და მოვალეობებს აწესებს სახელმწიფო და ისინი ფორმალურად გამოხატულნი არიან სამართლის ნორმებში. ამ თეორიის თანახმად, სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა. პოზიტივიზმი შესაძლებლობას იძლევა დეტალურად იქნეს შესწავლილი სამართლის დოგმა – სამართლებრივი ნორმების

[23] გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2004 გვ. 37

სტრუქტურა, ნორმებისა და ნორმატიული აქტების კლასიფიკაცია, იურიდიული პასუხისმგებლობა, ინტერპრეტაციის სახეები და ა.შ.

მოსაზრებათა სპექტრი სამართლის შესახებ მეტად ფართო და მრავალფეროვანია, რაც აძნელებს მისი ზოგადი ცნების დადგენას და ამის პრეტენზია არავის არ შეიძლება ჰქონდეს, მხოლოდ პრაქტიკა შეიძლება იყოს ჭეშმარიტების კრიტერიუმი, კერძოდ, მსოფლიო სახელმწიფო-სამართლებრივი პრაქტიკა.

სამართლის მრავალი დეფინიციის არსებობა, რომელიც ჩამოყალიბებულია პრაქტიკის ზეგავლენით, უნდა განვიხილოთ უეჭველად როგორც დადებითი მოვლენა. იგი შესაძლებლობას იძლევა შევხედოთ სამართალს საუკუნეთა პრიზმიდან, გამოვყოთ ის მნიშვნელოვანი მხარეები და ნიშნები, რომლებიც ახასიათებს არა ერთი ისტორიული ტიპის, არამედ მთელი რიგი ეპოქების სამართალს, დავინახოთ სამართალი არა მარტო სტატიკაში, არამედ დინამიკაშიც.

სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირების პრაქტიკამ პრიორიტეტი მიანიჭა პოზიტიურ სამართალს, როგორც არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულატორს. მართალია, დღემდე არ არსებობს სამართლის ყოვლისმომცველი დეფინიცია, მაგრამ მეცნიერებამ შეძლო შეემუშავებინა პოზიტიური სამართლის ცნება: ერთ-ერთი მათგანი ასეთია:

„სამართალი არის სისტემა ზოგადსავალდებულო, ფორმალურად განსაზღვრული, სახელმწიფოს მიერ დადგენილი, სანქციონირებული და გარანტირებული ნორმებისა, რომელიც გამოხატავს კანონში განსახიერებულ სახელმწიფოებრივ ნებას და წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმატიულ რეგულატორს".[24]

ეს არის პოზიტიური სამართლის მოკლე, ზოგადი დეფინიცია, რომელიც ვრცელდება ყველა ტიპსა და სისტემაზე. იგი მოიცავს პოზიტიური სამართლის ობიექტურ არსებით თვისებებსა და ნიშნებს. ნიშნები ახასიათებს სამართალს როგორც ცნებას, თვისება კი – როგორც რეალურ მოვლენას. ნიშნები და თვისებები ერთმანეთს შეესაბამებიან. თვისება აისახება და გამოიხატება სამართლის ცნებაში, როგორც მისი ნიშანი. ცნება მოიცავს ნიშნებს, რომლებიც ასახავენ მის არსებით თვისებებს. პოზიტიური სამართლის არსებითი ნიშნები შემდეგია:

❒ უპირველეს ყოვლისა, სამართალი არის ქცევის წესების ერთო-

[24] Алексеев С.С. Право. М. 1999. С. 28

ბლიობა, სამართლებრივი ნორმების სისტემა. ეს არის არა შემთხვევითი ნორმების შემთხვევითი სისტემა, არამედ მკაცრად განსაზღვრული ერთობლიობა, რომელიც სისტემური ხასიათისაა. როგორც ყველა სისტემა, იგი ყალიბდება ერთგვაროვანი ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისაგან. ეს ელემენტებია სამართლის ნორმები, რომლებშიც აღწერილია ქცევის წესები და რომელთა ერთობლიობა ქმნის მთლიან ორგანულ სისტემას. სამართლის სისტემა რეალური, მოქმედი სისტემაა;

❒ სამართალი არის სისტემა ნორმებისა, რომლებიც დადგენილი ან სანქციონირებულია სახელმწიფოს მიერ.[25] სამყაროში არსებობს სხვადასხვა სოციალური ნორმების სისტემა, მაგრამ მხოლოდ სამართლის ნორმები გამომდინარეობს სახელმწიფოსაგან. ქმნის რა სამართლის ნორმებს, სახელმწიფო და მისი ორგანოები მოქმედებენ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში – გამოსცენ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები. სამართალშემოქმედება სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო არის „სამართლის წყარო". ამასთანავე, და ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, თვით სახელმწიფო უნდა იყოს სამართლებრივი, მისი საქმიანობა გამომდინარეობდეს სამართლიდან.

სახელმწიფო უნდა „ემორჩილებოდეს სამართლის ნორმებს". სამართალი ასახულია ადამიანთა სინდისში, ჩვეულებებში, კანონებში და სახელმწიფო სხვა არაფერია თუ არა სამართლის მომსახურე სუბიექტი. სახელმწიფო და სამართალი რეალობაში ფუნდამენტურად ერთიანი არიან. ერთი განაპირობებს მეორეს. ისინი პარალელურად ვითარდებიან. სამართალს ქმნის სახელმწიფო. მაგრამ სამართალი მიისწრაფვის იყოს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი, დადგეს სახელმწიფოზე მაღლა და არ სურს ცნოს თავის შემოქმედად.[26]

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების მიუხედავად – ისტორიულად რომელია პირველადი – სახელმწიფო თუ სამართალი, ფაქტია, რომ სამართალი უპირატესად იქმნება სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად.

25 *დადგენა* გულისხმობს სახელმწიფოს მიერ საზოგადოებაში უცნობი ქცევის წესისათვის სამართლებრივი ძალის მინიჭებას. სანქციონირების შემთხვევაში სახელმწიფო სავალდებულო ძალას ანიჭებს საზოგადოებაში არსებულ სოციალურ ნორმებს (მორალურ, ჩვეულებით, კორპორატიულ და სხვა სახის ნორმებს).

26 М. Эллинек. Общее учение о государстве. СПб. 1908. С. 248-285

❐ სამართალი ინტელექტუალურ-ნებითი მოვლენაა. სამართალში ვლინდება ადამიანთა ნება და შეგნება. სამართლის ინტელექტუალური მხარე მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის სოციალური კანონზომიერების და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ასახვის ფორმა, რაც სამართლებრივი რეგულირების საგანს შეადგენს. სამართალში აისახება საზოგადოების, სოციალური ჯგუფების, ინდივიდების, ერის მოთხოვნილებანი და ინტერესები, რომლებიც განსხვავებული და ზოგჯერ წინააღმდეგობრივიცაა. სამართალი გამოხატავს სოციალურ კომპრომისს სამართლიანობის და გონიერების საწყისებზე.

სამართალი არის არა მარტო ინტელექტის, არამედ ადამიანთა ნების გამოვლინებაც, რამდენადაც მისი მეშვეობით რეალიზდება საზოგადოების წევრთა უფლებები და ინტერესები. სამართალში გამოხატული ნება აყვანილია სახელმწიფოს ნების სტატუსში, წარმოადგენს სახელმწიფოებრივ ნებას.

სახელმწიფოსა და სამართლის არსებობისა და ფუნქციონირების მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ სამართალში უპირველეს ყოვლისა, გამოხატულია მმართველი წრეების ნება და ინტერესები, რომელიც არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. როგორც სამართლიანად მიუთითებს გ. შერშენევიჩი, ეს ნება „სამართალშემოქმედებაში უნდა იყოს გონიერი და ზომიერი".[27]

❐ სამართლის ერთ-ერთი ნიშანია ზოგადსავალდებულო ნორმატულობა. ნორმატულობა გამოხატულია იმაში, რომ სამართალი შედგება სავალდებულო ხასიათის ნორმებისაგან, რომელიც უსიტყვოდ ვრცელდება ყველაზე, ვისაც იგი ეხება და რომელთა შესრულებას სავალდებულო ხასიათი აქვს. იურიდიულ ნორმებში გამოხატული მოთხოვნები უნდა შეასრულონ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეებმა, დამოუკიდებლად მათი სურვილისა. სამართლის ნორმებს აქვს სახელმწიფოებრივი ბუნება. ეს ეხება არა მარტო იმ ნორმებს, რომლებსაც უშუალოდ ადგენს სახელმწიფო, არამედ სახელმწიფოს მიერ სანქციონირებულ მორალურ ნორმებს, ჩვეულებას და სხვა აქტებს.

❐ სამართალი არის ფორმალურად განსაზღვრული ნორმების სისტემა. სამართლის ნორმები გამოირჩევა განსაზღვრულობით, სიზუსტით, გარკვეულ ფორმებში ფიქსირებით. თითოეული ნორმის შინაარსი ფორმალურად განმტკიცებულია კანონის ტექსტში ან სხვა ნორმატიულ

[27] Г. Шершеневич. Общая теория права.Вып. I. М. 1910. С.310

დოკუმენტებში. ზოგადი წესი მხოლოდ მაშინ ხდება იურიდიული, როცა იგი გამოხატულია ნორმატიული აქტის ტექსტში. განსაზღვრულობა კი ნიშნავს, რომ სამართლის ნორმებში აღიარებულია და ერთმანეთისაგან არის გამიჯნული სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლება-მოვალეობანი. სამართლის ნორმების დახმარებით არის უზრუნველყოფილი ადამიანის თავისუფლება, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დაძლეულია სამართლის სოციალური ანტიპოდი – უკანონობა და თვითნებობა.

❐ სამართლის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანი არის ის, რომ იგი დაცული და გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. სამართლის ნორმების დადგენა არ არის თვითმიზანი, მთავარია მათი რეალიზაცია ცხოვრებაში. არსებობს გამოთქმა, რომ თითოეული სამართლის ნორმის უკან დგას სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს მის შესრულებას. იმ პირთა მიმართ, რომლებიც ნებაყოფლობით არ ასრულებენ სამართლის ნორმებს, სახელმწიფო იყენებს იძულების ზომებს. აქვს რა მონოპოლია იძულების განხორციელებაზე, სახელმწიფო წარმოადგენს სამართლის არსებობისა და ფუნქციონირების ეფექტურ ფაქტორს. სწორედ, სახელმწიფო არის სამართლის სტაბილურობის, განსაზღვრულობის და ქმედითობის მტკიცე გარანტი. სახელმწიფო იძულება ის ფაქტორია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს უფლება და მოვალეობა, პირადი თავისუფლება და მისი საზღვრები. ადამიანი, რომელიც მოქმედებს სამართლის ჩარჩოებში – თავისუფალია. ადამიანი, რომელიც არღვევს მოვალეობებს – თავისუფალი არ არის. სამართლისათვის სახელმწიფოს მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო იძულების დახმარებით ზუსტად არის განსაზღვრული ზღვარი თავისუფლებასა და მის შეზღუდვას შორის. სახელმწიფო იძულებაში იგულისხმება ის სამართლებრივი ზომები, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით.

❐ სამართალი არის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ნორმების სისტემა. ისინი მოქმედებენ ერთიანობაში, ქმნიან იურიდიულ ინსტიტუტებს, დარგებს და მთლიანად სამართლებრივ სისტემას.

❐ სამართალი წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმატიულ რეგულატორს. სამართალი ადამიანთა ქმედების და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მძლავრი სოციალური რეგულატორია, რომელსაც მნიშვნელოვანი სოციალური ძალა გააჩნია. ეს განპირობებულია

იმით, რომ სამართალი მოწოდებულია უზრუნველყოს საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება, მისი შეკავშირება ერთ მთლიან ორგანიზმად. ადამიანისათვის ღირებულია არა სამართლის ნორმა, არამედ ის რეალური სიკეთე, რასაც ის უზრუნველყოფს. ადამიანის მატერიალური და არამატერიალური სიკეთე სამართლის მეშვეობით ოფიციალურად აღიარებული და დაცულია. თავისი ბუნებრივი, თანდაყოლილი უფლებების რეალიზაციას ადამიანი ცხოვრებაში განასახიერებს იურიდიული უფლებებისა და გარანტიების მეშვეობით.

სამართალი საიმედო ინსტრუმენტია სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის პოლიტიკური და სოციალური ამოცანების გადასაჭრელად. იგი მიმართულია თვითნებობის, უკანონობისა და უკონტროლობის წინააღმდეგ.

პოზიტიური სამართალი არის „ცოცხალი სამართალი", სამართალი „მოქმედებაში", რომლის გარეშე შეუძლებელია სამართლებრივ ურთიერთობათა პრაქტიკული განსაზღვრულობა და სტაბილურობა, კანონიერების და მართლწესრიგის უზრუნველყოფა. იურიდიული პოზიტივიზმი უდევს საფუძვლად სამართლებრივ აღზრდას და სამართლებრივ პროპაგანდას, სამართლებრივი კულტურის ამაღლებას.

დემოკრატიული რეჟიმის პირობებში სამართალი სოციალური სიკეთეა, თავისებური კაპიტალია, რომელსაც საზოგადოებრივ ურთიერთობებში შეაქვს ორგანიზებულობა, წესრიგი, სიკეთე, სამართლიანობა და სიმართლე. შესაბამისად, სწორედ აქედან წარმოდგება სიტყვა „სამართალი".

სქემა №14. სამართლის ცნება, მისი ძირითადი ნიშნები



სამართალი შედგება ზოგადსავალდებულო ნორმებისაგან, რომლებიც უსიტყვოდ ვრცელდება ყველაზე, ვისაც ისინი ეხება.

სამართალი არის ფორმალურად განსაზღვრული ნორმების სისტემა. თითოეული ნორმის შინაარსი ფორმალურად განმტკიცებულია კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის ტექსტში. სამართლის ნორმაში აღიარებული და ერთმანეთისაგან გამიჯნულია უფლება-მოვალეობანი.

სამართალი დაცული და გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ სამართლის ნორმებს, სახელმწიფო იყენებს იძულებით ზომებს.

სამართალი არის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ნორმების სისტემა. ისინი მოქმედებენ ერთიანობაში, ქმნიან იურიდიულ ინსტიტუტებს, დარგებს და მთლიანად სამართლის სისტემას.

სამართალი წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმატიულ რეგულატორს. მას საზოგადოებრივ ურთიერთობებში შეაქვს ორგანიზებულობა, სამართლიანობა და სიკეთე.

§ 2. ძირითადი თეორიები სამართლის არსის შესახებ

საზოგადოებრივი აზრისა და იურისპრუდენციის ისტორიამ მრავალი თეორია წარმოშვა სამართლის არსისა და ბუნების შესახებ. თითოეულ თეორიას აქვს თავისი უპირატესობა და ნაკლი, რაც განპირობებულია სამართლის, როგორც განსაკუთრებული სოციალური ფენომენის სირთულით და თავისებურებებით. სამართლისა და მისი ბუნებრივი განვითარების სპეციფიკა ყოველთვის იყო მეცნიერული ინტერესისა და კვლევის ობიექტი.

სამართალი საკმაოდ ადრე გაჩნდა ადამიანთა საზოგადოებაში და თანდათანობით გამოეყო სოციალური ნორმების სისტემას. მეცნიერებამ დაადასტურა, რომ სამართლის ემბრიონული (ჩანასახის) ფორმები გაჩნდა პირველყოფილ თემურ წყობილებაში, ხოლო ამ საზოგადოების რღვევის პერიოდში უკვე არსებობდა ჩვეულებითი სამართალი.

კაცობრიობის სამართლებრივი განვითარება დაკავშირებულია სტიქიურ იურიდიულ რეალიზმთან. ადრეული სამართლებრივი სისტემები ჩამოყალიბდა ობიექტური გზით, გაუაზრებლად და სტიქიურად. სამართლის ისტორიული გენეზისის (წარმოშობის) პროცესი შედარებით დამოუკიდებელია. თავისი არსებობით სამართალი არ არის დავალებული არც მორალის, არც რელიგიის და არც პოლიტიკისაგან, თუმცა მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა მათგანთან. საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების სამართლებრივ საშუალებას გააჩნია თავისი სპეციფიკური საფუძველი, თუმცა იგი კარგავს თავის ძალას რეგულირების სხვა ფორმებიდან იზოლირებულად. მორალთან და რელიგიასთან კავშირის დაკარგვა, როგორც ამას ადასტურებენ ისტორიკოსები, მომაკვდინებელია სამართლის, მორალის და განსაკუთრებით პოლიტიკისათვის.

სამართლის ისტორია პროგრესული და ევოლუციური პროცესია. მატერიალური და სულიერი ცხოვრების შესაბამისად სამართალმა განვითარების სხვადასხვა ეტაპი გაიარა. მას შემდეგ, რაც წარმოიშვნენ პოლიტიკური ინსტიტუტები და მათ შორის სახელმწიფო, გაჩნდა სამართლის სახელმწიფოებრივი ფორმა – კანონი, რამაც უფრო გააღრმავა და გაართულა მეცნიერული კვლევა სამართალგაგების შესახებ.

იურისპრუდენციისათვის, როგორც მეცნიერებისათვის, ამოსავალი მნიშვნელობა აქვს სამართალგაგების ირგვლივ არსებული თეორიების,

კონცეფციების, დოქტრინების მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებებს. მრავალრიცხოვანი თეორიებიდან, რომლებიც სამართალგაგების შესახებ ჩამოყალიბდა საუკუნეთა მანძილზე, ძირითადია შემდეგი:

ბუნებითი სამართლის თეორია. ბუნებრივ-სამართლებრივი იურისპრუდენცია ერთ-ერთი უძველესი და ამასთანავე, ფართოდ გავრცელებული სამართლებრივი დოქტრინაა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, „საკითხი ბუნებითი სამართლის შესახებ არის სამართლის ფილოსოფიის ცენტრალური, სასიცოცხლო საკითხი".[28]

მეცნიერული აზრი ერთიანი არ არის ბუნებითი სამართლის შეფასებაში. დაუსრულებელი დავაა იმის შესახებ, თუ რა არის ბუნებითი სამართალი, რამდენად რეალური და პრაქტიკულად მნიშვნელოვანია იგი. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ბუნებითი სამართალი, როგორც ასეთი და მისი ცალკეული ინსტიტუტები რეალურ ცხოვრებაში არ არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი კი მიიჩნევს, რომ ბუნებითი სამართლის ფესვები ბუნებასა და გონიერებაშია და ისეთივე რეალობაა, როგორც პოზიტიური სამართალი, შექმნილი სახელმწიფოს და მისი ორგანოების სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად.

ანტიკური პერიოდის მოძღვრება ბუნებითი სამართლის შესახებ (სოფისტები, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე) ასაბუთებდა, რომ არსებობს მუდმივი ბუნებითი სამართალი – მარადიული, ბუნებრივი კანონები, რომელიც ღმერთის მიერ არის ჩანერგილი ადამიანთა გულებში და სამყაროში ერთნაირად მოქმედებენ. ბუნებითი სამართლის განმსაზღვრელ შინაარსს წარმოადგენს ღმერთების ნება და ამგვარად, ბუნებითი სამართალი იგივე ღვთაებრივი სამართალია. ბუნებით სამართალს, როგორც უნივერსალურ ფენომენს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოზიტიური – სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლისათვის, ეს უკანასკნელი უნდა შეესაბამებოდეს ღმერთის ნებით განსაზღვრულ ბუნებით სამართალს. ბუნებითი სამართალი იცავს პოზიტიურ სამართალს კანონმდებლის თვითნებობისაგან.

შუა საუკუნეების მეცნიერებმა ეჭვი შეიტანეს ბუნებითი სამართლის ფილოსოფიურ დებულებებში. მათთვის უდავოა, რომ ბუნებითი სამართალი რეალობაა. მაგრამ პრობლემურია მისი ურთიერთობა ღმერთთან და ღვთიურ სამართალთან. ბუნებითი სამართლის თეორიის განვითარებაში საუკეთესო პერიოდი იყო XVII-XVIII საუკუნეები. ამ

[28] Introduction to Law Its Dynamic Nature, by Henry Cheeseman. Sep 2004, P. 345

პერიოდის პროგრესული მოაზროვნეები (ჰოლანდიაში – ჰუგო, საბერძნეთში – სპინოზა, გაერთიანებულ სამეფოში – თომას ჰობსი და ჯონ ლოკი, საფრანგეთში – ჟან-ჟაკ რუსო, რუსეთში – რადიშჩევი და სხვ.) ცდილობენ, სამართლის თეორიული კვლევა რელიგიისაგან თავისუფალ მეცნიერულ ცოდნაზე დააფუძნონ. მათი ძალისხმევით ჩამოყალიბდა მთელი სკოლა, რომელიც ტერმინს „ბუნებითი (ბუნებრივი) სამართალი“ ყოველთვის ერთგვაროვან აზრს არ აძლევდა. ბუნებითი სამართალი განიხილებოდა როგორც ისტორიული ჰიპოტეზა, ვარაუდი იმის შესახებ, როგორი უნდა იყოს სამართალი „ბუნებრივ მდგომარეობაში“. ბუნებითი სამართალი ამ პერიოდში თამაშობდა პოლიტიკური და იურიდიული იდეალის როლს და იგი თავისი ხასიათით იყო არამარტო ევოლუციური, არამედ რევოლუციურიც. საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობის (1712-1778 წწ.) თეორიული და იდეოლოგიური დასაბუთება დაკავშირებულია ჟან-ჟაკ რუსოს სახელთან, რომელმაც ბუნებითი სამართლის სკოლის მოძღვრება ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. XIX საუკუნის დასაწყისში, ბუნებითი სამართლის განვითარებაში კრიზისული მოვლენები დადგა, იგი შეეჯახა სამართლის ისტორიული სკოლის ახალი მიმდინარეობის იდეებს, რომელიც ბუნებრივ და სოციალურ მოვლენებს განიხილავს მათი სარგებლიანობის თვალსაზრისით.

XIX საუკუნიდან, თითქმის თანამედროვე პერიოდამდე ბუნებითი სამართლის თეორია აღმავლობას განიცდის. ეს არის აღორძინებული „ბუნებრივი სამართლის“ პერიოდი. აღორძინებული ბუნებრივი სამართლის თეორია არ ცნობს მარადიულ, ყველა დროისა და ყველა ხალხისათვის უცვლელ სამართალს. ის ემყარება თვალსაზრისს, რომ არსებობს მხოლოდ ისტორიული შინაარსით ცვალებადი ბუნებრივი სამართალი. თანამედროვე ბუნებითი სამართლის თავისებურებას წარმოადგენს მისი ნათლად გამოხატული პოლიტიკური და იდეოლოგიური ასპექტი, რის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ის, რომ იგი კაპიტალიზმს მიიჩნევს ადამიანის ბუნებრივ, ადეკვატურად ასახულ მდგომარეობად.

აკადემიური და პრაქტიკული თვალსაზრისით, მორალური და ინტელექტუალური მნიშვნელობით, ბუნებრივი სამართალი არის არამარტო პოზიციური სამართლის ფორმირების პროცესის, არამედ მისი რეალიზაციის სხვადასხვა ფორმების ზნეობრივი საფუძველიც. ბუნებითი სამართლის თეორია არცთუ იშვიათად არამარტო იდეალურია, არამედ უტოპიურიც. იგი ხშირად თავის თავში მოიცავას ეთიკას, მორალს, პო-

ზიციურ და ზნეობრივ სამართალს, ფორმალურს და არაფორმალურს, არსებულს და არარსებულს. ამის მიუხედავად, ბუნებითი სამართლის ღირსებაა ის, რომ თავის საფუძვლად მიიჩნევს ზნეობასა და გონიერებას.

„თანამედროვე პერიოდში ბუნებითი სამართლის ზოგიერთი ღირებულება გამოყენებულ იქნა ადამიანის თანდაყოლილი და განუსხვისებელი უფლების შესახებ მთელი რიგი დემოკრატიული ინსტიტუტების და შეხედულებების დასაბუთებისათვის, აგრეთვე, თანასწორობის, სამართლიანობის, ზნეობრივ პრინციპებთან კანონმდებლობის აუცილებელი შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის".[29]

სამართლის ისტორიული სკოლა. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პროგრესული იდეები მიუღებელი იყო გერმანიისათვის, სადაც მტკიცე იყო ფეოდალური წყობილების საფუძვლები. ფრანგი განმანათლებლების მოწინავე იდეების წინააღმდეგ გაჩნდა მრავალი რეაქციული სკოლა, რომელთაგან ბუნებრივ სამართალს აშკარად დაუპირისპირდა სამართლის ისტორიული სკოლა. ამ სკოლის ფუძემდებლები იყვნენ გ. ჰუგო, ფ. სავინი, გ. პუხტა.

გ. ჰუგომ სისტემური სახე მისცა სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრებას, რომელიც აუცილებლად მიიჩნევდა სამართლის ისტორიის შესწავლას. ამით ის აშკარად უპირისპირდებოდა ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, რომლის თანახმად სამართალი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს და მისი განხილვა ისტორიულ ასპექტში არაფერს ჰმატებს ადამიანთა ცოდნას სამართლის შესახებ. ჰუგოს აზრით, სამართლის ისტორიული განვითარების ბუნებრივ გზას წარმოადგენს არა სამართლის ნორმების ზევიდან დადგენა, არამედ მათი თავისთავად ჩამოყალიბება. მისი აზრით, სამართალი არ შეიძლება იყოს მხოლოდ კანონებზე დამყარებული და კანონებმა განსაზღვროს სამართალი. სამართალი უნდა შეავსოს და სრულყოს ხალხის მიერ ჩამოყალიბებულმა და აღიარებულმა ადათობრივმა სამართალმა. ჰუგოს მოძღვრებაში მთლიანად უარყოფილია პოზიტიურ სამართალზე მაღლა მდგომი ბუნებითი სამართალი. მისი მტკიცებით, სამართლის არსის განმსაზღვრელი სრულებითაც არ არის სამართლიანობის იდეა, როგორც ამას ბუნებითი სამართლის სკოლა ამტკიცებს. კანონმდებლის მიერ დადგენილი ნორმებისგან იგი განასხვავებს ხალხის მიერ ნებაყოფლობით

[29] გ. ინნკირველი, დასახ. ნაშრ. გვ. 77

მიღებულ და აღიარებულ სამართალს. სამართალი კანონმდებლის ნებით განსაზღვრული კი არ არის, არამედ ადამიანთა ურთიერთობის პროცესში ჩამოყალიბებული ქცევის წესებია. სამართლის ნორმაში დასაფასებელია არა მისი შინაარსი, არამედ განსაზღვრულობა, რის გამოც ადამიანებმა იციან რა არის ნებადართული და რა აკრძალული. სამართლის ნორმები ყოველთვის კარგია იმ სახით, რა სახითაც ისინი არსებობენ. კანონები ცუდია თუ კარგი, შეიძლება შეფასდეს იმის მიხედვით, თუ როგორ სრულდება ისინი საზოგადოებაში.[30]

გ. ჰუგო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველგვარი ცვლილებების წინააღმდეგია. იგი განსაკუთრებულ მოკრძალებას იჩენს როგორც ისტორიული წარსულის, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მკვეთრად დამკვიდრებული წესებისადმი. ამ თვალსაზრისით, იგი ფაქტობრივად იცავს გერმანიაში ჩამოყალიბებულ ბატონ-ყმურ ურთიერთობებს და იბრძვის ბუნებითი სამართლის მოძღვრების წინააღმდეგ.

ისტორიული სკოლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ფ. სავინმა სრულიად ახლებურად დააყენა სამართლის ისტორიული ფილოსოფიის აქტუალური საკითხები. სავინის მტკიცებით, საზოგადოების განვითარების ისტორია გარკვეულ კანონზომიერებას წარმოადგენს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაფერი განიცდის ცვლილებებს და ამდენად, საზოგადოებრივი მოვლენები მუდმივ მოძრაობაში იმყოფებიან. სავინი მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებაში პიროვნებებს და მათ ნებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ისტორიულ განვითარებაში ყველაფერი ემყარება ეროვნულ შეგნებას. სამართალიც, ისევე როგორც ყველა სოციალური მოვლენა, ვითარდება „სახალხო სულის" შესაბამისად და მასზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს ვერც ცალკეულ პირთა სუბიექტური ნება და ვერც ისტორიული შემთხვევითობანი. ფ. სავინის ეს მოსაზრება არსებითად ბუნებითი სამართლის წინააღმდეგ არის მიმართული, თუმცა მიღებული დასკვნები შინაარსით ბუნებითი სამართლის დასკვნებს ემსგავსება. კერძოდ, ბუნებითი სამართლის ის დებულება, რომ არსებობს სამართლიანობის უმაღლეს პრინციპებზე დამყარებული ბუნებითი სამართალი, რომლის შინაარსის შეცვლა არავის და არაფერს არ შეუძლია. ასევე განსჯის ფ. სავინიც. იგი მიიჩნევს, რომ სამართლის შინაარსსა და მის განვითარებაზე არაფერს არ შეუძლია გავლენის მოხდენა.

[30] G. Hugo, Lehrbuch des Naturrechis, S. 2

მთლიანობაში, სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრება მიმართულია ბუნებითი სამართლის წინააღმდეგ, რაც კიდევ უფრო მეტად გააღრმავა გ. პუხტას მოსაზრებებმა. გ. პუხტაც, პოზიტიური სამართლის პირველწყაროდ ისტორიულად ჩამოყალიბებულ „სახალხო სულს“ აღიარებს. მისი აზრით, „სახალხო სულზე“ დამყარებული სახალხო რწმენა, როგორც სამართალშემქმნელი ძალა, სახელმწიფოებრივ საწყისებზე მაღლა დგას, ამიტომ სახელმწიფოს არ შეუძლია შექმნას სამართალი. „სახალხო სული“, ხალხის რწმენა ქმნის არა მარტო სამართალს, არამედ სახელმწიფოსაც. ამდენად, „სახალხო სული“ იურიდიულად მნიშვნელოვანი მოვლენაა. გ. პუხტას, სახელმწიფო წარმოდგენილი აქვს როგორც „სახალხო სულის“ დასრულებული გამოხატულება.

სამართლის ისტორიული სკოლის იდეებმა და დაპირისპირებამ განაპირობა ბუნებითი სამართლის კრიზისი.

ფსიქოლოგიური თეორია. ფსიქოლოგიური თეორიის შექმნა და განვითარება დაკავშირებულია პოლონური წარმოშობის, რუსეთში მოღვაწე მეცნიერის ლ. პეტრაჟიცკის სახელთან. ამ თეორიის წარმომადგენლები არიან აგრეთვე როსსი და ბეისნერი.

ფსიქოლოგიური თეორია დაფუძნებულია მოსაზრებაზე, რომ სამართლის წარმოშობისა და ფუნქციონირების ძირითადი მიზეზი არის არა ეკონომიკური, სოციალური ან სხვაგვარი ფაქტორი, არამედ ადამიანის ფსიქიკის თავისებურებანი, იმპულსები და ემოციები.

პეტრაჟიცკის აზრით, სამართალი არის კონკრეტული ფსიქიკური რეალობა – ადამიანის სამართლებრივი განცდები და ემოციები, რომლებიც იმპერატიულ-ატრიბუტიული ხასიათისაა. ეს მჟღავნდება იმაში, რომ ერთის მხრივ ადამიანს აქვს განსაზღვრული მოქმედების შესრულების განცდა, მეორეს მხრივ კი, ეს განცდა შეიცავს იმის შეგნებასაც, რომ სხვასაც აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს ამ მოქმედების შესრულება. მაგალითად, სესხის სამართლებრივ ურთიერთობაში, მოვალეს აქვს არამარტო ვალის გადახდის ვალდებულების განცდა, არამედ კრედიტორის შესაბამისი მოთხოვნის სამართლიანობის განცდაც.[31]

შესაბამისად იმისა, თუ რა სახისაა ემოცია, სამართალი ორი განშტოებისაა – ინტუიციური და პოზიტიური. თუ ემოცია წარმოიშვა რაიმე ავტორიტეტის (მაგალითად, სახელმწიფოს) ზეგავლენით, სამართალი პოზიტიურია, ხოლო თუ ემოცია წარმოიშვა ავტორიტეტის გარეშე და

[31] გ. ინწკირველი, დასახ. ნაშრ. გვ. 78

თავიდანვე არსებობდა საზოგადოებაში, ასეთი სამართალი ინტუიციურია და იგი არ საჭიროებს რაიმე შუალედურ რგოლს ადამიანსა და სამართალს შორის. პეტრაჟიცკის აზრით, ინტუიციური სამართალი არეგულირებს ადამიანის ქცევას და ამიტომ, იგი არის რეალური, მოქმედი სამართალი.

ფსიქოლოგიური თეორიის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მან ყურადღება გაამახვილა სამართლებრივი სინამდვილის მნიშვნელოვან მხარეზე – ადამიანის ფსიქიკაზე, რაც სამართალშემოქმედების განხორციელების ანგარიშგასაწევი ფაქტორია. ამას ადასტურებს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ისეთი ჰუმანური ნორმატიული აქტები, როგორიცაა „ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია“, პაქტები „სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ“, „სამოქალაქო, პოლიტიკური უფლებების შესახებ“ და სხვ.

ნორმატივიზმის თეორია. ნორმატივიზმი ორიგინალობით გამორჩეული, ფართოდ გავრცელებული თეორიაა. მისი ფუძემდებელია გამოჩენილი მეცნიერი ჰანს კელზენი, რომლის მოსაზრებას იზიარებენ ასევე პ. ნოვგოროდცევი და რ. შტამლერი.

კელზენის კონცეფციის დებულებანი ჩამოყალიბებულია მის ნაშრომებში. ნორმატიული დოქტრინის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს: სამართალი არის ნორმების ერთობლიობა, რომელიც გამოხატულია კანონებში და სხვა ნორმატიულ აქტებში.

სამართალი არის მწყობრი, ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული ნორმების იერარქიული პირამიდა, რომელსაც სათავეში უდგას ერთი ძირითადი უმაღლესი ნორმა. ეს უნივერსალური ნორმა რაიმე აქტის სახით კი არ არსებობს, არამედ იგულისხმება და მისი შეცვლა არავის და არაფერს არ შეუძლია.

ჰ. კელზენი სამართლებრივი მოვლენის ახსნას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ ნორმის საფუძველზე. კელზენისათვის სამართალი არის ნორმა და სრულიად დაუშვებელია სამართლის ნორმის არსისა და ბუნების ახსნა იმის შეფასებით, სამართლიანია იგი თუ უსამართლო, რადგან ამის განსჯა არ შედის სამართლის სფეროში, იგი მეტაიურიდიული საკითხია. სამართლის მეცნიერება იკვლევს ფორმას და ამის გამო სარგებლობს მხოლოდ ნორმატიული მეთოდით. კელზენის აზრით, მის მიერ შემუშავებული სამართლის კვლევის მეთოდი თავისუფალია ყოველგვარი მეტაიურიდიული შენარევებისაგან და ემყარება სამ ძი-

რითად საწყისს:

❍ შერაცხვა და მისი დაპირისპირება მიზეზობრიობის პრინციპებთან;

❍ ჯერარსობა და მისი დაპირისპირება არსობასთან;

❍ სამართლებრივი ნორმა როგორც ჯერარსობაზე ჰიპოტეზური მსჯელობა;

სამართალს უნდა ჰქონდეს თავისი კვლევის განსაკუთრებული მეთოდი. იურისტის მიზანს ფაქტების ახსნა შეადგენს, მისი მიზანი ფორმალური ხასიათისაა და ამიტომაც მეთოდი, რომლითაც ის სარგებლობს უნდა იყოს ფორმალური, ე.ი. ნორმატიული.

კელზენის აზრით, ნორმატიულ პრიზმაში უნდა განვიხილოთ არამარტო სამართალი, არამედ მართლწესრიგიც, რამდენადაც მართლწესრიგი წარმოადგენს ნორმების სისტემას. იგი მწვავედ აკრიტიკებს ბუნებითი სამართლის მოძღვრებას როგორც ბუნებითი სამართლის მეტაფიზიკას, რომლითაც შეიძლება დამტკიცდეს ყველაფერი და არაფერი.[32]

ჰ. კელზენის იდეალია ნორმა „წმინდა სახით", მიუხედავად იმისა, დასაბუთებული და სამართლიანია თუ არა იგი. „წმინდა სამართლის" თეორია კელზენმა განავითარა თავის ცნობილ ნაშრომში „მოძღვრება წმინდა სამართალზე" და დააზუსტა ნაშრომში „ვენის სამართლის თეორიული სკოლა". „წმინდა ნორმა" სავალდებულო და მბრძანებლურია, ამაშია მისი ღირსება და არა იმაში, რომ იგი უნდა იყოს თანასწორობის, თავისუფლების და სამართლიანობის გამომხატველი.

ნორმატივიზმის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი მტკიცებით, სამართალი მიეკუთვნება არა „არსობის", არამედ „ჯერარსობის" სფეროს, ე.ი. სამართალი ის კი არ არის რაც არსებობს, არამედ ის, რაც უნდა არსებობდეს.

„არსობა" (Sein) და „ჯერარსობა" (Sollen) ორი განსხვავებული ცნებაა და მათ შორის დამოკიდებულება ყოველთვის ერთნაირი არ არის. ერთ შემთხვევაში ისინი შეიძლება ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, მეორე შემთხვევაში კი შესაძლებელია არსობიდან ჯერარსობის გამოყვანა ან პირიქით. არსობა და ჯერარსობა ერთმანეთთან მკვეთრად არის დაპირისპირებული. მსჯელობა „არის" და „უნდა იყოს" ერთმანეთს

[32] ალ. ვაჩეიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე. ტფ. 1928, გვ. 48

გამორიცხავს. ჯერარსობა მნიშვნელოვნად განსხვავდება არსობისგან. მაგალითად, ინდივიდს შეიძლება გააჩნდეს რაიმე ვალდებულება და არ სურდეს და პირიქით, შეიძლება სურდეს, მაგრამ არ გააჩნდეს ვალდებულება. კელზენი მიიჩნევს, რომ ბუნების კანონები გამოხატავენ რეალობას, იმას, რაც არის, იურიდიული ნორმები კი მხოლოდ იმას გამოხატავს, რაც უნდა იყოს.

ნორმატივიზმის ეს დებულება რამდენადმე სახეშეცვლილად აისახა თანამედროვე იურისპრუდენციაში. პროფესორ გ. ხუბუას აზრით, „სამართალი ჯერარსული მოვლენაა. სამართალი ადგენს ქცევის სავალდებულო ნორმებს, რომლის შესაბამისად უნდა მოიქცეს ნორმის ადრესატი. სწორედ ნორმატიულობა განასხვავებს სამართლის ნორმებს ბუნების კანონებისგან. სამართლის ნორმა არის ნორმატიული (პრესკრიფციული), ხოლო ბუნების კანონი – აღწერილობითი (დესკრიფციული)... იურიდიული კანონი ლოგიკურად არ გამომდინარეობს ემპირიული ფაქტიდან. არსიდან შეუძლებელია ჯერარსის წარმოება. საბუნებისმეტყველო მეცნიერება აკვირდება ბუნებას. პირიქით ხდება სამართალში – კანონმდებელი თვითონ წყვეტს, თუ რომელი კანონია სასურველი და ადგენს, რომ „ეს ასე უნდა იყოს“... სამართლის ჯერარსული ნორმა ინარჩუნებს სავალდებულობას მისი დარღვევის შემთხვევაში“.[33]

ახასიათებს რა სამართლის პოლიტიკას, პროფესორი გ. ხუბუა აღნიშნავს: „სამართლის სისტემა არ არის (და არ შეიძლება იყოს) იურიდიულად სრულყოფილი. სამართალი მუდმივი სრულყოფისა და განვითარების პროცესშია. სამართლის პოლიტიკა, როგორც იურიდიული მეცნიერების ნაწილი, აყალიბებს შეხედულებებს იმის შესახებ თუ (მომავალში) როგორი უნდა იყოს სამართალი – de lege farenda.

სამართლის პოლიტიკა შეისწავლის სამართალს როგორიც „ის უნდა იყოს“.[34]

ნორმატივიზმის მეცნიერული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ სამართლის სისტემის პირველ ელემენტად აღიარებულია ნორმა. „სამართალი არამარტო წარმოადგენს ნორმას, წარმოადგენს აგრეთვე, გარკვეულ ღირებულებას. სამართალი წარმოადგენს ღირებულებას სწორედ იმიტომ, რომ ის არის ნორმა“ – ასეთია ნორმატივიზმის ფორმულა. რეალურ ასპექტში ეს არის „წმინდა“ და ცარიელი ფორმა სავალ-

[33] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 39-40

[34] იქვე, გვ. 22

დებულო ქცევისა, რომელსაც გააჩნია იმპერატიულ-მბრძანებლური სტატუსი და თვითნებური პოზიტიურ-სამართლებრივი შინაარსი.

ჰ. კელზენის მოძღვრებაში, იურიდიული მეცნიერების ყველა პრობლემა დაქვემდებარებულია მხოლოდ ერთი სოციალური ფენომენის, სამართლის ნორმისადმი და მასთან არის დაკავშირებული ყველა იურიდიული მოვლენა – სახელმწიფო, მართლწესრიგი, სამართლის რეალიზაცია და ა.შ. სამართლის ნორმა ის ქვაკუთხედი და პირველადი წყაროა, რომელიც განსაზღვრავს მთელ იურიდიულ სამყაროს.

კელზენის თეორიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა იურიდიულ წრეებში. ბურჟუაზიული მეცნიერების დიდმა ნაწილმა მას მაღალი შეფასება მისცა, ზოგიერთმა საერთოდ უარყო ნორმატიული მოძღვრების აკადემიურობა.

სოციოლოგიური იურისპრუდენცია. სამართლის რეალისტური სკოლა. სოციოლოგიური იურისპრუდენცია სამართლებრივი მოვლენის კვლევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიმართულებაა. სოციოლოგიური თეორია ჩაისახა XIX საუკუნის შუა წლებში. მისი გამოჩენილი წარმომადგენლები არიან ლ. დიუგი, ს. მურომცევი, ე. ერლიხი, რ. ჰაუნდი. სოციოლოგიური იურისპრუდენციის ფილოსოფიური საფუძველია პრაგმატიზმი – იდეალისტური მოძღვრება, რომელიც ჭეშმარიტების ერთ-ერთ კრიტერიუმად მიიჩნევს პრაქტიკულ სარგებლიანობას და მიზანშეწონილობას.

სოციოლოგიური თეორია ყურადღებას ამახვილებს სამართლებრივი რეალობის ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, სამართლის კავშირი სხვა სოციალურ ნორმებთან, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმატიული რეგულირების შესაძლებლობანი, კავშირი სამართალსა და პოლიტიკას შორის, სამართლის ნორმების ეფექტურობა და სხვ. ამ თეორიის ამოსავალი დებულებაა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა და მისი განვითარების დინამიკა. სოციოლოგები მიიჩნევენ, რომ სამართალი უნდა ვეძებოთ არა ნორმებში ან ფსიქიკაში, არამედ სოციალურ ცხოვრებაში, რომ სამართლის ცნებას საფუძვლად უდევს სახელმწიფოს მიერ დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობანი. სოციოლოგები გამოკვეთილად ამახვილებენ ყურადღებას სამართლის ნორმის ეფექტურობაზე და სახავენ მისი განვითარების პერსპექტივებს.

„სამართლის სოციოლოგია სწავლობს ფაქტობრივად მოქმედ სამართალს. თუმცა, სამართლის იურიდიული და სოციალური მოქმედება მხოლოდ პირობითად შეიძლება ერთმანეთისგან გაიმიჯნოს. სამართლის დოგმატიკოსიც იკვლევს ემპირიულად მოქმედ სამართალს, მაგრამ ძირითადად ყურადღებას მაინც სამართლის ნორმატიულ ასპექტებს უთმობს. სამართლის დოგმატიკისგან განსხვავებით, სამართლის სოციოლოგია სწავლობს არა უშუალოდ სამართლის ნორმას, არამედ სამართლებრივ სინამდვილეს. სამართლის სოციოლოგიას აინტერესებს „სამართალი მოქმედებაში" და არა „სამართალი წიგნებში" – არა „Law in Books", არამედ „Law in Action" (როსკო პაუნდი).[35]

სოციოლოგიური იურისპრუდენციის ყველაზე რეაქციული სახეა ე.წ. სამართლის რეალისტური სკოლა, რომელიც გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული სამართლებრივი ნიჰილიზმით.

სამართლის რეალისტური სკოლის ფუძემდებლად ითვლება გერმანელი მეცნიერი რ. იერინგი. თავის კონცეფციის ჩამოყალიბება მან ბუნებითი სამართლისა და სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრების კრიტიკით დაიწყო. ასეთი კრიტიკის საფუძველზე რეალისტური სკოლის დოქტრინა გადმოცემულია რ. იერინგის ნაშრომებში: „მიზანი სამართალში", „ბრძოლა სამართლისათვის", „რომის სამართლის განვითარების ისტორია" და „რომის სამართლის სული". რ. იერინგი მკაცრად აკრიტიკებს სამართლის ისტორიულ სკოლას, მის იდეებს უწოდებს მცდარს და აქტიურად ებრძვის ამ სკოლის უმთავრეს დებულებას – „სახალხო სულის" შესაბამისად სამართლის ორგანულ განვითარებას. რ. იერინგს მიაჩნია, რომ სამართლის ისტორიული სკოლის იდეა არ იძლევა მოქმედი სამართლებრივი ნორმების ჭეშმარიტი არსის ახსნას, იგი ნორმათა სისტემას სწავლობს ცხოვრებისგან მოწყვეტილად, არ იკვლევს მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს სამართლის გაჩენა. იერინგის აზრით, საჭიროა ბრძოლა სამართლისათვის: „ყოველი სამართალი სამყაროში ბრძოლითაა მოპოვებული... სამართალი ლოგიკური ცნება კი არა, ძალის ცნებაა. ამიტომ სამართლიანობას გამოხატავენ ერთ ხელში სასწორით, რომლითაც იწონება სამართალი, მეორეში კი – მახვილით, რომელიც იცავს მას. მახვილი სასწორის გარეშე აშკარა ძალადობა იქნებოდა, სასწორი მახვილის გარეშე კი – სამართლის უსუსურობა. ორივე ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და

[35] გ. ხუბია, დასახ. ნაშრ. გვ. 21

სრულყოფილი სამართალი მხოლოდ იქ ბატონობს, სადაც მახვილით წარმართული სამართლიანობის ძალა შეეფარდება იმ სიზუსტეს, რომელიც სასწორითაა უზრუნველყოფილი".[36]

სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, რ. იერინგის აზრით, მუდმივი ბრძოლაა წინასწარ დასახული მიზნის – სამართლის შექმნისათვის. სამართალი არის ძიება, კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი ყველა გარდაქმნა.

რ. იერინგი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო არის სამართლის ერთადერთი წყარო. სახელმწიფოს აქვს იძულების მონოპოლია, რომელიც უზრუნველყოფს იმ სამართლებრივი ნორმების რეალიზაციას, რომელსაც სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად ქმნის სახელმწიფო. ამასთანავე, თუ სახელმწიფო თავის თავს არ შეიზღუდავს სამართლის ნორმებით, სამართლამდე ვერ ამაღლდება. ზნეობის სფეროში არსებული სამართლის იდეა მოქმედი სამართლის უმაღლესი პრინციპია და სწორედ მისი მიხედვით ხდება პოზიტიური სამართლის შეფასება.

თუ სამართლის ისტორიული სკოლისათვის გონივრული და ჭეშმარიტი იყო მხოლოდ „სახალხო სულის" საფუძველზე არსებული პოზიტიური სამართალი, რ. იერინგისათვის „მნიშვნელოვანია არა ის, რაც არსებობს, არამედ ის რაც უნდა იყოს, რასაც მოითხოვს სამართლის მიზანი და სამართლიანობის იდეა".[37]

მიუხედავად იმისა, რომ სამართლის რეალისტურმა სკოლამ იურიდიულ მეცნიერებაში მრავალი ახალი ცნება და დებულება შემოიტანა, მის მიერ შემუშავებული კონცეფცია კრიტიკასაც იწვევს. კერძოდ, მიუღებელია რ. იერინგის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამართლის განვითარება ხდება ბრძოლით, ინტერესთა შეჯახების და ძველის უარყოფის შედეგად. რ. იერინგის მიხედვით, სახელმწიფოებრივი იძულება მთელი საზოგადოების ნებას წარმოადგენს და სამართალი ის ძალაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს იძულების ფორმით. სახელწოდება „რეალისტური" მომდინარეობს იქიდან, რომ „რეალისტების მიხედვით, რეალურად არსებობენ მხოლოდ ფაქტები და მოვლენები, ხოლო კანონებში გამოხატული წესები არის კანონმდებლის ვარაუდი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამა თუ

[36] Р. Иеринг. Цель в праве. т. I. М. 1870. С. 228

[37] Р. Иеринг. Борба за право. М. 1874. С. 15

იმ კატეგორიის საქმეების გადაწყვეტა ცხოვრებაში, რითაც გამართლებულია მოსამართლეებისა და ადმინისტრატორების თვითნებობა".[38]

სწორედ ასეთი არარეალური, ზოგჯერ მცდარი დებულებანი, ერთგვარ რეაქციულ ელფერს აძლევს სამართლის რეალისტურ სკოლას.

სქემა №15. ძირითადი თეორიები სამართლის არსის შესახებ

ბუნებითი სამართლის თეორია სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ჰუგო, სპინოზა, ჰობსი, ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, რადიშჩევი	არსებობს მუდმივი, უნივერსალური, ბუნებითი სამართალი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ დადგენილი პოზიტიური სამართლისათვის. მარადიული ბუნებითი კანონები ღმერთის შექმნილია და ისინი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს.

სამართლის ისტორიული სკოლა ჰუგო, სავინი, პუხტა	სამართალი ისტორიული განვითარების შედეგია. იგი ვითარდება `სახალხო სულის~ შესაბამისად. `სახალხო სული~ ქმნის როგორც სამართალს, ისე სახელმწიფოსაც.

[38] გ. ინწკირველი, დასახ. ნაშრ. გვ. 79

ფსიქოლოგიური თეორია ლ. პეტრაჟიცკი, როსსი, რეისნერი	სამართალი არის კონკრეტული ფსიქიკური რეალობა, ადამიანის სამართლებრივი განცდები და ემოციები. ნამდვილი სამართალია ინტუიციური სამართალი.

ნორმატივიზმის თეორია ჰანს კელზენი, ნოვგოროდცევი, შტამლერი	სამართალი არის ნორმების იერარქიული პირამიდა, რომელსაც სათავეში უდგას უმაღლესი ნორმა, რომელიც კი არ არსებობს, არამედ იგულისხმება.

სოციოლოგიური იურისპრუდენცია დიუგი, მურომცევი, პაუნდი, ერლიხი	სამართალი უნდა ვეძებოთ არა ნორმებში ან ფსიქიკაში, არამედ სოციალურ ცხოვრებაში. სამართლის სოციოლოგიას აინტერესებს `სამართალი მოქმედებაში~ და არა `სამართალი წიგნებში~.

სამართლის რეალისტური სკოლა იერინგი, ფრენკი, ლეველინი	რეალურად არსებობს მხოლოდ ფაქტები და მოვლენები. კანონებში გამოხატული წესები არის კანონმდებლის ვარაუდი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება საქმეების გადაწყვეტა ცხოვრებაში.

§ 3. სამართალი და კანონი

იურისპრუდენციის „მარადიული", წარსულისა და თანამედროვეობის აქტუალური პრობლემა არის სამართლისა და კანონის ურთიერთობის გარკვევა. იგი უპირატესად აკადემიური პრობლემაა, თუმცა გარკვეული პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს.

პრობლემის არსი მდგომარეობს საკმაოდ რთული საკითხების გარკვევაში: როგორია ურთიერთობა სამართლებრივი სინამდვილის ორ მოვლენას – სამართალსა და კანონს შორის, არიან თუ არა ისინი იდენტური ცნებები და თუ არ არიან, რითი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორია თითოეულის დანიშნულება საზოგადოებაში და როგორია მათი ურთიერთობის პერსპექტივები?

სამართალი და კანონი არ არის იდენტური ცნებები. ისტორიულად სამართალი კანონზე ადრე წარმოიშვა და კანონის გარეშე არსებობდა. საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე სახელმწიფოებრივი ნება გამოვლინდა კანონის ფორმაში და კანონი, როგორც სამართლის წყარო საზოგადოებრივი ცხოვრების რეალობა გახდა, თუმცა კანონი არც ადრე და არც ამჟამად არ არის იურიდიული ჭეშმარიტების ერთადერთი წყარო. გარდა კანონისა, სამართლებრივი სინამდვილე აისახება აგრეთვე ისეთ ფორმებში, როგორიცაა ბუნებითი სამართლის მოთხოვნები, ჩვეულებითი სამართალი, სამოსამართლო სამართალი (სასამართლო პრეცედენტი), „იურისტების სამართალი" (სწავლულ იურისტთა დოქტრინები).

თანამედროვე პერიოდში სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს კანონი – სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი. როგორც პოზიტიური სამართლის გამოხატვის ფორმა, კანონი წარმოადგენს სამართლებრივ მოვლენას და ამ თვალსაზრისით იგი სარგებლობს სახელწიფოს მხრიდან ოფიციალური აღიარებითა და დაცვით. კანონი სოციალურ ცხოვრებაში სამართლის მოქმედების გამოხატვის ზოგადსავალდებულო ფორმაა.

სამართალსა და კანონს შორის მსგავსებისა და განსხვავების კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხს – როგორია სამართალი და შესაბამისად კანონი – სამართლიანი თუ არასამართლიანი. სამართლიანობა სამართლის შინაგანი თვისებაა, სამართლის არსებობის გა-

მართლება და სოციალურ სამყაროში სამართლიანობის დამკვიდრებაა. სამართლიანობის (justitia) ეტიმოლოგია აღიქმება სამართალთან (jus) ერთად და ნიშნავს სოციალურ სამყაროში სამართლებრივი საწყისის არსებობას, მის სამართლიანობას, იმპერატიულობას და აუცილებლობას. მხოლოდ სამართალი შეიძლება იყოს სამართლიანი, რადგან სამართალი არის თანასწორობის, თავისუფლების და სამართლიანობის საყოველთაო და აუცილებელი ფორმა. სამართლის გაგება, როგორც თავისუფლებისა და თანასწორობის ზოგადი მასშტაბისა, აუცილებლობით გულისხმობს მის სამართლიანობასაც.

იურიდიულ ლიტერატურაში კანონისა და სამართლის ურთიერთობის შესახებ ორი რადიკალურად განსხვავებული კონცეფციაა. ერთი კონცეფციის თანახმად, სამართალი, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულატორი არსებობს სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად. ამიტომ კანონი და კანონის წინ არსებული ბუნებითი სამართალი ემყარებიან სხვადასხვა პოსტულატებს, ისინი განსხვავებული სოციალური ინსტიტუტებია. სახელმწიფო არის არა სამართლის შემოქმედი, არამედ ისეთი ინსტიტუტი, რომელიც მნიშვნელოვნად არის შეზღუდული სამართლით. სახელმწიფო წარმოადგენს კანონის შემოქმედს, აქვს კანონშემოქმედებითი მონოპოლია და არა სამართალშემოქმედებითი საქმიანობის მონოპოლია. სამართალი სახელმწიფოსა და კანონისაგან დამოუკიდებელი მოვლენაა. ამიტომ სამართლისა და კანონის გაიგივება მეცნიერულად მცდარი და მიუღებელია.

მეორე კონცეფცია ემყარება მოსაზრებას, რომ სახელმწიფო წარმოადგენს სამართლის ერთადერთ წყაროს, რომ მას, რასაც ადგენს სახელმწიფო თავისი კანონებით, ეწოდება სამართალი. ზოგადსავალდებულობა დამახასიათებელია როგორც სამართლის, ასევე კანონისთვის, ეს არის ოფიციალურ-მბრძანებლური ანუ სამართლებრივი თვისება. კანონი არის ზოგადსავალდებულო ხასიათის იმიტომ, რომ იგი მოქმედებს როგორც სამართალი და არა როგორც სამართლებრივი დანაწესი. სახელმწიფო ხელისუფლება არა მარტო ზოგადსავალდებულო ძალას ანიჭებს კანონს, არამედ ერთდროულად ამტკიცებს, რომ სწორედ ეს არის სამართალი. კანონისა და სამართლის ზოგადსავალდებულობა არის ორი სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული მომენტი: ოფიციალურ-მბრძანებლური და სამართლებრივი. კანონი დაცულია სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი სანქციებით. ამაშია კანონის ლეგიტიმაციის ფესვები.

ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული იქნა სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობის სპეციალური ინსტიტუტები, პროცედურები და წესები, ასევე ავტორიტეტული, ეფექტური კონტროლი კანონისა და სამართლის შესაბამისობაზე.

კანონის პრეტენზია – იყოს სამართალი, ვლინდება იმ პრინციპულ ფაქტორში, რომ კანონს არა აქვს სამართლისგან განსხვავებული თავისი საკუთარი არსი, კანონის არსი იგივეა რაც სამართლის არსი.[39]

სამართლისა და კანონის თანაფარდობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად სადაო არ არის ის საკითხი, რომ კანონი უნდა იყოს სამართლებრივი. მაგრამ რა კრიტერიუმით უნდა განისაზღვროს კანონის სამართლიანობა? რომელი კანონები უნდა მივიჩნიოთ სამართლებრივად და რომელი არა? იურიდიულ ლიტერატურაში არც ამ საკითხზე არის დამაჯერებელი პასუხი. მეცნიერი იურისტები და ფილოსოფოსები ასახელებენ სხვადასხვა კრიტერიუმებს სამართლებრივი და არასამართლებრივი კანონების ურთიერთგამიჯვნისათვის, თუმცა ეს კრიტერიუმები არცთუ ისე დამაჯერებელია.

მეცნიერთა უმრავლესობა ეყრდნობა რა ძველი რომაელი იურისტების ცნობილ სენტენციას, რომ „სამართლიანობა და სიკეთე არის კანონთა კანონი", აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ სამართლებრივი იდეალი უნდა იყოს სამართლებრივი კანონის შინაარსი, ე.ი. კანონი უნდა ემყარებოდეს სიკეთის, სამართლიანობის, ჰუმანიზმის პრინციპებს. ყველა სხვა კანონი, რომელიც თავის თავში არ შეიცავს სამართლებრივ იდეალს, არ წარმოადგენს სამართლებრივ კანონს.

სამართლისა და სამართლებრივი კანონის განსაზღვრა მორალის საფუძველზე არ წყვეტს სამართლისა და კანონის ურთიერთობის პრობლემას. პირიქით უფრო ართულებს მას, ერთმანეთში თქვეფს სამართლებრივ და მორალურ კატეგორიებს.

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, კანონის სამართლიანობის კრიტერიუმი არის მთელი საზოგადოების, ერის ან ხალხის „საერთო ნება". სამართლებრივს წარმოადგენს მხოლოდ ისეთი კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც ადეკვატურად ასახავს „საერთო ნებას".[40] უდავოა, რომ აღნიშნული კრიტერიუმი იმსახურებს მოწონებას, თუმცა ბადებს მთელ რიგ პასუხგაუცემელ კითხვებსაც. კერძოდ, საკითხს იმის

[39] Introduction to Law by Joanne Hames, Yvonne Ekern, 2005, 3rd Edition , P. 478

[40] А. Дюги. Личность и государство. СПб. 1901. С. 22

შესახებ ვინ და როგორ უნდა განსაზღვროს გამოხატავს თუ არა კანონი „საერთო ნებას“. რატომ არის, რომ ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანო, ერთ შემთხვევაში გამოსცემს კანონებს, რომელშიც ასახულია მთელი საზოგადოების ინტერესები, სხვა შემთხვევაში - არა. რამდენად მიზანშეწონილი და ეფექტურია „საერთო ნების“ კრიტერიუმი?

როგორც აღვნიშნეთ, სამართლიანი კანონის დასახასიათებლად მეცნიერები ხშირად იყენებენ ფილოსოფიურ-მორალურ კატეგორიებს – სამართლიანობას, სიკეთეს, ჰუმანიზმს. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადამიანებმა შეიძლება მხოლოდ იოცნებონ იმაზე, რომ თითოეულ კანონს ჰქონდეს სოლიდური მორალური ბაზა. კანონი კი არ შეიძლება განისაზღვროს სხვაგვარად, თუ არა „ნორმატიულად განმტკიცებული სამართლიანობა“.

კანონის სამართლებრივი ბუნებისა და არსის პოზიციებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ზოგადსავალდებულო ძალა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სამართლებრივ კანონს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვაღიაროთ, რომ ძალისა და ძალადობის გზით ყოველგვარი თვითნებობა გადაიზრდება სამართალში. მხოლოდ სამართლებრივი კანონი არის სამართლის ადეკვატური გამოხატულება, მისი ოფიციალური აღიარება როგორც თავისუფლებისა და თანასწორობის მასშტაბისა.

როგორც მართებულად არის მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლისა და კანონის თანაფარდობის პრობლემა რჩება არა მარტო გადაუჭრელი, არამედ უფრო მეტად გაღრმავებულ პრობლემად. მისი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ახალი მეთოდოლოგიისა და მსოფლმხედველობის საფუძველზე, რაც მომავლის პერსპექტივაა.

სქემა №16. სამართლისა და კანონის თანაფარდობა



§ 4. სამართლის პრინციპები

სამართლის სხვადასხვა კომპონენტებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის პრინციპებს. სამართლის პრინციპები (ლათ. principum) ძირითადი ამოსავალი დებულებებია, რომლებშიც იურიდიულად არის განმტკიცებული საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური კანონზომიერებანი. მათში ასახულია მთავარი თვისებები და თავისებურებანი, რაც გააჩნია სამართალს, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობებში თავისუფლებისა და სამართლიანობის ზომის სახელმწიფო რეგულატორს. პრინციპები გამოხატავენ სამართლის ყველაზე არსებით ნიშნებს, განსაზღვრავენ მის იურიდიულ ბუნებას. სამართლის პრინციპები საფუძვლად უდევს სამართლებრივ სახელმწიფოს და მისი ყველა ორგანოს საქმიანობას. ხელმძღვანელობს რა სამართლის პრინციპებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებების დაცვას, გარანტიას უქმნის მათი იურიდიული მოვალეობების შესრულებას.[41]

სამართლის პრინციპებით არის გამსჭვალული ყველა სამართლებრივი ნორმა. სამართლის მოთხოვნების მკაცრი და ზუსტი განხორციელება ერთდროულად ნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლის პრინციპების შესრულებას.

სამართლის პრინციპები შეიძლება სპეციალურად იყოს განმტკიცებული ზოგად იურიდიულ ნორმებში (ნორმა-პრინციპები, კონსტიტუციები, კანონების, კოდექსების პრეამბულები) ან ჩართული იყოს თვით სამართლის ნორმის შინაარსში. სამართლის პრინციპები განპირობებულია ამა თუ იმ სამართლებრივი სისტემის ობიექტური მოთხოვნებით, საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური პირობებით, სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურით და შინაარსით, საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებით.

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ ზოგად, დარგთაშორის და დარგობრივ პრინციპებს.

ზოგადი პრინციპები ზოგადი საწყისებია, რომლებიც განსაზღვრავენ სამართლის ყველაზე არსებით ნიშნებს, მის სპეციფიკურ თავისებურებებს. ისინი ვრცელდება ყველა სამართლებრივ ნორმაზე და სამართლის ყველა დარგზე, მიუხედავად მათ მიერ რეგულირებულ

[41] H.L.A. Hart, The Concept of Law, Revised Edition, Oxford: Oxford University Press 1994; P. 126

საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათისა და სპეციფიკისა.

სამართლის ზოგადი პრინციპებია:

❍ სოციალური თავისუფლების პრინციპი. ეს პრინციპი უზრუნველყოფს პიროვნების სოციალურ დაცვას. ქმნის რეალურ გარანტიებს თავისუფალი და უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი არიან დაიცვან ადამიანის, როგორც უმაღლესი სოციალური ღირებულების, უფლებები და თავისუფლებები.

❍ სოციალური სამართლიანობის პრინციპი. ამ პრინციპს აქვს მორალურ-სამართლებრივი შინაარსი. იგი უზრუნველყოფს თანაფარდობას საზოგადოებაში ინდივიდის პრაქტიკულ როლსა და სოციალურ მდგომარეობას შორის, მათ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის, დანაშაულსა და სასჯელს შორის, ადამიანის დამსახურებასა და მის საზოგადოებრივ მდგომარეობას შორის. სამართლიანობის პრინციპი ყველაზე მაღალი ხარისხით გამოხატავს სამართლის ზოგად სოციალურ არსს, სამართლებრივი კავშირების მონაწილეების მისწრაფებას კომპრომისისაკენ, სამართლიანობა მოითხოვს თანაფარდობას მოქმედებასა და მის სოციალურ შედეგებს შორის. სამართლის მეშვეობით არის შესაძლებელი მიღწეულ იქნეს ოპტიმალური თანაფარდობა დასაშვებსა და აუცილებელ ქცევას შორის, შეფასდეს მათი შედეგები. სამართლიანობა არის სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკაში ერთ-ერთი წამყვანი საწყისი კონკრეტული იურიდიული საქმეების გადაწყვეტის დროს (მაგალითად, პენსიის ოდენობის დანიშვნის, საცხოვრებელი ფართის გამოყოფის, სასჯელის განსაზღვრის დროს).

❍ დემოკრატიზმის პრინციპი. სამართლებრივ სახელმწიფოში ამ პრინციპით არის გამსჭვალული მთელი სამართლებრივი სისტემა. უშუალო გამოხატულებას იგი პოულობს სამართლის ნორმებში, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობას, პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას, მის ურთიერთობას სახელმწიფოსთან.

❍ ჰუმანიზმის პრინციპი. ჰუმანიზმის საწყისი დამახასიათებელია ყველა ცივილიზებული სამართლებრივი სისტემისათვის. იგი გამოხატავს სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირებულებით თვისებას – განამტკიცოს და რეალურად გარანტირებული გახადოს ადამიანის ბუ-

ნებრივი და განუსხვისებელი უფლებანი: სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, პირადი თავისუფლება და უშიშროება, ღირსებისა და რეპუტაციის დაცვა, პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის უფლება და ა.შ.

❍ თანასწორუფლებიანობის პრინციპი (კანონის წინაშე თანასწორობა). ეს პრინციპი განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, საერთაშორისო პაქტებში ადამიანის უფლებათა შესახებ, მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების კონსტიტუციებში. ეს ნორმატიული სამართლებრივი აქტები განამტკიცებენ ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე დამოუკიდებლად ეროვნული და სოციალური წარმოშობისა, ენისა, სქესისა, რწმენისა, საცხოვრებელი ადგილისა, ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებებისა. არავის არ შეუძლია ისარგებლოს რაიმე უპირატესობით და პრივილეგიებით, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონს.

❍ იურიდიული უფლებებისა და თავისუფლებების ერთიანობის პრინციპი. ამ პრინციპის არსი გამოიხატება უფლებებისა და მოვალეობების ორგანულ კავშირში. ამა თუ იმ უფლების რეალობაზე შეიძლება ლაპარაკი მაშინ, თუ არსებობს მისი შესაბამისი იურიდიული პასუხისმგებლობა. პირის უფლებას, ისარგებლოს განსაზღვრული სოციალური სიკეთით, შეესაბამება სხვისი მოვალეობა - შეასრულოს საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედება. ამასთანავე, კანონი ადგენს, რომ ადამიანის მიერ თავისი უფლების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სხვა მოქალაქეთა უფლებებს.

❍ კანონიერების პრინციპი. ამ პრინციპს იურიდიულ სფეროში ყოვლისმომცველი ხასიათი აქვს. მისი არსი კანონების ზუსტ და განუხრელ შესრულებაშია. უზრუნველყოფს რა სამართლის ნორმების რეალიზაციას, კანონიერების პრინციპი ერთდროულად ზემოქმედებას ახდენს პრაქტიკაში ისეთი სხვა პრინციპების განხორციელებაზე, როგორიცაა სამართლიანობა, სოციალური თავისუფლება, ჰუმანიზმი.

სამართლის ამ ფუნდამენტურ პრინციპებთან ერთად სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია ისეთ პრინციპებზეც, როგორიცაა: კანონის პრიორიტეტი ყველა სხვა ნორმატიული აქტის წინაშე, სამართლის სისტემის დაყოფა საჯარო და კერძო სამართლად, დამოუკიდებელ დარგებად და ინსტიტუტებად, სამართლის ნორმებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესაბამისობის პრინციპი, კანონის უკუძალის დაუშვებლობის პრინციპი, როცა კანონი ადგენს ახალ და უფრო მძიმე

იურიდიულ პასუხისმგებლობას, უდანაშაულობის პრეზუმფცია და ა.შ.

დარგთაშორისი სამართლებრივი პრინციპები ისეთი სახელმძღვანელო საწყისებია, რომლებიც გამოხატავენ სამართლის რამდენიმე მონათესავე დარგის თავისებურებებს (მაგალითად, სისხლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო სამართლის სპეციფიკას). ამ დარგების საერთო პრინციპს წამოადგენს კოლეგიალობა, სასამართლო განხილვის საჯაროობა და ა.შ. ამავე დროს, მონათესავე დარგებზე სრული ზომით ვრცელდება სამართლის ზოგადი პრინციპები.

რაც შეეხება დარგობრივ სამართლებრივ პრინციპებს, ისინი დამახასიათებელია სამართლის კონკრეტული დარგისათვის (მაგალითად, ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართლისათვის). სამოქალაქო სამართლის სპეციფიკური პრინციპებია ქონებრივ-სამართლებრივ ურთიერთობაში მხარეთა თანასწორუფლებიანობის, სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის პრინციპი და სხვა. დარგობრივი პრინციპების შინაარსი განიხილება და შეისწავლება დარგობრივი სასწავლო დისციპლინების მიერ.

სამართლის ყველა პრინციპი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და განაპირობებს ერთმანეთს. თუ მოქმედებს სოციალური სამართლიანობის პრინციპი, ადამიანებს შორის მყარდება ჰუმანური ურთიერთობა და პირიქით, ჰუმანურობის პრინციპის რეალიზაცია ამასთანავე ნიშნავს სამართლიანი ურთიერთობების დამყარებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა, რომ სამართლიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული კანონიერების და ადამიანთა თანასწორობის ცნებასთან, რამდენადაც სამართლიანობა გვევლინება როგორც კანონიერი და თანასწორი, ხოლო უსამართლობა როგორც კანონსაწინააღმდეგო და უთანასწორო.

სქემა №17. სამართლის პრინციპები

სამართლის პრინციპები ძირითადი ამოსავალი დებულებებია, რომლებშიც იურიდიულად არის განმტკიცებული სამართლის მთავარი თვისებები და თავისებურებანი.

სამართლის ძირითადი პრინციპები

სოციალური თავისუფლების პრინციპი უზრუნველყოფს პიროვნების სოციალურ დაცვას, ქმნის რეალურ გარანტიებს თავისუფალი ცხოვრებისათვის.

სოციალური სამართლიანობის პრინციპი უზრუნველყოფს თანაფარდობას საზოგადოებაში ინდივიდის პრაქტიკულ როლსა და სოციალურ მდგომარეობას შორის, მოქმედებასა და მის სოციალურ შედეგებს შორის.

დემოკრატიზმის პრინციპი გამოხატულებას პოვებს სამართლის ნორმებში, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობას, პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას.

ჰუმანიზმის პრინციპი გამოხატავს სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას – განამტკიცოს და რეალურად გარანტირებული გახადოს ადამიანის ბუნებრივი და განუსხვისებელი უფლებანი.

თანასწორუფლებიანობის პრინციპი განამტკიცებს ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას კანონის წინაშე. არავის შეუძლია ისარგებლოს რაიმე უპირატესობით, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს.

იურიდიული უფლებებისა და თავისუფლებების ერთიანობის პრინციპი გამოიხატება უფლებებისა და მოვალეობების ორგანულ კავშირში. არ შეიძლება რეალური იყოს უფლება, თუ არ არსებობს მისი შესაბამისი მოვალეობა.

კანონიერების პრინციპების არსი კანონების ზუსტ და განუხრელ შესრულებაშია. იგი უზრუნველყოფს ისეთი პრინციპების განხორციელებას, როგორიცაა:
სამართლიანობა, სოციალური თავისუფლება, ჰუმანიზმი.

§ 5. სამართლის ფუნქციები და სოციალური დანიშნულება

სამართალი სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან ერთად მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სპექტრის მოვლენებს. განვითარებული სამართლებრივი კულტურის პირობებში სამართლის მისიაა – უზრუნველყოს საზოგადოებრივი ორგანიზმის მტკიცე, მუდმივი და უწყვეტი ფუნქციონირება. ეს მისია უნიკალურია იმდენად, რამდენადაც მას არა აქვს არც პოლიტიკური და არც იდეოლოგიური შინაარსი.

კაცობრიობის კულტურაში არ არის სხვა ინსტრუმენტი, გარდა სამართლისა, რომელიც თავისი სპეციფიკური მექანიზმითა და საშუალებებით შეძლებდა საზოგადოებაში ნორმალური, საყოველთაოდ აღიარებული წესრიგის დამყარებას და ხელს შეუწყობდა საზოგადოების განვითარების დინამიკას. სამართალს აკისრია ფუნქცია – იმოქმედოს როგორც „სამართალმა", სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასოს ცხოვრებისეული მოვლენები და პროცესები.

თვით სამართალი არსებობს როგორც სტრუქტურულად მოწესრიგებული, სოციალური სივრცის სფერო, რომელშიც მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობანი ასახულია განსაკუთრებულ რაკურსში. ეს „განსაკუთრებულობა" განაპირობებს სამართლებრივი ზემოქმედების, მისი ფუნქციების მრავალფეროვნებას. ფუნქციებში ასახულია საზოგადოებრივ ურთიერთობებზე და ადამიანთა ქცევებზე სამართლის ზემოქმედების ძირითადი მიმართულებანი.

სამართლის ფუნქციების დახასიათება შესაძლებელია სხვადასხვა თვალსაზრისით. რამდენადაც სამართალი მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან, მისი ფუნქციები გარკვეული ზომით ემთხვევა სახელმწიფოს ფუნქციებს. სახელმწიფოს საქმიანობის ყველა მთავარი მიმართულება ხორციელდება სამართლებრივ ფორმებში, საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ ამ საქმიანობის შინაარსს. მეორე მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისად, შეიძლება განსხვავებული იქნეს სამართლის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები.

სამართლის ფუნქციათა კლასიფიკაცია შეიძლება იმის მიხედვითაც, თუ რა ძირითად ამოცანებს ახორციელებენ ისინი. ასეთი კლასიფიკაციის დროს გამოიყოფიან სამართლებრივი ზემოქმედების ისეთი სფეროები, რომლებიც გამოხატავენ სამართლის, როგორც საზოგა-

დოებრივ ურთიერთობათა რეგულატორის სპეციფიკას, მის იურიდიულ მნიშვნელობას ასეთი ურთიერთობებისათვის. ყველა ცივილიზებული ქვეყნის სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვანი ამოცანაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგება, მათი მოქცევა სოციალური თავისუფლებისა და სამართლიანობის ჩარჩოებში. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა სამართლისა არის რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვა სხვადასხვა სახის სამართალდარღვევებისაგან. შესაბამისად, სამართალს გააჩნია ორი ძირითადი ფუნქცია – რეგულატორული (მომწესრიგებელი) და დაცვითი. სამართლის ეს ძირითადი ფუნქციონალური დანიშნულება ვლინდება მთელ რიგ კონკრეტულ ფუნქციებში.

რეგულაციური (მომწესრიგებელი) ფუნქცია სამართლებრივი ზემოქმედების ისეთი მიმართულებაა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მკაფიო ორგანიზებულობა, მათი ფუნქციონირება და განვითარება სოციალური პროგრესის შესაბამისად. სამართლებრივი რეგულირების ფარგლები განსაზღვრულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა უკვე ჩამოყალიბებული სტრუქტურით. სამართლის რეგულაციური შესაძლებლობები ზღვარდადებულია სოციალური კანონზომიერებებით. სამართალი მოიცავს საზოგადოებრივი წესრიგის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს. სოციალურ წესრიგს სამართლის გარდა უზრუნველყოფენ ნორმატიული სისტემის სხვა ელემენტებიც (მორალი, ჩვეულება, რელიგიური ნორმები). სამართლის რეგულაციური ზემოქმედება დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების დადებით მოვლენებთან, რომლებიც წარმოიშობიან ქონებრივი, საფინანსო, საოჯახო და სხვა სახის ურთიერთობათა სფეროში. რეგულციური ფუნქციის ზემოქმედება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ვლინდება შემდეგნაირად:

❍ სოციალურ ურთიერთობათა განმტკიცებით ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში. სამართლებრივი აქტები სავალდებულო იურიდიულ ფორმას ანიჭებს იმ ურთიერთობებს, რომლებიც საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების საფუძველს შეადგენენ. მაგალითად, სამართლის ნორმებშია განმტკიცებული განათლების მიღების წესი, სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენცია, მოქალაქეთა უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები.

❍ სამართალი უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობათა

ორგანიზებულობისა და თავისუფლების მაღალ ხარისხს, მათ მუდმივ განვითარებასა და სრულყოფას. სამართლის ასეთი ზემოქმედება ვლინდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციაში ეკონომიკურ-სოციალური მშენებლობის და სხვა სფეროებში. სამართლებრივი რეგულირების შედეგად მყარდება შედარებით ოპტიმალური წესრიგი საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რაც შეესაბამება ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებს. სამართალს აქვს შესაძლებლობა შეცვალოს და სრულყოს არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ასევე წარმოშვას ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელთა მოთხოვნილება დგება საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე (მაგალითად, საკანონმდებლო აქტებში საკუთრების ფორმების განმტკიცება).

რეგულაციური ფუნქციის ფარგლებში განასხვავებენ რეგულაციურ-დინამიკურ და რეგულაციურ-სტატიკურ ფუნქციებს. რეგულაციურ-სტატიკური ფუნქციის არსი მდგომარეობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განმტკიცებასა და სტაბილიზაციაში. იგი უფრო თვალნათელია სხვადასხვა სუბიექტების სტატუსის განსაზღვრის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცების პროცესში.

რეგულაციურ-დინამიკური ფუნქციის დახმარებით სამართალი განსაზღვრავს როგორი უნდა იყოს ადამიანის მოქმედება მომავალში. რეგულაციურ-დინამიკური ფუნქცია ვლინდება პასიური ტიპის სამართლებრივ ურთიერთობებში.

დაცვითი ფუნქცია სამართლებრივი ზემოქმედების ისეთი მიმართულებაა, რომლის მიზანია საზოგადოებისათვის სასარგებლო ურთიერთობათა დაცვა და საზოგადოებისათვის საზიანო ურთიერთობათა შევიწროვება. ეს ფუნქცია სამართალს განასხვავებს რეგულირების სხვა სისტემებისაგან. სამართლის დაცვითი ზემოქმედება ვლინდება შემდეგში:

- არამართლზომიერი მოქმედების აკრძალვაში;
- აკრძალული ქმედების ჩამდენთა მიმართ იურიდიული სანქციების დაწესებაში;
- სამართალდამრღვევების მიმართ იურიდიული სანქციების შეფარდებაში;

იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია სამართლის ფუნქციების სხვაგვარი კლასიფიკაციაც. რეგულაციური და დაცვითი ფუნქციების ფარგლებში სამართალი ასრულებს შემდეგ კონკრეტულ ფუნქციებს:

❍ უსაფრთხოებისა და სოციალური თანხმობის ფუნქცია, რომლის არსი სოციალურ ურთიერთობათა სტაბილურობის უზრუნველყოფაშია, რაც მიიღწევა სამართლებრივი უსაფრთხოების რეჟიმის მეშვეობით;

❍ სოციალური ინტეგრაციის ფუნქცია, რომელიც საზოგადოების წევრებს უყალიბებს ერთიანობისა და სოციალური სოლიდარობის განცდას;

❍ იძულება, რომელიც სამართლის სპეციფიკური ფუნქციაა. იძულების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, სამართლებრივი იძულება ხორციელდება ორგანიზებულად, მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოების მიერ, განსაზღვრული პროცესუალური წესების დაცვით;

❍ წესრიგის ფუნქცია სამართლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. წესრიგი წარმოადგენს წესებისა და კანონების ერთობლიობას. წესრიგი არ არის მხოლოდ იძულება. თავისუფლება და იძულება პოლიტიკურ წესრიგში ყოველთვის რეალიზებულია გონივრული პროპორციით;

❍ სოციალური მშვიდობის ფუნქცია, რომლის არსი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებაა, როდესაც დავა წყდება არა ძლიერის სასარგებლოდ, არამედ სამართლის მოთხოვნათა საფუძველზე;

❍ კონფლიქტის მოწესრიგების და კონფლიქტური ქცევის პრევენციის ფუნქციაა. სამართალი ხელს უწყობს განსხვავებული ინტერესების შერიგებას და ასრულებს კონფლიკტის მოწესრგების ფუნქციას.

❍ სამართლებრივი უსაფრთხოება სამართლის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. სამართლებრივი უსაფრთხოება გამორიცხავს სახელმწიფოს კანონსაწინააღმდეგო ქცევას – კანონი ერთნაირად სავალდებულოა როგორც სახელმწიფოსათვის, ასევე მოქალაქეებისათვის. სამართლებრივი უსაფრთხოება მოიცავს საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანურ ღირებულებებს (სიცოცხლეს, ღირსებას, საკუთრებას და ა.შ.).[42]

ამრიგად, სამართლის ფუნქციები ის ქმედითი და ეფექტური არხებია, რომელთა დახმარებითაც სამართალი აქტიურ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე, ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების რეალიზაციაზე. სამართლის არსსა და მის სოციალურ დანიშნულებას ყველაზე თვალნათლივ სწორედ მისი ფუნქციები გამოხატავენ.

[42] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 45-48

სქემა №18. სამართლის ფუნქციები და სოციალური დანიშნულება

სამართლის სოციალური დანიშნულებაა, უზრუნველყოს საზოგადოებრივი სტრუქტურების მტკიცე, უწყვეტი და მუდმივი ფუნქციონირება, რასაც იგი ახორციელებს თავისი ფუნქციების მეშვეობით. სამართლის ფუნქციებში ასახულია საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედების ძირითადი მიმართულებანი.

სამართლის ძირითადი ფუნქციები

რეგულაციური (მომწესრიგებელი) ფუნქცია
მოწოდებულია, უზრუნველყოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მკაფიო ორგანიზებულობა და განვითარება სოციალური პროგრესის შესაქმნელად.

დაცვითი ფუნქცია საზოგადოებრივი ზემოქმედების ისეთი მიმართულებაა, რომლის მიზანია საზოგადოებისთვის სასარგებლო ურთიერთობათა დაცვა და საზოგადოებისთვის საზიანო ურთიერთობათა შევიწროება.

სოციალური ინტეგრაციის ფუნქცია საზოგადოების ნევრებს უყალიბებს ერთიანობისა და სოციალური სოლიდარობის განცდას.

საზოგადოებრივი იძულების ფუნქცია, რომელიც ხორციელდება ორგანიზებულად, მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოების მიერ, განსაზღვრული პროცესუალური წესების დაცვით.

წესრიგის ფუნქცია მონოდებულია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაამკვიდროს ადამიანებისათვის სასარგებლო წესრიგი არა მხოლოდ იძულების, არამედ დარწმუნების საფუძველზე.

სოციალური მშვიდობის ფუნქცია, რომლის არსი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაა.

კონფლიქტის მონესრიგებისა და კონფლიქტის პრევენციის ფუნქცია მოწოდებულია, უზრუნველყოს განსხვავებული ინტერესების შერიგება და კონფლიქტის მოწესრიგება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების ფუნქცია გამორიცხავს კანონსაწინააღმდეგო ქცევას. კანონი თანაბრად სავალდებულოა როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე მოქალაქეებისთვის.

ადამიანთა სოციალური თანაცხოვრების სფერო რთული და მრავალმხრივია. კაცობრიობის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ურთიერთობანი ადამიანთა შორის იხვეწებოდა, მკვიდრდებოდა და სრულყოფისაკენ მიისწრაფოდა. წარმოიშვა რა როგორც სტიქიურად მიმდინარე პროცესი, სოციალური ურთიერთობანი თანდათანობით მოექცა განსაზღვრულ ჩარჩოებში, დაექვემდებარა რეგულირებას და შინაგანი კანონზომიერებების შესაბამისად წარიმართა.

სოციალური რეგულირება და სოციალური წესრიგი სხვადასხვა ფაქტორების გავლენით ჩამოყალიბდა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური არის რეგულირების ნორმატული სისტემა. ეს სისტემა მოიცავს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნორმების კომპლექსს.

სოციალური ნორმები ქცევის წესებია, რომლებიც არეგულირებს ურთიერთობებს ინდივიდებს შორის, ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის, ინდივიდებსა და საზოგადოებას შორის.

„სადაც არის საზოგადოება, იქ უნდა იყოს თანაცხოვრების წესებიც ანუ სოციალური ნორმები. სოციალური ნორმები განსაზღვრავს ადამიანის ქცევას საზოგადოებაში, ურთიერთობას ადამიანთა შორის".[43]

სოციალური ნორმები წარმოიშვა საზოგადოების კულტურული განვითარების შედეგად, ადამიანთა მატერიალური და სულიერი სიკეთის მოთხოვნილებათა რეალიზაციის პროცესში. წარმოადგენენ რა ქცევის ზოგად წესებს, ისინი განსაზღვრავენ როგორი უნდა იყოს სუბიექტის ქცევა საზოგადოების ინტერესის თვალსაზრისით. სოციალური ნორმები მყარი საზოგადოებრივი კავშირებია, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციუმის სტაბილურობას, ნორმალურ და ეფექტურ ფუნქციონირებას. როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობათა რეგულატორები, სოციალური ნორმები დაკავშირებულნი არიან ადამიანთა ნებასა და შეგნებასთან. ასეთი ნორმების ნაწილი წარმოიშვა ადამიანთა მიზნობრივი

[43] H.L.A. Hart, The Concept of Law, Revised Edition, Oxford: Oxford University Press 1994; P. 38

საქმიანობის პროცესში. ნაწილი თვით ქცევის აქტების მრავალგზისი განმეორების შედეგად, ზოგიერთი კი დამკვიდრდა როგორც საზოგადოებრივი შეგნების პრინციპი.

სოციალური ნორმები საზოგადოებრივ პრაქტიკაში კრიტიკულად აფასებენ კონკრეტული სუბიექტის სოციალურად მნიშვნელოვან ქცევას. (მაგალითად, მორალურია თუ ამორალური, მართლზომიერია თუ არამართლზომიერი, ბრალეულია თუ არაბრალეული). ისინი არა მარტო ინახავენ, არამედ მომავალ თაობებსაც გადასცემენ სიკეთის, სამართლიანობის, ურთიერთდახმარების, თავისუფლებისა და თანასწორობის იდეალებს.

სოციალურ ნორმებს აქვთ სხვადასხვა შინაარსი. შესაბამისად, იმ ურთერთობათა ხასიათისა, რომლებსაც ისინი არეგულირებენ. სოციალური ნორმების შინაარსზე არსებით გავლენას ახდენს ქვეყნის კულტურა. ამ თვალსაზრისით, განსაზღვრულია იმ საზოგადოების სოციალური ნორმები, რომლებიც ეკუთვნიან სხვადასხვა კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყნებს. (მაგალითად, ევროპულ და აზიურ ქვეყნებში). სოციალური ნორმების შინაარსზე გავლენას ახდენს აგრეთვე საზოგადოების ორგანიზაციის ხასიათი. თუ არასახელმწიფოებრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ჩვეულებითი ნორმები, სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებაში დომინირებს მორალი და სამართალი.

ისტორიული პროცესის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გამოყოფილ იქნას სოციალური ნორმების სხვადასხვა სახეები: მორალური, რელიგიური, ჩვეულებითი, სამართლებრივი, ესთეტიკური, ეთიკური, ტრადიციულ-საოჯახო, კორპორაციული და სხვ.

რეგულირების რთულ სისტემაში სოციალური ნორმები ურთიერთკავშირში იმყოფებიან, ამასთანავე თითოეული მათგანი ასრულებს შესაბამის ფუნქციას, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილურობასა და დინამიზმს.

ცივილიზაციის პირობებში სოციალური რეგულირების კომპლექსის ძირითადი რგოლია სამართალი. იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმატიულ-ღირებულებითი რეგულატორია, რაც ნათლად ვლინდება სამართლებივი ნორმებისა და სხვა სოციალური ნორმების თანაფარდობაში.

§ 1. სამართალი და მორალი (ზნეობა)

მრავალრიცხოვან სოციალურ ნორმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ სამართლებრივ და მორალურ ნორმებს. მათი ურთიერთობა – განსხვავება და მსგავსება მრავალ ასპექტში ვლინდება.

სიტყვა „მორალი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან „moralis“, რაც ზნეობას ნიშნავს. იგი არის საზოგადოებრივი შემეცნების ერთ-ერთი ფორმა. მორალურ ნორმებში ასახულია ისეთი შეფასებითი კატეგორიები და კრიტერიუმები, როგორიცაა „სიკეთე“, „ბოროტება“, „ღირსება“, „ჰუმანიზმი“, „სამართლიანობა“, „უსამართლობა“ და ა.შ.

კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამისად მორალი ვლინდება სხვადასხვა ფორმებში: ფილოსოფიაში, რელიგიურ მოძღვრებაში, რიტუალებში, ჩვეულებებში, ხელოვნებაში, ფოლკლორში, ლეგენდებში, ანდაზებში. მორალი სოციალური რეგულირების უფრო ძველი ფორმაა. იგი წარმოიშვა სამართალზე ადრე, პირველყოფილი საზოგადოების წიაღში. სამართლის წარმოშობა კი დაკავშირებულია სახელმწიფოს წარმოშობასთან, რაც უფრო მოგვიანებით მოხდა.

მორალსა და სამართალს აქვთ უნარი მოაწესრიგონ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროები, სპეციფიკური საშუალებებითა და მეთოდებით. მიუხედავად განსხვავებისა, ისინი რეალურ ცხოვრებაში ავსებენ ერთმანეთს.

უძველესი დროიდან საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ შეგნებაში დამკვიდრდა წარმოდგენა მორალის უპირატესობისა სამართლებრივ კრიტერიუმებთან მიმართებაში. სიკეთის, ურთიერთდახმარების და სხვა მორალური იდეალები ითვლებოდა უფრო მნიშვნელოვნად და ამაღლებულად, ვიდრე სამართლის დანაწესები, სასამართლოს გადაწყვეტილება, კანონის უსიტყვოდ შესრულება და ა.შ. ხშირად სამართალი განიხილებოდა როგორც „მორალის მინიმუმი“.

მორალს, ისევე როგორც სამართალს, ყოველთვის ჰქონდა სოციალური ბუნება. მორალური და სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება ისეთი ურთიერთობანი და კავშირები, რომლებიც წარმოიშობიან ადამიანებს შორის, ადამიანებსა და საზოგადოებას შორის.

მორალსა და სამართალს აქვს გავრცელებისა და რეგულირების საერთო სფერო, თუმცა მორალური რეგულირების სფერო გაცილებით ფართოა, ვიდრე სფერო, რომელზედაც ვრცელდება სამართლის

ნორმები. სამართლის მოქმედება ვრცელდება საზოგადოებისა და ინდივიდებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ურთიერთობებზე. მეგობრობა, სიყვარული, ბევრი საოჯახო ურთიერთობა არ შედის სამართლებრივი რეგულირების სფეროში, ისინი რეგულირდება მორალის და სხვა სოციალური ნორმების მიერ.

უნივერსალური მორალური კატეგორიებია სიკეთე და ბოროტება. ამ ორი კატეგორიის პრიზმაში ასახულია სხვა მორალური კატეგორიები – „სინდისი", „ღირსება", „პატიოსნება", „დასაგმობი", „მოსაწონი" და სხვ.

მორალის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი განმტკიცებული და დაცულია სამართლის ნორმებით. სამართლის ბუნება რეალურ საზოგადოებრივ ურთერთობებში განსაზღვრავს მის ზნეობრივ შინაარსს.

ლ. გუმპლოვიჩის აზრით, სამართლის საფუძველი არის მორალი, ხოლო სამართალი არის „კანონში კრისტალიზებული" ზნეობა.[44]

სამართალი ღრმა ზნეობრივი წესრიგის მოვლენაა და მისი ფუნქციონირება შეუძლებელი იქნება თუ სამართლებრივ ქსოვილში არ იქნება ჩართული მორალური კრიტერიუმები. მთელი სამართლებრივი სინამდვილე განხილული უნდა იქნეს სიკეთის, ბოროტების, სინდისის, ღირსების პრიზმაში, რადგან სამართლებრივი სისტემა მთლიანად ექვემდებარება მორალურ შეფასებას. სამართლის „ზნეობრივი ზომა" სამართლებრივი სისტემის სრულყოფის ძირითადი კრიტერიუმია.

გადამწყვეტი პოსტულატი, რომელიც განსაზღვრავს სამართლის ფენომენს, არის სამართლიანობის მოთხოვნა. სამართლის ზნეობრიობა, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანობის გამოხატვაა. სამართლიანობა, როგორც ზნეობრივი კატეგორია, შედის სამართლის ცნებაში, იგი სამართლის შინაგანი თვისებაა. უფრო მეტიც, მხოლოდ სამართალი შეიძლება იყოს სამართლიანი. აზრობრივი მნიშვნელობითი სამართლებრივი ეტიმოლოგია (justitia) შედის სამართლის ცნებაში (jus). იგი გამოხატავს სოციალურ სამყაროში სამართლებრივი საწყისის არსებობას, მის სამართლიანობას, იმპერატიულობასა და აუცილებლობას. სამართლიანობა ნიშნავს სამართლებრივ თანასწორობას და თავისუფლებას.

სამართალი და მორალი, როგორც ადამიანური ორიენტაციის ელემენტები არ შეიძლება არსებობდნენ, თუ პიროვნებას არ ექნება თავი-

[44] Л. Гумплович. Общее учение о государрстве. СПб. 1910. С.255

სუფალი ნება. როგორც მორალი, ასევე სამართალი განსაზღვრავენ პიროვნების თავისუფალი ქცევის საზღვრებს. სამართალი წარმოადგენს თავისუფლების ზომას, იგი რეალურ ურთიერთობებში არის თავისუფლების ფორმა, ფორმალური თავისუფლება.

სამართალთან ერთად მორალიც განსაზღვრავს ადამიანის გარეგანი თავისუფლების საზღვრებს, შინაგან თვითგანსაზღვრულობას, მაგრამ მორალი არ არის თავისუფლების ფორმალური საზომი.

ზოგადკაცობრიული ღირებულებანი, რომლებიც საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იქნა ჩადებული სამართალში და მორალში ერთმანეთის თანხვედრია. სამართალი იცავს და განამტკიცებს მორალს, მორალური პრინციპების რეალიზაცია ხდება სამართლის მეშვეობით. სამართალი უნდა იყოს მორალური, ხოლო მორალი ეთანხმებოდეს სამართალს. ამაშია, სამართლის და მორალის საერთო და განსხვავებული გამოვლინება.

მორალი და სამართალი სხვადასხვა სიბრტყის მოვლენებია და ისინი კიდეც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მორალი ორიენტირებულია იმაზე, რომ სამართლიანობა, სიკეთე, ღირსება და სხვა ზნეობრივი მოთხოვნები ადამიანზე ძირითადად შინაგანად მოქმედებდნენ მისი შეგნების, სულიერი სამყაროსა და საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით. სამართალი კი ადამიანთა ქცევებს არეგულირებს უპირატესად ფორმალურად განსაზღვრული, დაწერილი ნორმებით, რომლებიც განმტკიცებულია ნორმატიულად სავალდებულო აქტებში.

მორალი არის შეგნების, ადამიანის სულიერი ცხოვრების სფერო, რომელიც არ საჭიროებს გარეგან გამოხატვას. სამართალი კი ინსტიტუციური რეგულატორია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალურად მოქმედი მოვლენაა.

ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, მორალი უფრო მსუბუქი რეგულატორია, უფრო დამთმობი და ადამიანური, ვიდრე სამართალი, ამიტომ მხოლოდ მორალი იმსახურებს აღმატებულ შეფასებას და მხოლოდ მას აქვს პერსპექტივა მომავალში.

„რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, სამართლის მკაცრი და იმპერატიული მოთხოვნები ხშირად დაფუძნებულია მორალზე. ისტორიულ ასპექტში არცთუ ნაკლები სიმკაცრე ახასიათებდა მორალს რელიგიურ-საეკლესიო სფეროში (მაგალითად, შუა საუკუნეების კანონიკური სამართალი, დასჯის ინკვიზიციური სისტემა). ასეთ რაკურსში სამართალი

არ არის „მორალის მინიმუმი" – აღნიშნავს აკადემიკოსი ს. ალექსეევი.[45]

სამართალსა და მორალს შორის განსხვავება განაპირობებს სამართლებრივი და მორალური პასუხისმგებლობის ხარისხს. სამართლებრივი სანქციების სიმკაცრე მორალურ სანქციებთან შედარებით არსებობდა ყველა ეპოქაში და ყველა საზოგადოებაში. ამასთანავე, მორალური აკრძალვები არცთუ იშვიათად ხდებოდა სამართლებრივი, სამართლებრივი კი – მორალური. სამართლებრივი სანქციების სპეციფიკა დაკავშირებულია სახელმწიფოსთან. სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლებრივი სანქციების დაცვას იძულების მექანიზმის მეშვეობით. სამართლისაგან განსხვავებით მორალს გააჩნია სხვაგვარი „დამცავი" მექანიზმი – საზოგადოებრივი შეგნების ძალა, სოციალურ-ფსიქოლოგიური სტერეოტიპები, ტრადიციები, ჩვეულებანი და სხვ.

მორალური ნორმებისაგან განსხვავებით სამართლის ნორმები გამოირჩევიან უფრო მეტი კონკრეტულობით და ფორმალური განსაზღვრულობით. ისინი ფიქსირებულნი არიან სპეციალურ-იურიდიულ ფორმებში – კანონებში და სხვა სამართლებრივ აქტებში. სამართლის ნორმები იქმნებიან იურიდიული და საკანონმდებლო პრაქტიკის პროცესში. ზნეობა კი ყალიბდება სტიქიურად საზოგადოების სულიერი ცხოვრების სფეროში, არ არის გამოყოფილი საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან და დაუწერელ ქცევის წესებს წარმოადგენენ.

მორალი, ისევე როგორც სამართალი, არსად და არასოდეს არ არის მარადიული და უცვლელი. სამყაროში არ არის და არც შეიძლება იყოს აბსოლუტური და უნივერსალური მორალი, აბსოლუტური და უნივერსალური სამართალი. არის მორალი, დაკავშირებული განსაზღვრულ პროფესიასთან, რელიგიასთან, პოლიტიკასთან, სოციალურ ჯგუფებთან, საზოგადოებასთან, ინდივიდებთან. ამასთანავე, არსებობენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მორალური იდეები და კატეგორიები, რომლებიც უცვლელია ყველა ეპოქასა და ყველა საზოგადოებაში და რომელთაც იცავს და განამტკიცებს სამართალი. ცივილიზებულ საზოგადოებაში სამართალი იცავს დემოკრატიულ საზოგადოებრივ წესრიგს, უზრუნველყოფს პიროვნების მაღალ სტატუსს და ღირსებას, მისი უფლებებისა და თავისუფლების რეალიზაციას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ხელს უწყობს ადამიანებს აითვისონ მო-

[45] Алексеев С.С. укз. соч. С. 342

რალის ფუძემდებლური იდეები, ადამიანური მორალის ჭეშმარიტება.

სამართლისა და მორალის ურთიერთდამოკიდებულებაში მთავარია ის, რომ ორივე წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმატიულად ღირებულ რეგულატორებს. თითოეული მათგანი არის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი „სუვერენული" ნორმატიული სისტემა. მათი ურთიერთობის საფუძველია ისტორიული კავშირი, ფუნქციონალური დანიშნულებისა და სტრუქტურული ელემენტების ერთიანობა, რომლებიც აყალიბებენ სამართლებრივ და მორალურ სისტემებს, შეფასებითი და ღირებული თვისებების ერთობა, თავისუფლების და პასუხისმგებლობის ერთიანობა.

§ 2. სამართალი და ჩვეულება

სოციალური რეგულირების სისტემაში არასამართლებრივ ნორმებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვეულებას.

ჩვეულება არის ქცევის ზოგადი წესი, რომელიც საზოგადოებაში ყალიბდება მუდმივი გამოყენების შედეგად და გადაიქცევა ადამიანთა ჩვევად. ინგლისურ ლიტერატურაში ჩვეულება განსაზღვრულია როგორც ადამიანთა ქცევის ჩამოყალიბებული სტერეოტიპები ანუ ტენდენციები, რომელიც როგორც წესი გაუცნობიერებული ავტომატური ხასიათისაა.[46]

ჩვეულებას და სამართალს გააჩნიათ როგორც მსგავსი, ისე განმასხვავებელი ნიშნები:

❍ ჩვეულება არის ქცევის წესი, რომელიც არავის მიერ წინასწარი შეგნების და მითუმეტეს მიზანმიმართულად არ დგინდება ან სანქციონირდება, ის ყალიბდება სტიქიურად, საზოგადოებრივი პრაქტიკის და ადამიანთა თანაცხოვრების შედეგად. ჩვეულებას, ისევე როგორც სამართალს, აქვს ნორმატიული ხასიათი, ორივე მათგანი არეგულირებს ადამიანთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

❍ ჩვეულება ყალიბდება ერთი და იგივე ქცევის ხანგრძლივი, მრავალგზის გამოყენების შედეგად. ერთჯერადი ან ეპიზოდური მოქმედება არ ქმნის ჩვეულებას და არც შეიძლება შექმნას იგი.

❍ ჩვეულება ისეთი არასამართლებრივი სოციალური ნორმაა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ფსიქოლოგიასთან,

[46] Dictionary of Sociology and Related Sciences. p. 159

ტრადიციებთან. იგი უმეტესად ყალიბდება იმპულსურად, ემოციურ-ფსიქოლოგიურ დონეზე.

❍ როგორც სამართალი, ასევე ჩვეულებაც ეხება მხოლოდ ადამიანთა გარეგან ქცევას. პირის შინაგანი განწყობა მათ ნაკლებად აინტერესებთ.

❍ ჩვეულებას აყალიბებს რომელიმე სოციალური ჯგუფი, სამართალს კი – სახელმწიფო. თუ სამართლებრივი ნორმის დაცვა უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით, ჩვეულების დაცვა ხდება გამომუშავებული ჩვევების, ადამიანთა ბუნებრივი მოთხოვნილების საფუძველზე. ჩვეულებითი ნორმების დაცვა საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე უზრუნველყოფილი იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების ისეთი ზომებით, როგორიცაა ჩვეულების დამრღვევი პირის მოკვეთა და გაძევება გვარიდან, წყლისა და ცეცხლის შეწყვეტა და ა.შ. საზოგადოების განვითარებასთან ერთად, საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები ნაწილობრივ ტრანსფორმაციას განიცდის სახელწიფოებრივი ზემოქმედების ზომებში.

❍ ჩვეულება ვრცელდება შედარებით ვიწრო საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, სამართალი კი მოიცავს უფრო ფართო სოციალურ ურთიერთობებს.

❍ ჩვეულება მოქმედებს იმის გამო, რომ იგი ფაქტობრივად სრულდება, სამართალი კი მოქმედებს იმისგან დამოუკიდებლად, დაცულია თუ არა მისი მოთხოვნები.

❍ ისევე, როგორც სამართალი, ჩვეულებაც განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებაში. თავიანთი ჩვეულებები აქვთ სხვადასხვა ერებს, ეთნოსებს, სოციალურ ჯგუფებს, საზოგადოებას.

❍ „ჩვეულება, მორალისაგან განსხვავებით, არ მოიცავს შეფასებას. მორალი მოითხოვს იმას, რასაც ადგენს „კარგი" ჩვეულება. ჩვეულება შეიძლება არ იყოს მორალური (მაგალითად, სისხლის აღების ჩვეულება). ჩვეულებისგან განსხვავებით, მორალი არ არის სინდისისკენ მიმართული „შინაგანი" და შეფასებითი წესრიგი. ჩვეულება, როგორც წესი, გულგრილია იმის მიმართ, თუ როგორი შინაგანი განწყობის გამო იცავენ მის მოთხოვნებს".[47]

იმის გამო, რომ ჩვეულებანი ხანგრძლივი გამოყენების შედეგად

[47] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 59-60

ყალიბდება და წერილობითი ფორმით არ არის დაფიქსირებული, ხშირად რთულდება მათი შინაარსის დადგენა, ამიტომ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, თუ ვინ უნდა დაადგინოს ჩვეულების შინაარსი.

ჩვეულებანი, რომლებიც წარმოადგენენ მორალური ნორმების გამოხატვის ფორმას, ორგანიზაციული ხასიათის ქცევის ან კულტურული ქცევის წესებს, არასამართლებრივი ჩვეულებანი არიან და საჭიროების შემთხვევაში დაცულია საზოგადოებრივი ზემოქმედებით.

ჩვეულებების სახეობისა და თავისებურებისაგან დამოუკიდებლად ყველა საზოგადოებაში არის მნიშვნელოვანი და ამასთანავე, თავისი ხასიათით კონსერვატული ჩვეულებები. ჩვეულებების კონსერვატიზმი გამოიხატება იმაში, რომ მათში განმტკიცებულია არა იმდენად თანამედროვე საზოგადოებრივი პრაქტიკა, რამდენადაც განვლილი წლების და საუკუნეების სოციალური გამოცდილება. ჩვეულებებში ხშირად აისახება არა მარტო ხალხის საერთო, მორალური და სულიერი ღირებულებანი, არამედ წარსულის გადმონაშთები, ნაციონალური, რასობრივი და რელიგიური შეურიგებლობა.

საზოგადოების ცხოვრებაში ჩვეულებების როლი და მნიშვნელობა გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ ჩვეულებანი სხვა არასამართლებრივ ნორმებთან ერთად ზემოქმედებას ახდენენ ადამიანთა ქცევებზე და მათ შორის წარმოშობილ ურთიერთობებზე. ესენი არიან არა სამართლებრივი, არამედ ყოფითი, სამოქალაქო, პროფესიული და სხვა მსგავსი ჩვეულებანი.

რა ურთიერთობა არის სამართალსა და ჩვეულებას შორის? უპირველეს ყოვლისა, ეს ურთიერთობა ვლინდება ერთგვაროვან ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ გარემოში, რომელშიც ფუნქციონირებს სამართალი და ჩვეულებანი. მათ აქვთ საერთო მიზანი – დაამკვიდრონ საზოგადოებაში განსაზღვრული წესრიგი და სტაბილურობა, ზემოქმედება მოახდინონ როგორც კონკრეტულ პიროვნებაზე, ასევე მთელ საზოგადოებაზე. დამოუკიდებლად ფორმისა და შინაარსისა, ასევე ჩვეულების რეალიზაციის თავისებურებისა და სამართალთან ურთიერთობისა, თითოეული ჩვეულება საზოგადოებაში მნიშვნელოვან რეგულაციურ და აღმზრდელობით როლს ასრულებს. ამაშია ჩვეულების დიდი ძალა, განმტკიცებული საუკუნეთა მიერ.

სამართლის კოდიფიკაციამ ჩვეულებათა მნიშვნელობა ძალიან შეასუსტა. თანამედროვე სამართლებრივი სისტემები ჩვეულებათა გარ-

დასახვას იურიდიულ ნორმებში ფაქტობრივად აღარ იცნობენ. ამჟამად, სამართალსა და ჩვეულებებს შორის ურთიერთობა ვლინდება შემდეგში: იურიდიული ნორმები განამტკიცებენ იმ ჩვეულებებს, რომლებიც სასარგებლო არიან საზოგადოებისათვის, ქმნიან მათი რეალიზაციის გარანტიებს და პირიქით, ზღუდავენ იმ ჩვეულებებს, რომლებიც საზიანოა საზოგადოებისათვის. ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში ჩვეულებამ დღემდე შეინარჩუნა სამართლის წყაროს მნიშვნელობა.

§ 3. სამართალი და პოლიტიკა

სამართალი და პოლიტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების ორი ისეთი სფეროა, რომლებიც ქმედით გავლენას ახდენენ არა მარტო ერთმანეთზე, არამედ მთლიანად სოციუმის განვითარებაზე. პოლიტიკა რთული და ფართო ცნებაა. მასთან ნებისით თუ უნებლიეთ შეხება აქვს ყველა ადამიანს და თითოეულს თავისებური წარმოდგენა აქვს მასზე. ზოგად განზომილებაში პოლიტიკაში მოიაზრება მოქმედების სტრატეგია. პოლიტიკა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: საერთო სახელმწიფოებრივი, საშინაო და საგარეო, დიქტატორული და დემოკრატიული, სახალხო და ანტისახალხო და ა.შ.

საერთო სახელმწიფო პოლიტიკა განვითარების სტრატეგიული კურსია. მისი შემუშავება და არჩევა ხდება საზოგადოების მიერ, ხოლო რეალიზაციას ახორციელებს სახელმწიფო, როგორც ეფექტური ინსტრუმენტი, მმართველობის და იძულების აპარატის, საკანონმდებლო ხელისუფლების და მართლმსაჯულების მეშვეობით. ეს შესაძლებელია მხოლოდ განვითარებულ სამოქალაქო საზოგადოებაში, სადაც არის ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი თავისუფლება. ქვეყნებში, სადაც განუვითარებელი სამოქალაქო საზოგადოებაა, პოლიტიკაში არ არის გამიჯნული ფუნქციები სახელმწიფოს, საზოგადოებასა და პარტიებს შორის. სახელმწიფო ბატონობს პოლიტიკის სფეროში, შესაბამისად, შეკვეცილია ადამიანის პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები.

პოლიტიკა გაჩნდა სამართალთან და სახელმწიფოსთან ერთად. ისტორიულად სახელმწიფო იყო პოლიტიკის განხორციელების პირველი ინსტრუმენტი. სხვა სოციალური ინსტიტუტების (კავშირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პარტიები) გაჩენასთან ერთად თან-

დათანობით ჩამოყალიბდა პოლიტიკური სფერო. ეს პროცესი დაკავშირებულია პოლიტიკურ ცხოვრებაში სამოქალაქო საზოგადოების დამკვდრებასთან.

პოლიტიკა პოლიტიკური ნორმების ერთობლიობაა. წარმოადგენენ რა სოციალური ნორმების სახესხვაობას, პოლიტიკური ნორმები არეგულირებენ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობიან სახელმწიფო-სამართლებრივი სტრუქტურების ფუნქციონირების, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების პროცესში. ამ ნორმათა ურთიერთობა მრავალფეროვანი ფორმისაა: ურთიერთმხარდაჭერის, წინააღმდეგობის, სოლიდარობის, ბლოკირების ფორმები და სხვ. სოციალური ნორმების მრავალფეროვნება განპირობებულია საზოგადოების კონკრეტულ-ისტორიული პირობებით სოციალურ ძალთა თანაფარდობით, მასობრივი ფსიქოლოგიით, კულტურით. ამიტომ, ეს ნორმები მოქნილი და მოძრავია, იცვლებიან კონკრეტული სიტუაციის, პრიორიტეტების, ინტერესების, მოთხოვნილებების ზემოქმედებით. მაგრამ, მიუხედავად სამართლებრივი და პოლიტიკური ნორმების დინამიზმისა, მათი ურთიერთგავლენა და მჭიდრო კავშირი უცვლელი რჩება. ეს, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ სამართლისა და პოლიტიკის ნორმებს აქვთ გენეზისის და ყოფიერების ერთიანი წყარო – საკუთრების ურთიერთობანი. ეს ურთიერთობა განაპირობებს როგორც სამართლის, ასევე პოლიტიკური ნორმების შინაარსს. საკუთრებითი ურთიერთობის გამო წარმოიშობა ადამიანებს შორის სამართლებრივი და პოლიტიკური კავშირები, სოციალური ჯგუფებისა და ინდივიდების ინტერესები და მოთხოვნები. საკუთრებითი ურთიერთობების ჩამოყალიბება განუყოფელია პოლიტიკური ურთიერთობებისაგან.

სამართალსა და პოლიტიკას აქვთ ნორმატიული სტრუქტურა. სამართლის ნორმატიული ბუნება ეჭვს არ იწვევს. ასევე ნორმატიულია მთელი პოლიტიკური სფერო, თუმცა ეს ნორმატიულობა არ არის იმ დონით ფორმალურად განსაზღვრული, როგორც სამართალი. პოლიტიკური ნორმები ყოველთვის არ არის ფიქსირებული ოფიციალურ დოკუმენტებში. ისინი შეიძლება გამოიხატოს პოლიტიკური მოაზროვნეების და ლიდერების პოლიტიკურ შეხედულებებში და იდეებში, მათი საქმიანობის ფორმებში და მეთოდებში. პოლიტიკური ნორმები ჩართულია მასობრივ საზოგადოებრივ შეგნებაში, საზოგადოების სოციალურ-ფსიქოლოგიურ განწყობაში. პოლიტიკური შეგნების სფეროში გამომუ-

შავდება ზოგადი პრინციპები, ღირებულებითი ორიენტირები, ნორმები, რომლებიც პოლიტიკური პროცესის, პოლიტიკური კავშირების და ურთიერთობების, პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტების ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. ეს ნორმები, პრინციპები და ორიენტირები წარმოადგენენ პოლიტიკური რეალობის გამოხატულებას.

პოლიტიკური ნორმატიული სისტემა კონცენტრირებულად გამოხატავს სახელისუფლო ინტერესებს, ვინაიდან იგი უშუალოდ არეგულირებს პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. პოლიტიკურ ნორმებში ასახულია მოქმედების სტრატეგია ეკონომიკის, სოციალური განვითარების, კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფოს ტერიტორიული სტრუქტურის სფეროში და ა.შ.

პოლიტიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი საკითხები განმტკიცებული უნდა იქნეს სამართლებრივ ფორმებში – შესაბამის იურიდიულ აქტებში.

პოლიტიკური ნორმები აქტიურად გამოხატავენ სოციალური ჯგუფების ინტერესებს და მოთხოვნებს. ეს განსაზღვრავს მათ დომინირებულ როლს ადამიანთა ქცევების სოციალურ რეგულირებაში, მათ მისწრაფებას – თავიანთ გავლენას დაუმორჩილონ საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფერო – სამართალი, ზნეობა, ხელოვნება.

სამართლისა და პოლიტიკური ნორმების წარმოშობას ერთიანი წყარო აქვთ. ამასთანავე, განსხვავებულია მათი დამკვიდრების საშუალებანი. სამართლის ნორმების ნორმადამდგენი სუბიექტია სახელმწიფო, მისი ორგანოების სისტემა. პოლიტიკური ნორმების ნორმადამდგენი სუბიექტები განსხვავებულია. მაგალითად, აღმოსავლეთ დესპოტიებში პოლიტიკურ ნორმებს აყალიბებდნენ ქურუმები, ანტიკურ პოლისებში – გამოჩენილი პოლიტიკოსი მოაზროვნეები და ფილოსოფოსები, რომლებიც ასაბუთებდნენ თავიანთ კონცეფციებს პოლიტიკური ხელისუფლების და სამართლის ურთიერთობების შესახებ. ფეოდალურ საზოგადოებაში პოლიტიკური ნორმების შექმნაში აქტიურ როლს თამაშობდა ეკლესია.

ბურჟუაზიული რევოლუციების პერიოდში წარმოიშვნენ პოლიტიკური პარტიები. მათ შექმნეს თავიანთი პროგრამები, რომლებშიც ასახულია სახელმწიფო ხელისუფლებაზე ზემოქმედების სტრატეგია. ურთიერთობა სამართლებრივ და პოლიტიკურ ნორმებს შორის იცვლება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების პერიოდში, როცა

წამოყენებული იქნა ფორმალური თანასწორობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა.

სამართლისა და პოლიტიკის რთულ ურთიერთობაში არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხს – რომელს ეკუთვნის უპირატესობა – სამართალს თუ პოლიტიკას? პოლიტიკის მიმართ, სამართლის პრიორიტეტს აღიარებდა ბუნებითი სამართლის თეორია, ასაბუთებდა, რომ პოლიტიკა უნდა განხორციელდეს ბუნებითი სამართლის პრინციპების საფუძველზე.

თანამედროვე პერიოდში სამართლის პრიორიტეტი პოლიტიკაზე, სახელმწიფოს სრულუფლებიანობის შეზღუდვა უდიდესი ზოგადკაცობრიული ღირებულებაა. სამართლებრივი ნორმების უპირატესობა პოლიტიკურ ნორმებზე ყველა ცივილიზებული სახელმწიფოსთვის ნორმალური სიტუაციაა.

პოლიტიკური ნორმების უპირატესობა სამართლის ნორმების მიმართ ტოტალიტარული სისტემების იდეაა. ტოტალიტარიზმი აუცილებლად წარმოიშობა იქ, სადაც პოლიტიკასა და პოლიტიკურ ნორმებს არა აქვთ სამართლებრივი საყრდენი, სადაც სამართალი არ არის პოლიტიკური ხელისუფლების შემზღუდავი, როცა საზოგადოებაში უგულვებელყოფილია სამართლებრივი პრინციპები.

სამართლის პრიორიტეტი პოლიტიკაზე, პოლიტიკურ ხელისუფლებაზე თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების უცილობელი პრინციპია, ვინაიდან „სამართალი არის სახელმწიფო ძალის საზღვარი, ხოლო სახელმწიფო სხვა არაფერია თუ არა ძალა, რომელიც ემსახურება სამართალს".[48]

სამართლის პრიმატი პოლიტიკაზე მრავალი მიმართულებით ვლინდება:

❍ საჯარო სამართლის (კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონები) ნორმებით განმტკიცებულია საზოგადოების პოლიტიკური სისტემა და მისი ფუნქციონირების მექანიზმი (საარჩევნო სამართალი, პოლიტიკური პარტიების სტატუსი, ხელისუფლების დანაწლება), მოქალაქეთა პოლიტიკური თავისუფლება. სამართლის ზემოქმედების შედეგად, ყველა სახის პოლიტიკური საქმიანობა ხორციელდება როგორც შესაბამისი სუბიექტების უფლება და არა მათი ძალისა ან ავტორიტეტის გამოვლინება.

[48] Дюги Л. Социальное право. М. 1909. С. 15

❍ სამართალი ლეგიტიმურობას ანიჭებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობას.

❍ სამართალი აღიარებს და გარანტირებულს ქმნის ადამიანის პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

სამართლის ნორმებისაგან განსხვავებით, პოლიტიკურ ნორმებში ასახულია კონკურენციული იდეები და პროგრამები. პოლიტიკურ ნორმებს შორის არ არის ისეთი ნორმები, რომელთაც მაღალი ავტორიტეტის ძალით უნარი აქვთ შეაკავონ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების და წრეების ინტერესებისა და მიზნების დაპირისპირება. ასეთი ძალა არის სამართლის ნორმებსა და პრინციპებში.

§ 4. სამართალი და რელიგია

სამართლისა და რელიგიის[49] ურთიერთობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და საუკუნეებს მოიცავს. სოციალური რეგულირების სისტემაში სამართლებრივი და რელიგიური ნორმები აქტიურად ასრულებდნენ თავიანთ მისიას. რელიგიური ნორმები არეგულირებდნენ მორწმუნე ადამიანების ურთიერთობას ღმერთთან, ეკლესიასთან, რელიგიურ ორგანიზაციებთან. ანტიკურ პერიოდში რელიგია, სამართალი და პოლიტიკა მჭიდროდ იყო ერთმანეთთან გადაჯაჭვული. სამართლის უძველესი ნორმები ერთდროულად რელიგიური კანონები იყო. რელიგიურმა და ფილოსოფიურმა ფაქტორებმა გავლენა მოახდინა სამართლებრივი საწყისის განვითარებაზე. თავიანთი ბუნებისა და სპეციფიკური თავისებურებების გამო, სამართლის ნორმები თანდათან გამოეყვნენ რელიგიურ ნორმებს. განსხვავება სამართლის ნორმებსა და რელიგიურ ნორმებს შორის პირველად გამომუშავდა რომის სამართალში, როცა ერთმანეთისგან გაიმიჯნა „დანაშაული" და „ცოდვა".[50]

სამართლისა და რელიგიის მჭიდრო კავშირი დამახასიათებელია მსოფლიოს ყველა სამართლებრივი სისტემისათვის. არ არსებობს დაწერილი სამართლის თითქმის არცერთი სისტემა, რომელშიც ჩართული არ იყოს რელიგიური დოგმები, რიტუალები, წესები; მაგალითად, XII ტაბულის კანონებში არის ბევრი ელემენტი, რომელიც მიეკუთვნება

[49] რელიგია – religiō, ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მოწიწებას, ღვთისმოსაობას, მორწმუნეობას, თაყვანისცემას

[50] Sanctioning Religion?: Politics, Law, And Faith-Based Public Services by David K. Ryden, Jeffrey Polet. P. 146

რელიგიურ რიტუალს. განსაკუთრებით ძლიერი გავლენა სამართალზე მოახდინა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების რელიგიამ.

წარმოშობისთანავე რელიგიამ სწრაფად მოიცვა სოციალური რეგულირების მთელი მექანიზმი (მონონორმები, ჩვეულებანი). რელიგია დეტალურად არეგულირებდა მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ადამიანთა ქცევა და ცხოვრების წესი მოქცეული იყო რელიგიის ჩარჩოებში, გამორიცხული იყო ჩვეულებების და ტრადიციების კრიტიკული შეფასების შესაძლებლობა.

რელიგიური და სამართლებრივი დანაწესების ერთიანობა ნათლად არის გამოხატული მსოფლიო რელიგიებში – ისლამში, ბუდიზმში, ქრისტიანობაში.

მუსლიმური სამართალი ისლამის რელიგიის ერთ-ერთი სფეროა. ეს რელიგია მოიცავს თეოლოგიას, რომელიც ადგენს რელიგიურ დოგმებს და აზუსტებს თუ რა უნდა იწამონ მუსლიმებმა.

ისლამში გაბატონებულია თეოკრატიული საზოგადოების კონცეფცია. მუსლიმმა იურისტებმა და თეოლოგებმა ღვთიური შთაგონებით მიღებული სამართლის მთელი სისტემა შეიმუშავეს, რომელიც, მათი აზრით, მთელ მსოფლიოში უნდა დამკვიდრდეს და მთლიანად ისლამს დაექვემდებაროს. ისლამი, ისევე როგორც ბუდიზმი, კანონის რელიგიაა. მუსლიმური სამართალი მუსლიმი ხალხის ძირითადი მეცნიერება, სოციალური წყობისა და ცხოვრების ჩამოყალიბების მეტად ქმედითი ფაქტორი იყო.

მუსლიმური კანონების დოქტრინალური გადმოცემა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განმარტებულია „ფესვები" – ის წყაროები, რომლებისგანაც წარმოიშვა წესების კომპლექსი, გამოხატული შარიათში – ღვთიურ კანონში. მეორე ნაწილი შეისწავლის „შინაარსს" – მუსლიმური სამართლის ნორმების დანაწესს თავისი სტრუქტურით, კატეგორიებითა და ცნებებით.

მუსლიმური სამართალი მეტად ორიგინალურია. მას ოთხი წყარო აქვს:

- ყურანი – ისლამის წმინდა წიგნი;
- სუნა – ღვთის მოციქულთან დაკავშირებული ტრადიციები;
- იჯმა – მუსლიმური საზოგადოების ერთიანი შეთანხმება;
- ყიასი – მსჯელობა ანალოგიით.

მუსლიმური სამართლის ღრმა ორიგინალობა და თავისებურება

მდგომარეობს იმაში, რომ იგი თავისი ბუნებით სამართლის სხვა სისტემებისაგან სრულიად დამოუკიდებელი სისტემაა. იგი მორწმუნე საზოგადოების სამართალია, ისლამის რელიგიის განუყოფელი ნაწილია. ვინც მუსლიმურ სამართალს არ დაემორჩილება ცოდვილია და იმ ქვეყნად დაისჯება. მუსლიმებისათვის საზოგადოებრივი ცხოვრება არ ქმნის სხვა ნორმებს, გარდა რელიგიური ნორმებისა, რომელთა განუყოფელი ნაწილია მუსლიმური სამართალი. რელიგიური კულტი და მორალი მთლიანად განსაზღვრავს მუსლიმური სამართლის იურიდიულ აზრს. მისი ძირითადი ღირებულება – რელიგიაა.

რელიგიური სულისკვეთებით არის გამსჭვალული სხვა სამართლებრივი სისტემებიც.

ეგვიპტისა და ბაბილონის რელიგიებში გამოხატულია ხელისუფლების და კანონის ღვთაებრივი წარმოშობის იდეალიზაცია. შუმერელი კანონმდებლები ხაზს უსვამენ თავიანთი ხელისუფლებისა და კანონების ღვთაებრივ წარმოშობას, მათ ურთიერთობას ღვთაებრივ სამართალთან. მითოლოგიის გავლენით განვითარდა უძველესი ჩინეთისა და იაპონიის პოლიტიკური და სამართლებრივი აზრი.

სახელმწიფოებში, სადაც რელიგიის გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო, სოციალური რეგულატორების დიფერენციაცია მიმდინარეობდა შეყოვნებითი ტემპებით. სამართლის ნორმები მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული რელიგიურ პოსტულატებთან ერთიან ნორმატიულ სისტემაში.

არც ძველი რომისა და საბერძნეთის ნორმატიული სისტემები იყო თავისუფალი რელიგიის გავლენისაგან, მაგრამ ამ სახელმწიფოებში არ იყო მორალური და რელიგიური დოქტრინები, როგორიც იყო ისლამში და ბუდიზმში. მაგალითად, ძველ საბერძნეთში რელიგია დაფუძნებული იყო ძირითადად საკულტო მითებზე. ამით აისხნება ამ ქვეყნებში სახელმწიფოებრიობის წარმოშობის ადრეულ სტადიაზე თავისუფალი ათეისტური აზროვნება (ჰომეროსის ეპოსებში, ექსილეს ტრაგედიებში).

ქრისტიანული სამართალი ქრისტიანული რწმენითა და მორალით დადგენილ პრინციპებს ეყრდნობა და არა ღვთის სიტყვას „მეუფებაი ჩემი არა ამის სოფლისაგან არს“ – თქვა ქრისტემ. ქრისტიანული საზოგადოების კანონიკური სამართლის პრინციპები და დოგმები ურღვევია, მაგრამ ეკლესიას შეუძლია ისე შეცვალოს სამართალი, რომ გააუმჯობესოს და შეუსაბამოს დროისა და ადგილის ცვალებად პირობებს. რომის

სახელმწიფოში შეიქმნა თავისუფალი მოქალაქეების თანასწორობის საფუძველზე დაფუძნებული სამართლის სრულყოფილი სისტემა. აღიარებდა რა კერძო საკუთრების პრიორიტეტს, რომის სამართალი ზედმიწევნით არეგულირებდა მარტივ საქონელმწარმოებელთა ყველა არსებით ურთიერთობას. იგი კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული სამართლის ყველაზე სრულყოფილი ფორმაა. ამიტომ უწოდებდნენ მას „დაწერილ გონიერებას" (ratio scripta). ეს „დაწერილი გონიერება" პაპების ბილით დაცულ უნივერსიტეტებში იკითხებოდა.

ტრადიციული სამართლის დამოუკიდებელი სისტემა არის ინდუსური სამართალი, რომელსაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი საზოგადოება აღიარებს. ინდუსური სამართალი არ არის ინდოეთის სამართალი. იგი იმ საზოგადოების სამართალია, რომელიც აღიარებს ინდუიზმს ანუ ბრაჰმანიზმს ინდოეთსა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებში. ინდუიზმი განსაზღვრული რელიგიური დოგმების სარწმუნოდ მიღებასთან ერთად სამყაროს განსაზღრულ გაგებასაც მოითხოვს. რელიგიური წესები მნიშვნელოვნად იგივე როლს ასრულებენ, რაც სამართალს ენიჭება სხვა ტიპის საზოგადოებაში.

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ რაც უფრო ნაკლებად არის საზოგადოება შებოჭილი რელიგიური დოქტრინებით, რაც უფრო გამოყოფილია სამართლებრივი სისტემა მორალისა და რელიგიისაგან, უფრო მეტად იქმნება პირობები პიროვნების ინდივიდუალიზაციის, მისი მონაწილეობისათვის საერთო კულტურულ პროგრესში.

ღმერთთან სამართლის მჭიდრო კავშირის კონცეფციამ ახალი იმპულსი მიიღო ფეოდალური წყობილების დროს. ფეოდალურ ეპოქასთან იყო დაკავშირებული მსოფლიო რელიგიების მკაფიოდ გაფორმება. ამ პერიოდში ვითარდება კანონიკური სამართალი, სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება შარიათის ნორმები (მუსლიმური სამართალი). სამართლებრივი სისტემების სპეციფიკა გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი არ იყვნენ შემოფარგლული ერთი სახელმწიფოს ჩარჩოებით, არამედ თავის მოქმედებას ავრცელებდნენ ყველა მორწმუნეზე დამოუკიდებლად იმისა, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი და ყველა ქვეყანაზე, სადაც შესაბამისი რელიგია იყო გაბატონებული. XII-XIII საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა საეკლესიო იურისდიქცია. ეკლესიისა და კანონიკური სამართლის გავლენას განიცდიდა მთელი ქრისტიანული სამყაროც. ბურჟუაზიულ ეპოქაში იცვლება თანაფარდობა სამართალსა

და რელიგიას შორის. ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა დაანგრიეს წოდებრივი შეზღუდვები და შუა საუკუნეების თეოლოგიური იდეოლოგია შეცვალეს „იურიდიული მსოფლმხედველობის" კონცეფციით. ჩამოყალიბდა სამართლისადმი ახალი მიდგომა. ბურჟუაზიამ გააცნობიერა, რომ სამართალი აუცილებელი იყო ახალი კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების დამკვიდრებისათვის. პროგრესული იდეოლოგიის – იურიდიული მსოფლმხედველობისთვის უპირატესობის მინიჭება იყო ისტორიული მნიშვნელობის აქტი, რომელმაც გადატრიალება მოახდინა შუა საუკუნეების ტრადიციულ-თეოლოგიურ აზროვნებაში, აამაღლა ადამიანური გონიერების როლი და ხელი შეუწყო სამართლებრივი ინსტიტუციების ჩამოყალიბებას.

სამართლისა და რელიგიის ურთიერთობის ტენდენციამ ასახვა ჰპოვა თანამედროვე სამყაროში. ტრადიციული სამართლებრივი სისტემები (მუსლიმური, ინდუსური) თითქმის არ შეცვლილა და თავის გავლენას ახორციელებს სახელმწიფოებზე, რომლებშიც 400 მილიონზე მეტი მოსახლეობაა. მუსლიმური სამართალი არა მარტო უცვლელია, არამედ მოქნილიც არის და სავსეა შესაძლებლობებით. ადათებს, მხარეთა შეთანხმებებს, ადმინისტრაციულ რეგლამენტებს ისეთ შესაძლებლობებს ანიჭებს, რომლებიც საშუალებას იძლევა სამართლის შეუცვლელად დამკვიდრდეს დებულებანი განვითარებული საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამდენად, მუსლიმური სამართლის არქაულობა დაბრკოლებას გამონაკლისს შემთხვევებში თუ წარმოადგენს.

ევროპული სამართლებრივი სისტემები სულ უფრო და უფრო ემიჯნება რელიგიურ დოგმებს, თუმცა არასოდეს უპირისპირდებიან ერთმანეთს. სამართლის ზოგიერთი ნორმა უწინდებურად პოულობს რელიგიაში მორალურ საყრდენს. და ეს კანონზომიერია, რამდენადაც ქრისტიანული რელიგიური აკრძალვები და ნებართვები განასახიერებენ ადამიანთა სოციალური თანაცხოვრების გამოცდილებას, რაც შემუშავებული იყო საუკუნეების განმავლობაში.

რელიგიური დოგმების და საფუძვლების ნგრევა არასოდეს არ არის სასარგებლო არც სამართლისა და არც მართლწესრიგისათვის. როგორც სამართალი, ისე რელიგია მოწოდებული არიან დაამკვიდრონ მორალური ღირებულებანი და ამაშია მათი ურთიერთკავშირის ფესვები: მსოფლიო რელიგიებმა – ქრისტიანობამ, იუდაიზმმა, ბუდიზმმა, ისლამმა უდიდესი გავლენა მოახდინეს არა მარტო საზოგადოების ზნეობრივ

ცხოვრებაზე, არამედ სამართლებრივი სისტემების განვითარებაზე. ბიბლიაში, ყურანში, თალმუდში და სხვა რელიგიურ წყაროებში ასახვა ჰპოვა ზოგადსაკაცობრიო პრინციპებმა. რწმენისა და რელიგიის თავისუფლება კაცობრიობის ცივილიზაციის მნიშვნელოვანი მიღწევაა. ადამიანის სულიერი ცხოვრების და რელიგიური პრინციპების დაცვა ხელს უწყობს საზოგადოების წევრებს შორის ნორმალური ურთიერთობის, სიმართლისა და სამართლიანობის დაცვას.

რწმენის თავისუფლება ადამიანის უფლებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. იგი საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებითაა განმტკიცებული და თითოეული ქვეყნის აღმშენებლობაში გარკვეული წვლილი შეაქვს. ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველოა. მართალია, ჩვენს ქვეყანაში საეკლესიო სამართალი როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში, რაც ფიქსირებულია ქვეყნის ძირითადი კანონის მე-9 მუხლში.

ქართული კანონმდებლობა აღიარებს და განამტკიცებს ყველა ადამიანის სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლებას. დაუშვებლად მიიჩნევს ადამიანის დევნას აღმსარებლობის ან რწმენის გამო (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 19.). რწმენის თავისუფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლითაც, რომლის თანახმად, ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორი განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

საქართველოში რელიგიური თავისუფლების მაღალი ხარისხი ასახულია კონსტიტუციურ შეთანხმებაში (კონკორდატი), რომელიც დაიდო საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის.

„ხელშეკრულებით დეკლარაციულ და ნორმატიულ დონეზე განისაზღვრება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის პრინციპები, რომლებიც ორმხრივი ინტერესების მქონე საკითხებზე სხვა შეთანხმების დადების საფუძველი შეიძლება გახდეს. სახელმწიფო უზრუნველყოფს მართლმადიდებლური რწმენის, აღმსარებლობისა და რიტუალების საჯაროდ აღსრულების საკანონმდებლო

დაცვას... საქართველოს საპატრიარქო თავის ფუნქციებს ასრულებს კანონიკური სამართლის ნორმებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში. ეს დებულება გულისხმობს, რომ საქართველოს საპატრიარქოს გარანტირებული აქვს ორგანიზაციული თავისუფლება, თავისუფლება საეკლესიო რიტუალების, მოძღვრებისა და თვითმსახურების აღსრულებაში. ამ საკითხებს საპატრიარქო დამოუკიდებელი იურისდიქციის ფარგლებში ახორციელებს, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას და სახელმწიფოში მოქმედ სამართლებრივ პრინციპებს."[51]

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების რეალიზაცია ჩვენი სახელმწიფოსათვის მისი საზოგადოების მოთხოვნაა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ფიცის ტექსტშიც გათვალისწინებულია შემდეგი ფრაზა: „ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ", რომელიც გამოხატავს ჩვენი ერის ტრადიციულ სულისკვეთებას, ამაღლებულ სულიერებას, ზნეობრივი და სამართლიანობის იდეალებისადმი ერთგულებას.

[51] მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფო და რელიგია. თბ. 2003. გვ. 70-71

სქემა №19. სამართალი სოციალურ ნორმათა სისტემაში



თავი IX. სამართლის ნორმები

§ 1. სამართლის ნორმის ცნება

სამართლის ნორმები წარმოადგენენ სამართლის სისტემის საწყის ელემენტებს. მათგან ყალიბდება სამართლის ინსტიტუტები, დარგები და მთლიანად სამართლის სისტემა. სამართლის ნორმები ადამიანთა ქცევის წესები, ეტალონები, ნიმუშებია. ისინი გამოხატულებას პოულობენ ნორმატიული სამართლებრივი აქტების მუხლებში. სამართლის ნორმა განსაზღვრავს ადამიანთა შესაძლებელი ან სავალდებულო ქცევის საზღვრებს, მათი თავისუფლების ზომას კონკრეტულ ურთიერთობაში.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია სამართლის ნორმის დეფინიცია, რომელშიც ასახულია ნორმის არსებითი ნიშნები და სპეციფიკური თავისებურებანი.

„სამართლის ნორმა არის ფორმალურად განსაზღვრული ზოგადსავალდებულო ქცევის წესი, რომელიც დადგენილი და უზრუნველყოფილია საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ, განმტკიცებულია ოფიციალურ სამართლებრივ აქტებში და მიმართულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებისაკენ მათი მონაწილეების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის გზით".[52]

სამართლის ნორმა წარმოადგენს სოციალური ნორმის სახესხვაობას და მას ახასიათებს სოციალური ნორმის ყველა ნიშანი. ამასთანავე, სამართლის ნორმას გააჩნია მთელი რიგი თავისებურებანი, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა სოციალური ნორმებისაგან. ეს თავისებურებანია:

❍ სამართლის ნორმები წარმოადგენენ ზოგადსავალდებულო ქცევის წესებს, ე.ი. ზოგადი ხასიათის ქცევის წესებს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა ყველა სუბიექტის მიერ, ვისაც ნორმა ეხება.

❍ სამართლის ნორმა არის ადამიანის ქცევისა და ნების გამოვლენის თავისუფლების ზომა. სამართლის ნორმაში შერწყმულია ერთდროუ-

[52] Алексеев С.С. укз. соч. С. 60

ლად მოქმედების თავისუფლება და ამ თავისუფლების ზომა, სუბიექტის კანონიერი ინტერესები, უზრუნველყოფილი ვალდებული პირის მოვალეობით. სამართლის ნორმის რეალიზაციის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ის, როცა ცალკეული პიროვნებების ინტერესები ემთხვევა საზოგადოების ინტერესებს, როცა შერწყმულია ზოგადკაცობრიული და სოციალური ჯგუფების ინტერესები სტაბილური საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში.

❍ სამართლის ნორმები წარმოადგენენ ფორმალურად განსაზღვრულ ქცევის წესებს. სამართლის ნორმის გარეგანი ფორმალური განსაზღვრულობა მდგომარეობს იმაში, რომ მათი შინაარსი გაფორმებული და განმტკიცებულია ნორმატიული სამართლებრივი აქტის მუხლებში, ხოლო შინაგანი განსაზღვრულობა იმაში, რომ სამართლის ნორმის შინაარსში ზუსტად არის ფიქსირებული – როგორი უფლება-მოვალებანი შეიძლება წარმოიშვას სამართლის ნორმის საფუძველზე. ფორმალური განსაზღვრულობის ძალით სამართლის ნორმები წარმოადგენენ თანაბარ მასშტაბებს, რომლებიც შეეფარდებიან დეტალებით განსხვავებულ, მაგრამ არსებითად მსგავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

❍ სამართლის ნორმები დადგენილი, სანქციონირებული და გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. სამართლის ნორმებში გამოხატულია სახელმწიფოებრივი ნება: სახელმწიფო ადგენს სამართლის ნორმებს, ანიჭებს მათ ზოგადსავალდებულო ძალას და შესაბამისად უზრუნველყოფს კიდეც მათ შესრულებას. თუ დაირღვა ნებადართული და აუცილებელი ქცევის თავისუფლების საზღვრები, მოქმედებაში მოდის იძულებითი მექანიზმი – იურიდიული პასუხისმგებლობის ესა თუ ის ზომა. ხშირ შემთხვევაში კი სამართლის ნორმების შესრულება გარანტირებულია სახელმწიფოს ავტორიტეტით და ადამიანთა შინაგანი რწმენით.

❍ სამართლის ნორმებს ახასიათებს სისტემურობა და სპეციალიზაცია. სამართლის ნორმები მოქმედებენ არა განცალკევებულად, სხვა ნორმებიდან იზოლირებულად, არამედ კომპლექსურად, სამართლის ერთიან სისტემაში, სამართლებრივი ინსტიტუტების და დარგების შემადგენლობაში. ამ თვისებასთან დაკავშირებულია ნორმის სპეციალიზაციის თვისება. სამართლის ნორმები სპეციალიზებული არიან შეასრულონ ერთი გარკვეული, „თავისი" იურიდიული ოპერაცია. ზოგიერთი ნორმა განამტკიცებს ზოგად დებულებებს (ნორმა-პრინციპები),

ზოგიერთი მათგანი აწესებს აკრძალვებს (ამკრძალავი ნორმები), ზოგიერთნი კი ითვალისწინებენ იძულებით ზომებს სამართალდარღვევის შემთხვევაში (სამართალდაცვითი ნორმები) და ა.შ.

❍ სამართლის ნორმები წარმოადგენენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ეფექტურ რეგულატორებს. მათ საფუძველზე ხორციელდება ეკონომიკის, სოციალური და კულტურული სფეროების განვითარებისადმი ხელმძღვანელობა, სახელმწიფო აპარატის საქმიანობა, დემოკრატიის სრულყოფა, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

სამართლის ნორმებს სოციალურად განპირობებული ბუნებრივ-ისტორიული ფესვები აქვთ. წარმოიშვნენ რა საზოგადოებრივი მოთხოვნილების გამო, ისინი საუკუნეების განმავლობაში ასრულებდნენ თავიანთ მნიშვნელოვან მისიას. სამართლის ნორმები ადამიანთა ინტელექტუალური, შეგნებული საქმიანობის შედეგია, მიმართული მრავალფეროვანი და რთული საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისაკენ. მათში იურიდიული ფორმით არის ასახული თანაფარდობა ინდივიდის თავისუფლებასა და საზოგადოების თავისუფლებას შორის.

„ნორმა არის ენობრივი ფორმით მოცემული აზრობრივი სტრუქტურა...

ნორმა შეიძლება იყოს სამართლიანი და უსამართლო, მიზანშეწონილი, მაგრამ ვერ იქნება ჭეშმარიტი ან მცდარი, ვინაიდან ნორმას განსაზღვრავს ხელისუფლება და არა ჭეშმარიტება. ჭეშმარიტი ან მცდარი შეიძლება იყოს ნორმის შესახებ მსჯელობა. ნორმა მოქმედებს ან არ მოქმედებს, სხვა ალტერნატივა არ არსებობს.“[53]

[53] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 51

სქემა №20. სამართლის ნორმის ცნება და ნიშნები



§ 2. სამართლის ნორმის სახეები

სამართლის ნორმა სამართლებრივი ქსოვილის პირველადი „უჯრედია“. მისი შინაარსი განსაზღვრავს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათსა და მისი სუბიექტების უფლება-მოვალეობათა ფარგლებს. იმდენად, რამდენადაც მრავალფეროვანია ნორმით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, მრავალსახეობრივია სამართლის ნორმებიც.

სამართლის ნორმათა კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

სამართლის დარგების შესაბამისად არსებობენ კონსტიტუციურ-სამართლებრივი, სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული, შრომის სამართლებრივი ნორმები და ა.შ.

სოციალური დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ დამფუძნებელ, რეგულაციურ, დამცავ, უზრუნველმყოფელ, დეკლარაციულ, დეფინიციურ, კოლიზიურ ნორმებს.

დამფუძნებელი ნორმები წარმოადგენენ მოდელს, ეტალონებს, რომლებშიც ასახულია კონკრეტული სამართლებრივი დანაწესების მიზნების შესაბამისობა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებთან. ისინი ადგენენ სამართლებრივი სისტემის ფუძემდებლურ იდეებს – სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის საფუძვლებს, სახელმწიფოს საქმიანობის ფარგლებს, ადამიანის სამართლებრივ მდგომარეობას – უფლებების, თავისუფლებების და მოვალეობების კომპლექსს. დამფუძნებელი ნორმებია ძირითადად კონსტიტუციური ნორმები და ნორმები, რომლებიც განმტკიცებულია მნიშვნელოვან სამართლებრივ აქტებში და დარგობრივ კოდექსებში.

რეგულაციური ნორმები ადგენენ სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებებსა და მოვალეობებს, აწესრიგებენ ფაქტიურ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა სამართლის სუბიექტებს შორის. ისინი გათვალისწინებულია ადამიანთა მართლზომიერ მოქმედებათა მიმართ. რეგულაციურია სამართლის ნორმათა უმრავლესობა.

უფლება-მოვალეობათა ხასიათისა და მოცულობის შესაბამისად რეგულაციური ნორმების ფარგლებში განასხვავებენ მავალებელ, ამკრძალავ და აღმჭურველ ნორმებს. მავალებელი ნორმები ადგენენ

განსაზღვრული აქტიური მოქმედების შესრულების მოვალეობას. ამკრძალავი ნორმები ადგენენ ვალდებულებას არ შეასრულონ აკრძალული მოქმედება, თავი შეიკავონ მისი შესრულებისაგან. აღმჭურველი ნორმები საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეებს უფლებას აძლევენ შეასრულონ განსაზღვრული მოქმედება.

დამცავი ნორმები ითვალისწინებენ სახელმწიფო იძულების ზომებს სამართალდარღვევის შემთხვევაში ისინი განსაზღვრავენ ასევე სასჯელისაგან განთავისუფლების წესსა და პირობებს.

უზრუნველმყოფელი ნორმები განსაზღვრავენ სამართლებრივი რეგულირების პროცესში სუბიექტის უფლება-მოვალეობათა განხორციელების გარანტიას. ასეთი ნორმები შეიძლება განთავსებული იყოს სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში.

დეკლარაციული ნორმები შეიცავენ უპირატესად პროგრამული ხასიათის დებულებებს, განსაზღვრავენ ცალკეული სახის საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების ამოცანებს. ასეთ ნორმებში ასახულია სამართლის დარგებისა და მთლიანად სამართლის სისტემის ამოცანები. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველ მუხლში განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის ამოცანები.

დეფინიციური ნორმები განამტკიცებენ განსაზღვრულ იურიდიულ ცნებებს და კატეგორიებს. მაგალითად, ცნება დანაშაულის ან იურიდიული პირის შესახებ.

კოლიზიური ნორმების დანიშნულებაა აღმოფხვრას წინააღმდეგობა სამართლებრივ დანაწესებს შორის. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები.

მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება აქვს სამართლის ნორმების დაყოფას იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებად.

იმპერატიული ნორმები შეიცავენ კატეგორიულ მოთხოვნებს, რომლებიც არ შეიძლება შეიცვალონ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეების მიერ. ასეთია უპირატესად ადმინისტრაციული სამართლის ნორმები.

დისპოზიციური ნორმები შეიცავენ ქცევის წესებს, რომლებიც მოქმედებენ იმდენად, რამდენადაც ამ ურთიერთობაში ქცევის სხვა წესი არ დაუდგენიათ. მათი დისპოზიცია ფორმულირებულია ასეთი სქემით: „უნდა იყოს ეს, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი". დისპოზიციური ნორმები შესაძლებლობას აძლევენ მხარეებს თვითონ განსაზღვრონ თავიანთ უფლება-მოვალეობათა მოცულობა ნორმის ფარგლებში. ასეთია უპირატესად სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები.

მოქმედების სფეროს შესაბამისად არსებობენ ზოგადი მოქმედების, შეზღუდული მოქმედების და ლოკალური ნორმები.

ზოგადი მოქმედების ნორმები ვრცელდება ყველა მოქალაქეზე და ფუნქციონირებენ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. მაგალითად, ასეთია კონსტიტუციური ნორმები.

შეზღუდული მოქმედების ნორმებს აქვთ საზღვრები, რომლებიც განპირობებულია ტერიტორიული, დროის და სუბიექტური ფაქტორებით.

ლოკალური ნორმატიული დანაწესები მოქმედებენ ცალკეული სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო სტრუქტურების ფარგლებში. კანონმდებლობაში, იურიდიულ პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ მატერიალურ და პროცესუალურ სამართლის ნორმებს.

მატერიალური ნორმები არეგულირებენ რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შინაარსობრივ მხარეს, სამართლის სუბიექტთა უფლება-მოვალეობებს. პროცესუალური ნორმები აწესრიგებენ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას მატერიალური ნორმების რეალიზაციის პროცესში.

არსებითი მნიშვნელობა აქვს საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის ნორმების ურთიერთგამიჯვნას.

საჯარო სამართალი არის სამართლის ფუნქციონალურ-სტრუქტურული ქვესისტემა, რომელიც ასახავს სახელმწიფო, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსს.[54] საჯარო სამართალი მოიცავს კონსტიტუციურ, ადმინისტრაციულ, მუნიციპალურ, სისხლის სამართალს და ა.შ. ამ დარგების ნორმები წარმოადგენენ საჯარო სამართლის ნორმებს. ისინი ასახავენ საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკას და თავისებურებებს.

[54] Юридическая Энциклопедия 109

კერძო სამართალი წარმოადგენს მეორე ფუნქციონალურ-სტრუქტურულ ქვესისტემას, რომელიც არეგულირებს კერძო ინიციატივაზე და ავტონომიურ სტატუსზე დამყარებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. კერძო სამართლის ნორმები ასახავენ კერძო პირების (ფიზიკური და იურიდიული) ქონებრივ და პირად, არაქონებრივ უფლება-მოვალეობათა სპეციფიკას, ითვალისწინებენ ამ უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის გარანტიებს. კერძო სამართლებრივია სამოქალაქო, კომერციული, სავაჭრო, საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები.

სქემა №21. სამართლის ნორმის სახეები



§ 3. სამართლის ნორმის სტრუქტურა

სამართლის ნორმები დამოუკიდებელი სამართლებრივი მოვლენებია, რომელთაც აქვთ მეტად მნიშვნელოვანი მიზანი – იურიდიულად მოაწესრიგონ მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ამ მიზნის მისაღწევად სამართლის ნორმებმა პირდაპირ ან ირიბად, სრულად ან ნაწილობრივ, ზოგადად ან დეტალურად უნდა:

- გამოხატონ სამართლებრივი ქმედების შინაარსი;
- განსაზღვრონ პირობები, რომელთა არსებობისას უნდა განხორციელდეს ნორმის შინაარსი;
- დაადგინონ სამართლებრივი შედეგი სამართლის ნორმის დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში.

სწორედ ამ პირობების შესაბამისად ყალიბდება სამართლის ნორმა, განისაზღვრება მისი შინაგანი სტრუქტურა.

სამართლის ნორმის სტრუქტურა არის ნორმის შინაგანი ფორმა, მისი სტრუქტურული ელემენტების ლოგიკური კავშირი და განლაგების წესი.

სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში სამართლის ნორმის სტრუქტურას ზოგჯერ უწოდებენ „მიკროსტრუქტურას, ადარებენ რა მას სამართლის მთელი სისტემის სტრუქტურას, რომელსაც განმარტავენ როგორც მაკროსტრუქტურას."[55]

სამართლის ნორმის სტრუქტურა არის განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობის ასახვის შედეგი, საზოგადოების სამართლებრივი სისტემის კანონზომიერი რეალობა. სამართლის ნორმის სტრუქტურა არის მისი სტრუქტურული ელემენტების ერთობლიობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ ნორმაში არის იმდენი სტრუქტურული ელემენტი, რამდენსაც მოითხოვს ესა თუ ის საზოგადოებრივი ურთიერთობა.

მეცნიერ-მკვლევართა შორის არ არის ერთიანი აზრი სამართლის ნორმის სტრუქტურული ელემენტების საკითხის შესახებ. ტრადიციულად სამართლის ნორმის სტრუქტურაში მოიაზრება სამი ელემენტი: ჰიპოტეზა, დისპოზიცია და სანქცია.

ჰიპოტეზა არის ნორმის ის ნაწილი, რომელიც მიუთითებს კონკრეტულ ცხოვრებისეულ გარემოებაზე, პირობებზე, რომლის არსებობის

[55] Butterworths Course Materials: Introduction to Law by Pembroke, M. Thomson, J & Sarre, R. 4th ed. Lexis Nexis. 2006. P. 39

დროს მოცემული ნორმა შედის ძალაში, იწყებს მოქმედებას. ასეთი გარემოებებისა და პირობების სპექტრი ფართო და მრავალფეროვანია.

ჰიპოტეზა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფაქტორებში, კერძოდ, ასეთი შეიძლება იყოს სამართლის ნორმის ძალაში შესვლის დრო, პიროვნების განსაზღვრული ასაკის მიღწევა, ამა თუ იმ მოვლენის დადგომის დრო და ადგილი და ა.შ. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, „ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა) წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე. სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს.“ აქ ჰიპოტეზას წარმოადგენს პირის სრულწლოვანების ფაქტი.

დისპოზიცია ნორმის შემადგენელი ნაწილია, რომელშიც აღწერილია ქცევის წესის შინაარსი, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი, რომელიც წარმოიშობა შესაბამისი ნორმის რეალიზაციის საფუძველზე. დისპოზიცია არის სამართლის ნორმის ბირთვი, მის გარეშე ნორმის არსებობა უაზროა. იმის გამო, რომ კანონმდებელი სხვადასხვაგვარად აყალიბებს დისპოზიციის შინაარსს, ზოგჯერ საჭიროა ზუსტად იქნეს განსაზღვრული ნორმის საფუძველზე წარმოშობილი საზოგადოებრივ ურთიერთობათა წრე და მათი მონაწილეების უფლება-მოვალეობანი.

სანქცია ნორმის ის ნაწილია, რომელშიც მითითებულია სახელმწიფოს ზემოქმედების ზომაზე, იძულებით ღონისძიებებზე, რაც შედეგად მოსდევს ნორმის დარღვევას ან შეუსრულებლობას.

სამართლის ნორმის სტრუქტურული ელემენტების შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში სხვაგვარი მოსაზრებაც არის გამოთქმული, რომლის თანახმად სამართლის ნორმა შედგება ორი ნაწილისაგან. ესენია: ფაქტობრივი შემადგენლობა და იურიდიული შედეგი.

ფაქტობრივი შემადგენლობა განსაზღვრავს იურიდიული შედეგის წინაპირობებს. ფაქტობრივი გარემოებანი ნორმაში მეტ-ნაკლები სიზუსტითაა ფორმულირებული. შესაბამისად, ფაქტობრივი შემადგენლობა შეიძლება იყოს განსაზღვრული და განუსაზღვრელი.

განსაზღვრული ფაქტობრივი შემადგენლობა არ მოითხოვს განმარტებას. ასეთია რიცხვი, ზომა, წონა და ა.შ.

განუსაზღვრელი ფაქტობრივი შემადგენლობა მოითხოვს გან-

მარტებას და იგი შეიძლება იყოს დესკრიფციული (ფაქტობრივი) და ნორმატიული. დესკრიფციული ფაქტობრივი შემადგენლობა შეეხება ობიექტს და მის ნიშან-თვისებებს. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის თანახმად, „უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი, მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობები, რომელიც მყარად დგას მიწაზე". ნორმატიული ფაქტობრივი მდგომარეობა მოითხოვს შეფასებას. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად „გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს ბათილია". აქ „ზნეობის" ცნება შეფასებას მოითხოვს.

იურიდიული შედეგი დგება, როდესაც სახეზეა ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობა. სისხლის სამართალში იურიდიული შედეგი არის დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდება, სამოქალაქო სამართალში – ზიანის ანაზღაურება, საფასურის გადახდა და ა.შ. იურიდიული შედეგი ხშირად გამოხატულია სანქციაში.[56]

სამართლის ნორმის სტრუქტურული ელემენტები კონსტრუქციულად ისეთივე რთულია, როგორც თვით ნორმა. სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობაში ჰიპოტეზა, დისპოზიცია და სანქცია სხვადასხვა სახით გამოიხატება. მათი მრავალსახეობა მოსაწესრიგებელი საზოგადოებრივი ურთიერთობის მრავალფეროვნებითაა განპირობებული.

ჰიპოტეზა შეიძლება იყოს ზოგადი, კონკრეტული, მარტივი, რთული და ალტერნატიული. ზოგადი ანუ აბსტრაქტული ჰიპოტეზა ნორმის გამოყენების პირობებს განსაზღვრავს საერთო ხასიათის ნიშნებით, კონკრეტული (კაზუალური) ჰიპოტეზა კი ინდივიდუალური ხასიათის ნიშნებით.

მარტივია ჰიპოტეზა, რომელიც მიუთითებს ერთ რომელიმე გარემოებაზე, როგორც ნორმის გამოყენების პირობაზე. რთულია ჰიპოტეზა, რომელიც მიუთითებს ერთდროულად ორი ან რამდენიმე გარემოების არსებობაზე, როგორც ნორმის გამოყენების პირობაზე. ალტერნატიულია ჰიპოტეზა, რომელშიც აღნიშნული რამდენიმე პირობისაგან ერთ-ერთის დადგომაა საკმარისი, რომ ნორმა შეფარდებული იქნეს.

დისპოზიცია შეიძლება იყოს მავალებელი, ამკრძალავი და აღმჭურველი.

მავალებელი დისპოზიცია ითვალისწინებს ამა თუ იმ მოქმედების

[56] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 54

შესრულების მოთხოვნას, ამკრძალავი დისპოზიცია პირდაპირ კრძალავს ამა თუ იმ მოქმედებას, ალმჭურველი კი პირს ანიჭებს უფლებამოსილებას შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება.

სანქცია მრავალი სახისაა: სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, დისციპლინარული, აბსოლუტურად განსაზღვრული, შედარებით განსაზღვრული, ალტერნატიული, კუმულაციური, მითითებითი.

სისხლის სამართლებრივი სანქცია გამოიყენება სისხლის სამართლის ნორმის დარღვევის შემთხვევაში და შეეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირს.

ადმინისტრაციული სანქციები გამოიყენება ადმინისტრაციული გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ.

სამოქალაქო სამართლებრივი სანქციები გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის დარღვევის შემთხვევაში და განსაზღვრავს ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფარგლებს.

დისციპლინარული სანქციები გამოიყენება შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში.

აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები ზუსტად განსაზღვრავს სამართალდამრღვევის მიმართ ზემოქმედების ზომას, შედარებით განსაზღვრულ სანქციებში მითითებულია ფარგლები, რომელშიც უნდა იქნეს არჩეული ზემოქმედების ზომა, ალტერნატიული სანქციები შეიცავენ ორი ან რამდენიმე სახის ზემოქმედების ზომას, რომელთაგან არჩეული უნდა იქნეს ერთ-ერთი.

კუმულაციური სანქციები ითვალისწინებენ სხვადასხვაგვარ სანქციებს, რომელთა შეერთება აუცილებელია ნორმის შეფარდების დროს.

მითითებითია სანქცია, რომელიც ნორმაში პირდაპირ არ არის აღნიშნული, მაგრამ მითითებულია სხვა ნორმის სანქციაზე, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული.[57]

[57] გ. ინწკირველი, დასახ. ნაშრ. გვ. 157-164

სქემა №22. სამართლის ნორმის სტრუქტურა

სამართლის ნორმის სტრუქტურა არის ნორმის შინაგანი ფორმა, მისი სტრუქტურული ელემენტების ლოგიკური კავშირი და განლაგების წესი.



§ 4. ნორმატიულ სამართლებრივ აქტში სამართლის ნორმის გადმოცემის ხერხები

სამართლის ნორმების გამოხატვის გარეგანი ფორმა არის ნორმატიული აქტი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს კანონმდებელსა და აღმასრულებელს შორის, სამართლებრივი რეგულირების მოდელსა და სამართლის კონკრეტული სუბიექტის უფლებებს შორის. ნორმატიულ აქტს, ისევე, როგორც სამართლის ნორმას აქვს თავისი შინაგანი სტრუქტურა (კარი, თავი, პარაგრაფი, მუხლი, პუნქტი). მის ძირითად სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს „მუხლი". თანაფარდობა სამართლის ნორმასა და კანონის მუხლს შორის დამოკიდებულია ფაქტიურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, სამართლის დარგის, ქვედარგის, ინსტიტუტის, მთელი სამართლებრივი სისტემის განვითარების დონეზე, იურიდიული ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების ხარისხზე.

ნორმატიულ სამართლებრივ აქტში ყოველთვის არ არის გადმოცემული ნორმის სტრუქტურის ყველა ელემენტი. მაგალითად, კონსტიტუცია, როგორც წესი, შეიცავს ნორმებს, რომლებშიც მხოლოდ ჰიპოტეზა და დისპოზიციაა, ხოლო სანქცია გათვალისწინებული არ არის. სისხლის სამართლის კანონის მთელ რიგ მუხლებში ჰიპოტეზა და სანქცია გადმოცემულია სრული მოცულობით, ხოლო დისპოზიცია ფორმულირებულია ზოგადი სახით.

რეგულაციურ ნორმებში, როგორც წესი, არის ჰიპოტეზა და დისპოზიცია, სამართალდაცვით ნორმებში კი ჰიპოტეზა და დისპოზიცია შერწყმულია, სანქცია კი წარმოდგენილია სრულად და გამოკვეთილად.

სამართლის ნორმის ელემენტები – ჰიპოტეზა, დისპოზიცია და სანქცია შეიძლება განთავსებული იყოს ნორმატიული აქტის სხვადასხვა მუხლებში, ზოგჯერ სხვადასხვა ნორმატიული აქტის მუხლებში. ეს განპირობებულია იმით, რომ ნორმებს აქვთ არაერთგვაროვანი ფორმა, გამოხატვის სხვადასხვა საშუალება, მაგრამ ინარჩუნებენ თავიანთ ლოგიკურ სტრუქტურას. სამართლის ნორმა ხომ ერთიანი, ზოგადსავალდებულო ქცევის წესია, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფოდან და სარგებლობს მისი დაცვით.

ნორმატიულ აქტში სამართლის ნორმის გადმოცემა ხდება სხვადასხვა საშუალებით, სხვადასხვა ხერხით, რომელთა შორის აღსანიშნავია:

გადმოცემის პირდაპირი ხერხი. ამ ხერხის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნორმატიულ აქტში გადმოცემულია სამართლის ნორმის სამივე ელემენტი. აქ სამართლის ნორმის ლოგიკური სტრუქტურა ემთხვევა ნორმატიული სამართლებრივი აქტის სტრუქტურას. სამართლის ნორმისა და კანონის ასეთი თანაფარდობა ტიპურია და ამას მუდმივად უნდა ცდილობდეს კანონმდებელი.

გადმოცემის მითითებითი ხერხი გულისხმობს იმას, რომ ნორმატიულ სამართლებრივ აქტში გადმოცემულია არა ნორმის სამივე სტრუქტურული ელემენტი, არამედ არის მითითება იმავე აქტის სხვა მონათესავე მუხლზე.

გადმოცემის ბლანკეტური ხერხის დროს ნორმატიული სამართლებრივი აქტის მუხლში დადგენილია მხოლოდ პასუხისმგებლობა განსაზღვრული წესის დარღვევისათვის, მაგრამ თვითონ წესი, რომელიც დაირღვა მასში არ არის გათვალისწინებული და არც მითითებაა ამავე კანონის სხვა მუხლზე. ასეთ მუხლში არის ჰიპოტეზა და სანქცია, დისპოზიცია კი მხოლოდ დასახელებულია, ხოლო მისი შინაარსი აუხსნელია, რადგან ბლანკეტური ხერხის დროს მითითება კანონის კონკრეტულ მუხლზე არ არის, ცნობა სამართლის ნორმის ელემენტზე მოძიებული უნდა იქნეს სხვა ნორმატიულ სამართლებრივ აქტში.

ამრიგად, სამართლის ნორმა და ნორმატიული აქტის მუხლი შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს. სამართლის ნორმა არის ლოგიკურად დამთავრებული სამართლებრივი მოვლენა, ხოლო კანონის მუხლი მისი გადმოცემის ფორმა. კანონის მუხლში შეიძლება იყოს სამართლის ნორმის სამივე ელემენტი ან ნაწილი. სამართლის ნორმა შეიძლება გადმოცემული იყოს ნორმატიული აქტის სხვადასხვა მუხლებში. ეს განპირობებულია სამართლებრივი სინამდვილით, ცხოვრებისეული პრაქტიკით. სამართლის ნორმას აქვს უნარი საზოგადოებრივი მოთხოვნების შესაბამისად ნორმატიულ აქტში განსახიერებული იქნეს სხვადასხვა ფორმით, რათა შეასრულოს თავისი მისია, სათანადოდ მოაწესრიგოს მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

სქემა №23. ნორმატიულ სამართლებრივ აქტში ნორმის გადმოცემის ხერხები

ნორმატიულ აქტში სამართლის ნორმის გადმოცემის სხვადასხვა ხერხი არსებობს, რომელთა შორის აღსანიშნავია:

პირდაპირი ანუ სრული ხერხი	მითითებითი ხერხი	ბლანკეტური ხერხი
ამ ხერხის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნორმატიულ აქტში გადმოცემულია სამართლის ნორმის ყველა ელემენტი. აქ სამართლის ნორმის ლოგიკური სტრუქტურა ემთხვევა ნორმატიული სამართლებრივი აქტის სტრუქტურას.	ეს ხერხი გულისხმობს იმას, რომ ნორმატიულ სამართლებრივ აქტში გადმოცემულია არა ნორმის სამივე სტრუქტურული ელემენტი, არამედ არის მითითება იმავე აქტის სხვა მონათესავე მუხლზე.	ამ ხერხის დროს ნორმატიული სამართლებრივი აქტის მუხლში დადგენილია მხოლოდ პასუხისმგებლობა განსაზღვრული წესის დარღვევისათვის, მაგრამ წესი, რომელიც დაირღვა, მასში არ არის გათვალისწინებული. ცნობა ამ წესზე მოძიებულ უნდა იქნას სხვა ნორმატიულ სამართლებრივ აქტში.

თავი X. სამართლის წყაროები (ფორმები)

§ 1. სამართლის წყაროს ცნება

სამართალმცოდნეობის კატეგორიათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ტევადია „სამართლის წყაროს" კატეგორია. იგი მომდინარეობს რომაული იურისპრუდენციიდან და აღნიშნავს იმ ძალას, იმ ფაქტორს, რომელიც ქმნის სამართალს.

ტერმინი „სამართლის წყარო" საუკუნეთა განმავლობაში მტკიცედ დამკვიდრდა მეცნიერულ ბრუნვაში, ამ ტერმინით სარგებლობს ყველა ქვეყნის სამართალმცოდნე.

თანამედროვე იურისპრუდენციაში ტერმინი „სამართლის წყარო" ასრულებს ორგვარ ფუნქციას. ერთი მხრივ, იგი საშუალებას იძლევა სამართალი განსხვავებული იქნეს სხვა სოციალური რეგულატორებისაგან. მეორე მხრივ, ეს ტერმინი განსაზღვრავს სამართლის სისტემაში სამართლის წყაროს ადგილს მისი იურიდიული ძალის შესაბამისად. თავის დოქტრინასა და კანონმდებლობაში ყველა სამართლებრივი სისტემა განსაზღვრავს სამართლის როგორი წყარო არის ქმედითი. ამასთანავე, ტერმინი „სამართლის წყარო" გამოხატავს სამართლის ერთ-ერთ თავისებურებას – ფორმალურ განსაზღვრულობას. სამართალს აქვს როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი გამოვლენის ფორმა. ფორმალური განსაზღვრულობა სამართლის გარეგანი გამოხატვის ფორმაა, რასაც იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ ტერმინით „სამართლის წყარო". სამართლის ნორმები თავის გარეგნულ გამოხატულებას პოულობენ კანონებში და სხვა იურიდიულ ფორმებში. სამართლის წყარო არის სამართლის ნორმის გამოხატვის და განმტკიცების საშუალება, რომელიც მათ აძლევს ზოგადსავალდებულო, საჯარო ხასიათს. ტერმინი „სამართლის წყარო" არის „სამართლის ფორმის" ადეკვატური ცნება, ისინი იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყენებიან როგორც სინონიმები.

ტერმინ „სამართლის წყაროს" მრავალაზრობრივი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, მასში იგულისხმება:

❍ ძალა, რომელიც ქმნის სამართალს;

❍ მატერიალური მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ კანონმდებლობას. მაგალითად, რომის სამართალი საფუძვლად უდევს გერმანიის სამოქალაქო კოდექსს. ნაპოლეონის კოდექსის შემუშავებისას ხელმძღვანელობდნენ სწავლულ ბერნარდ პოტიეს შრომებით;

❍ ისტორიული ძეგლები, რომლებსაც „ოდესღაც" ჰქონდათ მოქმედი სამართლის მნიშვნელობა (ჰამურაბის კანონები, Corpus Juris Civilis).

❍ მოქმედი სამართლის შემეცნების საშუალება. ამ მნიშვნელობით სამართლის წყაროში იგულისხმება სწავლული იურისტების შეხედულებანი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სამართალი შეიძლება შევიცნოთ კანონებიდან.[58]

ტერმინ „სამართლის წყაროს" სხვა აზრობრივი მნიშვნელობაც აქვს. სამართლის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ის მატერიალური, სოციალური და საზოგადოების ცხოვრების სხვა პირობები, რომლებიც ობიექტურად იწვევენ იმის აუცილებლობას, რომ გამოცემულ, შეცვლილ ან გაუქმებული იქნეს ესა თუ ის სამართლებრივი აქტი ან მთლიანად სამართლის სისტემა.

იურიდიულ ლიტერატურაში მას „სოციოლოგიურ წყაროს" უწოდებენ იურიდიული წყაროსაგან განსხვავებით. „სოციოლოგიური წყარო ეწოდება რეალური სინამდვილის იმ ფაქტებს, რომელთა გავლენით ყალიბდება სამართალი."[59]

უდავოა, რომ თანამედროვე სამართლებრივი სისტემა „მთლიანად შეიცვალა" შუასაუკუნეობრივ სისტემასთან შედარებით, რადგან შეიცვალა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური გარემო.[60]

სამართლებრივ სისტემასა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს შორის მჭიდრო კავშირია. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო ბუნებრივი მამოძრავებელი ძალა და თავისებური „მატერიალური" წყაროა სამართლის სისტემასთან მიმართებაში.

---

[58] An Introduction to the Law of Contract by Stephen Graw. 6th Edition. LBC. 2008. P. 267

[59] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 130

[60] ამერიკელი სამართალმცოდნე ლ. ფრიდმენი ასე აღწერს ამ სიტუაციას: „როცა ჩვენ ვუყურებთ იმ ცვლილებებს, მაშინვე ცხადი ხდება, რომ საუკუნეთა განმავლობაში სამართლებრივმა სისტემამ გადაიტანა სოციალური ძალების უზარმაზარი ტალღები."

ტერმინ „სამართლის წყაროს“ აქვს ფილოსოფიური აზრიც, რომელშიც ასახულია თუ როგორი ფილოსოფიური იდეა არის ამა თუ იმ სამართლებრივი სისტემის საფუძველი.

წარმოდგენა სამართლის წყაროზე, ისევე, როგორც ყველა მოვლენაზე, არ არის უცვლელი. ზოგიერთმა წყარომ (სამართლებრივი ჩვეულება, პრეცედენტი) განიცადა მნიშვნელოვანი ევოლუცია უძველესი დროიდან და ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში შენარჩუნებულია ამჟამადაც. ზოგიერთმა მათგანმა შეინარჩუნა მხოლოდ ისტორიული ღირებულება (მაგალითად, მაგისტრის ედიქტი ძველ რომში).

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (XII-XIX სს.) რომანულ-გერმანული სამართლის წყაროდ ითვლებოდა სამართლებრივი დოქტრინა. მუსლიმური სამართლის მნიშვნელოვანი ფორმა (წყარო) არის ყურანი – ისლამის წმინდა წიგნი, სუნა ანუ ტრადიციები, იჯმა – მუსლიმური საზოგადოების შეთახმება და ყიასი – მსჯელობა ანალოგიით.[61]

მსოფლიოს ქვეყნების სამართლებრივი ცხოვრების და იურიდიული ლიტერატურის ანალიზი ადასტურებს, რომ არსებობს სამართლის მრავალფეროვანი წყაროები (ფორმები). ბუნებრივია, რომ ყველა მათგანს არ აქვს ერთნაირი მნიშვნელობა და არ ასრულებს ერთნაირ რეგულატორულ როლს.

ვიწრო იურიდიული გაგებით, სამართლის წყარო ეწოდება იმ სპეციფიკურ ფორმებს, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლის ნორმებს.[62]

სამართლის იურიდიული წყარო მოიცავს:

- სახელმწიფო ხელისუფლების ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს ანუ პოზიტიურ კანონმდებლობას;
- სამართლებრივ ჩვეულებას;
- სამართლებრივ ხელშეკრულებას;
- „სამოსამართლო სამართალს“ (სასამართლო პრეცედენტი);
- „იურისტების სამართალს“ (იურიდიული სამეცნიერო ლიტერატურა);
- მართლშეგნებას.

[61] რ. დავიდი, დასახ. ნაშრ. გვ. 335-339

[62] გ. ინნკირველი, დასახ. ნაშრ. გვ. 180

§ 2. ჩვეულებითი სამართალი, როგორც სამართლის წყარო

სამართლის უძველეს ფორმას წარმოადგენს სამართლებრივი ჩვეულება. ისტორიულად იგი წინ უსწრებს სამართლის სხვა ფორმებს და სამართლის თავდაპირველ წყაროდ ითვლება.

ჩვეულებას უწოდებენ ქცევის წესს, რომელიც საზოგადოებაში მკვიდრდება ხანგრძლივი და მრავალგზისი გამოყენების შედეგად და მას ადამიანები ასრულებენ გამომუშავებული ჩვევების გამო.

ჩვეულება არის სამართლებრივი და არასამართლებრივი. სამართლებრივი ჩვეულება სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული და გარანტირებული ქცევის წესია. ასეთ ჩვეულებათა ერთობლიობა ქმნის ჩვეულებით სამართალს. არასამართლებრივ ჩვეულებებს არა აქვთ იურიდიული ძალა და მათი შესრულება უზრუნველყოფილია მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით.

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლებრივი ჩვეულება დახასიათებულია როგორც ისეთი ქცევის წესი, რომელიც გარკვეულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. გ.შერშენევიჩის აზრით, სამართლებრივი ჩვეულება ისეთი კატეგორიაა, რომელიც:

- უნდა შეიცავდეს ნორმებს, რომლებიც დაფუძნებული იქნება „სამართლებრივ რწმენაზე".
- არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გონიერებას.
- არ უნდა არღვევდეს კეთილ ჩვევებს.
- ერთდროულად უნდა ეფუძნებოდეს მართლშეგნებას და ხალხის რწმენას.[63]

ინგლისელი სამართალმცოდნე ნ. სალმონდის აზრით, სამართლებრივი ჩვეულება, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს გონიერი, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პოზიტიურ სამართალს (კანონებს), შექმნილი უნდა იყოს ძალადობრივი საშუალებების გარეშე და უნდა ჰქონდეს უძველესი ჩვეულების ხასიათი.[64]

დიდ ბრიტანეთში უძველეს დროში შექმნილად ითვლებოდა ჩვეულებანი, რომლებიც არსებობდნენ 1189 წლიდან.[65]

ფრანგი იურისტის მ. ორიუს თვალსაზრისით, აუცილებელი მოთხოვნა, რომელსაც უნდა უპასუხოს სამართლებრივმა ჩვეულებამ,

[63] Г. Шершеневич. ук.соч. С. 440

[64] Salmond N. Jurisprudence. L., 1982, P. 199

[65] Кросс Р. Прецедент в английском праве. М. 1985. С. 162

როგორც ნაციონალური სამართლის წყარომ, არის მოთხოვნა, რომ ის იყოს ამა თუ იმ ნაციონალური ინსტიტუტის ფუნქციონირების შედეგი და მოქმედებდეს „პროცედურის ფარგლებში, რომელიც დამახასიათებელია მთელი ნაციონალური სინამდვილისათვის." თუ ასეთი არ არის ჩვეულებაᲐ და ტრადიცია არ შეიძლება მათი დამოწმება სასამართლოში იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც აღიარებენ ჩვეულების ავტორიტეტს.[66]

ძველ სახელმწიფოებში სამართლებრივ ჩვეულებებს წამყვანი როლი ჰქონდათ სამართლის წყაროებს შორის. რომში სწორედ სამართლებრივი ჩვეულებებიდან ჩამოყალიბდა სამართლის მნიშვნელოვანი დარგები და ინსტიტუტები. ჩვეულებებს შორის გამოირჩეოდა წინაპართა ჩვეულებანი, მაგისტრის საქმიანობის პრაქტიკაში შექმნილი ჩვეულებანი და ა.შ.

რომის სამართლის მკვლევარები მიუთითებენ, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში რომი არ ცნობდა დაწერილ კანონებს და არც იყო ამის აუცილებლობა. ისეთი ისტორიული ძეგლი, როგორიცაა „თორმეტი ტაბულის კანონები" (Vს. ჩვ.წ.აღ-მდე) არსებითად ჩვეულებითი სამართლის კოდიფიკაცია იყო.[67]

„ჩვეულებითი სამართალი ყალიბდება და მოქმედებს არა მარტო პრიმიტიულ, არამედ განვითარებულ კულტურებშიც. ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბების ზუსტი დროის დადგენა შეუძლებელია, რადგანაც ჩვეულებითი სამართალი არის არა სამართალშემოქმედების აქტი, არამედ განვითარების შედეგი. ჩვეულებითი სამართალი ყალიბდება, მაგრამ არ იქმნება (როგორც ეს სამართლის შემთხვევაშია), თუმცა გარკვეული აზრით, ჩვეულებაც განსაზღვრული სოციალური ჯგუფის წევრების მიერ იქმნება."[68]

საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითრების კვალდაკვალ ჩვეულებითი სამართალი თანდათან შეზღუდა კანონებმა და სამართლის სხვა ფორმებმა.

თანამედროვე პერიოდში უმეტეს ქვეყნებში სამართლებრივ ჩვეულებას უმნიშვნელო როლი უჭირავს სამართლის წყაროების (ფორმების) სისტემაში, მაგრამ მისი შეუფასებლობა არამართებულია. ჩვეულებითი სამართალი, მართალია შეზღუდულად, მაგრამ მაინც რჩება სამართლის

[66] Ориу М. Основы публичного права. С. 138

[67] რ. დავიდი, დასახ. ნაშრ. გვ. 58

[68] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 131

ერთ-ერთ წყაროდ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს."

ამრიგად, სამართლებრივმა ჩვეულებამ საუკუნეთა განმავლობაში შეასრულა თავისი მისია და ამჟამადაც, თუმცა შეზღუდულად, მაგრამ მაინც არსებობს სამართლებრივ სივრცეში.

§ 3. პრეცედენტი როგორც სამართლის წყარო (სამოსამართლო სამართალი)

სასამართლო პრეცედენტი („Case Law") სამართლის ორიგინალური და დინამიკური წყაროა. მისი თავისებურება მდგომარეობს არა მარტო პრეცედენტის წესის სპეციფიკაში, არამედ იმაშიც, რომ პრეცედენტის თანამედროვე შინაარსი არსებითად განსხვავდება მისი კლასიკური ანალოგიისაგან. პრეცედენტის დოქტრინის არსი გამოიხატება იმაში, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება კონკრეტულ საქმეზე განიხილება როგორც ნიმუში ანალოგიური საქმეების გადაწყვეტის დროს.[69]

განასხვავებენ ორი სახის პრეცედენტს: სასამართლო და ადმინისტრაციულ პრეცედენტს. ადმინისტრაციული პრეცედენტი არის ადმინისტრაციული ორგანოს ან ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება. პრეცედენტის უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს სასამართლო პრეცედენტი.

პრეცედენტის დოქტრინა აღიარებს მოსამართლის განსაკუთრებულ როლს სამართლის ფორმირებასა და განვითარებაში. ამ დოქტრინის წარმოშობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ კანონში ვერ აისახება კონკრეტული ურთიერთობის გადაწყვეტის ყველა შესაძლო ვარიანტი. კანონი ადამიანის ნებითი ქმნილებაა და იგი არ შეიძლება იყოს უხარვეზო და სრულყოფილი. კანონის გამოცემით არ მთავრდება ამ სფეროში იურიდიული მოღვაწეობა, არამედ იწყება იურიდიული პრაქტიკა, კანონის შეფარდება კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი. მოსამართლეს არ აქვს უფლება ღიად დატოვოს და არ გადაწყვიტოს რომელიმე ურთიერთობა სამართლის ნორმის არ არსებობის მოტივით. ეს განაპირობებს მოსამართლის უფლებას მოაწესრიგოს ისეთი

[69] Webster's New Universal Unabridged Dictionary. P. 1416

ურთიერთობაც, რომელიც არ არის გათვალისწინებული მოქმედი სამართლით.

„კონკრეტული შემთხვევების გადაწყვეტის დროს კანონის საფუძველზე მისი ცალკეული ნორმების კომენტირების შედეგად მოსამართლის მიერ ქცევის ახალი წესების ჩამოყალიბებას სამოსამართლო სამართალშემოქმედება ეწოდება. ხოლო ამ გზით მიღებულ სამართლის ნორმათა ერთობლიობას სამოსამართლო სამართალი ეწოდება.“[70]

პრეცედენტი, როგორც სამართლის წყარო, ცნობილი იყო უძველეს დროში. ადრეულ პერიოდში რომში პრეცედენტებს წარმოადგენდნენ კონკრეტულ საქმეზე პრეტორის და სხვა მაგისტრის გადაწყვეტილებანი თუ ზეპირი განცხადებები. თავდაპირველად, მათ ჰქონდათ სავალდებულო ხასიათი ანალოგიური საქმეების გადაწყვეტის დროს თვით მაგისტრებისათვის, რომლებმაც ისინი მიიღეს და იმ დროის განმავლობაში, როცა თანამდებობა ეკავათ (დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში). ერთი მაგისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მეორდებოდა მისი შემცვლელი მაგისტრის მიერ და მყარად მკვიდრდებოდა პრაქტიკაში. სწორედ მათ საფუძველზე ჩამოყალიბდა პრეტორული სამართალი. პრეცედენტი ფართოდ გამოიყენებოდა შუა საუკუნეებშიც და შემდგომ პერიოდშიც.

თანამედროვე პერიოდში პრეცედენტი სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ანგლო-საქსური სამართლის ქვეყნებში – ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, აშშ-ის და სხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში. თუ კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მოსამართლეები მხოლოდ შეუფარდებენ სამართლის ნორმებს, პრეცედენტული ანუ საერთო სამართლის (Common Law) ქვეყნებში სასამართლოს მიერ განაჩენის ან გადაწყვეტილების გამოტანით მოსამართლე ერთდროულად ქმნის სამართლის ახალ ნორმას, ე.ი. გამოდის კანონმდებლის როლში. მას მინიჭებული აქვს უფლება განავითაროს სამართალი, შეავსოს კანონი.

ამდენად, ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში სამართალშემოქმედებით საქმიანობას ახორციელებენ არა მარტო საკანონმდებლო, არამედ სასამართლო ორგანოებიც. მართლმსაჯულება იმავდროულად განიხილება როგორც სამართალშემოქმედება, ხოლო სამართალი, როგორც სასამართლოს კონკრეტულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა.

[70] ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ. 2000, გვ. 107

ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში არ ფუნქციონირებს კოდიფიცირებული სამართალი.

ხაზს უსვამს რა პრეცედენტული სამართლის დიდ მნიშვნელობას, ინგლისელი სწავლული იურისტი რ. კროსი აღნიშნავს: „მოსამართლე, რომელიც უგულვებელყოფს თავის მოვალეობას – პატივისცემით მოეკიდოს პრეცედენტულ სამართალს, ემორჩილება არაორაზროვან ზემოქმედებას."[71] კროსის აზრით, თუ საკანონმდებლო აქტი მიღებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ და დადგენილი პროცედურის შესაბამისად, იგი შეფარდებული უნდა იქნეს სასამართლოს მიერ. თვით სასამართლომ რომელიც ქმნის პრეცედენტს, უნდა იმოქმედოს კანონთან მკაცრ შესაბამისობაში.

კანონთან მიმართებაში პრეცედენტი „დაქვემდებარებულ" მდგომარეობაშია. ეს კერძოდ, ვლინდება იმაში, რომ „კანონით შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს გადაწყვეტილება" და იმაშიც, რომ „მოსამართლეები თავიანთ მოვალეობად მიიჩნევენ მისცენ ძალა საკანონმდებლო აქტს, როცა ჩათვლიან რომ იგი მიღებულია სათანადო წესით".[72]

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კანონისა და პრეცედენტის თანაფარდობის ანალიზის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს სამი ფაქტორი:

პირველი, XIX საუკუნის II ნახევრიდან პრეცედენტმა დაკარგა სამართლის სისტემაში თავისი უზენაესობა;

მეორე, კანონს აქვს პრიორიტეტი პრეცედენტთან მიმართებაში, რამდენადაც კანონს შეუძლია გააუქმოს პრეცედენტი.

მესამე ფაქტორის არსი იმაშია, რომ საერთო სამართალს, რომელიც მოქმედებს ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში აქვს ზესახელმწიფოებრივი სტატუსი.

პრეცედენტული სამართალი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფერო არ არის სათანადოდ რეგულირებული სამართლის ნორმების მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში – მიუთითებს ცნობილი ავსტრიელი სამართალმცოდნე ნ. კელზენი, სასამართლო მოქმედებს როგორც სამართალშემფარდებელი და არა როგორც კანონმდებელი.[73]

[71] Кросс Р. ук. соч. С. 29

[72] Кросс Р. ук. соч. С. 166

[73] Kelsen H. General Teory of Law and State. P.149

რომანულ-გერმანული სამართლის (Statute Law) ქვეყნებში სასამართლო პრეცედენტი არ განიხილება როგორც სამართლის წყარო. მაგრამ სასამართლო პრაქტიკა ამ ქვეყნებში განპირობებულია არა იმდენად სამართლებრივი დოქტრინებით, რამდენადაც მათი ევოლუციით. აქ სასამართლო პრაქტიკა ხშირად არის მიჩნეული სამართლის წყაროდ, რაც ქმნის პარადოქსულ სიტუაციას: ერთი მხრივ, რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებში არ მოქმედებს პრეცედენტული დოქტრინა, მეორე მხრივ უზენაესი სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილება, სასამართლოს პრაქტიკა არც თუ იშვიათად ითვლება სამართლის წყაროდ, ე.ი. გათანაბრებულია კანონთან.

საქართველოში, რომელიც რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახს მიეკუთვნება, სასამართლო პრეცედენტი არ არის სამართლის წყარო. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს." მართლმსაჯულება საქართველოში ხორციელდება მხოლოდ კანონის საფუძველზე, სამართლის ნორმის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციისა და შეფარდების საფუძველზე. როგორც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშია მითითებული, მოსამართლის დამოუკიდებლობა, პირველ რიგში, გულისხმობს დამოუკიდებლობას ნორმის განმარტებისა და შეფარდების პროცესში, დემოკრატიული მართლმსაჯულების პრინციპს – ერთიან მართლმსაჯულებას და ნორმის ერთგვაროვან შეფარდებას სამოსამართლო სამართალიც უზრუნველყოფს,[74] რომ ახალი ქართული კანონმდებლობა ნოყიერ ნიადაგს შექმნის სამოსამართლო სამართლის განვითარებისათვის.[75]

პრეცედენტულმა სამართალმა თავისი გავლენა გაავრცელა მსოფლიოს მაღალი კულტურის ქვეყნებზე. შეუძლებელია დადებითად არ შეფასდეს მისი როლი ანგლო-საქსური სამართლის სისტემის განვითარებაში. მან დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მაღალკვალიფიციურ იურისტს შეუძლია გამოიყენოს სამართალი მაშინაც კი, როცა ის კანონებში და სახელმწიფოს სამართლებრივ აქტებში არ არის ფიქსირებული.

[74] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 135
[75] ლ. ჭანტურია, დასახ. ნაშრ. გვ. 124

§ 4. იურისტების სამართალი

იურისტების სამართალმა ნათელი კვალი დატოვა მრავალი ქვეყნის სამართლის ისტორიაში. იგი იურიდიული აზროვნების, საყოველთაოდ აღიარებული იდეებისა და ღირებულებების გამოხატულებაა. იურისტების სამართალში იგულისხმება სამართლებრივი დოქტრინები, ავტორიტეტული სწავლულების შეხედულებანი სამართლებრივ საკითხებზე. იურისტების აზრი – Jus Respondend. სამართლის მნიშვნელოვანი წყარო იყო ძველ რომში. იგი ითვლებოდა პოზიტიური სამართლის შემადგენელ ნაწილად.

დასავლეთ ევროპაში კულტურის ცენტრების მეშვეობით გავრცელდა პროგრესული იდეები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამართლის აღორძინებას. უმთავრესი როლი ამ საქმეში უნივერსიტეტებს ეკუთვნოდათ, რომელთა შორის ცნობილი იყო ბოლონიის უნივერსიტეტი იტალიაში. უნივერსიტეტებში ჩაეყარა საფუძველი საყურადღებო მეცნიერულ დოქტრინებს, მეცნიერთა სამართალს, რაც მთელი ევროპისათვის საერთო გახდა.

რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახში სამართლის ძირითადი წყარო დიდი ხნის განმავლობაში (XII-XIX ს.ს) დოქტრინა იყო. დოქტრინის პირველობა კანონის პირველობამ მხოლოდ მოგვიანებით შეცვალა.

სამართლებრივი დოქტრინები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მუსლიმური სამართლის დამკვიდრებასა და განვითარებაში. მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

იურისტის პროფესია საპატიო და დაფასებული იყო არა მარტო ძველ რომში, არამედ კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნებშიც. სამართლის ცოდნა წარჩინებული ფენების პრივილეგია იყო. თავიანთ პრაქტიკაში მოსამართლეები არც თუ იშვიათად მიუთითებდნენ ინგლისელი სწავლულების შრომებზე. იურისტების შრომებს და იურიდიულ სახელმძღვანელოებს ამ ქვეყნებში სამართლის ლიტერატურულ წყაროდ მიიჩნევდნენ.

დოქტრინის გამოყენება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძვლად გულისხმობს, რომ საქმის განხილვის დროს არ არსებობს შესაბამისი კანონი, სასამართლო პრეცედენტი და ჩვეულებითი სამართლის ნორმა. ასეთი დოქტრინები უფრო მნიშვნელოვანი იყო სამართლის განვითარების ისეთ სტადიაზე, როცა სახელმწიფო სამარ-

თალშემოქმედება ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ ფორმულირებული.

სამართლებრივ დოქტრინას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, რადგან მის გარეშე წარმოუდგენელია მეცნიერული ცოდნა სამართალზე. დოქტრინა ქმნის სამართლებრივ ცნებებსა და კატეგორიებს, არკვევს ნორმის აზრს, ასაბუთებს მათ უპირატესობას, ადგენს სამართლის შესწავლის მეთოდებსა და პრინციპებს. დოქტრინასა და კანონმდებლობას შორის არსებობს რეალური ურთიერთობა. დოქტრინა ხელს უწყობს კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფას. კანონმდებლობა იყენებს დოქტრინის მიერ შემუშავებულ დეფინიციებს, ითვისებს დოქტრინაში შემუშავებულ წინადადებებს და დამკვიდრებულ ტენდენციებს. ზოგიერთ ქვეყანაში სწორედ დოქტრინა ქმნის სხვადასხვა ინსტრუმენტებს იურისტების საქმიანობისათვის. დასაბუთებულმა მეცნიერულმა დოქტრინამ უნდა შეავსოს კანონმდებლობის ხარვეზი.

გამოჩენილი ფრანგი მკვლევარის რ. დავიდის აზრით, „ურთიერთობა სამართლის საკანონმდებლო და დოქტრინალურ წყაროებს შორის ჩვენს ეპოქაში, ძველ სამართალთან შედარებით შეიძლება სხვაგვარად მოგვეჩვენოს, მაგრამ თანამედროვე სამართალიც წინანდებურად არის იურისტების სამართალი, როგორც ამას მოითხოვს ტრადიცია.“[76]

§ 5. ნორმატიული ხელშეკრულება

სამართლის სხვა წყაროებს შორის თავისებურებით გამოირჩევა ნორმატიული ხელშეკრულება, ე.ი. ისეთი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ზოგადი ხასიათის ქცევის წესს, ქცევის სავალდებულო ნორმებს.

ნორმატიული ხელშეკრულება სამართლის წყაროს თვისებით გამოიყენება ძირითადად სამ სფეროში: კონსტიტუციურ სამართალში, საერთაშორისო საჯარო სამართალში და შრომის სამართალში.

პრაქტიკაში არსებითია ხელშეკრულების როლი და მნიშვნელობა, როდესაც ის კონსტიტუციური სამართლის საკითხებს შეეხება. ასეთია: შიდასახელმწიფოებრივი ხელშეკრულებები, რომლებიც კონსტიტუციურ პრობლემებს არეგულირებენ ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის; ფედერალური ხელშეკრულებანი – ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის

[76] რ. დავიდი, დასახ. ნაშრ. გვ. 192

შესახებ, ცენტრსა და რეგიონს შორის განსაზღვრული ურთიერთობების დამკვიდრების შესახებ და ა.შ.

ნორმატიული ხელშეკრულების ყველაზე მნიშვნელოვანი სახე თანამედროვე პერიოდში არის საერთაშორისო საჯარო სამართალში სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულებანი, რომლებიც ყოველთვის ნორმატიული ხასიათისაა. ეს არის საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა სუბიექტებს შორის, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოთა შორის დადებული შეთანხმება, მათ შორის წარმოშობილ ურთიერთობათა რეგულირებისათვის. საერთაშორისო ხელშეკრულებანი სხვადასხვა სახისაა – ორმხრივი და მრავალმხრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახის ხელშეკრულებანი. თითოეული მათგანი შეიცავს ქცევის ზოგად წესს და წარმოადგენს სუბიექტთა ნების შეთანხმების შედეგს. მთელ რიგ სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოშიც, საერთაშორისო ხელშეკრულება არის საქართველოს კანონმდებლობის, შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის მნიშვნელოვანი წყარო და არსებით გავლენას ახდენს როგორც კანონმდებლობაზე, ასევე პრაქტიკაზე.

სხვა სახელმწიფოთა მსგავსად, საქართველოშიც ჩამოყალიბდა საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ შეთანხმებას.

სამართლის ორიგინალური წყარო საქართველოში არის კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი) – საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. კონსტიტუციურმა შეთანხმებამ ცივილიზებული ფორმით განსაზღვრა ურთიერთობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, აღიარა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. ანალოგიური შეთანხმება სამართლის წყაროს თვისებით იშვიათია მსოფლიო მასშტაბით.

მესამე სფერო ნორმატიული ხელშეკრულებების ფუნქციონირებისა არის შრომის სამართალი, სადაც გავრცელებულია კოლექტიური ხელშეკრულება და კოლექტიური შეთანხმება.

§ 6. პოზიტიური კანონმდებლობა

პოზიტიურ კანონმდებლობაში იგულისხმება სახელმწიფოში მოქმედი სამართალი, მისი კონკრეტულად განსაზღვრული შინაარსითა და ფორმით, როგორც ადამიანთა ქცევებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულატორი.

პოზიტიური სამართლის შინაარსი და სტრუქტურა ისტორიულად მდიდრდებოდა და იხვეწებოდა. როგორც წარსულში, ისე ამჟამადაც, იგი ასახავს ზოგად დებულებებს, პრინციპებს, ცხოვრებისეულ ჩვეულებებს, ტრადიციებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სამართლის ნორმებს.

ტერმინი „პოზიტიური სამართალი" მტკიცედ დამკვიდრდა იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში. პოზიტიურ სამართალთან მიმართებაში ბუნებითი სამართალი მიჩნეული იყო როგორც მუდმივი და უცვლელი, პოზიტიური სამართალი კი რეალურად მოქმედი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი და დაცული ნორმების ერთობლიობა, რომელიც გამოხატავს სამართლის პრინციპებს, ფუნქციებს, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების კანონიერ ინტერესებსა და უფლებებს.

პოზიტიური სამართლის ნორმების ოფიციალური დადგენა და მათი გამოხატვა კანონებში და სხვა სამართლებრივ აქტებში მიმდინარეობს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებისა და სახელმწიფოს საქმიანობის საფუძველზე. სოციალური პროცესები, რომლებიც განაპირობებენ ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობას, წარმოადგენენ აბსოლუტურად განსაზღვრულ პირობებს იმისათვის, რომ გაგებულ იქნას პოზიტიური სამართლის არსი და მისი ფორმირების დიდი მნიშვნელობა.

სამართლებრივი რეგულირების რეალურად წარმოშობილი სოციალური მოთხოვნები და საფუძვლები იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია როგორც სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ სამართლის ნორმების დადგენის, ცვლილებების და გაუქმების პროცესზე. პოზიტიური სამართლის შექმნა არის მეცნიერულად დასაბუთებული პროცესი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებაზე სახელმწიფოს ზემოქმედების ფორმას. იგი მოიცავს რეალურ ცხოვრებისეულ ელემენტებს, რომლებიც ყოველმხრივ უნდა იქნეს გააზრებული, შეცნობილი და ასახული სახელმწიფოს სამართალშემოქმედებით საქმიანობაში. კანონები „ჩნდებიან" და „ჩაერთვებიან" მოქმედ კანონმდებლობაში რთული სახელმწიფოებრივი საქმიანობის შედეგად, რომელსაც სამართალშემოქმედება ეწოდება.

სქემა №24. სამართლის წყაროები (ფორმები)

სამართლის სოციოლოგიური წყარო ეწოდება რეალური სინამდვილის იმ ფაქტებს, რომელთა გავლენითაც ყალიბდება სამართალი. ვიწრო იურიდიული გაგებით, სამართლის წყარო ეწოდება იმ სპეციფიკურ ფორმებს, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლის ნორმებს.



თავი XI. სამართალშემოქმედება და მისი ზედები

§ 1. სამართალშემოქმედების ცნება

სამართალშემოქმედება სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. ყველა სახელმწიფოში სამართალშემოქმედებას აქვს თავისი თავისებურებანი, მაგრამ ყველგან მისი არსი გამოიხატება ერთიანი, შინაგანად შეთანხმებული, არაწინააღმდეგობრივი იურიდიული ნორმების შექმნასა და სრულყოფაში.

სოციალური თვალსაზრისით სამართალშემოქმედება არის კანონში სახელმწიფო ნების განხორციელების პროცესი, მისი გაფორმება სხვადასხვა იურიდიულ აქტებში და მათში გამოხატული ქცევის წესებისათვის ზოგადსავალდებულო ხასიათის მინიჭება.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ სამართლის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანია მატერიალური, სოციალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური ფაქტორები. ნორმატიული სამართლებრივი აქტების ხარისხის დონე და ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად ზუსტად და ყოველმხრივ არის გათვალისწინებული ეს ფაქტორები, რამდენად ადეკვატურად არის მათში ასახული ობიექტური სინამდვილე.

თითოეული ნორმატიული აქტი, განსაკუთრებით ფუნდამენტური, ისეთი, როგორიცაა კონსტიტუცია არ შეიძლება მაქსიმალურად არ ითვალისწინებდეს ეკონომიკის, საკუთრების ფორმების და ადამიანთა ცხოვრების პირობების განვითარების დონეს, ურთიერთობას სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ ძალებს შორის, ერებსა და ეროვნებებს შორის, სახელმწიფოს ადგილსა და როლს საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში. თითოეული ქვეყნის კანონმდებელი სოციალურად მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტის შემუშავებისას ვალდებულია გამოიკვლიოს სხვადასხვა სოციალური ფაქტორი, რომლებიც განაპირობებენ არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების აუცილებლობას, გაითვალისწინოს საზოგადოების, სოციალური ფენების და ინდივიდების მრავალფეროვანი ინტერესები.

სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა ხორციელდება სხვადასხვა სახეებსა და ფორმებში თითოეულ ქვეყანაში არსებობს ამ საქმიანობის თავისებური წესი. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში სამართალშემოქმედებითი საქმიანობა ხორციელდება ისეთ ფორმებში, როგორიცაა პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა (სტატუტები), სასამართლო ორგანოების სამართალშემოქმედებითი საქმიანობა (სასამართლო პრეცედენტი), სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოების სამართალშემოქმედებითი საქმიანობა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ სამართლებრივ ჩვეულებებზე დაფუძნებულ ნორმატიულ აქტებს.

იდეალურ სახელმწიფოში, როგორც სამართლიანად მიუთითებენ ინგლისელი მეცნიერები, საკანონმდებლო ხელისუფლება რჩება პარლამენტის პრივილეგიად. „პარლამენტის სუვერენიტეტი სამართლებრივ სფეროში შენარჩუნებულია, რადგან არცერთ ქვემდგომ ორგანოს არ შეუძლია იყოს კანონშემოქმედი სხვაგვარად თუ არა კანონის საფუძველზე, რომელსაც ღებულობს პარლამენტი".[77]

სასწავლო და სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოებში სამართალშემოქმედებითი საქმიანობა უნდა განხორციელდეს ფუძემდებლური პრინციპების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ ამ საქმიანობის არსს. ეს პრინციპებია:

- დემოკრატიზმი. იგი გულისხმობს საზოგადოების სხვადასხვა ფენების და ხელისუფლების ყველა შტოს მონაწილეობას სამართალშემოქმედებაში.
- კანონიერება და კონსტიტუციონალიზმი ნიშნავს სამართალშემოქმედებით საქმიანობაში კონსტიტუციისა და კანონების ზუსტ და განუხრელ შესრულებას.
- ჰუმანიზმი, გამოხატული მიღებულ სამართლებრივ აქტში მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცებაში.
- პროფესიონალიზმი – კვალიფიციური, უმაღლესი პროფესიონალი სპეციალისტების მონაწილეობა სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ყველა სტადიაზე.
- მიღებული სამართლებრივი აქტის მუდმივი ტექნიკური სრულ-

[77] The History of Local Government in England. L. P.38

ყოფის პრინციპი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამართალშემოქმედებითი პროცესის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებაში.

§ 2. სამართალშემოქმედების ფორმები

სამართალშემოქმედება ორი ძირითადი ფორმისაა:

❍ ხალხის უშუალო სამართალშემოქმედება, რომელიც ხორციელდება რეფერენდუმის გზით. რეფერენდუმი – საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტია. იგი შესაძლებლობას იძლევა გამოვლენილ იქნეს ხალხის ნება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, რეფერენდუმი სახალხო ხელისუფლებიანობის გამოვლენის ფორმაა. რეფერენდუმის შედეგად ხალხის ნების საფუძველზე იურიდიული ძალა ენიჭება ამა თუ იმ ნორმატიულ აქტს, გარდა კანონისა.

❍ სახელმწიფო სამართალშემოქმედება გამოიხატება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ ნორმატიული სამართლებრივი აქტის მიღებაში, მასში ცვლილებების შეტანასა ან გაუქმებაში. მას მიეკუთვნება ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამართალშემოქმედება, რომელიც სანქციონირებულია სახელმწიფოს მიერ. სანქციონირების შედეგად საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შექმნილი ნორმები იღებენ სახელმწიფოს მიერ დაცული სამართლებრივი ნორმების თვისებებს.

იურიდიულ ლიტერატურაში და პრაქტიკაში განასხვავებენ დელეგირებულ და სანქციონირებულ სამართალშემოქმედებას.

დელეგირებული სამართალშემოქმედება არის სახელმწიფო ორგანოების მიერ სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს დავალებით ან წინასწარი უფლებამოსილების მიცემით. წინასწარი უფლებამოსილების მიცემა ასეთ აქტს აძლევს ზოგადსავალდებულო ხასიათს და ისინი არ საჭიროებენ შემდგომ სახელმწიფო დამტკიცებას.

სანქციონირებული სამართალშემოქმედება არის სახელმწიფო ორგანოების მიერ იმ ნორმების დამტკიცება, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ან ჩამოყალიბებულია საზოგადოებაში ჩვეულებების სახით. ამ შემთხვევაში სახელმწიფო უშუა-

ლოდ არ ამზადებს და ღებულობს ნორმატიულ აქტს, არამედ სანქციას აძლევს უკვე მიღებულ აქტს. სოციალური ნორმის სანქციონირება აძლევს მათ იურიდიულ ძალას და ისინი სავალდებულო ხდებიან არა მარტო შესაბამისი ორგანიზაციების წევრებისათვის, არამედ სხვა მოქალაქეების, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის.

სქემა №25. სამართალშემოქმედების ცნება და ფორმები



§ 3. საკანონმდებლო პროცესი

სამართალშემოქმედება არის რთული, დროში გახანგრძლივებული პროცესი, რომელიც ხორციელდება კანონით განსაზღვრული პროცედურებით. სამართალშემოქმედების ძირითადი სახეა კანონშემოქმედება, რომელსაც საკანონმდებლო პროცესსაც უწოდებენ.

საქართველოში კანონშემოქმედება პარლამენტის პრეროგატივა და საქმიანობის ძირითადი სახეა. კანონის მიღების წესი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით. საკანონმდებლო პროცესი შემდეგ სტადიებს მოიცავს: საკანონმდებლო ინიციატივა, კანონპროექტის განხილვა, კანონის მიღება და კანონის გამოქვეყნება.

საკანონმდებლო ინიციატივა არის უფლებამოსილი პირის მიერ პარლამენტისათვის კანონპროექტის ან საკანონმდებლო წინადადების წარდგენა. კანონპროექტი მომავალი კანონის სრული ტექსტია, ხოლო საკანონმდებლო წინადადება – მომავალი კანონის იდეა ან კონცეფცია.

საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტები განსაზღვრულია კონსტიტუციით. საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის თანახმად, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30 000 ამომრჩეველს.

კანონპროექტისა და საკანონმდებლო წინადადებების განხილვა. საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს რეგლამენტით დადგენილ ვადებში და წესით. კანონპროექტს, ჩვეულებრივ, სამი მოსმენით განიხილავენ. კანონით ან რეგლამენტით დადგენილ შემთხვევებში კანონპროექტის განხილვა და მიღება შეიძლება გამარტივებული ან დაჩქარებული პროცედურით.

წარდგენილი კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა პარლამენტის კომიტეტებს. კომიტეტში განხილვის შემდეგ, სათანადო დასკვნითურთ, პროექტი წარედგინება პარლამენტის პლენარულ სხდომას პირველი მოსმენით განსახილველად. *პირველი მოსმენისას* განიხილება მხოლოდ კანონპროექტის ზოგადი პრინციპები და ძირითადი დებულებები. *მეორე მოსმენისას* ხდება კანონპროექტის არსებითი, მუხლობრივი

განხილვა. თუ პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო კანონპროექტი იგი შესაბამის კომიტეტს გადაეცემა მესამე მოსმენისათვის მოსამზადებლად. *მესამე მოსმენისათვის* მომზადებისას კანონპროექტი მხოლოდ რედაქციული თვალსაზრისით დამუშავდება. პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენისას აღარ შეიძლება მასში რაიმე ცვლილებების შეტანა, გარდა რედაქციული ხასიათის ცვლილებებისა, რის შემდეგაც კენჭი ეყრება კანონპროექტის საბოლოოდ რედაქტირებულ სრულ ტექსტს.

კანონის მიღება. საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის თანახმად, კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის ან დადგენილების მიღების სხვა წესი. კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედი. რაც შეეხება ორგანული კანონის პროექტს, იგი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 7 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს, რასაც ეწოდება „შეყოვნებითი ვეტოს“ ანუ კანონის შეჩერების უფლება. თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტს, პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონპროექტისათვის არის დადგენილი. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული

შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.

საქართველოს კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, კანონის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" *(www.matsne.gov.ge)*.

კანონი ქვეყნდება პრეზიდენტის ხელმოწერით. თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე. (საქ. კონსტიტუცია, მუხლი 68(5).

კანონის პრომულგაცია. კანონის გამოქვეყნება დაკავშირებულია კანონის პრომულგაციასთან. აღსანიშნავია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი „პრომულგაცია" არაერთგვაროვნად არის განსაზღვრული. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „პრომულგირება" და „გამოქვეყნება" სინონიმებია. ზოგიერთის აზრით კი, პრომულგირება არის კანონის ოფიციალური გამოქვეყნების შესახებ სპეციალური აქტის (მაგალითად, განკარგულების) გამოცემა.

პროფ. ჯ. ცნობილაძე ეთანხმება „სამართლის მცირე ენციკლოპედიის" პოლონურ გამოცემაში მოცემულ განმარტებას, რომლის თანახმად, პრომულგირება გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების, ჩვეულებრივ, სახელმწიფოს მეთაურის განსაკუთრებული აქტის გამოცემას პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტის გამოქვეყნების შესახებ, რომლითაც წინადადება ეძლევათ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს დაიცვან ამ აქტის მითითებები.[78]

[78] ჯ. ცნობილაძე, საკანონმდებლო პროცედურების შედარებითი ანალიზი, წიგნში: „როგორ იქმნება კანონი". თბ. 2000. გვ. 83-84

სქემა №26. საკანონმდებლო პროცესი

საკანონმდებლო პროცესი ანუ კანონშემოქმედება სამართალშემოქმედების ძირითადი სახეა. საქართველოში კანონშემოქმედებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტი.



§ 4. იურიდიული ტექნიკა

ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის სისტემა ასახავს რეალურ საზოგადოებრივ ყოფას, მორალურ და ტრადიციულ ღირებულებებს. ასეთი ასახვა სამართლის ნორმებში რთული ინტელექტუალური საქმიანობა – სამართალშემოქმედებაა, რომელიც განსაზღვრულ ფორმებში და განსაზღვრული საშუალებებით ხორციელდება.

სამართალშემოქმედების აზრი და მიზანია შეიქმნას სოციალური მართვის ნორმატიული საფუძველი, შეარჩიოს იურიდიული რეგულირების ისეთი ვარიანტი, რომელიც ხელს შეუწყობს სტაბილური მართლწესრიგის დამკვიდრებას და სოციალურ პროგრესს. სამართალშემოქმედებაში ვლინდება კანონმდებლის ხელოვნება, იურიდიული მეცნიერების განვითარების დონე, საერთო და სამართლებრივი კულტურა.

ნორმატიული სამართლებრივი აქტების ეფექტურობა და სარგებლიანობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად ზუსტი და ნათელია იურიდიული ფორმულირებანი, რამდენად ლოგიკურად და თანმიმდევრობით არის გამოყენებული იურიდიული ცნებები და ტერმინები. ამას კი უზრუნველყოფს იურიდიული ტექნიკის წესები და საშუალებები, რომლებიც გამოიყენება კანონმდებლის მიერ ნორმატიული სამართლებრივი აქტების შემუშავებისა და მიღების პროცესში.

იურიდიული ტექნიკა არის სამართლებრივი აქტების შემუშავების, გაფორმების, გამოქვეყნებისა და სისტემატიზაციის პროცესში გამოყენებული წესების, საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული აქტების სრულყოფას და ეფექტურ გამოყენებას.

იურიდიული ტექნიკა მოიცავს არა მარტო ნორმატიულ, არამედ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებსაც. მაგალითად, სასამართლოს აქტების, სამოქალაქო ხელშეკრულების შემუშავების ტექნიკურ-იურიდიული საშუალებებიც იურიდიულ ტექნიკას მიეკუთვნება. ყველა შემთხვევაში იურიდიული ტექნიკა ეხება იურიდიულ რეალობას – ნორმატიულ და ინდივიდუალური მნიშვნელობის დოკუმენტებს. ამ დოკუმენტებში მთავარი მათი შინაარსია, კერძოდ, მათი შესაბამისობა საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებისადმი, საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და ზნეობრივი მდგომარეობისადმი. ამავე

დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს აქტების იურიდიულ შინაარსსაც, დოკუმენტების იურიდიულ სრულყოფას.

იურიდიული ტექნიკის ობიექტია ნორმატიული აქტის ტექსტი, რომლის დამუშავებაზე არის მიმართული კანონმდებლის ინტელექტუალური საქმიანობა. სწორედ კანონმდებელი იყენებს სხვადასხვა წესებსა და ხერხებს ნორმატიული აქტის შემუშავების პროცესში. იურიდიული ტექნიკის მეშვეობით ხდება ნორმატიული აქტის რაციონალური აზრის გამოვლენა, იურიდიული რეალობის აღქმა, კანონმდებლობის და სამართლის სისტემის სრულყოფა.

იურიდიული ტექნიკა მრავალასპექტიანია. სამართალში „ტექნიკური" საშუალებანი, ფართო გაგებით მოიცავს როგორც ტექნიკურ ხერხებს, ასევე ტექნიკურ ოპერაციებს, სამართალწარმოების ტექნიკას და ა.შ.

იურიდიულ ტექნიკასთან, კერძოდ, საკანონმდებლო პროცედურებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კანონმდებლობის თეორია და მეთოდიკა.

კანონმდებლობის თეორია არის პრაქტიკაზე ორიენტირებული მეცნიერება. იგი არის საკანონმდებლო პრაქტიკის მეცნიერული თეორია, რომელიც იკვლევს სამართლის ნორმისა და სოციალური სინამდვილის თანაფარდობას, ნორმის ფაქტობრივ ეფექტიანობას, იურიდიულ დოგმატიკას, სამართლის პოლიტიკას და ა.შ. კანონმდებლობის თეორია წარმოუდგენელია კანონმდებლობის მეთოდიკის გარეშე.

კანონმდებლობის მეთოდიკა მოიცავს სამართალშემოქმედების რაციონალურ ნაწილს. იგი არკვევს, თუ რამდენად გამოსადეგია არჩეული საშუალებანი ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად. კანონმდებლობის მეთოდიკა ასრულებს სოციალური პროგნოზირების ფუნქციას.[79]

კანონმდებლობის თეორია, კანონმდებლობის მეთოდიკა და საერთოდ მთელი საკანონმდებლო ტექნიკა მიმართულია ნორმატიული აქტების სრულყოფისაკენ. თუ კანონმდებლობის მეთოდიკა განსაზღვრავს კანონის დინამიკურ პროცესს, კანონმდებლობის თეორია შეეხება კანონთა ჩამოყალიბების შედარებით სტატიკურ და მყარ კომპონენტებს.

იურიდიული ტექნიკის წესები გამომუშავდება, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკაში, თუმცა გადამწყვეტ როლს თამაშობს იურიდიული მეცნიერებაც. ნორმატიული და ინდივიდუალური აქტების მაღალი

[79] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 117-120

ტექნიკური დონე შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მეცნიერულ რეკომენდაციათა საფუძველზე. აქ მხედველობაშია არა მარტო იურიდიული, არამედ არაიურიდიული მეცნიერებაც.

სამართლის აქტების სახეების მიხედვით იურიდიული ტექნიკა იყოფა:

- საკანონმდებლო ანუ სამართალშემოქმედებით და
- ინდივიდუალური აქტების შემუშავების ტექნიკად.

სამართალშემოქმედებითი ტექნიკა ის საშუალებები და ხერხებია, რომლებიც გამოიყენებიან ნორმატიული აქტების შემუშავებისა და სისტემატიზაციის დროს. ინდივიდუალური აქტების ტექნიკა ემსახურება სამართლის ნორმების რეალიზაციას, უპირველეს ყოვლისა კი, სამართლის შეფარდების პროცესში გამოცემული აქტების შემუშავებასა და გაფორმებას. ინდივიდუალური აქტების ტექნიკა ძირითადად პროცესუალური მეცნიერების კვლევის ობიექტია.

თავისი შინაარსის მიხედვით ტექნიკურ-იურიდიული ხერხები და საშუალებანი უმთავრესად დაკავშირებული არიან სამართლის სტრუქტურასთან. ისინი იყოფიან ორ ძირითად სახედ:

- კანონმდებლობის გადმოცემის საშუალებანი და ხერხები;
- ნორმატიული აქტების დოკუმენტალური გამოხატვის საშუალებანი და ხერხები.

სახელმწიფო ნება რომ სამართალში გარდაისახოს იგი გადმოცემული უნდა იქნეს „სამართლის ენაზე". საზოგადოებრივ ურთიერთობათა „გადათარგმნა" იურიდიულ ნორმებში ხორციელდება იურიდიული ტექნიკის სპეციალური საშუალებებითა და ხერხებით. მათი დახმარებით შესაძლებელი ხდება „აგებული" იქნეს სამართალი, მისი ჩონჩხი, კონსტრუქციები.

იურიდიული ტექნიკის ზოგად საშუალებებს, ხერხებსა და წესებს წარმოადგენენ:

- იურიდიული ტერმინოლოგია;
- იურიდიული კონსტრუქციები;
- ნორმატიული იურიდიული აქტების შინაარსის გადმოცემის წესები და ხერხები;
- ნორმატიული აგება;
- საკანონმდებლო სტილისტიკა;

იურიდიული ტერმინოლოგია იურიდიული სამყაროს ორგანული ნაწილია. მის გარეშე წარმოუდგენელია არა მხოლოდ იურიდიული ტექნიკა, არამედ თვით იურისპრუდენციაც. ტერმინი ნიშნავს განსაზღვრული ცნების სიტყვიერ აღნიშვნას. ასეთი ცნებები სამართლებრივ სივრცეში მრავალია. სამართალშემოქმედების პროცესში გამოიყენება სამი სახის ტერმინი: ზოგადი, სპეციალურ-ტექნიკური და სპეციალურ-იურიდიული. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სპეციალურ ტერმინოლოგიას, რომელიც ასახავს იურიდიულ ცნებებს, იურიდიულ კონსტრუქციებს, ნორმების დარგობრივ ტიპიზაციას: ისინი მოწოდებული არიან სიტყვიერად გამოსახონ ტექნიკის მრავალი საშუალებანი, რომელთა დახმარებითაც ხდება კანონმდებლის ნების გადმოცემა.

იურიდიულ ტერმინებს შორის განასხვავებენ:

• იურიდიულ ტერმინებს, რომლებიც აღებულია საყოველთაოდ მიღებული ენიდან, მაგრამ სამართლის სფეროში შეიძინეს განსაკუთრებული სამართლებრივი მნიშვნელობა (მაგალითად, „გარიგება“, „მტკიცებულება“, „საჩივარი“, „მფლობელობა“, „დანაშაული“ და ა.შ.)

• მხოლოდ იურიდიული მეცნიერებისა და კანონმდებლობისთვის დამახასიათებელ ტერმინებს. (მაგალითად, „სარჩელი“, „ნასამართლობა“, „განსასჯელი“ და ა.შ.)

ტერმინოლოგიის რაციონალური გამოყენებისთვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა:

• ტერმინოლოგიის ერთიანობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთნაირ ტერმინებს ერთგვაროვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ. დაუშვებელია, აგრეთვე ერთი და იგივე ცნებების აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინის გამოყენება.

• ტერმინოლოგიის სიმდგრადე. ტერმინოლოგია უნდა იყოს მყარი და სტაბილური. მისი აზრი არ უნდა ითვლებოდეს ყოველი ახალი ნორმატიული აქტით.

არსებობენ ტერმინები, რომლებიც საჭიროებენ ახსნას ნორმატიული აქტის ტექსტში. ძირითადად ეს ეხება დეფინიციური სახის ნორმებში არსებულ ტერმინებს (მაგალითად, აღწერილობითი ჰიპოტეზები, დისპოზიციები, სანქციები).

იურიდიული კონსტრუქცია არის უფლებების, მოვალეობების, პასუხისმგებლობის და სხვა იურიდიული მოვლენების აგებულებისა და ტიპური სქემების თავისებური მოდელი.

იურიდიული კონსტრუქცია ნორმატიული გადმოცემის ის პირველადი „ტიპური სქემაა", რომლიდანაც იწყება სამართლის იურიდიულ-ტექნიკური „მშენებლობა". იურიდიული კონსტრუქციები კანონმდებლის ნების ტექნიკურ-იურიდიული გადმოცემის უფრო მაღალი დონეა. იგი ნორმატიული მასალის სპეციფიკური აგებაა, რაც შეესაბამება ჩამოყალიბებული სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრულ სახეს ან ტიპს.

ზოგიერთ შემთხვევაში იურიდიული კონსტრუქციების შერჩევა წარმოადგენს გარკვეულ სირთულეს. სამართლის თითოეულ დარგში არსებობს მყარი კონსტრუქციები, რომლებიც შემუშავებული არიან ნორმატიულ აქტებში და იურიდიულ მეცნიერებაში. ასეთია ტიპური სქემები (მოდელები) დანაშაულის შემადგენლობისა სისხლის სამართალში. იურიდიული კონსტრუქციების გულმოდგინე დამუშავებით გამოირჩევა სამოქალაქო სამართალი. მაგალითად, ხელშეკრულებათა სხვადასხვა კონსტრუქციები. იურიდიული კონსტრუქციების შემადგენლობის დონე სამართლის მოცემული დარგის განვითარების დონის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია.

იურიდიული კონსტრუქციების გამოყენება აადვილებს იურიდიული ნორმების ფორმულირებას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებას ხდის ზუსტსა და განსაზღვრულს. იურიდიული ნორმების ფორმულირების დროს შერჩეული უნდა იქნეს ისეთი კონსტრუქციები, რომლებიც შეესაბამებიან ნორმატიული მასალის შინაარსს.

იურიდიული კონსტრუქციები ყალიბდება სამართალშემოქმედებითი გამოცდილების საფუძველზე, რომლის მსვლელობაშიც შეირჩევა უფრო მიზანშეწონილი და უარყოფილი იქნება ნორმატიული მასალის აგებულების მოძველებული მოდელები. მათ შემუშავებაში დიდი როლი ეკუთვნის იურიდიულ მეცნიერებას, რომელიც არა მარტო განამტკიცებს პრაქტიკაში ჩამოყალიბებულ „ტიპურ კონსტრუქციებს", არამედ ხელს უწყობს მათ შემდგომ განვითარებას.

სპეციფიკურ კონსტრუქციულ მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს „სამართლის ენაზე" კანონმდებლის ნების გადმოცემას, წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის სტრუქტურული ტიპი. სამართლებრივი ურთიერთობის კონსტრუქციულ მოდელში გამოკვეთილად არის წარმოჩენილი მისი სტრუქტურული ელემენტები: სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ობიექტი და შინაარსი.

ნორმატიული იურიდიული აქტების შინაარსის გადმოცემის წესები და ხერხები. იურიდიულ ტერმინოლოგიასა და იურიდიულ კონსტრუქციებთან ერთად არსებითი მნიშვნელობა აქვს ნორმატიული სამართლებრივი აქტის ტექსტში აქტის შინაარსის გადმოცემის წესებსა და ხერხებს. იურიდიული ნორმის ელემენტები – ჰიპოთეზა, დისპოზიცია და სანქცია ნორმის ტექსტში გადმოცემულია სამი სახის საშუალებით: პირდაპირი, მითითებითი და ბლანკეტური ხერხით.

პირდაპირი გადმოცემის დროს სამართლის ნორმის ყველა ელემენტი პირდაპირ არის ფორმულირებული ნორმატიული აქტის სათანადო მუხლში. მითითებითი გადმოცემის დროს ნორმის ცალკეული ელემენტები არ არის ფორმულირებული მოცემულ მუხლში, მასში მხოლოდ მითითება ხდება სხვა ნორმაზე, რომელიც შეიცავს საჭირო მონაცემებს. გადმოცემის ეს ხერხი გამოიყენება ნორმატიული მასალის ცალკეულ ნაწილებს შორის კავშირის დადგენისა და განმეორებათა თავიდან აცილების მიზნით.

ბლანკეტური გადმოცემის დროს ნორმის ცალკეული ელემენტები პირდაპირ არ ფორმულირდება და არასაკმარისი ელემენტები შეივსება არა რომელიმე ზუსტად მითითებული ნორმით, არამედ განსაზღვრული სახის წესებით, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალონ. ბლანკეტური ხერხის გამოყენება ბევრ შემთხვევაში სრულიად გაუმართლებელია, მაგრამ მან შეიძლება შექმნას გარკვეული სიძნელეები ნორმატიული მასალის გამოყენების დროს.[80]

კანონმდებლის ნების გადმოცემა „სამართლის ენაზე" საჭიროებს გარეგან, დოკუმენტურ გამოხატულებასაც. ამ სახის იურიდიული საშუალებანი და ხერხები ასევე დაკავშირებულია სამართლის სტრუქტურასთან, მაგრამ ისინი ეხებიან არა ნორმატიული აქტის შინაარსობრივ მხარეს, არამედ მის ფორმას, გარეგან აგებულებას – არქიტექტონიკას. ნორმატიული აქტი გამოხატულია დოკუმენტებში, რომელთაც გააჩნიათ სათანადო რეკვიზიტები. რეკვიზიტებში გამოხატულია ნორმატიული აქტის ოფიციალური ხასიათი: აქტის სახელწოდება, მისი დასათაურება, გამოცემის რიცხვი, ადგილი და სხვა მაჩვენებლები.

ნორმატიული აგება. იურიდიული ტექნიკის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ნორმატიული მასალის განლაგება განსაზღვრული

[80] პ. ცნობილაძე, საკანონმდებლო პროცედურების შედარებითი ანალიზი, წიგნში „როგორ იქმნება კანონი", თბ. 2000, გვ. 90

წესით, მისი დანაწევრება და ამავე დროს შეთანხმებულობა. ნორმატიული აქტების დიდ უმრავლესობას ესაჭიროება ნორმატიული მასალის განლაგება დარგების, ქვედარგების, ინსტიტუტების შესაბამისად. ნორმატიული მასალის დიფერენციაცია არსებით როლს თამაშობს კოდიფიცირებულ აქტებში – კოდექსებში.

ნორმატიული აქტების სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს მაქსიმალური შესაძლებლობა ნორმატიულ განზოგადებათა ფორმულირებისათვის. ეს მიიღწევა, უპირველეს ყოვლისა, ზოგადი ნაწილის („ზოგად დებულებათა") გამოყოფით, რაც საშუალებას იძლევა ერთ განყოფილებაში მოთავსდეს ზოგადი ნორმები, აცილებულ უნდა იქნეს განმეორებები, ზუსტად ჩამოყალიბდეს პრინციპული დებულებანი.

კოდიფიცირებულ აქტში კონკრეტული ნორმატიული მასალა განლაგებულია განყოფილებებად და თავებად. თითოეული განყოფილება მოიცავს განსაზღვრულ ინსტიტუტს ან ინსტიტუტთა ჯგუფს. ნორმატიული სამართლებრივი აქტის პირველად სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს „მუხლი", რომელმაც უნდა მოიცვას ერთგვაროვანი ნორმატიული მასალა. ახალი მუხლების გამოყოფა შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ნორმატიულ განზოგადებათა შედეგად ერთდროულად ფორმულირდება ახალი მოთხოვნები. იმ შემთხვევაში თუ ნორმატიული აქტის მუხლი შეიცავს რამდენიმე იურიდიულ დანაწესს, მას აქვს თავისი შინაგანი დანაყოფები – „ნაწილები", ხოლო დანაყოფებს ერთიანი ნორმატიული დებულების შიგნით ეწოდება „პუნქტები".

ნორმატიული დოკუმენტები არ უნდა იყვნენ წინააღმდეგობრივნი, მათი შეთანხმებულობა უნდა გამოიხატოს ნორმატიულ გადმოცემაში, იურიდიულ კონსტრუქციებში, დარგობრივ ტიპიზაციასა და ტერმინოლოგიაში.

ნორმატიულ დოკუმენტებს ესაჭიროება აგრეთვე „გარეგანი ერთიანობა" – მუხლების ერთიანი მწყობრი ნუმერაცია, რომელიც უნდა იყოს სტაბილური. ამიტომ ნორმატიულ აქტში შეტანილი შემდგომი ცვლილებებისას, ყოველთვის არ უნდა გადაჯგუფდეს ნუმერაცია, არამედ შეიცვალოს მუხლის რედაქცია. ახალი დებულებანი კი შეტანილ იქნება დამატებითი მუხლების სახით, ძირითადი ნუმერაციისათვის ასოს ან ციფრის დამატებით.

ნორმატიული დოკუმენტებით სარგებლობას აადვილებს ალფაბეტურ-საგნობრივი მაჩვენებელი.

უკანასკნელი დროის საკანონმდებლო მიღწევას წარმოადგენს ის, რომ დასაბუთებულია არა მარტო კოდიფიცირებული აქტების განყოფილებანი და თავები, არამედ მუხლებიც, რაც ნორმატიული აქტებით შინაარსის ერთგვარი „რეზიუმეა". მიზანშეწონილია კოდიფიცირებულ აქტში აღნიშნულ იქნეს მუხლის ცალკეული ნაწილები ნორმებით და ასოებით. ბევრი ტექნიკური ხერხი, რაც დაკავშირებულია კანონმდებლის ნების დოკუმენტალურ გაფორმებასთან, ზოგადი ხასიათისაა და მიეკუთვნება საქმის წარმოების, ინფორმატიკული ტექნიკის ზოგად ხერხებს.

საკანონმდებლო სტილისტიკა. კანონშემოქმედებითი ტექნიკის ორგანული ნაწილია საკანონმდებლო სტილისტიკა. ეს არის ნორმატიულ დოკუმენტებში ენობრივ საშუალებათა მიზანშეწონილი გამოყენების ხერხთა სისტემა. სამართლებრივი აქტების სტილი მოითხოვს იურიდიული ტექნიკის გამოყენებასაც, ოფიციალური დოკუმენტების ენისადმი მოთხოვნასაც. მთავარი, რაც განსაზღვრავს ნორმატიული აქტების სტილს, მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ერთი მხრივ ნორმატიული აქტების დამაჯერებლობა და ხელმისაწვდომობა, მეორე მხრივ კი მათი სიზუსტე, განსაზღვრულობა და მაღალი იურიდიული კულტურა.

ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობა გულისხმობს, რომ სამართლებრივი დოკუმენტების ენა იყოს მაქსიმალურად სადა, გასაგები და ნათელი თითოეული მოქალაქისათვის. ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ფ. იერინგი წერდა, რომ „კანონმდებელი უნდა აზროვნებდეს როგორც ფილოსოფოსი და ლაპარაკობდეს, როგორც გლეხი." ამ ლაკონურ ფრაზაში გამოხატულია ის აზრი, რომ კანონის ტექსტი გასაგები უნდა იყოს ჩვეულებრივი, არაპროფესიონალი ადამიანისათვის. სამართლებრივი დოკუმენტების ფრაზები უნდა იყოს უბრალო, არართული კონსტრუქციის, არ უნდა იყოს გადატვირთული ზედმეტი წინადადებით.

შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ „სამართლის" განსაკუთრებულ ენაზე? რა თქმა უნდა, სამართლის ენის დაპირისპირება ლიტერატურულ ენასთან არასწორი იქნებოდა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლის ენა თავისებური, დამოუკიდებელი სტილია ლიტერატურული ენისა; სამართალი ცხოვრობს სიტყვაში და სიტყვის მეშვეობით. სამართლის ჩამოყალიბება ხდება ენის მეშვეობით. სამართლის ენა,

არის მეტაენა. ქართული ენციკლოპედიის თანახმად, მეტაენა არის ენა, რომელიც აღწერს დედუქციური თეორიის ენის აღნაგობას, განმარტავს მას, საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ ამ ენის თავისებურებანი, შევადაროთ ის სხვა ენებს.[81]

სამართლის ენა ლიტერატურული ენის თავისებური, დამოუკიდებელი სტილია. მისი თავისებურებანი განპირობებულია სამართლის დანიშნულებით – იყოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ზოგადსავალდებულო ნორმატიული რეგულატორი. სამართლის ენაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ფენები:

- კანონის ენა;
- მეცნიერული ენა;
- განაჩენისა და გადაწყვეტილების ენა;
- მოხელეთა ენა.

თანამედროვე სამართლის ენა მიუკუთვნება ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ ენას. კანონის ენისთვის დამახასიათებელია ის კანონზომიერებანი, რომლებიც მოქმედებენ დარგობრივი ენისა და საერთოდ ენის ურთიერთკავშირის პროცესში. დარგობრივი ენის ტერმინოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული ბუნებრივი ენის ლექსიკასთან. კანონის ენა არის ავთენტიკური, რამდენადაც მასში გამოხატულია კანონმდებლის ნება. ამასთანავე, იგი არის შეუცვლელი, რამდენადაც დაუშვებელია კანონში გამოყენებული სიტყვების შეცვლა, თუნდაც აზრი არ იცვლებოდეს.

სამართლის აქტი არ არის ჩვეულებრივი სიტყვა, მოხსენება, სტატია. კანონის ენა მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, სიზუსტეს, რათა გასაგები იყოს ყველასა და თითოეულისათვის, სრულიად და ზუსტად იყოს მასში გამოხატული კანონმდებლის ნება. ნორმატიული აქტების სიტყვიერ გამოხატულებაში ამომწურავი პასუხი უნდა იყოს გაცემული ცხოვრების მიერ წამოჭრილ პრაქტიკულ საკითხებზე.

სამართლებრივი აქტების სტილის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ფრაზების, გამოთქმების, ტერმინების მკაცრი განსაზღვრულობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი გაგებული უნდა იქნეს მხოლოდ ერთი, მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობით. სამართლებრივ აქტში არ უნდა იყოს რაიმე ორაზროვნება. არ არსებობს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა რომელიმე სფერო, სადაც არამართებულად და არასწო-

[81] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 121-123

რად ნახმარმა სიტყვამ, არასწორად გაგებულმა ფრაზამ, აზრსა და მის ტექსტუალურ გამოსახულებას შორის სხვაობამ გამოიწვიოს ისეთი სერიოზული, მძიმე შედეგი, როგორიც არის სამართალშემოქმედების სფეროში. ნორმატიული აქტის სიზუსტისა და გარკვეულობისათვის ნორმატიული აქტის სტილის ღირსებად ითვლება მოკლე ფორმულირებები. მაქსიმალური სიმოკლე, რა თქმა უნდა, თვითმიზანი არ არის, მაგრამ მოკლე და ნათელი ფორმულირება, რომელშიც ამომწურავად არის გადმოცემული კანონმდებლის აზრი, თანამედროვე ნორმატიული აქტების დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს. მოკლე, კატეგორიული ფორმულები მოწოდებული არიან ასახონ ცხოვრებისეული რეალობა და იყვნენ მისაწვდომნი და დამაჯერებელნი.

„თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ოფიციალური დოკუმენტური სტილის განვითარებას და დახვეწას. ოფიციალურ საქმეთა ენა არის სახელმწიფო აქტების, კანონების, საერთაშორისო დოკუმენტების, ადმინისტრაციულ-საკანცელარიო ქაღალდების, საქმიანი მიმოწერისა და საერთოდ, ოფიციალური ქაღალდების ენა, რომელიც ემსახურება ოფიციალურ საქმიან ურთიერთობებს... ოფიციალურ საქმეთა ენის სოციალური ფუნქციაა ოფიციალურ-საქმიან დამოკიდებულებათა სამსახური, მისი ფუნქციონირების შესაბამისი სფეროებია სამართალი და პოლიტიკა.“[82]

იურიდიული ენა, სამართლებრივი ფორმულები თავისი არსით სავსეა დიდი ინტელექტუალური ძალით და ამ მხრივ კანონებს არა მარტო რეგულატორულ-დაცვითი მნიშვნელობა აქვთ, არამედ შეუძლიათ გაამდიდრონ ადამიანის სულიერი სამყარო, შეუქმნან სიმართლისა და სამართლიანობის განცდა.

იურიდიული სტილის, იურიდიული ენისა და ფორმების თავისებურება, მათი თვითმყოფადობა იმდენად უნიკალურია, რომ ისინი თამამად შეიძლება მიეკუთვნოს ზოგად-კულტურულ ღირებულებებს.

[82] ნ. მეტრეველი, კანონის სტილი, წიგნში: როგორ იქმნება კანონი? თბ. 2000. გვ. 263

სქემა №27. იურიდიული ტექნიკა

იურიდიული ტექნიკა	არის სამართლებრივი აქტების შემუშავების, გაფორმების გამოქვეყნებისა და სისტემატიზაციის პროცესში გამოყენებული საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული აქტების სრულყოფილ და ეფექტურ გამოყენებას.





თავი XII. ნორმატიული სამართლებრივი აქტები

§ 1. ნორმატიული სამართლებრივი აქტის ცნება

ნორმატიულ-სამართლებრივ აქტს დომინირებული ადგილი უჭირავს თანამედროვე სამართლის წყაროების სისტემაში. ნორმატიული სამართლებრივი აქტი არის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ წერილობითი ფორმით მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს სამართლის ნორმას. მასში არის გამოხატული სამართლის ნორმების უმრავლესობა, რომლებიც არეგულირებენ უმთავრეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. სამართლის სხვა წყაროები რეგულირების ასეთი ხარისხით ვერ სარგებლობენ. ისინი ასრულებენ ნაწილობრივ, დამხმარე ან დამატებით როლს საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირებაში. იურიდიული ნორმების გამოხატვას ჩვეულებაში, პრეცედენტში, სასამართლო პრაქტიკაში აქვს კაზუისტური და არაგანსაზღვრული ხასიათი.

იურიდიული მეცნიერება სამართლის წყაროებს განიხილავს სამართლის ნორმების შინაარსთან შესაბამისობაში. ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში განმტკიცებულია ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ არა მარტო ცალკეული ინდივიდების და სოციალური ჯგუფების, არამედ საერთო სახელმწიფოებრივ, საერთო ეროვნულ ინტერესებს, კოორდინაციას უწევენ ამ ინტერესებს კონკრეტულ ეკონომიკურ, ნაციონალურ და საერთაშორისო ურთიერთობებთან მიმართებაში.

ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს ახასიათებს სპეციფიკური ნიშნები, რითაც ისინი განსხვავდებიან სამართლის სხვა წყაროებისაგან:

❍ ნორმატიული სამართლებრივი აქტი იქმნება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად ან საყოველთაო-სახალხო ნების გამოვლენის (რეფერენდუმის) შედეგად.

❍ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი შეიცავს სამართლის ნორმებს, ე.ი. ზოგადი ხასიათის ქცევის წესებს, რითაც ის განსხვავდება არანორმატიული ანუ ინდივიდუალური აქტებისაგან, რომლებიც არ წარმოადგენენ სამართლის წყაროს.

ინდივიდუალური ანუ სამართლის შეფარდების აქტები თავისი ბუნებით იურიდიული აქტებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათთან დაკავშირებულია განსაზღვრული იურიდიული შედეგები. მაგრამ ისინი პრინციპულად განსხვავდებიან ნორმატიული აქტებისაგან, რაც შემდეგში მდგომარეობს: ნორმატიული აქტი შეიცავს ზოგად დანაწესს სამართლის ნორმის სახით, ე.ი. შედგება ზოგადი ხასიათის ქცევის წესისაგან და გათავლისწინებულია მრავალჯერადი შეფარდებისათვის, მაშინ როცა ინდივიდუალური აქტი შეიცავს ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) ხასიათის დანაწესს. ნორმატიული აქტი მიმართულია ფიზიკური და იურიდიული პირების განუსაზღვრელი წრისადმი, ინდივიდუალური აქტი კი მიმართულია მკაცრად განსაზღვრული პირთა წრისადმი ე.ი. ეხება პერსონიფიცირებულ პირებს და გამოიცემა სრულიად განსაზღვრული მიზეზით (პენსიაზე გასვლა, მუშაობის დაწყება, სამართალდარღვევა და ა.შ.)

ნორმატიული აქტი მოიცავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფართო წრეს, ინდივიდუალური აქტი გათვალისწინებულია მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის. ინდივიდუალური აქტის მოქმედება წყდება არსებული კონკრეტული ურთიერთობის შეწყვეტასთან ერთად. ნორმატიული აქტი აგრძელებს მოქმედებას დამოუკიდებლად იმისა არსებობს თუ არა კონკრეტული ურთიერთობა, რომელიც გათვალისწინებულია მოცემული აქტით.[83]

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ნორმატიული აქტის ზოგადი დანაწესის რეალიზაციის მნიშვნელოვანი და აუცილებელი საშუალებაა. მათ აქვთ სავალდებულო სახელმწიფო ხასიათი და მათი განხორციელება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ.

❍ ნორმატიული სამართლებრივი აქტი როგორც სამართლის წყარო, განსხვავდება სხვა წყაროებისაგან იმით, რომ იგი ფორმდება როგორც ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტი, რომელსაც აქვს ოფიციალური ატრიბუტები, კერძოდ:

[83] მაგალითად, ისეთი ინდივიდუალური, სამართლის შეფარდების აქტი, როგორიცაა სასამართლოს განაჩენი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე წყდება მისი აღსრულების შემდეგ (სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოქმედება უნდა შეწყვიტოს კანონმა, რომელიც აწესებს მსგავსი დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის განსაზღვრულ ზომებს.

❍ ნორმატიული აქტის სახე (კანონი, ბრძანებულება, დადგენილება, დეკრეტი...)

❍ აქტის მიმღები ორგანოს დასახელება (პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა, მერია)

❍ ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი

❍ ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა (თუ გამოცემულია განსაზღვრული ვადით)

❍ უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა

❍ ნორმატიული აქტის მიმღები ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ, აგრეთვე, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი

❍ ნორმატიულ სამართლებრივ აქტში სამართლის ნორმები დაჯგუფებულია სტრუქტურულ ნაწილებად: განყოფილებებად, კარებად, თავებად, მუხლებად, მუხლის პუნქტებად.

მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შედგება 6 წიგნისაგან და 1520 მუხლისაგან. წიგნი მესამე – „ვალდებულებითი სამართალი“ შედგება „ზოგადი“ და „კერძო“ ნაწილებისაგან, თავის მხრივ „ზოგად ნაწილში“ გათვალისწინებულია შვიდი კარი, კერძო ნაწილში – სამი კარი და ა.შ.

სქემა №28. ნორმატიული სამართლებრივი აქტები



§ 2. ნორმატიული სამართლებრივი აქტის სახეები

სახელმწიფოში მოქმედი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნორმატიული აქტები ქმნიან ერთიან სისტემას, რომელსაც ეწოდება კანონმდებლობის სისტემა. ამ სისტემას აქვს ჰორიზონტალური და ვერტიკალური სტრუქტურა. ჰორიზონტალური სტრუქტურა გულისხმობს ნორმატიული აქტების დაყოფას სამართლისა და კანონმდებლობის დარგების მიხედვით. შესაბამისად ისინი განსხვავებული არიან შინაარსობრივად. ამ თვალსაზრისით არსებობენ: კონსტიტუციური, სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული, შრომის სამართლებრივი აქტები და ა.შ. დარგობრივ ნორმატიულ აქტებთან ერთად მოქმედებენ კომპლექსური ხასიათის აქტები. ისინი მოიცავენ სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროებს. მაგალითად, სამეწარმეო, სავაჭრო, საზღვაო, საჰაერო კანონმდებლობის ნორმები.

ვერტიკალური სტრუქტურა გულისხმობს ნორმატიული აქტების დაყოფას მათი იურიდიული ძალის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით ნორმატიული აქტები იყოფიან ორ დიდ ჯგუფად: კანონებად და კანონქვემდებარე აქტებად. ნორმატიული აქტების იურიდიული ძალა წარმოადგენს მათი კლასიფიკაციის არსებით ნიშანს. იგი განსაზღვრავს აქტის ადგილსა და მნიშვნელობას კანონმდებლობის საერთო სისტემაში. სამართალშემოქმედების თეორიისა და პრაქტიკის შესაბამისად ზემდგომი ორგანოს აქტებს აქვთ უფრო მაღალი იურიდიული ძალა, ვიდრე სამართალშემოქმედების ქვემდგომი ორგანოს აქტებს. იერარქიის სათავეში დგას უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული აქტები (კანონები, სტატუტები და ა.შ.), იერარქიის დაბალი რგოლია – სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს აქტები.

ნორმატიული აქტების იერარქიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართაშემოქმედების და სამართალშეფარდების პროცესისათვის, კონსტიტუციონალიზმისა და კანონიერების რეჟიმის განმტკიცებისათვის.

ნორმატიული-სამართლებრივი აქტების იერარქიული სისტემა განსაზღვრულია ქვეყნის ძირითადი კანონით – კონსტიტუციით და მის საფუძველზე მიღებული სპეციალური კანონით. საქართველოში დადგენილია ნორმატიული აქტების შემდეგი იერარქია:

- საქართველოს კონსტიტუცია;

❑საქართველოს კონსტიტუციური კანონი;

❑საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;

❑ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;

❑ საქართველოს ორგანული კანონი;

❑ საქართველოს კანონი;

❑საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;

❑ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;

❑ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება;

❑ საქართველოს პარლამენტის დადგენილება;

❑ საქართველოს მთავრობის დადგენილება;

❑ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება;

❑ საქართველოს მინისტრის ბრძანება (საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ" – მიღებულია 29/X.1996წ. მუხლი 4.)

მოქმედების ხასიათისა და მოცულობის მიხედვით აქტები იყოფიან შემდეგ სახეებად:

❍ ზოგადი მოქმედების აქტები, რომლებიც მოიცავენ განსაზღვრული ტიპის ურთიერთობათა ერთობლიობას მოცემულ ტერიტორიაზე;

❍ შეზღუდული მოქმედების აქტები, რომლებიც ვრცელდებიან მხოლოდ ტერიტორიის ნაწილზე ან მკაცრად განსაზღვრული კონკრეტული პირების მიმართ, რომლებიც იმყოფებიან მოცემულ ტერიტორიაზე.

❍ გამონაკლისი (განსაკუთრებული) მოქმედების აქტები. მათი რეგულატორული შესაძლებლობანი რეალიზირდება მხოლოდ გამონაკლისი გარემოებების არსებობის დროს (საომარი მოქმედება, სტიქიური უბედურება).

სამართალშემოქმედების პროცესის სუბიექტების მიხედვით ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები იყოფიან: საკანონმდებლო ხელისუფლების აქტებად (კანონები), აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებად (კანონქვემდებარე აქტები), სასამართლო ხელისუფლების აქტებად (საერთო ხასიათის იურისდიქციის აქტები).

§ 3. კანონი როგორც სამართლის უმნიშვნელოვანესი წყარო

სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ბირთვს წარმოადგენს კანონი. კანონი განაპირობებს ნორმატიული სამართლებრივი აქტების სტრუქტურას, მათ სუბორდინაციას და თითოეული მათგანის იური-

დიულ ძალას.

კანონი როგორც სამართლის გამოვლენის ფორმა, მრავალი საუკუნის განმავლობაში იწვევდა მკვლევართა ინტერესს. კანონის არსისა და დანიშნულების გარკვევას მიეძღვნა ბევრი ნაშრომი, სტატია, ანალიტიკური მიმოხილვა თუ მოხსენება, დაგროვილია სოლიდარული ცოდნა კანონის შესახებ, თუმცა იგი კვლავ რჩება თანამედროვე თუ მომავალი გამოკვლევების აქტუალურ თემად. ამ ინტერესს განაპირობებს ის გარემოება, რომ კანონი, ისევე როგორც სამართალი არ არის უცვლელი ინსტიტუტი, ის დინამიური მოვლენაა და ვითარდება საზოგადოების განვითარებასთან ერთად.

„კანონის" ცნება მრავალაზრობრივია. ზოგჯერ კანონს განიხილავენ ძალიან ფართო აზრით, როგორც თვით სამართლის ან კანონმდებლობის სინონიმს, ასევე კანონს უწოდებენ ყველა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთობლიობას.[84]

იურიდიული კანონების გარდა არსებობენ ბუნებისა და ლოგიკის კანონები; ფილოსოფიური მეცნიერება კანონს განსაზღვრავს როგორც საგანთა და მოვლენათა შორის არსებითი კავშირების ზოგადობის ფორმას.

სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ იურიდიული კანონის ფორმალურ და მატერიალურ გაგებას. ფორმალური გაგებით კანონში მოიაზრება ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, მატერიალური გაგებით კი სახელმწიფოში მოქმედი ყველა სამართლებრივი აქტი, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელმა ორგანომ მიიღო იგი.

კანონის საკმაოდ ტიპური დეფინიცია ასეთია: კანონი არის სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაკუთრებული საკანონმდებლო წესით მიღებული ნორმატიული აქტი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა და არეგულირებს ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

აღნიშნულ დეფინიციაში გამოხატულია კანონის, როგორც სამართლის განსაკუთრებული წყაროს ძირითადი ნიშნები:

[84] ქართულ სამართალში „კანონი" აღნიშნავდა სამართლის წიგნის მუხლს, კანონთა კრებულს, სასამართლო წიგნს ან სამართლის ძეგლს. ზოგჯერ „კანონი" სასჯელის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. თორმეტ ტომად. ტ.VI. თბ. 1982, გვ. 24-25)

❍ უპირველეს ყოვლისა, კანონი არის იურიდიული აქტი, აქტ-დოკუმენტი, რომელშიც ფიქსირებულია სამართლის ნორმები; კანონი ყოველთვის გამოხატულია წერილობითი ფორმით;

❍ კანონი არის სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს აქტი. საქართველოში კანონის მიღების უფლებით სარგებლობს მხოლოდ საქართველოს პარლამენტი, რომელიც სახელმწიფოს სუვერენიტეტის გამომხატველი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა.

❍ კანონი ისეთი ნორმატიული აქტია, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა, ყველაზე მაღალი იურიდიული „რანგი", ყველა სხვა სამართლებრივი აქტი კანონის ქვემდებარეა.

❍ კანონი ისეთი ნორმატიული აქტია, რომელიც „პირველად" იურიდიულ ნორმებს შეიცავს, ე.ი. ისეთ ნორმებს, რომლებიც ადრე არ იყვნენ სამართლის სისტემაში.

❍ კანონი მიიღება განსაკუთრებული, საკანონმდებლო წესით, რაც დამახასიათებელი არ არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისათვის. საკანონმდებლო პროცედურა, რომლის შესაბამისადაც უნდა იქნეს მიღებული კანონი განსაზღვრულია უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დებულებით ან რეგლამენტით.

❍ კანონი არეგულირებს ყველაზე მნიშვნელოვან, საზოგადოებრივ ურთიერთობებს. იგი გამოიცემა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

❍ კანონი არის ფუნდამენტური იურიდიული დოკუმენტი. იგი არის ყველა სახელმწიფო ორგანოს ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის ბაზა და მთავარი ორიენტირი.

დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონს წამყვანი ადგილი უჭირავს სამართლის სისტემაში, მას ცივილიზებული და ჰუმანური საზოგადოება მაღალ მოთხოვნებს უყენებს. კანონის შინაარსი უნდა იყოს სამართლებრივი, ორიენტირებული პიროვნების თავისუფლების, მისი ბუნებრივი უფლებების დაცვაზე.

კანონის სახეები.

თავიანთი იურიდიული ძალის, სამართლის სისტემაში მათი ადგილისა და როლის მიხედვით კანონები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იურიდიული ძალის შესაბამისად კანონები იყოფიან კონსტიტუციურ, ორგანულ და ჩვეულებრივ კანონებად.

საქართველოს კანონმდებლობის სისტემას სათავეში უდგას ქვეყნის

ძირითადი კანონი – კონსტიტუცია.

კონსტიტუცია უმაღლესი იურიდიული ძალის ნორმატიული აქტია, რომელიც განსაზღვრავს საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციასა და ფუნქციონირებას, სახელმწიფოს მიზანს, ხელისუფლების სამართლებრივ ჩარჩოებს, საზოგადოებაში პიროვნების სამართლებრივ სტატუსს, მის ძირითად უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს.

კონსტიტუცია უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და იურიდიული აქტია, რომელიც განაპირობებს საზოგადოებაში დემოკრატიულობასა და პროგრესულობის ხარისხს.

კონსტიტუცია, როგორც სამართლის წყარო, ხასიათდება მასში დადგენილი ნორმების შინაარსის მასშტაბურობით. ისინი მოიცავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს: ეკონომიკურს, სოციალურს, პოლიტიკურს, სულიერს, რითაც კონსტიტუცია განსხვავდება სამართლის სხვა წყაროებისაგან.

კონსტიტუცია იურიდიული ფორმით გამოხატავს საზოგადოების მიზნებს, სახალხო ხელისუფლებიანობის პრინციპის, არეგულირებს მხოლოდ ფუძემდებლურ და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს, დასრულებულ სახეს აძლევს სახელმწიფოს სტრუქტურას.

კონსტიტუციური კანონი ისეთი ნორმატიული აქტია, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ მხარეებს, თუმცა იურიდიული ძალითა და მიღების წესით არ განსხვავდება კონსტიტუციისაგან. კონსტიტუციური კანონი კონსტიტუციისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს. მას ცვლილებები და დამატებები შეაქვს მოქმედი კონსტიტუციის ტექსტში, რის შემდეგ წყვეტს დამოუკიდებელი ნორმატიული აქტის სახით არსებობას.

ორგანული კანონი სამართლის სპეციფიკური წყაროა. კონსტიტუციური კანონისაგან განსხვავებით ორგანული კანონის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის ავსებს კონსტიტუციას, განავრცობს კონსტიტუციის ნორმებს ისე, რომ არ ცვლის მის ძირითად პრინციპებს, არ ეხება მის სიღრმისეულ არსს. ორგანული კანონი მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ორგანული კანონითაა გათვალისწინებული ჰიპოთეკური ფორმით. ეს არის ე.წ. აბსტრაქტული შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება არც განხორციელდეს. ორგანული კანონი ქართული სამართლის სისტემის განუყრელი ნაწილი გახდა. იგი არეგულირებს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს.

ასეთია ორგანული კანონები მოქალაქეობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესის შესახებ, პრეზიდენტის არჩევის წესის შესახებ, რეფერენდუმის დანიშვნისა და ჩატარების წესის შესახებ, საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლოების შესახებ და ა.შ.

კანონი, რომელსაც ზოგჯერ ჩვეულებრივ კანონსაც უწოდებენ, ისეთი ნორმატიული აქტია, რომლის მიღება შეიძლება საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე. საქართველოს კანონით არ შეიძლება გადაწყდეს საკითხები, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს ორგანული კანონითაა გათვალისწინებული. კანონები მიიღება იერარქიულად მასზე მაღლა მდგომი ნორმატიული აქტების შესაბამისად და აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა ყველა სხვა დანარჩენ აქტთან მიმართებაში. კანონები ყველაზე მრავალრიცხოვანი და ცვალებადია სამართლის წყაროთა შორის.

დეკრეტი, რომელსაც კანონის ძალა აქვს, სამართლის სპეციფიკური წყაროა. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად (მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი) საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტია. ამ აქტის სპეციფიკურობა შემდეგში მდგომარეობს:

❍ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტს დეკრეტის გამოცემის უფლება მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის და პარლამენტის დათხოვნის შესახებ აქტების არსებობისას აქვს.

❍ საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია ნებისმიერ საკითხზე გამოსცეს დეკრეტი, პარლამენტის დათხოვნის მომდევნო დროს დეკრეტები გამოიცემა მხოლოდ საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე. დეკრეტით შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლში მითითებული უფლებანი და თავისუფლებანი. დეკრეტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონს, ორგანულ კანონს, საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას.

❍ დეკრეტებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ ჩვეულებრივი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მიმართ.

❍ დეკრეტი უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად, როცა იგი შეიკრიბება.

❍ დეკრეტი მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე.

ამრიგად, დეკრეტს კანონის ძალა აქვს დროებით და განსაკუთრე-

ბულ, კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

კოდექსები (კოდიფიცირებული აქტები)

კოდექსი არის ერთიანი, იურიდიულად და ლოგიკურად მთლიანი, შინაგანად შეთანხმებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც უზრუნველყოფს გარკვეული ჯგუფის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულ, განზოგადებულ და სისტემურ რეგულირებას.

კანონმდებლობის ყველა ძირითად დარგს აქვს თავისი კოდექსი: სამოქალაქო კანონმდებლობას – სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის კანონმდებლობას – სისხლის სამართლის კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას – სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და ა.შ.

კოდექსი მიეკუთვნება კანონმდებლობის მაღალ დონეს. თითოელი კოდექსი დამოუკიდებელი იურიდიული დოკუმენტია, რომელშიც გაერთიანებულია „ყველაფერი", რაც აუცილებელია ამა თუ იმ ჯგუფის საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებისათვის: ზოგადი დებულებები და პრინციპები, სამართლებრივი ინსტიტუტები, სამართალდამცავი ნორმები და ა.შ. მთელი ეს ნორმატიული მასალა მოყვანილია ერთიან სისტემაში და განლაგებულია სხვადასხვა თავებში და მუხლებში.

ყველა კოდექსს აქვს ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილი. ზოგად ნაწილში განმტკიცებულია ზოგადი დებულებები, ამოსავალი პრინციპები და ნორმები. განსაკუთრებული ნაწილი შედგება სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან, რომლებიც არეგულირებენ კონკრეტულ და ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჯგუფს.

კანონმდებლობის სისტემაში ძირითად როლს თამაშობენ დარგობრივი კოდექსები, რომლებიც დგანან კანონმდებლობის შესაბამისი დარგის სათავეში. ეს კოდექსები აგროვებენ და ერთიან ფოკუსში უყრიან თავს ამა თუ იმ კანონმდებლობის დარგის ნორმატიულ მასალას, მათ შინაარსს, პრინციპებს, იურიდიულ დებულებებს და დეფინიციებს.

§ 4. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არის კომპეტენტური ორგანოს სამართალშემოქმედებითი აქტ-დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებულია კანონზე და არ ეწინააღმდეგება მას. კანონქვემდებარე აქტებს

აქვთ უფრო ნაკლები იურიდიული ძალა, ვიდრე კანონებს, ისინი დამოკიდებული არიან კანონების იურიდიულ ძალაზე და არ შეუძლიათ ეწინააღმდგებოდნენ მათ. კანონქვემდებარე აქტების არსებობის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ დააკონკრეტონ კანონების ძირითადი, პრინციპული მდგომარეობა სხვადასხვა ინდივიდუალურ ინტერესებთან მიმართებაში.

თავისი შინაარსის მიხედვით კანონქვემდებარე აქტები შემდეგი სახისაა:

ზოგადი კანონქვემდებარე აქტები. ასეთი აქტები ზოგადი კომპეტენციისაა და მათი მოქმედება ვრცელდება ყველა პირზე და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ისინი კანონების შემდეგ მაღალი იურიდიული ძალითა და მნიშვნელობით გამოირჩევიან. ზოგადი კომპეტენციის კანონქვემდებარე აქტების მეშვეობით ხორციელდება საზოგადოების სახელმწიფოებრივი მართვა, ეკონომიკური, სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხების კოორდინირება. ზოგადი კომპეტენციის კანონქვემდებარე აქტებს მიეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ნორმატიული აქტები. მათ ღებულობს ქვეყნის პრეზიდენტი ან მთავრობის თავმჯდომარე. სახელმწიფო მმართველობის ფორმის (საპრეზიდენტო ან საპარლამენტო რესპუბლიკა) შესაბამისად ასეთი აქტების გარეგნული გამოვლინების ფორმებია:

❍ *პრეზიდენტის ნორმატიული ბრძანებულებანი.* კანონქვემდებარე აქტების სისტემაში მათ აქვთ უმაღლესი იურიდიული ძალა, გამოიცემიან კანონის საფუძველზე და მათ შესასრულებლად. ისინი არეგულირებენ საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვან მხარეებს.

❍ *მთავრობის დადგენილება*. ეს კანონქვემდებარე აქტი მიიღება პრეზიდენტის ბრძანებულების კონტექსტში და არეგულირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ საკითხებს ეკონომიკის, სოციალური მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების და ა.შ. სახელმწიფო მართვის სფეროში.

უწყებრივი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები. ზოგიერთ ქვეყანაში მმართველობის ორგანოების სტრუქტურული დანაყოფები (სამინისტროები, დეპარტამენტები, სახელმწიფო კომიტეტები) აღჭურვილი არიან სამართალშემოქმედებითი ფუნქციით, რომელიც დელეგირებულია საკანონმდებლო ხელისუფლების, პრეზიდენტის ან

მთავრობის მიერ, ე.ი უწყებრივ ორგანოებს მიცემული აქვთ ნორმატიული აქტების გამოცემის უფლებამოსილება. ასეთი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები ზოგადი მოქმედებისაა, თუმცა ისინი ვრცელდება მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შეზღუდულ სფეროზე (ვაჭრობის, საბანკო, სატრანსპორტო, საკრედიტო და სხვა ურთიერთობებზე).

ადგილობრივი ორგანოების კანონქვემდებარე აქტები. ასეთია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივი თვითმმართველობის აქტები, რომელთა მოქმედება შეზღუდულია იმ ტერიტორიით, რომელზედაც ვრცელდება ამ ორგანოების ხელისუფლება. ადგილობრივი კანონქვემდებარე აქტებია მუნიციპალიტეტების, საკრებულოების, მერიების, გამგეობების ნორმატიული გადაწყვეტილებანი ან დადგენილებანი.

შიდაორგანიზაციული ნორმატიული აქტები. შიდაორგანიზაციულ კანონქვემდებარე აქტებს გამოსცემენ სხვადასხვა ორგანიზაციები შიდა ლოკალური ხასიათის საკითხების მოსაწესრიგებლად და იურიდიული ძალა აქვთ მხოლოდ ამ ორგანიზაციის ფარგლებში.

ნორმატიული კანონქვემდებარე აქტების სისტემა ყველა სახელმწიფოში ერთნაირი არ არის. ეს განპირობებულია თითოეული სახელმწიფოს მმართველობისა და სახელმწიფო წყობილების მრავალსახეობით, ქვეყნის ტრადიციებით, ეროვნული და სხვა ფაქტორებით. ამასთანავე, ყველა სახელმწიფოში ნორმატიული კანონქვემდებარე აქტების იერარქიული სტრუქტურა აგებულია მათი იურიდიული ძალის შესაბამისად.

საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის სახეები განსაზღვრულია საქართველოს კანონით ნორმატიული აქტების შესახებ, რომლის თანახმად, საქართველოს კანონქვემდებარე აქტებია: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს მთავრობის დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის დადგენილება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება, მინისტრის ბრძანება და ა.შ. (მუხლი 5.)

სქემა №29. ნორმატიული აქტის სახეები



თავი XIII. ნორმატიული აქტის მოქმედების ფარგლები (ნორმატიული აქტის მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ)

§ 1. ნორმატიული აქტის მოქმედება დროში, აქტის (კანონის) უკუძალა

ნორმატიული აქტი სამართლებრივი სისტემის მამოძრავებელი ღერძია. მისი ცვალებადობა და განვითარება განაპირობებს სამართლის დინამიკას. ნორმატიული აქტი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის „მოქმედი", აქტიური ელემენტია. აქტის მოქმედება გარკვეულ წესსა და კანონზომიერებას ექვემდებარება, შემოფარგლულია გარკვეული დროით, განსაზღვრული ტერიტორიითა და პირთა განსაზღვრული წრით.

ნორმატიული აქტის მოქმედება დროში განისაზღვრება მისი ძალაში შესვლისა და ძალის დაკარგვის მომენტებით, ე.ი. დროის იმ მონაკვეთით, რომლის განმავლობაში აქტს აქვს იურიდიული ძალა. თითოეულ ნორმატიულ აქტს აქვს „საწყისი" და „დასასრული" მომენტები.

ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის ზუსტი დროის დადგენას მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ სწორედ ამ მომენტიდან უნდა შესრულდეს მისი დანაწესები.

ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის მომენტი შემდეგ ვარიანტებს გულისხმობს:

- ნორმატიული აქტი ძალაში შედის სამართალშემოქმედებითი ორგანოს მიერ მისი მიღების მომენტიდან.
- ნორმატიული აქტი მოქმედებას იწყებს მისი გამოქვეყნებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.
- ნორმატიული აქტი ძალაში შედის თვით აქტის ტექსტში მითითებული ან სხვა სპეციალური აქტით განსაზღვრული თარიღიდან.

საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ ერთმანეთისაგან განასხვავებს ნორმატიული აქტის მიღების და მისი ძალაში შესვლის მომენტებს. კანონის თანახმად (მუხლი 37, პუნქტი 1.) სა-

ქართველოს საკანონმდებლო აქტის მიღების თარიღად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე. სხვა ნორმატიული აქტის მიღების თარიღად ჩაითვლება უფლებამოსილი პირის მიერ მისი ხელმოწერის დღე.

საქართველოს საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. კანონის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება „საქართველოს კანონმდებლობის მაცნეში", პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისა აგრეთვე „საქართველოს პარლამენტის უწყებებში".

თუ კანონში მითითებულია, რომ იგი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი მოქმედებას იწყებს გამოქვეყნების დღეს, 24 საათში.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ ითვალისწინებს, რომ კანონით შეიძლება დადგინდეს მისი ცალკეული თავის ან მუხლის ძალაში შესვლის განსაკუთრებული თარიღი. კანონი, რომელიც ადგენს ან ამძიმებს იურიდიულ პასუხისმგებლობას, განსაზღვრავს მოსაკრებლის ან ტარიფის სახეებს, სტრუქტურას, ოდენობას, შემოღებისა და გადახდის წესს, ძალაში შედის გამოქვეყნებიდან არა უადრეს მე-15 დღისა.

ნორმატიული აქტის მოქმედება არ არის უსასრულო, თუმცა ყველა მათგანი ერთნაირად „გამძლე" არ არის. ზოგიერთი ნორმატიული აქტის, განსაკუთრებით კანონის მოქმედების ვადა წინასწარ არ არის განსაზღვრული და ის ისტორიულად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. ზოგიერთი ნორმატიული აქტის მოქმედების დრო კი მოკლეა. ყველა ნორმატიული აქტი, იურიდიული ძალის იერარქიულ სისტემაში მისი ადგილისა და მნიშვნელობის მიუხედავად მოქმედებას წყვეტს შემდეგ გარემოებათა არსებობისას:

❍ თუ ამოიწურა დრო, რომლის განმავლობაშიც ნორმატიულ აქტს ჰქონდა იურიდიული ძალა;

❍ თუ მიღებული იქნა ახალი ნორმატიული აქტი, რომელმაც შეცვალა ძველი. ეს უკანასკნელი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას;

❍ თუ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ პირდაპირ იქნება გაუქმებული მოქმედი ნორმატიული აქტი.

ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობა გაცილებით უფრო გვიანდელია, ვიდრე მოქმედი სამართალი. ამ ურთიერთობის მიმართ მოქმედებს ინტერტემპორალური სამართალი. ინტერტემპორალური სამართალი ჩვეულებრივად, ადგენს გარდამავალ დებულებებს.

ნორმატიული აქტის (კანონის) უკუძალა.

ერთ-ერთ იურიდიულ კანონზომიერებას წარმოადგენს ნორმატიული აქტის (კანონის) თვისება – მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ ფაქტებსა და ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვნენ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. ეს კანონზომიერება განპირობებულია იმით, რომ შეუძლებელია კანონი ერთდროულად მოქმედებდეს „წარსულშიც" და „მომავალშიც".

იურისპრუდენციაში არსებობს აქსიომა – კანონს არ აქვს უკუძალა, ე.ი. მისი დანაწესი არ ვრცელდება იმ ურთიერთობებზე და ფაქტებზე, რომლებიც წარმოიშვნენ და არსებობენ კანონის გამოცემამდე. დემოკრატიულ სახელმწიფოში, კანონიერების რეჟიმის პირობებში კანონის უკუძალის დაუშვებლობა სამართლის სტაბილურობის აუცილებელი ფაქტორი და იმის გარანტიაა, რომ მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა არ გაუარესდება ახალი კანონით.

ამ ზოგადი და მნიშვნელოვანი წესიდან არსებობს გამონაკლისი, როცა დასაშვებია კანონს მიეცეს უკუძალა. ეს ხდება იმ შემთხვევაში თუ კანონი ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას, ე.ი. აუმჯობესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას. ეს გამონაკლისი უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

კანონის უკუძალის დაუშვებლობის პრეზუმფცია განმტკიცებულია კონსტიტუციურ დონეზე. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს: „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს."

სქემა №30. ნორმატიული აქტის მოქმედება დროში

ნორმატიული აქტი მოქმედებას იწყებს კანონიერ ძალამი შესვლის მომენტიდან

სამართალშემოქმედებითი ორგანოს მიერ მიღების დღიდან
ან
მისი გამოქვეყნებიდან
ან
იმ თარიღიდან, რომელიც მითითებულია თვით აქტში ან სპეციალურ აქტში მისი მოქმედებაში შესვლის შესახებ.

ნორმატიული აქტი ძალას კარგავს

ნორმატიული აქტის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ახალი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით, რომელიც ცვლის ძველ აქტს, კომპეტენტური ორგანოს მიერ აქტის ოფიციალურად გაუქმების საფუძველზე.

კანონის უკუძალა

კანონი ვრცელდება მისი გამოცემის შემდეგ წარმოშობილ ურთიერთობებსა და ფაქტებზე. კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს მის გამოცემამდე წარმოშობილ ფაქტებსა და ურთიერთობებზე, რასაც კანონის უკუძალა ენოდება.

კანონს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას.

§ 2. ნორმატიული აქტის მოქმედება სივრცეში

ნორმატიული სამართლებრივი აქტის სივრცეში მოქმედება განისაზღვრება იმ ტერიტორიით, რომლის ფარგლებშიც მას აქვს იურიდიული ძალა, ე.ი. რომელზედაც ვრცელდება სახელმწიფო სუვერენიტეტი ან მისი ორგანოების კომპეტენცია. როგორც წესი, სახელმწიფოს ტერიტორია შემოფარგლულია ოფიციალურად აღიარებული საზღვრებით.

იურიდიული გაგებით, „ტერიტორიაში" იგულისხმება ქვეყნის სახმელეთო ნაწილი, წიაღისეული და კონტინენტური შელფი, მიწისქვეშა სივრცე (მაღაროები, გვირაბები, მეტროპოლიტენი, საწყობები და ა.შ.), ტერიტორიული ანუ შიდა წყლები (მდინარეები, ტბები, არხები), სანაპირო ზღვის ზოლი (12 მლ. სიღრმით), საჰაერო სივრცე მიწისა და წყლის ზემოთ. სივრცეში ნორმატიული აქტის მოქმედების თვალსაზრისით, სახელმწიფოს ტერიტორიად ითვლება აგრეთვე მისი საელჩოს ტერიტორია უცხო სახელმწიფოში და სამხედრო ნაწილების განლაგების ტერიტორია, რაც უცხო სახელმწიფოს თანხმობით ხდება.

სახელმწიფოს ტერიტორიას მიეკუთვნება საზღვაო და სამდინარო ხომალდები, საჰაერო ლაინერები, რომლებიც სახელმწიფოს დროშით დაცურავენ თუ დაფრინავენ. საერთაშორისო სამართლის თანახმად, სამხედრო გემი და სამხედრო ლაინერი ითვლება ქვეყნის ტერიტორიის ნაწილად, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი და მათზე ყოველთვის ვრცელდება იმ სახელმწიფოს იურისდიქცია, რომელსაც ეკუთვნიან. რაც შეეხება არასამხედრო (სამგზავრო, სავაჭრო, სატვირთო) ხომალდებს, ღია ზღვაში ყოფნისას მათზე თავისი ქვეყნის კანონები მოქმედებენ, მაგრამ უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიულ წყლებსა და ნავსადგურებში, ასეთ ხომალდებზე ვრცელდება სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქცია. თუ არასამხედრო ხომალდზე სამართალდარღვევა მოხდა, მასზე გავრცელდება იმ სახელმწიფოს იურისდიქცია, რომელსაც ეკუთვნის წყალი, სადაც ხომალდი დგას. ანალოგიური წესები ვრცელდება სამხედრო და არასამხედრო ლაინერებზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საკითხის რეგულირება დასაშვებია სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე.

სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის პრინციპის შესაბამისად, უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების მიერ

მიღებული ნორმატიული აქტები მოქმედებენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკების ნორმატიული აქტები შესაბამისი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების ნორმატიული აქტები ასევე შესაბამის ტერიტორიაზე.

§ 3. ნორმატიული აქტის მოქმედება პირთა წრის მიმართ

სახელმწიფო-სამართლებრივ მეცნიერებასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვანია იმ პირთა წრის განსაზღვრა, რომელთა მიმართ მოქმედებს სახელმწიფოს ნორმატიული აქტები. ზოგადი წესის თანახმად, სახელმწიფოს სამართლებრივი აქტები ვრცელდება, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მოქალაქეებზე. აღჭურავს რა თავის მოქალაქეებს კონსტიტუციური უფლებებითა და თავისუფლებებით, ასევე აკისრებს მათ განსაზღვრულ იურიდიულ მოვალეობებს, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას კონსტიტუციური დებულებანი მოქალაქეებთან მიმართებაში, გარანტირებული გახადოს მათი სამართლებრივი სტატუსი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც. „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეებს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა“ – ადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი.

საქართველოს კანონმდებლობა ქვეყანაში მცხოვრებ უცხო მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს (აპატრიდებს) ანიჭებს საქართველოს მოქალაქის თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა (საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 47.). ასეთი გამონაკლისი გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლით, რომლის თანახმად „სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.“ კერძოდ, ასეთ პირებს უფლება არ აქვთ აირჩიონ და არჩეულ იქნან სახელმწიფო ორგანოებში, მონაწილეობა მიიღონ რეფერენდუმებში, დაინიშნონ განსაზღვრულ სახელმწიფო თანამდებობებზე (პროკურორად, მოსამართლედ, ნოტარიუსად), მათ არ ეკისრებათ სავალდებულო სამხედრო სამსახური.

ქვეყანაში განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსით სარგებლობენ ე.წ. დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები (ელჩე-

ბი, საელჩოს მრჩევლები და მდივნები, საკონსულოს მუშაკები), უცხო სახელმწიფოთა მეთაურები სხვა სახელმწიფოში ოფიციალური ვიზიტით ყოფნისას, აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა იმ სამხედრო ნაწილის მოსამსახურენი, რომლებიც მოცემულ სახელმწიფოში იმყოფებიან მოწვევით ან შეთანხმებით. დიპლომატიური ხელშეუხებლობით სარგებლობენ აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა საპარლამენტო და სამთავრობო დელეგაციის წევრები, ნაცვალგების საფუძველზე უცხო სახელმწიფოთა დელეგაციების თანამშრომლები, რომლებიც ჩამოდიან საქართველოში საერთაშორისო მოლაპარაკებაში მონაწილეობისათვის ან სხვა ოფიციალური დავალებით, მათი ოჯახის წევრები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის თანამდებობის პირები და ა.შ. ასეთი პირები სარგებლობენ *ექსტერიტორიულობის უფლებით* ანუ *დიპლომატიური იმუნიტეტით*. საერთაშორისო და ეროვნული სამართლის შესაბამისად, ისინი არ შეიძლება დაკავებული ან დაპატიმრებული იქნენ, მათზე არ ვრცელდება სისხლის, ადმინისტრაციული კანონმდებლობა და სამოქალაქო იურისდიქციის მნიშვნელოვანი ნაწილი. თუ ასეთი პირები ჩაიდენენ სამართალდარღვევას, მათი პასუხისმგებლობის საკითხი წყდება დიპლომატიური გზებით.

ასეთი იმუნიტეტის მქონე პირს დანაშაულის ჩადენისათვის არ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც დანაშაული ჩაიდინა. ჩვეულებრივად ასეთი პირი ცხადდება persona non grata-დ (არასასურველ პირად) და გაძევებული უნდა იქნეს ქვეყნიდან. თუმცა დანაშაულის ჩამდენმა პირმა შეიძლება პასუხი აგოს მისი წარმომგზავნი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონის მიხედვით. ვენის 1961 წლის საერთაშორისო კონვენციის თანახმად, წარმომგზავნმა სახელმწიფომ შეიძლება უარი თქვას ასეთ იმუნიტეტზე და პირს დაეკისროს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც მან დანაშაული ჩაიდინა.

იმუნიტეტი ყოველთვის არ არის უპირობო. 1998 წლის 17 ივნისის „საერთაშორისო სისხლის სამართლის სტატუსით" დადგენილია მეტად მნიშვნელოვანი ნორმა, რომლის თანახმად არც შიდა სახელმწიფოებრივი და არც დიპლომატიური იმუნიტეტი არ გამორიცხავს იმ პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომლებმაც ჩაიდინეს ისეთი ზოგადსაკაცობრიო დანაშაულობანი, როგორიცაა: გენოციდი, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული, აგრესია.

იმუნიტეტის განსაკუთრებული სახეა დეპუტატის ხელშეუხებლობა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს“ (მუხლი 52.). ასეთივე უფლებით სარგებლობენ მოსამართლეებიც საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის თანახმად.

ნორმატიული აქტის თვისება – თავისი იურიდიული ძალა გაავრცელოს განსაზღვრულ სამართლებრივ სივრცეში, დროში და პირთა წრის მიმართ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის მტკიცე გარანტიაა.

სქემა №31. ნორმატიული აქტის მოქმედება სივრცეში და პირთა წრის მიმართ

სივრცეში

ნორმატიული აქტის სივრცეში მოქმედების ფარგლები განისაზღვრება იმ ტერიტორიით, რომელზედაც ვრცელდება მისი იურიდიული ძალა. სახელმწიფოს სუვერენული ხელისუფლება ვრცელდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

პირთა წრის მიმართ

ნორმატიული აქტის მოქმედება ვრცელდება კანონით განსაზღვრულ სუბიექტზე.
ექსტერიტორიულობის უფლებით სარგებლობენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, დეპუტატები.

თავი XIV. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია

კანონმდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას სისტემურობა წარმოადგენს, რომლის მეშვეობით იგი ეფექტური და ყველასათვის ხელმისაწვდომია. სახელმწიფოში მოქმედებს ათეულ ათასობით ნორმატიული აქტი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე. ეს აქტები იქმნებიან სხვადასხვა სამართალშემოქმედებითი ორგანოების მიერ, აქვთ არაერთნაირი იურიდიული ძალა, ერთმანეთს არ ემთხვევიან სივრცეში და პირთა წრის მიმართ მოქმედებით. ბუნებრივია, რომ დროთა განმავლობაში ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ წინააღმდეგობაში. ნორმატიული მასალის რაოდენობრივი ზრდა ქმნის მათი გამოყენების სიძნელეებს. ამ გაძნელებული სიტუაციიდან გამოსავალი არის კანონმდებლობის მოყვანა გარკვეულ სისტემაში საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების შესაბამისად. კანონმდებლობის მწყობრი სისტემის შექმნა ხდება სისტემატიზაციის საფუძველზე.

სისტემატიზაცია არის მიზანდასახული საქმიანობა, რომელიც მიმართულია ნორმატიული აქტების მოწესრიგების, შეთანხმებული და სრულყოფილი სისტემის შექმნისაკენ.

სისტემატიზაცია ერთგვარი გზამკვლევის როლს თამაშობს სამართლის სისტემაში. იგი უზრუნველყოფს ქვეყანაში მართლწესრიგის განმტკიცებას, სამართლებრივი რეგულირების ნორმალურ ფუნქციონირებას, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეების გადაწყვეტას, პიროვნების თავისუფლებებისა და უფლებების დაცვას. სისტემატიზაციის შედეგად აღმოიფხვრება წინააღმდეგობა სამართლის ნორმებს შორის, უქმდება მოძველებული ნორმები და კანონმდებლობის სისტემაში ჩაერთვება ახალი, უფრო სრულყოფილი ნორმები, რომლებიც პასუხობენ საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებს. ისინი დაჯგუფდებიან განსაზღვრული სისტემური ნიშნების შესაბამისად, ერთიანდებიან კოდექსებში, კანონმდებლობის კრებულებში და სხვა სისტემატიზირებულ აქტებში.

სისტემატიზაცია შესაძლებელია ქვეყნებში, სადაც სამართლის ძირითადი წყაროა კანონი. ქვეყნებში, სადაც მოქმედებს პრეცედენტი ან ჩვეულებითი სამართალი სისტემატიზაცია რთული პრობლემაა,

რადგან თანამედროვე სამართალი მხოლოდ ფორმალურად აღიარებს პრეცედენტის და სამართლებრივი ჩვეულების მნიშვნელობას.

იურიდიულ ლიტერატურაში და პრაქტიკაში განასხვავებენ ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემატიზაციის სამ ფორმას: კოდიფიკაციას, ინკორპორაციას და კონსოლიდაციას.

§ 1. კოდიფიკაცია

კოდიფიკაცია არის ისეთი სისტემატიზაცია, რომელიც ხორციელდება სამართლებრივი საქმიანობის პროცესში ახალი, გადამუშავებული ნორმატიული აქტის შესაქმნელად, კანონმდებლობის ღრმა და ყოველმხრივი გადამუშავების საფუძველზე. კოდიფიკაციის შედეგად იქმნება ერთიანი, შეთანხმებული, ლოგიკურად და იურიდიულად მთლიანი საკანონმდებლო აქტი – კოდექსი.

კანონმდებლობის კოდიფიკაციას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

❍ საკოდიფიკაციო საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ კომპეტენტური სამართალშემოქმედებითი ორგანო საკონსტიტუციო ან სხვა უფლებამოსილების საფუძველზე.

❍ კოდიფიკაციის შედეგად იქმნება ახალი ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს ადრე მოქმედი ნორმებისაგან განსხვავებულ ნორმებს.

❍ კოდიფიცირებული აქტი არის შედგენილი აქტი, მასში შედიან ადრე სხვადასხვა აქტში მყოფი ნორმები, მაგრამ კოდიფიცირებული აქტი არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთი და იმავე სფეროს.

❍ კოდიფიცირებული აქტი წარმოადგენს ძირითადს იმ აქტებს შორის, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში.

❍ ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელიც იქმნება კოდიფიკაციის შედეგად, გათვალისწინებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხანგრძლივი რეგულირებისათვის.

კოდიფიკაცია კანონმდებლობის სისტემატიზაციის უფრო რთული და სრულყოფილი ფორმაა, რომელსაც აქვს სამართალშემოქმედებითი ხასიათი. მისი მეშვეობით მიღებულ კოდიფიცირებულ აქტს, როგორც წესი, აქვს ზოგადი ნაწილი, რომელშიც განმტკიცებულია დარგობრივი პრინციპები (ზოგადი დებულებანი).

კოდიფიცირებული აქტი თავისი არსისა და სახელწოდების შესაბამისად შეიძლება სამი სახის იყო:

კანონმდებლობის საფუძვლები არის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს მნიშვნელოვან დებულებებს (ძირითად საწყისებს), არეგულირებს სამართლის დარგის ან სახელმწიფო მმართველობის სფეროს. კანონმდებლობის „საფუძვლები" დამახასიათებელია ფედერაციული სახელმწიფოსათვის. იგი წარმოადგენს ნორმატიულ ბაზას ფედერაციის სუბიექტების ნორმატიულშემოქმედებითი საქმიანობისათვის.

კოდექსი კოდიფიცირებული აქტების უფრო მეტად გავრცელებული სახეა, რომელიც მოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად სფეროებში, რათა მოაწესრიგოს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობანი (სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, შრომის სამართლის და ა.შ.).

წესდება, დებულება არის სპეციალური მოქმედების კოდიფიცირებული აქტი, რომლებიც გამოიცემიან არა მარტო საკანონმდებლო, არამედ სხვა სამართალშემოქმედებითი ორგანოს მიერ (მაგალითად, პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ). კოდიფიცირებული აქტებია სამხედრო წესდებები. უნდა აღინიშნოს, რომ კოდიფიცირებული აქტების მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვთ სპეციალური დასახელება. ასეთებია სხვადასხვა კანონები საკუთრების, სოცუზრუნველყოფის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და ა.შ.

§ 2. ინკორპორაცია

ინკორპორაცია არის მოქმედი კანონების და სხვა ნორმატიული აქტების გარეგნული მოწესრიგება და განსაზღვრული წესით გაერთიანება მათი შინაარსის შეუცვლელად.

ინკორპორაციას, როგორც სისტემატიზაციის ერთ-ერთ სახეს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- ინკორპორაციის პროცესში გარეგანი დამუშავების დროს ნორმატიული სამართლებრივი აქტები განლაგდებიან განსაზღვრული წესით – ალფავიტური, ქრონოლოგიური ან საგნობრივი ნიშნით.
- ინკორპორაციის დროს ნორმატიული აქტების შინაარსი არსებითად არ იცვლება, კრებულში აღარ არის ჩართული

მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც გაუქმებული და ძალადაკარგულია.

ინკორპორაციის ჩამტარებელ ორგანოს (მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს) არ აქვს უფლება გააუქმოს, შეცვალოს ან დაადგინოს სამართლის ნორმები. მას შეუძლია მხოლოდ ასახოს კრებულში ის ცვლილებები, რომლებიც უკვე გააკეთა სამართალშემოქმედებითმა ორგანომ.

ინკორპორაცია ორი სახისაა: ოფიციალური და არაოფიციალური.

ოფიციალური ინკორპორაცია არის ნორმატიული სამართლებრივი აქტების მოწესრიგება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კრებულის გამოცემით. ასეთი კრებულები ოფიციალური ხასიათისაა. მართალია ისინი არ ითვლებიან სამართლის წყაროდ, მაგრამ მათზე შეიძლება დაყრდნობა სამართალშემოქმედებით და სამართალშეფარდებით პროცესში.

კოდიფიკაციისაგან ოფიციალური ინკორპორაციის განსხვავება გამოიხატება სისტემატიზაციის დონეში. თუ კოდიფიკაცია მიმართულია სამართლებრივი სისტემის არსებითი განვითარებისაკენ, სამართლებრივი რეგულირების შინაარსის ცვლილებებისაკენ, ინკორპორაცია ასეთ ფუნქციას არ ასრულებს. არ იცვლება სამართლებრივი რეგულირების შინაარსი. ინკორპორაციის მიზანია მოიყვანოს მწყობრ სისტემაში ის ნორმატიული სამართლებრივი აქტები, რომლებიც უკვე შექმნილია კოდიფიკაციის პროცესში.

თავის მხრივ ოფიციალური ინკორპორაცია არის ქრონოლოგიური და საგნობრივი (თემატური).

ქრონოლოგიური ინკორპორაცია ისეთი სისტემატიზაციაა, რომლის დროს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოწესრიგება ხდება მათი გამოცემის და ძალაში შესვლის დროის მიხედვით. ქრონოლოგიური წესით გამოიცემა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები სპეციალურ ოფიციალურ გამოცემაში.

საგნობრივი ინკორპორაცია არის ნორმატიული აქტების მოწესრიგება სამართლის დარგების, ინსტიტუტების, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის სფეროების მიხედვით. ასეთი სისტემატიზაცია უადვილებს დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მოქალაქეებს სწრაფად და ოპერატიულად გამოიყენონ მათთვის აუცილებელი ნორმატიული მასალა.

არაოფიციალური ინკორპორაცია არის კანონმდებლობის დამუშავება, რომელიც ტარდება ორგანიზაციების (სასწავლო დაწესებულე-

ბები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები), სწავლული და პრაქტიკოსი მუშაკების მიერ ისე, რომ ამისათვის არ არის საჭირო სამართალშემოქმედებითი ორგანოს ნებართვა. ასეთი ინკორპორაციის შედეგად შექმნილი კრებულები შეიძლება ოფიციალური ფორმით იქნენ გამოცემული, მაგრამ მათზე დაყრდნობა არ შეიძლება არც სამართალშემოქმედებით და არც სამართალშეფარდებით პროცესში.

§ 3. კონსოლიდაცია

ყველა განვითარებულ სამართლებრივ სისტემაში დროთა განმავლობაში გროვდება მნიშვნელოვანი რაოდენობის ნორმატიული აქტები, რომელთაც გააჩნიათ რეგულირების ერთი და იგივე საგანი. ასეთი აქტების დანაწესები ნაწილობრივ მეორდება, ხოლო ზოგჯერ აშკარად შეუსაბამო ან წინააღმდეგობრივნი არიან. ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა მრავალრიცხოვანი სამართლებრივი აქტების ლიკვიდაციის, მათი გამსხვილების, კანონმდებლობის თავისებური „ბლოკების" შექმნის აუცილებლობა. ასეთი მრავალრიცხოვნების დაძლევის ერთ-ერთი გზა არის კანონმდებლობის კონსოლიდაცია.

კონსოლიდაცია სისტემატიზაციის ისეთი ფორმაა, რომლის დროს ერთიან კრებულში განლაგდება რამდენიმე ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთსა და იმავე სფეროში, ერთსა და იმავე საკითხზე. ასეთ აქტს ამტკიცებს სამართალშემოქმედებითი ორგანო, როგორც ახალს, სამართლის დამოუკიდებელ წყაროს. ცხადია, რომ გაერთიანებას ექვემდებარება ერთნაირი იურიდიული ძალის დანაწესები.

კონსოლიდაცია – სამართალშემოქმედების თავისებური სახეა, რომელსაც ერთდროულად ახასიათებს როგორც კოდიფიკაციის, ასევე ინკორპორაციის ნიშნები. კონსოლიდაციური აქტი არის ჩამოყალიბებული კრებულის ფორმით, რაც მას ფორმალურად აახლოებს კოდიფიკაციასთან. ის ფაქტი, რომ მსხვილ კონსოლიდაციურ აქტს არ შეუძლია შეცვალოს სამართლებრივი რეგულირების შინაარსი, შეიტანოს ცვლილებები და სიახლე მოქმედ კანონმდებლობაში, კონსოლიდაციურ აქტს აახლოებს ინკორპორაციასთან.

კონსოლიდაციური აქტის შემუშავების პროცესში ყველა ადრინდელი აქტის ნორმები განსაზღვრული ლოგიკური თანმიმდევრობით

განლაგდება, შემუშავდება მომავალი აქტის ზოგადი სტრუქტურა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აქტის როგორც გარეგან ფორმას, ასევე შინაარსობრივ სრულყოფასაც. აქტის ყველა სამართლებრივი დანაწესი გადმოცემული უნდა იქნეს ერთიან სტილში, მოხდეს ტერმინოლოგიის უნიფიცირება, აღმოიფხვრას წინააღმდეგობანი, განმეორებანი, გაურკვეველი ფრაზები, შინაარსობრივად ახლოს მდგომი ნორმები განლაგებული იქნეს ერთ მუხლში ან პუნქტში.

მსხვილი აქტების მიღების მსოფლიო პრაქტიკა მეტად ფართოა. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში გამოიცემა ათეულობით კონსოლიდაციური აქტი, რომლებიც აერთიანებენ პარლამენტის მიერ რეგულირების ერთი და იმავე საგნის შესახებ მიღებულ აქტებს. XIX საუკუნის ბოლოს ინგლისის პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი „სტატუტების სამართლის" კონსოლიდაციის შესახებ. საფრანგეთში ფართოდ არის გავრცელებული ე.წ. კოდექსების მიღება, რომლებიც აერთიანებენ ერთი და იმავე საკითხზე ნორმატიულ დანაწესებს (მაგალითად, მიღებულია ისეთი კონსოლიდაციური აქტები, როგორიცაა საზოგადოებრივი სარგებლობის გზების კოდექსი, შემნახველი სალაროების კოდექსი).[85]

კონსოლიდაცია გამოიყენება იქ, სადაც არ არის კოდიფიკაციის აუცილებლობა ან შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევებში კონსოლიდაცია ერთგვაროვანი ნორმატიული მასალის გაერთიანების ეფექტური ფორმაა. სამართლებრივი რეგულირების ყველა ძირითადი სფეროს განახლება ისე უნდა ჩატარდეს, რომ მომავალში არ წარმოიშვას მრავალრიცხოვანი ნორმატიული აქტების ლიკვიდაციის პრობლემა.

ნორმატიული აქტების გაერთიანების, გამსხვილების ამოცანა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივი რეგულირების კომპლექსურობას, ხარვეზებისა და წინააღმდეგობების აღმოფხვრას, აქტუალური იყო ადრეც და აქტუალურია ამჟამად. კონსოლიდაციის შედეგად მოქმედი ნორმატიული აქტების საერთო მასივში უნდა გაუქმდეს მოძველებული აქტები და მათი დანაწესები, ზოგიერთ მათგანში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, გაერთიანდეს მოქმედი ნორმები სხვადასხვა აქტებიდან, გამოიცეს მსხვილი აქტი განსაზღვრულ საკითხებზე. ამიტომ მოქმედი აქტების კონსოლიდაცია, საკანონმდებლო „ბლოკების" გამსხვილება კანონმდებლობის მოწესრიგების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

[85] Making Your Case: The Art of Persuading Judges by Antonin Scalia, Bryan A. Garner. Thomson West. 2008. P. 137

სქემა №32. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია

კანონმდებლობის სისტემატიზაცია არის მიზანდასახული საქმიანობა, რომელიც მიმართულია ნორმატიული აქტის მოწესრიგების შეთანხმებული და სრულყოფილი სისტემის შექმნისაკენ.





თავი XV. მართლშეგნება, სამართლებრივი კულტურა და სამართლებრივი აღზრდა

§ 1. მართლშეგნების ცნება

მართლშეგნება საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი და საფუძველია. იგი წარმოიშვა სახელმწიფოსა და სამართალთან ერთად და მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკასთან, მორალთან, ხელოვნებასთან, რელიგიასთან, ფილოსოფიასთან.

არსებობს საზოგადოებრივი შეგნების სხვადასხვა ფორმა – პოლიტიკური, ზნეობრივი, ეროვნული, რელიგიური, ეთიკური, ესთეტიკური, რომელთა მეშვეობით ადამიანები შეიმეცნებენ გარემომცველ სამყაროს. საზოგადოებრივი შეგნების ერთ-ერთი ფორმა არის მართლშეგნება. მართლშეგნება შეიძლება განვიხილოთ როგორც საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ელემენტი. კაცობრიობის ისტორიაში ასახულია მართლშეგნებისა და სამართლის განვითარების რთული გზა, რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა ისტორიულ პროცესებზე.[86]

მართლშეგნება არის იდეების, შეხედულებების, გრძნობების, ტრადიციების, განწყობილებების ერთობლიობა, რომელიც გამოხატავს ადამიანთა დამოკიდებულებას სამართლებრივ მოვლენებთან. იგი სამართლებრივი ცხოვრების, სამართლებრივი ურთიერთობების, ადამიანთა შეგნებაში სამართლის არსისა და როლის ასახვაა. მართლშეგნება არის ცოდნა სამართლის შესახებ, მოქმედი სამართლისა და სამართლებრივი აზროვნების შეფასება, იდეა სამართალში სასურველი ცვლილებების შესახებ. მართლშეგნებას, როგორც საზოგადოებრივი შემეცნების ფორმას, გააჩნია სპეციფიკური თავისებურებანი:

❍ მართლშეგნებაში ასახულია მხოლოდ ის მოვლენები, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ მხარეს. იგი მოიცავს სამართლის როლის გააზრებას, მის შეფასებას მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმებით, მოქმედი საკანონმდებლო სისტემის აუცილებლობის

[86] ვ. გეწაძე, მართლშეგნება. გვ. 2

შემეცნებას, მოქმედ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების გააზრებას.

❍ მართლშეგნების თავისებურება გამოიხატება აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების ასახვის საშუალებებში. საზოგადოების ცხოვრებაში სამართლებრივი მოვლენების შემეცნება ხორციელდება სპეციალური იურიდიული ცნებებისა და კატეგორიების მეშვეობით. მათ რიცხვს მიეკუთვნება ისეთი ცნებები, როგორიცაა მართლზომიერება და არამართლზომიერება, სამართლებრივი ურთიერთობა, იურიდიული პასუხისმგებლობა, კანონიერება და ა.შ. ზნეობრივი შეგნება გარემომცველ სამყაროს აფასებს ისეთი ცნებებით, როგორიცაა: სიკეთე, ბოროტება, სამართლიანობა, უსამართლობა, პატივი, ღირსება და ა.შ.

მართლშეგნება, როგორც საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი დაკავშირებულია სამართლებრივი სისტემის სხვა ელემენტებთან: იურიდიულ ნორმებთან, სამართლის პრინციპებთან, ინსტიტუტებთან, სამართლებრივ ურთიერთობასთან, სამართალშემოქმედებასა და სამართალშეფარდებასთან.

სტრუქტურულად მართლშეგნება შედგება ორი ელემენტისაგან: მეცნიერული მართლშეგნება (სამართლებრივი იდეოლოგია) და ჩვეულებრივი მართლშეგნება (სამართლებრივი ფსიქოლოგია).

სამართლებრივი იდეოლოგია არის შეხედულებების და წარმოდგენების, იდეების ერთობლიობა, რომელიც თეორიულ ფორმაში ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ მოვლენებს. სისტემატიზირებული მეცნიერული იდეები და ინტელექტუალური შეხედულებანი ასახულია აკადემიურ გამოკვლევებში. რამდენადაც მათში გამოხატულია ობიექტური დასკვნები და განზომილებანი, სახელმწიფო და მისი ორგანოები ეფექტურად იყენებენ მათ სამართალშემოქმედებით საქმიანობაში.

სამართლებრივი იდეოლოგია არის იდეა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სამართალი ღირებულების, კერძოდ, სამართლიანობის თვალსაზრისით, როგორი მიზნები აქვს სამართალს და როგორი სამართლებრივი საშუალებებით უნდა იქნეს იგი მიღწეული, როგორი ღირებულებანი უნდა დაამკვიდროს და დაიცვას სამართალმა. ცხადია, რომ სამართლებრივ იდეებში ასახულია ზოგადკაცობრიული ღირებულებანი: სიცოცხლე, პატივი, ღირსება, პიროვნების თავისუფლება,

მისი სამართლებრივი უსაფრთხოება, სოციალური დაცულობა, საჯარო ხასიათის ღირებულებანი: დემოკრატია, კანონიერება, მართლწესრიგი და ა.შ.

სამართლებრივი იდეოლოგიის შემუშავებაში მონაწილეობენ სწავლული სამართალმცოდნეები, პრაქტიკოსი მუშაკები, პოლიტიკური მოღვაწეები. ისინი ემყარება საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების გამოცდილებას, იყენებენ სოციოლოგიური გამოკვლევის მასალებს, ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროფესიონალურ მართლშეგნებას. პროფესიონალ იურისტს უნდა ჰქონდეს მართლშეგნების მაღალი დონე, მისი ცოდნა უნდა პასუხობდეს მოწინავე მეცნიერებისა და პრაქტიკის მოთხოვნებს. პროფესიონალი იურისტი სოლიდარული უნდა იყოს სამართლებრივი ინსტიტუტებისადმი, სწამდეს სამართლის სარგებლიანობა, კანონის დაცვის აუცილებლობა, იურიდიული აზროვნების, სამართლებრივი კულტურის მიღწევების, სამართლის პრინციპებისა და სოციალური ღირებულებების რეალიზაციის აუცილებლობა.

სამართლებრივი ფსიქოლოგია არის გრძნობების, ჩვევების, განწყობის, ტრადიციის ერთობლიობა, რომელშიც გამოხატულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, პროფესიული კოლექტივების, ცალკეული ინდივიდების დამოკიდებულება სამართალთან, კანონიერებასთან, საზოგადოებაში მოქმედ სამართლებრივი ინსტიტუტების სისტემასთან.

სამართლის შესწავლა, როგორც ფსიქოლოგიური მოვლენისა სამართლებრივი იდეოლოგიის ნაწილია. სამართლებრივ ფსიქოლოგიაში ასახულია ადამიანის ის განცდები, გრძნობები და აზრები, რომლებიც წარმოიშობა სამართლებრივი ნორმების გამოცემასთან, მოქმედ კანონმდებლობასთან და მისი მოთხოვნების პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებით. ახალი კანონის მიღებით გამოწვეული სიხარული ან მწუხარება, კონკრეტული ნორმების რეალიზაციასთან დაკავშირებული კმაყოფილების ან უკმაყოფილების გრძნობა, სამართლებრივი მოთხოვნების დარღვევის მოუთმენლობა ან მისადმი გულგრილობა – ყოველივე ეს განეკუთვნება სამართლებრივი ფსიქოლოგიის სფეროს.

სამართლებრივი ფსიქოლოგიის შინაარსზე, მისი სიმწიფის დონეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა შეგნებაში სამართლებრივი მოვლენების შესახებ მეცნიერული წარმოდგენები. სამართლებრივი გრძნობები და ემოციები ყალიბდება სამართლის შეფასების

საფუძველზე. შეფასების საფუძველი კი სამართლებრივი იდეებია იმის შესახებ, როგორ უნდა გახდეს სამართალი სამართლიანი და ეფექტური განსაზღვრული მიზნების განხორციელებაში. თუ ესა თუ ის კანონი შეფასებულია როგორც სამართლიანი და ეფექტური პიროვნებისათვის ღირებული ფასეულობის დამკვიდრებაში, წარმოიშობა დადებითი ემოციები, კმაყოფილების, სიხარულის გრძნობა და ა.შ. თუ კანონი უარყოფითად არის შეფასებული, განიხილება როგორც უსამართლო, არაეფექტური და წარმოიშობა ნეგატიური ემოციები – დაუკმაყოფილებლობის, იმედგაცრუების, სიბრაზის გრძნობა და ა.შ.

§ 2. მართლშეგნების სტრუქტურა

მართლშეგნების სტრუქტურაში სამართლებრივი იდეოლოგია ზემოქმედებას ახდენს სამართლებრივ ფსიქოლოგიაზე, რომელიც მოიცავს საზოგადოების ან მისი ცალკეული სოციალური ჯგუფების სამართლებრივ წარმოდგენებს, სურვილებს, გრძნობებს, განწყობას. სამართლის ფსიქოლოგია არის პრაქტიკული მართლშეგნება, დაფუძნებული სამართლებრივ გრძნობებზე, განცდებზე.

ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლები ასაბუთებენ, რომ სამართალი არსებობს ადამიანთა ხასიათებში, ემოციებში და ეს ემოციები არის ადამიანის ქცევის საფუძველი. ამდენად ფსიქოლოგიურ თეორიაში სამართალი და მართლშეგნება განსხვავებული არ არის.

მასობრივი შეგნების დონეზე ხალხის სამართლებრივი ფსიქოლოგია გამოხატულებას პოულობს ფოლკლორში, ხალხურ ანდაზებში, სიმღერებში. საყოველთაოდ ცნობილია ისეთი ქართული ანდაზები, როგორიცაა: „სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო“, „დამკარ, მაგრამ სიმართლით დამკარო.“

საუკუნეებს გაუძლო შოთა რუსთაველის შესანიშნავმა აფორიზმებმა: „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია.“

მართლშეგნება თავისი სტრუქტურით რთული მოვლენაა. ის ყალიბდება სამართლის ცოდნის, სამართლებრივი იდეოლოგიის, შეფასებების, სამართლებრივი ფსიქოლოგიისა და ქცევითი ელემენტებისაგან.

მართლშეგნების სტრუქტურაში განასხვავებენ საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ მართლშეგნებას.

საზოგადოებრივი მართლშეგნება განაზოგადებს სამართლებრივ შეხედულებებს, იდეებს, ტრადიციებს, რომლებიც გამომუშავდება ადამიანთა გარკვეული ჯგუფების მიერ. მეცნიერული მართლშეგნება და სამართლებრივი ფსიქოლოგია არ არსებობს საზოგადოებრივი შეგნების გარეშე. ის მოიცავს ყველა იმ ტიპურს, ყველაზე არსებითს, რაც არის ცალკეული ინდივიდების სამართლებრივ შეგნებაში.

ინდივიდუალური მართლშეგნება არის კონკრეტული პიროვნების წარმოდგენა და გრძნობა სამართლის შესახებ. საზოგადოებრივი მართლშეგნება ვითარდება ცალკეული ინდივიდების მართლშეგნების მეშვეობით. ამასთანავე, საზოგადოებრივი მართლშეგნება ბევრად უფრო მდიდარია, ვიდრე ცალკეული ინდივიდების მართლშეგნება, რამდენადაც ასახავს მთლიანად საზოგადოების სამართლებრივ ცხოვრებას. ინდივიდუალურ მართლშეგნებას არ შეუძლია სრულად მოიცვას მთელი მრავალფეროვნება საზოგადოებრივი მოვლენებისა, მათი განვითარების სხვადასხვა პერიოდში. ცალკეული ადამიანების მართლშეგნება ყალიბდება იმ პირობების გავლენით, რომელშიც ის ცხოვრობს და საქმიანობს და რადგან ადამიანთა ცხოვრება განსხვავებულია და ეს აისახება თითოეული მათგანის მართლშეგნებაზე, ერთი ადამიანის მართლშეგნება შეიძლება იყოს ღრმა, შეიცავდეს საზოგადოებრივი მოვლენების მეცნიერულ შეფასებას, მეორეს მართლშეგნება კი შეიძლება იყოს შეზღუდული, საზოგადოებრივი მართლშეგნების ჩვეულებრივი დონისაგან ჩამორჩენილი. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება არის შევსებული და გაფართოებული პიროვნება, ხოლო პიროვნება შევიწროებული საზოგადოება.

მართლშეგნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასა და სრულყოფაში. უპირველეს ყოვლისა, მართლშეგნება არის სამართლებრივი ნორმების შექმნის აუცილებელი ფაქტორი. სამართლებრივი აქტები იქმნება სამართალშემოქმედებითი ორგანოების შეგნებული, ნებითი საქმიანობის შედეგად. იურიდიულ ნორმებში გამოხატულია ადამიანთა განსაზღვრული ინტერესები და მოთხოვნილებანი. ისინი გამტარია ადამიანის ნებისა და შეგნების. ამიტომ, სამართლებრივი ნორმების ხარისხი, მათი შესაბამისობა საზოგადოებრივ მოთხოვნებთან განუყრელად არის დაკავშირებული სამართლებრივ წარმოდგენებთან, იმ პირთა მართლშეგნების დონესთან, რომლებიც ქმნიან სამართლის ნორმებს.

მართლშეგნება არის სამართლის ნორმების მოთხოვნების ზუსტი და სრული რეალიზაციის მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობა. რაც უფრო მაღალია სახელმწიფოს მოქალაქეების მართლშეგნების დონე, მით უფრო ზუსტად სრულდება სამართლის ნორმების მოთხოვნები. მართლშეგნების განვითარება უზრუნველყოფს აბალი სამართლებრივი დანაწესების კეთილგონიერ, ღრმად გააზრებულ შესრულებას, მათი სამართლიანობის აღქმას.

ამრიგად, მართლშეგნება კანონმდებლობის განვითარების, მართლწესრიგის სტაბილურობის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალური განხორციელების მნიშვნელოვანი ფაქტორია. მართლშეგნების სრულყოფა ასახავს პიროვნების საერთო და სამართლებრივი კულტურის დონეს, აქცევს მას მრავალფეროვანი სამართლებრივი ურთიერთობის სრულუფლებიან მონაწილედ.

§ 3. სამართლებრივი კულტურა

მართლშეგნება მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლებრივ კულტურასთან. ფართო თვალსაზრისით, კულტურის ქვეშ იგულისხმება ყველაფერი, რაც შექმნილია კაცობრიობის მიერ გონებრივი და ფიზიკური შრომის შედეგად. ვიწრო გაგებით, კულტურის ქვეშ იგულისხმება იდეურ-ზნეობრივი მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება იდეოლოგიაში, ყოფიერებაში, განათლებასა და აღზრდაში, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის ნორმატიული რეგულირების მიღწევაში. საერთო საკაცობრიო კულტურის ნაწილს წარმოადგენს სამართლებრივი კულტურა, რომელიც მოიაზრება ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო აზრით, სამართლებრივ კულტურაში იგულისხმება ის, რაც შექმნილა კაცობრიობის მიერ სამართლის სფეროში: სამართალი, სამართლებრივი მეცნიერება, მართლშეგნება, იურიდიული პრაქტიკა. ვიწრო გაგებით, სამართლებრივი კულტურა – ეს არის ცოდნა სამართლის შესახებ, საზოგადოების წევრების პატივისმცემლური დამოკიდებულება სამართლისადმი, იმის უნარი, რომ ისარგებლონ მოქმედი კანონმდებლობით. თუ მოქალაქეებს არა აქვთ სათანადო ცოდნა სამართლებრივ სისტემაზე, მათ არა აქვთ შესაძლებლობა, განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი, დაიცვან თავიანთი ინტერესები. განსაკუთრებით მოუთმენელია ის გარემოება, როდესაც იურიდიულად გაუნათლე-

ბელია პირი, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას, უჭირავს ხელმძღვანელი პოსტები სახელწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, ეწევა სამართალდაცვით საქმიანობას.

ცნება „სამართლებრივი კულტურა" გამოიყენება საზოგადოების სამართლებრივი ზედნაშენის დასახასიათებლად. იგი მოიცავს თვით სამართალს, მართლშეგნებას, სამართლებრივ ურთიერთობას, კანონიერებასა და მართლწესრიგს, კანონშემოქმედებით და სამართალშემფარდებელ საქმიანობას, მთელ პოზიტიურ იურიდიულ სინამდვილეს, რომლის შესაბამისად ყალიბდება კანონმორჩილი ცხოვრების წესი და ხორციელდება კანონიერების რეჟიმი.

სამართლებრივი კულტურა წარმოადგენს რთულ, მრავალმხრივ მოვლენას, რომელიც გულისხმობს მართლშეგნების განსაზღვრულ დონეს, ე.ი. სამართლებრივი სინამდვილის გააზრებულ აღქმას. იგი გულისხმობს:

- საერთო კულტურულ წანამძღვრებს, ცივილიზაციის დონეს, ეროვნულ ფესვებს, ისტორიულ მეხსიერებას, ჩვეულებებსა და ტრადიციებს;
- მოსახლეობის მიერ ნორმებისა და მისი ავტორიტეტისადმი პატივისცემის მაღალ დონეს;
- სამართალშემოქმედებისა და სამართლის რეალიზაციის მაღალ ხარისხს;
- სამართლებრივი საქმიანობის, საკანონმდებლო, სამართალდამცავი, მმართველობითი და სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ეფექტურ საშუალებებს;
- თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების კანონმორჩილებას.

სამართლებრივი კულტურა უაზროა ადამიანისა და მისი საქმიანობის გარეშე, სამართლებრივი აზროვნების პროგრესული მიმართულების გარეშე. იგი წარმოადგენს სოციალურ მოვლენას, რომელსაც აქვს ნათლად გამოხატული მიზანი, მოიცავს მთელ რიგ ღირებულებით კომპონენტებს.

სამართლებრივი კულტურა შეიძლება სრულად იქნეს გაგებული მხოლოდ სოციალური პროგრესის საერთო კონტექსტში. იგი უსიცოცხლოა წარსულის საუკეთესო მემკვიდრეობის გარეშე. მას არ შეუძლია ასევე წარმატებით განვითარდეს სხვა ხალხების სამართლებრივ კულტურასთან ურთიერთობის გარეშე, კარჩაკეტილად, მხოლოდ თავის ჩარჩოებით შემოფარგლულს. სამართლებრივი კულტურა მოწოდებუ-

ლია თავი მოუყაროს როგორც თანამედროვე, ასევე წარსული ეპოქების ყველა ტიპის სამართლებრივი კულტურის მიღწევებს.

პიროვნების სამართლებრივი კულტურა ასახავს საზოგადოების განვითარების ხარისხსა და ხასიათს, რომელიც ამა თუ იმ ზომით უზრუნველყოფს პიროვნების სოციალიზაციას და ინდივიდის მართლზომიერ საქმიანობას. ეს საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების პროგრესულ განვითარებას და მის კულტურას სამართლის სფეროში, რომლის წყალობით ხდება როგორც პიროვნების, ასევე საზოგადოების სამართლებრივი სრულყოფა. სამართლებრივი კულტურა წარმოადგენს მართლშეგნების და ყოფიერების კომპონენტს. ორგანულ ერთიანობაში მათ უნარი აქვთ ხელი შეუწყონ ადამიანთა კონსოლიდაციას, მათი ძალის კონცენტრაციას, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

სამართლებრივი კულტურა, ისევე როგორც კულტურის სხვა სახესხვაობა ექვემდებარება შეფასებას. შეიძლება ვილაპარაკოთ სამართლებრივი კულტურის მაღალ, საშუალო და დაბალ დონეზე. ადამიანთა სხვადასხვა ერთობას, პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ახორციელებენ ხელისუფლებას და ოპოზიციურ პარტიებს შეუძლიათ სხვადასხვაგვარად შეაფასონ კულტურული მიღწევები სახელმწიფო-სამართლებრივ სფეროში. საქმე ეხება სამართლებრივი მოვლენების როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ აღქმას, კულტურის მიღწევების ინტერპრეტაციას. ისტორიამ შეიმუშავა სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საერთო ცივილიზებული კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე იქმნება მისი განვითარების ძირითადი მიმართულებების და მიღწევების შეფასების შესაძლებლობა.

სამართლებრივი კულტურის მაღალი დონე გულისხმობს ადამიანთა ფაქტიურ სამართლებრივ ქცევებს, სამართალსა და სამართლებრივი მოვლენებისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას, სამართლისა და მართლწესრიგის სოციალური მნიშვნელობის გაცნობიერებას, მართლზომიერი ქცევის ჩვევას და სამოქალაქო-სამართლებრივ აქტივობას. საამისოდ გამოიყენება სხვადასხვა საშუალებანი: ლიტერატურა, ხელოვნება, ეკლესია, სკოლა, პრესა, რადიო, ტელევიზია, სპეციალური იურიდიული სასწავლებლები.

სამართლებრივი კულტურის ანტიპოდს წარმოადგენს სამართლებრივი ნიჰილიზმი, ე.ი. სამართლისადმი, კანონისადმი, სამართლებრივი ფორმებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება.

სამართლებრივი ნიჰილიზმი შეიძლება გამოვლინდეს ორი სახესხვაობით: პირველი არის თეორიული, დასაბუთებული სამართლებრივი ნიჰილიზმი, როცა სწავლულები, ფილოსოფოსები, პოლიტოლოგები ამტკიცებენ, რომ საზოგადოებაში არის გაცილებით მნიშვნელოვანი ღირებულებანი, ვიდრე სამართალია.

მეორე შემთხვევაში ხდება აღნიშნულ შეხედულებათა რეალიზაცია პრაქტიკაში, რაც ხშირად ვლინდება სახელმწიფოს ტერორში საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ამის შედეგია მმართველი ელიტის გადაზრდა დანაშაულებრივ კლანებში.

გასაგებია, რომ საზოგადოებაში, სადაც სამართლებრივი ნიჰილიზმი ნაწარმოებია თვით სახელმწიფოსაგან, ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია, დაინერგოს საზოგადოებაში რაიმე პოზიტიური დამოკიდებულება სამართლისადმი. ასეთ დროს საზოგადოებაში ყალიბდება მასობრივი სამართლებრივი ნიჰილიზმი.

სამართლებრივი ნიჰილიზმის საწინააღმდეგო მოვლენაა სამართლებრივი იდეალიზმი ანუ რომანტიზმი. სამართლებრივი იდეალიზმის არსი მდგომარეობს სამართლებრივი ფორმების რეალური რეგულატორული შესაძლებლობების გაფეტიშებასა და გაიდეალებაში. ეს მოვლენა თან სდევს კაცობრიობის ცივილიზაციას ცხრაქტიკულად თავისი განვითარების მთელ გზაზე. ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსი პლატონი გულუბრყვილოდ მიიჩნევდა, რომ მისი ჩანაფიქრის – იდეალური სახელმწიფოს მშენებლობის მთავარი საშუალება იქნებოდა იდეალური კანონები, რომლებსაც მიიღებდნენ მმართველები. განმანათლებლების ეპოქაში გამოჩენილი მოაზროვნეები თვლიდნენ, რომ ძველი კანონების გაუქმება და ახლის მიღება დაამყარებს გონივრულ რეჟიმს. მცდარია თანამედროვე პერიოდში ზოგიერთი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ კანონებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების განვითარებაში.

§ 4. სამართალი – ცივილიზაციის და კულტურის მოვლენა

თავისი ბუნებისა და დანიშნულების გამო სამართალი მრავალგანზომილებიანი ინსტიტუციური წარმონაქმნია. იგი სოციალურად ღირებული ფენომენი, ცივილიზაციისა და კულტურის მოვლენაა.

ცივილიზაცია კაცობრიობის განვითარების ისეთი საფეხურია,

როცა წარმოიშვა სოციალური პროგრესის მთავარი ატრიბუტები – სოციალური ცხოვრების წესრიგი და ადამიანის, როგორც სუვერენული პიროვნების უფლებები და თავისუფლებები.

ცივილიზაციამ განვითარების ხანგრძლივი აღმავლობის გზა განვლო. იმ მრავალ მიზეზსა და გარემოებას შორის, რომლებიც გამოხატავენ საზოგადოების შესვლას ცივილიზაციის პერიოდში, გამოყოფილი უნდა იქნეს ორი გადამწყვეტი ფაქტორი, რომლებმაც გადატრიალება მოახდინეს ადამიანთა ყოფიერებაში და გამოიწვიეს ღრმა რევოლუცია სოციალურ რეგულირებაში.

პირველი ფაქტორია ზედმეტი პროდუქტის გაჩენა, ეკონომიკური თავისუფლება და ბაზარი – ეკონომიკის განვითარების საფუძველი.

მეორე ფაქტორია საზოგადოებაში პრინციპულად ახალი ჰუმანური საწყისის გაჩენა – ავტონომიური ადამიანის ჩამოყალიბება, მისი სოციალური თავისუფლება, ინდივიდუალობა, დამოუკიდებელი შემოქმედებითი საქმიანობა, აქტიურობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ნორმატიული საწყისის გაჩენა; სოციალურ სინამდვილეში რეგულირების კულტურის დამკვიდრება.[87]

მორალური და ჩვეულებითი რეგულირების სისტემებმა დიდი როლი შეასრულეს ადამიანთა ცხოვრების წესში, მაგრამ სოციალური განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე აუცილებელი გახდა პრინციპულად ახალი, უფრო მასშტაბური და სტაბილური რეგულატორი. ასეთი მძლავრი და უნიკალური რეგულატორი, რომელსაც უნარი ჰქონდა გადაეჭრა რთული ცხოვრებისეული პრობლემები – იყო სამართალი. საზოგადოების სტრუქტურაში სამართალი დამკვიდრდა, როგორც დამოუკიდებელი და განსაკუთრებული რეგულატორული ენერგიის მქონე ფენომენი.

სამართალს დაეკისრა მისია – ნორმატიულ საწყისებზე იურიდიულად განემტკიცებინა ცივილიზაციის დომინირებული ღირებულებანი – პიროვნების სწრაფვა თავისუფლებისაკენ, აქტიურობისა და ინიციატივისაკენ, შეგნებული შემოქმედებითი საქმიანობისაკენ. სამართალმა განსაზღვრა პიროვნების სტატუსი, უზრუნველყო მისი უფლებების, თავისუფლებების და მოვალეობების ჰარმონიული შერწყმა დაცვის ზომებთან და იურიდიულ პასუხისმგებლობასთან.

სამართალი როგორც განსაკუთრებული ინსტიტუციური წარმონა-

[87] Making Your Case: The Art of Persuading Judges by Antonin Scalia, Bryan A. Garner. Thomson West. 2008. P. 56

ქმნი არა მარტო გამოხატავს ცივილიზაციის ფუძემდებლურ ღირებულებებს, არამედ რეალურ ზემოქმედებას ახდენს მათზე, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის წესრიგს, სამოქალაქო მშვიდობას, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კონსესუსს, საზოგადოების წევრთა ინტერესების დაცვას, გონიერებისა და ჰუმანიზმის პრინციპების დანერგვას. ამ რთულ ამოცანას სამართალი ასრულებს როგორც ნორმალურ, ისე კონფლიქტურ სიტუაციებში.

როცა დემოკრატიის ინსტიტუტებმა განიცადეს ყოვლისმომცველი, გლობალური განვითარება, სამართალიც აღმავალი ხაზით განვითარდა. უფრო სრულად გამოვლინდა მისი პოტენციალი, უფრო ქმედითი გახდა მისი როლი დემოკრატიის, ჰუმანიზმის, სოციალური პროგრესის დამკვიდრებაში, კაცობრიობის თანამედროვე და მომავლის პრობლემების გადაწყვეტაში.

სამართლის ფენომენის არსი არ ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ იგი ფართო პლანით იცავს სოციალური ცხოვრების რთულ წესრიგს და პიროვნების უფლებრივ სტატუსს. სამართალი ერთდროულად არის როგორც ცივილიზაციის, ასევე კულტურის მოვლენა.

სწორედ სამართალი იცავს კაცობრიობის კულტურულ მიღწევებს – სულიერი შემოქმედების სიმდიდრეს, გონიერებას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საზოგადოების დემოკრატიულ იდეებსა და ინსტიტუტებს.

იურიდიული ნორმები ორიენტირებულია დაიცვას აურაცხელი სიმდიდრე, დაგროვილი კაცობრიობის მიერ საზოგადოებრივი ყოფიერების ყველა სფეროში – ეკონომიკაში, პოლიტიკაში, ხელოვნებაში, მწერლობაში, ადამიანთა ურთიერთობაში.

სამართალი საუკუნეთა განმავლობაში იცავდა და იცავს საზოგადოების სულიერი და მატერიალური კულტურის მონაპოვრებს. სხვა ფაქტორებთან ერთად სამართლის დამსახურებაა ის, რომ კაცობრიობამ შეინარჩუნა ბევრი უნიკალური კულტურული ძეგლი.

იურიდიული ნორმები აწესრიგებენ საზოგადოების წევრთა ქცევას, განსაზღვრავენ რა „შეიძლება“ და რა „არ შეიძლება“ იმის გათვალისწინებით, რომ დაცული იქნეს საერთო-სახალხო ინტერესები, დამკვიდრდეს ჰარმონია საზოგადოების ცხოვრებაში. ამაში მდგომარეობს საოცარი თავისებურება სამართლებრივი დებულებებისა, როგორც კულტურული მოვლენისა.

სწორედ იმიტომ, რომ იურიდიული ნორმები ასახავენ ადამიანთა ყოფიერებას, იურიდიული მეცნიერება – იურისპრუდენცია, ყოველთვის იყო და არის დაკავშირებული ხელოვნებასთან, ლიტერატურასთან, მწერლობასთან. ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ძველ საბერძნეთში იურიდიული პრობლემები ასახული იყო ექსილესა და სოფოკლეს ტრაგედიებში, რომლებიც იდგმებოდა ძველი საბერძნეთის ავტორიტეტულ თეატრებში.

არა მარტო იურიდიული მეცნიერება, არამედ იურიდიული პრაქტიკაც კულტურის ნაწილია. პრაქტიკა ავლენს და კონცენტრაციას უკეთებს საზოგადოებაში არსებულ კონფლიქტებს და პრობლემებს, განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს ადამიანთა ქცევებს, იცავს საზოგადოებას ქაოსისა და განუკითხაობისაგან.

სამართალი ვითარდებოდა მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ერის კულტურულ ცხოვრებასთან ერთად. მოწინავე კულტურის ქვეყნებში, ცალკეული ერების ღირებულებით სისტემებში სამართალი საპატიო როლს ასრულებდა.

ძველ რომში ჩამოყალიბდა სამართლის განვითარებული სისტემა, რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული მსოფლიო კულტურის შედევრად. რომში აღიზარდნენ სწავლულ იურისტთა თაობები, რომელთა ნაშრომები გამოირჩევიან მაღალი ინტელექტით, გონიერებით, დახვეწილი იურიდიული აზროვნებით. მათ საპატიო ადგილი უჭირავთ მსოფლიოს კულტურულ საგანძურში. ანტიკური პერიოდის რომში სამართლის ცოდნა, იურისტის პროფესია საზოგადოების წარჩინებული ფენების პრივილეგია იყო.

სამართალსა და კულტურას შორის ურთიერთობას ბევრად განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებაში გაბატონებული ცხოვრების წესი, ტრადიციები, საზოგადოების მსოფლმხედველობა, რელიგია, ისტორიული წარსული, იურიდიული მეცნიერებისა და აზროვნების დონე. მაღალგანვითარებულ სამართლებრივ კულტურებში, კავშირი სამართალსა და კულტურას შორის გამოკვეთილი და თვალსაჩინოა. ქვეყნებში, სადაც სამართალმა ვერ მიაღწია განვითარების სათანადო დონეს, ასეთი კავშირი რამდენადმე სუსტი და არამყარია.

„დასავლური სამართლებრივი კულტურა ეფუძნება იურიდიული აზროვნების განსხვავებულ ტრადიციებს. იურიდიული მეთოდების განსხვავებული სისტემა მოქმედებს კონტინენტური ევროპისა და ანგლოსაქსური სამართლის ოჯახების ქვეყნებში... ევროპული კულტუ-

რისაგან განსხვავებით, ამერიკულ კულტურაში სამართალი ნაკლებად არის დაკავშირებული სახელმწიფოს ინსტიტუტებთან. ამერიკული თვალსაზრისით, სამართალი განმარტებულია როგორც ინტერესთა ჰორიზონტალური გათანაბრება და არა როგორც ვერტიკალური სახელისუფლო ურთიერთობები...

სამართალსა და კულტურას შორის არსებულ კავშირს ბევრად განსაზღვრავს მსოფლმხედველობითი იდეოლოგია. თანამედროვე დასავლური მსოფლმხედველობა ანთროპოცენტრისტულია, ანუ მთლიანად ორიენტირებულია ადამიანზე. აფრიკული და აზიური მსოფლმხედველობა კოსმოცენტრულია, ანუ ადამიანი განიხილება როგორც ბუნების განუყოფელი ნაწილი... აზიურ კულტურაში ადამიანი ასრულებს მხოლოდ იმ როლს, რომელიც მას საზოგადოებამ განუსაზღვრა."[88]

თუ სამართალი არის ცივილიზაციის მაღალი წესრიგის მოვლენა, შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ სამართლის არსებობაზე წარსულში, მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში, ტოტალიტარული ხელისუფლების დროს? დიახ, შეიძლება, ვინაიდან სამართალი, როგორც ცივილიზაციისა და კულტურის მოვლენა, ინარჩუნებს საკუთარ ყოფიერებას არა მხოლოდ დემოკრატიული რეჟიმის პირობებში, არამედ ანტიდემოკრატიული რეჟიმების დროსაც. რაც არ უნდა არაადამიანური იყოს ესა თუ ის პოლიტიკური რეჟიმი, საზოგადოებაში მაინც არის კაცობრიობის ცივილიზაციისა და კულტურის ელემენტები. ისინი არის მოქმედ იურიდიულ ნორმებშიც. ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ მონათმფლობელურ, ფეოდალურ სამართალზე, ფაშისტური იტალიისა და გერმანიის სამართალზე და ა.შ. მაგრამ ყოველთვის ზუსტად უნდა იქნეს ფიქსირებული „სამართალში" სიმართლის დონე და ხარისხი, ამა თუ იმ ეპოქაში დომინირებული შეხედულებანი მორალზე, სამართლიანობაზე და ამ პოზიციებიდან უნდა შევაფასოთ ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი.[89]

ცივილიზაციისა და ზოგადკაცობრიული კულტურის განვითარებასთან ერთად სამართლის როლი არამც თუ დაკნინდება, პირიქით, ამაღლდება და განმტკიცდება. რა თქმა უნდა, ამასთან აუცილებელია სამართლის შემდგომი განვითარება და სრულყოფა, მასში ჩადებული პოტენციალის სრულად გამოვლენა, რათა იგი აღიარებული იქნეს ცივილიზაციისა და კულტურის ჭეშმარიტ მოვლენად.

[88] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 89-90

[89] Алексеев С.С. указ. соч. С. 187

§ 5. სამართლებრივი აღზრდა

სამართლებრივი კულტურის ამაღლების საფუძველია სამართლებრივი აღზრდა. იგი ყველა სახელმწიფოს იდეოლოგიური ფუნქციის შემადგენელი ნაწილია. სამართლებრივი აღზრდა სახელმწიფოს მიზანდასახული საქმიანობაა, რაც მდგომარეობს სამართლებრივი კულტურის, საზოგადოებრივი განვითარების, სამართლებრივი იდეოლოგიის, საზოგადოებაში არსებული კონფლიქტების დაძლევის გზების შესახებ ცოდნის გადაცემაში.

სამართლებრივი აღზრდა, ფართო გაგებით, არის ადამიანთა სამართლებრივი სოციალიზაცია. ვიწრო გაგებით, სამართლებრივი აღზრდა მოწოდებულია აამაღლოს ადამიანების, სოციალური ჯგუფების და მთლიანად საზოგადოების სამართლებრივი კულტურა.

სამართლებრივი აღზრდა სახელმწიფოს, მისი ორგანოების და საზოგადოებრივი გაერთიანებების სისტემატური საქმიანობაა სამართლებრივი შეგნებისა და სამართლებრივი კულტურის ამაღლების საქმეში.

სამართლებრივი აღზრდა ორგანულად არის დაკავშირებული სამართლებრივ სწავლებასთან. აღმზრდელობითი სწავლება გულისხმობს პიროვნების ჩამოყალიბებას კანონმორჩილ მოქალაქედ და იურისტ-პროფესიონალად. იგი ემყარება მართლშეგნებას, ზნეობრივ იდეალებს, სამართლებრივ დანაწესებს და ღირებულ ორიენტაციას, სპეციალურ, პროფესიულად აუცილებელ ცოდნას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია შესაბამისი მოტივაციის ჩამოყალიბება – დადებითი დამოკიდებულება სამართლისადმი, სამართლებრივი მოვლენებისა და მოთხოვნებისადმი, სამართლებრივი ცოდნის მუდმივი გაფართოვება და გაღრმავება. ეს დამახასიათებელი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, იურისტ-პროფესიონალისათვის, სახელმწიფო მოხელეებისა და თანამდებობის პირებისათვის, ასევე რიგითი მოქალაქეებისათვის. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადამიანი არა მარტო თეორიული ცოდნის დეკლარირებას ახდენს, არამედ ეძებს შესაძლებლობას თავისი ცოდნა სწორად გამოიყენოს იურიდიულად მნიშვნელოვან სიტუაციებში. სამართლებრივი სწავლება და აღზრდა წარმოადგენს პიროვნების სულიერი ფორმირების ერთიანი პროცესის ნაწილს, რომლის გარეშე შეუძლებელია სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის მიზნის რეალიზაცია.

სამართლებრივ აღზრდას აქვს შედარებით დამოუკიდებელი მიზანი, სპეციალური მეთოდები. იგი წარმოადგენს მრავალმიზნობრივ საქმიანობას, რომელიც გულისხმობს სტრატეგიული, ხანგრძლივი მიზნების არსებობას. მიზნები შეიძლება კონკრეტიზირებული იქნეს აღმზრდელობითი ზემოქმედების სუბიექტისა და ობიექტის გათვალისწინებით, ამ საქმიანობის ფორმებისა და საშუალებების გამოყენებით. შესაბამისად სამართლებრივი სწავლება და აღზრდა სამართლის, მისი პრინციპებისა და ნორმების შესახებ დაგროვილი ცოდნის გადმოცემას, საკუთარი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას გულისხმობს. საამისოდ აუცილებელია კანონმდებლობის ძირითადი დებულებების ათვისება, სამართლისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავება. მიღებული ცოდნა უნდა გარდაიქმნას მოქალაქის პირად რწმენაში, სამართლებრივი დანაწესების მკაცრ დაცვაში, შინაგან მოთხოვნილებაში – პატივი სცეს სამართლებრივ კანონს, გამოავლინოს სამართლებრივი და პროფესიულ-იურიდიული აქტივობა.

სამართლებრივი აღზრდის საშუალებებს მიეკუთვნება: სამართლებრივი პროპაგანდა, სამართლებრივი სწავლება, იურიდიული პრაქტიკა, თვითაღზრდა და ა.შ. აღნიშნულ საშუალებათა გამოყენებას საფუძვლად უდევს სამართლებრივი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სამართლისა და მისი რეალიზაციის პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გადაცემას, აღქმას, გადამუშავებასა და გამოყენებას. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „სამართლებრივი მინიმუმის" პრობლემას – სამართლებრივი ცოდნის სავალდებულო დონეს, რომელსაც უნდა ფლობდეს თითოეული მოქალაქე, დამოუკიდებლად თავისი პოლიტიკური სტატუსისა. სამართლებრივი აღზრდის სწორად ჩამოყალიბებული სისტემა მნიშვნელოვნად აამაღლებს საზოგადოების მართლშეგნებისა და კულტურის დონეს, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დაცვას.

სქემა №33. მართლშეგნება, სამართლებრივი კულტურა და სამართლებრივი აღზრდა



თავი XVI. სამართლებრივი ურთიერთობა

§ 1. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება

სამართლებრივ სივრცეში სამართლებრივი სისტემის ელემენტები კანონზომიერი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი, რაც განაპირობებს სამართლებრივი რეგულირების ქმედითობასა და ეფექტურობას. ამ სივრცის საწყისი ელემენტი, პირველადი „უჯრედი" სამართლის ნორმაა, მისი თანმდევი მოვლენა კი სამართლებრივი ურთიერთობაა, ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა სამართლის ნორმის საფუძველზე.

სამართლებრივ ურთიერთობასა და სამართლის ნორმას შორის დამოკიდებულებაში ნათლად ვლინდება მკაცრი იურიდიული ლოგიკა. კერძოდ ის, რომ სამართლებრივი რეგულირების რთულ პროცესში თითოეულ სამართლებრივ მოვლენას ობიექტურად განპირობებული როლი აკისრია და ყველა მათგანი ერთიანი სამართლებრივი მექანიზმის „მომუშავე" რგოლია.

სამართლებრივი ურთიერთობა საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა. საზოგადოებრივი ურთიერთობა არის კავშირი ადამიანთა შორის, რომელიც მყარდება მათი საქმიანობის პროცესში. ასეთი ურთიერთობა შეიძლება იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური, საოჯახო, მორალური, რელიგიური და ა.შ. თითოეული სახის საზოგადოებრივი ურთიერთობა რთული და მრავალმხრივია და გამოხატავს სხვადასხვა საზოგადოებრივ ინტერესს. ზოგიერთი მათგანი საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას, ზოგიერთი კი არა. არა ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობა და არა ყველა სრული ფორმით როდი ღებულობს იურიდიულ ფორმას. ურთიერთობამ შეიძლება მიიღოს სამართლებრივი ხასიათი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქცევის აქტი სოციალური მნიშვნელობისაა. თუ სახეზეა აზრი ან გრძნობა, რომელიც ასახული არ არის მოქმედებაში, არ შეიძლება ვილაპარაკოთ მათ იურიდიულ ბუნებაზე.

სამართლებრივი ურთიერთობა საზოგადოებრივი ურთიერთობის მხოლოდ ერთი მხარეა, მათი გამოხატვის სპეციფიკური ფორმაა, დაფუძნებული სამართლის ნორმებზე.

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლებრივი ურთიერთობის მრავალი განმარტებაა, თუმცა მათი არსი ერთნაირია.

სამართლებრივი ურთიერთობა არის სამართლის ნორმის საფუძველზე წარმოშობილი კავშირი პირთა შორის, რომლებთაც აქვთ ნორმით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი.

სამართლებრივი ურთიერთობა არის სამართლის ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლის მონაწილეებს გააჩნიათ სახელმწიფოს მიერ გარანტირებული და დაცული უფლება-მოვალეობანი.

სამართლებრივი ურთიერთობა არის მისი მონაწილეების გარეგანი თავისუფლების ფორმა. ეს თავისუფლება მათ მინიჭებული აქვთ სამართლის ნორმის საფუძველზე.

სამართლებრივ ურთიერთობას, როგორც მნიშვნელოვან, დამოუკიდებელ სამართლებრივ მოვლენას, ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

❑ სამართლებრივი ურთიერთობა არის საზოგადოებრივი ურთიერთობის განსაკუთრებული სახესხვაობა, ისეთი ფორმა, რომელიც ყალიბდება სამართლის ნორმის საფუძველზე. ცხოვრებისეული ურთიერთობანი ადამიანთა შორის (ეკონომიკური, პოლიტიკური, საოჯახო, ქონებრივი, სასიყვარულო და ა.შ.) არ კარგავენ თავიანთ თვისებას და დანიშნულებას, ისინი მხოლოდ ახალ ფორმას – სამართლებრივი ურთიერთობის ფორმას იძენენ. სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოშობს რაიმე ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას. იგი მხოლოდ ფორმაა რეალურად არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობებისა.

❑ სამართლებრივი ურთიერთობა ყალიბდება სამართლის ნორმის საფუძველზე, რომელშიც გამოხატული და განმტკიცებულია სახელმწიფოებრივი ნება. ბევრი საზოგადოებრივი ურთიერთობა რეგულირებულია მორალური, ჩვეულებითი, ტრადიციული ნორმებით. მაგრამ არის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც აუცილებლობით მოითხოვენ სამართლებრივ რეგულირებას (საოჯახო, ქონებრივი, შრომითი, პირადი და ა.შ.) სამართლის ნორმები და სამართლებრივი ურთიერთობანი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს აქვთ იურიდიული უფლება-მოვალეობანი, რომლებიც ზოგადი ფორმით არის განმტკიცებული სამართლის ნორმებში: მათი ქცევა აგებულია მოცემული უფლება-მოვალეობების შესაბამისად. არა მარტო იურიდიული ნორმები ახდენენ

ზემოქმედებას სამართლებრივ ურთიერთობებზე, არამედ სამართლებრივი ურთიერთობაც ახდენს გავლენას სამართლის ნორმებზე. სწორედ სამართლებრივი ურთიერთობის მეშვეობით რეალიზირდება პრაქტიკაში სამართლის ნორმები.

❑ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს აქვთ ურთიერთდაკავშირებული უფლება-მოვალეობანი, რომელთა ერთობლიობა სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიულ შინაარსს შეადგენს. თუ სამართლებრივი ურთიერთობის ერთ მონაწილეს აქვს უფლება, მეორეს აკისრია შესაბამისი მოვალეობა. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში მყიდველს აქვს უფლება გამყიდველისაგან მოითხოვოს ხარისხიანი ნივთის გადაცემა, ხოლო გამყიდველი მოვალეა შეასრულოს მისი მოთხოვნა. ჯერ კიდევ რომაელი იურისტები აღნიშნავდნენ, რომ უფლება შედგება უფლებამოსილებისა და მოვალეობებისაგან. ერთი პირის უფლებას ყოველთვის შეესაბამება მეორე პირის განსაზღვრული მოვალეობა.

❑ სამართლებრივი ურთიერთობა არის საზოგადოებრივი ურთიერთობის ისეთი სახესხვაობა, რომელიც წარმოიშობა მისი მონაწილეების შეგნებული ნებითი მოქმედების საფუძველზე, ობიექტურად, ცალკეული ინდივიდების ნებისაგან დამოუკიდებლად. სამართლებრივ ურთიერთობას აქვს შეგნებული ხასიათი, რაც ორ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტში ვლინდება. ერთი მხრივ სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა შეგნებულ, ნებითი საქმიანობის (სამართალშემოქმედების) შედეგს. მეორე მხრივ, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ახორციელებენ ნორმებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს, ასევე თავიანთი ნებითი, შეგნებული საქმიანობით.

❑ სამართლებრივი ურთიერთობის რეალიზაცია გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ და აუცილებელ შემთხვევაში დაცულია მისი იძულებითი ღონისძიებებით. სახელმწიფო ქმნის აუცილებელ ეკონომიკურ, სოციალურ და სხვაგვარ პირობებს სამართლის ნორმების სრული განხორციელებისათვის. იმ შემთხვევაში თუ დაირღვა უფლება-მოსილი ან ვალდებული პირის თავისუფლების საზღვრები, სახელმწიფო ატარებს იძულებით ღონისძიებებს მისი უზრუნველყოფისათვის.

სამართლებრივი ურთიერთობის სტრუქტურა

თანამედროვე იურიდიული თეორია და პრაქტიკა მიიჩნევს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა არ შეიძლება განხილულ იქნეს იმ ფაქტობრივი ურთიერთობისაგან მოწყვეტილად, რომლებიც აისახებიან სამართლებრივ ფორმაში. წარმოიშობიან რა სამართლის ნორმის საფუძველზე, ისინი ხდებიან ადამიანთა მოქმედების და ქცევის განსაკუთრებული ფორმები. სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული ფორმა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი შინაარსი ერთიანი, მთლიანი სოციალური მოვლენაა. ამასთანავე, ეს მთლიანი ინსტიტუციური წარმონაქმნი სტრუქტურულად რთული მოვლენაა. სამართლებრივი ურთიერთობის სტრუქტურა განსაზღვრავს სამართლებრივი ფორმის რომელი ძირითადი ელემენტები აძლევენ ფაქტობრივ ურთიერთობებს სახელმწიფოებრივ სტატუსს, უზრუნველყოფენ მათ დაცვასა და გარანტირებულობას.

სამართლებრივი ურთიერთობის სტრუქტურაში შედის ოთხი აუცილებელი ელემენტი: სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, უფლება და მოვალეობა (სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი).

სქემა №34. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება; წარმოშობის წანამძღვრები



§ 2. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი

სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს წარმოადგენენ ინდივიდები და ორგანიზაციები, რომლებიც იურიდიული ნორმის საფუძველზე შეიძლება იყვნენ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი, ჰქონდეთ იურიდიული უფლებანი და მოვალეობანი. ეს ზოგადი დებულება რეალურ ცხოვრებაში დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, კერძოდ, ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ ფაქტორებზე. მცირეწლოვნები, სულით ავადმყოფები, ჭკუასუსტები, ორგანიზაციები, რომლებმაც ეკონომიკური სიძნელეების გამო შეწყვიტეს არსებობა, ფაქტობრივად არ შეიძლება იყვნენ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები.

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს წარმოადგენენ ის სუბიექტები, რომლებიც იმყოფებიან სამართლებრივ სფეროში. იურიდიული თვისება – იყო სამართლის სუბიექტი არ წარმოიშობა თავისთავად. ეს არ არის ადამიანის ბუნებრივი თვისება, არამედ არის სამართლის ქმნილება. არც ბუნება, არც საზოგადოება, არამედ მხოლოდ სახელმწიფო განსაზღვრავს ვინ და რა პირობებში შეიძლება იყოს სამართლის სუბიექტი. მხოლოდ კანონს შეუძლია დაადგინოს ის განსაკუთრებული იურიდიული თვისება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს პიროვნებას და ორგანიზაციას გახდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. ამ თვისებას ეწოდება *სამართალსუბიექტობა* – სუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობა საზოგადოებაში. იგი მოიცავს ორ ელემენტს – უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას. სამართლებრივ ურთიერთობაში სუბიექტის მონაწილეობის ზომა განისაზღვრება უფლებაუნარიანობითა და ქმედუნარიანობით. სამართალსუბიექტობა, ისევე, როგორც მისი ელემენტები – უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა არ შეიძლება თვითნებურად წარმოიშვას, შეიცვალოს და გაუქმდეს: ეს მხოლოდ სამართლის პრეროგატივაა.

უფლებაუნარიანობა ეწოდება პირის (ფიზიკური და იურიდიული) უნარს და იურიდიულ შესაძლებლობას ჰქონდეს გარკვეული უფლებები და მოვალეობები.

უფლებაუნარიანობა ზოგადი ინსტიტუტია და იგი არ შეიძლება გაიგივებული იქნეს კონკრეტულ უფლებებთან. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის მოცულობა იმდენად დიდია, რომ კანონში ამომწურავი ჩამოთვლა შეუძლებელია.

იურიდიულ მეცნიერებაში და პრაქტიკაში განასხვავებენ საერთო, დარგობრივ და სპეციალურ უფლებაუნარიანობას.

საერთო უფლებაუნარიანობა არის პირის (ფიზიკური და იურიდიული) შესაძლებლობა იყოს ზოგადად სამართლის სუბიექტი.

დარგობრივი უფლებაუნარიანობა ნიშნავს პირის უნარს – იყოს სამართლის ამა თუ იმ დარგის სუბიექტი. ის სამართლის სხვადასხვა დარგში სხვადასხვანაირია.

სპეციალური უფლებაუნარიანობა არის პირის უნარი იყოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც წარმოიშობა განსაზღვრული თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით (პრეზიდენტი, მოსამართლე და ა.შ.). სპეციალური უფლებაუნარიანობის წარმოშობა მოითხოვს განსაკუთრებული პირობების შესრულებას. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, 86-ე მუხლის თანახმად კი, მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლიდან.

თანამედროვე პერიოდში უფლებაუნარიანობა ყველა ქვეყანაში მიჩნეულია, როგორც ზოგადსაყოველთაო პრინციპი და იგი ვრცელდება ყველაზე. მიუხედავად მოქალაქეობისა, თუმცა არც არის გამორიცხული, რომ უცხოელებს განსაზღვრული უფლებები შეეზღუდოთ.

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა იწყება მისი დაბადებიდან,[90] გრძელდება მთელი სიცოცხლის მანძილზე და წყდება მისი გარდაცვალების მომენტში. მედიცინის მონაცემებით, დაბადება იწყება იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი დამოუკიდებლად იწყებს სუნთქვას, ხოლო გარდაცვალების „ბიოლოგიური სიკვდილის" მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტის მომენტი.

ᲥᲛᲔᲓᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐ არის პირის კანონით დადგენილი უნარი და იურიდიული შესაძლებლობა უშუალოდ, თავისი მოქმედებით განახორციელოს უფლებანი და მოვალეობანი. როგორც უფლებაუნარიანობის, ასევე ქმედუნარიანობის ხასიათი და მოცულობა განსაზღვრულია სახელმწი-

[90] საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, ანდერძით მემკვიდრედ შეიძლება ცნობილი იქნას ბავშვი, რომელიც ჩაისახა სამკვიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში, მაგრამ დაიბადა მისი გარდაცვალების შემდეგ. აქ კანონი ითვალისწინებს მხოლოდ მოსალოდნელი მემკვიდრის ინტერესების დაცვას, თუმცა არ შეიძლება ჯერ კიდევ დაუბადებელ ნაყოფს ჰქონდეს უფლებაუნარიანობა.

ფოს მიერ და განმტკიცებულია სხვადასხვა ნორმატიული აქტებით.

ქმედუნარიანობაც იურიდიული თვისებაა და უფლებაუნარიანობასთან ერთად მიუთითებს სუბიექტის პოტენციურ შესაძლებლობაზე – იყოს სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.

ქმედუნარიანობის შინაარსის არსებითი ნიშანი არის პირის შესაძლებლობა დამოუკიდებლად ჩაერთოს სამართლებრივ ურთიერთობებში. ქმედუნარიანობა შეგნებული მოქმედების უნარია, იგი დაკავშირებულია პირის ნებასთან, რაც მოითხოვს მისი ფსიქიკური სიმწიფის დონეს. პირველყოვლისა, ეს დონე კანონის შესაბამისად, განისაზღვრება პირის ასაკით.

ასაკის შესაბამისად, ქმედუნარიანობა არსებობს სრული და ნაწილობრივი. სრული მოცულობით ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა იწყება სრულწლოვანების მიღწევიდან. სრულწლოვნად ითვლება პირი 18 წლის ასაკიდან. თუ პირი დაქორწინდება 18 წლის მიღწევამდე, მისი სრული ქმედუნარიანობა იწყება დაქორწინების დღიდან. გარდა ამისა, სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანი, რომელმაც მიაღწია 16 წლის ასაკს მოიპოვებს სრულ ქმედუნარიანობას, თუ იგი მუშაობს შრომის ხელშეკრულებით ან ეწევა საწარმოო საქმიანობას, რასაც *ემანსიპაცია*[91] ეწოდება.

7 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანი ითვლება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირად. იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებას ასეთი პირი ახორციელებს მშობლების, მშვილებლების, მზრუნველების თანხმობით, თუმცა შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს ზოგიერთი უფლება (მაგალითად, დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებანი). შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება აგრეთვე სრულწლოვანი პირი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა მისი ქმედუნარიანობის შეზღუდვით.

7 წლამდე მცირეწლოვნად ითვლება არაქმედუნარიანი, თუმცა ის უფლებაუნარიანობით სარგებლობს. მცირეწლოვანი პირის უფლებებს ახორციელებენ მისი კანონიერი წარმომადგენლები (მშობლები, მშვილებლები, მეურვეები).

გარდა ასაკისა, ქმედუნარიანობაზე გავლენას ახდენს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა. თუ სულით ავადმყოფობის, ან ჭკუასუსტობის გამო, მოქალაქე მოკლებულია შეგნებული მოქმედების უნარს, იგი შეი-

[91] „ემანსიპაცია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შეზღუდვის მოხსნას.

ძლება სასამართლოს მიერ აღიარებული იქნეს არაქმედუნარიანად ანუ ქმედუუნაროდ. ასეთი მოქალაქის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს მისი მეურვე. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, ქმედუნარიანობის შეზღუდვით მზრუნველობა შეიძლება დაწესდეს პირზე, რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.

ქმედუნარიანობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს სუბიექტების ნათესაობა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებს. ცივილიზებულ ქვეყნებში და მათ შორის, საქართველოშიც კანონი კრძალავს ქორწინებას პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ხაზის სისხლით ნათესავებს შორის, ღვიძლ და არაღვიძლ და-ძმას შორის, მშვილებელსა და ნაშვილებს შორის. კანონმდებლობით იკრძალება ერთი და იმავე დაწესებულებაში ცოლ-ქმრის მუშაობა, თუ ერთი ექვემდებარება მეორეს.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ქმედუნარიანობაზე არის სუბიექტის კანონმორჩილება. პირი, რომელიც დანაშაულის გამო იმყოფება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ბუნებრივია, ვერ განახორციელებს მთელ რიგ სამოქალაქო, პოლიტიკურ და სხვა უფლება-მოვალეობებს.

სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე.წ. იურიდიულ პირებს. იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩლედ და მოპასუხედ (საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხლი 24.).

იურიდიული პირები წარმოადგენენ, უპირველეს ყოვლისა, ქონებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს.

თავისებურება ახასიათებს იურიდიული პირის სამართლებრივ სტატუსს. სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა სპეციალურია, შეზღუდულია იმ მიზნებითა და ამოცანებით, რისთვისაც ისინი არიან შექმნილნი. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა წარმოიშობა და წყდება ერთდროულად, კერძოდ, წარმოიშობა მათი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მათი ლიკვიდაციის მომენტში.

სქემა №35. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები

სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს წარმოადგენენ ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც სამართლის ნორმების საფუძველზე შეიძლება იყვნენ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი.



სამართლებრივი სტატუსი — არის სამართლის სუბიექტის უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა

იურიდიული პირი — არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს.

§ 3. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი

სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის საკითხი ერთ-ერთი პრობლემურია იურისპრუდენციაში, ვინაიდან მეცნიერული აზრი მის შესახებ არაერთგვაროვანია.

ობიექტი სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელოვანი ელემენტია. თუ ობიექტი არ არის, ყოველგვარი სამართლებრივი ურთიერთობა ყველანაირ აზრს კარგავს. ისევე როგორც არ არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა სუბიექტების გარეშე, ასევე არ შეიძლება არსებობდეს ობიექტის გარეშე.

ზოგადი თვალსაზრისით, სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის ის, რაზედაც ზემოქმედებას ახდენს ეს ურთიერთობა. მაგრამ რა არის კონკრეტულად ის, რაზედაც ზემოქმედებას ახდენს სამართლებრივი ურთიერთობა?

სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის შესახებ თანამედროვე ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი წარმოდგენა ეყრდნობა დაგროვილ გამოცდილებას, იმ ავტორთა მოსაზრებებს, რომლებიც წლების განმავლობაში დაობდნენ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის დეფინიციის შესახებ.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სამართლის ობიექტი არის ძალა, კერძოდ, სამართლის სუბიექტის საკუთარი ძალა, ბუნების ძალა, ადამიანის ძალა და საზოგადოების ძალა.

ნაწილი მეცნიერებისა თვლის, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის „ყველაფერი ის, რაც შეიძლება შედიოდეს გარეგანი თავისუფლების სფეროში."

არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია ისეთი მოქმედება, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება.

არსებობს საკმაოდ ბევრი სხვა თვალსაზრისი, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად მიიჩნევენ ყველა ცხოვრებისეულ მოვლენას, რომლებიც განპირობებულია სუბიექტის უფლება-მოვალეობებით, აგრეთვე ადამიანთა ქცევის სხვადასხვა სახეებსა და მოტივებს, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის ინტერესებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის შესახებ მრავალ შეხედულებას შორის დომინირებს ორი თვალსაზრისი:

პირველი მოსაზრების თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია ის მატერიალური და სულიერი სიკეთე, გარემომცველი სამყაროს საგნები და მოვლენები, რომელზედაც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესები. ეს თვალსაზრისი გავრცელებული, მაგრამ არა ერთადერთია.

მეორე თვალსაზრისის მიხედვით სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის სამართლის სუბიექტების ნებითი ქცევა. ეს თვალსაზრისი ასეთი არგუმენტებითაა დასაბუთებული: სამართლებრივი ურთიერთობა აკონკრეტებს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ ზოგად უფლება-მოვალეობებს ინდივიდუალურ სუბიექტებთან მიმართებაში. უფლება-მოვალეობათა შინაარსის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები აყალიბებენ თავიანთ ქცევას, რომელსაც ყოველთვის აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა. იგი ხორციელდება საზოგადოების და პიროვნების მრავალფეროვანი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამყარებენ რა სამართლებრივ ურთიერთობას, სუბიექტები იკმაყოფილებენ განსაზღვრულ მატერიალურ, სულიერ და სხვაგვარ მოთხოვნებს (იძენენ ნივთებს, სარგებლობენ საავტორო ან გამომგონებლის უფლებით).

სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის ადამიანთა ქცევა, რომელიც სხვადასხვა შინაარსის არის. ქონებრივ ურთიერთობებში ობიექტი არის ადამიანის ისეთი ქცევა, რომელიც მიმართულია ცხოვრებისეული სიკეთის დასაკმაყოფილებლად. არაქონებრივ ურთიერთობებში ობიექტს წარმოადგენს სუბიექტების ფაქტობრივი ქცევა. მატერიალური და არამატერიალური სიკეთე წარმოადგენს მიზანს, რაზედაც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობა. იურისპრუდენციის ამოცანა არის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების ქცევის შესწავლა და არა ნივთები და სხვაგვარი სიკეთე, რომლის გამოც ამყარებენ ამ ურთიერთობას. იურისტისათვის მნიშვნელოვანია დაადგინოს ქმედების ხასიათი, მისი შესაბამისობა სუბიექტის უფლება-მოვალეობებთან. ასეთი შესაბამისობა სახეზეა, თუ მიღწეულია მიზანი, რომელიც დასახულია სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირთა მიერ. ნივთებს, საგნებს სწავლობენ ისეთი მეცნიერებანი, როგორიცაა ფილოსოფია, სოციოლოგია, ეკონომიკური მეცნიერება, საწარმოო

პრაქტიკა. იურისპრუდენცია კი ავლენს მხოლოდ ნივთის იურიდიულ თვისებებს, რომლებიც არიან სამართლებრივი ურთიერთობის ინტერესთა სფეროში.

ამდენად, მეცნიერული აზრი სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის შესახებ იმდენად წინააღმდეგობრივია, რომ გაძნელებულია მისი სწორი აღქმა. მკვლევარები არ დაობენ მხოლოდ იმაზე, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის ის, რაზედაც ზემოქმედებას ახდენს ეს ურთიერთობა.

ჩვენი აზრით, რამდენადაც სამართლებრივი ურთიერთობა სხვადასხვაგვარია, განსხვავებულია მისი ზემოქმედების ობიექტიც. ზოგიერთ სამართლებრივ ურთიერთობაში ობიექტი არის მატერიალური სიკეთე და ასეთია სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც მიმართულია ადამიანთა მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ. მაგალითად, საკუთრებით-სამართლებრივ ურთიერთობაში ვერაფერს ვერ გავარკვევთ, თუ მის ობიექტად არ ვაღიარებთ ნივთს, სხეულებრივ საგანს.

ზოგიერთ სამართლებრივ ურთიერთობაში, რომლებიც ორიენტირებულნი არ არიან სოციალურ საკითხზე, ძნელია ობიექტის განსაზღვრა. აქ ობიექტი არ არის გამოცალკევებული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ქცევისაგან. ასეთ ურთიერთობაში ობიექტი არის ვალდებული პირის ქცევა, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს უფლებამოსილი პირის ინტერესები. შეიძლება ობიექტი იყოს სუბიექტის ქცევის შედეგი. შესაბამისად იმისა, რომ განსხვავებულია სამართლის სხვადასხვა დარგის რეგულირების საგანი, განსხვავებულია სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტიც და ეს სავსებით გასაგებია.

სქემა №36. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი



§ 4. სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი (უფლება-მოვალეობანი)

სამართლებრივი ურთიერთობა არის ფაქტობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობის იურიდიული ფორმა. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ერთმანეთთან აკავშირებს უფლება-მოვალეობანი, რომელთა ერთობლიობა ქმნის სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკურ შინაარსს. უფლება-მოვალეობანი ერთმანეთთან დიალექტიკურ ურთიერთკავშირში იმყოფებიან, ერთი განაპირობებს მეორეს. არ არის უფლება მოვალეობის გარეშე და მოვალეობა უფლებასთან კავშირის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს ამ უფლებას. უფლება და მოვალეობა სამართლებრივი ურთიერთობის სტრუქტურული ელემენტებია, რომლებიც კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას ანიჭებენ განსაკუთრებულ თვისებებს. მათი ურთიერთკავშირის გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრების ჰარმონიზაცია შეუძლებელია.

ცივილიზებული სამოქალაქო საზოგადოება დარწმუნებულია, რომ საზოგადოების ერთი წევრის უფლების დაკმაყოფილება ხდება სხვისი მოვალეობით, რომ უფლება-მოვალეობანი წარმოადგენენ თავისუფლების იმ ზომას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაქსიმალურ სამართლიანობას, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების ინტერესების დაკმაყოფილების ხარისხს. ეს ზომა არ არის უსაზღვრო, მისი ჩარჩოები განსაზღვრულია სამართლის ნორმით.

უფლება და მოვალეობა სამართლებრივი ურთიერთობის სხვადასხვა ელემენტებია და მათი შინაარსიც განსხვავებულია.

უფლება არის კანონით გათვალისწინებული და სახელმწიფოს მიერ დაცული შესაძლებლობა სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტისა დაიკმაყოფილოს თავისი ინტერესები, რაც უზრუნველყოფილია მეორე პირის მოვალეობით. ეს შესაძლებლობა არის არა თვითნებური, არამედ სამართლებრივი, დასაშვები ქცევის ზომა. უფლება დაფუძნებულია არა უბრალო დაპირებაზე, პროგნოზზე ან ვარაუდზე, არამედ სამართლის ნორმაზე. პირის იურიდიული თავისუფლება შეიცავს მოთხოვნას, რომელიც მიმართულია მეორე პირისაკენ – პატივი სცეს ამ თავისუფლებას.

უფლება მნიშვნელოვანი, რთული იურიდიული მოვლენაა. მას აქვს თავისი სტრუქტურა და ფუნქციონალური დანიშნულება. უფლება შედგება ლოგიკურად დაკავშირებული სამი უფლებამოსილებისაგან. ესენია:

- დადებითი მოქმედების შესრულების უფლებამოსილება საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. მაგალითად, მესაკუთრეს აქვს უფლებამოსილება ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებაში მყოფ ნივთს. ამასთანავე, მესაკუთრეს არ შეუძლია გავიდეს სამართლის ნორმის ჩარჩოებიდან – გამოიყენოს თავისი საკუთრება სხვისი ინტერესების საზიანოდ.
- პირის უფლებამოსილება – მოსთხოვოს ვალდებულ პირს განსაზღვრული მოქმედების შესრულება თავისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, მყიდველს აქვს უფლებამოსილება მოითხოვოს გამყიდველისაგან ნაყიდი ნივთის გადაცემა.
- გაცხადების უფლებამოსილება – პირის შესაძლებლობა მოიყვანოს იძულების აპარატი მოქმედებაში, მიმართოს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით.

მაგალითად, სასამართლოში სარჩელის აღძვრის უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ ვალდებული პირი ნებაყოფლობით არ ასრულებს თავის მოვალეობას.

იურიდიული მოვალეობა ლოგიკურად შეესაბამება იურიდიულ უფლებას.

მოვალეობა არის კანონით გათვალისწინებული და სახელმწიფოს მიერ დაცული აუცილებელი ქცევის ზომა, რომელიც ვალდებულმა პირმა უნდა შეასრულოს უფლებამოსილი პირის ინტერესების სასარგებლოდ სამართლის ნორმის საფუძველზე.

მოვალეობის სტრუქტურა შედგება ორი ელემენტისაგან: აქტიური მოქმედების შესრულება და მოქმედებისაგან თავის შეკავება (პასიური ქცევა).

- მოვალეობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს აქტიური მოქმედების შესრულებას უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შესაბამისად სამართლის ნორმის საფუძველზე.
- იურიდიული მოვალეობა გამოიხატება გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავებაში. ასეთი მოვალეობა პასიური ხასიათისაა, რაც გამოიხატება კანონით გათვალისწინებული მოქმედებისაგან თავის შეკავებაში.

სამართლებრივ ურთიერთობაში უფლება-მოვალეობები ნორმალური ადამიანური ურთიერთობის აუცილებელი პირობაა. მათი განხორციელება ზემოქმედებას ახდენს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების ფაქტობრივ ქცევაზე, რომელიც განასახიერებს რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

სქემა №37. სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი (უფლება-მოვალეობანი)



§ 5. სამართლებრივი ურთიერთობის სახეები

სამართლებრივი ურთიერთობა დამოუკიდებელი სპეციფიკური იურიდიული მოვლენაა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მას მრავალმხრივი გამოვლინება აქვს, ამიტომ მრავალსახეობრივიც არის. სამართლებრივი ურთიერთობის კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

სამართლის დარგების შესაბამისად არსებობს: კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, სისხლის, სამოქალაქო, შრომის სამართლებრივი ურთიერთობა და ა.შ. სამართლის თითოეულ დარგში მათ თავიანთი თავისებურებანი გააჩნიათ.

საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზეგავლენის შესაბამისად სამართლებრივი ურთიერთობა იყოფა რეგულაციურ და დაცვით ურთიერთობებად.

რეგულაციური სამართლებრივი ურთიერთობა განსაზღვრავს მისი მონაწილეების უფლება-მოვალეობებს და მათი რეალიზაციის პირობებს. ასეთია, უპირატესად, სამოქალაქო, შრომის, საოჯახო და სხვა სამართლებრივი ურთიერთობანი.

დაცვითი სამართლებრივი ურთიერთობანი წარმოიშობიან მაშინ, როდესაც ხდება სამართალდარღვევა და საზოგადოებას სჭირდება სამართლებრივი დაცვის ზომები. ისინი ითვალისწინებენ იურიდიული პასუხისმგებლობის იმ ზომების რეალიზაციას, რაც გათვალისწინებულია დაცვითი სამართლებრივი ნორმებით. ასეთია, უპირატესად, სისხლის და ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობა.

ვალდებულების ხასიათის შესაბამისად განასხვავებენ აქტიური და პასიური ტიპის სამართლებრივ ურთიერთობებს. აქტიური ტიპის სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამოსილი პირის უფლებას შეესაბამება ვალდებული პირის აქტიური მოქმედება. პასიური ტიპის სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამოსილი პირის უფლებას შეესაბამება ვალდებული პირის პასიური მოქმედება.

სუბიექტთა კონკრეტიზაციის ხარისხის შესაბამისად სამართლებრივი ურთიერთობანი იყოფიან აბსოლუტურ და შეფარდებით სამართლებრივ ურთიერთობებად. აბსოლუტურ სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამოსილი პირის წინაშე ვალდებულება აკისრია ყველა სხვა პირს. ასეთ ურთიერთობაში არ არსებობს კონკრეტული ვალდებული პირი. ასეთი ვალდებულება ყველას ეკისრება. მაგალითად, საკუთრებით-სა-

მართლებრივ ურთიერთობაში მესაკუთრის უფლებას შეესაბამება ყველა პირის ვალდებულება – თავი შეიკავონ ამ უფლების დარღვევისაგან.

შეფარდებითია ისეთი სამართლებრივი ურთიერთობა, როცა უფლებამოსილი პირის წინაშე მოვალეობა ეკისრება ერთ ან რამდენიმე ანუ განუსაზღვრელი რაოდენობის პირებს. ასეთ ურთიერთობაში კონკრეტულად განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე პირს ეკისრება მოვალეობა. შეფარდებითია ყიდვა-გაყიდვის, ქირავნობის, ქონების მიბარების სამართლებრივი ურთიერთობა და ა.შ. მაგალითად, ზიანის მიყენების შემთხვევაში მიყენებული ზარალის ანაზღაურება ეკისრება მხოლოდ ზიანის მიმყენებელს.

§ 6. იურიდიული ფაქტები, ფაქტობრივი შემადგენლობა

სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი სამართლის ნორმაა. მაგრამ მხოლოდ ნორმა არ არის საკმარისი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისათვის. სამართლებრივ სივრცეში არის შუალედური რგოლი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს სამართლის ნორმასა და სამართლებრივ ურთიერთობას შორის. ეს არის ცხოვრებისეული გარემოებანი – იურიდიული ფაქტები, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა და დინამიკის აუცილებელი მხარეა.

იურიდიულ ფაქტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკაში. შესაბამისი იურიდიული ფაქტის არსებობაზე ბევრად არის დამოკიდებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების უფლება-მოვალეობათა აღიარება.

ბუნებასა და საზოგადოებაში არის მრავალრიცხოვანი და სულ სხვადასხვა ცხოვრებისეული გარემოებანი. მათგან არა ყველა ითვლება იურიდიულ ფაქტად, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც გათვალისწინებულია ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში და რომელთანაც კანონმდებელი აკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას. სამართლის ნორმის ჰიპოტეზაში სახელმწიფო განსაზღვრავს იმ ცხოვრებისეულ გარემოებებს, პირობებს და ფაქტებს, რომლებიც მნიშვნელოვნად არის მიჩნეული იურიდიული თვალსაზრისით და რომელთაც მოსდევს იურიდიული შედეგი.

იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღებას იმსახურებს იურიდიული ფაქტების შემდეგი დეფინიცია: იურიდიული ფაქტები სამართლის ნორმის ჰიპოტეზაში ჩამოყალიბებული ისეთი ცხოვრებისეული გარემოებებია, რომელთანაც კანონი აკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

იურიდიული ფაქტები ექვემდებარებიან განსაზღვრულ კანონზომიერებებს. მათი კლასიფიკაცია ხდება იურიდიული შედეგისა და ნებითი ნიშნის მიხედვით. იურიდიული შედეგის მიხედვით არსებობენ:

- იურიდიული ფაქტები, რომლებიც იწვევენ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას (მაგალითად, შრომის ხელშეკრულების დადება წარმოშობს შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას).
- იურიდიული ფაქტები, რომლებიც ცვლიან სამართლებრივ ურთიერთობას (მაგალითად, საბინაო ფართის გაცვლის ხელშეკრულება ცვლის სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს და შესაბამისად, სუბიექტების უფლება-მოვალეობებს).
- იურიდიული ფაქტები, რომლებიც წყვეტენ სამართლებრივ ურთიერთობებს (მაგალითად, ქონების გაყიდვის ხელშეკრულების შედეგად გამყიდველი კარგავს საკუთრების უფლებას).

იურიდიული ფაქტების კლასიფიკაციის კრიტერიუმებს შორის მნიშვნელოვანია მათი დაყოფა ნებელობითი ნიშნის მიხედვით. ამ თვალსაზრისით, განასხვავებენ ხდომილებას და მოქმედებას.

ხდომილება როგორც იურიდიული ფაქტი არ არის დამოკიდებული ადამიანის ნებაზე, მაგრამ იწვევს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. ხდომილება ბუნების მოვლენებია (დაბადება, გარდაცვალება, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.). იურიდიულ ფაქტს წარმოადგენს არა ყველა, არამედ ისეთი ხდომილება, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და საზოგადოებაში არსებულ ურთიერთობებზე. მაგალითად, ბავშვის დაბადება წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობას მშობლებსა და შვილებს შორის, გარდაცვალება – მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობას.

მოქმედება ისეთი იურიდიული ფაქტია, რომელიც მთლიანად არის დამოკიდებული ადამიანთა ნებაზე და ადამიანთა შეგნებული ქცევაა. მოქმედება ორგვარიაა: მართლზომიერი და არამართლზომიერი.

მართლზომიერია ადამიანთა მოქმედება, რომელიც შეესაბამება

სამართლის ნორმის მოთხოვნებს, არ გამოდის სამართლით ნებადართულის ფარგლებიდან. თავის მხრივ, მართლზომიერი მოქმედება იყოფა იურიდიულ აქტებად და იურიდიულ ქცევებად.

იურიდიული აქტი ისეთი მართლზომიერი მოქმედებაა, რომელსაც სპეციალურად ასრულებენ ადამიანები, რათა წარმოიშვას განსაზღვრული იურიდიული შედეგი. ზოგიერთი მათგანი სახელისუფლო ხასიათისაა. მაგალითად, აღმასრულებელი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილება. ბევრ მათგანს არ აქვს სახელისუფლო ხასიათი. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ქირავნობის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებანი და სხვ.

იურიდიული ქცევა ისეთი მართლზომიერი მოქმედებაა, რომელიც სპეციალურად არ არის მიმართული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, თუმცა იწვევენ ასეთ შედეგს. მაგალითად, მხატვრული ნაწარმოების შექმნა, განძის ან ნივთის პოვნა.

არამართლზომიერი მოქმედება ისეთი იურიდიული ფაქტია, რომელიც ეწინააღმდეგება (არ შეესაბამება) სამართლის ნორმის მოთხოვნებს და მას სამართალდარღვევასაც უწოდებენ. არამართლზომიერი მოქმედება არღვევს ქვეყანაში დადგენილ მართლწესრიგს. საზოგადოებრივი საშიშროების, მიყენებული ზიანის და სამართალდამრღვევი პირის ბრალის შესაბამისად, არამართლზომიერი მოქმედება როგორც იურიდიული ფაქტი იყოფა: დანაშაულად, ადმინისტრაციულ და დისციპლინარულ გადაცდომად და სამოქალაქო-სამართლებრივ დარღვევად ანუ დელიქტად.

ზოგჯერ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისათვის აუცილებელია არა ერთი, არამედ რამდენიმე იურიდიული ფაქტი, მათი ერთობლიობა. ასეთ შემთხვევაში სახეზეა რთული ფაქტობრივი შემადგენლობა. მაგალითად, მოქალაქისათვის პენსიის დანიშვნა მოითხოვს ისეთი იურიდიული ფაქტების კომპლექსს, როგორიცაა: კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევა, შრომითი სტაჟი, პირის განცხადება პენსიის დანიშვნის შესახებ და კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება. ფაქტობრივი შემადგენლობა ასახავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სირთულესა და სპეციფიკას, რომლებიც საჭიროებენ სწორ სამართლებრივ რეგულირებას.

სქემა №38. იურიდიული ფაქტები



თავი XVII. სამართლის მოქმედება და მისი რეალიზაციის ფორმები

§ 1. სამართლის მოქმედების ცნება

საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლის ფენომენის არსებობის აზრი გამოიხატება მის უნარში – მოაწესრიგოს რთული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ზემოქმედება მოახდინოს ადამიანთა ნებასა და შეგნებაზე. სამართალი წარმოადგენს უმაღლეს სოციალურ ღირებულებას, მაგრამ მხოლოდ მაშინ როცა მისი პრინციპები და ნორმები ხორციელდება ცხოვრებაში, რეალიზირდება სოციალური ურთიერთობის სუბიექტთა მოქმედებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლის არსებობა ყოველგვარ აზრს დაკარგავდა. სამართლის აქტიური შემოქმედებითი საწყისი მოწოდებულია შეცვალოს სოციალური გარემო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაამკვიდროს წესრიგი და სტაბილურობა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სოციუმის არსებობისა და განვითარებისათვის.

სამართლებრივი სისტემა შეიძლება დასაბუთებული იქნას იმის გათვალისწინებით, თუ როგორ მოქმედებს სამართალი. ყველაზე სრულყოფილი კანონების მიღება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, მნიშვნელოვანია მათი განხორციელება ცხოვრებაში.

სამართლის მოქმედება გამოიხატება მთელი სამართლებრივი სისტემის და თითოეული სამართლებრივი ნორმის ფუნქციონირებაში. იგი განაპირობებს სამართლის დინამიზმს და აქტიურ შემოქმედებით პოტენციალს. სამართლის მოქმედება ნიშნავს გადასვლას სოციალური მოდელიდან და აბსტრაქტული ღირებულებიდან რეალურ სივრცეში და პრაქტიკულ რეალობაში.

სამართლის მოქმედება ვლინდება შინაგან და გარეგან ფორმებში. შინაგანი მხარე დაკავშირებულია სამართლის ადრესატების მიერ სამართლის აღქმასთან: სამართლის მოქმედების პერსპექტივა ბევრად არის დამოკიდებული იმ ადამიანებზე (ადრესატებზე), რომლებიც სამართალს შინაგანი რწმენის საფუძველზე იცავენ. სამართლის მოქმედე-

ბის გარეგანი მხარე მოიცავს იმ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებშიც სამართალი ავლენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულატორის თვისებას.

სამართლის მოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანთა ინტერესებთან და საზოგადოების მოთხოვნებთან. სამართლის მოქმედებას განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და საკუთრივ სამართლებრივი ფაქტორები. მათთან უშუალოდ არის დაკავშირებული სამართლის მოქმედების პერსპექტივები. არ შეიძლება სამართლის მოქმედება შეფასდეს სახელმწიფო საქმიანობისგან მოწყვეტილად. სახელმწიფო ქმნის მტკიცე გარანტიებს სამართლის მოქმედების, სამართლის ნორმების რეალიზაციის უზრუნველყოფისათვის. სახელმწიფო შეიმუშავებს სამართლებრივი რეგულირების საშუალებებს, ხელს უწყობს მათ ამოქმედებას იმისათვის, რომ სამართალმა მიაღწიოს მიზანს, რაც მას აკისრია საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სამართლის მოქმედების შედეგი განისაზღვრება საზოგადოებაში სამართლიანობის საწყისის დამკვიდრებით. სამართლიანობა არ იქმნება თავისთავად მთელი თავისი მოცულობით. იგი საზოგადოებაში მკვიდრდება სამართლის მოქმედების შედეგად. რაც უფრო ქმედითი და ეფექტურია სამართლის მოქმედება, მით უფრო მაღალია სამართლიანობის ხარისხი. მართალია, დღემდე არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია განაცხადოს, რომ იგი სამართლიანია, მაგრამ თუ საზოგადოებაში მთლიანად არ არის აღმოფხვრილი სამართლიანობის საწყისი, ეს სამართლის დამსახურებაა.

§ 2. სამართლის რეალიზაციის ფორმები

სამართლის მოქმედება რეალიზდება[92] სხვადასხვა ფორმაში. ეს ფორმებია: სამართლის ნორმების დაცვა, შესრულება და გამოყენება.

სამართლის ნორმების დაცვა, სამართლის რეალიზაციის ისეთი ფორმაა, რომელიც მდგომარეობს კანონით აკრძალული მოქმედებისგან თავის შეკავებაში. დაცვა ქცევის პასიური ფორმაა და ამ

[92] ტერმინი „რეალიზაცია" წარმომდგარია ლათინური სიტყვისაგან „realis", რაც ნიშნავს განივთებას. დღევანდელი გაგებით რეალიზაცია განისაზღვრება როგორც რაიმეს განხორციელება ცხოვრებაში, რაიმეს გატარება.

ფორმაში რეალიზირდება ამკრძალავი ნორმები. მაგალითად, შრომის კანონმდებლობა კრძალავს 18 წლამდე მოზარდის დაშვებას ღამის და საზეგანაკვეთო სამუშაოებზე. საწარმოს ადმინისტრაცია არ დაუშვებს რა არასრულწლოვნებს ასეთი სახის სამუშაოზე, იცავს სამართლის ნორმებს.

სამართლის ნორმების შესრულება. რეალიზაციის ეს ფორმა ხორციელდება სამართლის სუბიექტების მიერ აქტიური მოქმედების სახით, მათზე დაკისრებული იურიდიული მოვალეობების შესრულებით. ამ ფორმაში რეალიზირდება სამართლის მავალებელი ნორმები. სამართლის ნორმის შესრულება გამომდინარეობს სახელმწიფო ნებითი ბუნებიდან. მაგალითად, მოქალაქე ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი, თუნდაც მას ამის გაკეთება არ სურდეს.

სამართლის ნორმების გამოყენება. სამართლის რეალიზაციის ამ ფორმის დროს ხდება იმ უფლებათა განხორციელება, რომელიც მინიჭებული აქვთ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს. გამოყენების ფორმაში რეალიზირდება აღმჭურველი ნორმები. სამართლის გამოყენება არის იურიდიულ შესაძლებლობათა, იურიდიულ თავისუფლებათა რეალიზაცია (მაგალითად, მესაკუთრეს უფლება აქვს ფლობდეს, იყენებდეს, განკარგავდეს საკუთარ ნივთს).

სამართლის რეალიზაცია – სამართლის ნორმების დანაწესების განსახიერება ადამიანთა ქცევებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში ზემოთ განხილული ტიპური ფორმების გარდა ვლინდება ისეთ განსაკუთრებულ ფორმაში, როგორიცაა სამართლის შეფარდება.

სქემა №39. სამართლის მოქმედება და მისი რეალიზაციის ფორმები



§ 3. სამართლის შეფარდება როგორც სამართლის რეალიზაციის სპეციფიკური ფორმა

სამართლის შეფარდება სამართლის რეალიზაციის სპეციფიკური ფორმაა, რომლის გარეშე შეუძლებელია სამართლის სრული რეალიზაცია, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულფასოვანი რეგულირება. იგი სპეციფიკურია იმ თვალსაზრისით, რომ მოქმედებას იწყებს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. კერძოდ, სამართლის შეფარდება აუცილებელია:

❍ როცა იურიდიული ნორმით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი არ შეიძლება წარმოიშვას კომპეტენტური ორგანოების საქმიანობის გარეშე (მაგალითად, მოქალაქეს პენსია დაენიშნება, საამისოდ უფლებამოსილი ორგანოების მიერ).

❍ როცა ჩადენილია სამართალდარღვევა და აუცილებელია სამართალდამრღვევის მიმართ შესაბამისი იურიდიული ზომების განსაზღვრა (მაგალითად, დამნაშავის მიმართ განაჩენის გამოტანა).

❍ როცა აუცილებელია დაცული იქნეს პირის უფლება (მაგალითად, სასამართლოს მიერ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის განხილვა).

სამართლის შეფარდება არის კომპეტენტური ორგანოების და თანამდებობის პირების სახელისუფლო უფლებამოსილება მოქმედი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე გადაჭრას კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების საკითხი.

ამ დეფინიციიდან გამომდინარე შეიძლება გამოიკვეთოს სამართლის შეფარდების სპეციფიკური ნიშნები:

❍ სამართლის რეალიზაციის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით სამართალშეფარდებითი საქმიანობა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილმა სახელმწიფო ორგანომ ან თანამდებობის პირმა. ასეთი ორგანოებია: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, პროკურატურის ორგანოები, სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირები და ა.შ. ყველაზე მკაფიო გამოხატულებას სამართლის შეფარდება პოულობს სასამართლო ორგანოთა საქმიანობაში, რამდენადაც მათ მიერ ყველა საკითხის გადაწყვეტა სამართლის ნორმის საფუძველზე ხდება.

მოქალაქეებს, რომლებიც არ წარმოადგენენ თანამდებობის პირებს, არ აქვთ სამართლის შეფარდების უფლება.

❍ სამართლის შეფარდება სახელმწიფო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა და სახელმწიფო სახელისუფლო ხასიათი აქვს. შესაბამისად, სამართლის შეფარდების პროცესში გამოცემულ აქტებს აქვთ იურიდიული ძალა და მათი შეუსრულებლობა იწვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას. სამართლის შეფარდება, როგორც სახელმწიფო-სახელისუფლო საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფოს სახელით.

❍ სამართალშეფარდებითი საქმიანობა ხორციელდება კანონით მკაცრად დადგენილი წესით. არსებობს სამართალშეფარდებითი საქმიანობის განსაზღვრული პროცედურები სასამართლო, ადმინისტრაციულ, საგამომძიებლო და სხვა სახელმწიფო ორგანოებში, რომლებიც ყოველთვის ერთნაირნი არ არიან.

❍ სამართალშეფარდებითი საქმიანობა მიმართულია კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ – უფლებების, მოვალეობების, პასუხისმგებლობის განსაზღვრისაკენ.

❍ სამართალშეფარდებითი საქმიანობის შედეგი ფიქსირებულია სამართლის შემფარდებელი ორგანოს ინდივიდუალურ აქტში, რომელსაც სამართლის შეფარდებითი აქტი ეწოდება.

როგორც მნიშვნელოვანი სახელმწიფო-სახელისუფლო საქმიანობა სამართლის შეფარდება დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ პრინციპებზე, როგორიცაა კანონიერების, სოციალური სამართლიანობის, მიზანშეწონილობის, დასაბუთებულობის პრინციპი.

კანონიერების პრინციპი სამართლის შეფარდებით საქმიანობაში გულისხმობს სამართლის შემფარდებელი ორგანოების და თანამდებობის პირების უფლებამოსილების განხორციელებას კანონებთან ზუსტ შესაბამისობაში. კანონის ფარგლებში და კანონით დადგენილ პროცედურებში.

სოციალური სამართლიანობის პრინციპი ნიშნავს სამართლის შემფარდებელი ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობას მთელი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. სამართლებრივ სახელმწიფოში ამ პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ასეთ სახელმწიფოში არ არსებობს ვიწრო კლანური ინტერესები, არამედ საერთო საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა სახელმწიფოს პრეროგატივაა.

მიზანშეწონილობის პრინციპი გულისხმობს ამა თუ იმ ინდივიდუალური სამართლებრივი ჟქტის მიღების დროს ჩამოყალიბებული

სიტუაციის სპეციფიკის გათვალისწინებას და სამართლებრივი მოთხოვნების რეალიზაციის ოპტიმალური ვარიანტის არჩევას.

დასაბუთებულობის პრინციპის არსი მდგომარეობს საქმის ირგვლივ არსებული ყველა იურიდიული მასალის გამოვლენაში, გულმოდგინე შესწავლაში, გამოყენებაში და გადაწყვეტილების მიღებაში კარგად შესწავლილი, საიმედო და უეჭველი ფაქტების საფუძველზე.

§ 4. სამართლის შეფარდების სტადიები

სამართლის შეფარდება ერთიანი, ამასთანავე რთული და დროში გახანგრძლივებული პროცესია. იგი მრავალსაფეხურიანი საქმიანობაა, შედგება ცალკეული სტადიებისგან, რომლებშიც ასახულია სამართალშეფარდებითი საქმიანობის ლოგიკური თანმიმდევრობა. ეს სტადიებია:

- საქმის ფაქტიურ გარემოებათა დადგენა და ანალიზი.
- შესაფარდებელი ნორმის შერჩევა და ნორმის სამართლებრივი სტატუსის გარკვევა (მოქმედებს თუ არა ნორმა, როგორია მისი დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ მოქმედება და ა.შ.)
- საქმეზე გადაწყვეტილების მიღება და მისი დოკუმენტალური გაფორმება.

საქმის ფაქტიურ გარემოებათა დადგენა და ანალიზი. ფაქტიური გარემოებანი ცხოვრებისეული, რეალური სინამდვილის მოვლენებია, რომლებიც ქმნიან სამართალშეფარდების ფაქტობრივ საფუძველს. სამართალშემფარდებელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეაგროვოს და ზუსტად გამოიყენოს ის ფაქტები, რომლებიც აუცილებელია იურიდიული საქმის სწორად გადაწყვეტისთვის. ფაქტების დადგენა უნდა იყოს დასაბუთებული და კანონიერი. მასზე ბევრად არის დამოკიდებული სამართალშეფარდების სისწორე. გარემოებათა დადგენის დასაბუთებულობას და სისრულეს ბევრად განაპირობებს ფაქტების ღრმა და ყოველმხრივი გამოკვლევა, მათი ჭეშმარიტებისა და ობიექტურობის გათვალისწინება. ფაქტების დადგენის შემდგომ უნდა მოხდეს მათი გაანალიზება. ურთიერთკავშირში, მიზეზშედეგიანობის გათვალისწინებით და მიეცეს იურიდიული შეფასება. სამართალშემფარდებელმა უნდა შეაფასოს არა ერთი, არამედ რამდენიმე ფაქტი. ფაქტიურ გარემოებათა შეფასება გულისხმობს მათ შესაბამისობას იმ ნორმასთან, რომელიც შეეფარდება ამ გარემოებებს.

იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენასა და შეფასებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმეთა ჩვენებებს, შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, ექსპერტიზას, დოკუმენტების, საგნებისა და სხვა მონაცემების გამოკვლევას და ა.შ. რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში *იურიდიულ მტკიცებულებებს* უწოდებენ.

მტკიცებულებებთან დაკავშირებულია ისეთი კატეგორიები, როგორიცაა პრეზუმფცია, ფიქცია და მტკიცების ტვირთი.

პრეზუმფცია მტკიცების სფეროში ნიშნავს ვარაუდს. ე. ი. ფაქტი ითვლება დადასტურებულად, სანამ იგი არ იქნება უარყოფილი. ის, ვინც ეყრდნობა ვარაუდს, არ არის ვალდებული ამტკიცოს საპირისპირო. სისხლის სამართალში არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც კონსტიტუციურ დონეზეა განმტკიცებული. „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით" – ადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 ჯმუხლის პირველი პუნქტი.

რაც შეეხება *ფიქციას*, მისი მეშვეობით სამართალი ქმნის საკუთარ რეალობას. ფიქციის დროს განსაზღვრული იურიდიული შედეგი დაკავშირებულია ფაქტთან, ამიტომ ფიქციის უარყოფა არ შეიძლება. მაგალითად, კანონის ცოდნის ფიქცია გულისხმობს, რომ ყველა იცნობს კანონს და კანონის არ ცოდნა არ არის კანონის გამოუყენებლობის ან პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

მტკიცების ტვირთი ნიშნავს მტკიცების წარდგენის და დასაბუთების ვალდებულებას. სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართალში მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალმდებელს. ბრალდებული ვალდებული არ არის დაამტკიცოს თავისი არაბრალეულობა. სამოქალაქო სამართალში კი მტკიცების ტვირთი თანაბრად არის განაწილებული მხარეთა შორის, რადგან კერძო სამართლის სფეროში სუბიექტები თანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში არიან.

შესაფარდებელი ნორმის შერჩევა და ნორმის სამართლებრივი სტატუსის გარკვევა. სამართალშემფარდების მეორე სტადიაზე, ფაქტიურ გარემოებათა იურიდიული მნიშვნელობის გარკვევის შემდეგ სამართალშემფარდებელი ორგანო ან თანამდებობის პირი განსაზღვრავს რომელი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე უნდა გადაწყდეს განსახილველი საქმე. სამართალშემფარდებელი ვალდებუ-

ლია გულმოდგინედ, ყოველმხრივ გამოიკვლიოს შესაძლებელია თუ არა შერჩეული ნორმა შეეფარდოს მოცემულ შემთხვევას. ნორმის შერჩევა არის ფაქტიურ გარემოებათა იურიდიული შეფასება ანუ იურიდიული კვალიფიკაცია.

„ნორმის შერჩევა რთული აზრობრივი პროცესია. გარდა კანონისა, სამართალშემფარდებელმა უნდა გაითვალისწინოს სამართლის სხვა წყაროებიც – ჩვეულებითი სამართალი, სასამართლო პრაქტიკა, იურიდიული დოქტრინა. სამართლის ნორმა იურისტმა უნდა შეარჩიოს უზარმაზარი საკანონმდებლო მასივიდან (რომელსაც ხშირად საკანონმდებლო ჯუნგლებსაც უწოდებენ). სათანადო ნორმის მოძიების პროცესი განსაკუთრებით პრობლემურია თანამედროვე უაღრესად დიფერენცირებულ სამართლებრივ სისტემებში. ნორმის შერჩევის პროცესს მნიშვნელოვნად ართულებს კანონმდებლობის ხშირი ცვლაც“ – აღნიშნავს პროფესორი გ. ხუბუა.[93]

საქმის ფაქტიურ გარემოებათა იურიდიული კვალიფიკაცია ყველაზე პასუხსაგები მომენტია სამართლის შეფარდების პროცესში. ნორმის სწორად შერჩევა ნიშნავს სწორ იურიდიულ კვალიფიკაციას და შესაბამისად სამართლის ნორმის სწორ შეფარდებას. შეცდომა ნორმის შერჩევაში, საქმის არასწორი კვალიფიკაცია და არასწორი შეფარდება დიდ ზიანს აყენებს კანონიერების რეჟიმს, მოქალაქეთა და იურიდიული პირების უფლებებსა და ინტერესებს.

სამართალშემფარდებლის მიერ შერჩეული ნორმის ტექსტი უნდა შემოწმდეს კანონიერების თვალსაზრისით, უნდა გაირკვეს ხომ არ არის ტექსტში დაშვებული შეცდომები, ხომ არ შეიცვალა მოცემული ნორმა. აუცილებელია სამართალშემფარდებელმა ისარგებლოს იმ ტექსტით, რომელიც გამოქვეყნებულია ოფიციალურ გამოცემაში, უფრო მეტიც გამოყენებული უნდა იქნეს ოფიციალური გამოცემის ბოლო რედაქცია. სამართალშემფარდებელმა ორგანომ უნდა გაარკვიოს ხომ არ ეწინააღმდეგება შერჩეული ნორმა კანონს ან სხვა ნორმატიულ აქტს. სამართლის ნორმა შეიძლება შეფარდებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როცა იგი შეესაბამება ზემდგომი ორგანოს აქტების დანაწესებს.

შერჩეული ნორმის ანალიზი გულისხმობს ნორმის დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ მოქმედების საკითხის გარკვევას, იმის ზუსტ დადგენას:

[93] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 195

❑ მოქმედებს თუ არა ნორმა იმ მომენტში, როცა მის საფუძველზე უნდა მოხდეს კონკრეტული საქმის გადაწყვეტა;

❑ მოქმედებს თუ არა იმ ტერიტორიაზე, სადაც მოცემული საქმე უნდა გადაწყდეს;

❑ ვრცელდება თუ არა შესაფარდებელი ნორმის მოქმედება პირებზე, რომელთა მიმართ უნდა იქნეს ნორმა შეფარდებული.

სამართლის ნორმის შერჩევისა და ანალიზის პროცესში ზოგჯერ აღმოჩნდება, რომ მოცემულ შემთხვევას არეგულირებს რამდენიმე ნორმა, რომლებიც ემთხვევიან ან ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს თავისი შინაარსით. ასეთ შემთხვევას იურისპრუდენციაში ეწოდება სამართლის ნორმათა **კოლიზია**. კოლიზიის შემთხვევაში ნორმის სწორად შეფარდება გულისხმობს კოლიზიური ნორმებიდან ისეთის შერჩევას, რომელსაც უნდა მიეცეს უპირატესობა. ნორმათა კოლიზიის პრობლემა სამართალშემფარდებელმა უნდა გადაჭრას შემდეგი წესების დაცვით:

❑ თუ კოლიზია არსებობს სხვადასხვა ორგანოების მიერ გამოცემულ ნორმებს შორის, მაშინ შეფარდებული უნდა იქნეს ზემდგომი ორგანოს ნორმები, რადგან მათ უფრო მაღალი იურიდიული ძალა აქვთ.

❑ თუ კოლიზია არსებობს ერთი და იმავე ორგანოს, მაგრამ სხვადასხვა დროს მიღებულ ნორმებს შორის, უნდა შეეფარდოს გვიან მიღებული ნორმა ე. ი. ნორმა, რომელიც ქრონოლოგიურად ახალია.

❑ თუ კოლიზია არსებობს ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის, უნდა შეეფარდოს სპეციალური ნორმა.

კომპეტენტური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა და მისი დოკუმენტალური გაფორმება. სამართალშეფარდების დამამთავრებელ სტადიას წარმოადგენს საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა და მისი დოკუმენტალური გაფორმება. კონკრეტული გადაწყვეტილების გამოტანამდე, კომპეტენტური ორგანო უნდა დარწმუნდეს, რომ საქმის ირგვლივ არსებული გარემოებანი გამოკვლეულია სწორად და საკმაო სისრულით, რომ შერჩეული ნორმა უნდა შეეფარდოს სწორედ მოცემულ შემთხვევას. მათ საფუძველზე ხდება სახელისუფლებო გადაწყვეტილების გამოტანა წერილობით და მისი გაფორმება დოკუმენტალურად სამართალშეფარდებით აქტში. ამით სამართალშეფარდებითი პროცესი მთავრდება და იწყება გამოტანილი გადაწყვეტილების რეალიზაცია, აქტით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა განხორციელება.

სქემა №40. სამართლის შეფარდება და მისი სტადიები

სამართლის შეფარდება	სამართლის შეფარდება არის კომპეტენტური ორგანოებისა და თანამდებობის პირთა სახელისუფლებო უფლებამოსილება, მოქმედი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე გადაჭრას კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების საკითხი.

§ 5. სამართლის შეფარდების აქტები

სამართალშეფარდებითი საქმიანობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს სამართლის შეფარდების აქტი, რომელშიც ფიქსირებულია მიღებული გადაწყვეტილება.

სამართლის შეფარდების აქტი არის კომპეტენტური ორგანოს ან თანამდებობის პირის ოფიციალური სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც მიღებულია იურიდიული ფაქტებისა და სამართლის ნორმის საფუძველზე, ინდივიდუალური კონკრეტული იურიდიული საქმის გადასაწყვეტად.

სამართლის შეფარდების აქტებს ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი:

❍ სამართლის შეფარდების აქტი არის არა ნორმატიული, არამედ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. ამდენად მას იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ იმ კონკრეტული საქმის მიმართ, რომლის გამოც არის მიღებული. თუ ნორმატიული სამართლებრივი აქტი არეგულირებს მრავალ ერთგვაროვან ურთიერთობას, ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომლებიც იმყოფებიან მისი მოქმედების სფეროში და გათვალისწინებულია მრავალჯერადი შეფარდებისთვის, ინდივიდუალური აქტები არ შეიცავენ სამართლის ნორმებს, ისინი მხოლოდ აკონკრეტებენ ზოგად დანაწესებს ცალკეულ პირებთან ან ორგანიზაციებთან მიმართებაში და აქვთ ერთჯერადი მნიშვნელობა. ამიტომ სამართლის შეფარდების აქტები არ წარმოადგენენ სამართლის წყაროს და არც კანონმდებლობის კრებულებში არ არიან შეტანილნი.

❍ სამართლის შეფარდების აქტებს აქვთ სახელისუფლო ხასიათი და დაცულნი არიან სახელმწიფოს მიერ. მათში ფიქსირებული კონკრეტული დანაწესი სავალდებულო ძალის არის ყველასათვის, ვისაც ეხება და მისი შესრულება აუცილებელ შემთხვევაში უზრუნველყოფილია იძულებითი ღონისძიებებით. მაგალითად, სასამართლოს განაჩენი დამნაშავე პირის მიმართ სასჯელის შეფარდების შესახებ უნდა აღსრულდეს.

❍ სამართლის შეფრდების აქტი უნდა იყოს კანონიერი, მიღებული კანონებთან ზუსტ შესაბამისობაში. თუ სამართლის შეფარდების აქტი არ შეესაბამება კანონს, იგი უნდა გაუქმდეს. მაგალითად, სასამართლოს განაჩენი ან გადაწყვეტილება, თუ ისინი არ ემყარებიან შესაბამის კანონს, გაუქმდებიან დადგენილი წესით.

❍ სამართლის შეფარდების აქტები გამოიცემიან კანონით დაწესებული ფორმით და ზუსტი დასახელებით. კანონი ითვალისწინებს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გამოცემისა და გაფორმების მკაცრად განსაზღვრულ წესს. მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოების (სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა) აქტებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ შემდეგი რეკვიზიტები:

❑ შესავალი ნაწილი, რომელშიც მითითებულია აქტის დასახელება, აქტის გამომცემი ორგანო, გამოცემის დრო, კონკრეტული ადრესატები.

❑ აღწერილობითი ნაწილი, სადაც გადმოცემულია საქმის ფაქტიური გარემოებანი.

❑ მოტივირებული ნაწილი, მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებით.

❑ რეზოლუციური ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია გადაწყვეტილების შინაარსი.

ასეთი სტრუქტურა დამახასიათებელია სამართლის შეფარდების აქტების უმრავლესობისათვის, თუმცა გვხვდება მარტივი აქტები, მხოლოდ რეზოლუციის ფორმით (მაგალითად, პროკურატურის მიერ საბრალდებო დასკვნის დამტკიცება, რეზოლუცია საგამოძიებო ორგანოებისთვის შესამოწმებელი მასალების გადმოცემის შესახებ).

სამართლის შეფარდების თითოეული აქტს აქვს თავისი მკაფიოდ განსაზღვრული სახელწოდება: განაჩენი, გადაწყვეტილება, ბრძანება, დადგენილება, განკარგულება.

სამართლის შეფარდების აქტები მრავალსახეობრივია და მათი კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა საფუძვლით:

გამომცემი სუბიექტების მიხედვით სამართლის შეფარდების აქტები იყოფიან შემდეგ სახეებად:

❍ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების აქტები;

❍ სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების აქტები;

❍ სამართალდაცვითი სახელმწიფო ორგანოების (სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა ორგანოების აქტები);

❍ სახელმწიფო კონტროლის ორგანოების (საგადასახადო ინსპექციის, საბაჟო ორგანოების) აქტები.

სამართლებრივი ზემოქმედების ხასიათის მიხედვით, საზოგა-

დოებრივი ურთიერთობის შინაარსის შესაბამისად განასხვავებენ რეგულაციურ და დაცვით აქტებს.

რეგულაციური აქტები ადგენენ ადამიანთა მართლზომიერ ქცევასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს, უზრუნველყოფენ რეგულაციური ნორმების დისპოზიციის რეალიზაციას (მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლის რექტორის ბრძანება სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ, სოცუზრუნველყოფის ორგანოს გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის შესახებ).

დაცვითი აქტები გამოიცემიან ცალკეულ პირთა მიერ სამართალდარღვევის შემთხვევაში და ითვალისწინებენ იურიდიული პასუხისმგებლობის ზომებს (განაჩენი, პროკურორის პროტესტი, გამომძიებლის დადგენილება).

სამართლის შეფარდების აქტები სამართლის ნორმების დანაწესების რეალიზაციის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენენ. როგორც სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის აქტიური ელემენტები ისინი პრაქტიკულად ახორციელებენ იმ მიზნებსა და ამოცანებს, რისთვისაც არის მოწოდებული სამართლებრივი რეგულირება.

სქემა №41. სამართლის შეფარდების აქტები

სამართლის შეფარდების აქტები — სამართლის შეფარდების აქტი არის კომპეტენტური ორგანოს ან თანამდებობის პირის ოფიციალური სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც მიღებულია იურიდიული ფაქტებისა და სამართლის ნორმების საფუძველზე ინდივიდუალური, კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად.

სამართლის შეფარდების აქტების სახეები

სამართლებრივი ზემოქმედების ხასიათის მიხედვით

- რეგულაციური
- დაცვითი

სამართლის ნორმის ტრანსფორმაციის ფორმები

- დაცვა
- შესრულება
- გამოყენება

გამომცემი სუბიექტების მიხედვით

- პარლამენტის აქტები
- სახელმწიფოს მეთაურის აქტები
- აღმასრულებელი ორგანოების აქტები
- სასამართლო ორგანოების აქტები
- პროკურატურის აქტები
- საკონტროლო ორგანოების აქტები
- ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების აქტები
- საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელობის აქტები

§ 6. ანალოგია სამართალში

უაღრესად ფართოა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფერო, რომელსაც არეგულირებს სამართალი. თანამედროვე დინამიური და განვითარებადი კანონმდებლობა მოიცავს მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც საჭიროებენ სამართლებრივ მოწესრიგებას. მაგრამ საზოგადოებრივი ყოფიერება იმდენად რთული და არაპროგნოზირებადია, შეუძლებელია კანონმდებელმა გაითვალისწინოს ყველა ცხოვრებისეული სიტუაცია. მართებულად მიუთითებს მსოფლიო სამართლებრივი სისტემების სწორუპოვარი მკვლევარი რ. დავიდი, რომ „სამართლის ნორმების შემქმნელს წინასწარ არ შეუძლია ზუსტად განსაზღვროს იმ კონკრეტული საქმეების მრავალფეროვნება, რაც პრაქტიკაში წარმოიქმნება ხოლმე."[94]

სრულყოფილი კანონმდებლობა, იდეალური სამართალი არც ერთ ეპოქაში არ არსებობდა და არც არსებობს. პოზიტიური სამართლის ყველა სისტემა ამა თუ იმ ხარისხით ხარვეზიანია, ე. ი. სამართალში არის შეუვსებელი სივრცე, როდესაც „სამართლებრივი თვალსაზრისით განსახილველი და გადასაწვეტი საკითხი არ არის გათვალისწინებული სამართლის არც ერთი ნორმით."[95]

სამართლებრივი რეგულირების საზღვრები და მოქმედი ნორმატიული აქტების ჩარჩოები ერთმანეთზე არიან გადაჯაჭვულნი, მაგრამ ერთმანეთს არ ემთხვევიან. სამართლებრივი რეგულირების სფეროში ყოველთვის არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა, ცხოვრებისეული სიტუაციების ნაწილი, რომლებიც არ არიან რეგულირებულნი სამართლის ნორმებით და პირიქით. გათვალისწინებული არიან სამართლის ნორმებით, მაგრამ გამოდიან სამართლებრივი სფეროს ფარგლებიდან. თეორიულად ასეთი პრობლემა შესაძლებელია ყველა სამართლებრივ სისტემაში.

საკანონმდებლო ხარვეზი შეიძლება ორი მიზეზით შეიქმნას:

❍ უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ წარმოიშობა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც კანონის მიღების პერიოდისთვის არ არსებობდნენ.

❍ მეორე, როცა კანონის შემუშავების დროს კანონმდებელს გამორჩა მხედველობიდან ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირება

[94] რ. დავიდი, დასახ. ნაშრ. გვ. 97

[95] გ. ინწკირველი, დასახ. ნაშრ. გვ. 169

ხარვეზი შეიძლება გამოვლინდეს ორ ასპექტში:

❍ პირველი, როცა სამართლებრივად მოსაწესრიგებელი საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმა სამართლის სისტემაში საერთოდ არ არსებობს და

❍ მეორე, როცა საკითხი არასრულად არის რეგულირებული. ამრიგად, ხარვეზი სამართალში არის სამართლებრივი რეგულირების სრული ან ნაწილობრივი შეუძლებლობა.

ერთიც და მეორეც მოითხოვს სათანადო რეაგირებას. საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის პრობლემა თეორიულად და პრაქტიკულად აქტუალურია, რადგან მას აქვს არა მარტო იურიდიული, არამედ სოციალური მნიშვნელობაც. ხარვეზის პრაქტიკული დაძლევის საკითხი არის როგორც სამართალშემფარდებლის, ისე ყველა იმ პირის ინტერესებში, რომლებიც ამ პრობლემის წინაშე დადგებიან.

ხარვეზის აღმოფხვრა მოითხოვს სრულიად განსაზღვრულ მოქმედებას – დამატებით სამართალშემოქმედებას. თუ სამართლებრივი დოქტრინა და კანონმდებლობა სამართლის სრულფასოვან წყაროდ მხოლოდ კომპეტენტური სამართალშემოქმდებითი ორგანოს აქტებს ცნობს, სწორედ ეს ორგანოები არიან უფლებამოსილნი შეავსონ ხარვეზი. ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სწავლულებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ხარვეზის აღმოჩენაში, მაგრამ არ შეუძლიათ მისი აღმოფხვრა.

ამდენად, ხარვეზის აღმოფხვრის ყველაზე მიზანშეწონილ და სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს კომპეტენტური ორგანოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა. მაგრამ საკანონმდებლო ცვლილებები დაკავშირებულია განსაზღვრულ სირთულეებთან და მოითხოვს გარკვეულ დროს. ამიტომ იურიდიული დოქტრინა ითვალისწინებს ხარვეზის აღმოფხვრის სპეციალურ ხერხს – ანალოგიას, რომელიც წარმატებით გამოიყენება პრაქტიკაშიც.

ანალოგია ნიშნავს მსგავსებას გარკვეულ საგნებსა და მოვლენებს შორის. იურისპრუდენციაში განასხვავებენ ანალოგიის ორ სახეს: კანონის ანალოგიას და სამართლის ანალოგიას.

კანონის ანალოგია (**analogia legis**) არის სამართლებრივად მოუწესრიგებელი (არარეგულირებული) ურთიერთობის მიმართ იმ ნორმის შეფარდება, რომელიც არეგულირებს მსგავს ურთიერთობებს. უდავოა,

რომ კანონის ანალოგია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობაში არის შესაბამისი ნორმა.

სამართლის ანალოგია (analogia juris) არის სამართლებრივად მოუწესრიგებელი ურთიერთობის რეგულირება სამართლის მთელი სისტემის ზოგადი საწყისებისა და პრინციპების საფუძველზე. სამართლის ანალოგიას განაპირობებს ორი მიზეზი: როცა კანონმდებლობაში ხარვეზია და შეუძლებელია ამ ხარვეზის შევსება კანონის ანალოგიით, რადგან კანონმდებლობაში არ არის სათანადო ნორმა, რომელიც მოაწესრიგებს განსახილველ ურთიერთობას.

ანალოგია დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ურთიერთობის რეგულირება ვერ ხერხდება სამართლის ნორმის განმარტების გზით. ანალოგიის დროს სამართალშემფარდებელი ადგენს არა ახალ ნორმას, არამედ ცდილობს კანონმდებლობის სისტემაში შეარჩიოს მსგავსი ნორმა. ამიტომ ანალოგიის გამოყენება შეზღუდულია და მას იურიდიულ პრაქტიკაში ფართო არეალი არ აქვს.

ზოგადი წესის თანახმად, სისხლის სამართალში ანალოგია არ დაიშვება. სამართალშემფარდებელს უფლება არ აქვს ანალოგიის გზით შეავსოს ხარვეზი. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როცა საკითხი წყდება პირის სასარგებლოდ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე მუხლის (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონიერი გარემოებანი) და 38-ე მუხლის (ბრალის გამომრიცხველი ზეკანონიერი გარემოებანი) თანახმად, ანალოგია სისხლის სამართალში დაიშვება მხოლოდ პიროვნების სასარგებლოდ.

რაც შეეხება სამოქალაქო სამართალს, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძალიან ფართო წრეს, დაშვებულია როგორც კანონის, ისე სამართლის ანალოგია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს ან იგი ბუნდოვანია. ამ ნორმის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოს უფლება ეძლევა საქმის გადაწყვეტისას მიმართოს ანალოგიას. ეს აზრი უფრო დაკონკრეტებულია სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად „კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერ-

თობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია)".

კოდექსი ითვალისწინებს უფრო რთულ ვითარებასაც, კერძოდ, „თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად (სამართლის ანალოგია)".[96]

ამასთანავე, კოდექსში დადგენილია შეზღუდვაც: დაუშვებელია ანალოგიით იქნეს გამოყენებული სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები).[97]

ანალოგია, როგორც საკანონმდებლო ხარვეზის შევსების ქმედითი საშუალება, რიგ შემთხვევებში ეხმარება მართლმსაჯულებას, შესაძლებლობას აძლევს მოსამართლეს საკუთარი რწმენისა და სამართლიანობის საფუძველზე გადაწყვიტოს უნიკალური და იშვიათი საქმეები, არ დატოვოს შეუვსებელი სივრცე სამართალშეფარდების პროცესში. ეს კი არც თუ მცირე მნიშვნელობის მოვლენაა.

[96] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 5. ნაწ. 2

[97] იქვე, მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი

თავი XVIII. სამართლის ნორმათა განმარტება

§ 1. სამართლის ნორმათა განმარტების ცნება

სამართლის ნორმაში ასახულია რთული სოციალური ურთიერთობანი, საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებული სფეროები სამართლისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ფორმებში. ნორმის შინაარსი მოიცავს მრავალსახეობრივ იურიდიულ ცნებებსა და კატეგორიებს, კანონზომიერებასა და სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებმაც ერთობლიობაში უნდა უზრუნველყონ რეალური სინამდვილის მოვლენათა „გადათარგმნა იურიდიულ ენაზე", მათი სამართლებრივი მოწესრიგება. ეს რთული პროცესი შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნორმის ტექსტი, მისი ენობრივი გამოხატულება იქნება მკაფიო, ნათელი და გასაგები, მისაწვდომი, როგორც პროფესიონალი იურისტის, ასევე საზოგადოების წევრებისათვის. სწორედ იმ მიზნით, რომ სამართლის ნორმის ნამდვილი აზრი სწორად იქნეს აღქმული და გაგებული იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში დამკვიდრებულია ისეთი კატეგორია, როგორიცაა სამართლის ნორმის განმარტება ანუ ინტერპრეტაცია.

სამართლის ნორმათა განმარტება არის ინტელექტუალურ-ნებითი საქმიანობა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების აზრობრივი შინაარსის დადგენის სფეროში, მათი რეალიზაციისა და სრულყოფის მიზნით.

იურიდიული განმარტება ფილოსოფიური თვალსაზრისით შემეცნების ერთ-ერთი სახეა, აზროვნებითი საქმიანობის პროცესია, რომლის შედეგად ხდება გადასვლა უცოდინარობიდან ცოდნაზე, აღიქმება ობიექტური სამყაროს ნამდვილი, ჭეშმარიტი სურათი. შემეცნების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით იურიდიული განმარტება არის სპეციალური შემეცნება, რომელიც ხორციელდება სამართლის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით.

„სწორედ სამართლის განმარტებაში ჩანს იურიდიული ცოდნის ფოკუსი, მისი ურთიერთობა ცხოვრებასთან და იურიდიულ პრაქტიკას-

თან" – აღნიშნავს ცნობილი სამართალმცოდნე ს. ალექსეევი.[98]

სამართლის ნორმათა განმარტება სამართლის რეალიზაციის აუცილებელი, სავალდებულო ელემენტია. მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედების რთულ პროცესში, რეალურ სინამდვილესთან და ადამიანთა ქცევებთან კანონის ურთიერთობაში. სამართლის ნორმათა განმარტების ამ თვისებებზე ყურადღებას ამახვილებდნენ ჯერ კიდევ გასული საუკუნეების მკვლევარები. თუ არ გავარკვევთ ნორმის აზრს, არც შეიძლება იგი შეეფარდოს. ამიტომ განმარტება არის იურიდიული ნორმის შეფარდების აუცილებელი პირობა. საკმარისი არ არის იურიდიული ნორმის არსებობა, გარდა ამისა საჭიროა იმ ნორმის ზუსტი აზრის დადგენა, რომელიც უნდა შეეფარდოს.

საზოგადოებაში სამართლის ნორმათა განმარტების როლი და ადგილი ბევრად არის განპირობებული არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, პოლიტიკური რეჟიმით და კანონიერების მდგომარეობით. შემთხვევითი არ არის, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნებში კანონების განმარტება ოფიციალურ სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენდა ან სრულიად იკრძალებოდა. ისტორია ამის ბევრ მაგალითს იცნობს. ძველ რომში, იმპერატორმა იუსტინიანემ ხელში აიღო კანონის განმარტების მონოპოლია. გერმანიაში XVIII საუკუნის განმავლობაში რამდენიმეჯერ აიკრძალა კანონის განმარტება: ბავარიაში 1756 წლის კანონით (კოდექსით), პრუსიაში 1780 წლის ბრძანებით, ავსტრიაში 1786 წლის 1 ნოემბრის კანონით. ნაპოლეონ პირველმა მისი კოდექსის კომენტარების გამოჩენის გამო სასოწარკვეთილმა წამოიძახა: „დაიღუპა ჩემი კოდექსიო", გერმანიაში 1813 წლის ოქტომბრის ბრძანებით აკრძალული იქნა ბავარიის დებულებაზე რაიმე კომენტარის დაწერა ან დაბეჭდვა.[99]

ტოტალიტარული რეჟიმის სახელმწიფოებში ხელისუფლების მიერ სამართლის ნორმათა განმარტების აკრძალვა განპირობებულია მათი მისწრაფებით – საკუთარი ინტერესების შესაბამისად ახსნან შესაფარდებელი აქტების შინაარსი, მიანიჭონ კანონს თვითნებური აზრი და უზრუნველყონ მათი თვითნებური შეფარდება.

დემოკრატიულ სამართლებრივ სისტემებში სამართლის ნორმათა განმარტება გამიჯნულია სამართალშეფარდების პროცესისაგან. გან-

[98] Алексеев С.С. указ. соч. С. 105

[99] Blak D. The Behavior of Law. N.Y. 1976. P. 63

მარტება მოწოდებულია უზრუნველყოს სამართლის ნორმების ყოველმხრივი რეალიზაცია აღმასრულებელი ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის საქმიანობაში. განმარტება ზემოქმედებას ახდენს სამართლის ნორმების ერთგვაროვან გაგებასა და შეფარდებაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაზე. განმარტების პროცესში დგინდება კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მიღების ძირითადი მიზანი, როლი და დანიშნულება, მისი შეფარდების შესაძლო შედეგები, ნორმის მოქმედების პირობები, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების უფლება-მოვალეობები, ასევე პასუხისმგებლობის ზომები, სამართლის ნორმების დანაწესების დარღვევებისათვის.

სამართლის ნორმათა განმარტება წარმოადგენს წარმატებული სამართალშემოქმედებითი და განსაკუთრებით სამართალშეფარდებითი საქმიანობის წინაპირობას, თუმცა განმარტების პრობლემა გამოდის სამართალშეფარდებითი საქმიანობის ფარგლებიდან და დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.

სამართლის ნორმათა ინტერპრეტაცია როგორც დამოუკიდებელი აზროვნებითი პროცესი შედგება ორი შემადგენელი, ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან:

- სამართლის ნორმების ახსნა და
- სამართლის ნორმების აზრობრივი შინაარსის განმარტება.

ნორმათა ინტერპრეტაცია წარმოადგენს ისეთ პროცესს, რომელიც სრულ და ამომწურავ წარმოდგენას გვაძლევს თითოეული მათგანის შემეცნებაზე.

სამართლის ნორმების აზრის ახსნა წარმოადგენს ნორმის სწორი გაგებისა და მისი მოთხოვნების რეალიზაციის აუცილებელ წინამძღვარს. როცა ახსნის პროცესში აღმოჩნდება გაურკვევლობა მის შინაარსში, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სამართლის ნორმის ნამდვილი აზრის დამატებითი განმარტება.

სამართლის ნორმის ახსნა ყოველთვის სრულ სიცხადეს და განსაზღვრულობას ვერ ანიჭებს ნორმატიული აქტის შინაარსს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა აქტის შინაარსის სპეციალური განმარტება. სამართლის ნორმის განმარტება არის მითითება ან რეკომენდაცია, რომელიც მიმართულია ნორმის ნამდვილი შინაარსის დადგენისაკენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახს-

ნილი უნდა იქნეს სამართლის ყველა ნორმა, ხოლო განმარტებული მხოლოდ ისინი, რომლებიც საჭიროებენ დამატებით ახსნას სიტყვიერი გამოხატულების უზუსტობის ან პრაქტიკაში სამართლის ნორმის არასწორი შეფარდების გამო. ამდენად, სამართლის ნორმის ახსნის შემდეგ ყოველთვის არ ხდება მისი შინაარსის განმარტება.

განმარტების პროცესში მეცნიერული პოზიციებიდან ხდება სამართლის ნორმების დანაწესების არსის ობიექტური და დასაბუთებული გადმოცემა. განმარტების დახმარებით იქმნება არა მარტო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ღრმა და ყოველმხრივი გაგების, არამედ მისი სრული და ეფექტური შეფარდების აუცილებელი წინამძღვრები.

სამართლის ნორმის განმარტება წინააღმდეგობრივი, აზრობრივი პროცესია, რომელიც ექვემდებარება ლოგიკის კანონებს და მოითხოვს სერიოზულ პროფესიულ და ფილოსოფიურ მომზადებას. განმარტების ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული განმმარტებლის პროფესიონალიზმზე და მართლშეგნების დონეზე. რაც უფრო მაღალია სამართლის განმმარტებელთა მართლშეგნების დონე და ინტერპრეტაციის უნარი, მით უფრო შედეგიანია განმარტების პროცესი, მით უფრო დაცულია პიროვნების უფლებები და თავისუფლებები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა განმარტებისათვის აქვს სპეციალურ იურიდიულ მომზადებას, იურიდიული მეცნიერების უახლესი მიღწევების ფლობას, მაღალ იურიდიულ კულტურას. იურისტების პროფესიული მომზადების დონეზე ბევრად არის დამოკიდებული სამართალგანმარტებითი საქმიანობის ხარისხი, მოსახლეობის მიერ სამართლის ნორმების ნამდვილი აზრის გაგება, მათი დანაწესების ზუსტი განხორციელება.

§ 2. სამართლის ნორმის განმარტების მეთოდები და ხერხები

იურიდიულ განმარტებაში, როგორც შემოქმედებით საქმიანობაში ერთმანეთთან შერწყმული და დაზუსტებულია სამართლებრივი ცოდნა, გამოცდილება, სამართლებრივი კულტურა და იურიდიული ხელოვნება. ამ თვალსაზრისით, იგი არის იურიდიული ხელოვნების მწვერვალი, იურიდიული საქმიანობის კულმინაციური პუნქტი.

სამართლის ნორმათა განმარტება, თავისი არსით, პრაქტიკულად არის დაკავშირებული სამართლის მიერ საზოგადოებრივ ურთიერთობა-

თა რეგულირების პროცესის დასრულებასთან. განმარტების შედეგად, სამართლის ნორმები მზად არიან რეალიზაციისათვის.

იურიდიული განმარტება მოიცავს იურიდიული ანალიზის ყველა დონესა და საფეხურს, კერძოდ, სამართლის ნორმის ტექსტის ასოანბანურ, სიტყვა-სიტყვით ანალიზს, ნორმისა და მისი დანაწესების იურიდიული თავისებურებების, მათი ტექნიკურ-იურიდიული თვისებების, სამართლის წყაროების არსის ანალიზს, კანონის სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული, ზნეობრივი წინამძღვრების ანალიზს და ა.შ.

სამართლის ნორმათა განმარტება კვლევითი ხასიათის საქმიანობაა, რომელიც კანონმდებლის მიერ კანონის მიღების პროცესში განხორციელებული საქმიანობის ტოლფასია. ინტერპრეტატორის კვლევითი საქმიანობა ხორციელდება იმ მიზნით, რომ დადგინდეს სამართლის ნორმის ნამდვილი შინაარსი.

განმარტება თავის უმაღლეს იურიდიულ დანიშნულებას ავლენს დემოკრატიის პირობებში, სამართლებრივ სახელმწიფოში, განვითარებული სამართლებრივი კულტურის და მტკიცე კანონიერების ქვეყანაში. იგი ხორციელდება განსაზღვრული მეთოდებითა და ხერხებით, რომლებშიც კონცენტრირებულია სპეციალური, ერთტიპური პროცედურები და ტექნოლოგიები.

იურიდიული განმარტების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შედარებით მეთოდს, რომლის არსი მდგომარეობს მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტების შედარებაში, მათი ზოგადი და განსაკუთრებული ნიშნების გამოვლენაში, მსგავსებისა და განსხვავების დადგენაში. ქართული სამართლის სისტემა განეკუთვნება კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახს და მსგავსი ინსტიტუტების შედარებითი ანალიზი ნათელს მოჰფენს კანონმდებლობის ნებისა და კანონის ობიექტური მიზნების თანაფარდობას.

სამართლის ნორმის განმარტებისადმი ინტერესი ყოველთვის იყო მეცნიერ-მკვლევართა ყურადღების ობიექტი. სხვადასხვა თეორიებს შორის, რომლებიც ნორმის განმარტების შესახებ შეიქმნენ საყურადღებოა განმარტების სუბიექტური და ობიექტური თეორიები. სუბიექტური თეორიის წარმომადგენლები – სავინი, ჰეკი, ნავიასკი, ვინდშაიდი მიიჩნევდნენ, რომ კანონის განმარტების მიზანია კანონმდებლის ისტორიული ნების დადგენა. კანონს არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი „ცხოვრება", მისი შინაარსი გაურკვეველი და მისტიკურია, კანონმდე-

ბლის ნება კი აბსოლუტურად ნათელი და გარკვეულია.

ობიექტური თეორიის წარმომადგენლები – ტიბო, ბინდინგი, კოლერი ასაბუთებდნენ, რომ კანონი უნდა განვმარტოთ არა „კანონმდებლის ნების", არამედ „კანონის ნების" მიხედვით. კანონი ხშირად უფრო „ჭკვიანია", ვიდრე კანონმდებელი. სავალდებულო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კანონის და არა კანონმდებლის ნებას.[100]

იურიდიული მეცნიერების თანამედროვე მიღწევები იძლევა იმის საშუალებას, რომ სამართლის ნორმის განმარტების პროცესში გათვალისწინებული იქნეს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიდგომა – კანონმდებლის საწყისი ნებისა და კანონის მნიშვნელობის ჰარმონიზაცია.

სამართლის ნორმის ნამდვილი შინაარსის დასადგენად არსებობს ფართოდ ცნობილი და ტრადიციული საშუალებანი, რომელთაც განმარტების ხერხებსაც უწოდებენ. ეს ხერხებია: გრამატიკული, ლოგიკური, სპეციალურ-იურიდიული, სისტემური, ისტორიული, ტელეოლოგიური.

გრამატიკული განმარტება დაფუძნებულია ფილოლოგიური სპექტრის მეცნიერების, გრამატიკის, ლექსიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის მონაცემებზე. მისი არსი მდგომარეობს იურიდიული ნორმის ტექსტის გრამატიკულ, ლექსიკურ, სინტაქსურ ანალიზში. „ნორმის შინაარსის გარკვევა ხდება ტექსტის შემადგენელი სიტყვების, ტერმინების, ცნებების, წინადადებების აზრისა და მათ შორის სინტაქსური კავშირის განსაზღვრის გზით."[101]

გრამატიკული განმარტება განმარტების ყველა ხერხს შორის პირველი და ამოსავალია. ეს იმით არის განპირობებული, რომ იურიდიული ნორმები არსებობენ მხოლოდ ენობრივი ფორმით, გამოხატულნი არიან ნორმატიული დოკუმენტების ტექსტებში გრამატიკული წინადადებების სახით. ნორმატიული აქტების განმარტების პროცესში განისაზღვრება, პირობითად რომ ვთქვათ „კანონის სიტყვები" და „კანონის სული", ე.ი. იურიდიული ნორმების სიტყვიერი ტექსტი და მისი ნამდვილი შინაარსი.

ტექსტუალური გრამატიკული ანალიზის დროს არსებითად მნიშვნელოვანია სიტყვების საყოველთაოდ მიღებული ახსნა და მორფოლოგიური დახასიათება, მათი სინტაქსური აგებულება, სიტყვების გრამატიკული კავშირები, წინადადების გრამატიკული და აზრობრივი

[100] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 150

[101] გ. ინკირველი, დასახ. ნაშრ. გვ. 176

სტრუქტურა. კანონმდებლობაში ხშირად გამოიყენება ტერმინები, რომელთაც აქვთ ზოგადი მნიშვნელობა. ზოგიერთ მათგანს კანონში ეძლევა განსაკუთრებული აზრი (მაგალითად, „ბრალი", „დაზარალებული", „მტკიცებულება" და ა.შ.). ასეთი ტერმინების ახსნა არცთუ იშვიათად მოცემულია თვით კანონში და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში. ნორმატიულ აქტებში ფართოდ გამოიყენება მეცნიერების სხვადასხვა დარგის, ტექნიკის, ხელოვნების სფეროში დამკვიდრებული ტერმინები, რომელთა აზრობრივი მნიშვნელობა შეხამებულია იურიდიულ ცნებებთან და კატეგორიებთან.

გრამატიკულ განმარტებას თავისი საზღვრები აქვს. მიუხედავად არსებითი მნიშვნელობისა, იგი არ არის საკმარისი სამართლის ნორმების შინაარსის სრული და ყოველმხრივი განმარტებისათვის.

ლოგიკური განმარტება ხორციელდება ფორმალური ლოგიკის კანონებისა და წესების საფუძველზე. სამართალი თავისი ბუნებით ფორმალურ-ლოგიკური ფენომენია. იგი როგორც ნორმატიული წარმონაქმნი შეუძლებელია ფუნქციონირებდეს ლოგიკური სტრუქტურისა და თანმიმდევრობის გარეშე. ლოგიკური განმარტების მსვლელობაში გამოიყენება ფორმალურ-ლოგიკური ხერხები-ანალოგია, წინადადებათა გარდასახვა, აბსურდამდე დაყვანა, წინააღმდეგობრივი არგუმენტები და ა.შ. გრამატიკულ განმარტებასთან ერთად ლოგიკის კანონები და წესები საშუალებას იძლევა ახსნილი იქნეს ნორმატიული სამართლებრივი აქტების შინაარსი. კანონმდებლის ნება და აზრი გამოიხატება მხოლოდ გრამატიკული წინადადებით, მაგრამ თუ ისინი მოკლებულნი არიან ლოგიკურ თანწყობას, სტრუქტურასა და შინაგან თანმიმდევრობას, შეუძლებელი იქნება ნორმის ნამდვილი შინაარსის აღქმა და გააზრება.

ლოგიკური განმარტების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი დახმარებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს ის, რისი გამოხატვაც სურდა კანონმდებელს კანონის ტექსტში, მაგრამ ვერ გამოხატა. უდავოა, რომ განმმარტებელმა (ინტერპრეტატორმა) უნდა იცოდეს ლოგიკის კანონები და სხვადასხვა ლოგიკური ხერხები.

სპეციალურ-იურიდიული განმარტება ისეთი განმარტებაა, რომელიც დაფუძნებულია იურიდიულ ცოდნაზე, იურიდიული მეცნიერების მონაცემებზე. ასეთ მონაცემებს შეიძლება შეიცავდეს თვით კანონის ტექსტი (თუ იგი შეიცავს დეფინიციურ დებულებებს და ცნე-

ბებს), ან ჩართულნი იქნენ განმარტების პროცესში მეცნიერული კომენტარების სახით. განმარტებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ინტერპრეტატორის იურიდიულ ცოდნას, მის უნარს – გააანალიზოს ყველა არსებითი ფაქტორი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლის ნორმის, ნამდვილი შინაარსის დადგენას. სპეციალურ-იურიდიულ მოსაცემებს შორის, რომლებიც გამოიყენებიან განმარტების პროცესში, მნიშვნელოვანია ცოდნა იურიდიული კონსტრუქციების, იურიდიული ფაქტების, უფლება-მოვალეობების, იურიდიული პასუხისმგებლობის, პრეზუმფციის და სხვა იურიდიული მოვლენების შესახებ. ხშირად მხოლოდ მათი დახმარებით არის შესაძლებელი სრული მოცულობით გაიხსნას სამართლის ნორმების შინაარსი და უზრუნველყოფილი იქნეს მათი ზუსტი და სწორი შეფარდება.

იურისტ-პროფესიონალის მიერ განხორციელებული განმარტება კომპეტენტურია იმ თვალსაზრისით, რომ ინტერპრეტატორს საშუალება აქვს გამოიყენოს სპეციალური იურიდიული ცოდნის არსენალი სათანადო დასკვნების მისაღებად. ამიტომ სპეციალურ-იურიდიულ განმარტებას ცენტრალური ადგილი უჭირავს განმარტების საშუალებებს შორის. სწორედ ის იძლევა შესაძლებლობას განვიხილოთ განმარტება როგორც იურიდიული მეცნიერებისა და ხელოვნების თავისებური მწვერვალი, სადაც შერწყმულია თეორიული და სპეციალური შემეცნება.

სისტემური განმარტება გულისხმობს სამართლის ნორმის შინაარსის გარკვევას სხვა ნორმებთან კავშირის და სამართლის სისტემაში მისი ადგილის განსაზღვრის გზით. თითოეული იურიდიული ნორმა სამართლის სისტემის შემადგენელი ნაწილია და მოქმედებს სხვა ნორმებთან მჭიდრო კავშირში. ამიტომ ნორმის ნამდვილი შინაარსის გასარკვევად აუცილებელია დადგინდეს განსახილველი ნორმის ლოგიკური კავშირი სხვა ნორმებთან, უპირველეს ყოვლისა კი იმ ნორმებთან, რომლებიც შინაარსით მასთან ახლოს დგანან. სამართლის ნორმების იერარქიულ სისტემაში ქვემდგომი რანგის ნორმა უნდა შეესაბამებოდეს ზემდგომ ნორმას, ყველა მათგანი კი ქვეყნის ძირითად კანონს – კონსტიტუციას. ამიტომ არ შეიძლება იერარქიულად ქვემდგომი ნორმის გამოყენება, თუ იგი ეწინააღმდეგება ზემდგომ ნორმას და ეს წინააღმდეგობა ვერ აიხსნება სამართლის ნორმის განმარტების მეშვეობით. თუ ნორმა კონკრეტიზირებულია იერარქიულად ქვემდგომი ნორმის მეშვეობით, მაშინ უნდა შეეფარდოს ქვემდგომი ნორმა.

სისტემური განმარტება არის ლოგიკური და სპეციალურ-იურიდიული განმარტების გაგრძელება. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დადგინდეს განსახილველი ნორმის იურიდიული ძალა, მისი მოქმედების სფერო, განსაზღვრული დარგისა და ინსტიტუტისათვის მიკუთვნება და ამის შესაბამისად იქნეს ინტერპრეტირებული ნორმის შინაარსი.

ისტორიული განმარტება არის სამართლის ნორმის შინაარსის გარკვევა, მისი მიღებისა და მოქმედების ისტორიის კონტექსტში. შეუძლებელია სამართლის ნორმის შინაარსი სრულყოფილად იქნეს გაგებული მისი წარმომშობი საზოგადოებრივი ურთიერთობისაგან იზოლირებულად, იმ ისტორიული ვითარების ანალიზის გარეშე, რომელშიც იქნა მიღებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი. ისტორიული განმარტების დროს ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი სამართლის ნორმის სოციალური დანიშნულება და მიზანი, ასევე მისი მიღების კონკრეტული პირობები. ისტორიული განმარტება ეყრდნობა იმ მონაცემებს, რომლებიც ეხებიან ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მიღების ისტორიულ ვითარებას, იმ ისტორიულ მოვლენებს, რომლის მსვლელობაში მოხდა აქტის მომზადება, განხილვა და მიღება. ისტორიულ განმარტებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ალტერნატიულ პროექტებს, საკანონმდებლო ორგანოში გამართულ დებატებს, პროექტის განხილვის პერიოდში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, სტენოგრაფიულ ჩანაწერებს, სხდომის ანგარიშებს და სხვა მასალებს. ისტორიული განმარტება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა კანონი მოძველებულია და ვეღარ ასახავს მისი მიღების დროს არსებულ ვითარებას. რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ისტორიული განმარტების მონაცემები, ისინი თავისთავად არ შეიძლება იყვნენ კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის გაგების წყარო. იურიდიული საქმის გადაწყვეტის ერთადერთი საფუძველი არის საკანონმდებლო აქტი, უპირველეს ყოვლისა, თვით კანონის „სიტყვა" – კანონმდებლის აზრი და ნება, რომელიც გამოხატულია სპეციალურ ფორმაში.

ტელეოლოგიური განმარტება. ტელეოლოგიური[102] განმარტება მიმართულია სამართლის აქტის მიზნის გარკვევისაკენ. იგი გულისხმობს არა კანონმდებლის ნების, არამედ კანონის ობიექტური მიზნის (ratio legis) გარკვევას. აღსანიშნავია, რომ ასეთი განმარტება ყოველთვის არ არის აუცილებელი. თუ ქვეყანაში ხშირად იცვლება საზოგადოებრივ-

[102] "telos" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „მიზანს"

პოლიტიკური ვითარება და საჭირო ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრული სფეროს სამართლებრივი რეგლამენტაცია, შეუძლებელია სწორი გადაწყვეტილების გამოტანა იმ მიზნის გარკვევის გარეშე, რამაც განაპირობა სამართლის აქტის მიღება. ზოგჯერ სამართლის აქტის მიზანი უშუალოდ არის განსაზღვრული მის ტექსტში. მიზანი, რომელსაც ესწრაფვის ნორმატიული აქტი შეიძლება იყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე და ამასთანავე წინააღმდეგობრივი. ინტერპრეტატორმა უნდა შეძლოს ისე განმარტოს სამართლის ნორმა, რომ გამოკვეთოს ნორმატიული აქტის მთავარი, არსებითი მიზანი. თუ ნორმატიული აქტის ტექსტის სიტყვა-სიტყვითი განმარტება სამართლის ნორმის მიზანთან წინააღმდეგობაში მოვა, ნორმის შეფარდება არ უნდა მოხდეს. ასეთ შემთხვევაში ნორმა შეზღუდულად განიმარტება, რასაც ტელეოლოგიური შეზღუდვითი განმარტება (რედუქცია) ეწოდება. რედუქცია გულისხმობს, რომ სამართლებრივ აქტში გამოყენებული სიტყვები ვიწროდ არის განმარტებული, თუმცა არ სცილდება კანონის სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობას.

შეზღუდვითი ტელეოლოგიური განმარტება სასამართლო პრაქტიკაში თავისებური გადაწყვეტილების მიღების საფუძველია: მოსამართლე არ ერევა კანონმდებლის პოლიტიკური კომპეტენციის სფეროში. თუმცა იძულებულია კონფლიქტში მოვიდეს თავის კონსტიტუციურ ვალდებულებასთან, რომ დაემორჩილოს „მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს“ და მიიღოს საგნობრივად სწორი გადაწყვეტილება დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევის მიზნით. ტელეოლოგიური რედუქციის დროს სამართლის ნორმა სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით მოიცავს იმ ურთიერთობებსაც, რომელიც მას, ნორმის მიზნისგან გამომდინარე არ უნდა მოეცვა. ამით იგი განსხვავდება ანალოგიისაგან, რომლის დროს ნორმა ვერ მოიცავს იმ ურთიერთობებს რომლებიც საჭიროებენ სამართლებრივ მოწესრიგებას.

ტელეოლოგიური რედუქცია განიხილება როგორც სამართლის შემდგომი განვითარების თანამედროვე მეთოდი.[103]

სამართლის ნორმის განმარტების ხერხების მრავალსახეობრიობა უზრუნველყოფს ნორმის ნამდვილი შინაარსის, მისი არსისა და დანიშნულების გარკვევას. განმარტების პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს ყველა საჭირო ხერხი, თუმცა აუცილებელი არ არის ყველა მათგანის

[103] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 157

ერთნაირი ხარისხით გამოყენება. ზოგჯერ საკმარისია გრამატიკული და ლოგიკური განმარტება, ზოგჯერ კი აუცილებელია კომპლექსი განმარტების საშუალებებისა. ინტერპრეტატორი, კარგად მომზადებული იურისტ-პროფესიონალი თვითონ განსაზღვრავს განმარტების რომელი ხერხის ან ხერხების ერთობლიობის გამოყენებაა მიზანშეწონილი სამართლის ამა თუ იმ ნორმის განმარტებისათვის, მისი ნამდვილი შინაარსის, მიზნისა და დანიშნულების გასარკვევად.

§ 3. ახსნა-განმარტების სახეები

ნორმატიულ სამართლებრივი აქტის განმარტების უფლება აქვს ყველას, მაგრამ განმარტების იურიდიული მნიშვნელობა და კომპეტენტურობა ყოველთვის ერთნაირი არ არის. იმის შესაბამისად თუ ვინ განმარტავს სამართლის ნორმას, განასხვავებენ ოფიციალურ და არაოფიციალურ განმარტებას.

ოფიციალურია ისეთი განმარტება, რომელსაც ახორციელებს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო. იგი სავალდებულოა ყველასათვის, რომელიც შეუფარდებს განმარტებულ ნორმას. ასეთი ოფიციალური, სახელისუფლო-სავალდებულო განმარტება შეიძლება იყოს:

- ნორმატიული და
- კაზუალური (ინდივიდუალური).

ნორმატიული ოფიციალური განმარტება ისეთი განმარტებაა, რომელსაც აქვს ზოგადი მოქმედება, ე.ი. ვრცელდება პირთა განუსაზღვრელ წრეზე და რიცხობრივად შეუზღუდავ შემთხვევაზე. ასეთი განმარტება განუყოფელია თვით ნორმისაგან, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მისგან დამოუკიდებლად და ნორმის გაუქმების შემთხვევაში მოქმედებას წყვეტს მისი განმარტებაც.

განასხვავებენ ოფიციალური განმარტების შემდეგ სახეებს:

▪ *ავთენტური განმარტება* სამართლის ნორმის შინაარსის ისეთი გარკვევაა, რომელსაც იძლევა თვით ნორმის გამომცემი ორგანო (მაგალითად, თუ პარლამენტი განმარტავს მის მიერ მიღებულ კანონს).

▪ *ლეგალური განმარტება* ისეთი განმარტებაა, რომელსაც ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი ორგანო. ასეთი უფლებამოსილება შეიძლება იყოს მუდმივი ან ერთჯერადი. ნორმის განმარტების უფლება აქვს სასამართლო, საფინანსო, საგადასახადო და სხვა ორგანოებს.

კაზუალური (არანორმატიული, ინდივიდუალური) განმარტება ნორმის შინაარსის ისეთი ახსნაა, რომელიც სავალდებულოა მხოლოდ კონკრეტული შემთხვევისათვის, ინდივიდუალური იურიდიული საქმისათვის. ასეთი ინდივიდუალური განმარტება შეიძლება გამოხატოს, კერძოდ, სასამართლო ინსტანციის საკასაციო და საზედამხედველო აქტში. უმაღლესი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილება კონკრეტულ საქმეზე ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გახდეს სასამართლო პრეცედენტი.

ნორმატიული და კაზუალური განმარტება თავისი შინაარსის მიხედვით იყოფა სასამართლო და ადმინისტრაციულ განმარტებად.

სასამართლო განმარტება არის სასამართლოს მიერ სამართლის ნორმის აზრის გარკვევა, რომელიც ხორციელდება სასამართლოში სამართლის ნორმის სწორი და ერთგვაროვანი შეფარდების მიზნით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმაღლესი სასამართლო ორგანოების ოფიციალური განმარტება ქვემდგომი სასამართლო ორგანოების მიმართ სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე.

ადმინისტრაციული განმარტება არის სამართლის ნორმის აზრის გარკვევა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანო. ასეთი განმარტება ეხება მმართველობის, შრომის, სოცუზრუნველყოფის და ანალოგიური საქმეების განმარტებას.

თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ მათ მიერ მიღებული აქტების განმარტების უფლება, რომლის მოქმედება შეზღუდულია იმ ტერიტორიით, რომლის ფარგლებში ვრცელდება თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილება.

ოფიციალური განმარტება გამოიხატება აქტის ფორმით, რომელსაც გამოსცემს შესაბამისი კომპეტენტური ორგანო. აქტის იურიდიული ძალა დამოკიდებულია გამომცემელი ორგანოს უფლებამოსილებაზე. მასში განმარტებასთან ერთად შეიძლება მოცემული იყოს დამოუკიდებელი ნორმები ან ინდივიდუალური ბრძანება, ამასთანავე, ოპერატიულად იქნეს აღმოფხვრილი უზუსტობანი, ბუნდოვანი ადგილები და ხარვეზები.

<u>არაოფიციალური განმარტება</u>. სამართლის ნორმის შინაარსის ისეთი გარკვევაა, რომელსაც არ აქვს ფორმალური, იურიდიულად სავალდებულო მნიშვნელობა. არაოფიციალური განმარტების გავლენა დამოკიდებულია მის კომპეტენტურობაზე, სისწორეზე და

დამაჯერებლობაზე. სწორედ მიუთითებს აკად. ს. ალექსეევი, რომ „აქ არ არის ხელისუფლების ავტორიტეტი, მაგრამ არის ავტორიტეტების ხელისუფლება.“[104]

განასხვავებენ არაოფიციალური განმარტების შემდეგ სახეებს:

● *დოქტრინალური განმარტება* სამართლის ნორმის შინაარსის ისეთი გარკვევაა, რომელსაც ახორციელებენ მეცნიერული კვლევითი დაწესებულებანი, კვალიფიციური სწავლული იურისტები, მეცნიერ-მუშაკები სამართლის თეორიული ანალიზის საფუძველზე. სამართლებრივი კონცეფციები (დოქტრინები) დაფუძნებულია სამართლებრივი რეგულირების კანონზომიერებათა ანალიზზე, მეცნიერულ რეკომენდაციებზე, რომლებიც ეხმარებიან სამართალშემოქმედებით და სამართალშემფარდებელ ორგანოებს თავიანთი საქმიანობა წარმართონ საზოგადოებრივი განვითარების შესაბამისად.

დოქტრინალურ განმარტებას ჯერ კიდევ ძველ რომში ანიჭებდნენ სათანადო მნიშვნელობას. რომაელი იურისტების კონსულტაციებს არსებითად ჰქონდა არა მარტო მორალური, არამედ იურიდიული მნიშვნელობაც. საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის და უდიდესი ავტორიტეტის წყალობით რომაელი იურისტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სახელმწიფოებრიობისა და კანონმდებლობის განვითარებაზე: აძლევდნენ რა თავიანთი განმარტებებით კანონს გარკვეულ აზრს, იურისტები ფაქტობრივად ქმნიდნენ ახალ ნორმებს, რომლებსაც ავტორიტეტი და სავალდებულო ძალა ჰქონდათ სახელმწიფოში.

ღრმად გააზრებული, პრაქტიკულად ეფექტური და სამართლის კანონზომიერებათა შემეცნებაზე დაფუძნებული დოქტრინალური დასკვნები სამართლის ნორმათა განმარტების მნიშვნელოვან ორიენტირებს წარმოადგენენ.

● *სპეციალური კომპეტენტური განმარტება* დაფუძნებულია პოლიტიკასა და სამართლის სფეროში პროფესიულ ცოდნაზე. ასეთ განმარტებას იძლევიან იურისტი პრაქტიკოსები – პროკურორები, მოსამართლეები, გამომძიებლები, იურიდიული სამსახურის მუშაკები, ადვოკატები, იურიდიული ჟურნალის რედაქციები სპეციალურ კონსულტაციებში და მიმოხილვებში. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ კომპეტენტურ განმარტებას სავალდებულო ძალა არ აქვს, მას თავისი წვლილი შეაქვს სამართლის ნორმის ნამდვილი შინაარსის დადგენაში.

[104] Алексеев С.С. указ. соч. С. 118

§ 4. სამართლის ნორმათა განმარტების შედეგი

იურიდიული განმარტების შედეგი უნდა იყოს ნათელი და გასაგები. განმარტებამ უნდა უზრუნველყოს სამართლის ნორმის შინაარსის სიცხადე და გარკვეულობა. აზრის სიცხადე სამართლის ნორმის შინაარსის ღრმად შეცნობაა. განმარტების შედეგის დასკვნების სიზუსტეში არ უნდა იყოს შეტანილი არავითარი ეჭვი. განმარტება იძლევა ახალ ცოდნას სამართლის ნორმის შესახებ, მაგრამ არ ქმნის ახალ იურიდიულ დებულებებს.

განმარტების შედეგი განსხვავებულია იმის შესაბამისად, თუ როგორია თანაფარდობა სამართლის ნორმის ტექსტუალურ გამოხატულებასა და მის ნამდვილ შინაარსს შორის. ასეთი თანაფარდობის ხარისხი განსაზღვრავს განმარტების შედეგს მოცულობის მიხედვით, რომელიც შეიძლება იყოს სიტყვა-სიტყვითი, (ადეკვატური), შეზღუდვითი და განვრცობითი.

სიტყვა-სიტყვითი განმარტება განმარტების ყველაზე გავრცელებული მეთოდია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამართლის ნორმის ნამდვილი აზრი ახსნილია სიტყვა-სიტყვით, ნორმის ტექსტთან სრულ შესაბამისობაში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კანონმდებლის ნება, ინტერესები და მიზანი საკმაოდ ზუსტად და სათანადო სისრულით არის ასახული და ფორმულირებული ნორმატიული აქტის შინაარსში, ე.ი. „კანონის სიტყვა" და „კანონის აზრი" ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 506-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით." ამ ნორმას აქვს მკაცრად განსაზღვრული აზრი, რომელიც ზუსტად შეესაბამება მის ტექსტობრივ, ენობრივ გამოხატულებას. ზოგადი წესის მიხედვით, კარგად დამუშავებული კანონის განმარტება სიტყვა-სიტყვითია, არც ვიწრო და არც ფართო, ვიდრე მისი სიტყვითი ტექსტია. ამიტომ მას ადეკვატურსაც უწოდებენ.

შეზღუდვითი განმარტება ისეთი განმარტებაა, რომლის შესაბამისად სამართლის ნორმის სიტყვიერი ტექსტი უფრო ვიწროთაა ახსნილი, ვიდრე მისი ტექსტობრივი გამოხატულებაა. აქ „კანონის აზრი" შეზღუდულია „კანონის სიტყვის" გამოხატულებასთან შესაბამისობაში. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „შვილები მოვალენი არიან იზრუნონ

მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ.“ უდავოა, რომ აქ იგულისხმება ის შვილები, რომლებიც შრომისუნარიანნი არიან და აქვთ მშობლებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესაძლებლობა. შეზღუდული განმარტების შემთხვევაში ნორმის ტექსტში გამოყენებულ სიტყვებსა და გამოთქმებს უნდა მიეცეს შედარებით შეზღუდული აზრობრივი მნიშვნელობა.

განვრცობითი განმარტება ნორმის შინაარსის ისეთი გარკვევაა, როცა ნორმის აზრი გაგებული უნდა იქნეს უფრო ფართოდ, ვიდრე მისი სიტყვიერი გამოხატულებაა. აქ „კანონის აზრი“ უფრო ფართოა, ვიდრე „კანონის სიტყვა“. განვრცობითი განმარტება გულისხმობს, რომ ნორმის მოქმედება უნდა გავრცელდეს მოვლენებისა და ფაქტების ისეთ ფართო წრეზე, რაც მხედველობაში ჰქონდა კანონმდებელს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის თანახმად, „მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს.“ ნორმის განვრცობითი განმარტება გულისხმობს, რომ მოსამართლეებმა უნდა იხელმძღვანელონ არა მარტო კანონებით, არამედ კანონების საფუძველზე მიღებული სხვა კანონქვემდებარე აქტების (პრეზიდენტის ბრძანებულების, მთავრობის დადგენილების და ა.შ.) შესაბამისად, ე.ი. გამოიყენონ კანონის ფართო გაგება.

შეზღუდვითი და განვრცობითი განმარტება უნდა განხორციელდეს განსამარტავი ნორმის ფარგლებში. არც ერთმა მათგანმა არ უნდა „შეზღუდოს“ ან „გააფართოოს“ ნორმის ნამდვილი შინაარსი, არამედ მხოლოდ გამოავლინოს ის და დაადგინოს ნორმის როგორც სიტყვიერი, ისე აზრობრივი გამოხატულების ხარისხი.

სამართლის ნორმის განმარტების მეთოდების, ხერხების, სახეების სისტემა მოწოდებულია უზრუნველყოს ნორმის შინაარსის სწორი, ერთგვაროვანი გაგება და რეალიზაცია.

სქემა №42. სამართლის ნორმის განმარტება



თავი XIX. სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა

§ 1. სამართლის სისტემის ცნება, სამართლის სისტემის ძირითადი ნიშნები

სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს სისტემურობა, რაც მისი არსებობისა და ფუნქციონირების საძირკველი და წინაპირობაა. უსისტემო, ქაოსური სამართალი ვერ შეასრულებს იმ დიდ მისიას, რაც მას აკისრია სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების წინაშე, ვერ მოაწესრიგებს მრავალფეროვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში კანონიერებას, წესრიგსა და სტაბილურობას.

სისტემურობა სამართლის განუყოფელი თვისებაა. სამართალი არ არის შემთხვევითი კრებადობა სხვადასხვა იურიდიული ნორმებისა, არამედ არის მთლიანი, მყარი, სისტემური წარმონაქმნი, რომელიც ყალიბდება და ფუნქციონირებს ობიექტური კანონზომიერებების საფუძველზე. სამართლის სისტემა[105] რთული და განვითარებადი სოციალური მოვლენაა, რომელიც ნორმატიულ ფორმაში ასახავს და განამტკიცებს სამართლებრივი მოვლენების ლოგიკურ კავშირს, განსაზღვრავს თითოეული მათგანის ადგილსა და დანიშნულებას ერთიან სამართლებრივ ორგანიზმში.

სამართლის სისტემა არის სამართლის შინაგანი სტრუქტურა, რაც გამოიხატება სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი ნორმების ერთიანობასა და შეთანხმებულობაში და ერთდროულად მათ დაყოფაში შედარებით დამოუკიდებელ სტრუქტურულ ელემენტებად.

იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებულია ცნებები „სამართლის სისტემა“ და „სამართლებრივი სისტემა“. ისინი ახლოს მდგომი, მაგრამ არაიდენტური ცნებებია. „სამართლებრივი სისტემა“ არის ყველაზე

[105] „სისტემა“ ფილოსოფიური გაგებით არის მთლიანი მოვლენა, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ელემენტებისაგან (ნაწილებისაგან).

ფართო. სამართლებრივი კატეგორია, რომელიც მოიცავს ყველა მოვლენას სამართლებრივ სამყაროში. „სამართლებრივი სისტემა" არის მთელი სამართლებრივი სინამდვილე, ქვეყნის მთელი სამართლებრივი სტრუქტურა – პოზიტიური სამართალი, სამართლებრივი იდეოლოგია, მართლშეგნება, სამართლებრივი კულტურა, სასამართლო პრაქტიკა. „სამართლის სისტემა" აღნიშნავს ქვეყანაში მოქმედი სამართლის შინაგან დიფერენციაციას, შინაგან აგებულებას. მისი შემადგენელი ნაწილების განსაზღვრულ ორგანიზაციასა და განლაგების წესს.

ამრიგად, „სამართლებრივი სისტემა" გაცილებით ტევადი იურიდიული კატეგორიაა, ვიდრე „სამართლის სისტემა".

სამართლის სისტემის ფორმირება სამართლის განვითარების მოთხოვნილებაა. ყოველგვარი სისტემისათვის, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელი ობიექტები ან მოვლენები შეადგენენ მის შინაარსს, დამახასიათებელია განსაზღვრული სტრუქტურა, ე.ი. მთლიან სისტემაში კავშირის არსებობა ცალკეულ ელემენტებსა და მოვლენებს შორის. მთლიანობა, კავშირი და მათ მიერ განპირობებული მყარი სტრუქტურა – ასეთია ყოველგვარი სისტემის განმასხვავებელი ნიშნები.

სამართლის სისტემის ერთიანობისა და მთლიანობის საფუძველია მრავალრიცხოვანი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი.

სუბიექტურ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია კანონმდებლის მისწრაფება – შექმნას და განავითაროს სამართლის ისეთი სისტემა, რომელიც გამოირჩევა მისი შემადგენელი ნაწილების ერთიანობითა და შეთანხმებულობით. იმის შესაბამისად თუ როგორ არის შექმნილი და შინაგანად ორგანიზებული სამართლის სისტემა, განისაზღვრება მისი სოციალურ-პოლიტიკური და იურიდიულ-იდეოლოგიური ეფექტურობა.

ობიექტურ ფაქტორებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ სამართლის სისტემის მთლიანობასა და შეთანხმებულობას მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური, სოციალური, პოლიტიკური და სხვაგვარი პირობები, რომლებიც განაპირობებენ როგორც სამართლის სისტემის წარმოშობისა და განვითარების პროცესს, ისე მისი ეფექტური ფუნქციონირების აუცილებლობას. სამართალი ერთი მხრივ, სპეციფიკურ ფორმაში ასახავს რეალურად არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემას, მეორე მხრივ კი ახდენს მასზე მარეგულირებელ ზემოქმედებას.

მყარი სტრუქტურის არსებობა სამართლის სისტემის დახასიათების

ძირითადი ორიენტირია. სამართლის სისტემა რთული, მრავალდონიანი კომპლექსია, რომლის სტრუქტურული ელემენტები არსებობენ და ფუნქციონირებენ სხვადასხვა დონეზე. სამართლის სისტემა მრავალსახეობრივი სისტემაა, რომელიც მოიცავს თავისი შინაარსით და მოცულობით განსხვავებულ სტრუქტურულ ელემენტებს. ეს ელემენტები, როგორც სამართლის სისტემის ორგანული ნაწილები ფუნქციონირებენ შეთანხმებულად და მიზანდასახულად. სამართლის სისტემისაგან განცალკევებით ისინი კარგავენ სისტემურ ფუნქციას, შესაბამისად კი სოციალურ დანიშნულებასაც.

ერთიანობაში მყოფი სამართლის სისტემა ამავე დროს იყოფა ისეთ სტრუქტურულ ელემენტებად, როგორიცაა სამართლის ნორმა, სამართლის ინსტიტუტი, სამართლის ქვედარგი და სამართლის დარგი. ასეთი დაყოფა განპირობებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვნებით, რომლებსაც ასახავენ და არეგულირებენ სამართლის ნორმები.

ისტორიულად ყველა ქვეყნის სამართლის სისტემა პირობითად იყოფა კერძო და საჯარო სამართლად. ასეთი დაყოფა მომდინარეობს ძვ. რომის იურისპრუდენციიდან.

„საჯარო სამართალი – წერდა ცნობილი რომაელი იურისტი ულპიანე – არის ის, რომელიც ეხება სახელმწიფოს მდგომარეობას (ad statum publicae), კერძო – რომელიც ეხება ცალკეული პირების ინტერესებს (ad singulorum utilitatem).

მსოფლიო იურიდიული მეცნიერება სამართლის დაყოფას კერძო და საჯარო სამართლად პირობითად მიიჩნევს, მაგრამ აუცილებლად, რადგან მის ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს ინდივიდსა და სახელმწიფო-საზოგადოებრივ ორგანიზაციულ სტრუქტურებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი.

ცივილიზებული საზოგადოების ცხოვრებაში არსებობს განსაზღვრული ზღვარი – გრადაცია საზოგადოებრივ და კერძო ინტერესებს შორის, რაც ობიექტურად აისახება სამართლის სისტემაში. სამართალი მოწოდებულია დაიცვას არა მარტო მთელი საზოგადოების, არამედ თითოეული მისი წევრის ინტერესები. იდეალურ შემთხვევაში კერძო და საჯარო ინტერესები, ასახული სამართალში, ერთმანეთს ემთხვევიან, თუმცა ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი.

იცავს რა თავის ინტერესებს, სახელმწიფო სამართლებრივი და-

ნაწესების მეშვეობით იცავს თავისი მოქალაქეების ინტერესებსაც. უფლება განიხილება როგორც კერძო, ისე საჯარო თვალსაზრისით, შესაბამისად იმისა ეკუთვნის იგი კერძო პირს, დამოუკიდებელ ინდივიდს, თუ სახელმწიფო ორგანიზაციის წევრს. პირველ შემთხვევაში სახეზეა პირადი, მეორე შემთხვევაში საჯარო უფლება. კერძო სამართლის სფეროში პირი მოქმედებს საკუთარი უფლების შესაბამისად. ყველა უფლება, მათ შორის კერძოც, ეკუთვნის პირს, სხვა პირთან ან სახელმწიფოსთან მიმართებაში. სამართლის ის სფერო, სადაც ინდივიდუალური პირი არის დამოუკიდებელი სუბიექტი – არის კერძო სამართალი. თუ სუბიექტი გამოდის როგორც სოციალურად მთელის ნაწილი და მისი ქვემდებარე, სამართალი საჯაროა.

სამართლებრივ სახელმწიფოში კერძო და საჯარო სამართალი ჰარმონიულად არის შერწყმული. ტრადიციულად კერძო სამართალს მიეკუთვნება დარგები, რომლებიც მოწოდებულნი არიან უზრუნველყონ პირთა კერძო ინტერესები (სამოქალაქო, საბანკო, შრომის, საპატენტო, სადაზღვევო და ა.შ.). საჯარო სამართალს მიეკუთვნება კონსტიტუციური (სახელმწიფო), ადმინისტრაციული, სისხლის სამართალი, სისხლის საპროცესო სამართალი და სხვა დარგები, სადაც პრიორიტეტი სახელმწიფო ინტერესებს აქვთ.

§ 2. სამართლის სისტემის სტრუქტურული ელემენტები

როგორც ყველა სისტემა სამართლის სისტემაც განხილული უნდა იქნეს, როგორც მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ერთობლიობა, რომლის თავისებურება განისაზღვრება ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვაგვარი ფაქტორებით. სამართლის სისტემის სტრუქტურული ასპექტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი აერთიანებს შინაარსით განსხვავებულ სამართლებრივ ნორმებს. სამართლის ასეთი შინაარსობრივი სტრუქტურის საფუძველია საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალსახეობა და ეს ობიექტური კრიტერიუმი სამართლის ერთიანი სისტემის სტრუქტურულ ნაწილებად დაყოფის საფუძველიცაა. თავისი შინაარსით საზოგადოებრივი ურთიერთობანი შეიძლება იყოს ქონებრივი, საოჯახო, ფინანსური, შრომითი და ა.შ. საზოგადოებრივი ურთიერთობის თითოეულ სახეს არეგულირებს სამართლებრივი ნორმების მკაცრად

განსაზღვრული ჯგუფი, რომლებიც ასახავენ მათ დამახასიათებელ თავისებურებას და კონკრეტულ სოციალურ დანიშნულებას. ამრიგად, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემურობა სამართალს აძლევს სისტემურ თვისებას, განაპირობებს მის სტრუქტურულ აგებულებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ სამართლის სისტემის სამ სტრუქტურულ ელემენტს. ესენია: სამართლის ნორმა, სამართლის ინსტიტუტი და სამართლის დარგი.

სამართლის ნორმა წარმოადგენს სამართლებრივი სისტემის საწყისს, პირველად ელემენტს, სამართლის სისტემის ბაზისსა და საფუძველს. ნორმა არის ის „სამშენებლო მასალა“, რომელიც ქმნის მთლიან სამართლებრივ ქსოვილს, მათგან ყალიბდება სამართლის ინსტიტუტები, სამართლის ქვედარგები, სამართლის დარგები და მთლიანად სამართლის სისტემა. სამართლის ნორმები წარმოადგენენ ზოგადსავალდებულო ქცევის წესებს, რომლებიც არეგულირებენ არა ყველა, არამედ მხოლოდ საზოგადოებისა და მოქალაქეებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

სამართლის ნორმათა ერთობლიობა ქმნის სამართლის ინსტიტუტს. **სამართლის ინსტიტუტი** არის ურთიერთდაკავშირებული იურიდიული ნორმების შედარებით განცალკევებული ჯგუფი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობის სახესხვაობას. სამართლის ნორმებთან შედარებით სამართლის ინსტიტუტი წარმოადგენს თავისი შინაარსით უფრო ტევად ნაწილს, სამართლის სისტემის მეორად სტრუქტურულ ელემენტს. სამართლებრივი ინსტიტუტი არეგულირებს არა ყველა, არამედ მხოლოდ ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს. შესაბამისად, სამართლის თითოეული ინსტიტუტი მოიცავს მხოლოდ თვისობრივად განსაზღვრულ დამოუკიდებელ ერთობლიობას სამართლის ნორმებისა.

სამართლის ინსტიტუტები არსებობენ და ფუნქციონირებენ სამართლის დარგის ფარგლებში. სამართლის ნორმებთან ერთად ისინი აყალიბებენ სამართლის დარგის სტრუქტურას. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი შედგება ისეთი ინსტიტუტებისაგან, როგორიცაა „მოქალაქეობის“, „ადამიანის სამართლებრივი სტატუსის“, „საარჩევნო სამართლის“ ინსტიტუტი და ა.შ. სამოქალაქო სამართლის შემადგენლობაში შედის ყიდვა – გაყიდვის, ქირავნობის, გირავნობის, ჩუქების, კომისიის და სხვა ინსტიტუტები.

სამართლის დარგი არის იურიდიული ნორმებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს თვისობრივად სპეციფიკურ, ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს. სამართლის დარგი არის სამართლის სისტემის ყველაზე მსხვილი შემადგენელი ნაწილი, შედარებით განცალკევებული ერთობლიობა ავტონომიური იურიდიული ნორმებისა, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულ სფეროს. სამართლის დარგი წარმოადგენს სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების მთლიან წარმონაქმნს, ქვესისტემას სამართლის მთლიან სისტემასთან მიმართებაში.

სამართლის სისტემაში თითოეულ დარგს აქვს განსაზღვრული მდგომარეობა. ქართული სამართლის სისტემაში წამყვანი დარგი არის კონსტიტუციური სამართალი, რომელიც ადგენს სამართლის ყველა დარგისთვის საერთო კონსტიტუციურ პრინციპებს და ნორმებს, განსაზღვრავს მათ საბაზო ორიენტირებას და კონსტიტუციურ გარანტიებს. ეროვნულ სამართლებრივ სისტემას ავსებს ისეთი ტრადიციული დარგები, როგორიცაა ადმინისტრაციული, სისხლის, სამოქალაქო, შრომის და სოცუზრუნველყოფის, საფინანსო, ეკოლოგიური, სამოქალაქო-საპროცესო, სისხლის-საპროცესო სამართალი და ა.შ.

ამრიგად, სამართლის სისტემის ჩარჩოებში არსებობს ქვესისტემები: სამართლის ნორმების, ინსტიტუტების და დარგების სახით. ყველა მათგანი ორგანულად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ურთიერთზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე და ავსებენ ერთმანეთს. მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთმოქმედების შედეგად ყალიბდება მთლიანი, შინაგანად ერთიანი წარმონაქმნი – სამართლის სისტემა.

სამართლის თითოეულ დარგს აქვს თავისი რეგულირების საგანი, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრული სფერო, რომელსაც იგი თეორიულად შეიმეცნებს და რომლებიც განაპირობებენ დარგის თავისებურებებს. დავახასიათოთ სამართლის ძირითადი დარგები:

კონსტიტუციური სამართალი არის იმ იურიდიულ ნორმათა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს ქვეყნის საზოგადოებრივ წყობილებას, სახელმწიფოს წესწყობილებას. სახელმწიფო ორგანოთა სისტემას, მათ ფუნქციებსა და ურთიერთმიმართებას; განამტკიცებს სახელმწიფოს, ხალხისა და ერების სრულუფლებიანობას, მათ სუვერენიტეტს; ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს; ადამიანის და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებს; სახელმწიფო და

საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ საფუძვლებს, დემოკრატიზმის პრინციპებს.[106]

ადმინისტრაციული სამართალი არის იმ ნორმებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების სფეროში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს;

სამოქალაქო სამართალი არის სამართლის დამოუკიდებელი დარგი, რომელიც არეგულირებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.

შრომის სამართალი აწესრიგებს შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის პროცესში წარმოშობილ მუშაკთა შრომით ურთიერთობებს საწარმოებთან, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან, მათი საკუთრებისა და ორგანიზაციული ფორმის მიუხედავად.

სისხლის სამართალი არის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ქმედების დანაშაულებრიობასა და დასჯადობას, პასუხისმგებლობის საფუძვლებს, სასჯელთა სისტემასა და მათი დანიშვნის წესს, აგრეთვე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების პირობებს.

საფინანსო სამართალი არის იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საფინანსო საქმიანობის სფეროში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი არეგულირებს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა სასამართლოს მიერ სამოქალაქო, საოჯახო და შრომითი დავების განხილვის პროცესში. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები განსაზღვრავენ სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებსა და ამოცანებს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, მათ სამართლებრივ სტატუსს, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისა და გასაჩივრების წესს.

სისხლის საპროცესო სამართალი აერთიანებს ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესს. კერძოდ, წინასწარი გამოძიების, მოკვლევის ორგანოების, პროკურატურის, სასამართლოს საქმიანობას, მათ ურთიერთობას მოქალა-

[106] ო. მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბ. 2005, გვ. 20-21

ქეებთან გამოძიების, სასამართლო განხილვისა და სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის პროცესში.

სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთაშორისო სამართალს. იგი არ შედის არც ერთ შიდასახელმწიფოებრივ ნაციონალურ სისტემაში. მისი რეგულირების საგანია არა შიდასახელმწიფოებრივი, არამედ საერთაშორისო ურთიერთობანი. საერთაშორისო სამართალი შედგება ორი ნაწილისაგან – საერთაშორისო საჯარო სამართალი და საერთაშორისო კერძო სამართალი.

გარდა მთავარი სტრუქტურებისა სამართლის სისტემაში არსებობენ ერთგვარი მეორადი სტრუქტურები, კომპლექსური დარგები. თანამედროვე ეპოქაში მრეწველობის, სატრანსპორტო არტერიების, კომუნიკაციის საშუალებების, ენერგეტიკის და სხვა მასობრივი წარმოების დარგების, გარემომცველი გარემოს დაცვის და სხვა სფეროებში წარმოშობილი ურთიერთობანი მოითხოვენ სათანადო სამართლებრივ მოწესრიგებას. შესაბამისად იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში ტრადიციულ დარგებთან და ინსტიტუტებთან ერთად ჩამოყალიბდა სამართლის ნორმების ისეთი მასივები და კომპლექსები, რომლებმაც შექმნეს სამართლის ახალი დარგები – საზღვაო სამართალი, სამთო, სატყეო, სასოფლო-სამეურნეო, საჰაერო, ბუნების დაცვის სამართალი და ა.შ. ასეთი კომპლექსური გაერთიანება სამართლის ნორმებისა წარმოადგენს არა იურიდიულად დიფერენცირებულ, სამართლის განსაკუთრებული დარგის გამოყოფას, არამედ ინტეგრაციას საზოგადოებრივი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში. სპეციალური, პროფილიზებული, საგნობრივი შინაარსით ჩამოყალიბებული ნორმების ერთობლიობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ძირითად დარგობრივ დიფერენციაციას, არამედ უნდა ავსებდეს და ამდიდრებდეს მას.

სქემა №43. სამართლის სისტემა



§ 3. სამართლის სისტემის დარგებად და ინსტიტუტებად დაყოფის კრიტერიუმები

სამართლის სისტემის დაყოფა დარგებად და ინსტიტუტებად განპირობებულია რეალურად არსებული მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობებით და მათი სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობით. ცალკეულ ნაწილებად სამართლის სისტემის დაყოფის პრობლემა საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა, თუმცა მისადმი მიდგომა ყოველთვის ერთნაირი არ იყო, პრობლემის ირგვლივ მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრება სხვადასხვა, ზოგჯერ რადიკალურად განსხვავებულიც კი არის.

გერმანელი მეცნიერი ვარკონიგი ასაბუთებდა, რომ სამართლის სისტემა უნდა დაიყოს შემადგენელ ნაწილებად „მათი დაცულობის ხარისხის" შესაბამისად – კერძო, საჯარო და საერთაშორისო სამართლად. მისი აზრით, სახელმწიფოში ყველაზე დაცულია კერძო სამართალი, უფრო ნაკლებად – საჯარო სამართალი და კიდევ უფრო ნაკლებად – საერთაშორისო სამართალი.[107] უდავოა, რომ სამართლის სისტემის ნაწილებად დაყოფის ასეთი კრიტერიუმი უფრო სუბიექტურია, ვიდრე ობიექტური.

XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი იურისტი ო. გირკე სამართლის სისტემას ჰყოფდა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ სამართლად და სოციალურ სამართლად. ამგვარი დაყოფის საფუძვლად იგი მიიჩნევდა ისეთ თავისებურ კრიტერიუმს, როგორიცაა ადამიანის მიერ იმის გაცნობიერება, რომ იგი არის „განცალკევებული ინდივიდი" და ერთდროულად „საზოგადოებრივად მთლიანის წევრი".[108] ეს კრიტერიუმიც არანაკლებ სუბიექტური ხასიათისაა, ვიდრე ზემოთ მოყვანილი.

თანამედროვე მეცნიერება სამართლის სტრუქტურული დიფერენციაციის საფუძვლად მიიჩნევს რეგულირების საგანს და რეგულირების მეთოდს. პირველი მათგანი ძირითადია, მეორე კი დამხმარე.

სამართლებრივი რეგულირების საგანი არის ის, რაზედაც ზემოქმედებას ახდენს სამართალი, ე.ი. საზოგადოებრივი ურთიერთობანი. საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოადგენს იმ ობიექტურ საფუძველს, რაც განაპირობებს სამართლის არსებობას და რასაც შეაქვს მასში სისტემაწარმომქმნელი ნიშანი.

[107] Wornkonig N. Juntische Encyclopedie, Berlin, 1853. J. 64-85

[108] George O. Deutsches Privatrecht. Berlin 1895. J. 28-32

სამართლის თითოეული დარგი აერთიანებს ისეთ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ განსაკუთრებულ, თვისობრივად განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც ობიექტურად საჭიროებენ სპეციფიკურ სამართლებრივ რეგლამენტაციას. სამართლის დარგში სამართლებრივ ნორმათა გაერთიანება ხდება ობიექტური მიზეზების გამო და არა სამართალშემოქმედებითი ან სამართალშემფარდებელი ორგანოების შეხედულებით. მთავარი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ერთი დარგის განსხვავებას მეორე დარგისაგან, არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა თავისებურება, რომლებიც რეგულირდებიან სამართლის კონკრეტული დარგით.

სამართლებრივი რეგულირების საგანი არის თვისობრივად ერთგვაროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებზედაც ზემოქმედებას ახდენენ სამართლის განსაზღვრული დარგის ნორმები.

ურთიერთობანი, რეგულირებული სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმებით, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შინაარსით, კონკრეტული მიზნებითა და ამოცანებით. მაგალითად, ადმინისტრაციული სამართლის ნორმები არეგულირებენ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელ საქმიანობასთან, ხოლო სამოქალაქო სამართლის ნორმები განსაზღვრავენ სახელმწიფოში ქონებრივი კავშირების წესს, ე.ი. არეგულირებენ ქონებრივ, საოჯახო და ზოგიერთ მათთან დაკავშირებულ არაქონებრივ ურთიერთობებს.

სამართლებრივი რეგულირების საგანი არის სამართლის ნორმების დარგებად განლაგების მთავარი, ძირითადი კრიტერიუმი. სამართლებრივი რეგულირების საგანთან ერთად სამართლის დარგებად დაყოფის მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების მეთოდი.

სამართლებრივი რეგულირების მეთოდი არის იმ საშუალებების ერთობლიობა, რომლითაც სამართლის დარგი ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულ სახეზე.

სამართლის ნორმები შინაარსით განსხვავებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედებას ახდენენ სხვადასხვა მეთოდებით (საშუალებებით). მეთოდი უშუალოდ არის დაკავშირებული რეგულირებული ურთიერთობის ხასიათსა და შინაარსთან. იგი შეიძლება სხვადასხვა გზით გამოიხატოს: ერთ შემთხვევაში, აქტიური მოქმედებით, მეორე

შემთხვევაში, პირიქით, მოქმედებისაგან თავის შეკავებით. მეთოდი შეიძლება იყოს რეკომენდაცია, ქცევის სხვადასხვა ვარიანტიდან არჩევის უფლება, წახალისება, დასჯა და ა.შ.

სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში განასხვავებენ ორ ძირითად მეთოდს: იმპერატიული (ავტორიტარულ) და დისპოზიციურ (ავტონომიურ) მეთოდს.

იმპერატიული მეთოდი, რომელსაც ავტორიტარულ მეთოდსაც უწოდებენ, წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების ისეთ საშუალებას, რომლის დროს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს გააჩნიათ ქცევის ერთი, მკაცრად განსაზღვრული ვარიანტი. ამასთანავე სამართლის ნორმაში ზუსტად არის ფიქსირებული მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის და შეწყვეტის წესი, მისი ხასიათი, მოცულობა და შინაარსი. აღნიშნულ მეთოდს ასევე უწოდებენ *სუბორდინაციის მეთოდსაც*, რომლის არსი დაქვემდებარებაში მდგომარეობს. იგი გამოიყენება ადმინისტრაციულ, საფინანსო, სასჯელაღსრულებით სამართალში.

დისპოზიციური (ავტონომიური) მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამართლის ნორმებით დადგენილია არა აკრძალვა, არამედ ზღვარი, რომლის ფარგლებში სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი თვითონ განსაზღვრავენ თავიანთი ქცევის ვარიანტს, თავიანთ უფლება-მოვალეობებს. ეს მეთოდი გამოიყენება სამოქალაქო, საოჯახო, კომერციულ და ნაწილობრივ შრომით სამართალში. მას უწოდებენ ასევე კოორდინაციის მეთოდს, ვინაიდან არეგულირებს ურთიერთობებს, რომლის მონაწილენი იმყოფებიან თანასწორ სამართლებრივ მდგომარეობაში, ერთი არ ექვემდებარება მეორეს.

სამართლის ზოგიერთი დარგისათვის დამახასიათებელია სპეციალური, სამართალდამცავი დანიშნულების მეთოდი, რომელიც მიმართულია სამართლის სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცებისაკენ. ამ დარგებში, კერძოდ, სისხლის სამართალში, სისხლის სამართლის პროცესში და სასჯელაღსრულებით სამართალში კანონმდებელი საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების მეთოდად აღიარებს აკრძალვას, სისხლის სამართლებრივი სანქციების მუქარით კრძალავს ისეთი ქმედების ჩადენას, რაც ზიანს აყენებს როგორც პიროვნების, ისე სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.

მეთოდი უშუალოდ განისაზღვრება სამართლებრივი რეგულირების საგნით, სწორედ საზოგადოებრივი ურთიერთობის კონკრეტული შინაარსი განაპირობებს იურიდიული ზემოქმედების საშუალებების თავისებურებებს. სამართლებრივი რეგულირების მეთოდის თავისებურებანი შეიძლება გამოხატული იყოს საშუალებათა კომპლექსში, რაც დამახასიათებელია სამართლის თითოეული დარგისათვის.

სქემა №44. სამართლის სისტემის სტრუქტურულ ელემენტებად დაყოფის კრიტერიუმები



§ 4. სამართლის სისტემის და კანონმდებლობის სისტემის თანაფარდობა

სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა ერთმანეთთან ახლოს მდგომი, მაგრამ არა თანმხვედრი იურიდიული კატეგორიებია.

კანონმდებლობის სისტემა არის ქვეყანაში მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთობლიობა, რომელშიც ვლინდება სამართლის შინაგანი არსი და სტრუქტურული აგებულება. კანონმდებლობის სისტემა სამართლის სისტემის გარეგნული გამოხატულებაა, რამდენადაც სამართლის სისტემა თავის რეალურ ყოფიერებას აღწევს ფორმალურად განსაზღვრულ აქტ-დოკუმენტებში. ამასთანავე, ორი იურიდიული მოვლენა – სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა არსებობენ დამოუკიდებლად, თითოეულ მათგანს აქვს თავისი სპეციფიკა და განვითარების საკუთარი ტენდენციები.

სამართლის სისტემა ობიექტური სამართლებრივი მოვლენაა. იგი ყალიბდება საზოგადოების ცხოვრების ზოგადი კანონზომიერების საფუძველზე. წარმოადგენს რა საზოგადოების ურთიერთობათა რეალურად არსებული სისტემის ასახვას, სამართლის სისტემა ყალიბდება არა ადამიანთა თვითნებური შეხედულების, არამედ ობიექტური სინამდვილის საფუძველზე.

სამართლის ნორმები, ერთი მხრივ, ადამიანთა ობიექტური, სოციალურ-ნებითი საქმიანობის, სამართალშემოქმედებითი საქმიანობის პროდუქტია. მეორე მხრივ, სამართლის ნორმები სამართლის სისტემის ბუნებრივი ელემენტები ხდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტურად ასახავენ საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებს, განსაზღვრავენ სოციალურ ურთიერთობებში სამართლიანობისა და თავისუფლების მაქსიმალურ ზომებს. ამიტომ სამართლის ნორმები სამართალშემოქმედებითი ორგანოების ნებისაგან დამოუკიდებლად ერთიანდებიან განსაზღვრულ ჯგუფებში, რომლებიც არეგულირებენ შესაბამის ურთიერთობებს. თუ ნორმა მიღებულია განსაზღვრული სახის საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებისათვის, იგი ობიექტურად შედის სამართლის იმ დარგის შემადგენლობაში, რომელიც არეგულირებს ამ ურთიერთობებს.

კანონმდებლობის სისტემა ყალიბდება სხვა პრინციპების საფუძველზე და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სუბიექტურ

ფაქტორს, სასამართლო პრაქტიკას, საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმების ცვალებადობას.

კანონმდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური მოთხოვნები, მას არ შეუძლია შეცვალოს სამართლის ნორმების შინაარსი, რომლებიც არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულ სახეს.

სამართალი არ არსებობს კანონმდებლობის გარეშე. სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა ერთმანეთს შეესაბამებიან როგორც შინაარსი და ფორმა. სწორედ კანონმდებლობაში (სამართლის წყაროები) ვლინდებიან რეალურად სამართლის ნორმები და მათი სტრუქტურული ნაწილები. ამ თვალსაზრისით, სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა მთლიანად ემთხვევიან ერთმანეთს. ამასთანავე, ისინი განსხვავდებიან თავიანთი სტრუქტურული ელემენტებითა და შინაარსით. თუ სამართლის სისტემის პირველადი ელემენტია სამართლის ნორმა, კანონმდებლობის სისტემის პირველად ელემენტს წარმოადგენს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მუხლი, რომელიც ყოველთვის არ შეიცავს სამართლის ნორმის ყველა სტრუქტურულ ელემენტს – ჰიპოტეზას, დისპოზიციას და სანქციას. მასში ზოგჯერ გადმოცემულია მხოლოდ ორი ელემენტი: ჰიპოტეზა და სანქცია, დისპოზიცია კი შეიძლება გამოხატული იყოს ამავე აქტის სხვა მუხლში ან სრულიად სხვა აქტში. ამასთანავე, ერთი და იმავე ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში შეიძლება იყოს სხვადასხვა დარგის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან სხვა აქტის სანქციებით (მაგალითად, კანონი საკუთრების შესახებ, კანონი განათლების შესახებ, კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და ა.შ.).

რამდენადაც ერთი და იმავე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება არეგულირებდეს შინაარსით განსხვავებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მოიცავდეს რამდენიმე დარგის ნორმებს, კანონმდებლობის სისტემას არა აქვს სამართლებრივი რეგულირების ერთიანი საგანი და მეთოდი.

სოციალურ ურთიერთობათა მრავალფეროვნება და ურთიერთკავშირი განაპირობებს კანონმდებლობის სისტემაში ისეთი სტრუქტურული ელემენტების შექმნას, რომლებიც არ ემთხვევა სამართლის სისტემის სტრუქტურულ ელემენტებს. ამიტომ, სამართლის დარგი ყოველთვის არ შეესაბამება კანონმდებლობის დარგს.

სხვადასხვა სახელმწიფოს განვითარების ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ ყოველი სახელმწიფოს კანონმდებლობა ყოველთვის საჭიროებს განსაზღვრულ მოწესრიგებას – სხვადასხვაგვარი ნორმების მოყვანას განსაზღვრულ სისტემაში. კანონმდებლობა მოიცავს ნორმატიულ-საზოგადოებრივი აქტების უდიდეს მასივებს, ამიტომ მას რთული სტრუქტურა აქვს.

კონტინენტური ევროპის სამართლებრივ კულტურებში ჩამოყალიბდა კანონმდებლობის დაყოფა დარგებად ან სხვა სისტემებად. საგნობრივი ნიშნის მიხედვით, ერთგვაროვანი ნორმები გაერთიანებულნი არიან სისტემატიზირებულ ნორმატიულ აქტებში – კანონმდებლობის განსაზღვრულ დარგებში.

კანონმდებლობის სისტემა მოიცავს კანონმდებლობის დარგების შემდეგ ძირითად სფეროებს:

❍ დარგობრივი კანონმდებლობა აერთიანებს ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა თვისობრივად განსაზღვრულ სახეს და ერთდროულად წარმოადგენენ სამართლის შესაბამისი დარგის საგანს. აქ კანონმდებლობის დარგი ემთხვევა სამართლის დარგს. მაგალითად, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა.

❍ შიდადარგობრივი კანონმდებლობა აერთიანებს ქვედარგის ან ინსტიტუტის ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ დარგობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობების სახესხვაობას. მაგალითად, საავტორო კანონმდებლობა სამოქალაქო კანონმდებლობის სისტემაში, საბანკო კანონმდებლობა საფინანსო კანონმდებლობის სისტემაში და ა.შ.

❍ კომპლექსური კანონმდებლობა მოიცავს სამართლის რამდენიმე დარგის ნორმებს, რომლებიც არ გულისხმობენ საზოგადოებრივი ცხოვრების შედარებით დამოუკიდებელ სფეროს მიკუთვნებულ, შინაარსით განსხვავებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. მაგალითად, სამეურნეო, სატრანსპორტო, ბუნების დაცვის კანონმდებლობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია კანონმდებლობის სისტემის სხვაგვარი კლასიფიკაციაც; მითითებულია, რომ შესაძლებელია გამოყოფილ იქნეს კანონმდებლობის სისტემის ჰორიზონტალური და ვერტიკალური სტრუქტურა.

კანონმდებლობის ჰორიზონტალური სტრუქტურა განპირობებულია სამართლებრივი რეგულირების საგნით. ამ მიმართებაში, სამართ-

ლის სისტემისა და კანონმდებლობის სისტემის დარგები ერთმანეთს შეესაბამებიან: კონსტიტუციურ სამართალს – კონსტიტუციური კანონმდებლობა, შრომის სამართალს – შრომის კანონმდებლობა, სამოქალაქო სამართალს – სამოქალაქო კანონმდებლობა და ა.შ.

ვერტიკალური (იერარქიული) სტრუქტურა გულისხმობს კანონმდებლობის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების დაყოფას მათი იურიდიული ძალის შესაბამისად. სისტემის სათავეში დგას ქვეყნის ძირითადი კანონი – კონსტიტუცია, რომლის შემდეგ წამყვანი ადგილი უჭირავს კანონებს. საქართველოს კანონმდებლობა იერარქიული სტრუქტურის თვალსაზრისით ასე წარმოგვიდგება: საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს მინისტრისა და ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანება.[109]

სამართლის სისტემისა და კანონმდებლობის სისტემის თანაფარდობა უნდა ემყარებოდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა მათი ინტელექტუალურ-ნებითი თვისება, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, სარგებლიანობა და გამჭვირვალობა. სამართლის სისტემა საზოგადოებაში მოქმედი სამართლის სტრუქტურული თვისებაა, რომელიც შეესაბამება მის მიერ განმტკიცებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. იგი იურიდიული მეცნიერების დოქტრინალური ცნებაა, მაგრამ ეს არ ამცირებს მის პრაქტიკულ მნიშვნელობას და კანონმდებლობაზე ზეგავლენის ხარისხს. სამართლის სისტემას, როგორც სამართლის შინაგან სტრუქტურას და კანონმდებლობის სისტემას, როგორც სამართლის სისტემის გარეგნულ გამოხატულებას შორის ორგანული კავშირურთიერთობაა. ერთის განვითარება მეორეს განვითარების წინაპირობაა. კანონმდებლობის სისტემის მეცნიერული საფუძველი და დოქტრინალური გამოხატულება არის სამართლის სისტემა.

საქართველოს სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა უნდა განვითარდეს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციით განმტკი-

[109] საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ"

ცებული ზოგადკაცობრიული პრინციპები და იდეები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განვითარების ორიენტირი უნდა იყოს. სამართლებრივ რეგულირებაში, იმპერატიული მეთოდების შეზღუდვა და დისპოზიციური მეთოდისათვის უპირატესობის მინიჭება, საჯარო და კერძო რეგულირების საწყისების შერწყმა, საზოგადოებრივი რეგულირების დეცენტრალიზაცია, კანონმდებლობის სისტემის მოყვანა კონსტიტუციასთან შესაბამისობაში, საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნების სათანადო სამართლებრივი მოწესრიგება, სამართლისა და კანონმდებლობის სისტემების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მნიშვნელოვან წანამძღვრებს წარმოადგენენ.

სქემა №45. კანონმდებლობის სისტემა და მისი სტრუქტურული ელემენტები



თავი XX. მართლზომიერი ქცევა, სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა

§ 1. მართლზომიერი ქცევა

საზოგადოების წევრთა ურთიერთობა სხვადასხვა სახისა და ფორმის ქცევებში ვლინდება. ასეთ ქცევებს აქვთ მოტივი, მიზანი, მორალური და სამართლებრივი შეფასება. ადამიანი გონიერი არსებაა, აქვს აზროვნებისა და მეტყველების უნარი, ასევე იმის უნარი – კონტროლი გაუწიოს თავის მოქმედებას. ამიტომ საზოგადოების წევრთა ქცევები იწვევენ მოწონებას ან განსჯას იმის შესაბამისად საზოგადოებრივად სასარგებლო არიან ისინი თუ საზოგადოებრივად საშიშნი.

ადამიანთა მრავალფეროვანი ქცევების სისტემაში განასხვავებენ სამართლებრივ და არასამართლებრივ ქცევებს. სამართლებრივია ქცევა, რომელიც სამართლის ნორმებითაა მოწესრიგებული. ასეთი ქცევები სამართლის პოზიციებიდან სხვადასხვაგვარად ფასდება – დადებითად, მართლზომიერად და უარყოფითად, არამართლზომიერად.

მართლზომიერი ქცევა სამართლებრივი ქცევის ერთ-ერთი და ამასთანავე საზოგადოებისათვის მოსაწონი სახეა. სწორედ ასეთი ქცევაა სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების საფუძველი, მათი ნორმალური ფუნქციონირების წანამძღვარი.

მართლზომიერია ისეთი ქცევა (მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება), რომელიც შეესაბამება სამართლის ნორმის მოთხოვნებს. მართლზომიერი ქცევის მთავარი თავისებურებაა სამართლებრივი დანაწესების მკაცრი და განუყრელი შესრულება. ქცევის მართლზომიერებასა და არამართლზომიერებაზე შეიძლება მსჯელობა იმის მიხედვით შეესაბამება თუ არა ადამიანების ქცევა, მათი მოქმედება სამართლის ნორმის მოთხოვნებს. ეს ეხება აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებისა და არასახელმწიფო ორგანიზაციების ქმედებას და მათ მიერ გამოცემულ იურიდიულ აქტებს.

მართლზომიერი ქმედება წარმოადგენს საზოგადოებრივად აუცილებელ და სასარგებლო მოვლენას. მას საფუძვლად უდევს სუბიექტის

შეგნება, რომ სამართლებრივი დანაწესები სამართლიანი და სასარგებლოა, რომ ის თავისი ქცევით პასუხისმგებელი არის სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. მართლზომიერ ქცევას მნიშვნელოვნად განაპირობებს პიროვნების სოციალური სიმწიფე და მაღალი სამართლებრივი კულტურა.

მართლზომიერი ქცევის ნებაყოფლობა დამოკიდებულია ასევე თვით ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებზე, იმაზე რამდენად შეესაბამებიან ისინი საზოგადოების ინტერესებსა და მოთხოვნებს.

სამართლებრივი სახელმწიფო თავისი საქმიანობით მიისწრაფვის გააფართოოს და სტაბილური გახადოს მართლზომიერი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, აამაღლოს სამართლებრივი რეგულირების ხარისხი და შეზღუდოს საზოგადოებაში არამართლზომიერი ქცევები.

თუ ყველა მართლზომიერი ქცევა წარმოადგენს საზოგადოებრივად აუცილებელ და სასარგებლო ქცევას, ეს სულაც არ ნიშნავს რომ საზოგადოებრივად სასარგებლო ყველა ქმედება ავტომატურად ითვლება მართლზომიერად. მართლზომიერია მხოლოდ ის საზოგადოებრივად სასარგებლო და აუცილებელი ქცევა, რომელიც დაკავშირებულია სამართლის ნორმის შინაარსთან, შესაბამის უფლება-მოვალეობებთან. ყველა სხვა ქმედება, რომელიც არ არის რეგულირებული სამართლის ნორმებით არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მართლზომიერი ქცევა. ისინი შეიძლება შეფასდნენ მორალური, ჩვეულებითი, რელიგიური, შიდაპარტიული ან შიდაორგანიზაციული ნორმების თვალსაზრისით.

მართლზომიერად არ ჩაითვლება იმ პირთა ქცევა, რომლებიც უფლებაუნარიანნი არიან, მაგრამ ვერ სარგებლობენ ქმედუნარიანობით. მცირეწლოვანი და შეურაცხადი პირების ქცევა ვერ შეფასდება სამართლებრივად მართლზომიერებისა და არამართლზომიერების თვალსაზრისით, რადგან ასეთ ქცევას არ მოსდევს იურიდიული შედეგი.

მართლზომიერი ქცევა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლის რეალიზაციის ფორმებთან. აკრძალვის დაცვა, მოვალეობის შესრულება და მინიჭებული უფლების გამოყენება, სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირების მიერ სამართლის შეფარდება შეადგენს მართლზომიერი ქცევის არსს.

სოციალურად მნიშვნელოვანი ქმედება მართლზომიერი ქცევის სახით მრავალსახეობრივია. ზოგიერთი მათგანი ობიექტურად აუცილებელია საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის (სამშობლოს

დაცვა, შრომითი მოვალეობის შესრულება, საგზაო წესების დაცვა და ა.შ.). ასეთი ქცევის ფარგლები განმტკიცებულია სამართლის ნორმებში მოვალეობის სახით. ქცევის სხვა ვარიანტი საზოგადოებისათვის არა იმდენად სავალდებულოა, რამდენადაც სასურველი (არჩევნებში მონაწილეობა, ოჯახის შექმნა). ასეთი ქცევა განმტკიცებულია არა როგორც მოვალეობა, არამედ როგორც უფლება, რომლის განხორციელება თვით სუბიექტის ნებაზეა დამოკიდებული. არსებობს ისეთი მართლზომიერი ქცევებიც, რომლებიც სოციალურად დასაშვებია (განქორწინება, მუშაობის ცვლების განსაზღვრა, მიტინგებში მონაწილეობა).

მართლზომიერი ქცევა, ისევე, როგორც ყოველი ადამიანური ქცევა, წარმოადგენს პირის საქმიანობის გარეგანი (ობიექტური) მხარის და სუბიექტის შინაგანი (სუბიექტური) მხარის ერთიანობას.

ობიექტური მხრივ, მართლზომიერი ქცევა გამოიხატება პირის აქტიურ მოქმედებაში ან უმოქმედობაში, რომელიც, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივად აუცილებელი და საზოგადოებრივად სასარგებლო უნდა იყოს.

სუბიექტური მხრივ, მართლზომიერი ქცევა გამოიხატება პირის ფსიქიკურ და სულიერ მდგომარეობაში, მის დამოკიდებულებაში როგორც სამართლის ნორმებთან, ასევე თავის ქცევასთან და საკუთარი ქცევის საზოგადოებრივ შეფასებასთან. სხვადასხვა სუბიექტების ქცევის მართლზომიერება გამოიხატება მათ დადებით დამოკიდებულებაში სამართლის ნორმებში განმტკიცებულ სახელმწიფო-სახელისუფლებო დანაწესებთან.

მართლზომიერი ქცევის კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

❍ გარეგანი გამოხატვის ფორმის მიხედვით, მართლზომიერი ქცევა ვლინდება აქტიურ მოქმედებაში ან პირიქით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – უმოქმედობაში.

❍ სამართლის სუბიექტების მიხედვით, განასხვავებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ მართლზომიერ ქცევებს. თუ ინდივიდუალურ ქცევაში იგულისხმება ცალკეული ადამიანების მართლზომიერი ქცევა, ჯგუფური არის შრომითი კოლექტივების, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, იურიდიული პირების მართლზომიერი ქცევა.

❍ საზოგადოებრივი დანაწესების რეალიზაციის ფორმის შესაბა-

მისად მართლზომიერი ქცევა გამოიხატება დაცვაში, შესრულებაში, გამოყენებასა და სამართლის შეფარდებაში.

❍ სამართლის დარგების ნორმების შესაბამისად, რომელთა საფუძველზე სრულდება მართლზომიერი ქცევა, განასხვავებენ კონსტიტუციურ, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, შრომით, სისხლის სამართლებრივ და სხვაგვარ მართლზომიერ ქცევებს.

❍ იურიდიული შედეგების მიხედვით, რომლის მიღწევასაც ცდილობს სამართლის სუბიექტი, განასხვავებენ იურიდიულ აქტებს, იურიდიულ ქცევებს და მოქმედებას, რომლებიც იწვევენ იურიდიულ შედეგს.

მართლზომიერი ქცევის რეალიზაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოტივს. მოტივაცია განსაზღვრავს ქცევის მართლზომიერების ხარისხსა და ეფექტურობას. მოტივის მიხედვით, მართლზომიერი ქცევა შეიძლება შემდეგი სახის იყოს:

❍ სოციალურად აქტიური ქცევა ისეთი ქცევაა, როცა სუბიექტი ავლენს პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხს, მოქმედებს აქტიურად, ისწრაფვის სამართლებრივი დანაწესები განახორციელოს სრულად და ეფექტურად, მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას.

❍ კონფორმისტული ქცევა. ასეთი მართლზომიერი ქცევისათვის დამახასიათებელია სოციალური აქტივობის დაბალი დონე. პიროვნება პასიურად იცავს სამართლის ნორმებს, მიისწრაფვის მოიქცეს ისე, როგორც იქცევიან სხვები და არ აცნობიერებს იმას, რატომ იქცევიან ასე და არა სხვაგვარად.

❍ მარგინალური[110] ქცევა მართალია ითვლება მართლზომიერ ქცევად, თუმცა სუბიექტი იმყოფება ანტისაზოგადოებრივ, არამართლზომიერი მოქმედების ზღვარზე. არის საშიშროება, რომ ასეთი ქცევა გადაიზარდოს არამართლზომიერ ქცევაში. თუ იგი შეინარჩუნებს მართლზომიერი ქცევის ფორმას, ეს იქნება დასჯის, შიშის ან სხვა რაიმე მოტივის გამო (მაგალითად, მოქალაქე ტრანსპორტით მგზავრობის ფულს იხდის იმის გამო, რომ ტრანსპორტში არის კონტროლიორი).

❍ ჩვეული ქცევა, რომელიც მრავალგზისი გამოყენების გამო ხდება ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება და ადამიანის გონებაში არ არის ფიქსირებული არც სოციალური და არც სამართლებრივი მნიშვნელობით (მაგალითად, მძღოლი ავტომატურად ჩერდება შუქნიშანთან, რადგან ეს გადაქცეული აქვს ჩვევად).

[110] „მარგინალური" ლათინურად ნიშნავს „ზღვარს".

სქემა №46. მართლზომიერი ქცევა



§ 2. სამართალდარღვევა (არამართლზომიერი ქცევა)

სამართლებრივ სამყაროში აქსიომას წარმოადგენს ის, რომ მართლზომიერი ქცევის სოციალური და იურიდიული ანტიპოდი არის არამართლზომიერი ქცევა – სამართალდარღვევა. იურიდიულად მნიშვნელოვანი ქცევა ორი სახისაა: მართლზომიერი და არამართლზომიერი. ორივე მათგანი სამართლებრივი რეგულირების ობიექტია, მაგრამ განსხვავებული თვალსაზრისით: თუ მართლზომიერი ქცევა სოციალურად მოსაწონი და სასარგებლოა, აუცილებელი საზოგადოებრივი პროგრესისათვის, არამართლზომიერი ქცევა – სამართალდარღვევა სოციალურად საშიში და გასაკიცხი ქცევაა. იგი ვნებს მთლიანად საზოგადოების ინტერესებს, აბრკოლებს მის განვითარებას.

სამართალდარღვევა სამართლის თანმდევი მოვლენაა და ორგანულად დაკავშირებულია მასთან. სამართლის გარეშე სამართალდარღვევა არც არსებობდა და არც არსებობს. სამართალდარღვევა პიროვნების მიერ სამართლის ნორმების უგულველყოფა, მისი მოთხოვნების და დანაწესების შეუსრულებლობაა.

სამართალდარღვევა არის დელიქტუნარიანი პირის არამართლზომიერი, ბრალეული ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმის დანაწესებს, ზიანს აყენებს საზოგადოებას და მის წევრებს, რის გამოც იწვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას.

სამართალდარღვევას ახასიათებს სპეციფიკური, მკვეთრად გამოხატული ნიშნები:

❑ სამართალდარღვევა არის ადამიანის ისეთი ქცევა, რომელიც გამოიხატება მოქმედებაში ან უმოქმედობაში. სამართალდარღვევად არ ითვლება აზრი, გრძნობა, ლოცვა, ვინაიდან ისინი არ რეგულირდება სამართლით, სანამ გამოხატული არ იქნებიან ადამიანთა ქცევის განსაზღვრულ აქტში. უმეტეს შემთხვევაში, სამართალდარღვევა გამოიხატება მოქმედებაში. უმოქმედობა სამართალდარღვევად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ვალდებული იყო ემოქმედა სამართლის ნორმის შესაბამისად, მაგრამ არ შეასრულა თავისი მოვალეობა (მაგალითად, დახმარების აღმოუჩენლობა, თანამდებობის პირის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობა).

❑ სამართალდარღვევა ისეთი ქცევაა, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმის დანაწესებს. სამართალდარღვევა არის ისეთი

არამართლზომიერი ქცევა, რომელიც მიმართულია იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წინააღმდეგ, რომელთაც არეგულირებს და იცავს სამართლის ნორმები. ქმედება, რომელიც სამართლის ნორმების შესაბამისია, სამართლებრივად დასაშვებია, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართალდარღვევად. სამართალდარღვევა ხელყოფს იმ პირთა ინტერესებს, რომელთაც იცავს სამართალი (მესაკუთრის უფლებები, სიტყვის, რწმენის თავისუფლება, მემკვიდრეობის უფლება და ა.შ.). ამასთანავე, კანონი არ იცავს პირის ყოველგვარ ინტერესს, ამიტომ მათი ხელყოფა არ წარმოადგენს სამართალდარღვევას. მაგალითად, კონკურენცია ხელყოფს რომელიმე პირის კერძო, ეკონომიკურ ინტერესებს, მაგრამ ეს სამართალდარღვევა არ არის.

სამართალდარღვევის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პირის ქცევა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართლის ნორმებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი დანაწესები ყოველთვის არ შეესაბამება საზოგადოების ან კერძო პირების ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორგანიზებული, ცივილიზებული საზოგადოების არსებობა და განვითარება შეუძლებელია. სწორედ ამიტომ ითვალისწინებს და იცავს სამართლებრივი სახელმწიფოს კანონმდებლობა ისეთ სამართლებრივ ინსტიტუტებს, როგორიცაა აუცილებელი მოგერიება და უკიდურესი აუცილებლობა.

❑ სამართალდარღვევა ბრალეული, მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა. ბრალი არის პირის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და მისი შედეგისადმი. სამართალდარღვევა ყოველთვის არის ადამიანის ქცევის კონკრეტული აქტი, ამიტომ მისი ფსიქოლოგიური მხარე მოიცავს იმ კომპონენტებს, რაც ყოველი ადამიანური ფსიქიკისათვის არის დამახასიათებელი. იურიდიული დოქტრინა და პრაქტიკა, სამართალდარღვევად მიიჩნევს მხოლოდ ბრალეულ, არამართლზომიერ ქცევას. ბრალეულად ითვლება პირის შეგნებული ქცევა, რომელსაც გაცნობიერებული აქვს ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. თუ სუბიექტს უნარი არ აქვს შეიგნოს თავისი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, მის მიერ ჩადენილი ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს ბრალეულად. ამიტომ, სამართალდარღვევად არ ჩაითვლება ქმედება, ჩადენილი მცირეწლოვნის ან იმ პირის მიერ, რომელიც სასამართლო წესით მიჩნეულია შეურაცხადად, რადგან მათ უნარი არ აქვთ გააცნობიერონ თავიანთი მოქმედების მნიშვნელობა.

ბრალის ხარისხი განისაზღვრება იმის შესაბამისად, სუბიექტს გათვალისწინებული აქვს თუ არა თავისი ქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგი. განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვას და გაუფრთხილებლობას. თავის მხრივ განზრახვა ორი სახისაა: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი განზრახვის დროს პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ასეთი შედეგი ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას. არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროს პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არ სურს ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

გაუფრთხილებელი ბრალი ინტელექტუალური მომენტის შესაბამისად ორი სახისაა: თვითიმედოვნება და დაუდევრობა. თვითიმედოვნებით ჩადენილი ქმედების დროს, პირი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს ამ შედეგის თავიდან აცილებას. დაუდევრად ჩადენილი ქმედების დროს, პირს გაცნობიერებული არ აქვს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.[111]

მძიმე შედეგი შეიძლება დადგეს პიროვნების ბრალის გარეშეც, რასაც იურისპრუდენციაში შემთხვევას ანუ კაზუსს უწოდებენ. შემთხვევად ითვლება ისეთი სიტუაცია, როდესაც ქმედების ჩამდენ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა და არც შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა. ასეთ ვითარებაში პირი განსაკუთრებულ ფსიქიკურ მდგომარეობაშია. ამდენად, მის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო.

❑ სამართალდარღვევა არის დელიქტუნარიანი პირის მიერ ჩადენილი ქმედება. დელიქტუნარიანად კანონი მიიჩნევს პირს, რომელსაც უნარი აქვს გააკონტროლოს თავისი ნება და ქცევა, გააცნობიეროს თავისი მოქმედება და იკისროს პასუხისმგებლობა ქმედების შედეგის

[111] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ავტ. კოლექტივი. თბ. 2004, გვ. 122-134

გამო. დელიქტუნარიანობა განსაზღვრულია კანონით და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პირი სრული დელიქტუნარიანობით სარგებლობს 18 წლის ასაკიდან, თუმცა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ეს ასაკი შეიძლება დადგეს 16 წლიდანაც.

❑ სამართალდარღვევა ისეთი არამართლზომიერი ქცევაა, რომელიც ზიანს აყენებს სხვა პირის ან ორგანიზაციის ინტერესებს. უფრო მეტიც, სამართალდარღვევად მიჩნეულია ისეთი ქცევაც, რომელმაც შეიძლება მომავალში მიაყენოს ვნება საზოგადოებას, სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს.

❑ სამართალდარღვევა როგორც ისეთი ქმედება, რომელიც ხელყოფს მოქალაქის შრომით, პოლიტიკურ, ქონებრივ, პირად უფლებებსა და თავისუფლებებს. ორგანიზაციების ეკონომიკურ ინტერესებს, მთელი საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას, უარყოფითად ფასდება სახელმწიფოს მიერ. მის წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფო იყენებს ქმედით საშუალებას – სამართლებრივი ზემოქმედების ზომებს.

§ 3. სამართალდარღვევის სახეები

სამართალდარღვევა სხვადასხვა სახისაა. საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შესაბამისად განასხვავებენ სამართალდარღვევის ორ ძირითად სახეს: დანაშაულს და გადაცდომას.

დანაშაული სამართალდარღვევის ყველაზე საშიში სახეა. იგი გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის საზოგადოებრივი საშიშროებით, რადგან ზიანს აყენებს პიროვნების, სახელმწიფოს, საზოგადოების ინტერესს. დანაშაულს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება (მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება), რომელიც იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. დანაშაულის მაღალი ხარისხის საზოგადოებრივი საშიშროება ვლინდება იმაში, რომ იგი ხელყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, არსებით ზიანს აყენებს სახელმწიფოში კანონიერების რეჟიმს, მართლწესრიგს, პიროვნების სტატუსს, მის უფლებასა და თავისუფლებებს. დანაშაული სისხლის სამართლებრივი დარღვევაა და შესაბამისად იწვევს სახელმწიფო იძულების უფრო მკაცრ ზომებს – სისხლის სამართლებრივ სანქციებს.

გადაცდომა ისეთი სამართალდარღვევაა, რომელსაც ახასიათებს საზოგადოებრივი საშიშროების უფრო ნაკლები ხარისხი, ვიდრე დანაშაულს. გადაცდომა ხელყოფს საზოგადოებაში არსებული მართლწესრიგის ცალკეულ მხარეებს. მათ მიეკუთვნება დისციპლინარული, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი გადაცდომა. გადაცდომათა გამიჯვნა ხდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროების შესაბამისად, რომელსაც აყენებს ზიანს მართლსაწინააღმდეგო ქცევა.

დისციპლინარული გადაცდომა ისეთი სამართალდარღვევაა, რომელსაც ადგილი აქვს შრომითი ურთიერთობის სფეროში. იგი გულისხმობს მუშაკის მიერ შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, შრომის შინაგანაწესის შეუსრულებლობას. დისციპლინარული გადაცდომა ხელყოფს საწარმო-ორგანიზაციის ნორმალურ ფუნქციონირებას, შრომითი კოლექტივების საქმიანობას, ასუსტებს შრომით, სასწავლო, სამხედრო დისციპლინას.

ადმინისტრაციული გადაცდომა არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახ ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.[112]

სამოქალაქო გადაცდომა არის სამართალდარღვევა ქონებრივი და ისეთი არაქონებრივი ურთიერთობის სფეროში, რომელიც მიეკუთვნება პიროვნების სულიერ ღირებულებას. სამოქალაქო სამართალდარღვევა გამოიხატება ცალკეული მოქალაქეების ან ორგანიზაციებისათვის ქონებირივი ზიანის მიყენებაში, სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობაში, პიროვნების პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებაში, უკანონო გარიგებათა დადებაში, სამოქალაქო უფლებათა დარღვევაში.

ყველა სახის სამართალდარღვევას აქვს თავისი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს: სამართალდარღვევის ობიექტს, სუბიექტს, ობიექტურ და სუბიექტურ მხარეს.

სამართალდარღვევის ობიექტს წარმოადგენს საზოგადოებრივი

[112] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. თბ. 2002. გვ. 26

ურთიერთობანი, რომლებიც რეგულირებულნი და დაცულნი არიან სამართლის ნორმებით.

სამართალდარღვევის სუბიექტი შეიძლება იყოს ინდივიდუალური პირი ან ორგანიზაცია, რომელიც სარგებლობს სამართალქმედუნარიანობით (დელიქტუნარიანობით).

სამართალდარღვევის ობიექტური მხარე გამოიხატება სუბიექტის არამართლზომიერ და საზოგადოებრივად საშიშ ქცევაში.

სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე გულისხმობს პასუხისმგებლობას მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის ბრალის არსებობის დროს. ბრალი როგორც სამართალდარღვევის სუბიექტური მხარის აუცილებელი ელემენტი უნდა იყოს ყველა სამართალდარღვევაში, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი საზოგადოებრივი საშიშროების არის იგი.

სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ სამართალდარღვევის ფესვები (მიზეზები) არსებობს როგორც ადამიანის ბუნებაში, ისე რეალური ცხოვრების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ზნეობრივ ფაქტორებში. ისინი განაპირობებენ მუდმივ ჭიდილს სიკეთესა და ბოროტებას შორის, ასაზრდოებენ მრავალი სახის სამართალდარღვევას: მკვლელობას, ძარცვას, ქურდობას, კორუფციას, მექრთამეობას და ა.შ. საზოგადოებაში არამართლზომიერი ქმედების დონეზე განსაზღვრულ გავლენას ახდენს სამართალდამრღვევის ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური თვისებები.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარება, ადამიანთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის გაუმჯობესება კეთილმყოფელ გავლენას ახდენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა აღმოფხვრაზე, საზოგადოების ცხოვრების გაჯანსაღებაზე. სამართლებრივი სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების მიზანია მინიმუმამდე შეამციროს არამართლზომიერ ქმედებათა რიცხვი, აამაღლოს მოქალაქეთა აქტივობა საზოგადოებრივად სასარგებლო, მართლზომიერი ქმედებების სახით.

სქემა №47. სამართალდარღვევის ცნება, მისი სახეები

სამართალდარღვევა არის დელიქტუნარიანი პირის არამართლზომიერი, ბრალეული ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმის დანაწესებს, ზიანს აყენებს საზოგადოებას და მის წევრებს, რის გამოც ინვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას.





§ 4. იურიდიული პასუხისმგებლობა

სამართალდარღვევა, როგორც ისეთი არამართლზომიერი ქცევა, რომელიც ხელყოფს საზოგადოების, სახელმწიფოს, პიროვნების ინტერესებს, არ შეიძლება დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე. ასეთი რეაგირება განსახიერებულია ეფექტურ სამართლებრივ ინსტიტუტში – იურიდიულ პასუხისმგებლობაში. იურიდიული პასუხისმგებლობა სამართალდარღვევებთან ბრძოლის, საზოგადოებაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა.

ტერმინი „პასუხისმგებლობა" ასოცირდება პირის ვალდებულებასთან. ასეთი ვალდებულება წარმოიშობა სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში საზოგადოებრივი წესრიგის და სოციალური ნორმების (სამართლის, პოლიტიკის, მორალის ჩვეულების და სხვაგვარი ნორმების) დარღვევის შედეგად. ცხოვრობს რა საზოგადოებაში ადამიანი ვალდებულია გააცნობიეროს თავისი ქცევა, არ მოიქცეს დაუდევრად და უპასუხისმგებლოდ. თავის მხრივ, საზოგადოება ყოველთვის აკონტროლებს სუბიექტის საქმიანობას და ადეკვატურად რეაგირებს მასზე. რეაგირების ფორმა ასეთ შემთხვევაში გამოიხატება სოციალურ პასუხისგებაში.

ფართო გაგებით, სოციალური პასუხისმგებლობა შეიძლება განისაზღვროს როგორც ურთიერთობა სუბიექტსა და მისი ქცევის მაკონტროლებელ ინსტანციას (საზოგადოებას, სახელმწიფოს) შორის. სოციალური პასუხისმგებლობა უზრუნველყოფს საზოგადოებაში ორგანიზაციულობას და წესრიგს, იგი საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების წინაპირობაა.

ადამიანის ქცევა შეიძლება იყოს სოციალურად სასარგებლო და სოციალურად მავნე. შესაბამისად, პასუხისმგებლობაც განიხილება ორ ასპექტში: პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტში.

პასუხისმგებლობის პოზიტიური (პროსპექტიული) ასპექტი არის პირის დადებითი დამოკიდებულება მის მიერ შესრულებული ქცევისადმი, მისწრაფება და სურვილი თავისი მოვალეობა შეასრულოს რაც შეიძლება უკეთ, ეფექტურად და სწრაფად. პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ვალდებულება, კისრულობს პასუხისმგებლობას თავის ქცევაზე, იცავს სოციალურ ნორმებს, ავლენს ინიციატივას. შესაბამისად, ასეთი პასუხისმგებლობა მოწონებასა და წახალისებას იმსახურებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან.

ნეგატიური (რეტროსპექტიული) პასუხისმგებლობა დგება პირის მიერ სოციალური ნორმების, სოციალური წესრიგის შეგნებული, გაცნობიერებული დარღვევის დროს.

სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან და სპეციფიკურ სახესხვაობას წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობა. იურიდიული პასუხისმგებლობის სპეციფიკური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოიშობა სამართლის ნორმის დარღვევის შედეგად და დაკავშირებულია სახელმწიფო იძულებასთან. სამართალდარღვევა ყოველთვის იწვევს არა მხოლოდ საზოგადოებრივ, არამედ იურიდიულ-სამართლებრივ განსჯასაც.

იურიდიული პასუხისმგებლობა არის სამართალდამრღვევის მიმართ სამართლის ნორმის სანქციით გათვალისწინებული სახელმწიფო იძულების ზომის შეფარდება გამოხატული პირადი, ორგანიზაციული ან ქონებრივი ხასიათის შეზღუდვაში.

იურიდიული პასუხისმგებლობა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ განსაზღვრული სამართლებრივი ან ფაქტობრივი საფუძველი არსებობს, კერძოდ:

- სამართლის ნორმა, რომელიც ითვალისწინებს სამართალდარღვევის შემთხვევაში იურიდიული პასუხისმგებლობის შესაძლებლობას;
- სამართალდარღვევის შემადგენლობა: ობიექტი, სუბიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტური მხარე;
- სამართალშეფარდებითი აქტი, რომლითაც კონკრეტიზირდება სამართლის დაცვითი ნორმა, განისაზღვრება იურიდიული პასუხისმგებლობის კონკრეტული სახე და ზომა (სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ).

ზოგადფილოსოფიურ ასპექტში იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლად მიჩნეულია „თავისუფლების" კატეგორია. ურთიერთობა „თავისუფლებისა" და „პასუხისმგებლობის" ცნებებს შორის ადასტურებს, რომ ყოველგვარი და მათ შორის იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძველს და აუცილებელ წანამძღვარს წარმოადგენს პირადი თავისუფლება – ქცევის ამა თუ იმ ვარიანტის არჩევის თავისუფლება.

არსებობს იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლის საკანონმდებლო განმარტებაც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი ადგენს: „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული

მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება."

იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლის გამოყოფა დამოკიდებულია მისი წარმოშობის მომენტზე. თუ იურიდიული პასუხისმგებლობა არის გარკვეული აკრძალვის ვალდებულება, იგი შეიძლება წარმოიშვას სამართალდარღვევის ჩადენის ან სამართალდარღვევის გამოვლენის მომენტიდან, ან სამართალშეფარდების აქტის ძალაში შესვლის მომენტიდან. პირველ ორ შემთხვევაში იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძველი იქნება მხოლოდ სამართლის ნორმა და სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. ხოლო სამართლის შეფარდების აქტი, რომელშიც მითითებული იქნება პასუხისმგებლობის კონკრეტული სახე და ზომა, არის იურიდიული პასუხისმგებლობის რეალიზაციის საფუძველი. მესამე შემთხვევაში სამართლის შეფარდების აქტი – იურიდიული პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველია. ამრიგად, იურიდიული პასუხისმგებლობის წარმოშობის აუცილებელი საფუძვლებია: სამართლის ნორმა, სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და სამართლის შეფარდების აქტი. პირის ქცევაში, სამართალდარღვევის თუნდაც ერთ-ერთი ნიშნის არ არსებობის შემთხვევაში საერთოდ მოიხსნება საკითხი იურიდიული პასუხისმგებლობის დადგომის შესახებ.

სამართალდამრღვევის ქმედება მკაცრად რეგულირდება კანონით და ჩადენილი უნდა იქნეს კანონის ფარგლებში. ეს განსაკუთრებით ეხება ქმედებას, რომელიც ადგენს პირის ბრალეულობას და განსაზღვრავს იურიდიული პასუხისგებლობის ზომას.

სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში ყველა იურიდიულ მოვლენას, მათ შორის იურიდიულ პასუხისმგებლობას, თავისი მიზანი აქვს. ეს მიზანი არის კონკრეტული გამოხატულება სამართლის ზოგადი მიზნისა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირება და დაცვა, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, პიროვნების უსაფრთხოების, მისი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის უზრუნველყოფა. იურიდიულ პასუხისმგებლობას აქვს უფრო ვიწრო მიზანიც – ადამიანთა აღზრდა სამართლიანობის სულისკვეთებით, სამართალაღმდგენი და პრევენციული ფუნქცია, ბრალეული პირის დასჯა, მთელი სამართლებრივი მექანიზმის ნორმალური ფუნქციონირება.

იურიდიული პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლად მისი სახისა, რეალიზირებული უნდა იქნეს მკაცრად დადგენილ ჩარჩოებში ამა თუ

იმ სამართლებრივ სისტემაში არსებული პრინციპების შესაბამისად. მათ შორის საყოველთაოდ აღიარებულია ისეთი პრინციპები, როგორიცაა კანონიერების, დასაბუთებულობის, სამართლიანობის, მიზანშეწონილობის, გარდაუვალობის, განმეორებადი ანუ ორმაგი პასუხისმგებლობის დაუშვებლობა (მაგალითად, ერთდროულად სისხლის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ერთი და იგივე სამართალდარღვევისათვის), დასჯის ინდივიდუალიზაცია, პასუხისმგებლობა ბრალეული ქმედებისათვის და ა.შ.

იურიდიული პასუხისმგებლობა რთული, სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა. მასში, როგორც მინიმუმი, ჩართულია ორი მხარე: სახელმწიფო და სამართალდამრღვევი, რომელთა შორის ყალიბდება სამართალდაცვითი ურთიერთობა. ამ ურთიერთობაში სახელმწიფო თავისი ორგანოების სახით უფლებამოსილი მხარეა, ხოლო სამართალდამრღვევი ვალდებული მხარე. როგორც ერთი, ისე მეორე მხარე ვალდებულია იმოქმედონ კანონის ფარგლებში და იურიდიული პასუხისმგებლობა განხორციელდეს სამართლის ნორმის და მისი სანქციის საფუძველზე.

იურიდიული პასუხისმგებლობა სხვადასხვა სახისაა. რეალურ ცხოვრებაში ის ყოველთვის საკმაოდ განსაზღვრულია. სამეცნიერო ლიტერატურაში იურიდიული პასუხისმგებლობა კლასიფიცირებულია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მათი დაჯგუფება სამართლის დარგებისა და სამართალდარღვევის ხასიათის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ იურიდიული პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს:

- სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა პასუხისმგებლობის ყველაზე მკაცრი სახეა. იგი პირს შეეფარდება დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში და პასუხისმგებლობის სხვა სახეებიდან განსხვავებით დადგენილია მხოლოდ კანონით. არცერთ სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტს არ შეუძლია განსაზღვროს დანაშაული, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედება და მისი შესაბამისი პასუხისმგებლობა.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შეფარდების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ სასამართლოს. მხოლოდ მას შეუძლია ცნოს პიროვნება დამნაშავედ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საფუძვლად უდევს უდანაშაულობის პრეზუმფცია,[113] რომელიც განმტკიცებულია

[113] „პრეზუმფცია" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ვარაუდს".

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლით: ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დანაშაული არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომები გამოიხატება ისეთ მკაცრ ფორმებში, როგორიცაა: თავისუფლების აღკვეთა, ტუსაღობა, თავისუფლების შეზღუდვა, გამოსასწორებელი სამუშაოები, უვადო თავისუფლების აღკვეთა და სხვა.

▪ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება ადმინისტრაციული გადაცდომისათვის, ისეთი ქმედებისათვის, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე განიხილება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომელთაც უფლება აქვთ დამრღვევ პირებს შეუფარდონ ადმინისტრაციული იძულების ისეთი ზომები, როგორიცაა გაფრთხილება, ჯარიმა, სპეციალური უფლების ჩამორთმევა, ადმინისტრაციული პატიმრობა, უცხოელის გაძევება საქართველოს ფარგლებიდან.

▪ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება სამოქალაქო სამართლებრივი გადაცდომის ანუ დელიქტის დროს და როგორც წესი, ითვალისწინებს ქონებრივი ხასიათის ზემოქმედების ზომებს. განასხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობას. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომებს მიეკუთვნება შესაბამისი ვალდებულების იძულებითი შესრულება, ზარალის ანაზღაურება, პირგასამტეხლო (ჯარიმა, საურავი). ზარალის სრული ანაზღაურება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია.

▪ დისციპლინური პასუხისმგებლობა წარმოიშობა დისციპლინური გადაცდომის შედეგად. ასეთი გადაცდომის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ირღვევა არა ამკრძალავი ნორმა, არამედ პოზიტიური წესი, რომელიც განამტკიცებს მუშაკის მოვალეობას. განასხვავებენ დისციპლინური პასუხისმგებლობის სამ სახეს: შრომის შინაგანაწესის შესაბამისად, დაქვემდებარების წესით და დისციპლინური წესდების ან დებულების შესაბამისად. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია – საყვედური, სასტიკი საყვედური, დათხოვნა.

▪ მატერიალური პასუხისმგებლობა მუშაკს ეკისრება საწარმო-დაწესებულება-ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანისათვის, თუ

ზიანი მიყენებულია მუშაკის ბრალეული მოქმედებით. ასეთი პასუხისმგებლობის საფუძველია მუშაკის ბრალი და მუშაობის პროცესში მიყენებული ზიანი იმ ორგანიზაციისათვის, რომელთანაც მუშაკი იმყოფება შრომით ურთიერთობაში. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ პირდაპირი და ნამდვილი ზიანი და არა ის შესაძლო შემოსავალი, რომელიც მხარემ ვერ მიიღო მიყენებული ზიანის გამო.

იურიდიული პასუხისმგებლობის კლასიფიკაცია შესაძლებელია მისი განხორციელების ფორმის მიხედვით. განასხვავებენ სასამართლო, ადმინისტრაციულ და სხვა ფორმით განხორციელებულ იურიდიულ პასუხისმგებლობას. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლო ორგანოებს. სახელმწიფო ორგანოებს, რომელთაც შეუძლიათ იურიდიული პასუხისმგებლობის შეფარდება მიეკუთვნებიან: საკანონმდებლო, აღმასრულებელ-განმკარგულებელი, სასამართლო, საკონტროლო და სხვა იურისდიქციული ორგანოები.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებს, პოზიტიური პასუხისმგებლობა სამართლებრივ სფეროში დაკავშირებულია სოციალურ-სამართლებრივ აქტივობასთან, სამართლებრივი დანაწესების რეალიზაციის პროცესში ინიციატივის გამოჩენასთან, საქმისადმი პასუხისმგებლურ დამოკიდებულებასთან. ნეგატიური პასუხისმგებლობა, რომელიც სამართალდარღვევებთან არის დაკავშირებული იწვევს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან მწვავე რეაგირებას და სახელმწიფო იძულებითი ზომების შეფარდებას, რომელიც ბრალეულ პირს უზღუდავს პირად და ქონებრივ სიკეთეს. ნეგატიური იურიდიული პასუხისმგებლობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი შეფარდება ხდება სახელმწიფო ორგანოების მიერ, სახელმწიფოს სახელით, ამასთანავე, ეს პასუხისმგებლობა სამართლებრივი ხასიათისაა, ვინაიდან ხორციელდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ საფუძველზე.

სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში იურიდიულ პასუხისმგებლობას თავისი ადგილი, როლი და ფუნქციონალური დანიშნულება აქვს. იგი ორგანულად არის დაკავშირებული სხვა სამართლებრივ მოვლენებთან და მათთან ერთიანობაში უზრუნველყოფს იმ მისიის შესრულებას, რაც საზოგადოების ცხოვრებაში აკისრია სამართალს.

სქემა №48. იურიდიული პასუხისმგებლობა



თავი XXI. კანონიერება და მართლწესრიგი

§ 1. კანონიერების ცნება

იურიდიულ კატეგორიათა სისტემაში ერთ-ერთი ფუნდამენტურია „კანონიერების“ კატეგორია, რომელსაც აქვს არა მარტო აკადემიური, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც.

კანონიერება კომპლექსური კატეგორიაა, რომელიც მოიცავს საზოგადოებაში სამართლის მოქმედების ყველა მხარეს და ასპექტს. კანონიერება ცივილიზებული საზოგადოების, მისი პოლიტიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების საფუძველია. ეხება რა ადამიანთა თანაცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან სფეროებს, კანონიერებას მათში შეაქვს წესრიგი და სტაბილურობა, რაც ესოდენ აუცილებელია ადამიანთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მყარი მოვლენა, კანონიერება წარმოიშვა და ჩამოყალიბდა ცივილიზებული საზოგადოების პირობებში როგორც კანონის წინაშე მოქალაქეთა რეალური თანასწორობის ზომა. კანონიერება მრავალსახეობრივი მოვლენაა და მას სხვადასხვა ასპექტში განიხილავენ სოციალურ პროცესთან კავშირის თვალსაზრისით: როგორც სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის პრინციპს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ-სამართლებრივ რეჟიმს და როგორც კანონების მკაცრად დაცვის მოთხოვნას.

კანონიერების არსი – კანონების ზუსტ და განუხრელ შესრულებაშია. იურიდიული კანონების დაცვის მოთხოვნა ადრეულ წარსულში ჩამოყალიბდა. საყოველთაოდ ცნობილია ძველი რომაული სენტენცია – „Dura Lex, Sed Lex“ – „კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია“. ამ ლაკონურ ფორმულაში ჩაქსოვილია ღრმა აზრი – რაც არ უნდა მკაცრი იყოს კანონი, ის მაინც უნდა შესრულდეს. რომის სამართლის სისტემა წარმოადგენდა კანონიერების იურიდიულ ბაზას ქონებრივ ურთიერთობათა რეგულირების სფეროში, რომელიც შემდგომ გავრცელდა უფრო ცივილიზებული ფორმებით და თანდათანობით შეივსო კანონის წინაშე საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა მონაწილის რეალური თანასწორობის მოთხოვნით.

კანონიერება როგორც საზოგადოების ფუნქციონირების აუცილებელი პირობა, რეალური ძალა ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ურთიერთობანი ხდებიან მატერიალური და სოციალური სიკეთის მწარმოებელი თავისუფალი და დამოუკიდებელი ურთიერთობანი, როცა ეს ურთიერთობანი ქმნიან სამართლიანობის და სამართლიანი კანონების მოქმედების სათანადო ბაზას, ადგენენ საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების დაცვის ერთიან ზომას.

კანონიერების ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან, სამართალთან, კანონთან. კანონი კანონიერების საფუძველია, მაგრამ კანონიერების ცნებაში მოიაზრება არა კანონი ან მათი ერთობლიობა, არამედ კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულება.

ისტორია იცნობს ბევრ მაგალითს, როცა სახელმწიფოში კანონები არსებობდნენ, მაგრამ არ არსებობდა კანონიერება. კანონიერება არ არსებობს სახელმწიფოში, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ ძალის გამოყენებაზე („როცა იარაღი ქუხს, კანონები დუმან"). კანონიერება არ არსებობს არც ე.წ. პოლიციურ სახელმწიფოში, ვინაიდან ტოტალიტარული რეჟიმი უპირატესად ძალადობას ემყარება.

კანონისა და კანონიერების ორგანული კავშირი უზრუნველყოფილია მხოლოდ დემოკრატიული რეჟიმის პირობებში, სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც რეალურია მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე, სოციალური თავისუფლება და ადამიანის უფლებების დაცვა, ხელისუფლების განაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოებს შორის.

კანონიერება ისეთი პოლიტიკურ-სამართლებრივი რეჟიმია, რომელშიც ასახულია ყველა სუბიექტის მიერ სამართლიანი კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების დონე და ხარისხი.

კანონიერებას, როგორც დამოუკიდებელ სამართლებრივ ინსტიტუტს ახასიათებს შემდეგი სპეციფიკური ნიშნები:

❍ კანონიერების მნიშვნელოვანი ნიშანი არის მისი საყოველთაობა. იურიდიული კანონების შესრულების მოთხოვნა ეხება ყველას, ვინც იმყოფება სამართლის მოქმედების არეში. არავის არა აქვს უფლება თავი აარიდოს კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესრულებას. სამართლებრივი რეგულირების პრიორიტეტულ სუბიექტს სამართლებრივ სახელმწიფოში წარმოადგენს ადამიანი. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას კეთილმყოფელი რეჟიმი თავისი მოქალაქეების მრავალფერო-

ვანი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. საყოველთაოობა როგორც კანონიერების აუცილებელი ნიშანი თანაბარი ზომით ეხება როგორც სახელმწიფოსა და მის ორგანოებს, ასევე მოქალაქეებს. სახელმწიფო პასუხისმგებელია მოქალაქეების წინაშე, მოქალაქეები კი სახელმწიფოს წინაშე. თუ კანონებში გამოხატულია მოქალაქეთა ნამდვილი ნება და ინტერესები, მაშინ სამართლებრივი დანაწესები რეალიზდება იძულებითი ზომების გარეშე. გასაგებია, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია და არც არის ვალდებული გაითვალისწინოს სრული ზომით ადამიანთა ინდივიდუალური ინტერესები, მაგრამ საკანონმდებლო საქმიანობის დახმარებით იგი აძლევს მოქალაქეებს შესაძლებლობას დამოუკიდებლად ისარგებლონ თავისი საკუთრებითი სიკეთით და საქმიანობის თავისუფლებით.

სამართლებრივი დანაწესების საყოველთაო დაცვის უზრუნველყოფა სახელმწიფოსა და მისი ორგანოების ამოცანაა. ფლობს რა აუცილებელ ორგანიზაციულ, მატერიალურ და იძულებით საშუალებებს, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი მოქალაქეების კანონიერი უფლებები და ინტერესები, სოციალური თავისუფლება და თანასწორობა კანონის წინაშე. იმისათვის, რომ იყოს კანონიერების შემოქმედი, სახელმწიფო ვალდებულია თავისი სახელისუფლო უფლებამოსილება განახორციელოს მოქმედი კანონების საფუძველზე და მის ფარგლებში. ერთდროულად სახელმწიფო ვალდებულია აღკვეთოს ყოველგვარი სამართალდარღვევა.

საყოველთაოობა როგორც კანონიერების ნიშანი გულისხმობს, რომ კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მკაცრი შესრულება წარმოადგენს ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის და მოქალაქის საქმიანობის ზოგად პრინციპს.

❍ კანონიერება განუყრელად არის დაკავშირებული სამართალთან, იურიდიულ ნორმებთან. ქვეყანაში კანონიერების რეჟიმის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, როგორი ზომით ასახავენ სახელმწიფოს კანონები საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს. თუ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონები განამტკიცებენ და იცავენ მხოლოდ განსაზღვრული სოციალური ფენების ან ცალკეული პირების ინტერესებს, არ ითვალისწინებენ ქვეყნის მთელი მოსახლეობის საერთო და ინდივიდუალურ ინტერესებს, შეუძლებელია სრულყოფილ კანონიერებაზე ლაპარაკი. თუ სამართლებრივი ნორმები

ფორმალურად ასახავენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ინტერესებს და არ უზრუნველყოფენ მათი განხორციელების გარანტიებს, არც ამ შემთხვევაში მყარდება კანონიერება.

თავის დანიშნულებას კანონიერება შეასრულებს მხოლოდ მაშინ, თუ ის დაფუძნებული იქნება სამართლებრივ კანონებზე, რომლებიც ასახავენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა მონაწილის საერთო და ინდივიდუალურ ინტერესებს.

❍ კანონიერების ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს სრულყოფილი, ზუსტად დამუშავებული კანონმდებლობის არსებობა, რომელიც საზოგადოებრივი პროგრესის მოთხოვნებს შეესაბამება.

კანონიერების კატეგორიაში განსახიერებულია კანონის კავშირი ცხოვრებასთან, რეალურ სინამდვილესთან. კანონი თავის ყოფიერებას აღწევს კანონიერების რეჟიმში, ვინაიდან ყველაზე სრულყოფილი კანონიც კი „ცოცხლობს" მხოლოდ მაშინ, როცა ის სრულდება და ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა ქცევებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.

კანონიერება დაკავშირებულია პოლიტიკასთან, რაც განპირობებულია პოლიტიკისა და კანონის კავშირით. კანონიერება ასახავს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციის სამართლებრივ ხასიათს, სამართლისა და პოლიტიკის ორგანულ კავშირს. არ შეიძლება კანონის მიღებისა და მისი შესრულების შეფასება იმ პოლიტიკური ვითარების გარეშე, რაც გარკვეულ პერიოდში არის სახელმწიფოში. კანონიერებისა და პოლიტიკის ურთიერთობა ყოველთვის უნდა იქნეს განხილული კონკრეტულ-ისტორიული სიტუაციის საფუძველზე.

კანონიერება დემოკრატიის გარეშე სუსტი და არასტაბილურია. დემოკრატიული რეჟიმი კანონიერების სრული რეალიზაციის აუცილებელი წანამძღვარია. მხოლოდ დემოკრატია უზრუნველყოფს ყველა სუბიექტის თანასწორობას კანონის წინაშე და შესაბამისად თანაბარ მოვალეობებს და თანაბარ პასუხისმგებლობას კანონიერების დარღვევის შემთხვევაში. კანონიერების კავშირი დემოკრატიასთან ვლინდება აგრეთვე იმაშიც, რომ თვით კანონები და მათი დაცვის მოთხოვნა გამოხატავას საზოგადოების უმრავლესობის ნებას და მათი კონტროლით ხდება კანონების შესრულება.

თავის მხრივ, კანონიერება ემსახურება დემოკრატიის დამკვიდრებას. კანონიერება იცავს მოქალაქეთა დემოკრატიულ უფლებებს,

საზოგადოებრივ მოძრაობებსა და ორგანიზაციებს, უზრუნველყოფს პარლამენტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების სრულ რეალიზაციას სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ.

კანონიერება და დისციპლინა ორი ურთიერთგადამკვეთი მოვლენაა. კანონიერება სახელმწიფო დისციპლინის ნაწილია. კანონიერების ყველა მოთხოვნა, რაც მიმართულია სახელმწიფო მოსამსახურეებისადმი, ასევე დისციპლინის შინაარსს წარმოადგენს. ამასთანავე, დისციპლინა შეიცავს ზოგიერთ მორალურ მოთხოვნას, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული სამართლის ნორმებით.

კანონიერების სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მოქალაქენი, ყველა ის სუბიექტი, რომელსაც გააჩნია სამართლებრივი სტატუსი.

კანონიერების ობიექტი არის იურიდიულად ვალდებული სუბიექტის ნებითი, შეგნებული ქცევა. თუ ასეთი ქცევა არღვევს კანონიერების მოთხოვნებს, დადგება შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხი.

§ 2. კანონიერების მოთხოვნები

კანონიერება თავისი ბუნებით მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა იურიდიულ მოვლენებთან, უპირველეს ყოვლისა კი სამართალთან. სამართალი განსაზღვრავს კანონიერების არსს, მის პრინციპებსა და მოთხოვნებს, ვინაიდან კანონიერება სამართლიდან ნაწარმოები მოვლენაა.

კანონიერების მოთხოვნებში მოიაზრება საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების ის პრინციპული დებულებანი, რომელთა გარეშე შეუძლებელია რეალური კანონიერება. თავისი საფუძვლით კანონიერების მოთხოვნები ემთხვევა სამართლის პრინციპებს, რამდენადაც მათი რეალიზაცია ქმნის საზოგადოებრივ ურთერთობათა რეგულირების ოპტიმალურ რეჟიმს. ამასთანავე, სამართლის პრინციპები და კანონიერების მოთხოვნები წარმოადგენენ სამართლის პრინციპების რეალიზაციის საშუალებას. კანონიერების მოთხოვნები ცხოვრებაში სამართლის პრინციპების განხორციელების ინსტრუმენტებია. კანონიერება ხომ თვით არის სამართლის ერთ-ერთი პრინციპი.

კანონიერების ძირითადი მოთხოვნები შემდეგია:

❍ *კანონის უზენაესობა ყველა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ.* ეს მოთხოვნა კანონიერების სხვა მოთხოვნების საფუძველია. სამართლებრივ სახელმწიფოში კანონს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული ძალა. კანონი საზოგადოებრივი ურთიერთობის მთავარი, ფუძემდებლური რეგულატორია. ის ურთიერთობანი, რომლებიც ობიექტური პირობების ძალით უნდა იმყოფებოდნენ სამართლებრივი რეგულირების სფეროში, როგორც წესი, რეგულირდება კანონით. კანონქვემდებარე აქტები მოქმედებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ურთიერთობანი კანონმდებლობით არ რეგულირდება. კანონქვემდებარე აქტები კი უნდა გამოიცნენ კანონებთან მკაცრ შესაბამისობაში და კანონის საფუძველზე.

კანონთა იერარქიულ სისტემაში უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს ქვეყნის ძირითად კანონს – კონსტიტუციას. შესაბამისად კანონიერების უპირველესი საფუძველია კონსტიტუცია და სახელმწიფოშიც უნდა დომინირებდეს კონსტიტუციური კანონიერება.

❍ *კანონის წინაშე ყველას თანასწორობა.* დემოკრატულ სახელმწიფოში ყველა თანასწორია კანონის წინაშე და შესაბამისად ყველას ეკისრება მოვალეობა და პასუხისმგებლობა კანონიერების დარღვევისათვის. კანონიერებისა და დემოკრატიის კავშირი ვლინდება იმაშიც, რომ კანონები და მათი დაცვის მოვალეობა გამოხატავს უმრავლესობის ინტერესებს. დაუშვებელია ადამიანის უფლებების შელახვა მისი ეროვნების, რასის, სქესის, რელიგიური, განათლების, ჯანმრთელობის, ეკონომიკური, სოციალური და სხვა მდგომარეობის გამო. სამართლიანობის და ჰუმანურობის იდეა გულისხმობს, რომ არავის ჰქონდეს უპირატესობა, კანონთან მიმართებაში მის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს.

❍ *კანონის გაგებისა და შეფარდების ერთიანობა.* კანონები აბსოლუტურად ერთიან მოთხოვნას უყენებენ ყველა სუბიექტს, რომლებიც იმყოფებიან სამართლებრივი რეგულირების სფეროში. კანონების არსი და კონკრეტული შინაარსი უზრუნველყოფს სამართალშეფარდებითი საქმიანობის კანონიერებას. იგი შეესაბამება კანონების ნამდვილ აზრს და სამართლის რეგულაციური ფუნქციის რეალიზაციას.

❍ მოქალაქეთა თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლონ კანონის დაცვით და მათი თანაბარი მოვალეობა – დაიცვან კანონის დანაწესები (*კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობა*).

მყარი და ეფექტური კანონიერების რეჟიმი საზოგადოებაში შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, როცა ადამიანი თანასწორი იქნება კანონისა და სასამართლოს წინაშე. ერთი მხრივ სამართლის სუბიექტები მოვალენი არიან სრული მოცულობით შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობანი, დაემორჩილონ კანონის მოთხოვნებს, მეორე მხრივ სახელმწიფო ვალდებულია შექმნას აუცილებელი პირობები მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

❍ *ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვა პირთა უფლებები.* სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში ამ მოთხოვნას აქვს პრინციპული მნიშვნელობა, რამდენადაც ერთი ადამიანის თავისუფლებამ არ შეიძლება ზიანი მიაყენოს სხვის ინტერესებს. კანონმა არ უნდა დაუშვას მოქალაქის უფლებების დამცირება სხვა მოქალაქეების უფლებების გაზრდის საფუძველზე.

❍ *კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თანაფარდობა.* კანონიერების ეს მოთხოვნა ასახავს კანონის ურთიერთობას ისეთ ფაქტორთან, როგორიცაა მიზანშეწონილობა. სამართლებრივი კანონი თვითონ არის აღჭურვილი მაღალი საზოგადოებრივი მიზანშეწონილობით. მასში მაქსიმალურად არის ასახული როგორც საზოგადოებრივი, ასევე ადამიანთა ინდივიდუალური ინტერესები. კანონის მიზანშეწონილობა არ შეიძლება უგულვებელყოფილი იქნეს ცხოვრებისეული მიზანშეწონილობით. კანონიერება გულისხმობს, რომ ინდივიდუალური ინტერესები სრული მოცულობით უნდა იქნეს დაკმაყოფილებული მხოლოდ კანონის ჩარჩოებში.

მიზანშეწონილობა სამართლებრივ სახელმწიფოში რეალიზირდება მხოლოდ კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად. კანონი დაცული უნდა იქნეს ყველა შემთხვევაში და მხოლოდ მის ფარგლებში უნდა შეეფარდოს ის ზომები, რომლებიც ყველაზე მეტად არის მიზანშეწონილი კონკრეტული შემთხვევებისათვის. კანონს აქვს უმაღლესი მიზანშეწონილობა, ამიტომ მან უნდა გაითვალისწინოს ადამიანთა ინდივიდუალური ინტერესების მრავალფეროვნება.

თუ კანონი მოძველდება და ჩამორჩება საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებს, იგი უნდა შეიცვალოს დადგენილი წესით. მაგრამ სანამ კანონი მოქმედებს, მისი დანაწესები თანაბრად ვრცელდება ყველა ვალდებულ პირზე.

❍ *ეფექტური ბრძოლა სამართალდარღვევებთან* კანონიერების

მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. სამართლებრივი სახელმწიფო ქმნის აუცილებელ მატერიალურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა პირობებს სამართალდარღვევების თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის. ცხოვრების კეთილმყოფელი მატერიალური პირობები, მოსახლეობის სოციალური დაცულობა, პოლიტიკური სტაბილურობა, სამართლიანი სამართალდამცველი კანონები ქმნიან კანონიერების რეალურ საფუძველს.

სამართლის სუბიექტების ინტერესების დაცვას ახორციელებენ სპეციალური სამართალდამცავი ორგანოები – სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია, არბიტრაჟი. უზრუნველყოფენ რა საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონიერ ფუნქციონირებას, ეს ორგანოები აუცილებლობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს შეუფარდებენ სახელმწიფო იძულების სხვადასხვა ზომებს.

სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა დამყარებული უნდა იყოს კანონიერების რეჟიმზე, თითოეული სახელმწიფო ორგანო, ორგანიზაცია თუ თანამდებობის პირი თავიანთ მოვალეობას უნდა ახორციელებდნენ კანონიერების საფუძველზე.

კანონიერებაზე უმაღლეს ზედამხედველობას ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო. კონსტიტუციური წყობილების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების, კანონის უზენაესობის დაცვის მიზნით. საკონსტიტუციო სასამართლო ზედამხედველობას უწევს ყველა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობას კანონთან, ხოლო ყველა კანონისა – კონსტიტუციასთან. აქტები, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნებიან ცნობილი, კარგავენ იურიდიულ ძალას ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

❍ *სრულყოფილი კანონმდებლობის არსებობა.* კანონიერება კანონმდებლობასთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენაა, მაგრამ ამავე დროს ისინი ერთმნიშვნელოვანნი არ არიან. კანონმდებლობა ქვეყანაში არსებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემაა, კანონიერება კი მოქმედი კანონების განხორციელების შედეგად დამყარებული რეჟიმი. ამდენად, კანონმდებლობა კანონიერების საფუძველია. მაგრამ კანონიერების იურიდიული ბაზა შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივი განვითარების

მოთხოვნებს. სამართლიანი, სტაბილური და ამავე დროს დინამიური კანონიერების სათანადო დონე ბევრად არის დამოკიდებული იმ სამართლებრივ სივრცეზე, რომელშიც იგი მოქმედებს, კანონმდებლობის სისტემაზე, რომელსაც იგი ემყარება.

კანონიერების მოთხოვნები ერთიანობასა და ურთიერთმოქმედებაში უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილურობასა და ჰარმონიულობას, ხელს უწყობენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას ისტორიული პროგრესის კანონზომიერებათა შესაბამისად.

§ 3. კანონიერების გარანტიები

მტკიცე და სტაბილური კანონიერების არსებობა მოითხოვს გარკვეულ გარანტიებს. გარანტიები არის საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი პირობები და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონიერების მყარ რეჟიმს. გარანტიებში იგულისხმება ორგანიზაციული, პოლიტიკური, სოციალური, იდეოლოგიური და იურიდიული ღონისძიებების კომპლექსი. კანონიერების გარანტიები ობიექტური პირობები და სუბიექტური ფაქტორებია, ასევე სპეციალური საშუალებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონიერების განმტკიცების საფუძვლებს. ისინი მოქმედებენ ერთობლივად, ურთიერთკავშირში, განაპირობებენ და ავსებენ ერთმანეთს.

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ კანონიერების არასამართლებრივ (ზოგადი) და სამართლებრივ გარანტიებს.

არასამართლებრივ გარანტიებს მიეკუთვნება მატერიალური, სოციალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური გარანტიები.

მატერიალურ გარანტიას წარმოადგენს საზოგადოების ისეთი ეკონომიკური სტრუქტურა, რომელშიც დამყარებულია ეკვივალენტური ურთიერთობა მატერიალური სიკეთის მწარმოებლებსა და მომხმარებელს შორის. ასეთი ურთიერთობა რეალური მატერიალური საფუძველია სამოქალაქო საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. შექმნილ პირობებში სამართლის ყველა სუბიექტი ეკონომიკურად თავისუფალი და დამოუკიდებელია, უნარი აქვს სრულად განახორციელოს თავისი შესაძლებლობანი მატერიალური წარმოების სფეროში. ეს კი საზოგადოებაში კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. ეკონომიკის არასტაბილურობა, სამეურნეო კავშირების

რლვევა, ინფლაცია საფუძველს უქმნის საზოგადოებაში სოციალურ დაძაბულობას, ანარქიას, დეზორგანიზაციას, დამნაშავეთა რიცხვის ზრდას, რაც უარყოფითად აისახება კანონიერების რეჟიმზე.

პოლიტიკურ გარანტიაში იგულისხმება საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყველა სუბიექტის საქმიანობა. სახელმწიფო, მისი ორგანოები, მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კერძო ასოციაციები, შრომითი კოლექტივები, – საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლი უნდა ფუნქციონირებდეს ხალხის ინტერესების შესაბამისად. კანონიერების მთავარ გარანტიას წარმოადგენს ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება – მტკიცე, ლეგიტიმური, ხალხის ნდობით აღჭურვილი ხელისუფლება, რომელსაც უნარი ექნება უზრუნველყოს მიღებული სამართლებრივი დანაწესების რეალიზაცია. ძლიერი სახელმწიფო საზოგადოების სტაბილური განვითარების, ადამიანთა უსაფრთხოების, დამნაშავეობასთან და სხვა ანტისოციალურ მოვლენებთან ეფექტური ბრძოლის გარანტია. სახელმწიფო სახელისუფლო სტრუქტურების დეორგანიზაცია, სააღსრულებლო დისციპლინის დაბალი დონე, ბიუროკრატიზმი და კორუფცია სერიოზულ ზიანს აყენებს კანონიერებას.

სახელმწიფოსა და კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს დემოკრატია. დემოკრატიული სახელმწიფო ძლიერი და ხალხის წინაშე მთლიანად პასუხისმგებელი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც დაფუძნებულია ფორმირებისა და ფუნქციონირების დემოკრატიულ პრინციპებზე (ხელისუფლების დაყოფა, პარლამენტარიზმი, საჯაროობა, კონსტიტუციის და კანონის უზენაესობა და ა.შ).

სოციალური გარანტიები. მტკიცე კანონიერება შესაძლებელია მხოლოდ სოციალური სტაბილურობის, მოქალაქეთა სოციალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პირობებში. მოქალაქეთა პატივისცემა და მორჩილება კანონისადმი, მისი დანაწესების რეალიზაცია ბევრად არის დამოკიდებული სოციალურ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე. ცხოვრების დონის დაცემა, უმუშევრობის ზრდა, საარსებო საშუალებების გაძვირება, ინფლაცია პირდაპირ გავლენას ახდენს კანონიერებაზე.

იდეოლოგიური გარანტიები. კანონიერების მდგომარეობას ბევრად განსაზღვრავს მოსახლეობის პოლიტიკური, სამართლებრივი

და საერთო კულტურა. კანონიერება გულისხმობს სამართლებრივი კულტურის ისეთ დონეს, როცა პატივისცემა სამართლის, კანონისადმი წარმოადგენს ადამიანის პირად მრწამსს. კულტურის აუცილებელ დონეს უზრუნველყოფს სამართლებრივი პროპაგანდის სწორი ორგანიზაცია, მოქალაქეებში მაღალი ზნეობრივი თვისებების გამომუშავება, პატრიოტიზმის, პასუხისგებლობის, სამართლიანობის სულისკვეთებით აღზრდა. მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება, რომელშიც რეალიზდება მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები, ჯანსაღი ზნეობრივი ატმოსფერო სამართლებრივი რეგულირების სფეროში კეთილმყოფელ გავლენას ახდენს კანონიერების რეჟიმზე.

იურიდიული გარანტიები არის იურიდიული და ორგანიზაციული საშუალებანი, რომლებიც გამიზნულია კანონიერების უზრუნველყოფისათვის.

იურიდიულ გარანტიებს მიეკუთვნება:

❍ *სამართალდარღვევების გამოვლენის საშუალებანი.* ეს გარანტია დაკავშირებულია სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების (წინასწარი მოკვლევის, პოლიციის, პროკურატურის) საქმიანობასთან, რომელიც მიმართულია სამართალდარღვევების გამოვლენისა და მისი შედეგების აღმოფხვრისაკენ.

❍ *დარღვეული უფლებების დაცვისა და აღდგენის საშუალებანი.* ასეთ საშუალებებს მიეკუთვნება: მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ალიმენტის დაკისრება, ვინდიკაცია (სხვისი უკანონო მფლობელობიდან ქონების იძულებითი ამოღება).

❍ *იურიდიული პასუხისმგებლობა* გულისხმობს პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის. იგი კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი და აუცილებელი საშუალებაა. მისი ეფექტურობა განისაზღვრება არა სიმკაცრით, არამედ გარდაუვალობით.

❍ *პროცესუალური გარანტიები* სამართლის ნორმების რეალიზაციის მექანიზმებია. პროცესუალური ნორმები მატერიალური სამართლის „ცხოვრების" ფორმაა. ფორმალურად განმტკიცებული უფლებები და თავისუფლებები რეალურ ყოფიერებას აღწევენ მხოლოდ პროცესუალური უზრუნველყოფის მეშვეობით.

სამართლის ნორმების რეალიზაციის იურიდიული მექანიზმი საჭიროებს სრულყოფილ ნორმალურ ბაზას. კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც განამტკიცებენ მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს

საკმაოდ განსაზღვრულნი არიან, თუმცა ზოგიერთ მათგანს არ აქვს რეალიზაციის ზუსტი იურიდიული მექანიზმი, რაც აბრკოლებს მათ განხორციელებას.

❍ *მართლმსაჯულება* კანონიერების განმტკიცების არსებითი გარანტიაა. სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის გარეშე წარმოუდგენელია როგორც ფორმალური, ასევე ფაქტობრივი მართლმსაჯულება. თუ სახელმწიფოში მართლმსაჯულება სათანადო დონეზეა, ეს კანონიერების სტაბილურობისა და სიმტკიცის ყველაზე დიდი და ეფექტური გარანტიაა.

კანონიერების გარანტიებს წარმოადგენს ასევე სუბიექტური ფაქტორები. მათ შორის უპირველესი მნიშვნელობა აქვს იურიდიული მეცნიერების განვითარების დონეს. მაღალგანვითარებული იურიდიული მეცნიერება, გამსჭვალული პროგრესული იდეებითა და კონცეფციებით, მათი ძირითადი პრინციპების დანერგვა სამართალშემოქმედებით და სამართალშემფარდებელ ორგანოთა პრაქტიკაში კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი წანამძღვარია.

სქემა №49. კანონიერება

კანონიერების ცნება → ისეთი პოლიტიკურ-სამართლებრივი რეჟიმია, რომელშიც ასახულია ყველა სუბიექტის მიერ სამართლიანი კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების დონე და ხარისხი.

კანონების პრინციპები →
- კანონიერების საყოველთაოობა
- კავშირი სამართლის ნორმებთან
- სრულყოფილი კანონმდებლობის არსებობა
- კავშირი პოლიტიკასა და დემოკრატიასთან

კანონიერების მოთხოვნები →
- კანონის უზენაესობა
- კანონის გაგებისა და შეფარდების ერთიანობა
- კანონის წინაშე ყველას თანასწორობა
- ადამიანის უფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვა პირთა უფლებები.
- კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თანაფარდობა
- ეფექტური ბრძოლა სამართალდარღვევასთან

კანონიერების გარანტიები

არასამართლიანი გარანტიები
- მატერიალური გარანტიები
- პოლიტიკური გარანტიები
- სოციალური გარანტიები

სამართლებრივი გარანტიები
- სამართალდარღვევის გამოვლენის საშუალებანი
- დარღვეული უფლების აღდგენის საშუალებანი
- პროცესუალური გარანტიები
- მართლმსაჯულება

§ 4. მართლწესრიგი

კანონიერების განხორციელების შედეგად საზოგადოებაში მყარდება სამართლებრივი წესრიგი, რომელსაც მართლწესრიგი ეწოდება.

მართლწესრიგი არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც სამართლის ნორმების დანაწესების ზუსტი და სრული განხორციელების შედეგად ყალიბდება.

მართლწესრიგი საზოგადოებრივი წესრიგის ორგანული ნაწილია. საზოგადოებრივი წესრიგი სოციალური კავშირების და საზოგადოებრივი ურთიერთობების ისეთი სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების შეთანხმებულობას და რიტმულობას, მის ჰარმონიულ განვითარებას. მართლწესრიგი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი და ერთდროულად მისი სამართლებრივი ფორმაა.

შეიძლება ითქვას, რომ მართლწესრიგი საზოგადოებრივი წესრიგის ძირითადი ბირთვია. საზოგადოებრივი წესრიგი წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემას, რომელიც ყალიბდება სოციალური ნორმების რეალიზაციის შედეგად.

მართლწესრიგი თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების რეალური საფუძველია. საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების ხარისხი ბევრად განისაზღვრება მართლწესრიგის მდგომარეობით. სტაბილური მართლწესრიგის პირობებში ეფექტურად ფუნქციონირებს ეკონომიკა, მყარდება შეთანხმებული ურთიერთობა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის, აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციების საქმიანობა, რეალიზდება ადამიანის თავისუფალი განვითარება, მაქსიმალურად კმაყოფილდება მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

მართლწესრიგის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ყველა ელემენტი – სამართლის ნორმები, სამართლებრივი ურთიერთობანი, სამართლის ნორმათა რეალიზაციის აქტები. მათი ურთიერთკავშირი ქმნის საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ საფუძველს.

მართლწესრიგის შინაარსს შეადგენს სუბიექტის მართლზომიერი ქცევა, ე.ი. ისეთი ქცევა, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების მიზანს.

მართლწესრიგი კანონიერების განხორციელების შედეგად დამყა-

რებული წესრიგი, სამართლის რეალიზებული სისტემაა. იგი მოიცავს სამართლის ნორმებით რეგულირებულ კონსტიტუციურ, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, საოჯახო, ფინანსურ და სხვა სახის ურთიერთობებს; სტრუქტურულ მიმართებაში მართლწესრიგი ასახავს სამართლის სისტემის ელემენტებს.

მართლწესრიგის, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სპეციფიკური სისტემის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ იგი ყალიბდება მხოლოდ სამართლის ნორმების საფუძველზე და ამდენად დაცულია სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო არის მართლწესრიგის მნიშვნელოვანი გარანტი. იგი უზრუნველყოფს მართლწესრიგის განმტკიცებას და დაცვას. მართლწესრიგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ხელისუფლებისა და სამართლის ერთიანობა. ეს არის ისეთი წესრიგი, რომელშიც საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობა და ურთიერთობა ზუსტად არის განსაზღვრული კანონებით და დაცული სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. მართლწესრიგსა და სახელმწიფოს შორის არსებულ კავშირზე ამახვილებდა ყურადღებას ციცერონი ფრაზაში: „რა არის სახელმწიფო, თუ არა საერთო მართლწესრიგი?“

მართლწესრიგი მოიცავს საზოგადოებაში არსებულ არა ყველა ურთიერთობას. საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრული ნაწილი არ საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას. ისინი წესრიგდებიან მორალური, ჩვეულებითი, ტრადიციული, რელიგიური და სხვა სოციალური ნორმებით. ამ თვალსაზრისით მართლწესრიგი წარმოადგენს მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საერთო სისტემის ნაწილს, ელემენტს, რომელიც ყალიბდება ნორმატიული რეგულირების შედეგად.

სამართლებრივ სახელმწიფოში საზოგადოებრივი წესრიგის ელემენტები იმყოფებიან ურთიერთკავშირში და სარგებლობენ სახელმწიფოს დაცვით. მხოლოდ მართლწესრიგია დაცული სპეციალური სახელმწიფო-სამართლებრივი ღონისძიებებით.

მართლწესრიგი არის კანონიერების მოქმედების შედეგი, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების რეალიზებული თავისუფლება, სოციალურად განპირობებული ფორმა სამართლიანობის გამოხატვისა. ცივილიზებულ საზოგადოებას, როგორც მართლწესრიგის საზოგადოებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

❍ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებებისა

და თავისუფლებების თავისუფალი და არა იძულებითი განსახიერება;

❍ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლიანობის, ჰუმანიზმის, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის და სხვა დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება;

❍ სახელმწიფოს საქმიანობაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განხორციელება;

❍ სახელმწიფოს მიერ სამართლის სუბიექტების დაცვის გარანტირება;

❍ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოქალაქეთა წინაშე მათი კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევაში;

❍ მოქალაქეთა პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში.

ეს ფაქტორები ერთობლიობაში ქმნიან დემოკრატიის რეალურ საფუძველს, რომელშიც კონცეტრირებულია კანონიერებისა და მართლწესრიგის დადებითი თვისებები. კანონიერება და მართლწესრიგი საზოგადოების ნორმალური ცხოვრების საფუძველია. ამიტომ მათი განმტკიცება როგორც საზოგადოების, ისე სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სქემა №50. მართლწესრიგი

მართლწესრიგის ცნება	მართლწესრიგი არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც სამართლის ნორმების დანაწესების ზუსტი და სრული განხორციელების შედეგად ყალიბდება.

საზოგადოებრივი წესრიგი	წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემას, რომელიც ყალიბდება სოციალური ნორმების რეალიზაციის შედეგად.



თავი XXII. სამართლებრივი რეგულირება და მისი მექანიზმი

§ 1. სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ცნება; სამართლებრივი რეგულირების სტადიები

სოციალური რეგულირება საზოგადოების კანონზომიერი განვითარების აუცილებელი ფაქტორია. ამიტომ გამოიმუშავა საზოგადოებამ ადამიანთა ქცევების რეგულირების მრავალფეროვან საშუალებათა სისტემა, რომელიც მორალური, ჩვეულებითი, სამართლებრივი, ეთიკური, ესთეტიკური, რელიგიური ნორმების საშუალებით ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ხელს უწყობს მის ჰარმონიზაციასა და განვითარებას. სოციალური რეგულირების სახესხვაობას წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირება.

სამართლებრივი რეგულირება არის მიზანდასახული ზემოქმედება ადამიანთა ქცევებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რომელიც ხორციელდება სპეციალური იურიდიული საშუალებებითა და მეთოდებით, მათი მოწესრიგებისა და განვითარების მიზნით.

სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა „სამართლებრივი ზემოქმედება“ და „სამართლებრივი რეგულირება“. პოზიტიურ სამართალს ახასიათებს თვისებები, რომლებიც განსაზღვრავს სამართლებრივი რეალიზაციის საზღვრებს საზოგადოების ცხოვრებაში – ნორმატიულობა, ზოგადსავალდებულობა, ფორმალური განსაზღვრულობა, სახელმწიფო უზრუნველყოფა. ამ თვისებების გამო სამართალი სავალდებულო სფეროდან ინაცვლებს ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებაში და ფართო სპექტრის ზემოქმედებას ახდენს მთელ სოციუმზე, თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე. სამართლებრივ ზემოქმედებაში იგულისხმება სამართლის, კულტურული, ინფორმაციული, პროპაგანდული, ფსიქოლოგიური, მორალური, საგანმანათლებლო გავლენა. როგორც კულტურული და ინფორმაციული ღირებულება სამართალი განსაზღვრავს ადამიანთა საქმიანობას, აქცევს მას ცივილიზებული სამართლებრივი ურთიერთობის ჩარჩოებში. ამ თვალსა-

ზრისით, სამართლებრივი ზემოქმედება გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე სამართლებრივი რეგულირება.

რეალურ ცხოვრებაში სამართლებრივი ზემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული და შერწყმული სპეციალურ სამართლებრივ რეგულირებასთან.

„სამართალს აქვს უმაღლესი სოციალური ღირებულება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ მისი ნორმები და პრინციპები განსახიერდება ცხოვრებაში, რეალიზდება სუბიექტების მოქმედებაში. სამართლის მარეგულირებელი მოქმედება სრული სახით ვლინდება იქ, სადაც სამართლებრივი ღირებულებები განმტკიცდებიან კანონებში ან სხვა ნორმატიულ აქტებში, ე.ი. სადაც სამართალი გამოიხატება პოზიტიურად. არცერთ სხვა სოციალურ მოვლენას, გარდა პოზიტიური სამართლისა, არ გააჩნია უნარი, შექმნას სივრცე სოციალური თავისუფლებისათვის, პიროვნების აქტივობისა და ტალანტის განვითარებისათვის. სამართალი ყოველგვარ აზრს დაკარგავდა, თუ არ გამოავლენდა თავის თავს როგორც ქმედითი შემოქმედებითი ძალა, თუ არ ჩამოაყალიბებდა და შეცვლიდა საზოგადოებრივ გარემოს, არ განსაზღვრავდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეების ქცევის ფორმებსა და მიმართულებას."[114]

სამართლებრივი რეგულირება არის მიზანმიმართული, მრავალსახეობრივი ზემოქმედება ადამიანთა ქცევებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლისათვის სპეციფიკური ხერხებით, საშუალებებითა და მეთოდებით. სამართლებრივი რეგულირება მიზანდასახული, შედეგიანი, ნორმატიულ-ორგანიზაციული საქმიანობაა, რომელიც იურიდიული ფორმით აწესრიგებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, განსაზღვრავს პიროვნების სამართლებრივ სტატუსს, იცავს ადამიანის თავისუფლებას, მის უფლებებს, ინტერესებს და მოვალეობებს.

სამართლებრივად ვერ ჩაითვლება რეგულირება, თუ მასში ჩართული არ იქნება ყველა სამართლებრივი საშუალება, ხერხი და მეთოდი. ასეთი საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობა ქმნის ერთიან მექანიზმს, რომელსაც სამართლებრივი რეგულირების მექანიზმს უწოდებენ.

ამრიგად, სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი არის სისტემა სამართლებრივი საშუალებებისა და ხერხებისა, რომელთა დახმარებით

[114] ვ. გენაძე, სამართალი და სამართლებრივი რეგულირება, წიგნში "კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები", თბ. 2002. გვ. 39-40

უზრუნველყოფილია საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის შედეგიანი ზემოქმედება.

„სამართლებრივი რეგულირების" და „სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის" ცნებები სამართალმცოდნეობის მნიშვნელოვანი ზოგადთეორიული, ტევადი ცნებებია. მათში ასახულია მთელი სამართლებრივი სინამდვილე, იურიდიული მოვლენების თანმიმდევრობა და კანონზომიერება, განსაზღვრულია სამართლებრივი კავშირების ლოგიკა. სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის მეცნიერული კატეგორია საშუალებას იძლევა ერთად იქნეს შეკრებილი ყველა სამართლებრივი მოვლენა, როგორც მომუშავე, სისტემურად მთლიანი ორგანიზმი, განისაზღვროს სპეციფიკური ფუნქციები, რომლებიც აკისრია სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის თითოეულ სტრუქტურულ ელემენტს საზოგადოების სამართლებრივ ცხოვრებაში.

სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი მოიცავს სამართლებრივი სინამდვილის ფრაგმენტებს: იურიდიულ ნორმებს, ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს, ოფიციალური განმარტების აქტებს, სამართლებრივ ურთიერთობას, იურიდიულ ფაქტებს, სამართლის რეალიზაციის აქტებს, სამართლის შეფარდების აქტებს, კანონიერების რეჟიმს და ა.შ. სამართლებრივი საშუალებანი ქმნიან ერთგვარ ჯაჭვს, რომლის საწყისი რგოლია იურიდიული ნორმები და რომელიც სრულიად კანონზომიერად, სამართლებრივი ლოგიკის ძალით მთავრდება სამართლის რეალიზაციის აქტით, რის შედეგად პიროვნების უფლება-მოვალეობანი ხდება რეალური ცხოვრების ფაქტი.

სამართლებრივი რეგულირება რთული და დროში გახანგრძლივებული პროცესია, რომელიც შედგება გარკვეული ეტაპების ანუ სტადიებისაგან:

❍ სამართლებრივი რეგულირების პირველი სტადია არის ნორმატიული სამართლებრივი აქტების შექმნის სტადია, რომელიც სამართლებრივი რეგულირების ნორმატიული საფუძველია. ამ სტადიაზე სამართლებრივ სისტემაში შედიან ნორმები, რომლებიც არეგულირებენ და მიზანდასახულ მიმართულებას აძლევენ საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ქცევებს, განსაზღვრავენ მათ სამართლებრივ სტატუსს, შემოფარგლავენ შესაძლებელ უფლება-მოვალეობათა წრეს.

სამართლებრივი რეგულირების პირველ სტადიაზე ხორციელდება სამართლის ზოგადი, არაინდივიდუალური ზემოქმედება. სამართლის

ნორმები ორიენტაციას აძლევენ საზოგადოებრივი ცხოვრების მონაწილეებს მიაღწიონ სამართლებრივი რეგულირების სფეროში დასახულ მიზნებს. ამ სტადიაზე რეალიზირდება სამართლის ინფორმაციული შესაძლებლობანი, აქტიური ზემოქმედება ხდება სამართლებრივი რეგულირების სფეროში ადამიანთა ნებასა და შეგნებაზე.

❍ სამართლებრივი რეგულირების მეორე და ამასთანავე ცენტრალური სტადია არის სამართლებრივი ურთიერთობის სტადია. იურიდიული ნორმების საფუძველზე და განსაზღვრული იურიდიული ფაქტების არსებობისას წარმოიშობა სამართლებრივი ურთიერთობა, ხდება უფლება-მოვალეობათა ინდივიდუალიზაცია და კონკრეტიზაცია. სამართლებრივი ურთიერთობა სამართლებრივი რეგულირების აქტიური, „მომუშავე" სტადიაა. იგი განსაზღვრავს საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეების დასაშვები და აუცილებელი ქცევის ზომას, მათ უფლება-მოვალეობებს, გარეგანი თავისუფლების საზღვრებს. სამართლებრივი ურთიერთობა ასახავს ცხოვრებისეული რეალობის იმ ასპექტს, რომელსაც განსაზღვრავს სამართლის ნორმები: სამართლებრივი ურთიერთობის ჩარჩოებში საზოგადოების წევრთა ურთიერთობა იძენს ცივილიზებულ, სტანდარტულ ხასიათს.

❍ სამართლებრივი რეგულირების მესამე სტადია არის უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის სტადია. სამართლის რეალიზაცია არის სამართლის ნორმების დანაწესების განსახიერება ადამიანთა ქცევებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში, სამართლებრივი რეგულირების საბოლოო მიზანი ხომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობების განხორციელებაა. სამართლებრივი რეგულირების ამ სტადიაზე რეალიზირდება სამართლის უზრუნველმყოფელი, დაცვითი ფუნქცია. სუბიექტები სარგებლობენ სამართლის ნორმით დადგენილი შესაძლებლობებით, ასრულებენ მავალებელ სამართლებრივ დანაწესებს, იცავენ სამართლებრივ აკრძალვებს. იმ შემთხვევაში თუ სუბიექტები დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ თავიანთი უფლება-მოვალეობების რეალიზაციას, სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები ახორციელებენ სამართალშემფარდებელ საქმიანობას, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ამ უფლებათა სრული რეალიზაცია (მაგალითად, დაინიშნონ პენსია, მიმართონ მართლმსაჯულებას და ა.შ.).

სამართლებრივი რეგულირების სტადიებს შეესაბამება სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ელემენტები, რომლებიც

ქმედით გავლენას ახდენენ ადამიანთა ქცევებზე და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. მათგან მნიშვნელოვანია:

❍ სამართლის ნორმები – ადამიანთა ქცევის ნიმუშები, ეტალონებია. ისინი რეგულირების იურიდიული ბაზა, დასაშვები ქცევის თანაბარი მასშტაბებია, რომლებიც შეეფარდებიან დეტალებით განსხვავებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ნორმების ფუძემდებლური მარეგულირებელი ზემოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი განსაზღვრავენ სუბიექტების წრეს, რომლებზეც ვრცელდება მათი მოქმედება, აყალიბებენ გარემოებებს, რომელთა არსებობისას სუბიექტები ხელმძღვანელობენ სამართლებრივი დანაწესებით.

იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში სამართლის ნორმები სამართლიანად ითვლებიან სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ნორმატიულ საფუძვლად, რამდენადაც მათში მოცემულია საზოგადოებრივი ურთიერთობების ის მოდელი, რომელიც შეესაბამება მოქალაქეთა მოთხოვნებს და ინტერესებს.

❍ *ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი* წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ამა თუ იმ სახის საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ სამართლის ნორმებს.

❍ *ოფიციალური განმარტების აქტები* ისეთი დოკუმენტებია, რომელსაც გამოსცემენ სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოები.

❍ *იურიდიული ფაქტები* სამართლის ნორმებით გათვალისწინებული ცხოვრებისეული სიტუაციები, რეალური ცხოვრების ფაქტებია, რომლებიც იწვევენ იურიდიულ შედეგებს, სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.

❍ *სამართლებრივი ურთიერთობა* არის სამართლის ნორმებში გათვალისწინებული ქცევის ზოგადი მოდელის „გადათარგმნა“ საზოგადოების წევრების ქცევის კონკრეტულ, ინდივიდუალურ აქტებზე. სამართლებრივი ურთიერთობების მეშვეობით რეალიზდება სამართალი. იგი არის სამართლის ნორმების დანაწესების ადამიანთა ქცევის აქტებში განსახიერების ძირითადი გზა.

❍ *სამართლის რეალიზაციის აქტები* ისეთი დოკუმენტებია, რომელთა მეშვეობით ხდება სამართლებრივი რეგულირების მიზნის მიღწევა, უფლებამოსილი და ვალდებული პირების კონკრეტული, კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილება.

❍ *სამართლის შეფარდების აქტები ინდივიდუალური სახელისუფლო დოკუმენტებია, რომლებიც მიმართული არიან* საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგლამენტაციისაკენ. ისინი ინდივიდუალური სამართლებრივი რეგულირების აქტებია (სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება).

სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ეფექტურობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების სფეროში ბევრად არის განპირობებული სამართლებრივი რეგულირების სუბიექტების მართლშეგნების დონით. სამართლის ნორმების ნამდვილი აზრის ღრმად შეცნობა, მოქმედი კანონმდებლობის ცოდნა მნიშვნელოვნად ამაღლებს საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი რეგულირების ხარისხს. რაც უფრო მაღალია საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა მართლშეგნების დონე, მით უფრო საიმედოდ ფუნქციონირებს სამართლებრივი რეგულირების მექანიმზმი, რომლის მიზანია რეალურ ცხოვრებაში მაქსიმალური ხარისხით დაამკვიდროს სოციალური სამართლიანობა.

§ 2. სამართლებრივი რეგულირების საგანი

სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის მეცნიერული კატეგორიის გააზრება შეუძლებელია სამართლებრივი რეგულირების საგნის შემეცნების გარეშე.

ფართო თვალსაზრისით, სამართლებრივი რეგულირების საგანში იგულისხმება გარემო, რომელშიც ფუნქციონირებს სამართალი. ვიწრო გაგებით, სამართლებრივი რეგულირების საგანია მრავალსახეობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც თავიანთი ბუნების გამო ობიექტურად მოითხოვენ სამართლებრივ მოწესრიგებას.

სამართალს უნარი აქვს ზემოქმედება მოახდინოს სხვადასხვა სახისა და დონის საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. ამიტომ არის ფართო სამართლებრივი რეგულირების სივრცე, თუმცა სამართლებრივი რეგულირების ორბიტაში არ შედის აბსოლუტურად ყველა სახის საზოგადოებრივი ურთიერთობა. სამართლებრივი რეგულირების სფეროში შედის, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ურთიერთობები. სამართლებრივი რეგულირების საგანში არ შედის საბუნებისმეტყველო, ფიზიკურ-ქიმიური, ბიოლოგიური პროცესები, ცოცხალი ორგანიზმის ზრდა-განვითარება, თუმცა ზოგიერთი მათგანი სამართლის მიერ შეი-

ძლება გათვალისწინებული იქნეს როგორც იურიდიული ფაქტი.

სამართალი არეგულირებს ურთიერთობებს, რომლებიც ადამიანთა ნებასა და შეგნებას გაივლის. იურიდიულ ნორმებს არ შეუძლიათ მოაწესრიგონ ურთიერთობა, რომელიც შესრულებულია ჰიპნოზის, ფსიქიკური დაავადების, ფიზიკური იძულების მდგომარეობაში.

სამართალი არეგულირებს მხოლოდ ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც ობიექტურად ექვემდებარებიან იურიდიულ რეგლამენტაციას. სიყვარული, მეგობრობა, მოდა არ შედიან სამართლებრივი რეგულირების სფეროში.

სამართლებრივი რეგულირების საგანია ნებითი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც იურიდიულ ლიტერატურაში პირობითად სამ ჯგუფად არის დაყოფილი:

❒ პირველ ჯგუფში შედის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც წარმოიშობა მატერიალური და არამატერიალური ღირებულებების გაცვლის სფეროში. აქ უფრო ნათლად ვლინდება ქონებრივ ურთიერთობათა რეგულირების შესაძლებლობა და აუცილებლობა. ასეთი რეგულირებით დაინტერესებულია როგორც მთელი საზოგადოება, ისე მისი თითოეული წევრი.

❒ მეორე ჯგუფში შედის სახელისუფლო ურთიერთობანი საზოგადოების მართვის სფეროში. სოციალური პროცესების მართვით დაინტერესებულია საზოგადოებაც და მისი წევრებიც, რადგან მმართველობა ხორციელდება როგორც ინდივიდუალური, ასევე ზოგადი სოციალური ინტერესებისათვის. სამართლებრივი რეგულირების სფეროში შედის სოციალური პროცესების სახელმწიფოებრივი მართვა, რომელიც უნდა განხორციელდეს კანონთან მკაცრ შესაბამისობაში.

❒ მესამე ჯგუფში შედის ურთიერთობანი, რომლებიც განამტკიცებენ მართლწესრიგს და ამდენად უზრუნველყოფენ ღირებულებათა გაცვლის და საზოგადოების მართვის პროცესების ნორმალურ მიმდინარეობას.

სამართლებრივი რეგულირების საგანი მნიშვნელოვნად განაპირობებს რეგულირების ხერხების, საშუალებებისა და მეთოდების თავისებურებებს. თვით სამართლებრივი რეგულირება განსხვავებულია იმის შესაბამისად სამართლის რომელ დარგს მიეკუთვნება იგი, როგორია სოციალური გარემო, რომელი საწყისია მასში უპირატესი, ცენტრალიზებული თუ დეცენტრალიზებული, მოიცავს თუ არა სამართალი მოცემულ ურთიერთობებს და თუ მოიცავს როგორია მისი კონკრეტულობა,

დეტალურობა, იმპერატიულობა, ე.ი. რეგულირების ინტენსივობა.

განსაკუთრებით ინტენსიური ან საკმარისად ინტენსიური რეგულირება შეიძლება წარმოიშვას სუბიექტური მიზეზით, უპირველეს ყოვლისა, კომპეტენტური ორგანოების არასაკმარისი საკანონმდებლო საქმიანობის შედეგად. სამართლებრივი რეგულირების ინტენსივობა, ასევე დამოკიდებულია სამართლებრივი რეგულირების საგანზე და სხვა ფაქტორებზე. არის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც საჭიროებენ უფრო „რბილ", უპირატესად დისპოზიციურ რეგულირებას (მაგალითად, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებანი). ნაწილი საზოგადოებრივი ურთიერთობებისა მოითხოვენ „მკაცრ" იმპერატიულ რეგულირებას (სისხლის სამართლებრივი ურთიერთობანი).

§ 3. სამართლებრივი რეგულირების ტიპები და მეთოდები

სამართლებრივი რეგულირება დინამიური იურიდიული მოვლენაა, რომელიც იურიდიული ლოგიკის შესაბამისად მოქნილი და მიზანმიმართულია. იმ მრავალ ელემენტს შორის, რომელსაც მოიცავს სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი, მნიშვნელოვანია ერთობლიობა ისეთი სიღრმისეული ელემენტებისა, როგორიცაა დაშვება და აკრძალვა. ისინი განაპირობებენ რეგულირების ორი ძირითადი ტიპის ზოგადდასაშვები და ნებისდამრთველი ტიპის ურთიერთგამიჯვნას.

იურიდიულ სამყაროში ოდითგანვე დამკვიდრდა ორი ტევადი ფორმულა:

- „დაშვებულია ყველაფერი, გარდა კანონით აკრძალულისა" და
- „აკრძალულია ყველაფერი, გარდა კანონით ნებადართულისა".

ეს ლაკონური, მაგრამ შინაარსობრივად მდიდარი ფორმულები მოიცავენ სამართლებრივი რეგულირების ყველა მხარესა და თვისებას, ნათელყოფენ საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას. ისინი წარმოადგენენ არა ხელოვნურ სიტყვიერ კონსტრუქციებს, არამედ სამართლის სიღრმისეული კანონზომიერების, სამართლებრივი რეგულირების ლოგიკის გამოვლენას.

რეგულირების ორი ტიპის – დასაშვები და სანებართვო რეგულირების თანაფარდობა განპირობებულია იმით, თუ რა უდევს საფუძვლად მათ – ზოგადი დაშვება თუ ზოგადი აკრძალვა, და როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

დასაშვები, ნებადართული სამართლებრივი რეგულირება სოციალურად სასარგებლო, საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რეგულირებაა, სადაც შეზღუდულია იურიდიული აკრძალვების წრე და უპირატესობით სარგებლობს იურიდიული შესაძლებლობა ანუ დაშვება. ამ ტიპის სამართლებრივი რეგულირება დაფუძნებულია სოციალურ ინიციატივასა და აქტივობაზე. მაგალითად, კანონმდებლობა უფლებას აძლევს მოქალაქეს საკუთრებაში ჰქონდეს ქონება და თავისი შეხედულებისამებრ ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს მას, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა.

სამართლებრივი რეგულირების მეორე ტიპი – ნებისდამრთველი რეგულირება სამართლებრივი ურთერთობის მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს შეასრულონ მხოლოდ კანონით ნებადართული მოქმედება. ასეთი ტიპის რეგულირებაში შეზღუდულია იურიდიულ შესაძლებლობათა წრე, რადგან დაშვებულია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ქმედება. მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იარაღის თავისუფლად ფლობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, ვისაც გააჩნია საამისო ნებართვა. ნებისდამრთველი რეგულირებაც სოციალურად სასარგებლო, სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პირონების ინტერესების დამცველი რეგულირებაა.

სამართლებრივი რეგულირების ტიპების წანამძღვრები მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების სიღრმისეულ საფუძვლებთან და თავისებურებებთან. თუ ზოგადდასაშვები რეგულირება უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალურ თავისუფლებასთან და დემოკრატიულ პრინციპებთან, ნებისდამრთველი რეგულირება დაკავშირებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებასთან და სოციალურ პასუხისმგებლობასთან.

სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით. მეთოდი იმ საშუალებების ერთობლიობაა, რომლითაც სამართალი ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. განსხვავება რეგულირების ტიპებს შორის განაპირობებს განსხვავებას რეგულირების მეთოდებს შორისაც.

სამართლებრივ რეგულირებაში დომინირებს ორი ძირითადი მეთოდი: დისპოზიციური და იმპერატიული.

დისპოზიციური (დეცენტრალიზებული) რეგულირება აგებულია მხარეთა თანასწორუფლებიანობის ანუ კოორდინაციის

პრინციპზე. მისი არსი მდგომარეობს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შესაძლებლობაში – თავისი ნებით განსაზღვრონ საკუთარი ქმედება სამართლის ნორმის ფარგლებში. ეს მეთოდი ფართო სამართლებრივ სივრცეს უქმნის სუბიექტს მოიქცეს თავისი შეხედულებისამებრ. დისპოზიციური მეთოდის ლოგიკური სქემა აერთიანებს ორ ელემენტს: უფლება + გარანტია, ე. ი. სუბიექტის უფლებას აქვს შესაბამისი გარანტია. ასეთი გარანტიები გულისხმობს როგორც სხვა პირისათვის გარკვეული მოვალეობის დაკისრებას (მაგალითად, საკუთრებით ურთიერთობაში ყველა სუბიექტს ეკისრება ვალდებულება – თავი შეიკავონ მესაკუთრის უფლების დარღვევისაგან), ასევე სხვა უზრუნველმყოფელ იურიდიულ საშუალებებს, რომლებიც დგანან პიროვნების უფლებათა სადარაჯოზე.

იმპერატიული (ცენტრალიზებული) რეგულირება აგებულია სუბორდინაციის ანუ დაქვემდებარების პრინციპზე. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების ცხოვრებაში და ადამიანთა ურთიერთობებში უზრუნველყოს აუცილებელი ორგანიზებულობა, მკაცრი მართლწესრიგი და საზოგადოებრივი დისციპლინა. ამიტომ სამართლებრივ საშუალებათა ჯაჭვში განმსაზღვრელია იურიდიული მოვალეობა. ამ მეთოდის ორი მთავარი ელემენტია: მოვალეობა + იურიდიული პასუხისმგებლობა. იმპერატიული რეგულირება ძირითადად გამოიყენება საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც სუბიექტის მოვალეობის შესრულება უზრუნველყოფილია შესაბამისი იურიდიული პასუხისმგებლობით.

როგორც დისპოზიციური, ისე იმპერატიული რეგულირების არსენალშია ისეთი იურიდიული საშუალებები, როგორიცაა: უფლება, მოვალეობა, გარანტია, პასუხისმგებლობა, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, სამართლის რეალიზაციის აქტები და ა.შ.

სამართლებრივი რეგულირების მეთოდებს აქვთ უნივერსალური მნიშვნელობა სამართლის ყველა დარგისათვის, საკანონმდებლო და სამართალშემფარდებელი საქმიანობისათვის. მათი ეფექტურობა და სარგებლიანობა განისაზღვრება იმ ფაქტორით, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესებს, რამდენად კეთილმყოფელ გავლენას ახდენენ უფლებების რეალიზაციაზე და იმ მიზნის მიღწევაზე, რაც სამართლებრივი რეგულირების წინაშე დგას.

სქემა №51. სამართლებრივი რეგულირება და მისი მექანიზმი



თავი XXIII. თანამედროვეობის სამართლებრივი სისტემები (ოჯახები)

§ 1. სამართლებრივი სისტემების ცნება. სისტემების კლასიფიკაცია

„სამართლის სისტემა“ და „სამართლებრივი სისტემა“ იურისპრუდენციის მსგავსი, მაგრამ არაიგივეობრივი კატეგორიებია. მათში განსახიერებულია სამართლის სირთულე და მრავალმხრივობა, სისტემურობა და თვითმყოფადობა.

მსოფლიოში ყოველ პოლიტიკურ საზოგადოებას აქვს მრავალსაუკუნოვანი სამართლებრივი ჩვეულებანი, ტრადიციები, კანონმდებლობა, იურისდიქციული ორგანოები, სამართლებრივი მენტალიტეტი და სამართლებრივი კულტურა. იურიდიული ინსტიტუტების ერთობლიობა ქმნის შიდა-სახელმწიფოებრივი სამართლის სისტემას, რომელიც მოიცავს ისეთ ერთგვაროვან ელემენტებს, როგორიცაა სამართლის ნორმები, სამართლის წყაროები, სამართლებრივი ურთიერთობა, იურიდიული ფაქტები, სამართლის რეალიზაცია და ა.შ.

კატეგორია „სამართლებრივი სისტემა“ კი ასახავს აბსტრაქციის უფრო მაღალ დონეს – სამართალს, როგორც რთულ სისტემურ ნარმონაქმნს, განსხვავებულს სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა ეპოქებში. ამ კატეგორიის მეცნიერული ანალიზი დაფუძნებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა:

- დოქტრინალურ-ფილოსოფიური;
- ნორმატიული (ე. ი. საზოგადოებაში მოქმედი სამართლის ნორმები);
- ინსტიტუციონალური (იურისდიქციული ორგანოები, სამართალშემოქმედებითი და სამართალშემფარდებელი სტრუქტურები);
- სოციოლოგიური (სამართლებრივი ურთიერთობანი, იურიდიული პრაქტიკა).

ამ ფაქტორებზე დაყრდნობით „სამართლებრივი სისტემის“ კატეგორია ასახავს კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი სინამდვილის სპეციფიკურობასა და თავისებურებებს.

მსოფლიოს სამართლებრივი რუკა მოიცავს მრავალრიცხოვან და თანამედროვე პერიოდში ფუნქციონირებად ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებს. ისინი ამა თუ იმ ზომით ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთმოქმედი სისტემებია. მათ შორის ბევრი ხასიათდება დომინირებული მსგავსი ნიშნებით, რაც განპირობებულია „საზოგადოების ძალიან ახლოს მდგომი ტიპით", საერთო ან „საზოგადოების ისტორიული განვითარების ძალიან მსგავსი პირობებით", საერთო ან „ძალიან ახლოს მდგომი რელიგიით", აგრეთვე სხვა ანალოგიური გარემოებებით.[115]

ტრადიციული სამართლებრივი სისტემების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების არსებობამ, ამ სფეროში მრავალრიცხოვანი პრობლემის გადაჭრის აუცილებლობამ განაპირობა ცოდნის ახალი დარგის – შედარებითი სამართალმცოდნეობის ჩამოყალიბება. XIX საუკუნეში სხვადასხვა ევროპულ უნივერსიტეტებში შეიქმნა შედარებითი სამართლისმცოდნეობის კათედრები და სასწავლო კურსები.

შედარებითი სამართალმცოდნეობა იკვლევს მსოფლიო სამართლებრივი ოჯახების საერთო და სპეციფიკურ თვისებებს. ასეთი კვლევა მრავალასპექტიანია, რასაც განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

❍ უპირველეს ყოვლისა, კვლევა ტარდება მეცნიერული, შემეცნებითი თვალსაზრისით, ვინაიდან მსოფლიოს სამართლებრივი რუკა მოითხოვს არა მარტო ზოგად დახასიათებას, არამედ მისი ცალკეული ნაწილების ყოველმხრივ შესწავლას და ურთიერთშედარებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გაანალიზებული იქნეს ზუსტი, ადეკვატურად ასახული რეალობა, შეიქმნას მსოფლიოს სამართლებრივი სურათი.

❍ მეორეც, მეცნიერული კვლევა განპირობებულია პრაქტიკული მოსაზრებით, მოქმედი კანონმდებლობის უნიფიკაციისა და ნაციონალური სამართლებრივი სისტემების სრულყოფის მიზნით.

პ. კრუზი გარკვეულად მიუთითებს, რომ ასეთი კლასიფიკაციის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს იურისტების მისწრაფება – „უზრუნველყონ თუ სრული არა, უკიდურეს შემთხვევაში თუნდაც ნაწილობრივი, მაგრამ ძირითადი, არსებითი ნაწილი ცივილიზებული სამართლებრივი სისტემების უნიფიკაციის პროცესისა".[116]

მსოფლიოს სამართლებრივი სისტემები გაერთიანებული არიან ცივილიზებული (სისტემები, რომლებიც იმყოფებიან განვითარების ერთ

[115] Bogdan M. Comparative Law. Kluwer. 1994. p. 82

[116] Cruz P. Modem Approach to Comparative Law. Boston, 1993. P. 28

დონეზე), გეოგრაფიული (ერთ კონტინენტზე არსებული სისტემები), რელიგიური (ერთ რეგიონში მოქმედი სისტემები) და სხვა გარეგანი თუ შინაგანი ნიშნების მიხედვით, რომლებიც ქმნიან სამართლის უნიფიკაციის პროცესისათვის ყველაზე კეთილმყოფელ წანამძღვრებს.

სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში სამართლებრივი ოჯახები გაგებულია როგორც ნაციონალური სამართლებრივი სისტემების ერთობლიობა, გამოყოფილი სხვადასხვა ნიშნებისა და თავისებურებების საფუძველზე. მათ შორის უპირატესი მნიშვნელობა აქვთ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სამართლებრივი სისტემის სოციალური ღირებულება, სხვადასხვა სამართლებრივი იდეოლოგიის მსგავსება, სამართლებრივი სისტემების სიახლოვის ხარისხი.

შედარებითი სამართალმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა მსოფლიო სამართლებრივი სისტემების კლასიფიკაციის საფუძვლების შესახებ. მრავალ კონცეფციათა შორის მნიშვნელოვანია ორი მათგანი.

ერთი კონცეფციის თანახმად, რომლის ავტორია გერმანელი მეცნიერი კ. ცვაიგერტი სამართლებრივი სისტემების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა: სამართლებრივი სისტემის წარმოშობა და ევოლუცია, იურიდიული აზროვნების თავისებურებანი, სპეციფიკური სამართლებრივი ინსტიტუტები, სამართლის განმარტება და განმარტების საშუალებანი. ამ ფაქტორების საფუძველზე კ. ცვაიგერტი გამოყოფს შემდეგ სამართლებრივ ოჯახებს: რომანულს, გერმანულს, სკანდინავიურს, ანგლო-ამერიკულს, სოციალისტურს, ისლამურსა და ინდურს.

მეორე კონცეფციის ფუძემდებელია გამოჩენილი ფრანგი სწავლული რენე დავიდი. ამ კონცეფციის საფუძველია „იდეოლოგიური" კრიტერიუმი, რომელიც მოიცავს რელიგიის, ფილოსოფიის, სოციალურ-ეკონომიკურ და იურიდიულ-ტექნიკურ ფაქტორებს. ამ ფაქტორებზე დაყრდნობით რ. დავიდი გამოყოფს თანამედროვე მსოფლიოში ხუთ დიდ სამართლებრივ ოჯახს. ესენია: რომანულ-გერმანული, საერთო სამართლის ანუ ანგლო-ამერიკული, სოციალისტური, რელიგიური და ტრადიციული.[117]

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამართლებრივი სისტემების კლასიფიკაცია შესაძლებელია გლობალური

[117] რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ. 1993, გვ. 32

თვალსაზრისითაც. გლობალური ტიპოლოგია მოიცავს: ევროპული ტიპის, ტრადიციული ტიპის, აფრიკა-აზიის განვითარებადი ქვეყნების სამართლებრივ სისტემებს.

სამართლებრივი სისტემების და სამართლებრივი ოჯახების კლასიფიკაციას არ აქვს აბსოლუტური ხასიათი, იგი შეფარდებითი ცნებაა, რასაც ადასტურებს თანამედროვე მსოფლიოში შერეული ე.წ. „ჰიბრიდული" სამართლებრივი სისტემები, რომლებშიც შერწყმულია საერთო და ცივილური სამართლის ელემენტები. ასეთს მიეკუთვნებიან ფილიპინების, იაპონიის, შოტლანდიის, შრი-ლანკის, კამერუნის და სხვა სამართლებრივი სისტემები.[118]

რამდენადაც რთულია მსოფლიოს ყველა სამართლებრივი ოჯახისა და უნიკალური სამართლებრივი სისტემის დახასიათება, ყურადღებას შევაჩერებთ ზოგიერთ, უფრო გავრცელებულ და მნიშვნელოვან სისტემაზე.

§ 2. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა (ოჯახი)

ტერმინი „რომანულ-გერმანული" მიუთითებს ამ სამართლებრივი სისტემის (ოჯახის) ისტორიულ ფესვებზე. იგი მოიცავს უპირველეს ყოვლისა, რომის სამართალს, აგრეთვე კანონიკურ სამართალს და ადგილობრივ ჩვეულებით სამართალს. რომის სამართლიდან აქ წარმოდგენილია იურიდიული ცნებების სისტემა, სამართლის სტრუქტურა, იურიდიული კონსტრუქციები, იურიდიული ხერხები და რაც მთავარია, რომაული სამართლის სული. რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახის ჩამოყალიბების პროცესი გრძელდებოდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე შუასაუკუნეების ჩათვლით. მას დასაბამი მიეცა XII-XIII საუკუნეებში, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში რომის სამართლის რეცეპციის შედეგად. თავდაპირველად იტალიის, გერმანიის და საფრანგეთის უნივერსიტეტებში სამართალი ისწავლებოდა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს (VI ს.) მიერ განხორციელებული გრანდიოზული კოდიფიკაციის საფუძველზე. რომის სამართალი განიხილებოდა როგორც სამართლიანი სამართლის ნიმუში, როგორც „დაწერილი გონიერება", თუმცა იგი არ ითვლებოდა მოქმედ სამართლად. შემდგომში, ფულადსასაქონლო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, რომის სა-

[118] Cruz P. A. Comparative Law in a Changing World. L, 1995. p. 200

მართალი სულ უფრო მეტად ღებულობდა კანონმდებლობის ფორმას, იზრდებოდა მისი გავლენა სასამართლო პრაქტიკაზე.

უნივერსიტეტის პროფესორები აქტიურად მონაწილეობდნენ იურიდიული დოქტრინების სრულყოფაში, მნიშვნელოვანი კანონების, კოდექსების პროექტების შემუშავებაში. უნივერსიტეტებში ღებულობდნენ განათლებას მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები, რომლებიც თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით ზეგავლენას ახდენენ რომის იურიდიული დოქტრინების შეფარდებაზე.

რომის სამართლის რეცეპციაზე კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა მართლმადიდებელმა ქრისტიანულმა ეკლესიამ.

XIII საუკუნიდან რომანულ-გერმანული სამართალი აქტიურად ვითარდება. მან გადალახა სახელმწიფო საზღვრები და გახდა მთელი ევროპის მონაპოვარი (გარდა ინგლისისა, სადაც სამართლებრივმა სისტემამ მიიღო სხვა ფორმები). რომის სამართლის ზოგადი პრინციპები და საწყისები ინტეგრირებული იქნა ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებში. ეს პროცესი დამთავრდა ნაციონალური კანონმდებლობის, ნაციონალური კოდექსების შემუშავებით, რომლებშიც გათვალისწინებული იყო ამა თუ იმ ქვეყნის სოციალური წყობის თავისებურებანი. მათ შორის უფრო მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია საფრანგეთში, XIX საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონ ბონაპარტის მმართველობის პერიოდში. საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსმა, რომელიც რომის ინსტიტუციურ სისტემაზეა დაფუძნებული, დიდი გავლენა მოახდინა ბევრი ქვეყნის სამართლის განვითარებაზე.

რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის დამკვიდრებაში შემდგომი მწვერვალი იყო სამართლის კოდიფიკაცია გერმანიაში, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა კონტინენტური ევროპის მთელი რიგი ქვეყნების სამართლის განვითარებაზე. გერმანიის 1896 წლის დებულება ასახავს კაპიტალიზმის განვითარების უფრო მაღალ ეტაპს. დებულება აგებულია პანდექტურ სისტემაზე, აქვს ზოგადი ნაწილი, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იურიდიული პირის ინსტიტუტის რეგულირებას და ა.შ.

რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახის ჩარჩოებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამართლებრივი სისტემის ორი შტო – რომანული, რომელმაც წარმოშვა ფრანგული მოდელი და გერმანული. პირველი მათგანი მოიცავს ბელგიას, ლუქსემბურგს, მონაკოს, იტალიას, ესპანეთს, პორტუგალიას და ა.შ. მეორე კი ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა

ავსტრია, შვეიცარია, თურქეთი, საბერძნეთი, საქართველო. გერმანული იურიდიული მეცნიერების დიდ გავლენას განიცდიან სკანდინავიის ქვეყნები – შვედეთი, ფინეთი, დანია, ნორვეგია, ისლანდია.

რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახი გამოირჩევა მთელი რიგი თავისებურებებით, რომელთა შორის უპირველესია კანონის უმაღლესობის პრინციპი. კანონის პირველადი უჯრედი არის სამართლის ნორმა, რომელსაც აქვს ზოგადი, აბსტრაქტული ხასიათი. კანონმდებელი ნორმას აყალიბებს როგორც ქცევის სოციალურ მოდელს, როგორც ზოგად მასშტაბს. რომანულ-გერმანული სისტემის სამართლებრივ ნორმებს აქვთ სისტემურ-იერარქიული სტრუქტურა. ისინი ქმნიან ურთიერთდაკავშირებულ, იურიდიულად და სოციალურად მნიშვნელოვან დებულებებს. ეს გარემოება საგრძნობლად უმსუბუქებს რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნების იურისტებს – მოიძიონ და შეუფარდონ მოქმედი კანონები.

სამართლის ძირითადი წყარო რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახში არის კანონი, რომელსაც ღებულობენ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები – პარლამენტები და აქვთ უმაღლესი იურიდიული ძალა, ვრცელდებიან სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე და ყველა მოქალაქეზე. თანამედროვე დოქტრინის თანახმად, კანონები უნდა გამოხატავდნენ საზოგადოების უმრავლესობის ნებას, ეფუძნებოდნენ ადამიანის თავისუფლებას და სოციალურ სამართლიანობას. კანონს აქვს პრიორიტეტი სამართლის სხვა წყაროებს შორის. მას შეუძლია აკრძალოს ან აღიაროს ჩვეულება, სასამართლო პრაქტიკის ცალკეული დებულებანი, შიდასახელმწიფოებრივი ხელშეკრულებანი.

რომანულ-გერმანული დოქტრინის მიხედვით კანონები იყოფიან კონსტიტუციურ და ჩვეულებრივ კანონებად, წამყვანი ადგილი უჭირავს დაწერილ კონსტიტუციას. კონსტიტუციური კანონების პრიორიტეტი გარანტირებულია საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ. კონსტიტუციური კანონებისათვის დადგენილია მიღების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების განსაკუთრებული წესები.

რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს აგრეთვე კანონმდებლობის სისტემაში კოდექსების როლის ამაღლება. ინგლისური სამართლისაგან განსხვავებით, რომლის მნიშვნელოვან მასივს შეადგენს საერთო სამართლის ნორმები, რომანულ-გერმანული სამართალი არის კოდიფიცირებული სამარ-

თალი. აქ კოდექსები მიღებულია პრაქტიკულად სამართლის ყველა დარგში. ზოგიერთ ქვეყანაში გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალი, რომელიც სამართლის უფრო დინამიური დარგია. ამასთანავე, თუ ინგლისური სამართლის ქვეყნებში კოდიფიკაცია მოიცავს ძირითადად საერთო სამართლის ნორმებს და ცოტათი ეხება კანონმდებლობას, რომანულ-გერმანულ სამართალში, პირიქით, კოდექსებში გაერთიანებულია მხოლოდ კანონმდებლობის ნორმები. ამასთანავე, რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახის კოდექსის კონცეფცია არ არის უნიფიცირებული. საფრანგეთში კოდექსს შეუძლია მოაწესრიგოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ვიწრო სფეროც (მაგალითად, თევზჭერის კოდექსი).

კანონის უზენაესობის პირობებში სამართლის წყაროებს წარმოადგენენ აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები – რეგლამენტები, დეკრეტები, ცირკულარები, დადგენილებანი და ა.შ.

რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის წყაროს წარმოადგენს ჩვეულება. ისტორიულად ბევრი ჩვეულება განმტკიცდა კანონებში, თუმცა ამჟამად ისინი მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ და კანონის დანამატს წარმოადგენენ. სამართლის წყაროდ მიჩნეულია აგრეთვე სასამართლო პრაქტიკა. სასამართლო ორგანოების მიერ მიღებული პრინციპული გადაწყვეტილებანი აწესებენ კანონის დებულებებს, ზოგჯერ კი ეწინააღმდეგებიან კანონმდებლის ნებას. ასეთ გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, იღებენ უმაღლესი სასამართლო ინსტანციები. ისინი სავალდებულონი არიან ქვემდგომი სასამართლო ორგანოებისათვის.

რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს სამართლის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად, ცალკეულ დარგებად და ინსტიტუტებად. ასეთი დაყოფა მომდინარეობს რომის იმპერიის სამართლიდან და მას საფუძვლად უდევს ინტერესთა სფერო. საჯარო სამართალი დაკავშირებულია საჯარო, საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან, კერძო სამართალი კი ცალკეულ, კერძო პირთა ინტერესებთან. საჯარო სამართალს ტრადიციულად მიეკუთვნება კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, სისხლის, საფინანსო სამართალი, სამართლის პროცესუალური დარგები და ა.შ. კერძო სამართლის სფეროს მიეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო, სავაჭრო, საერთაშორისო კერძო სამართალი და ა.შ.

იურიდიული დოქტრინის შესაბამისად სამართლის ნორმები იყოფიან ცალკეულ დარგებად სამართლებრივი რეგულირების საგნის და მეთოდის შესაბამისად, დარგები კი – ინსტიტუტებად. ნორმატიული მასალის ასეთი ლოგიკური თანმიმდევრობით დაყოფა განპირობებულია რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახის რაციონალური ბუნებით.

§ 3. ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემა (ოჯახი)

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან, უძველეს და გავრცელებულ სამართლებრივ ოჯახს წარმოადგენს ანგლო-ამერიკული ანუ საერთო სამართლის (Common Law) სისტემა. თავისი პარამეტრებით – გეოგრაფიული, კულტურული, ისტორიული და სხვა ფაქტორებით, ასევე სამართლებრივ სისტემებზე გავლენით ეს სამართლებრივი ოჯახი შეედრება მხოლოდ სამართლის უძველეს რომანულ-გერმანულ ოჯახს.

საერთო სამართლის სისტემის მოქმედება ვრცელდება მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის მესამედზე, ისეთ ინგლისურენოვან ქვეყნებზე, როგორიცაა გაერთიანებული სამეფო (გარდა შოტლანდიისა), აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ბრიტანეთის ყოფილი კოლონიები – ინდოეთი, პაკისტანი, ბირმა, ნიგერია და ა.შ.[119]

ცნობილი ფრანგი კომპარატივისტი რ. დავიდი, რომელმაც ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა მსოფლიო სამართლებრივი ოჯახების მეცნიერულ კვლევას, მიუთითებს, რომ „საერთო სამართალი არის სისტემა, რომელიც ატარებს საკუთარი ისტორიის ღრმა ნაკვალევს. ეს ისტორია კი XVIII საუკუნემდე მხოლოდ ინგლისური სამართლის ისტორიაა. აღნიშნული გარემოება განმსაზღვრელია, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი სამართლებრივი სისტემა, მაგალითად ისეთი, როგორიც აშშ-ის სამართლებრივი სისტემაა, ინგლისურისაგან დიდად განსხვავდება, და რომ სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ინდოეთში ან სუდანში სამართალი ინგლისურ გავლენაში მხოლოდ ნაწილობრივ მოექცა, რადგან იქ ინგლისური სამართლის მხოლოდ ზოგიერთი კატეგორია რეცეპირებდა“.[120]

---

[119] Cruz P. Modern Approach to Comparative Law, P. 91

[120] რ. დავიდი, დასახ. ნაშრ. გვ. 211

ინგლისურმა სამართალმა, რომელიც ინგლისის სოციალურ-ეკონომიკური წყობის სპეციფიკას ასახავს, შეინარჩუნა თავისი ორიგინალობა. იგი მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა: კერძოდ, არ ცნობს სამართლის დაყოფას მატერიალურ და პროცესუალურ დარგებად, საჯარო და კერძო სამართლად. ინგლისური სამართლის სტრუქტურა ჩვეულებრივად აგებულია არა დარგობრივ პრინციპზე, არამედ ფორმალურ-იურიდიულ პრინციპზე, ე. ი. სამართლის წყაროების საფუძველზე. ინგლისური სამართლის კატეგორიების სისტემა ძნელად გასაგებია რომანულ-გერმანული სკოლის იურისტებისათვის. თუ რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახში პროცესუალური სამართალი განიხილება როგორც მეორადი მატერიალურ სამართალთან მიმართებაში, ინგლისელი იურისტების ყურადღება საუკუნეების მანძილზე მიპყრობილი იყო სასამართლო პროცედურაზე და ძალიან ნელა გადადიოდა მატერიალურ სამართალზე. ამით აიხსნება სასამართლოს მნიშვნელოვანი როლი ინგლისში, რომელიც არა მარტო შეუფარდებს, არამედ ქმნის კიდეც სამართალს. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში მოქმედებს სავალდებულო პრეცედენტის წესი, რომლის თანახმად კონკრეტულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება სავალდებულო ხდება ანალოგიური საქმეების განხილვის დროს იმავე დონის ან ქვემდგომი სასამართლოებისათვის.

სასამართლოების საქმიანობის პროდუქტი – საერთო სამართალი (Common Law) თავისებური ფენომენია, რომელსაც ანალოგი არ აქვს სხვა სამართლებრივ სისტემებში. მისი დამკვიდრების პროცესი იწყება XII საუკუნიდან. საერთო სამართლის საფუძველია ჩვეულებითი სამართლის ნორმები, რომლებსაც იყენებდნენ სამეფო სასამართლოები საქმეთა განხილვის დროს. ასეთი ჩვეულებანი საერთო იყო მთელი სამეფოსათვის. მოგვიანებით საერთო სამართალში ჩართული იქნა კანონმდებლობის ნორმები, რომლებმაც მიიღეს სასამართლო განმარტება.

ინგლისის პარლამენტის აქტები – სტატუტები სამართლად ითვლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ არაერთგზის შეუფარდებდა და განმარტავდა სასამართლო. შემდგომში სასამართლოები მიუთითებდნენ არა სტატუტების ნორმებზე, არამედ მათ სასამართლო წყაროზე.

ამრიგად, ინგლისის სამართალში არსებობს ორი სახის ნორმები: საკანონმდებლო და პრეცედენტული. საკანონმდებლო ნორმები

წარმოადგენენ ზოგადი ხასიათის ქცევის წესებს, პრეცედენტული კი – კონკრეტულ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების განსაზღვრულ ნაწილს. ინგლისელი იურისტები პრეცედენტულ ნორმას („ratio decidendi") მიაკუთვნებენ, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტულ საქმეზე მიღებულ იურიდიულ დასკვნას და მეორეც – არგუმენტირებულ, მოტივირებულ გადაწყვეტილებას.

საერთო სამართალი გამოირჩევა უკიდურესი ფორმალობით და კაზუისტური წინააღმდეგობებით. ამის შედეგი გახდა XIV საუკუნეში ე.წ. „სამართლიანობის სამართლის" (Law of Equity) ჩამოყალიბება. მისი ნორმები თავდაპირველად ემთხვეოდა „ბუნებითი სამართლიანობის" ნორმებს. შემდგომში, სამართლიანობის სამართლის საფუძველი გახდა კანონიკური სამართალი და რომის სამართალი. მას უფარდებდა კანცლერის სასამართლო იმ პირთა საჩივრებს, რომლებიც დაკმაყოფილებული არ იყვნენ საერთო სამართლის სასამართლოების მიერ. სამართლიანობის სამართალი მოწოდებული იყო გამოესწორებინა საერთო სამართლის ხარვეზები.

ინგლისური სამართლის წყაროებს წარმოადგენდნენ: სასამართლო პრეცედენტი, კანონები (სტატუტები), დოქტრინა და ჩვეულება.

სასამართლო პრეცედენტი ინგლისური სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. სწორედ ის იყო დიდი ხნის განმავლობაში ინგლისური სამართლის გამოხატვისა და განმტკიცების მთავარი ფორმა. ინგლისში პრეცედენტებს ქმნიდნენ მხოლოდ უმაღლესი ინსტანციის სასამართლოები: ლორდთა პალატა, საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტი, სააპელაციო სასამართლო და უმაღლესი სასამართლო. ქვემდგომ სასამართლოებს არ ჰქონდათ პრეცედენტის შექმნის უფლება. პრეცედენტს ჰქონდა იმპერატიული ხასიათი, ყველა სასამართლო ინსტანცია ვალდებული იყო დაეცვა იგი.

ინგლისური სამართლის მეორე წყარო – კანონები (სტატუტები) პრეცედენტზე გაცილებით გვიან გაჩნდა, მაგრამ თანდათანობით მოიპოვა მნიშვნელობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებაში. სასამართლო პრეცედენტის, როგორც სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროს როლი XX საუკუნის შუა ხანებში რამდენადმე შემცირდა და სამართლის წყაროების სისტემაში გაიზარდა კანონმდებლობის როლი. თუმცა ინგლისში, სადაც არ არის დაწერილი კონსტიტუცია პრიორიტეტული არ არის კანონის უზენაესობის პრინციპი. ინგლისური სამართლის

სხვა ქვეყნებში პრაქტიკულად ყველგან მოქმედებს დაწერილი კონსტიტუცია და კანონის უზენაესობა უზრუნველყოფილია კონსტიტუციური კონტროლის დახმარებით.

ინგლისური სამართლის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ კანონი მასში რეალიზირდება არა დამოუკიდებლად, არამედ პრეცედენტის მეშვეობით. მანამ, სანამ კანონი დამოუკიდებელი აქტი გახდება, მან უნდა განიცადოს კონკრეტიზაცია სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილებაში. ინგლისის სასამართლო პრაქტიკა იცნობს არცთუ მცირე შემთხვევებს, როცა მიღებული სტატუტები იგნორირებული იქნა სასამართლოს მიერ ან მათი აზრი და მნიშვნელობა ინტერპრეტირებული იქნა სხვაგვარად.

ინგლისური სამართლის უძველეს წყაროს წარმოადგენს ჩვეულება, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ სამართლებრივი ოჯახის განვითარებაში. ინგლისის საგრაფოებში ჩამოყალიბებული ჩვეულებებითა და ტრადიციებით დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ სასამართლოების ნაფიცი მსაჯულები. კონკრეტული სასამართლო საქმეების გადაწყვეტის შეფასების ორიენტირი სწორედ ჩვეულებითი ნორმები იყვნენ. ამიტომ არის ლოგიკური ინგლისელი იურისტების თეზისი, რომ საერთო სამართალი ჩვეულებითი სამართალია, რომ მას საფუძვლად უდევს ჩვეულებანი და ტრადიციები.[121]

მართალია, ამჟამად ჩვეულებათა მნიშვნელობა საგრძნობლად შესუსტებულია, თუმცა არსებობენ ე.წ. „ფესვმაგარი" ჩვეულებანი, რომლებსაც დღესაც პატივს სცემენ ინგლისელები. მაგალითად, საპარლამენტო პროცედურის ბევრი საკითხი, უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირების ურთიერთდამოკიდებულება, მონარქისა და მისი ოჯახის წევრების ქცევის რიტუალურ-ეთიკური ნორმები კვლავ ჩვეულებით-სამართლებრივი წესით რეგულირდება.

ანგლო-ამერიკული სამართლის წყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დოქტრინას. თუ რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახში დოქტრინა არ წარმოადგენს იურიდიული ნორმების გამოხატვისა და განმტკიცების დამოუკიდებელ ფორმას, ანგლო-ამერიკულ სამართალში მეცნიერული წყარო შეიძლება გამოყენებული იქნეს კონკრეტული საქმის გადაწყვეტის დროს. მაგალითად, ე. წ. ლორდ კოკას „ინსტიტუციები" როგორც თვით ინგლისელი იურისტები აღ-

[121] Eddey K. The English Legal System. L. 1987. P. 173

ნიშნავენ, სასამართლოებში უფრო ხშირად არის ციტირებული, ვიდრე სხვა კრებული პრეცედენტებისა.[122]

ამდენად, ინგლისურ დოქტრინაში, როგორც სამართლის წყაროში, იგულისხმება არა მეცნიერული იდეები და კონცეფციები, არამედ სასამართლო კომენტარები, პრეცედენტული პრაქტიკის აღწერა, რომლებითაც ხელმძღვანელობენ იურისტები.

ანგლო-ამერიკული სამართლებრივი ოჯახი არ იცნობს სამართლის სისტემის დაყოფას საჯარო და კერძო სამართლად. მის ფარგლებში ისტორიულად ჩამოყალიბდა ორი სტრუქტურული ელემენტი: საერთო სამართალი და სამართლიანობის სამართალი, რაც დღესაც განსაზღვრავს მთელ სამართლებრივ არქიტექტონიკას.

ინგლისური სამართლის სტრუქტურული თავისებურება ვლინდება აგრეთვე იურიდიული ნორმის დონეში. პრეცედენტული ნორმები წარმოადგენენ კაზუსებს, რომლებთაც აქვთ თავიანთი სტრუქტურა და განსაკუთრებული შინაარსი. ამ პირველად ელემენტებს ინგლისური სამართლისათვის ზოგიერთ გარემოებათა გამო ხშირად აქვს არა ლოგიკური, რაციონალური, არამედ ტრადიციულ-ისტორიული ხასიათი.

განსხვავება რომანულ-გერმანული და ანგლო-ამერიკული ოჯახების სტრუქტურულ დაყოფას შორს აიხსნება არა ისტორიული შემთხვევითობით, არამედ ღრმა კანონზომიერებით: თუ პირველი მათგანი წარმოიშვა რაციონალური გზით, მეორე ევოლუციური, ისტორიული გენეზისის შედეგია.

ამრიგად, საერთო სამართლის ანუ ანგლო-ამერიკული სამართლებრივი ოჯახის დამახასიათებელი თავისებურებანია:

❍ საერთო სამართალი თავისი ბუნებით არის „სასამართლოს სამართალი". ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო სამართლის საფუძველი იყო და რჩება სამეფო სასამართლოს გადაწყვეტილება (გაერთიანებულ სამეფოში), უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება მიმდინარე კანონმდებლობის კონსტიტუციურობის ან არაკონსტიტუციურობის შესახებ (აშშ-ში), უმაღლესი სასამართლოს ვერდიქტი – კანადაში, ავსტრალიასა და სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში.

❍ სამართლის სხვა ოჯახებთან შედარებით აქვს ნათლად გამოხატული კაზუისტური ხასიათი (case law). ეს სისტემა არის პრეცედენტუ-

[122] Jim P, Pace P. A Level English Law. P. 14

ლი სამართლის სისტემა, რომელშიც არ არსებობს კოდიფიცირებული კანონმდებლობა.[123]

❍ თავისი წარმოშობისა და განვითარების პროცესში საერთო სამართალმა მხოლოდ უმნიშვნელოდ განიცადა რომის სამართლის გავლენა;

❍ საერთო სამართალში უპირატესობა ენიჭება პროცესუალურ სამართალს მატერიალურ სამართალთან მიმართებაში.

❍ საერთო სამართლის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკმაოდ მაღალი დონე, სახელმწიფო ხელისუფლების სხვა განშტოებებს შორის მისი რეალური, გარანტირებული ავტონომიურობა.

ბრიტანული სამართალი სპეციფიკური სახეცვლილებით გავრცელდა ინგლისურენოვან ქვეყნებში. მაგალითად, ამერიკული სამართლის მეთოდოლოგია ბრიტანულის მსგავსია, განსხვავებას კი ძირითადად პოლიტიკური და სოციალური ფაქტორები განაპირობებს. გაერთიანებული სამეფო უნიტარული სახელმწიფოა, აშშ-ბი კი ფედერაციული წყობის რთული სახელმწიფოა. აშშ-ში ფედერაციული წყობის შესაბამისად ინგლისისაგან განსხვავებული კანონმდებლობის სტრუქტურაა, მოქმედებს ფედერალური კონსტიტუცია და ფედერალური სამართალი ცალკეული შტატების კონსტიტუციებთან და სამართალთან ერთად. აშშ-ში უფრო მნიშვნელოვანია კანონმდებლობის როლი სამართლის წყაროთა სისტემაში. ზოგიერთ შემთხვევაში იგი კოდიფიცირებულია ფედერაციის, ზოგჯერ კი შტატის დონეზე. მაგალითად, 1956 წლის სავაჭრო კოდექსი მოქმედებს ყველა შტატში.

არსებითი სპეციფიკა ახასიათებს ბრიტანულ სამართალს აზიისა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებში, რაც განპირობებულია ადგილობრივი ტრადიციული ურთიერთობებით. ინგლისური საერთო სამართალი ამ ქვეყნებში მოქმედებს არა წმინდა სახით, არამედ მხოლოდ იმ ზომით, რის შესაძლებლობასაც იძლევა ადგილობრივი პირობები.

„სამართლის კონტინენტურ და ანგლო-ამერიკულ სისტემებს შორის არსებული განსხვავება ნელ-ნელა ქრება. არსებითად შეიცვალა მოსამართლეთა როლიც, კონტინენტურ ევროპაში სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიების გავლენით მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსამართლეთა როლი, ხოლო სამართლის მეცნიერების

[123] Introduction To Law by Joanne Banker Hames and Yvonne Ekern, 3rd ed. New Jersey, 2006. P. 82

ტრადიციული გავლენა შესუსტდა. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში, ამავდროულად გაიზარდა იურიდიული მეცნიერების გავლენა. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში სამართლის მეცნიერება დღეს ასრულებს იმ როლს, რასაც თავის დროზე ასრულებდა კონტინენტურ ევროპაში, კერძოდ, უზრუნველყოფს სამართლის ერთიანობას".[124]

§ 4. მუსლიმური სამართლებრივი სისტემა (ოჯახი)

მუსლიმური სამართალი წარმოადგენს ისლამის რელიგიის ორგანულ ნაწილს და გამოხატულებას. იგი წარმოიშვა არაბეთის ნახევარკუნძულზე VII-X საუკუნეებში და განიცადა ხანგრძლივი ისტორიული ევოლუცია, სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებები.

წარმოიშვა რა როგორც ისლამის რელიგიური სისტემის ელემენტი, მუსლიმური სამართალი, ისევე როგორც ისლამის რელიგია, დაფუძნებულია ღვთიურ ნებაზე. ეს რელიგია მოიცავს თეოლოგიას, რომელიც ადგენს დოგმებს და აზუსტებს თუ რა უნდა იწამონ და არ იწამონ მუსლიმებმა, განსაზღვრავს რა აკეთონ და არ აკეთონ მორწმუნეებმა. ასეთ წესებს ეწოდება შარი ანუ შარიათი (რაც „გზას" ნიშნავს) და იგი არსებითად არის ის, რასაც მუსლიმურ სამართალს უწოდებენ.

ისლამის დოგმის თანახმად, მუსლიმური სამართლის შემოქმედია ალაჰი, რომელმაც თავისი მოციქულისა და წინასწარმეტყველის – მუჰამედის მეშვეობით სამართლის დებულებანი დაიყვანა მთელ საზოგადოებამდე და მის თითოეულ წევრამდე. მუჰამედის პიროვნებას უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისლამის რელიგიურ დოქტრინაში. იგი მუსლიმური რწმენის სიმბოლოა. ეს არის რწმენა იმისა, რომ „არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ალაჰისა და რომ მუჰამედი არის ღმერთის მოციქული და წინასწარმეტყველი".[125]

მუსლიმური სამართლის სისტემა სხვა სამართლებრივი სისტემებისაგან განსხვავდება მთელი რიგი თავისებურებებით: წყაროებით, სტრუქტურით, ტერმინოლოგიით, კონსტრუქციებით, ნორმის ცნებით. თუ კონტინენტური ევროპის იურისტები სამართლის ნორმაში გულისხმობენ კონკრეტული კანონმდებლის დანაწესს, მუსლიმი სამართალმცოდნენი ნორმად მიიჩნევენ წესს, რომელიც ალაჰის მიერ

[124] გ. ხუბუა, დასახ. ნაშრო. გვ. 219

[125] Schacht V. An Introduction to Islamic Law. N.Y. 1964. P. 145

მიმართულია მუსლიმი ხალხისადმი. ნორმა დაფუძნებულია არა ლოგიკურ დასკვნებზე, არამედ ირაციონალურ, რელიგიურ დოგმებზე და რწმენაზე. ამიტომ არ შეიძლება მისი შეცვლა, გაუქმება, იგი უდავო და აბსოლუტურია, უსიტყვოდ უნდა შესრულდეს მორწმუნეთა მიერ. მუსლიმური სამართლის ნორმები არ არიან აღმჭურველნი ან ამკრძალავნი. მათი საფუძველია მოვალეობა – სუბიექტებმა შეასრულონ ესა თუ ის ქცევა, რაც ასევე განპირობებულია მათი რელიგიური ბუნებით.

ისლამში გაბატონებულია თეოკრატიული საზოგადოების კონცეფცია, სადაც სახელმწიფო მიჩნეულია რელიგიის მსახურად. მუსლიმმა იურისტებმა და თეოლოგებმა მეტად დეტალიზებული სამართლის სისტემა შეიმუშავეს, რომელიც მათი აზრით, ღვთიური ზეშთაგონებით არის მოსული და რომელიც მთელ მსოფლიოში უნდა დამკვიდრდეს.

„მუსლიმური სამართალი მუსლიმი ხალხის ძირითადი მეცნიერება, სოციალური წყობისა და ცხოვრების ჩამოყალიბების ყველაზე ქმედითი ფაქტორი იყო. პოლიტიკურ სიძნელეთა მიუხედავად, მან ერთიანად და მყარად შეინარჩუნა ისლამის სტრუქტურა. მისი გავლენა თავს იჩენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში და ლიტერატურის ყველა ჟანრში“ – ასე აფასებს მუსლიმურ სამართალს ცნობილი მკვლევარი ა. გიბი.[126]

მუსლიმური სამართალი ბერგ შტრახერის აზრით, ჭეშმარიტი მუსლიმური იდეოლოგიის ყველაზე ნათელი გამოხატულებაა, ისლამის ძირითადი რგოლია.[127]

მუსლიმური სამართალი ორიგინალურია წყაროების თვალსაზრისითაც. მისი ურღვევი და მტკიცე ბაზაა: ყურანი ანუ წმინდა წიგნი, სუნა – ღვთის მოციქულთან დაკავშირებული ტრადიციები, იჯმა ანუ მუსლიმური საზოგადოების ერთიანი შეთანხმება და ყიასი ანუ მსჯელობა ანალოგიით.

ყურანი წარმოადგენს მუსლიმური სამართლის პირველ და ძირითად წყაროს. იგი არის ისლამის წმინდა წიგნი, რომელიც შედგება ალაჰის გამონათქვამებიდან წინასწარმეტყველისა და მოციქულის მუჰამედისადმი. ყურანი მუსლიმური ცივილიზაციის საფუძველია, თუმცა მუსლიმი იურისტები მას არ აღიქვამენ არც სამართლის წიგნად და არც მუსლიმური სამართლის კოდექსად. იურიდიული ხასიათის

[126] A. R. Gibb, Mohammedanizm, An Historical Survey, 1953. P. 234

[127] G. Bergstrasser, Grundzuge des Islamischen Rechts, 1935. S. I. P. 187

ცალკეული დებულებანი, რომლებსაც ყურანი შეიცავს საკმარისი არ არის კოდიფიკაციისათვის. ისლამის ზოგიერთი სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მუსლიმური სამართლის ფორმირებისა და განვითარებისათვის, ყურანში არც კი მოიხსენიება.

ამიტომ მუსლიმ მოსამართლეს, რომელიც მართლმსაჯულებას ახორციელებს, უფლება არა აქვს უშუალოდ მიმართოს წმინდა წიგნს და განმარტოს იგი, არამედ ვალდებულია დაეყრდნოს ავტორიტეტული იურისტების, სწავლული ღვთისმეტყველების მიერ სხვადასხვა წლებში დაწერილ წიგნებს, რომლებიც შეიცავენ განსაზღვრულ განმარტებებს.

ყურანი, როგორც ისლამის მთავარი წმინდა წიგნი მუსლიმური სახელმწიფოსა და სამართლის მორალური და რელიგიურ-ფილოსოფიური საფუძველია, მაგრამ იგი არ არის არც კონსტიტუციის ან კოდექსის მსგავსი სისტემური იურიდიული დოკუმენტი, არც სამართლის ძეგლი ან უპირატესი იურიდიული აქტი.

ყურანთან გენეტიკურად ახლოა მუსლიმური სამართლის მეორე წყარო – სუნა. ყურანისაგან განსხვავებით, სუნა ადათების, ტრადიციების კრებულია, რომელშიც აღწერილია მუჰამედის საქმეები და გამონათქვამები. სუნა ხადისების – მუჰამედის ცხოვრებისეული ამბების, მისი ქცევებისა და აზრების კრებულია. ეს წყარო იქმნებოდა VI-IX საუკუნეების განმავლობაში. სუნა, ისევე როგორც ყურანი, არ შეიცავს რაიმე ნათლად გამოხატულ ნორმატიულ დებულებებს, მხარეთა განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს. მასში უპირატესად ჭარბობს ზნეობრივ-რელიგიური დებულებანი. ამიტომ კონკრეტული საქმის განხილვის დროს მოსამართლეები მიმართავდნენ ცნობილი იურისტების „სამართლის წიგნებს" და არა ყურანს ან სუნას.

მუსლიმური სამართლის ერთ-ერთ წყაროდ ითვლება იჯმა – ძველი სამართალმცოდნეების შეთანხმებული დასკვნები მორწმუნეთა მოვალეობების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობდნენ ყურანიდან და სუნადან. პასუხი ყველა კითხვაზე არც ყურანში იყო და არც სუნაში. იჯმა წარმოადგენდა მუსლიმური სამართლის ხარვეზის შევსების თავისებურ საშუალებას. იმ შემთხვევაში, როცა ყურანს და სუნას არ შეეძლო დამაჯერებელი პასუხი გაეცა დასმულ კითხვაზე.

იჯმა, როგორც სამართლის წყარო ემყარებოდა ორ პოსტულატ-დოგმას: ა) სამართლის ნორმა რომ იჯმად იქცეს, აუცილებელი არ არის იგი მორწმუნეთა მასამ აღიაროს ან ეს ნორმა საზოგადოების ყველა

წევრის საერთო გრძნობებს შეესაბამებოდეს და ბ) მუსლიმური რწმენა, რომელიც მომდინარეობს ალაჰიდან უნდა იყოს წმინდა და ურყევი. ამ ორ დოგმაზე დამყარებულმა იჯმამ შეძლო ავტორიტეტი შეექმნა იმ გადაწყვეტილებებისათვის, რომლებიც უშუალოდ არ გამომდინარეობდნენ ყურანიდან ან სუნადან. მუსლიმური სამართლის შესასწავლად ამჟამად მხოლოდ ის განმარტებანი უნდა იქნეს გამოყენებული, რომელიც მოწონებულია იჯმით. იჯმა მუსლიმური სამართლის ერთადერთ დოგმატურ საფუძველს წარმოადგენს. ყურანი და სუნა მისი ისტორიული საფუძვლებია. თანამედროვე მოსამართლე გადაწყვეტილებებისათვის საფუძველს ეძებს იჯმის მიხედვით გაშუქებულ კაზუსებში და არა ყურანსა და სუნაში.

მუსლიმური სამართლის წყაროს უძველესი დროიდან წარმოადგენს მსჯელობა ანალოგიით, რასაც ეწოდება ყიასი. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის არის მითითება მუსლიმური სამართლის ანალოგიის ორიგინალურ ხასიათზე. „ანალოგიით მსჯელობა, რომელიც დასკვნის მარტივი ფორმაა, მუსლიმური საზოგადოების მიერ აყვანილია სამართლის წყაროს რანგში... ანალოგიით მსჯელობა შეგვიძლია განვიხილოთ მხოლოდ როგორც სამართლის განმტკიცებისა და გამოყენების ხერხი. მუსლიმური სამართალი დაფუძნებულია ავტორიტეტის პრინციპზე. თუმცა ანალოგიით მსჯელობის სახით დაიშვებოდა რაციონალური განმარტების მეთოდი, მოცემული მეთოდის მეშვეობით შეუძლებელი იყო აბსოლუტური ხასიათის ფუძემდებლური ნორმების შექმნა, რომლებიც თავიანთი ბუნებით X საუკუნეში დადგენილ ტრადიციული კრებულის ნორმებს შეედრებოდნენ“ – აღნიშნავს რენე დავიდი.[128]

რაოდენ მდიდარიც არ უნდა ყოფილიყო სამართლის დოქტრინების მიერ დამუშავებული კაზუისტიკა, მათ არ შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ ყველაფერი, რაც ცხოვრებაში წარმოიშვებოდა. რადგან მუსლიმური სამართალი სრულ სისტემაზე აცხადებდა პრეტენზიას, აღიარებული იქნა ანალოგიით მსჯელობის კანონიერი ხასიათი. ანალოგიით მსჯელობის მეშვეობით, სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, შესაძლოა ისეთი გადაწყვეტილების პოვნა, რომელიც მოცემულ კერძო შემთხვევაში მისაღები იქნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიის მეთოდის გამოყენებით მუსლიმური სამართლის სისტემა სულაც არ შეესაბამება თანამედროვე იურისპრუდენციის პრინციპებს. ამ ამოცანას ისლამის

[128] რ. დავიდი, დასახ. ნაშრ. გვ. 341

დოქტორები არ დაუინტერესებია: „სამართალს არ სურს სინამდვილის ანარეკლი იყოს, იგი უფრო შუქია, რომელმაც მორწმუნეები რელიგიური იდეალისკენ უნდა ატაროს, რადგან ისინი ხშირად საჭირო მიმართულებას ვერ ხედავენ. ფაქტების ევოლუციასთან სამართლის შეგუების იდეა სრულიად უცხოა ამ სისტემისათვის".[129]

მუსლიმური სამართლის მეორეხარისხოვან წყაროს მიეკუთვნება კანონი, რელიგიურ-სამართლებრივი დოქტრინა და ჩვეულება.

თანამედროვე პერიოდში მუსლიმურ ქვეყნებში კანონი თამაშობს მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების სფეროში. რელიგიურ-სამართლებრივმა დოქტრინამ ბევრად განაპირობა მუსლიმური სამართლის განვითარების ლოგიკა. მისი მნიშვნელობა თანდათანობით შემცირდა, თუმცა დოქტრინა იყო და დარჩა ამ სისტემის მკვებავი წყარო.

მუსლიმურმა საზოგადოებამ საუკუნეთა განმავლობაში იარსება ჩვეულებათა საფუძველზე, თუმცა ჩვეულება არ შედის მუსლიმურ სამართალში. ის ჩვეულების მიმართ ნეიტრალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებს: ზოგიერთი ჩვეულება დასაშვებია და ისე შეუძლია იარსებოს, რომ წინააღმდეგობრივი სიტუაცია არ წარმოშვას. არ შეიძლება ჩვეულებამ ვინმეს ურჩიოს მოქმედება, რომელსაც სამართალი კრძალავს ან აკრძალოს ის, რასაც სამართალი სავალდებულოდ თვლის. ჩვეულებას შეუძლია დააწესოს ის, რაც სამართლის მიხედვით რეკომენდებულად ან ნებადართულად ითვლება, აგრეთვე აკრძალოს ის, რასაც სამართალი გასაკიცხად ან მარტოოდენ დასაშვებად მიიჩნევს.

გამორჩეული თავისებურებანი ახასიათებს მუსლიმური სამართლის სტრუქტურას. ისტორიულად მუსლიმური სამართალი წარმოიშვა როგორც კერძო სამართალი. იგი გამოირჩევა კაზუისტურობით, წინაღმდეგობრივი ბუნებით, აბსტრაქტული ფორმულების უგულვებელყოფით. იგი არ იყოფა საჯარო და კერძო სამართლად, ცალკეულ დარგებად და ინსტიტუტებად. ისლამის სხვადასხვა განშტოებების შესაბამისად ანალოგიური დიფერენციაცია არის სამართალში, რომლის ნორმები გაერთიანებულია ამა თუ იმ რელიგიური მიმდინარეობის ირგვლივ. საჯარო სამართლებრივი სფერო რეგულირებულია ნაკლებ დეტალურად, ვიდრე მუსლიმის კერძო ცხოვრების სფერო. შენარჩუნებულია სამართლებრივი ნორმების დიფერენციაციის დარგობრივი პრინციპიც,

[129] G. H. Bousquet, Precis de droit musulman, 1950, # 18

თუმცა ზოგიერთი თავისებურებებით. მაგალითად, არსებობს დარგი „პირადი სტატუსის სამართალი", რომელიც არეგულირებს საოჯახო, მემკვიდრეობით და ზოგიერთ სხვა ურთიერთობებს.

ისლამი და მუსლიმური სამართალი აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამასთანავე, ისლამის, როგორც რელიგიის გავლენა მნიშვნელოვნად აჭარბებს სოციალურ ურთიერთობებზე მუსლიმური სამართლის ზემოქმედებას. უკანასკნელ ათასწლეულში მთელმა რიგმა სამართლებრივმა ინსტიტუტებმა განიცადეს ისლამიზაცია. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გართულებამ ცხადყო, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირება მხოლოდ რელიგიური დოგმებით შეუძლებელია. ამან განაპირობა ის ფაქტორი, რომ მთელ რიგ მუსლიმურ ქვეყნებში დაიწყო სამართლებრივი სისტემების რადიკალური მოდერნიზაცია, კანონმდებლობის კოდიფიკაცია, სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია და ა.შ.

§ 5. სოციალისტური სამართლებრივი სისტემა (ოჯახი)

სოციალისტური სამართლებრივი სისტემის საფუძველია არა ხალხის მართლშეგნების, სამართლებრივი დოქტრინების, სამართლის სტრუქტურისა და წყაროების თავისებურებანი, არამედ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. იგი XX საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა რუსეთში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, რუსეთის 1917 წლის პროლეტარული რევოლუციის შედეგად.

მსოფლიოს სხვა სამართლებრივი სისტემებისაგან განსხვავებით სოციალისტური სამართლის სისტემა უპირატესობას ანიჭებს ცენტრალიზირებულ მმართველობას, გეგმიურ რეგულირებას, სამოქალაქო ხელშეკრულებების დეტალურ რეგლამენტიზაციას, სახელმწიფო, საერთო-სახალხო საკუთრების შექმნას, საწარმოების, ბანკების, მიწების ნაციონალიზაციას, სოციალური სიკეთის შექმნისა და განაწილების სოციალისტურ ინსტიტუტებს.

საბჭოთა კავშირში სამართალი განიხილებოდა როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების სიღრმისეულ გარდაქმნას. მარქსისტულ-ლენინური კონცეფცია უარყოფს ხელისუფლების დანაწილების პრინ-

ციპს, დომინირებულია სახელმწიფოს აქტიური ჩარევა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რის შედეგად თანდათანობით კვდება კერძო სამართლებრივი ინსტიტუტები და ბატონდება საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტები. სამოქალაქო სამართლის ბევრმა ინსტიტუტმა, კერძოდ, საკუთრების ინსტიტუტმა მიიღო საჯარო-სამართლებრივი ხასიათი, მნიშვნელოვანი სამეურნეო ხელშეკრულებანი რეალიზირდებოდა ადმინისტრაციულ-გეგმიურ საფუძველზე. რადიკალური რეფორმები განხორციელდა სისხლის სამართლის სფეროში: გამარტივდა პროცესუალური ფორმები, შეიზღუდა ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფლება, ჩამოყალიბდა იდეოლოგიური სასამართლო წარმოება, გაუქმდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და დამკვიდრდა სახალხო მსაჯულების სისტემა სამართალწარმოების პროცესში.

საბჭოთა სოციალისტური სამართლებრივი სისტემა, ზოგიერთი ცვლილების მიუხედავად, გარეგნულად რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის მსგავსია. ისიც იყოფა დარგებად და ინსტიტუტებად, თუმცა სოციალისტური სამართლებრივი ოჯახი არ აღიარებს სამართლის დაყოფას კერძო და საჯარო სამართლად.

სამართლის ძირითადი წყაროა კანონი – ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული საკანონმდებლო აქტი. აღიარებულია კანონის უზენაესობა, საკანონმდებლო რეგულირების პრიორიტეტი, კონსტიტუციებისა და დარგობრივი კოდექსების წამყვანი როლი. სამართლის წყაროებს წარმოადგენენ ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები, სასამართლო პრაქტიკა და სანქციონირებული ჩვეულება.

სოციალისტური სამართლებრივი სისტემის ერთგვარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ბევრი სამართლებრივი პრობლემის თეორიული დამუშავება, მსოფლიო იურიდიულ პრაქტიკაში ეკონომიკურ ურთიერთობათა გეგმიურ-სამართლებრივი რეგულირების ინსტიტუტის დანერგვა, შრომის უფლების რეალიზაციის გარანტიების შექმნა, უფასო განათლების სისტემა და ა.შ.

საბჭოთა კავშირში, მისი დაშლის შემდეგ დასრულდა სოციალისტური სამართლებრივი სისტემის თითქმის 70 წლიანი არსებობა. ამჟამად, სოციალისტურ სამართლებრივ სისტემებს მიეკუთვნება ჩინეთის, ვიეტნამის, კორეის სახალხო რესპუბლიკის და კუბის სამართლებრივი სისტემები.

§ 6. ჩვეულებითი სამართლის სისტემა (ოჯახი)

ჩვეულებითი სამართალი ისტორიულად პირველი სამართლებრივი წარმონაქმნია, რომელსაც პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს „სამართლებრივი სისტემა". პირობითობა აიხსნება იმით, რომ „ჩვეულებითი სამართალი" არის სოციალურ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც ყველა საზოგადოების და ყველა ეპოქის პირობებში არსებობდნენ. სისტემურობის თვალსაზრისით იგი არასრული სამართალია, ერთდროულად სამართლის წინამორბედიც და სამართლის მოწინააღმდეგეც. ჩვეულებითი სამართლის ეპოქა არ იცნობს იურისპრუდენციას, როგორც პროფესიონალური საქმიანობის სფეროს. ჯერ კიდევ არ არსებობს ჩვეულებითი სამართლის დიფერენციაცია დარგებად. ამიტომ არის განსხვავება სამოქალაქო დელიქტსა და დანაშაულს შორის. სამართლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ჩვეულება. საუკუნეთა განმავლობაში ჩვეულებითი სამართალი არსებობდა ზეპირი ფორმით – მითების, ანდაზების, გამოცანების სახით. ჩვეულებითი სამართლის ჩაწერა მისი უნიფიკაციის პირველი ნაბიჯი იყო.

ჩვეულებითი სამართლის ეპოქა ევროპაში გაგრძელდა XI საუკუნის შუახანებამდე, ხოლო თანამედროვე მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონებში გრძელდება დღესაც – ესენია ეკვატორული ქვეყნები – აფრიკა, მადაგასკარი, ავღანეთი, იემენი, ინდოეთი.

აფრიკასა და მადაგასკარის სამართლებრივი ინსტიტუტები ჩვენს ეპოქაში იურისტების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, საუკუნეების განმავლობაში ეს ქვეყნები ჩვეულების ნორმებით ცხოვრობდნენ. ჩვეულებებით განისაზღვრებოდა როგორც საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთობანი, ასევე მეზობელ საზოგადოებასთან დამოკიდებულება. ჩვეულება მიჩნეული იყო როგორც „მსოფლიო წესრიგის" მუდმივი და უცვლელი ელემენტი.

ჩვეულება წარმოადგენს სამართლის უძველეს წყაროს, რომელსაც იცნობს ყველა სამართლებრივი სისტემა, მაგრამ თუ რომანულ-გერმანულ და ანგლო-ამერიკულ სისტემებში იგი მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა, აფრიკაში იგი იყო და არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი რეგულატორი, განსაკუთრებით პროვინციებში.

აფრიკის მრავალრიცხოვან მოსახლეობას აქვს თავისი ჩვეულებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალური ჯგუფების (გვარის, ტომის, სოფლის) ერთიანობასა და შეკავშირებას, წინაპართა ხსოვნის

პატივისცემას, კავშირს გარემომცველ გარემოსთან, სულებთან და სხვა ზებუნებრივ ძალებთან. ჩვეულებათა მითიური ხასიათი, მათი პლურალიზმი (მრავალსახეობა), არაფორმალურობა და გაფანტულობა არ იძლევა საშუალებას მათგან შეიქმნას ევროპული ტიპის ნაციონალური სამართლებრივი სისტემა.

აფრიკის კოლონიზაციის პერიოდმა შექმნა წინაპირობები იმისათვის, რომ ჩვეულებანი თანდათანობით ჩაენაცვლა თანამედროვე კანონმდებლობასა და სასამართლო სისტემას, მაგრამ ვერ შეცვალა სოფლის მოსახლეობის შეგნება. ისინი კვლავ ორიენტირებული არიან ღირებულებათა ძველ სისტემაზე. თანამედროვე პერიოდში დამოუკიდებელი აფრიკული სახელმწიფოები ახორციელებენ მოქმედი ჩვეულებების სისტემატიზაციას, რთავენ მასში დარგობრივ კოდექსებს და სხვა ნორმატიულ აქტებს, თუმცა არცთუ იშვიათად უგულვებელყოფენ ამ ქვეყნებში მცხოვრებ სხვა ხალხების და სოციალური ჯგუფების ჩვეულებებსა და ტრადიციებს. გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული სასამართლო ხელისუფლების ორგანოების შექმნა და სასამართლო პროცესის ფორმირება. სასამართლო, ევროპული ტრადიციული სასამართლო სისტემის თვალსაზრისით, განიხილავს დავებს თანასწორუფლებიან და დამოუკიდებელ მხარეებს შორის, რაც უცხოა ტომისა და კლანისათვის, სადაც დავა წყდება არა ამა თუ იმ პირის უფლების აღიარებით, არამედ შერიგებით.

თანამედროვე აფრიკის სახელმწიფოების სამართლებრივი განვითარება შეიძლება დახასიათებული იქნეს როგორც ორი სამართლებრივი კულტურის – ევროპული საკანონმდებლო-პრეცედენტული და აფრიკული ჩვეულებით-სამართლებრივი კულტურის ურთიერთობის რთული გარდამავალი პერიოდი.

„აფრიკული და მადაგასკარის ჩვეულებითი სამართალი, მათი თვისებების გამო არა მხოლოდ იურისტებს აინტერესებთ, არამედ ანთროპოლოგებს, სოციოლოგებსა და ეთნოლოგებს. მის შესწავლას კი ვერავინ შეძლებს, თუ ერთდროულად იურისტიც არ იქნება და ეთნოლოგიც. ამ სამართალში კატეგორიების ძიებისა და ევროპული სამართლებრივი სისტემების მეთოდთა გამოყენების ცდები ჩვეულების კონცეფციის მარტოოდენ დამახინჯებას თუ გამოიწვევს“ – აღნიშნავს რენე დავიდი.[130]

[130] რ. დავიდი, დასახ. ნაშრ. გვ. 410

სქემა №52. მსოფლიოს სამართლებრივი სისტემები (ოჯახები)



მსოფლიოს სამართლებრივი ოჯახები (სისტემები)

- არის ჭეშმარიტი მუსლიმური იდეოლოგიის ძირითადი რგოლი, მუსლიმური რელიგიის სამართალი.
- წყაროები: ყურანი ანუ წმინდა წიგნი, სუნა – ღვთის მოციქულთან დაკავშირებული ტრადიციები, იჯმა – მუსლიმური საზოგადოების ერთიანი შეთანხმება, ყიასი ანუ მსჯელობა ანალოგიით.
- კანონი, რელიგიური სამართლებრივი დოქტრინა და ჩვეულება
- არის კაზუისტური, წინააღმდეგობრივი, რელიგიურ დოგმებზე დამყარებული სამართალი.

სოციალისტური სამართლის ოჯახი (სისტემა)

არის მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე დამყარებული სამართლის სისტემა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ეკონომიკის ცენტრალიზებულ მმართველობას, გეგმიურ რეგულირებას, სახელმწიფო საკუთრების შექმნას, სანარმოების, ბანკების, მიწის ნაციონალიზაციას.
წყაროებია: ნორმატიული იურიდიული აქტები, სასამართლო პრაქტიკა, სანქციონირებული ჩვეულება.

მსოფლიოს სამართლებრივი სისტემები

ჩვეულებითი სამართლის ოჯახი (სისტემა)

- არის სოციალურ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მნიშვნელოვან ნაწილს.
- ძირითადი წყაროა ჩვეულება.
უკანასკნელ ხანებში ხორციელდება მოქმედი ჩვეულებების სისტემატიზაცია, დარგობრივი კოდექსების შექმნა, სამართლის სისტემების რეფორმა.

მესამე ნაწილი

კაზუსები

ძველი რომაელი იურისტების სენტენციები

რომის სამართლის ძირითადი ფორმულები და ტერმინები

კაზუსები

კაზუსი №1

ჩანთებით დატვირთული ახალგაზრდა ქალი საზოგადოებრივ ტრანსპორტში ავიდა. მიმოიხედა. ყველა ადგილი დაკავებული იყო. მაშინ ერთ-ერთ მამაკაცს მიმართა: „დამითმეთ ადგილი, თუ შეიძლება". მამაკაცი უხმოდ ადგა, და ადგილი დაუთმო. ფეხზე მდგომი მთელი მგზავრობის მანძილზე ფიქრობდა თუ რატომ ჰქონდა ქალს უპირატესი უფლება - დაეკავებინა მისი ადგილი ?

ქალის გვერდით მჯდომმა ხანდაზმულმა მამაკაცმა ქალს მიმართა: „თქვენ რომ ააყენეთ ის კაცი ერთი საათის წინ გამოეწერა საავადმყოფოდან და თავს ჯერ კიდევ ძალიან სუსტად გრძნობს". ამ სიტყვების გაგონებაზე მგზავრები აღშფოთდნენ.

➢ უპასუხეთ კითხვებზე:

1. ჰქონდა თუ არა ქალს უპირატესი უფლება – მოეთხოვა ადგილის დათმობა საზოგადოებრივ ტრანსპორტში და
2. იყო თუ არა ვალდებული მამაკაცი ადგილი დაეთმო ქალისათვის?

☛ გაითვალისწინეთ, რომ საუბარია იურიდიულ უფლებასა და ვალდებულებაზე.

კაზუსი №2

ავტობუსში ავიდა კარგ ხასიათზე მყოფი ოთხი ახალგაზრდა. მათ ტექნიკური უნივერსიტეტის დამთავრების ბოლო გამოცდა ჩააბარეს. ავტობუსში თავისუფალი იყო მხოლოდ პირველი ორი რიგის ადგილები, რომელთა ზემოთ ეკიდა აბრა წარწერით: „ბავშვიანი მგზავრებისა და ინვალიდებისათვის". ავტობუსი თანდათან გაივსო მგზავრებით, რომელთა შორის იყვნენ ბავშვიანი ქალები და ინვალიდები. ახალგაზრდები ხმამაღლა იცინოდნენ, ხუმრობდნენ და თითქოს ვერ ამჩნევდნენ ბავშვებს და ინვალიდებს.

ერთ-ერთ გაჩერებაზე ავტობუსში ამოვიდნენ კონტროლიორები. ერთმა მათგანმა მიმართა ახალგაზრდებს, ამდგარიყვნენ ადგილებიდან და შეეწყვიტათ ხმაური. ატყდა ჩხუბი, გაჩნდა პოლიცია, რომელმაც დააკავა ორი აგრესიული ახალგაზრდა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

➢ უპასუხეთ კითხვებზე:

1. აქვს თუ არა ადგილი უფლების დარღვევას? კერძოდ ბავშვიანი ქალებისა და ინვალიდების უფლების დარღვევას?
2. როგორი უფლება დაირღვა? – მორალური თუ იურიდიული?

კაზუსი №3

ახალგაზრდა მოქალაქე – ხუციშვილი შევიდა კინოთეატრის ფოიეში და იყიდა კინოსეანსზე დასასწრები ბილეთი. უკან გამობრუნებული პირისპირ შეეჯახა ორ ნაცნობ ახალგაზრდას – დოლიძეს და ჭანტურიას. მათ ფული მოთხოვეს ხუციშვილს, გაიმართა ჯერ სიტყვიერი დავა, შემდეგ კი ჩხუბი. მოგვიანებით დოლიძემ ხუციშვილს თავი დაარტყა გულ-მკერდის არეში, ჭანტურიამ კი ფეხი ჩაარტყა მუცელში. ხუციშვილი გამწარდა, მას გაახსენდა, რომ ჯიბეში ედო მონადირის დანა, ამოიღო და მოიქნია თავდაცვის მიზნით. დოლიძემ მოახერხა კიდევ ერთხელ ჩაერტყა ფეხი მუცელში ხუციშვილისთვის და ჭანტურიასთან ერთად გაიქცა. ხუციშვილი დაეწია დოლიძეს და დანით მიაყენა მძიმე ჭრილობა. ხუციშვილის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. სასამართლომ მას მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა ჟურნალისტის სტატია სახელწოდებით – „უფლება უფლების წინააღმდეგ", რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ხუციშვილმა დაარღვია დოლიძის უფლება სხეულის ხელშეუხებლობისა, მაგრამ პირველად დოლიძემ და ჭანტურიამ დაარღვიეს ხუციშვილის ხელშეუხებლობის უფლება. გაზეთის კორესპონდენტი მოითხოვდა ხუციშვილის განთავისუფლებას და დოლიძისა და ჭანტურიას პასუხისგებაში მიცემას.

მოყვანილ მაგალითში ერთი პირის იურიდიული უფლება შეეჯახა სხვა პირების იურიდიულ უფლებებს, რაც ცხოვრებაში არც თუ იშვიათად ხდება.

მოქმედი კანონმდებლობა ყველა მოქალაქეს ანიჭებს თავდასხმისგან თავდაცვის უფლებას. აუცილებელი მოგერიების დროს თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენებას, სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ მიიჩნევს სამართალდარღვევად, შესაბამისად არ დგება არც იურიდიული პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გადაცილებული იქნება აუცილებელი მოგერიების ფარგლები. ხუციშვილმა გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს (იხმარა დანა), ამიტომ დაეკისრა პასუხისმგებლობა.

➢ უპასუხეთ კითხვებზე:

1. სად მთავრდება მოქალაქე ხუციშვილის უფლება?

2. თუ უფლება სცილდება დაუშვებელი ქცევის ფარგლებს, რაში გადაიზრდება პირის ქცევა?

კაზუსი №4

ჰოლანდიური კომპანიის ავიალაინერი ფრენას ახორციელებდა საფრანგეთის საჰაერო სივრცეში. ავიალაინერის მგზავრმა – აშშ-ის მოქალაქემ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეს მოპარა ძვირფასეულობა.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

რომელი ქვეყნის კანონმდებლობით დაეკისრება აშშ-ის მოქალაქეს პასუხისმგებლობა ჩადენილი სამართალდარღვევისათვის?

კაზუსი №5

1997 წლის მაისში მოქალაქე კუჭავამ ჩაიდინა მკვლელობა განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამგვარი დანაშაულისთვის ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას – სიკვდილით დასჯას. სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვამდე 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

რომელი კანონი შეეფარდება მოქალაქე კუჭავას: დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი, თუ 1997 წლის 11 ნოემბრის კანონი, რომელმაც სიკვდილით დასჯა შეცვალა უვადო პატიმრობით და რატომ?

კაზუსი №6

9 წლის პაპუნა დავითაძე ეზოში ბურთს თამაშობდა. მხიარულმა მოზარდმა ფეხი მძლავრად დაარტყა ბურთს. ბურთი მოხვდა მეზობლის ფანჯარას, ჩაამსხვრია, შევარდა ოთახში და მაგიდაზე მდგარი ძვირადღირებული ლარნაკიც დაამსხვრია. მეზობელმა მოითხოვა მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

დაეკისრება თუ არა 9 წლის პაპუნა დავითაძეს მის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება?

კაზუსი №7

თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, ღამით, პატრულმა შეამჩნია ტროტუარზე დაგდებული კაცი, რომელსაც თავზე ადგა სისხლით მოსვრილი ახალგაზრდა, პატრულის გამოჩენისთანავე ახალგაზრდა გაიქცა. პატრულმა მოახერხა მისი დაკავება და პოლიციაში წარდგენა. დაკავებულმა ახალგაზრდამ, გვარად გამცემლიძემ აღიარა რომ შემთხვევით გადააწყდა დაჭრილს, მოინდომა დახმარებოდა და ამ დროს მოეცხო დაჭრილის სისხლი. როცა პატრული გამოჩნდა, შეეშინდა და ამიტომ გაიქცა. დაჭრილი მოქალაქე გვაზავა ძლიერი სისხლდენის გამო საავადმყოფოში გარდაიცვალა. ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ გამცემლიძის ტანსაცმელზე გარდაცვლილის სისხლი ეცხო.

პოლიციის გამომძიებელმა გამცემლიძე ბრალდებულად ცნო გვაზავას მკვლელობაში. მეორე დღეს ყველა ტელეარხის საინფორმაციო გამოშვებასა და პრესაში მოქ. გამცემლიძე დასახელდა გვაზავას მკვლელად. გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ გვაზავა მოკლა მისმა ახლო ნათესავმა და არა გამცემლიძემ.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

სამართლის და კონსტიტუციის რომელი ფუძემდებლური პრინციპი დაირღვა?

კაზუსი №8

მოქალაქე ზურაბიშვილმა 2006 წლის 10 ივნისს კომერციულ ბანკ „კრედიტთან“ დადო სესხის ხელშეკრულება და გირაოდ ჩადო სააგარაკო სახლი მიწის ნაკვეთთან ერთად. სესხის დაფარვის ვადა 2006 წლის 1 დეკემბერს იწურებოდა. ხელშეკრულების პირობების თანახმად სააგარაკო სახლი დროებით გადადიოდა ბანკის მფლობელობაში, ბანკი კისრულობდა ვალდებულებას – მოევლო აგარაკისთვის.

2006 წლის 16 ივლისს აგარაკი გადაეცა ბანკ „კრედიტს“. 21 ივლისს მოქ. ზურაბიშვილმა მიიღო კრედიტი და გავიდა ქალაქიდან.

2006 წლის 30 ოქტომბერს ჭექა-ქუხილის დროს მეხი დაეცა მოქ. ზურაბიშვილის აგარაკს. სახლი მთლიანად დაიწვა. დაბრუნდა რა მოგზაურობიდან, 2006 წლის ნოემბერში მოქალაქე ზურაბიშვილმა აგარაკის განადგურების გამო მიიღო სადაზღვევო ორგანოებიდან სათანადო თანხა. იმის გამო, რომ გირავნობის საგანი განადგურდა, მოქალაქე ზურაბიშვილმა უარი თქვა ბანკისთვის სესხის დაბრუნებაზე. კომერციულმა ბანკმა მოქ. ზურაბიშვილის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა სასამართლოში.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

დავა მოქ. ზურაბიშვილსა და კომერციულ ბანკს შორის სამართლის რომელი სფეროს – საჯარო თუ კერძო სამართლის ნორმებით უნდა მოწესრიგდეს?

კაზუსი №9

საქართველოში აკრედიტებულმა საბერძნეთის ელჩმა ავტომანქანით მგზავრობის დროს საჭე ვერ დაიმორჩილა და დაეჯახა ფეხით მოსიარულე მოქ. გაჩეჩილაძეს, რომელმაც სხეულის დაზიანება მიიღო.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

რომელი ქვეყნის კანონმდებლობით დაეკისრება პასუხისმგებლობა საბერძნეთის ელჩს?

კაზუსი №10

2007 წლის მარტის თვეში პოლიციამ დააკავა მოქალაქე ქირია მძიმე დანაშაულის – ყაჩაღობის ჩადენისათვის, რაც სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე. 2007 წლის ივნისში, მანამ სანამ ქირიას საქმის განხილვა დაიწყებოდა, ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელმაც დაამძიმა პასუხისმგებლობა ყაჩაღობისთვის და სასჯელის ზომად დააწესა თავისუფლების აღკვეთა ექვსიდან თორმეტ წლამდე.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

რომელ ნორმას შეუფარდებს სასამართლო განსასჯელ ქირიას: იმ ნორმას, რომელიც მოქმედებდა მოქალაქე ქირიას მიერ დანაშაულის ჩადენის დროს, თუ იმ ნორმას, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში და ქრონოლოგიურად უფრო ახალია?

კაზუსი №11

ახალგაზრდა ხევსურებს ზეზვა და მზიას ბავშვობიდან უყვარდათ ერთმანეთი. ზეზვამ წინადადება მისცა მზიას დაქორწინებულიყვნენ და ოჯახი შეექმნათ. მზიამ იუარა ზეზვას შეთავზება, ჯერ სტუდენტები ვართ, დავამთავროთ უნივერსიტეტი და მერე ვიქორწინოთო.

ზეზვასთვის მოულოდნელი იყო მზიას უარი. მეგობრებს რომ გაანდო თავისი დარდი, მათ ურჩიეს: ხევსურული ჩვეულება დასაშვებად მიიჩნევს დაქორწინებას საცოლის მოტაცებით და შენც ასე მოიქეციო.

ზეზვამ დიდი ფიქრის შემდეგ მართლაც მოიტაცა მზია და შინ მიიყვანა.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

მართლზომიერია თუ არა სამართლებრივად ზეზვას მოქმედება?

კაზუსი №12

იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებულმა სტუდენტებმა მახარაშვილმა და სირბილაშვილმა გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია. მათ მოიძიეს და შეკრიბეს საბანკო-საფინანსო სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტები, დაალაგეს ისინი ალფავიტური და ქრონოლოგიური ნიშნების შესაბამისად. შრომატევადი სამუშაოს შედეგად სტუდენტებმა შეადგინეს საბანკო– საფინანსო ნორმატიული აქტების კრებული.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

რა სახის სისტემატიზაცია ჩაატარეს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა და ჰქონდათ თუ არა ამის უფლება?

კაზუსი №13

15 წლის კომპოზიტორმა ზაზა რჩეულიშვილმა სოლიდური ჰონორარი აიღო და დამოუკიდებლად, მშობლების თანხმობის გარეშე კერძო ფირმაში შეიძინა ძვირადღირებული კომპიუტერი. ათი დღის შემდეგ აღმოჩნდა რომ კომპიუტერს სერიოზული ნაკლი ჰქონდა. ზაზა რჩეულიშვილმა ფირმას კომპიუტერის უკან დაბრუნება და თანხის გადახდა მოსთხოვა, რაზედაც უარი მიიღო. ზაზა რჩეულიშვილმა გადაწყვიტა სასამართლოში სარჩელი აღეძრა თავისი დარღვეული უფლების აღსადგენად.

➢ უპასუხეთ კითხვებზე:

1. აქვს 15 წლის მოზარდს სასამართლოში სარჩელის აღძვრის უფლება?
2. ვის შეუძლია ზაზა რჩეულიშვილის უფლების დასაცავად აღძრას სარჩელი სასამართლოში?

კაზუსი №14

16 წლის ირინა დვალმა ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობა დაიწყო ავეჯის დამამზადებელ საწარმოში. 6 თვის შემდეგ მუშაობის დროს მან დააზიანა ხის ზედაპირის დამამუშავებელი ძვირადღირებული ხაზი, რითაც ზარალი მიაყენა საწარმოს.

➢ უპასუხეთ კითხვებზე:

1. დაეკისრება თუ არა ირინა დვალს მიყენებული ზიანის ანაზღაურება?
2. რას ნიშნავს „ემანსიპაცია“?

კაზუსი №15

დავით დანელია სამუშაოს დამთავრების შემდეგ ავტომანქანით სახლში ბრუნდებოდა. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მან აღელვებული ხალხი შეამჩნია და ავტომანქანა შეაჩერა. გაირკვა, რომ ახალგაზრდა ქალი ხიდიდან მტკვარში გადამხტარა და იხრჩობოდა. მშველელი არ ჩანდა. დავითმა სასწრაფოდ გაიხადა და მდინარეში გადაეშვა. დიდი წვალების შემდეგ მან ცოცხალმკვდარი ქალი ნაპირზე გამოიყვანა. გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ პირველადი დახმარება აღმოუჩინა ქალს და საავადმყოფოში წაიყვანა. მხოლოდ ამის შემდეგ დატოვა დავით დანელიამ შემთხვევის ადგილი. მისთვის მადლობაც არავის უთქვამს.

➢ უპასუხეთ კითხვებზე:

1. ვალდებული იყო თუ არა რიგითი მოქალაქე თავი გაეწირა და გადაერჩინა განწირული ქალი?

2. მართლზომიერი ქმედების რომელი სახეა დავით დანელიას მოქმედება?

კაზუსი №16

მეტროპოლიტენის სადგურის ფოიეში ორმა სტუდენტმა გოგონამ – ნათიამ და მაკამ განიზრახეს, ესარგებლათ გასასვლელით, რომელიც განკუთვნილია უფასო მგზავრობის უფლებით მოსარგებლეთათვის. მათი მოქმედება შეამჩნია მორიგე პოლიციელმა და სასტვენით გააფრთხილა. გოგონები სასწრაფოდ გამობრუნდნენ უკან, იყიდეს სამგზავრო ჟეტონები და წესისამებრ იმგზავრეს.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:
როგორია სამართლებრივი თვალსაზრისით სტუდენტი გოგონების ქცევა?

კაზუსი №17

ბექა კობახიძეს მეტად მძიმე, აგრესიული ხასიათის გამო ყველასთან გართულებული ურთიერთობა ჰქონდა, განსაკუთრებით თანატოლ მეზობელთან გია ქვლივიძესთან, რომელიც მასზე გაცილებით ღონიერი იყო. ბოლო ჩხუბის დროს გ. ქვლივიძემ აშკარად დაჯაბნა ბ.კობახიძე და გააფრთხილა: თუ ჩხუბსა და აყალ-მაყალს თავს არ დაანებებდა, ჭკუას ასწავლიდა. გაბოროტებულმა კობახიძემ გადაწყვიტა შური ეძია ქვლივიძეზე. მეორე დღესვე ფარულად აიღო მამამისის სანადირო თოფი, ღამით სადარბაზოსთან ჩაუსაფრდა გია ქვლივიძეს და თოფით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ქვლივიძე ადგილზე გარდაიცვალა.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:
მოყვანილ კაზუსში ბრალის რა ფორმაა სახეზე?

☞ გაითვალისწინეთ რომ ბ. კობახიძეს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ასეთი შედეგის დადგომა.

კაზუსი №18

ღამის მორიგეობით დაღლილმა მედდამ ნატალია სირბილაშვილმა, დილით მძიმე ავადმყოფს ნემსი გაუკეთა ისე, რომ არ შეამოწმა ამპულა. ავადმყოფის მდგომარეობა უფრო მეტად დამძიმდა. გაირკვა, რომ მედდას ავადმყოფისთვის შეცდომით გაუკეთებია „დიკაინი", რის შედეგად ის გარდაიცვალა.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

1. მიუძღვის თუ არა მედდას ბრალი პაციენტის სიკვდილში?

2. მიიღეთ მხედველობაში, რომ მედდას გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

კაზუსი №19

მტრობა და შური ახლო მეზობლებს დოლიძესა და ლომთაძეს შორის წლობით გრძელდებოდა. ურთიერთობა მაშინ გამწვავდა, როცა დოლიძემ თავისი ეზოს ღობე დაზიანებული ნახა, რაც მისი აზრით ლომთაძის ჩადენილი იყო, მან შურისძიების მიზნით ლომთაძის სახლის დაწვა გადაწყვიტა. დოლიძემ იცოდა, რომ ლომთაძის მამა, ხეიბარი მოხუცი, საწოლს იყო მიჯაჭვული და როცა ოჯახის წევრები სამსახურში მიდიოდნენ, იგი მარტო რჩებოდა. მას არ სურდა მოხუცის სიკვდილი, მაგრამ მაინც დაუშვა ასეთი შედეგის დადგომა და თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა – გადაწვა ლომთაძის სახლი. ხანძარმა მოხუცის სიცოცხლეც იმსხვერპლა.

➢ უპასუხეთ კითხვებზე:

1. ბრალის რომელი ფორმაა სახეზე სახლის დაწვასთან მიმართებაში?

☛ მიიღეთ მხედველობაში, რომ დოლიძეს გათვალისწინებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობრიობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, სურდა ასეთი შედეგი და დაუშვა მისი დადგომა.

2. ბრალის რომელი ფორმაა სახეზე მოხუცის მკვლელობასთან მიმართებაში?

☛ მიიღეთ მხედველობაში, რომ დოლიძეს გაცნობიერებული ჰქონდა თავის ქმედების მართლწინააღმდეგობრიობა, ითვალისწინებდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად დაუშვა მისი დადგომა.

კაზუსი №20

ახალბედა მძღოლმა რევაზ ჯაფარიძემ თავისი ახალი ავტომანქანით გასეირნება გადაწყვიტა. თავისუფალ ტრასაზე იგი გადაჭარბებული სიჩქარით მიაქროლებდა ავტომანქანას და იმედოვნებდა, რომ როცა საჭირო იქნებოდა სიჩქარეს დაუკლებდა. მოსახვევში მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და დაეჯახა ფეხით მოსიარულეს, რომელმაც მძიმე ტრავმა მიიღო.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:
ბრალის რომელი ფორმაა სახეზე?

☞ მიიღეთ მხედველობაში, რომ რ. ჯაფარიძე ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა ამ შედეგის თავიდან აცილებას.

კაზუსი №21

სოფელში მცხოვრებ მარტოხელა დედას ავად გაუხდა ერთი თვის ბავშვი. რადგან სოფელში ექიმი არ იყო, იძულებული გახდა ფეხით წასულიყო დაბაში. ზამთარი იყო, სოფლის გზები ყინულს დაეფარა, ტრანსპორტი ვერ მოძრაობდა.

დედა ბავშვით ხელში ფრთხილად მიუყვებოდა გზას, მაგრამ საფრთხე ვერ აიცდინა: ფეხი დაუცდა, დაეცა და ბავშვი ხელიდან გაუვარდა, ბავშვმა ყინულზე დაარტყა თავი, რის შედეგადაც გარდაიცვალა.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:
მიუძღვის თუ არა დედას ბრალი შვილის სიკვდილში?

☞ მიიღეთ მხედველობაში, რომ დედას გაცნობიერებული არ ჰქონდა და არც შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და მძიმე შედეგი.

კაზუსი №22

ოჯახური კონფლიქტის გამო აღელვებული მამუკა ჭელიძე თავისი ავტომანქანით მეგობართან გაემართა დარდის გასაქარვებლად. მას გადაჭარბებული სისწრაფით მიჰყავდა მანქანა, არ აჩერებდა შუქნიშანთან, ქმნიდა საავარიო ვითარებას, არ რეაგირებდა საგზაო პატრულის გაფრთხილებაზე.

როდესაც საპატრულო პოლიციის მანქანებმა გზა მოუჭრეს, იგი იძულებული გახდა გაჩერებულიყო.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

რა სახის სამართალდარღვევა ჩაიდინა მ.ჭელიძემ და შესაბამისად რა სახის პასუხისმგებლობა დაეკისრება მას?

☞ მხედველობაში მიიღეთ, რომ მ. ჭელიძემ დაარღვია მმართველობის ცენტრალური ორგანოს – შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი საგზაო მოძრაობის წესები.

კაზუსი №23

მაისურაძეების ოჯახი ზაფხულში დასასვენებლად წავიდა. სახლის გასაღები დატოვა ახლო ნათესავისა და მეზობლის – გიორგაძეების ოჯახში. და თხოვა ყურადღება მიექციათ მისი ბინისათვის. გიორგაძეების 20 წლის ვაჟმა – ლაშამ გაიგო რა, რომ მაისურაძეების სახლის გასაღები მის ოჯახში ინახებოდა, გადაწყვიტა მაისურაძეების ბინიდან რამდენიმე ძვირფასი ნივთი მოეპარა. მან მშობლებისგან მალულად ღამე აიღო მაისურაძეების ბინის გასაღები, გაიპარა სახლიდან და თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა. მაისურაძეების ბინიდან მოიპარა ძვირადღირებული ნივთები.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

რა სახის სამართალდარღვევა ჩაიდინა ლაშა გიორგაძემ და შესაბამისად რა სახის პასუხისმგებლობა დაეკისრება მას?

☞ მიიღეთ მხედველობაში, რომ ლაშა გიორგაძემ ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება, ხელყო მოქალაქის საკუთრების უფლება.

ᲙᲐᲖᲣᲡᲘ №24

ბიძაშვილების – სოსო და მალხაზ არეშიძეების საცხოვრებელი სახლები იმდენად ახლოს იდგნენ, რომ საერთო წყალგამტარი მილი ჰქონდათ. შეთანხმებული იყვნენ, რომ დაზიანებულ მილს რიგ-რიგობით შეაკეთებდნენ, მაგრამ მილს თითქმის ყოველთვის მამუკა არეშიძე აკეთებდა.

გაზაფხულის წვიმების დროს მილი დაზიანდა. სოსომ სთხოვა მალხაზს მილი შეეკეთებინა, მაგრამ მალხაზმა უარი უთხრა: ქალაქიდან გავდივარ და ვერ შევაკეთებო. გაბრაზებულმა სოსომ დაზიანებული მილი მალხაზის სახლის კედელზე მიუშვა. გაზაფხულის წვიმებმა საგრძნობლად დააზიანა მალხაზ არეშიძის სახლის კედელი.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

რა სახის სამართალდარღვევა ჩაიდინა სოსო არეშიძემ და რა სახის პასუხისმგებლობა დაეკისრება მას?

☞ გაითვალისწინეთ, რომ სოსო არეშიძემ ხელყო სხვისი საკუთრების უფლება და ზიანი მიაყენა მესაკუთრეს.

ᲙᲐᲖᲣᲡᲘ №25

საქართველოში ენერგორესურსების რაციონალურად გამოყენების წესს არეგულირებს ორი ნორმატიული სამართლებრივი აქტი: საქართველოს მთავრობის 2007 წლის 13 ივნისის დადგენილება და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2008 წლის 20 მაისის განკარგულება. სამართლებრივი აქტები „საქართველოში ენერგორესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ" შინაარსობრივად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ე.ი ადგილი აქვს სამართლის ნორმათა კოლიზიას.

➢ უპასუხეთ კითხვაზე:

კოლიზიური აქტებიდან რომელ აქტს აქვს უპირატესობა და შესაბამისად რომელი მათგანი უნდა იქნას შეფარდებული?

ძველი რომაელი იურისტების სენტენციები

1. **Jus est boni aequi** – სამართალი – სიკეთისა და სამართლიანობის ხელოვნებაა;
2. **Dura Lex, Sed Lex** – კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია;
3. **Cogitationis poenam nemo patitur** – არავის ეკისრება პასუხისმგებლობა საკუთარი აზრისათვის;
4. **Ei incumbit probatio, qui dicit, non qui negat** – მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს;
5. **Ejus est nolle qui potest velle** – მოთხოვნაზე უარის თქმა შეუძლია მას, ვისაც აქვს ამის უფლება;
6. **Falsus in uno, falsus in omnibus** – ვინც ერთხელ ტყუის, ტყუის ყოველთვის;
7. **Frustra legis auxilium quaerit qui in legem committit** – კანონის დამრღვევი ამაოდ ეძებს დახმარებას კანონის მხრიდან;
8. **Ignorantia juris nocet, ignoratio facti non nocet** – კანონის არცოდნა არ არის გამამართლებელი, გამამართლებელია ფაქტის არცოდნა;
9. **Inde datae leges, ne firmior omnia posset** – კანონები იმისათვის არსებობენ, რომ შეკვეცონ ძლიერთა ძალაუფლება;
10. **In legibus salus** – ხსნა კანონებშია;
11. **In dubio pro reo** – საეჭვო შემთხვევა ბრალდებულისათვის სასარგებლოა;

12. **Judex aequitatem semper spectare debet** – მოსამართლეს ყოველთვის უნდა ჰქონდეს მხედველობაში სამართლიანობა;

13. **Judex est lex loquens** – მოსამართლე – მოლაპარაკე კანონია;

14. **Juris praecepta sunt haec: honeste vivere, alterum non laedere, suum cuique tribuere** – კანონის მოთხოვნაა: იცხოვრო პატიოსნად, არ ავნო სხვას, ყველას მიაგო დამსახურების მიხედვით;

15. **Juris publicum privatorum pactis mutari non poset** – საჯარო სამართალი არ შეიძლება შეიცვალოს კერძო პირთა შეთანხმებით;

16. **Justitia regnorum fundamentum** – მართლმსაჯულება – სახელმწიფოს საფუძველია;

17. **Jus utendi et abutendi** – „გამოყენების უფლება და ბოროტად გამოყენება";

18. **Legalitas regnorum fundamentum** – კანონიერება – სახელმწიფოს საფუძველია;

19. **Legem brevem esse oportet** – კანონი უნდა იყოს მოკლე;

20. **Legis virtus haec est: imperare, vetare, permittere, punire** – კანონის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ უბრძანოს, აკრძალოს, გადაწყვიტოს, დასაჯოს.

21. **Lex est recta ratio imperans honesta** – კანონი სამართლიანი განსჯაა, იმის დამწესებელია, რაც კეთილშობილურია;

22. **Legum servi esse debemus, ut liberi esse possimus** – უნდა დაემორჩილო კანონებს, რომ იყო თავისუფალი (უნდა ვიყოთ კანონის მონები, რათა გვქონდეს შესაძლებლობა ვიყოთ თავისუფალნი);

23. **Lex posterior derogat priorem** – ახალი კანონი აუქმებს ძველს;

24. **Melior est causa possidentis** – მფლობელის მდგომარეობა უკეთესია, რადგან ის არ არის ვალდებული ამტკიცოს ფლობის უფლება;

25. **Nemo debet bis puniri pro uno delicto** – არავის არ უნდა დაეკისროს სასჯელი ორჯერ ერთი დანაშაულისათვის;

26. **Nulla potentia supra leges debet esse** – არ შეიძლება კანონზე მაღლა იდგეს რაიმე ძალა;

27. **Omnis indemnatus pro innoxis legibus habetur** – ყველა განსასჯელი სამართლის მიერ განიხილება, როგორც არაბრალეული;

28. **Pereat mundus et fiat justitia** – თუნდაც დაინგრეს სამყარო, მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს;

29. **Poena non potest, culpa perennis erit** – სასჯელი არ შეიძლება იყოს სამუდამო, მაგრამ ბრალი საუკუნეობით არსებობს;

30. **Prior tempore - potior jure** – დროში პირველს აქვს უპირატესი უფლება;

31. **Quaestio juris omnis aut verborum proprietate, aut voluntatis conjectura continetur** – კანონის გამოკვლევა გულისხმობს ან სიტყვების სრული შინაარსის დადგენას, ან მათი აზრის სავარაუდო ახსნა-განმარტებას;

32. **Qui tacuit, cum loqui debuit et potuit, consentire videtur** – ვინც გაჩუმდა მაშინ, როცა უნდა ელაპარაკა და ვალდებული იყო ელაპარაკა, მიჩნეული უნდა იქნეს როგორც თანახმა;

33. **Quivis praesumitur bonus donec probetur contrarium** – ყველა ითვლება პატიოსნად, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო;

34. **Quod medicamenia morbis exhibent, hoc jura negotiis** – რაც ავადმყოფობისათვის არის წამალი, საქმისათვის არის სამართალი;

35. **Quodcunque aliquis ob tutelam corporis sui fecerit jure id fecisse videtur** – რასაც ადამიანი აკეთებს თავის დასაცავად, ითვლება კანონიერად;

36. **Quod non est in actis, non est in mundo** – რაც არ არის დოკუმენტებში, არ არის სამყაროშიც;

37. **Rerum perpetuo semiliter judicatarum auctioritas vim legis obtirene debet** – სასამართლო გადაწყვეტილებანი საქმეებზე, რომლებიც მუდმივად ერთნაირად წყდება, ღებულობს კანონის ძალას;

38. **Res judicata pro veritate habetur** – სასამართლო გადაწყვეტილებანი მიღებული უნდა იქნეს როგორც ჭეშმარიტება;

39. **Res nullius cedit primo occupanti** – უპატრონო ნივთი ხდება იმის საკუთრება, ვინც პირველად დაეუფლება;

40. **Sequi debet potentia justitiam, non praecedere** – ძალა უნდა მოსდევდეს

მართლმსაჯულებას და არ უნდა უსწრებდეს მას;

41. **Silentium videtur confessio** – დუმილი აღიარების ტოლფასია;

42. **Supevacuum esset leges condere, nisi esset qui leges tueretur** – აზრი არა აქვს კანონების მიღებას, თუ ისინი არ განხორციელდებიან ცხოვრებაში;

43. **Testis unus, testis nullus** – ერთი მოწმე – მოწმე არ არის;

44. **Ubi emolumentum, ibi onus** – სადაც სარგებელია, იქ ტვირთიცაა;

45. **Ubi jus incertum, ibi nullum** – თუ კანონი განუსაზღვრელია, ის კანონი არ არის;

46. **Verba chartarum forius accipiuntur contra proferentem** – ხელშეკრულების სიტყვები უნდა განიმარტოს მკაცრად იმის წინააღმდეგ, ვინც შესთავაზა ხელშეკრულების დადება.

47. **Casus a nullo praestantur** – შემთხვევითობა პასუხისმგებლობას არავის აკისრებს;

48. **Cessante causa – cessat effectus** – მიზეზის აღკვეთით შედეგიც აღიკვეთება;

49. **Error comunis facit jus** – საერთო შეცდომა წარმოშობს კანონს;

50. **Lex semper certa** – კანონი ყოველთვის საიმედოა;

51. **Res publica est res populi** – რესპუბლიკა (მისი მართვა) ხალხის საქმეა;

52. **Salos populi, suprema lex** – ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვა – უმაღლესი კანონია;

53. **Justitia fundamentum regni** – სამართლიანობა – ქვეყნის საძირკველია;

54. **Legem brevem esse oportet** – კანონი მარტივი უნდა იყოს;

55. **Mos legem regit** – ჩვეულება მართავს კანონს;

56. **Noli tacere, si dicere debes** – ნუ გაჩუმდები, როცა საჭიროა ილაპარაკო;

57. **Nemo delictis exuitur** – არავინ არ უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან სამართალდარღვევისათვის;

რომის სამართლის ძირითადი ფორმულები და ტერმინები

1. **Apices juris** – *იურიდიული სიმახვილე;*
2. **Corpus juris civilis** – *სამოქალაქო სამართლის კრებული (იუსტინიანეს კოდექსი);*
3. **De lege ferenda** – *საკანონმდებლო ვარაუდის თვალსაზრისით;*
4. **De lege lata** – *მოქმედი კანონის თვალსაზრისით;*
5. **Elegantia juris** – *იურიდიული სინატიფე – სამართლებრივი სიზუსტე;*
6. **Exsta jus** – *კანონის ფარგლებს გარეთ, სამართლის მოთხოვნების ფარგლებს გარეთ;*
7. **Jure uti** – *კანონთან მკაცრად შესაბამისი ქცევა;*
8. **Juris vinculum** – *სამართლებრივი ბორკილები;*
9. **Jus ad rem** – *უფლება ნივთზე;*
10. **Jus gladii** – *„მახვილის უფლება“ – შეიარაღებული ძალის გამოყენების უფლება;*
11. **Jus naturale** – *ბუნებითი სამართალი;*
12. **Jus primae occupationis** – *პირველად მოპოვების უფლება;*
13. **Jus privatum** – *კერძო სამართალი;*

14. **Jus publicum** – *საჯარო სამართალი;*

15. **Mamu forti** – *იძულების ძალით;*

16. **Manu militari** – *შეიარაღებული ძალით (ძალის გამოყენებით);*

17. **Mens legis** – *კანონის სული (კანონის აზრი);*

18. **Non scripta, sed nata lex** – *არა დაწერილი, არამედ ბუნებითი კანონი;*

19. **Nudum jus** – *„შიშველი სამართალი", ე. ი. სამართალი, მისი რეალიზაციის შესაძლებლობის გარეშე;*

20. **Onus probandi** – *მტკიცების ტვირთი –*

    მტკიცებულებათა მოყვანის ვალდებულება;

21. **Pacta servanda sunt** – *ხელშეკრულება უნდა შესრულდეს;*

22. **Pleno jure** – *სრული უფლებით;*

23. **Quaestio facti** – *საკითხის არსი იმაშია, რაც მოხდა;*

24. **Quaestio juris** – *სამართლიანობის საკითხი, საქმის კანონიერების საკითხი;*

25. **Questa vexata** – *„შემაშფოთებელი საკითხი" – ე.ი. სამართლებრივი საკითხი, რომელიც სასამართლოს აყენებს რთულ სიტუაციაში;*

26. **Ratio scripta** – *„დაწერილი გონიერება" – სამართალი (კანონი);*

27. **Rebus sic stantibus** – *ნივთების უცვლელი მდგომარეობა;*

28. **Regula juris** – *სამართლის ნორმა;*

29. **Restitutio in integrum** – *საწყის მდგომარეობაში აღდგენა,*

    (წინანდელ უფლებებში აღდგენა);

30. **Stricto jure** – *მკაცრად კანონიერი;*

31. **Strictum jus** – *კანონის ზუსტი აზრი;*

32. **De facto** – *ფაქტიურად;*

33. **De jure** – *იურიდიულად;*

INTRODUCTION TO LAW
by Tamar Alpaidze, Ph.D

RESUME

A textbook "Introduction to Law" is designed for students of Law faculties and schools of Law of higher educational institutions as well as for all those wishing to deepen their knowledge in the area of Jurisprudence.

In a logical succession, the textbook provides an insight into the essence of state legal phenomena, the main cardinal patterns of their emergence, functioning, and development. The author presents and defines constitutive concepts and categories of Law, which form a basic for the perception and conception of the legal world.

The issues considered in the textbook integrate into a whole picture which represents the legal phenomena of a state, their role and purpose in the social life and the development of civilization.

The concepts and categories, definitions and conclusions presented in the "Introduction to Law" are essential and basic in the area of law and have a fundamental significance for Law as a discipline. Therefore "Introduction to Law" is a special introductory course which prepares students for embarking on more advanced-level studies and mastering specific branches of Law. "Introduction to Law" gives students some introductory knowledge, creates the understanding of legal phenomena in a state and forms a basic upon which they further develop general analytical thinking skills, legal consciousness and legal culture.

The state legal reality is interconnected with various legal institutions, which have an essential influence on social processes. Therefore, the textbook gives a description of such legal institutions as the state and its significance in the political system of a society, the goal and functions of a state, the forms and types of a state, civil society, a social and a constitutional state.

A priority of Law over state institutions comes to light in the textbook. Law is portrayed a socially valuable phenomenon. Students are offered a description of the aspects and peculiarities of the application of Law, various theories on the definition of Law, the essence, principles and functions; sources and norms of Law, legal relations, the definition of legal norms, legal consciousness and culture, legal systems of the modern world and other issues.

Theoretical theses introduced in the textbook are illustrated in respective diagrams. There are cases and famous maxims of old Roman lawyers.

Various scientific conceptions are analyzed in the work. The textbook reflects major achievements of academic thought. The work is based on a modern approach to teaching Law and is aimed at broadening and deepening knowledge of future lawyers.

გარეკანის დიზაინი: **ნიკა ჯავახიშვილი**

თამარ ალფაიძე

ფოტოს ავტორი: **გოგა ჩანადირი**

დაკაბადონება: **ლადო ლომსაძე**

კორექტურა: **რუსუდან გორგაძე**

მარიამ გორგილაძე

ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი"

თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№ 5